



365

ՀԱՅԿԱՅԻՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

480/3

2005



3-4

2005

საუნჯე

(128)

შაინი,
ივნიანი,
იბლისი,
ბგვისტო.

თარგმნის
ბიზლირთუქა

მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელობითი
ჟურნალი

დამფუძნებლები: საქართველოს მფარველთა
კავშირი და ჟურნალ „საუნჯის“ რედაქცია

2005, № 3-4



შინაარსი

პროზა და პოეზია

სერგეი დოვდატოვი. კომპრომისი. რომანი. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ	3
• ზორის ვასტერნაჟი. დემსები რომანიდან „მძიმი ჟივავო“.	
თარგმნა ბათუ დანელიამ	131
ანა მარია მატუტი. მკრი ნოველა. ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა	146
• მირიან ვაციბათისი. დემსები. ლატვიურიდან თარგმნა რენე კადანდიაშვილმა	155
გი დე მოვასანი. საწოდნი 29. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა ნანა ახალაძემ	161
რობერტ სტივენსონი. ფრანსუა ვიიონის დამის გასათმევი. მოთხრობა.	
თარგმნა შედეა ზუბადალაშვილმა	171
• უილიამ უორდსუორთი. დემსები. ინგლისურიდან თარგმნა თამარ მხარგრძელმა	188
• შარდ კრო. სანდაროზის ზარდახშა (პოეტური ფანტაზიები პროზად).	
თარგმნა დადი ყალიჩაძემ	190
გაბრიელ შინკუა. გაპოზიცი ძვა. თარგმნა თამარ ჩოჯავაძემ	201

პირველი ნაბიჯები

ფიოდორ დოსტოევსკი. ნაძვის ხე და ძორწილი. მოთხრობა.	
თარგმნა სოფიო შაიშველაშვილმა	258

წერილები

ზურაბ ბემაზაშვილი. შვედეთის ტრაგედიის მთარგმნის პროცესში	265
თომას მანი. დენინგის ხსოვნა. გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ლვინეფაძემ	271
ჯ. ბ. კუთხაე. ის და მისი კაცი (ნოველის დემსები).	
ინგლისურიდან თარგმნა ელა ვაჩეჩილაძემ	276
• იანუშ კორჩაკი. როგორ უნდა გავშვინ სიყვარული. კავრძელება.	
თარგმნა ზაურ კილაძემ	285

(851)
თბილისი
თბილისი
თბილისი
თბილისი

გაგანი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- მთავარი რედაქტორი
ნანა დარჩია-გოლჭვაძე
- სარედაქციო საბჭო:
ელზა ახვლედიანი
მანანა ამისულაშვილი
ნანა ახობაძე
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა ბართაია
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქეზულაძე
დალი ფანჯიკიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შაჰნაზარი
- ვაჟა ჩორღელი
პ/მ მღივიანი

ქურნალი დაისტამბა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

გარეკანის პირველ კვერდზე — „ანჟურის ციხე“, მე-4-ზე — „გოლნისის სიონის სამრეკლო“. ფოტოგრაფია თამაზ ქიქავასი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელ.: 99-73-41.

გადაეცა წარმოებას 31.05.2005 წ., ხელმოწერლია დასაბეჭდად 25.08.2005 წ., ქაღალდის ზომა 70x108^{1/16}, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბასი 24.02, ფისიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვ. 159.

შ. პ. ს. „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

სერბი დოკუმენტი



კომპრომიზი

თარგმნა ჯუმბარ თითხარიაშ

უმუშევარი დავრჩი. ვიფიქრე, მკერავობა ხომ არ შევისწავლო-მეთქი. შემჩნეული მაქვს, მკერავები ყოველთვის კარგ გუნებაზე არიან.

ტელევიზიულ ლოგინოვს ვხვდები.

— სალამი, როგორა ხარ?

— როგორა ვარ და, სამუშაოს ვეძებ.

— არის ვაკანსია. გაზეთი „ნა სტრაჟე როდინი“. ჩაიწერე გვარი — კაშირინი.

— თავმოტვლებილი რომაა?

— კაშირინი გამოცდილი ჟურნალისტია. საკმაოდ რბილი ხასიათის კაცია...

— ნაგავიც რბილია, — ვეუბნები.

— შენ რა, მას იცნობ?

— არა.

— აბა, ამბობ, რომ... ჩაიწერე გვარი.

ჩაიწერე.

— ისე უნდა ჩაიცვა, როგორც საჭიროა. ჩემი ცოლი ამბობს, შენ რომ ისე ჩაიცვა, როგორც საჭიროაო...

სხვათა შორის, ერთხელ როგორღაც მისი ცოლი რეკავს... სდექ! იწყება ფართო ამალეღვებელი თემა. ის ჩვენ გვერდზე კარგა შორს გადაგვახვევინებს...

— ფულს რომ ვიშოვი, ჩავიცვამ. ცილინდრს ვიყიდი...

ჯიბიდან ჩემი საგაზეთო პუბლიკაციების ამონაჭრები დავაძრე. ყველაზე კარგები შევარჩიე. კაშირინი არ მომეწონა. უღიმღამო სახე, არმიული იუმორი. შემომხედა:


— თქვენ, რასაკვირველია, უპარტიო ხართ.

დამნაშავის გამომეტყველებით დავუმოწმე. მან რალაცნაირი იდიოტურად მიამიტური ტონით დასძინა:

— ამ ადგილზე ოცი კაცი აცხადებდა პრეტენზიას. დამელაპარაკებიან... და მეტად აღარ მოდიან. თქვენ ტელეფონის ნომერი მაინც დამიტოვეთ.

მე შესსიერებაში შემთხვევით გაელვებული ქამწმენდის ტელეფონის ნომერი დავუტოვე.

სასლში ჩემი საგაზეთო პუბლიკაციების ამონაჭრები დავალაგე. რალაცებს თვალი გადავაკლე. დავფიქრდი...



გაყვითლებული ფურცლები. სიცრუისა და თვალთმაქცობის ათი წელი. და მაინც, ამის უკან ვიღაც ადამიანები დგანან, რაღაც საუბრები, გრძნობები, სინამდვილეა მათში... თვით ფურცლებში კი არა, იქ, პორისონტზე...

სიმართლიდან ჭეშმარიტებამდე ძნელი გზაა.

ერთ ნაკადულში ორჯერ ვერ შეხვალ. მაგრამ წყლის სწილრქში დაფანტული კონსერვის ქილების დანახვა ხომაა შესაძლებელი. მდიდრულ თეატრალურ დეკორაციებს იქით კი აგურის კედლის, თოკების, ცეცხლსაქრობისა და ნალვინევი მუშების დანახვა ხომ შეგვიძლია. ეს ცნობილია ყველასთვის, ვინც კულისებში ერთხელ მაინც ყოფილა...

კაპიკიანი საგაზეთო ინფორმაციით დავიწყობ.

პირველი კომპრომისი

(„სოვეტსკაია ესტონია“, ნოემბერი, 1973 წ.).

„სამეცნიერო კონფერენცია. ტალინში სკანდინავიისა და ფინეთის შემსწავლელ მე-7 კონფერენციაზე რვა სახელმწიფოს მეცნიერები ჩამოვიდნენ. ესენი არიან სპეციალისტები სსრკ-დან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან, გდრ-დან, ფინეთიდან, შვედეთიდან, დანიიდან და გფრ-დან. კონფერენციაზე ექვსი სექცია მუშაობს, 130-ზე მეტი მეცნიერ-ისტორიკოსი, არქეოლოგი, ლინგვისტი გამოვა მოხსენებებითა და შეტყობინებებით. კონფერენცია 16 ნოემბრამდე გასტანს“.

კონფერენცია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიმართა. მე იქ შევიარე, მეცნიერებს ვესაუბრე. სუთ წუთში ინფორმაცია მზად იყო. სამდივნოს გადავეცი. მოდის რედაქტორი ტურონოკი, დათაფლული, მარციპანული კაცი. მორიდებული, გაუბედავი არამზადას ტიპი. ამჯერად აღელვებულია:

— თქვენ უხეში იდეოლოგიური შეცდომა დაუშვით!

— ?

— თქვენ ჩამოთვლილი გაქვთ ქვეყნები.

— მერედა, ეს არ შეიძლება?

— შეიძლება და საჭიროცაა, მაგრამ საქმე ისაა, როგორ გაქვთ ჩამოთვლილი, როგორი რიგითობით. იქ თქვენ გიწერიათ უნგრეთი, გდრ, დანია, შემდეგ პოლონეთი.

— ბუნებრივია, ალფაბეტის მიხედვით.

— ეს ხომ არაკლასობრივი მიდგომაა, — დაიკვნესა ტურონოკმა, — არსებობს რკინისებური რიგითობა. დემოკრატიული ქვეყნები — წინ! შემდეგ — ნეიტრალური სახელმწიფოები, და ბოლოს — ბლოკის მონაწილეები.

— ო'კეი, — ვეუბნები.

ინფორმაცია გადავწერე და სამდივნოს გადავეცი. მეორე დღეს მორბის ტურონოკი:

— თქვენ მე მამასხარავებთ! თქვენ ამას განზრახ აკეთებთ?

— რას?

— თქვენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები პურიეთ ერთმანეთში. თქვენ გდრ უნგრეთის შემდეგ გიწერიათ. ესეც ალფაბეტიტაა?! დაი-

ვიწყეთ ეს ოპორტუნისტული სიტყვა! თქვენ პარტიული გაზეთის თანამშრომელი ხართ. უნგრეთი მესამე ადგილზე ვიწერიათ! იქ პუტჩი იყო.

— გერმანიას კი ვეომებოდით.

— ნუ მეკამათებით! რატომ კამათობთ, რატომ? ეს სხვა გერმანიაა! არ მესმის, თქვენ ვინ გენდობთ?! ეს ხომ პოლიტიკური სიბეცეა! ზნეობრივი ინფანტილიზმია! დავაფამთ საკითხს...

ინფორმაციაში ორი რუბლი ვადამიხადეს. მევონა, სამს ვადამიხადიდნენ...

მეორე კომპრომისი

(„სოვეტსკაია ესტონია“, ივნისი, 1976 წ.).

„ქარის მეტოქეები (ტალინის იპოდრომი 50 წლისაა). ცნობილი ჯოკეები, საზოგადოების კერპები — ესენი ყოვლის უწინარეს არიან ზოოტექნიკოსები, რომლებიც დაჟინებით და მოთმინებით სრულყოფენ ჯიშს, თავიანთ „აღსაზრდელებს“ უნვითარებენ ფასეულ მემკვიდრეობით თვისებებს. ამას გარდა, ესენი არიან მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენები, რომლებიც კვირაში ერთხელ თავიანთ წარმატებებზე ანგარიშს აბარებენ დახვეწილი გემოვნების ტალინელებს. ორმოცდაათი წლის მანძილზე სპორტსმენებმა ბევრი პრიზი და დიპლომი მოიპოვეს, 1969 წელს კი ოსტატმა — მხედარმა ანტონ დუკალსკიმ ულაყ ტალნიკით დიდი საკავშირო პრიზი მოიგო. ტალინის იპოდრომის ვარსკვლავებს შორის გამოირჩევიან გამოცდილი ოსტატები — ლ. იურგენსი ე. ილვესი, ხ. ნიმისტე. იმედებს იძლევა ახალგაზრდა სპორტსმენი ა. ივანოვი.

იუბილის აღსანიშნავად იპოდრომზე 1 აგვისტოს გაიმართება ცხენოსნობის ზეიმი“.

ტალინის იპოდრომი საკმაოდ საბრალო სანახაობას წარმოადგენს. ტალახიანი მიწისფერი, დამრეცი ტრიბუნები. მიწაზე უამრავი გამოყენებული ბილეთის ნაკუწი ყრია. ალგუნებული, მყვირალა ბრბო ბარიდან მოაჯირებამდე ცირკულირებს.

იპოდრომი ერთადერთი ადგილია, სადაც ჩამოსხმით ჰყიდიან იათ პორტვეინს.

სალაროში ორი ტიპის ბილეთები იყიდება — ექსპრესები და პარკები. როცა ექსპრესს უკვეთავთ, უნდა ამოიცნოთ ლიდერები იმ თანმიმდევრობით, როგორც ისინი ფინიშთან მიდიან. პარკის დამკვეთებმა ნებისმიერი თანმიმდევრობით უნდა ამოიცნოთ ორი უძლიერესი ფინალისტი. წყვილი ბილეთისთვის შესაბამისად ნაკლები თანხა გაიცემა. და ფავორიტებშიც ნაკლებს იხდიან. მთელი იპოდრომი, ყველა ახალბედა მათზე დებს ფულს. მნიშვნელოვან თანხას გაგებინებთ მოულოდნელად გამარჯვებული ცუდი ცხენები. ფავორიტის ამოცნობა ძნელი არაა. უფრო ძნელია გამოიცნო მოულოდნელი რამ — რომელიმე მუნიანი, ქეციანი ცხენის სიმკვირცხლე, სიმარდე. მაღალი კლასის მხედრები დიდი ფულის მისაღებად ფავორიტებს სიჩქარეს აკლებინებენ, ამცირებინებენ. მარჯვედ, მოხერხებულად ჩაიარჩენაც ხელოვნებაა.

ეს გამარჯვებაზე ძნელიც კია. თავში საშუალო დონის ცხენები აღმოჩნდებიან. გამარჯვებები ზოგჯერ ას ორმოცდაათ რუბლს ატყევენ. მაგრამ საექვო კარგ მხედრებს ეს თანხა ეპიტნავებოდეთ. მათ სოლიდური კლიენტურა ჰყავთ. უფრო იოლია მესამე კატეგორიის ჟოკეისთან მოლაპარაკება. მას მარულაში მონაწილეობა ეკრძალებს, მას მარულაში მხოლოდ ვილაცასთან შეთანხმებით მოქმედებს. ზღვებს სწავლინდელი დოღების პროგრამებს და მას თქვენთვის მონიშნავს. ყოველ გარბენზე სამ საუკეთესო ცხენს აჩვენებს. თქვენ კი, მითითებების შესატყვისად, უიდულობით ბილეთებს მის წილადაც.

იპოდრომის შესახებ საიუბილეო შენიშვნის დაწერა გადავწყვიტე. დირექტორ ა. მელდერს დაველაპარაკე. მან ტოლია ივანოვი გამოიძახა.

— აი, — მეუბნება, — ნიჭიერი ახალგაზრდაა.

მე და ივანოვი ბუფეტში შევედით. ვკითხე:

— მე მაქვს ზედმეტი ფული, ოთხმოცი რუბლი. თქვენ რას მიჩვენდით?

— რა აზრით?

— გარბენებს ვგულისხმობ.

ივანოვმა ფრთხილად შემავლო თვალი.

— ნუ გეშინია, — ვეუბნები, — ჟურნალისტი კი გახლავარ, მაგრამ პროვოკატორი არა ვარ.

— მე არც გეშინია.

და მან „ხელი მოაწერა“:

— დუკელი (ანუ დუკალსკი) ფულს ჩამოსული ლატვიელების მეშვეობით ჩადის. ეს სოლიდური გარიგებაა. გარბენებს მთლიანად იღებენ, ცხენებს მკაცრად ცხრილავენ. მაგრამ ეს ბოლოს, მნიშვნელოვანი ფსონების ჩასვლისას ხდება. პირველი სამი გარბენის მოგება შეიძლება.

ხვალინდელი დოღების პროგრამა ამოვიღე. ტოლიამ ფანქარი მოიმარჯვა.

მესამე გარბენის შემდეგ სამოცი რუბლი გადამიხადეს. შემდგომში იქიდან სისტემატურად მოგვქონდა ოცდაათიდან ოთხმოცამდე რუბლი. დასაანანია, რომ გარბენები კვირაში ერთხელ ტარდებოდა.

ზაფხულში ტოლია ივანოვმა ფეხი და ორივე ლავიწი მოიტეხა. ცხენი აქ არაფერ შუაში იყო. ის მთვრალი გადმოვარდა ტაქსიდან. იპოდრომს წერტილი დაესვა. უკვე რამდენიმე წელიწადია „ქარის მეტოქე“ ბარმენად მუშაობს მიუნდში.

მესამე კომპრომისი

(„მოლოდიოჟ ესტონიი“. აგვისტო. 1974 წ.).

„მე თავს ისე ვგრძნობ, როგორც ჩემს სახლში (ტალინის სტუმრები). ალა მელეშკოს ძალიან მიმზიდველი სახე აქვს. რასაკვირველია, მის ცხოვრებაში ეს მთავარი რამ არაა. და მაინც, და მაინც... იქნებ სწორედ აქ იმალებოდეს ამ სასაცილო, ოდნავ კუთხოვანი გოგონასადმი მის ირგვლივ მყოფთა მუდმივი კეთილგანწყობის საიდუმლოება...“

ალა სახელგანთქმულ გასტროლიორთა რიცხვს არ ეკუთვნის. მა-
ლალი რანგის სამეცნიერო სიმპოზიუმის მონაწილე არ გახლავთ. სპორ-
ტული რეკორდები მისი ხვედრი არაა...

ალა ჩვენს ქალაქში მოიყვანა... ცნობისმოყვარეობამ. დიან, დიან,
სწორედ ცნობისმოყვარეობამ, დაუდევარმა გრძნობამ, რომელიც ადა-
მიანს აიძულებს მოულოდნელად მიატოვოს თავისი ქალაქური მყუდ-
როება. მე ამას გზის გრძნობას, ჰორიზონტით ცდუნებას, მოგზაურის
მარადიულ მოუთმენლობას დავარქმევდი...

„მოძრაობა ცვალებადობაშია!“ — წერდა მუსიკის სახელგანთქმუ-
ლი თეორეტიკოსი ჩერნი...

გადავწყვიტეთ ალასთვის რამდენიმე კითხვა დაგვესვა:

— რა შეგიძლიათ თქვით ტალინზე?

— ეს შესანიშნავი ქალაქია, მყუდრო და მკაცრი. სიძველისა და
მოდერნის ჰარმონიული კონტრასტით გაოცებთ. მის სიჩუმესა და სიმ-
შვიდეში ამაყი ძლიერება იგრძნობა...

— როგორ აღმოჩნდით აქ?

— აქაურ ღიზაინერებსა და ფერმწერებსზე ბევრი რამ მსმენია,
ამას გარდა, ზღვა მიყვარს...

— თქვენ მარტოკა მოგზაურობთ?

— ჩემი უცვლელი თანამგზავრები ფოტოაპარატი და ალექსანდრ
ბლოკის პატარა ტომია.

— სად მოასწარით ყოფნა?

— ვიშგოროდსა და კადრიორგში, სადაც მოშინაურებული ციყ-
ვები, მიმნდობელნი და გულის ამაჩუყებელნი, მეხვეოდნენ გარს.

— როგორია თქვენი შემდგომი გეგმები?

— ზაფხული მიიწურება. დაიწყება მეცადინეობა ჩემს ქორეოგრა-
ფიულ სტუდიაში, ისევ თავდაუზოგავი, დაძაბული მუშაობა... მაგრამ
ჯერ აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც ჩემს სახლში!“

ამ ნაწარმოებში არც ანგელოზები არიან და არც ავკაცები...
არც ცოდვილები არიან და არც წმინდანები. და ისინი არც ცხოვრებაში
არსებობენ. აი, უკვე რამდენიმე წელიწადია ვაკვირდები...

ერთი რედაქტორი მეუბნება:

— ყველა შენი მოქმედი პირი გარეწარია. გმირი თუ არამზადაა,
მაშინ თხრობის ლოგიკით ის მორალურ კრახამდე უნდა მიიყვანო. ან
ნაცვალებამდე. შენთან კი არამზადები ისეთივე ბუნებრივი არსებები
არიან, როგორი ბუნებრივი მოვლენებიცაა წვიმა ან თოვლი...

— აქ არამზადები სად არიან? — ვეკითხები მე. — მაგალითად,
ვინაა არამზადა?

რედაქტორი მიყურებდა როგორც ცუდ კომპანიაში მოხვედრილ
კაცს, რომელსაც თავისი ძმაკაცების გამოხსნა უნდა.

მე უკვე დიდი ხანია ადამიანებს დადებითებად და უარყოფითებად
არ ვყოფ, ლიტერატურულ გმირებს კი — მით უმეტეს. ამას გარდა,
დარწმუნებული არა ვარ, რომ ცხოვრებაში დანაშაულს აუცილებლად
მონანიება მოჰყვება, გმირობას კი — განცხრომა. ჩვენ ისა ვართ, რა-

დაც ვგრძნობთ თავს. ჩვენი თვისებები, ღირსებები და მანკიერებები დღის სინათლეზე ცხოვრებასთან გულისხმიერ დამოკიდებულებას გამოაქვს... „ნატურავ, შენ ჩემი ღმერთქალი ხარ!“ და ასე შემდეგ... კარგი, პო...

ამ ნაწარმოებში არც ანგელოზები არიან და არც ავკაცები, და არც შეიძლება იყონ. ერთ-ერთი გმირი თვითონ მე ვარ, ანუ გამოყვანილია აგრეთვე მიშა შაბლინსკი, მისთვის დამახასიათებელი გამოთქმებით — „სპონტანური აპერცეპცია“, „იმანენტური დუალიზმი“. შემდეგ ფიგურირებს მიტია კლიონსკი, მისი ცნობაც იოლია. მას ჰალსტუხებისთვის ანოდირებული მომჭერებისა და ყალბი ქარვის სქელი მუნდ-შტუკებისკენ ლტოლვამ ძალიან გაუთქვა სახელი.

ჩვენ რა გვაახლოვებდა? იქნებ, — როგორ გამოვხატო ეს უკეთ, — საგაზეთო მუშაობის ოფიციალური მხარის მიმართ ოდნავ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება.

ჩვენს კანტორაში ოცდათორმეტი შტატიანი თანამშრომლიდან ოცდარვა თავის თავს „რესპუბლიკის ოქროს კალამს“ უწოდებდა. ჩვენ სამნი ორიგინალურობის საფუძველზე ვერცხლისებად ვიწოდებოდით. დიმა შერი, რომელმაც ერთ-ერთ კორესპონდენციაში დაწერა: „ხელოვნური თირკმელი ჩვენი უფერული დღეების უფერული მოვლენაა“, მუსის კალმად (ანუ უხეშ, ტლანქ კალმად) იხსენიებოდა.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვმეგობრობდით. შაბლინსკი მრეწველობის განყოფილებაში მუშაობდა, მისი მასალები დისკუსიებს არ იწვევდა. მათში სპეციფიკურ მკითხველზე გათვლილი ციფრები ჭარბობდა. კლიონსკი სპორტის განყოფილებაში იღვწოდა, ყოველდღიური ქრონიკა მიჰყავდა. მისი ზუსტი საქმიანი ცნობები ემოციებს მოკლებული იყო, მე ფელეტონებს ვწერდი. ჯერ კიდევ აპრილში მითხრა რედაქტორმა. „ფელეტონებს თუ დაწერ, ბინას მოგცემთო!“

ეს ძნელი საქმეა. ყოველი ფაქტი გულმოდგინედ უნდა შემოწმდეს. კრიტიკის ობიექტები თავის დასახსნელად ნემსის ყუნწში ძვრებიან. პატარა ქალაქია, ადამიანები ხელისგულზე ჩანან. მოკლედ, სცადეს ჩემი ცემა. ერთხელ სატვირთო სადგურის მტვირთავებმა (მათ ეს მოახერხეს), შემდეგ — „ფარცოვშიკმა“ ჩივირმა, რომელმაც „ბორსალინოს“ შლიაპა დამარტყა, და მაშინვე ნოკაუტში აღმოჩნდა.

რედაქცია ჩემი პუბლიკაციების პასუხად ბევრ გამოხმაურებას იღებდა. ზოგჯერ მემუქრებოდნენ. ეს მახარებდა კიდევ. სიძულვილი იმას ადასტურებს, რომ გაზეთს ჯერ კიდევ ძალუძს ვნებების გაღვივება.

ყოველი ჩვენთაგანი თავის საქმეს აკეთებდა. შაბლინსკის მივლინებიდან გამხმარი თევზი, იხვის კვერცხები ჩამოჰქონდა და ცოცხალი გოჭებიც კი ჩამოჰყავდა. კლიონსკი სპორტის ერთი ვეტერანის მაგივრად წერდა მონოგრაფიას, იმ ვეტერანს „კეთილ პლანტატორს“ ეძახდა. ერთი სიტყვით, კეთილსინდისიერად, პატიოსნად ვიღვწოდით.

მერე, მერე რა მოხდა? განსაკუთრებული არაფერი. მიტია კლიონსკის დვინსკიდან სტუმარი ქალი ჩამოუვიდა. არც კი ვიცი, რა ედო გულში იმ ქალს. არიან ისეთი ახალგაზრდა ქალები, არა, ბიწიერნი, გარყვნილები კი არა, აბა, როგორა ვთქვა ეს უკეთ, — უდარდელნი. მათი ცხოვრება მთლიანად მოქმედებაა. მათ საქციელთა იქით მათი

სული ძლივს ბეუტავს. მაგალითად, ქალიშვილები გასაოცარი ძალის-ხმევით, ყოველგვარი მსხვერპლის გაღების ფასად ეუფლებიან იმპორტულ ჩექმებს. ძნელი წარმოსადგენია, თუ რამდენი დრო და ენერჯია ეწირება ამას. ამის შემდეგ კი ამ იმპორტული ჩექმების დემონსტრირების უამი დგება. აურაცხელი ქეიფი, ცეკვები ან უბრალოდ უნივერსალიდან რატუსამდე, გაბრწყინებული მალაზიების ახლოს გავლამოვლები. ზოგჯერ ჩექმები შენი საწოლის ახლოს ბზინავენ შავად. მძიმე ძირები, დაბზარული ჩექმის ყელები. და ეს რაღაც შემზარავი გარყვნილება არაა. უბრალოდ ეს ქალიშვილები გაუთხოვარნი არიან. დალიეს, ავტობუსები არ დადიან, ტაქსს ვერ დაიჭერ და მასპინძელიც ასე სიმპათიურია. სახლში სამი ხატია, მაგომაევის ავტოგრაფი, ესტამპებია, კოულ პორტერია... საღამოობით ეს ქალიშვილები ცეკვავენ, დღისით კი მუშაობენ. და რიგიანად მუშაობენ. ღამე კი საინტერესო ადამიანებთან დადიან. მაგალითად, ჟურნალისტებთან...

მიტიამ ჩვენს განყოფილებაში შემოიხედა. მას ქალიშვილი ახლდა.

— აქ იჯექი, — უთხრა მას, — ჩემი გამგე უგუნებოდაა. სერჟ, ეს რომ აქ იჯდეს, არა უშავს?

— არა უშავს.

ქალიშვილი ფანჯარასთან დაჯდა და საპუდრე ამოიღო. მიტია გავიდა. მე განვაგრძობდი მუშაობას. ფელეტონს, რომელსაც ვწერდი, „ვმკ ურეტუმოდ“ ერქვა. ეს „ვმკ“ რა ჯანდაბა იყო, დამავიწყდა.

— ალა მელეშკო. მართალია, ყველა ჟურნალისტი რომანის დაწერაზე ოცნებობსო, რომ ამბობენ?

— არა, — ვიცრუე მე.

ქალიშვილმა ტუჩები შეიღება და ქანაობას შეუდგა. მე ვკითხე:

— სად სწავლობთ?

ახლა ის აცრუებენტელდა. რომელიღაც დრამატულ სტუდიაში, რომელიღაც პანტომიმაში გადაღებაზე მას იუგოსლაველი რეჟისორი იწვევს. იმ რეჟისორს იოშკო გატი ჰქვია. მაგრამ რომელიღაც „ინტერსინი“ ვალუტას არ რიცხავს...

როგორი კეთილშობილური ევოლუციური ცვლილებები განიცადა სიცრუემ ამ ბოლო ორასი წლის მანძილზე! ადრე ცრუობდნენ, რომ პყავდათ საქმრო-მილიონერი და ცხენთსაშენის მფლობელი. ახლა ცრუობენ, იუგოსლაველი რეჟისორი მიწვევსო... ოდესღაც ადამიანი თავისი ჩორთით მოსიარულე ცხენით ამაყობდა, ახლა კი... პოლონური ველვეტის ფოსტლებით. ხლესტაკოვს პუშკინთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ჩემი მეგობარი გენიჩი კი მოსკოვიდან დათრგუნული და ჩუმი ჩამოვიდა — ოლჟას სულეიმენოვი ნახა ცუმ-ში. ინტელიგენტური ადამიანებიც ტყუოდნენ, რიგიანი ხელფასი გვაქვსო. თვითონ მე ჩემს ხელფასს ოც რუბლს ვამატებ, თუმცა მართლა რიგიანი გამომუშავება მაქვს... კარგი, ჰო...

ის აცრუებენტელდა. ასეთ შემთხვევებში მე ვდუმვარ — გაუშვი, იცრუოს. უანგარო სიცრუეა — ეს სიცრუე კი არა, პოეზიაა. მე რატომღაც დარწმუნებულიც კი ვარ, რომ მას ალა სულაც არ ჰქვია.

შემდეგ კლიონსკი მოვიდა.

— მორჩა, — ამბობს, — სამასი სტრიქონი პმგ მდივანს საქალაქ-
დეში აქვს. შეგვიძლია მოვდუნდეთ.

ელვის სისწრაფით მოვათავე ჩემი ფელეტონი. ამის შესახებ რა-
ღაც დავწერე: „...რატომ დუმდნენ საამქროს აქტივისტები? თვალეზი
სად ჰქონდა ამხანაგურ სასამართლოს? ხომ დიდი ხანია ცნობილია, რომ
სიხარბე, დაუსჯელობაზე გამრავლებული, დანაშაულით მთავრდება!..“

— აბა, წავედით, — ამბობს კლიონსკი, — რამდენი ხანი შეიძ-
ლება ვიცადოთ?!

ფელეტონი ჩავაბარე და შაბლინსკის დავურეკეთ. მან გულგრი-
ლად ირეაგირა ჩვენს მოწოდებაზე:

— როზკას სესია აქვს. რვა რუბლი მიგდია. ხვალ შემოქმედებითი
ოთხშაბათი მაქვს. როგორც იტყვიან, ყველაფერი ერთმანეთს დაემატა...

კიბის მოედანზე ლიფტის გვერდით შევიყარენით. ჟბანკოვი მოგ-
ვადგა ფოტოაპარატითურთ, უსიტყვოდ გადაუღო ალას და გაქრა.

— რა გეგმები გვაქვს? — ვიკითხე მე.

— ვერკას დავურეკოთ.

ვერა ხლოპინა მანქანაზე მბეჭდავთა ბიუროში მუშაობდა, თუმცა
იოლად შეეძლო კორექტორი ან გამომშვებიც კი გამხდარიყო. ის ნე-
რვიული, უდავოდ განათლებული და გონიერი, თავის თავს ისტერი-
ული, მოურიდებელი პირდაპირობით ვნებდა. მასთან გაზეთის ხელ-
მძღვანელობა სიამოვნებით იკრიბებოდა. უქმრო ქალის ატმოსფერო,
ორი ოთახი, ვერას დაქალები, მუსიკა... სულ ორიოდე ჭიქის დაღვევის
შემდეგ ხლოპინა საშიში ხდებოდა. თუ რამე არ მოსწონდა, გამოთქ-
მებს არ არჩევდა. მახსოვს, ახალგაზრდული გაზეთის რედაქტორის
მოადგილე ვეისბლატს ასე უყვიროდა:

— აბა, ერთი ამას უსმინეთ, უსმინეთ! ის ხომ არმსტრონგივით
ბნელი ვინმეა! მას გარაჟში შექანიკოსადაც არ მიიღებენ!

ქალებს მისგან შავი დღე ადგათ. ყველაფრის — პატარ-პატარა
ნაკლთა სუბლიმირების, იმპორტული მორთულობების, მათი მდიდარი
და მოდუნებული ქმრების გამო.

ვერას ჩვენ სამი ვესიმპათიურებოდით. და სწორიც იყო. ჩვენ კა-
რიერისტები არ ვიყავით, ავტომანქანებს არ ვყიდულობდით, არ ვიბ-
ლინძებოდით. და ჩვენც გვიყვარდა ვერა. თუმცა სამივეს მასთან სუფთა
მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. სულ მუდამ წამოწითლებული,
მსუქანი, ოდნავ უცნაური ვერა სავსებით უმანკო ქალი გახლდათ.

ვერ ვიტყვით, თითქოს მას დაღვევა უყვარდა. უბრალოდ, მას მო-
სწონდა მეგობრული შეხვედრების ორგანიზება, ფაციფუცი, რისლინ-
გზე სირბილი, მისატანებლის დამზადება. ის ჩვენ გვეუბნებოდა:

— ახლა გალანტერეის განყოფილებაში ლიუდკას დავურეკავ! ის
ფანტასტიკაა! როგორი ტანწერწეტაა! რამსიდიდე, აი, ამხელა მწვა-
ნეთვალეაა!

ლიუდკას უყვიროდა ტელეფონში:

— ყველაფერს თავი დაანებე, მოტორი დაიჭი და ჩვენსკენ მარში
გელოდები! რაო? მწერლები, ჟურნალისტები, არყის ზღვა, ტორტი...

მართლაც მოდიოდა ლიუდკა, მალალი, მოხდენილი, მართლაც რამხელათვალეა. ქმართან, შინაგან საქმეთა სამმართველოს კაპიტანთან ერთად მოდიოდა.

ყველაფერი ეს სრულად უანგაროდ ხდებოდა. უბრალოდ, ვერა მარტოხელა ქალი იყო.

და აი, ჩვენ მისი სახლისკენ გავეშურეთ. ვიყიდეთ უნიკიტურთ, და ყველაფერი, რაც საჭირო იყო. უნდა ვთქვა, რომ მე ეს საღამოები შევისწავლე. წინასწარ ვიცი, რა იქნება შემდეგ. მოსვლითაც ერთნაირად მოდიან. ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესი და რიგი სუფევს აქ. თავისებური კონცერტია, რომლის ყველა ნომერი პროგრამაშია აღნიშნული.

შაბლინსკი მოგვიყვება ქალაქკომის რომელიღაც ფანტასტიკური ნადირობის ეპიზოდს. იქ იქნება არწივის ზომის ვალდშენეპები (ტყის ქათმები). ფინურაბანოიანი ტყის ქოხი, ერევნის კონიაკი... შემდეგ მე მას თხრობას მისი ამოჩემებული ხუმრობით შევაწყვეტინებ:

— ხეებსშუა კი რაიკომის დათვისტყაოსანი ინსტრუქტორები მიმორბიან...

— გშურს, — უბოროტოდ ჩაიციინებს შაბლინსკი, — მე ხომ ვთქვი — წავიდეთ...

შემდეგ კლიონსკი გვაცნობებს რამეს იპოდრომის თაობაზე. და უცებ გაიჟღერებს ცხენების გასაოცარი მეტსახელები: ჰანიბალი, მხიარული სიმღერა, როკ-ენ-როლი. „დუკელი მას ვირაჟზე ვარცხნის. ფავორიტს ოთხი „სბოი“ აქვს, მე ჯიბეში ექვსი ექსპრესი მიღევს, და შედეგად — „სტოლბ-გალოპი!..“

შემდეგ დიასახლისი დათვრება და ამოთქვამს ყველაფერს, რასაც ფიქრობს თითოეულ ჩვენგანზე. მაგრამ ჩვენ ამას შევეჩვიეთ და არ ვნაწყენდებით. კლიონსკი მისი უგემოვნო პალსტუხის გამო გაითათსება. მე ხელმძღვანელობასთან ლოიალური დამოკიდებულების გამო გავმათრახდები. შაბლინსკის სნობიზმის გამო აეხვევა ყურები. გაირკვევა, რომ ის მომთხოვნელობით და მიკერძოებით სწავლობს ჩვენს ყველა კორესპონდენციას. შემდეგ დაიწყება დაუსრულებელი ჟურნალისტური საუბრები იმაზე, ვინაა უნიჭო და ვინ — ნიჭიერი, ომამდელ ფირფიტებზე, ცრემლებსა და სასწაულით ნაყიდ არაყზე, და ფინალში „შენ მე პატივს მცემ?“ სიტყვას მოჰყვა და, ეს რიგიანი რუბრიკაა სატირული განყოფილებისათვის.

მოკლედ, ეს ახლაც ასე გამოვიდა. რალაც ჩხირებზე ჩამოცმული სოსისები შევწვით. ვერა დათვრა და დობროლიუბოვის პორტრეტი დაკოცნა: „როგორი ადამიანები იყვნენ!“ შაბლინსკი მოჰყვა რალაც უხამსობას დობროლიუბოვზე. მე არ დავეთანხმე. ალა ცრუობდა — თავისი დაუჯერებლობით გულის ამაჩუყებელ რალაცას ჰყვებოდა — თითქოს მას ოდრი ჰეპბერნმა საღებავი შამპუნი გამოუგზავნა...

შემდეგ ალა სამზარეულოში განმარტოვდა მიტია კლიონსკისთან ერთად, რომელსაც ქალებზე ზემოქმედების განსაკუთრებული მეთოდი ჰქონდა. აი ეს მისი მეთოდი: ის მათ დიდხანს ელაპარაკებოდა არა თავის თავზე, არამედ მათზე. და რაც არ უნდა ეთქვა მათთვის, ვთქვათ: „თქვენ მიდრეკილება გაქვთ ენდოთ ადამიანებს, მაგრამ ცნობილ ფარ-

გლებში...“ — ეს მეთოდი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე გოგობზეც ჭრიდა და ტელევიზიის ცინიკოს კორესპონდენტებზეც.

მე და შაბლინსკის ჩქარა მოგვბეზრდა ერთმანეთი. ის დაუმშვიდობებლად წავიდა. ვერას ეძინა. მარინას დავურეკე და მისი წამოვედი.

ალას ერთადერთი ფრაზა ვუთხარი: „გინდათ შეუმჩნეველად გავქრეთ?“ მე ყველას (ქალებს, რასაკვირველია) ამ ფრაზას ვეუბნები. ყველას ან თითქმის ყველას. ყოველი შემთხვევისთვის ვეუბნები. არაორაზროვანი და ამავე დროს უწყინარი ფრაზაა.

— უხერხულია, — თქვა ალამ, — მე ხომ მიტიასთან ჩამოვედი...

დილას რედაქციაში ბევრი საქმე გვექონდა. ვამზადებდი გვერდს „სახალხო კონტროლზე“ და მინერალური წყლით ვმკურნალობდი. შაბლინსკი დამრიგებელთა კონფერენციის შემდეგ თავის მაგნიტოფონზე ჩანაწერებს შიფრავდა. მოვიდა კლიონსკი, პირქუში, გაფითრებული. ბუნდოვნად და აბსტრაქტულად განაცხადა. „ეს ისეთივე ფიქციაა, როგორც მთელი ჩვენი ცხოვრება“. სადილის შესვენების წინ ტელეფონმა დარეკა:

— ალა ვარ. მიტია არ გინახავთ?

— აჰა, — ვეუბნები, — გამარჯობა. როგორა ხართ?

— გემოგლობინი — 200.

— ვერ გავიგე.

— აბა, რა უცნაური კითხვაა: „როგორა ხართ...“ სადაგლად ვარ, როგორ ვიქნები...

წავედი კლიონსკის მოსაძებნად, მაგრამ მითხრეს, ის მივლინებაში წავიდაო. სოფელ კუნგლასში გმირმა დედამ მეთერთმეტე შვილი გააჩინა. მე ეს ალას გადავეცი. ალა ამბობს:

— აი არამზადა, არც გამაფრთხილა...

სიჩუმე ჩამოწვა. ეს არ მომეწონა. კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ? გვერდიც უნდა ჩავაბარო, რალაც საშინელი სათაურებია: „ბალადა დაკარგულ არითმომეტრზე“ — მიტკა კი მართლა კაი გინმეა, გაემგზავრა და ქალი არც გააფრთხილა. რალაცნაირად უხერხულად ვიგრძენი თავი.

— გნებავთ ერთად ვისაუზმოთ? — ვკითხე.

— ისე კი საუზმობა საჭიროა. რალაცნაირი გაუგებარი ვითარებაა.

შეხვედრა დავუნიშნე. შემდეგ მაგიდაზე ფურცლები დავფანტე. ვითომ ვმუშაობდი...

გრილი და დაღვრემილი მაისის დღე იდგა. კაფეს ვიტრინების თავზე ტილოს ტენტები ტყლაშუნებდნენ. ალას ეხურა უშველებელი კოლენკორის სომბრერო, რომლითაც აშკარად ამაყობდა. მე ნალვლიანად მიმოვიხედე. ისლა მაკლდა, რომ მარინას მეგობრებს ამ სომბრეროსთან ერთად ვენახეთ. მისი ფარფლები წყალსადინარ მილებს ედებოდა. კაფეში გაირკვა, რომ სომბრერო იოლად იკეცებოდა. რალაც

გუყუთები და ღვეზელები ვჭამეთ და ჩაი დავლიეთ. ალას ისე ეჭირა თავი, თითქოს შეეძლო ჩემდამი რალაც პრეტენზიები ჰქონოდა.

— თქვენ ალბათ არდადეგები გაქვთ.

— დიახ, — მიპასუხა, — „რომაული არდადეგები“.

— დიახ, თქვენ ხართ პრინცესა ჟურნალისტების მთრახველი დედამ როგორ გამოგიშვათ?

— ვითომ რატომ?

— უცნობი ქალაქი, ცთუნებები...

— ერთი დედიკო ხვდება მეორეს: „შენი გოგონა როგორ გამო-
უშვი?“ — „საფიქრალი რა მაქვს? მას ცხრა წლის ასაკიდან მილიცია
ზედამხედველობს...“

თავაზიანად გავიცინე. ოფიციალტს დავუძახე. დანახარჯი გადა-
ვიხადეთ, გამოვედით. მე მას ვუთხარი:

— თქვენი მზერის ბედნიერება მქონდა, მადამ.

— ჩაო, ჯონი! — მითხრა ალამ.

— თუ ჩაო, მაშინ ჯონი კი არა, ჯოვანი მქვია.

— გუდ ბაი, ჯოვანი!

და წავიდა თავისი უშველებელი კოლენკორის სომბრეროს ფრი-
ალ-ფრიალით, წავიდა ღვინოსავით (სოკოა) თხელი მადამი. მე კი
რედაქციისკენ გავწიე. თურმე, უკვე მეძებდა მდივანი, ექვსი საათი-
სთვის გვერდი მზად იყო.

სალამოს თეატრში ვიჯექი. ჰემინგუეის „ზარს“ თამაშობდნენ.
საშინელი სპექტაკლია, „შესანიშნავი შვიდეულისა“ და „ახალგაზრდა
გვარდიის“ ნაზავი რალაცაა. მეორე აქტში, მაგალითად, რობერტ ჯო-
რდანიმა ხანჯლით გაიპარსა წვერი. სიტყვას მოჰყვა და, მას პოლონუ-
რი ჯინსები ეცვა. ზუსტად მე რომ მაცვია, ისეთი.

სპექტაკლის ბოლოს ისეთი ბათქაბუთქი ატყდა, ოვაციებს არ
დავლოდებივარ. წამოვედი. ჩვენ გულკეთილი ქალაქი გვაქვს — აქ
ყველა სპექტაკლი მქუხარე ოვაციებით მთავრდება...

ადრე დილას კანტორაში მივედი. დადებითი რეცენზია დამიკვე-
თეს. თამბაქოთი და ყავით მისაფათებულმა წერა დავიწყე:

„ჰემინგუეის ნაწარმოებები სცენურნი არაა. ამ ავტორის ერთად-
ერთ დრამას თეატრალური ბიოგრაფია არ ჰქონია, ის დარჩა „მო-
თხრობად დიალოგებში“. ის კარგად იკითხება, ხაზს უსვამდა ავტორი.
პოლივუდის მიერ მისი ეკრანიზების უამრავი ცდა...“

ამ დროს ვერამ დარეკა. მე ვეუბნები:

— ღმერთმანი, არა მცალია! რა იყო?

— ერთი წუთით ამოდი.

— რა ხდება?

— ერთი წუთით ამოდი-მეთქი!

— ჯანდაბას შენი თავი...

ვერა კიბის მოედანზე მელოდა. გაწითლებული, ნერვიული, დამ-
წუხრებული.

— თუ გესმის, რომ მას ფული სჭირდება...

ვერ გავიგე. უფრო ზუსტად, გავიგე, მაგრამ ვთქვი:

- არ მესმის.
- ალკას ფული სჭირდება. თვითმფრინავის ბილეთისთვის სჭირდება.
- ვერა, შენ მე მიცნობ, მაგრამ თოთხმეტამდე ეს გამორიცხულია. რამდენი სჭირდება?
- ოცდაათი მაინც.
- ეს სავსებით გამორიცხულია. აპრილში არავითარი პონორარი არ მეკუთვნის... სალაროში სამოცდათხუთმეტი მიდევს... ტელევიზორის საფასური აქამდე არ გადამიხდია... და თანაც, მე მთლად... ერთი წუთით, კლიონსკი რას შვრება? ალა ხომ მისი კადრია...
- სადღაც გაემგზავრა.
- მალე დაბრუნდება.
- გაიგე, კატასტროფა მოხდება. მისმა საქმრომ დარეკა სარატოვიდან...
- დვინსკიდან, — ვთქვი მე.
- სარატოვიდან, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს... მისმა საქმრომ თქვა, ეგ თუ არ დაბრუნდება, თავს ჩამოვიხრჩობო. ალკა თებერვლიდან მოგზაურობს ასე.
- ჰოდა, ადგეს ის საქმრო და ჩამოვიდეს.
- მას ორშაბათს გამოცდა აქვს.
- ჩინებული რამეა, — ვამბობ, — თავის ჩამოხრჩობა შეუძლია, გამოცდის იგნორირება კი არ ძალუძს.
- ტიროდა, ნატურალურად ტიროდა...
- მე ოცდაათი რუბლი არა მაქვს, არა! და შემდეგ, ღმერთმანი, როგორღაც უცნაურად... და რაც მთავარია — არა მაქვს!
- ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მართალს ვამბობდი!
- ვინმესგან რომ ისესხო? — მეუბნება ვერა.
- კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ვისესხო? ის კლიონსკის გოგოა. კეთილი ინებოს და ის გაისარჯოს.
- იქნებ შაბლინსკის ვთხოვოთ?
- წავედით შაბლინსკისთან. ისიც აღშფოთდა.
- მე რვა რუბლი მქონდა, და ის რვა რუბლი ჯენტლმენურად მივაიმასქენი. თვითონაც მინდა ვინმესგან ცოტა ფული ვისესხო. მიტკას დაელოდეთ, და იმან მოაგვაროს ეს საქმე. მომისმინეთ, მე ხონმა მოვიფიქრე: „ადამიანები ბოლშევიკებად და ბაშლევნიკებად იყოფიან.“
- კეთილი, — თქვა ვერამ. — რაღაცას მოვიფიქრებ. და კარისკენ გასწია.
- ყური მიგდე, — ვეუბნები, — თუ ვერაფერს მოიფიქრებ, დარეკე.
- კეთილი.
- აი, რა შეიძლება გაკეთდეს. მისგან ინტერვიუ შეიძლება ავიღოთ.
- ეს რა ჯანდაბისთვის გინდა?
- რუბრიკით — „ტალინის სტუმრები“. სტუდენტი ქალიშვილი გოთურ არქიტექტურას სწავლობს. ბლოკის პატარა ტომს არ იშო-

რებს. პარკში ციყვებს აპურებს. მას ოც რუბლს გადაუხდიან, ან იქ-
ნებ, მეტსაც.

— სერუ, შეეცადე...

— კეთილი...



ამ დროს რედაქტორმა გამომიძახა, გენრის ფრანსუაჟის ფართო
კაბინეტში ფანჯარასთან იჯდა. რადიოლა და ტელევიზორი უმოქმედო-
ბდნენ. თეთრკლავიშებიანი ტელეფონი დუმდა.

— დაბრძანდით, — მითხრა რედაქტორმა. — გვაქვს საპასუხის-
მგებლო დავალება. ჩვენს გაზეთში მორალური თემა სუფთადაა წარ-
მოდგენილი. აქ ყველაზე ფართო არჩევანია. ავკაცი ალიმენტის
გადამხდელები, პროტექციონიზმი, სახელმწიფო დატაცებები... თქვე-
ნი იმედი მაქვს. წადით სახალხო სასამართლოში, სახელმწიფო ავტო-
ნისპექციაში...

— რამეს მოვიფიქრებ.

— იმოქმედეთ, — თქვა რედაქტორმა, — მორალური თემა ძა-
ლიან მნიშვნელოვანი საქმეა...

— ოკეი, — ვამბობ.

— და გახსოვდეთ. ღია სარედაქციო კონკურსი გრძელდება. სა-
უკეთესო მასალებზე ფულადი პრემიები გაიცემა, გამარჯვებული კი
გდრ-ში გაემგზავრება...

— ნებაყოფლობით? — ვკითხე მე.

— რას გულისხმობთ?

— მე ბულგარეთშიც კი არ გამიშვეს. დოკუმენტები გაზაფხულ-
ზე წარვადგინე.

— ნაკლები უნდა სვათ, — თქვა ტურონოკმა.

— კეთილი, — ვამბობ, — მე არც აქა ვარ ცუდად...

იმ დღეს ბევრი საზრუნავი, ბევრი კონფლიქტი, ბევრი გადაუწ-
ყვეტელი პრობლემა მქონდა, ბევრი ვიკამათე. ორ თათბირზე ვიყავი.
ოთხ წერილს გავეცი პასუხი. ოცჯერ მაინც ვილაპარაკე ტელეფონზე.
კოქტილი ვსვი, ვსვი, მარინას ვეხვეოდი...

ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა.

კუშინდელი დღე კი სად გაქრა? და თუ ის დღე დამავიწყდა, მა-
ინც რამ მაიძულა ექვსი წლის შემდეგ ეს დამეწერა:

„ამ ნაწარმოებში არც ანგელოზები არიან და არც ავკაცები...
არც ცოდვილები არიან და არც წმინდანები“.

და საერთოდ, რა ადამიანები ვართ ჩვენ?

მეოთხე კოპროზისი

(„ვეჩერნი ტალლინი“. ოქტომბერი, 1974 წ.).

ესტონური ანბანი

ავდარში ტყის პირას შევხვდით მხეცს.

ჩვენ მას ვუთხარით: „ზდრავსტვუი!“

მხეცმა გვიპასუხა: „ტერე!“

და მაშინვე კაშკაშა სხივი

გამობრწყინდა ღრუბლებიდან...“

„ვეჩერნი ტალლინი“ რუსულ ენაზე გამოდის. და აი, ჩვენ მოვიფიქრეთ ახალი რუბრიკა „ესტონური ანბანი“ მცირეწლოვანი რუსი მკითხველებისთვის. პირველ გამოშვებას მე ვამზადებდი, საკმაოდ სასიამოვნო მოკლე ლექსები დავწერე. რვა ცალი. მე, უნივერსალურ ჟურნალისტს, ყოველთვის მეამაყებოდა ისინი.

რეკავს ცკ-ს ინსტრუქტორი ვანია ტრული:

უნივერსალური
ბიზნეს-საქონელი

- ვინ დაწერა ეს შოვინისტური იგავი?
- რატომ შოვინისტური?
- მაშასადამე, შენ დაწერე?
- მე დავწერე. რა იყო?
- იქ მხეცი ფიგურირებს.
- ეგრეა.
- ეს რა გამოდის? ის გამოდის, რომ ესტონელი მხეცია. მე მხეცი ვარ? მე, — პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, — მხეცი ვარ?!

— ეს ხომ ზღაპარია, პირობითობაა. იქ ილუსტრაციაა. იმ დათვს კეთილი, სიმპათიური სახე აქვს. ის დადებითი...

— ის ესტონურად რატომ ლაპარაკობს?! რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის ენაზე ილაპარაკოს...

— ვერ გავიგე...

— აბა რა უნდა ავიხსნა! არ მომწიფებულხარ, შენ პარტიული გაზეთისთვის არ მომწიფებულხარ...

ერთი საათის შემდეგ რედაქტორმა შემოიხედა:

— თქვენ ჟიური ორი ქულით გაჯარიმებთ.

— რა ჟიურიზე ბრძანებთ?

— თქვენ დაგავიწყდათ, რომ კონკურსი გრძელდება. კარგი მასალების ავტორები პრემიებით დაჯილდოვდებიან. საუკეთესოთა შორის საუკეთესო მასალის ავტორი დასავლეთში, გდრ-ში გაემგზავრება.

— ლოგიკურია. მაგრამ უარესთა შორის უარესი — აღმოსავლეთში?

— ამით რისი თქმა გინდათ?

— არაფრის. ვიხუმრე. გდრ განა დასავლეთია?

— აბა, თქვენის აზრით, რაა?

— აი იაპონიაა დასავლეთი!

— რაო?! — იყვირა ტურონოკმა.

— იდეური თვალსაზრისით, — დავძინე მე.

რედაქტორის სახე უსაზღვრო დაქანცულობამ დაანალვლიანა.

— დოვლატოვ! — ამოილულლულა მან, — თქვენთან საუბარი შეუძლებელია! დაიმახსოვრეთ, რომ ჩემს მოთმინებას საზღვარი აქვს...

მეხუთე კომპრომისი

(„სოვეტსკაია ესტონია“. ნოემბერი. 1975 წ.).

„ადამიანი დაიბადა. ყოველწლიური ზეიმი — განთავისუფლების დღე — რესპუბლიკაში ფართოდ აღინიშნება. ფაბრიკები და ქარხნები, კოლმეურნეობები და მანქანა-ტრაქტორების სადგურები მიღწეული მაღალი მაჩვენებლების შესახებ პატაკობენ სახელმწიფოს.

და კიდევ ერთი უჩვეულო ზღვარი გადაილახა ამ დღეებში. ესტონეთის დედაქალაქის მოსახლეობამ 400 000 ადამიანს მიაღწია. ტალინის № 4 საავადმყოფოში მანია და გრიგორი კუზინებს დიდი ხნის ნატრი ვაჟიშვილი შეეძინათ. სწორედ მას ეწერა ბუდად ქალაქის მე-400 000 მცხოვრები რომ გამხდარიყო.

— სპორტსმენი იქნება, — იღიმება მთავარი ექიმი მისკელ ტემპე.

ბედნიერი მამა უგერგილოდ მალავს თავის უხეშ დაკოჭრებულ ხელებს:

— ვაჟიშვილს ლემბიტს დავარქმევთ, დაე, გოლიათი გაიზარდოს...

მინდა გავიხსენო გოეთეს სიტყვები:

„ადამიანი იბადება — იბადება მთელი სამყარო!“*

არ ვიცი, შენ ვინ გახდები, ლემბიტ! სარატი თუ მეშახტე, ოფიცერი თუ მეცნიერი. ერთი რამ ნათელია — ადამიანი დაიბადა! ბედნიერებისთვის განწირული ადამიანი!..“

ტალინი პატარა, ინტიმური ქალაქია. ქუჩაში ნაცნობს ხვდები და გესმის: „სალამი, მე კი გეძებ...“ თითქოს დაწესებულების სასაღილოში შეხვედროდნენ ერთმანეთს...

მოკლედ, განვცვიფრდი, როცა გავიგე, რომ ტალინში ამდენი ადამიანი ცხოვრობდა.

ეს ამბავი ასე მოხდა — რედაქტორმა ტურონოკმა მიხმო და მი-თხრა:

— არის კონსტრუქციული იდეა. შეიძლება ეფექტური რეპორტაჟი გამოვიდეს. დეტალები განვიხილოთ. ოღონდ ნუ იუხეშებთ...

— რატომ უნდა ვიუხეშო?... ეს რა სარგებლობას მომიტანს...

— თქვენ, კაცმა რომ თქვას, უკვე იუხეშეთ, — მოიღუშა ტურონოკი, — თქვენ განუწყვეტლივ უხეშობთ, დოვლატოვ. თქვენ საერთო კრებებზეც კი უხეშობთ. თქვენ მხოლოდ მაშინ არ უხეშობთ, როცა აქ დიდხანს არ იმყოფებით... თქვენ გგონიათ, რომ მე ასეთი უფერული არსება ვარ? მხოლოდ გაზეთებს ვკითხულობ? როგორმე შემომიძარეთ. ნახეთ როგორი ბიბლიოთეკა მაქვს. სხვათა შორის, რევოლუციამდელი გამოცემებიცა მაქვს...

— რატომ გამომიძახეთ? — ვეკითხები.

ტურონოკი გაჩუმდა. ისე მკვეთრად გაიმართა წელში, თითქოს ლირიკული პოზიცია საქმიანი პოზიციით შეცვალაო. დაბეჯითებით და გარკვევით მილაღადა:

— ერთი კვირის შემდეგ ტალინის განთავისუფლების საიუბილეო წლისთავია. ეს თარიღი ფართოდ აღინიშნება. მათ შორის გაზეთის ფურცლებზეც გათვალისწინებულია სხვადასხვა ასპექტები — სამეურნეო, კულტურული, ყოფითი... მასალებს რედაქციის ყველა განყოფილება ამზადებს. არის დავალება თქვენთვისაც. სახელდობრ: სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით ქალაქში დაახლოებით ოთხასი ათასი მცხოვრებია. ეს რიცხვი გარკვეულწილად პირობითია. რამდე-

* ავტორის ფანტაზიაა. გოეთეს ეს არ დაუწერია.

ნადმე პირობითია თვით ქალაქის ფარგლებიც. ტალინის მეოთხასიათასე მცხოვრები იუბილის წინააღმდეგ უნდა დაიბადოს.

— ბოლომდე ვერ გავიგე რა უნდა ვქნა.

— მიდიხართ სამშობლიაროში. ელოდებით პირველ ახალშობილს. იწერთ პარამეტრებს. გაუსაუბრებით ბედნიერ მშობლებს, რომელმაც ქალი ამშობიარა. ბუნებრივია, სურათებს ბედნიერების კარტაჟი საიუბილეო ნომერში მიდის. ორმაგი პონორარი (ვიცი, რომ ეს თქვენთვის სულერთი არაა) გამოგეწერებათ.

— ამით დაგეწყოთ.

— მერკანტილიზმი თქვენი ერთ-ერთი უსიამოვნო თვისებაა, — თქვა ტურონოკმა.

— ვალები, — ვპასუხობ, — ალიმენტები...

— ბევრს სვამთ.

— ასეც ხდება.

— მოკლედ, საერთო აზრი ასეთია: დაიბადა ბედნიერი ადამიანი, მე ასეც კი ვიტყვოდი — ბედნიერებისთვის განწირული ადამიანი!

ეს სულელური ფრაზა რედაქტორს ისე მოეწონა, რომ ის ორჯერაც კი წამოიძახა.

— ბედნიერებისთვის განწირული ადამიანი! ჩემის აზრით, გვარიანია. მისი სათაურად გამოტანაც ხომ არ გვეცადა? „ბედნიერებისთვის განწირული ადამიანი“...

— ვნახოთ, ვნახოთ, — ვეუბნები.

— და დაიხსომეთ, — ტურონოკი წამოდგა, რითაც საუბარს წერტილს უსვამდა, — ბალღი პუბლიკაბელური უნდა იყოს.

— ესე იგი?

— ანუ სრულფასოვანი. არავითარი გულისშემალახეზი მანკი არ უნდა ჰქონდეს. არავითარი კეისრული გაკვეთა. არავითარი მარტოხელა დედა. მშობლების სრული კომპლექტი. ჯანსაღი, სოციალურად სრულფასოვანი ადამიანი.

— აუცილებლად ბიჭი?

— დიას, ბიჭი როგორღაც უფრო სიმბოლური მოვლენაა.

— გენრის ფრანცევიჩი, სურათებს რაც შეეხება... გაითვალისწინეთ, რომ ახალშობილნი როგორღაც... ისეთნი არიან...


— საუკეთესო შეარჩიეთ. დაიცადეთ, ჯერ დრო გაქვთ.

— ოთხ თვეს მომიწევს დაცდა. მანამდე ის საეჭვოა ადამიანს დაემსგავსოს. ზოგს კი ამისთვის ორმოცდაათი წელიც არ ჰყოფნის...

— მომისმინეთ, — გაბრაზდა ტურონოკი, — დემაგოგიას შეეშვით! თქვენ დავალება მოგეცათ. მასალა ოთხშაბათისთვის უნდა იყოს მზად. თქვენ პროფესიონალი ჟურნალისტი ხართ... დროს რატომ ვკარგავთ?..

და მართლაც, ვფიქრობ, რატომ ვკარგავთ?..

ბარში ჩავედი, ჯინი შევუკვეთე. ვხედავ, იქ არცთუ ძალიან ფხიზელი ფოტოკორესპონდენტი ებანკოვი ზის. ხელი დავუქნიე. არყისფუჟერიანად ჩემთან გადმოჯდა. ჩემს ბუტერბროდს ნახევარი მოატეხა.



— სახლში წასულიყავი, — ვეუბნები, — კანტორა გაძევილია უფროსობით...

უბანკოვმა ფუჟერი დაცალა და თქვა:

— იცი თუ არა, რომ ნატურალურად შევირცხვინე თავი/ ფედის ნარკვევისთვის ჩემს მიერ გადაღებული სურათი ნარკვევისთვის

— მე გაზეთებს არ ვკითხულობ.

— ფედის „მოლოდიოჟკაში“ ნარკვევი ჰქონდა. უფრო სწორად, ჩანახატი. „სამნი შტორმის წინააღმდეგ“. მყვინთავეებზე. როგორ ეძებენ ისინი ჩაძირულ ძვირფას ტვირთს, გაიგე? თანაც, შტორმი მოიწვესო. და იქაა ჩემი სურათიც. ორი ბერიკაცი ზის მორზე და წყლიდან შლანგსა აქვს თავი ამოყოფილი. ანუ მათი თანამოსაქმე ფსკერს ჩხრეკს, ეძებს იმ ტვირთს. მე, ნატურალურად, გადავიღე, წამოვედი და ეს საქმე მიმავიწყდა. როგორღაც პორტში მივდივარ, ხალხი დგას და იცინის. რა იყო, გესმის? ასეთი რამ ირკვევა. იქ არის დამხმარე საამქროს უფროსი — მირონენკო, როგორღაც ერთხელ გამოვიდა სასადილოდან, მესამე ნავსადგომთან გააბოლა. სიგარეტი გადააგდო. უკაცრავად ვარ და, ამოახველა, ამოახველა და ყბა მთლიანად გადმოაფურთხა. ბუნებრივია, ჩასმული ყბა. მანდ კი მას რეაასად და მეტად ღირებული ოქროს კბილების წყება აქვს. მყვინთავეებთან მირბის: „ბიჭებო, მიხსენით!“ ისინი მაშინვე დაყაბულდნენ: „სამუშაოს შემდეგ მოვნახავთ“. „ვალში არ დაგრჩებით“. „თითო-თითო ბოთლს ჩამოგვიდგამ“. — „რაზეა ლაპარაკი“... მუშაობას მორჩნენ, ყბის ქებნას შეუდგნენ. ამ დროს ფედკა მოდის დავალებიდან. ხედავს რაც ხდება. რას აკეთებთო? — კითხულობს. თან იწერს და იწერს. მყვინთავეები უხერხებულობენსავით. ამის ასე და ისე, ძვირფასი ტვირთი ჩაიძირაო, პასუხობენ. ფედია კი აზრზე არაა: „შენ რა გქვია? შენ?“... მყვინთავეები, როგორც საჭიროა, ისე პასუხობენ. „მოცალების თავისუფალ წუთებში რას აკეთებთ?“... მუსიკას ვუსმენთ, ვხატავთო, ეუბნებიან... „სამსახურში ასე გვიანამდე რატომა ხართ?“... შტორმი მოიწვეს, ვჩქარობთო. ფედია რედაქციაში მირეკავს. მივედი, და ისე გადავიღე, რომ არც გამიგია რას და რატომ ვიღებდი... რაც მთავარია, აუზი ხომ შიგნითი, საშინაოა, ხელოვნური... იქ შტორმი არც შეიძლება იყოს...

— სახლში წასულიყავი, — ვეუბნები.

— მოიცა, მთავარი ესეც კი არაა. მე მითხრეს საქმე რითიც დამთავრდა. მყვინთავეებმა მაშინ ყბა იპოვნეს. მირონოვი ბედნიერებით მეცხრე ცაზეა. მათ სამიკიტნოში ერეკება. არყის ბოთლები ჩამოადგმევინეს. ყლურწეს. მირონენკო ყველასთვის თავისი იმ ყბის ჩვენებას შეუდგა. გმადლობთ, ბიჭებო, მიხსენითო. არწივები, მეწინავეები, სტახანოველები ხართო... იმ ყბას ჯერ ერთ მაგიდაზე ათვალთქვებენ, მერე — მეორეზე... შვეიცარი მოვიდა მისთვის თვალის შესავლებად... ანსამბლის ტრომპონისტიც... ოფიციალტი ქალები თავს აქნევენ... მირონენკო კი მყვინთავეებთან ერთად მეექვსე ბოთლს ცლის. ყბა გაახსენდა, მაგრამ სადაა, წაიღეს. ყვირის: „დამიბრუნეთ, გარეწრებო!“ რას იპოვნის... მირონენკოს ამაში ახლა მყვინთავეებიც კი ვერ დაეხმარებიან...

- კეთილი, — ვეუბნები, — ჩემი წასვლის დროა...
- სამშობიაროში წასვლა არ მინდოდა. სამშობიაროს ავტოსფერო გულს მიმძიმებს. თუნდაც მხოლოდ ფიკუსები წარმოიდგინებო.
- მარინასთან შევდივარ განყოფილებაში. მესმის:
- ა, ეს შენა ხარ... მაპატიე, ბევრი საქმე მაქვს...
- რამე მოხდა?
- რა უნდა მომხდარიყო? საქმეები მაქვს...
- რა საქმეებია?
- იუბილე და ასეთი რაღაცები. ჩვენ ხომ უღიმღამო ხალხი ვართ, რომანებს არ ვწერთ...
- რატომ ბრაზობ?
- აბა, რა უნდა მიხაროდეს? შენ სადღაც იკარგები. ხან გაგიყვებით გიყვარვარ, ხან მთელი კვირა დაწანწალებ...
- რას ჰქვია — დაწანწალებ?! მივლინებაში ვიყავი საარემააზე. სასტუმროში ბალღინჯოებმა დამკბინეს.
- ბალღინჯოებმა, არა, — ეჭვიანად მოჭუტა თვალები მარინამ, — ქალებმა. საზიზღარმა, ბინძურმა შეძვეებმა. ნეტავ რას მოძვრებიან შენსკენ? სულ უფულო და ნაბახუსევი ხარ... მიკვირს, მათგან აქამდე რამე როგორ არ შევეყარა...
- ბალღინჯოსგან რა უნდა შემეყაროს?
- ნუ ცრუობ მაინცა! ის წითური ცმუტი აყლაყუდა ვინაა? ამ დილას დაგინახეთ ავტობუსიდან...
- ის წითური ცმუტი აყლაყუდა არაა, ის პოეტი-მეტაფიზიკოსი ვლადიმირ ერლი გახლავს. მას ასეთი ვარცხნილობა აქვს...
- უცებ მივხვდი, რომ სადაცაა ატირდება. არადა, ტირილი იცოდა სასოწარკვეთით, გამწარებით, შეკივლება-შეკივლებით, თავდაუზოგავად როგორც მსახიობმა ქალმა სპექტაკლის შემდეგ...
- დამშვიდდი, გთხოვ. ყველაფერი კარგად იქნება. ყველამ იცის, შენი როგორი ერთგულიცა ვარ...
- მარინამ პაწია ვარდისფერი ცხვირსახოცი ამოიღო, თვალები შეიმშრალა. და მშვიდად მკითხა:
- შეგიძლია სერიოზული იყო?
- რასაკვირველია.
- დარწმუნებული არა ვარ. შენ სავსებით უპასუხისმგებლო ხარ... როგორც ტოროლა... შენ მისამართი არა გაქვს, ქონება არა გაქვს... მიზანი არა გაქვს... ღრმად არავისთან არა ხარ დაკავშირებული. მე მხოლოდ შემთხვევითი წერტილი ვარ სივრცეში. მე კი უკვე ორმოცისა ვხდები. და მე როგორმე უნდა ავაწყო ჩემი ცხოვრება.
- მეც ორმოცისა ვხდები. უფრო სწორად, ოცდაათზე მეტისა ვარ. და მე არ მესმის, რას ნიშნავს შენი სიცოცხლის აწყობა... ვათხოვება გინდა? ანით რა შეიცვლება? რას მოგცემს ეს იდიოტური შტაბი? ეს ცხენის დალი... ვიდრე კარგადა ვარ, აქა ვარ. და როცა აქ ყოფნა მომბეზრდება — წავალ და ასე იქნება ყოველთვის.
- ვათხოვებას არ ვაპირებ. თანაც, შენ რა საქმრო ხარ! უბრალოდ, შვილი მინდა მყავდეს. სხვაგვარად გვიანი იქნება...
- გინდა და, გააჩინე. ოღონდ გახსოვდეს, რა ელის მას.

— შენ ფერებს ყოველთვის ამუქებ. მილიონობით ადამიანი ცხოვრობს და მუშაობს პატიოსნად. და თანაც, მე მარტოვამ როგორ გავაჩინო?

— რატომ მარტოვამ? მე... შეგიწყობ ხელს. საქმის მატერიალურ მხარეს კი რაც შეეხება, შენ ჩემთან შედარებით სამჯერ მეტს იღებ. ანუ პრაქტიკულად ჩემზე არა ხარ დამოკიდებული.

— მე სხვა რამეზე ვლაპარაკობდი...

ტელეფონმა დარეკა. მარინამ ყურმილი აიღო:

— ჰო-ო? შესანიშნავია... ის სწორედ ჩემთანაა...

მე ხელი ავიქნიე. მარინამ, გავიგეო, თავი დამიქნია:

— იმას ვამბობდი, რომ ეს-ესაა აქ იყო... ახლა სადაა არ ვიცი. ეტყობა, სადღაც სვამს.

ოხერი ვინმეა-მეთქი, გავიფიქრე.

— შენ ცეხანოვსკი დაგეძებს. ვალი უნდა დაგიბრუნოს.

— რა ბუზმა უკბინა?

— წიგნის ფული აიღო.

— „ქარავანი ცისკენ მიდის“?

— რატომ ქარავანი? წიგნს „გაგრძელება იქნება“ ჰქვია.

— ეს ერთი და იგივეა. კეთილი, — ვეუბნები, — ჩემი წასვლის დროა.

— საით გაგიწევია? თუ საიდუმლო არაა...

— წარმოიდგინე, სამშობიაროში...

გაზეთებით მოფენილ მაგიდებს გადავაველე თვალი. თამბაქოს კვამლისა და წებოს სუნი შევიყნოსე. ისეთმა საშინელმა მოწყენილობამ და სიმწარემ დამრია ხელი, რომ უკვე სამშობიაროს გარემოც კი არ მაშინებდა.

კარს იქით მივხვდი, რომ ერთი წამის წინ მარინამ წამოიძახა:

— წადი, მოუსვი აქედან, მე საცოდავო ლოთო, შენა!

ავტობუსში ჩავჯექი და კარლ მარქსის ქუჩისკენ გავემართე. უცებ ჩამთვლიმა. რამდენიმე წუთში თავატკივებულს გამომეღვიძა. სამშობიარო სახლის პოლში გავლისას სარკეში ჩემი თავი დავინახე და შემოვტრიალდი...

ჩემსკენ თეთრხალათიანი ქალი მოდიოდა:

— აქ გარეშეების ყოფნა არ შეიძლება.

— საიქიოელთა ყოფნა შეიძლება?

მედდა შეცბა, გაშეშდა. მას რედაქციის წიგნაკი მივაჩეჩე. მეორე სართულზე ავედი. კიბის მოედანზე არაფორმისხალათებიანი ქალები აბოლებდნენ.

— მთავარი ექიმი სად ვნახო?

— მალლა, ლიფტის პირდაპირ.

ლიფტის პირდაპირ — ესე იგი, თავმდაბალი ადამიანია. ლიფტის პირდაპირ ხმაურია, კარები ჯახუნებს.

შევდივარ. სამოცამდე წლის ესტონელი გამოღებულ ფანჯარასთან ტანვარჯიშობს. ესტონელებს მაშინვე და შეუცთომლად ვცნობ. მათს გარეგნობაში რაიმე მყვირალას, დაუხვეწავის ნასახიც არაა. უცვლელი პალსტუხი და ნაკეცები შარვალზე. ნიკაპის არასიმკვეთრე და

მშვიდი გამოქეცველება. თანაც, აბა, რომელი რუსი ივარჯიშებს მარტო...

მოწმობას ვუწვდი.

— ექიმი მიხკელ ტეპზე გახლავართ. დაბრძანდით. რითი შემოდ-
ლია დაგეხმაროთ?

საქმის არსი გავაცანი. ექიმს არ გაკვირვებია. საერთოდ, პრესამ რაც არ უნდა ითავოს, რიგით მკითხველს ძნელად თუ გააკვირვებს. ყველაფერს შეეჩვივნენ...

— ვფიქრობ, ეს რთული საქმე არაა, — თქვა ტეპზემ, — უზარ-
მაზარი კლინიკაა.

— ყოველი ახალშობილის თაობაზე ცნობას გაწვდიან? — თა-
დარიგი დავიჭირე.

ყურმილი აიღო. რაღაც თქვა ესტონურად. შემდეგ მე მომიბ-
რუნდა:

— გაინტერესებთ ნახოთ როგორ ჩნდება ბავშვი?

— ღმერთმა დამიფაროს! მე მინდა მონაცემები ჩავიწერო, ბავშვს
დავხედო და მამას დაველაპარაკო.

ექიმმა ისევ დარეკა. ერთხელ კიდევ თქვა რაღაცა ესტონურად.

— აქ ერთი მშობიარობს. რამდენიმე წუთში დავრეკავ. ვიმედო-
ვნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ჯანმრთელი სქელი ქერა ქა-
ლია, — ენა დაისველა ექიმმა.

— თქვენ თვითონ ცოლიანი ხართ? — ვეკითხები.

— რასაკვირველია.

— შვილები გყავთ?

— ვაჟიშვილი მყავს.

— არ დაფიქრებულხართ, მას რა ელის?

— აბა, მე რა უნდა ვიფიქრო? შესანიშნავად ვიცი, მას რაც ელ-
ის. მკაცრი რეჟიმის ლაგერი ელის. ადვოკატს ველაპარაკე. ხელწე-
რილიც ჩამოართვეს...

ტეპზე მშვიდად და უბრალოდ ლაპარაკობდა. თითქოს დადებით
რაღაცაზე ბჭობსო.

მე ხმას დავუწიე, და მიმნდობლურად და კონსპირაციულად ვკით-
ხე:

— სოლდატოვის საქმეა?

— რაო? — ვერ გაიგო ექიმმა.

— თქვენი ვაჟიშვილი ესტონეთის აღორძინების მოღვაწეა?

— ჩემი ვაჟიშვილი, — მკვეთრად, მკვახედ თქვა ტეპზემ, —
ფარცოვშიკი და ლოთია. და მე მანამ შემოდლია მის გამო შედარებით
მშვიდად ვიყო, ვიდრე ის ციხეში უყოლებათ.

გავჩუმდით.

— ოდესღაც ფერშლად ვმუშაობდი კუნძულზე. შემდეგ ესტონურ
კორპუსში ვიბრძოდი. მაღალ თანამდებობას მივალწიე. არ ვიცი, რო-
გორ გამოვიდა ასე. მე და ჩემი ცოლი დადებითი ადამიანები ვართ,
ჩვენი შვილი კი უარყოფითია...

— ცუდი არ იქნება, მასაც თუ მოუსმენთ.

— მისი მოსმენა შეუძლებელია. მას ვეუბნები: „იურა, რატომ გეზიზღები? მე ყველაფერს თავდაუზოგავი შრომით მივალწიე. ადვილი ცხოვრება არ მქონია. ახლა მაღალი თანამდებობა მიჭირავს. როგორ გგონია, მე, უბრალო ფერშალი, მთავარ ექიმად რატომ დამნიშნეს?..“ ის კი მპასუხობს: „იმიტომ, რომ ყველა შენი ჭკვიანი კოლეგა დახვრიტეს...“ თითქოს მე დამეხვრიტოა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტელეფონმა დარეკა.

— აპარატთანა ვარ, — თქვა ტეპაემ. — შესანიშნავია.

შემდეგ ესტონურზე გადავიდა. სანტიმეტრებსა და კილოგრამებზე ლაპარაკობდნენ.

— ესეც ასე, — თქვა მან, — მეცხრე პალატაში გაჩნდა ბავშვი წონით ოთხი და ორასი და სიგრძით ორმოცდათვრამეტი სანტიმეტრია. გინდათ დახედოთ?

— ეს სავალდებულო არაა. ყველა ჩვილ ბავშვს ერთნაირი სახე აქვს...

— დედის გვარი ოკასია. ჰილია ოკასი. ათას ცხრაას ორმოცდაექვს წელსაა დაბადებული. „ნუნუ რეტის“ ნორმადარი. მამა — მაგაბჩა...

— მაგაბჩა რას ნიშნავს?

— გვარია. ის ეთიოპიიდანაა. საზღვაოსნო სკოლაში სწავლობს.

— შავია?

— მე ვიტყვოდი — შოკოლადისფერია.

— მომისმინეთ, — ვეუბნები, — ეს საინტერესოა. თანამედროვე ინტერნაციონალიზმი იკვეთება. ხალხთა მეგობრობა... ისინი რეგისტრირებული არიან?

— იგულისხმება. მაგაბჩა ბავშვის დედას ყოველდღე ბარათს სწერს. და ხელს ასე აწერს: „შენი სოიის პატარა ბატონი“*

— ნებას მომცემთ დავრეკო?

— ბატონი ბრძანდებით.

რედაქციაში ვრეკავ. ყურმილს ტურონოკი იღებს.

— გისმენთ... ტურონოკი ვარ.

— გენრიხ ფრანცევიჩ, ბავშვი ეს-ესაა დაიბადა.

— რა იყო? ვინ ლაპარაკობს?

— დოვლატოვი ვარ. სამშობიაროდან. თქვენ მე დავალება მომეცით...

— ჰო, მახსოვს, მახსოვს...

— მაშ ასე, ბიჭი დაიბადა. დიდი, ზორბა ბიჭი... ორმოცდათვრამეტი სანტიმეტრი. წონა — ოთხი ორასი... მამა ეთიოპელია.

მტანჯველი პაუზა.

— ვერ გავიგე, — თქვა ტურონოკმა.

— ეთიოპელია, — ვეუბნები, — წარმოშობით ეთიოპელი... აქ სწავლობს... მარქსისტია, — რატომღაც დავძინე.


— თქვენ მთვრალი ხართ? — უხეშად მკითხა ტურონოკმა.

— საიდან?! მე ხომ დავალების შესასრულებლად ვარ აქ მოსული.

* ბატონი — ერთგვარი მოგრიპო პური (მთარგ.).

— დავალების შესასრულებლად... დავალებას როდის აგდებდით თქვენ რამედ? შარშან რაიონული პარტაქტივი ვინ ამოთხვარა ლაფში?..

— გენრიხ ფრანცევიჩ, ტელეფონის დიდხანს დაკავება მეუსერ-ხულემა... ეს-ესაა ბიჭი დაიბადა. მამამისი ჩვენი მეგობარია ეთიოპელია.



— თქვენ გინდათ თქვათ, რომ შავია?

— შოკოლადისფერია.

— ესე იგი, ზანგია?

— ბუნებრივია.

— კი მაგრამ, აქ ბუნებრივი რაა?

— თქვენის აზრით, ეთიოპიელი ადამიანი არაა?

— დოვლატოვ, — რის ვაი-ვაგლახით ამოთქვა ტურონოკმა, — დოვლატოვ, მე თქვენ გიშვებთ სამსახურიდან... ყველაზე საუკეთესოს დისკრედიტირების ცდის გამო... ერთიც იმ ტურტლიანი ეთიოპელის!.. ნორმალურს დაელოდეთ — გესმით ჩემი? — ნორმალურ, ადამიანურ ბავშვს დაელოდეთ!

— კეთილი, — ვეუბნები, — მე ხომ მხოლოდ გკითხეთ...

იქ ყურმილი დააგდეს. ტეპქემ თანაგრძნობით შემომხედა.

— ეს შემთხვევა ხელს არ გვაძლევს, — ვამბობ.

— მეც მაშინვე შევეჭვდი, მაგრამ არაფერი ვთქვი.

— კარგი, ჰო...

— ყავას ინებებთ?

მან კარადიდან ყავისფერი ქილა გამოიღო. ისევ გაისმა ტელეფონის ზარი. ტეპქემ დიდხანს ლაპარაკობდა ესტონურად. ეტყობა, მე რომ არ მეხებოდა, ისეთ საქმეზე საუბრობდნენ.

საუბრის დასრულებას დაველოდე და მოულოდნელად ვიკითხე:

— შემიძლია თქვენთან შირმის იქით წაფუძინო?

— რასაკვირველია, — არ გაკვირვებია ტეპქეს. — თუ გნებავთ, ჩემი მოსასხამი წამოიხურეთ.

— ისედაც იოლად გავალ.

ყელიანი ფეხსაცმელი ვავიძრე და წამოვწეიქი. გულისყური უნდა მომეკრიბა. თორემ სინამდვილის კონტურები უიმედოდ მიბუნდოვანდებოდა. უცებ ჩემი თავი, დაბნეული და შექანებული, შორიდან დავინახე. ვინ ვარ მე? რატომ ვიმყოფები აქ? რატომ ვწევარ შირმის უკან და რა ჯანდაბას ველოდები? როგორ სულელურად წამივიდა ცხოვრება!.. როცა გამომელვოდა, თავზე ტეპქემ მადგა.

— მაპატიეთ, შეგაწუხეთ... თქვენმა ნაცნობმა ქალმა ეს-ესაა იმშობიარა.

„მარინა!“ — ოდნავი შეძრწუნებით გამიელვა თავში. (ყველამ იცის, რომ ოდნავ შესამჩნევადაც შეიძლება შეძრწუნება.) შემდეგ უგუნური აზრი უკუვაგდე და ვიკითხე:

— როგორ თუ ნაცნობმა ქალმა?

— ყურნალისტი ქალია ახალგაზრდული გაზეთიდან — რუმიან-

— ა, ლენა, ბორია შტეინის ცოლი. მართლაც, ის მაისიდან არ ჩანს...

— ხუთი წუთის წინ იმშობიარა.

— ეს საინტერესოა. რედაქტორი ბედნიერი იქნება. ამ ბავშვის მამა მთელ ტალინში ცნობილი პოეტია. დედა ჟურნალისტიკა. ორივე პარტიელია. შტეინი ამ შემთხვევაზე ბალადას დაწერს.

— გილოცავთ.

შტეინს დავურეკე.

— სალამი, — ვეუბნები, — უნდა მოგილოცო.

— ჯერ ადრეა. პასუხი ოთხშაბათს იქნება.

— რა პასუხი?

— შვეციაში წავალ თუ არ წავალ. მეუბნებიან — კაპქვეყნებში მოგზაურობების გამოცდილება არა გაქვსო. აბა, თუ არ გამიშვებენ, ამის რა გამოცდილება შექნება?... კაპქვეყნებში შენ ნამყოფი ხარ?

— არა. მე სოცებშიც კი არ გამიშვეს. ბულგარეთში მინდოდა წასვლა...

— მე იუგოსლავიაშიც კი ვიყავი. იუგოსლავია თითქმის კაპია...

— მე კლინიკიდან გირეკავ. შენ ვაჟიშვილი შეგეძინა.

— ამის დედაც! — იყვირა შტეინმა. — ამის დედაც!..

ტეპქემ ბატიფეხურით დაჯლაბნილი ფურცელი გამომიწოდა.

— ზომა, — ვეუბნები, — ორმოცდათექვსმეტი, წონა — სამი ცხრაასი. ლენა თავს ნორმალურად გრძნობს.

— ამის დედაც, — არ შოშმინდებოდა შტეინი, — ახლავე მოვდივარ. ტაქსს ავიყვან.

ახლა ფოტოგრაფი იყო გამოსაძახებელი.

— დარეკეთ, დარეკეთ, — მითხრა ტეპქემ.

უბანკოვს დავურეკე. ყურმილი ლერამ აიღო.

— მიხაილ ვლადიმეროვიჩი ავადაა, — თქვა მან.

— მთვრალია თუ რა? — ვეკითხები.

— ღორივით. ის შენ დაათვრე, არა?

— არაფერი ამდაგვარი არ ყოფილა. და საერთოდ, მე სამუშაოზე ვარ.

— აბა, მაპატიე.

მალკიელს ვურეკავ.

— მოდი, ბავშვია გადასაღები საიუბილეო ნომრისთვის. შტეინს ვაჟიშვილი შეეძინა. სხვათა შორის, ორმაგ პონორარს მიიღებ...

— შენ იმ ბავშვზე გინდა დაწერო?

— ჰო. რა იყო?

— რა და ის, რომ შტეინი ებრაელია. ყოველ ებრაელზე კი მასალა უნდა შეათანხმო. შენ ფანტასტიკურად გულუბრყვილო ხარ, სერჟ.

— მე კაპლანზე დავწერე და ეს არაფისთან შემითანხმებია.

— შენ გლიკმანზეც თქვი. კაპლანი ოლქკომის ბიუროს წევრია. მასზე ორასჯერ დაწერეს. შენ კაპლანსა და შტეინს ნუ ათანაბრებ...

— მე მათ არ ვათანაბრებ. შტეინი უფრო სიმპათიურია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- მით უარესი მისთვის.
- გასაგებია! მადლობა, რომ გამაფრთხილე.
- ტეპეს ვეუბნები:
- თურმე არც შტეინი გამოგვადგება.
- მე ვეჭვობდი...
- საკითხავია, მე ვინ გამომაღვიძა?
- მე გამოგაღვიძეთ. მაგრამ ვეჭვობდი...
- რალა ვქნათ?
- მალე ერთიც იმშობიარებს. ან, შესაძლოა, იმშობიარა კიდევ.
- ახლავე დავრეკავ.
- მე კი გავალ, გავისეირნებ.
- საავადმყოფოს უბადრუკ სკვერში კატები მიმოსეირნობდნენ.
- ფოთლებგაცვივნიული შავი ალვები მკვეთრად ჭრაჭუნებდნენ.
- გამხდარი, მოკუზული ყმაწვილი ბაკიან ოთხთვალა ფორანს დაახრი-
გინებდა. რეცხვისგან გამოყვითლებულ ხალათში დედაბერს ჰგავდა. მო-
სახვევიდან შტეინი გამოვიდა.
- აბა, გილოცავ.
- გმადლობ, ბაბუ, გმადლობ. ეს-ესაა ლენკას ამანათი შევუგ-
ზავნე... რალაც არაჩვეულებრივი ვითარებაა! ამ შემთხვევასთან და-
კავშირებით უნდა დავლიოთ. „შენთან ერთად დაღევა, — ვფიქრობ
გულში, — ნერვების მოშლა“.
- მისი წყენინება არ მინდოდა. არ მითქვამს, რომ მისი ვაჟიშვილი
წუნდადებულია. მაგრამ შტეინი უკვე საქმის კურსში იყო.
- საიუბილეო მასალას ამზადებ?
- ვცდილობ.
- გინდა სახელი გაგვითქვა?
- იცი რა, — ვეუბნები, — აქ მუშურ-გლესური ოჯახია საჭი-
რო. თქვენ კი ინტელიგენტები ხართ...
- დასანანია, მე ტაქსში უკვე დავწერე ლექსი. აი მისი დასას-
რული:

На фабриках, в жерлах забоев,
На дальних планетах иных —
Четыреста тысяч героев,
И первенец мой среди них!*

- ეს პირმშო აქ რა შუაშია? შენ ხომ უკვე მოზრდილი ქალიშ-
ვილი გყავს?
- ის პირველი ქორწინებიდან გყავს.
- ჰო, — ვეუბნები, — გასაგებია.
- შტეინი დაფიქრდა და უცებ თქვა:
- მაშასადამე, ანტისემიტისში მაინც არსებობს?
- როგორც ჩანს.
- ეს როგორ შეიძლებოდა ჩვენთან წარმოშობილიყო? ჩვენთან,
ქვეყანაში, სადაც თითქოს...
- სიტყვა გავაწყვეტინე:

* აქ 400 000 ტალინელი იგულისხმება — მთარგმ.

— ქვეყანაში, სადაც ძირითადი მკვდარი ჯერ არ დაუმარხავთ...
ქვეყანაში, რომლის თვით სახელწოდებაც კი სიცრუეა...

— შენის აზრით, ყველაფერი სიცრუეა?

— სიცრუეა ჩემს ჟურნალისტიკასა და შენს ყალბ ლექსებში!
შენ სად ნახე ესტონელები კოსმოსში?

— ეს ხომ მეტაფორაა?

— მეტაფორააო... სიცრუეს ათობით ასეთი ბიზანტიანული
მეტსახელი აქვს!

— შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ პატიოსანი მარტო შენა ხარ!
ამხელა მოთხრობა ვინ დაწერა ბამ-ზე? ვინ აქებ-ადიდებდა ჩეკისტ
ტიმოფეევს?

— შევეშვები მე ამ საქმეს. ნახავ, რომ შევეშვები...

— მაშინ სხვებს ნუ კიცხავ.

— ნუ ბრაზობ.

— დასწყევლოს ეშმაკმა, გუნება წამიხდინა... კარგად იყავი.

ტეპპე ზღურბლზე დამხვდა.

— მეექვსეპალატელმა კუზინამ იმშობიარა. აი, მონაცემები. თვი-
თონ ესტონელია, ავტოურიკის მძღოლია. მისი ქმარი გემთსაშენებელ
ქარხანაში ხარატად მუშაობს, რუსია, სკკპ წევრი. ბავშვი ნორმის ფა-
რგლებშია.

— მადლობა ღმერთს, მგონი, გამოგვადგება. ყოველ შემთხვევა-
ში დავრეკავ.

ტურონოკმა თქვა:

— ეს უკვე ჩინებული რამაა. შევთანხმდით, რომ ბავშვს ლემ-
ბიტი უნდა დაარქვან.

— გენრის ფრანცევიჩი, — შევღალადე მას, — აბა თავის შვილს
ლემბიტს ვინ დაარქმევს. ძალიან ძველმოდური სახელია. ფოლკლო-
რიდან...

— დაარქვან. მათთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს. ლემბიტი კა-
რგად, ვაჟკაცურად და სიმბოლურად უღერს... საიუბილეო ნომერში
ეს ეფექტს მოახდენს.

— თქვენ შეგეძლოთ თქვენი შვილისთვის ბოვა დაგერქმიათ? ან
მიკულა?

— დემაგოგიას შეეშვით. თქვენ დავალება მოგეცათ. ოთხშაბა-
თისთვის მასალა მზად უნდა იყოს. ლემბიტის დარქმევაზე უარს თუ
იტყვიან, ფულს შეჰპირდით.

— რამდენი შევპირდე?

— ოცდახუთი რუბლი. ფოტოგრაფს მე გამოვგზავნი. ახალშობი-
ლი რა გვარია?

— კუზინი. მეექვსე პალატა.

— ლემბიტ კუზინი! შესანიშნავად უღერს. იმოქმედეთ.

ტეპპეს ვკითხე:

— ბავშვის მამა სად ვნახო?

— ეგერაა. ფანჯრის ქვეშ გაზონზე ზის.

ქვევით ჩავედი.

— ალო, — ვეუბნები, — თქვენ კუზინი ხართ?

— კუზინი კი ვარ, — თქვა მან — მაგრამ რა ხეირი მადგას ამით?!

ეტყობა, ამხანაგი კუზინი ფილოსოფიურად ~~სულიერი~~ განწყობილების კაცი იყო.

— ნება მომეცით, — ვეუბნები, — მოვილტყობთ თქვენი ვაფიშვილი ჩვენი ქალაქის მე-400000 მცხოვრები ~~აღმორჩა~~. მე რედაქციიდან ვარ. თქვენს ოჯახზე მინდა დავწერო?

— რა უნდა დაწეროთ, რო?

— აი, თქვენს ცხოვრებაზე...

— იცით რა, ცუდად არ ვცხოვრობთ... ვშრომობთ, როგორც წესია... ჩვენს თვალსაწიერს ვაფართოვებთ... ავტორიტეტით ვსარგებლობთ...

— სადმე უნდა შევიდეთ სასაუბროდ.

— შესახურებლად? — გამოცოცხლდა კუზინი.

ის მაღალი გრანიტისნიკაპიანი კაცი იყო, ბავშვური უცოდველი წამწამები ჰქონდა. ფიცხლად წამოდგა გაზონიდან და მუხლები დაიფერთხა.

„კოსმოსისკენ“ გავემართეთ, შევედით და ფანჯარასთან ჩამოვსხედით. დარბაზში ჯერ ხალვათობა იყო.

— რვა რუბლი მაქვს, — თქვა კუზინმა, — და საწამლაგიანი ბოთლი.

მან პორტფელიდან კუბური რომის ბოთლი ამოიღო და კრეტსაბნელი მოათარა.

— პონტისთვის სამასი გრამი ავიღოთ?

— და ლუდი, — ვეუბნები, — თუ ცივია...

სამასი გრამი არაყი, ორი სალათი და თითო კატლეტი შევუკვეთეთ.

— შებოლილი ლორი ხომ არ მოგართვათ? — იკითხა ოფიციალტმა.

— მოვიფიქრებთ! — მაშინვე ირეაგირა კუზინმა.

დარბაზში სიცარიელე იყო. ამაღლებულ ფიცარნაგზე ოთხი მუსიკოსი განლაგდა. როიალი, გიტარა, კონტრაბასი და დასარტყმელი საკრავები. მუხის პიუპიტრები თუნუქის ლირებით იყო მორთული.

მეგიტარემ ცხვირსახოცით მალულად გაიწმინდა ყელიანი ფეხსაცმელი, შემდეგ მიკროფონთან მივიდა და გამოაცხადა:

— საკურორტო დასახლება აზალემადან დაბრუნებული ჩვენი მეგობრების დაკვეთით...

მრავალმნიშვნელოვანი პაუზა დაიცვა და... — სრულდება ლირიკული სიმღერა „წვიმს, წვიმს შხაპუნით!..“

ატყდა დინამიკებით გაძლიერებული წარმოუდგენელი გრუსუნი. მუსიკოსები ერთად გაჰყვიროდნენ რალაცას.

— იცი, აზალემმა რა არის? — გამხიარულდა კუზინი. — ეს არის ესტონეთში ყველაზე დიდი სალაგერო სოფელი. შრომა-გასწორებითი კოლონია, პატიმრების გამანაწილებელი პუნქტი... აბა, შევუბერეთ!

ჭიქები ავწიეთ.

— შენ გაგიმარჯოს! შენს ვაჟიშვილს გაუმარჯოს!

— ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს და იმას, რომ ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა არ იყოს...

ორი წყვილი განცალკევებულად ცეკვავდა პატარა მაგიდებს შუა. შავ-თეთრუნიფორმიანი ოფიციანტები პინგვინებს ჰყავდნენ.

— გავიმეოროთ?

— გავიმეოროთ.

კუზინმა სწრაფად შეატანა ლუკმა და დაიწყო:

— ყველაფერი, რაც ჩვენთან იყო, ნამდვილი თეატრია. მე გემთ-საშენში ვმუშაობდი, მარტო ვცხოვრობდი. პოდა, გავიცანი ქალი, ისიც მარტოხელაა. ვერ ვიტყვი, რომ მახინჯი იყო, ფიქრიანი იყო. ჩემთან შემოდოდა, მირეცხავდა, მიუთოვებდა... აღდგომა დღეს... არა, ვტყუი, მარიამობაზე ერთად დავიდეთ ბინა. თორემ მუშაობის შემდეგ ვაკუუმი იყო... დაახლოებით ერთ წელიწადს ვიყავი ასე... და ეგ რისთვის დაორსულდა, არ მესმის... ხშირად ვერთევხასავით იწვა. მე ვეკითხები: „შემთხვევით, ხომ არ ჩაგეძინა?“ „არა, — მპასუხობს, — ყველაფერი მესმის“. „შენში, — ვეუბნები, — ცოტა ცეცხლია“. ეგ კიდევ: „სამხარეულოში თითქოს შუქი ანთია...“ „ეგ საიდან მოიტანე?“ „შესე, ეგე, მრიცხველი როგორ მუშაობს“... „შენა, — ვეუბნები, — მუშაობა მისგან უნდა ისწავლო...“ ასე ვცხოვრობდით დაახლოებით ერთ წელიწადს.

კუზინმა კრეტსაბმელის ქვემოდან რომის ბოთლი გამოაძრო და მთაგონებით შეავსო ჩვენი ჭიქები. ისევ დავლიეთ.

— კართან მჯდომი ტოლიკ ბ.-ს დაკვეთით სრულდება.

პაუზა. შემდეგ კიდევ უფრო ენერგიულად: — სრულდება ლირიკული სიმღერა „ეს რა შხამით დამათვრე?..“

— თვითონ შენ ცოლიანი ხარ? — დაინტერესდა კუზინი.

— ცოლი მყავდა.

— ახლა?

— ახლა თითქოს არა.

— შვილები გყავს?

— მყავს.

— ბევრი?

— ბევრი... ქალიშვილი.

— იქნებ, კიდევ გეყოლოს...

— საეჭვოა...

— ბავშვები მეცოდებიან, ბავშვებს ხომ ბრალი არ მიუძღვით... პირადად მე მათ „ცხოვრების ყვავილებს“ ვეძახი... იქნებ, კიდევ ჩამოვასხათ?

— მოდი.

— ლუდითურთ...

— ბუნებრივია...

მე ვიცოდი, რომ კიდევ სამი ტოლჩის დალევა იმას ნიშნავდა, რომ დღეს საქმეებს ხელს ვერ მოვკიდებდი. ამ აზრით, დილით დალევა სჯობია. დალევ და მთელი დღე თავისუფალი ხარ...

— მომისმინე, — ვეუბნები, — ბიჭს ლემბიტი დაარქვი.

— ლემბიტი რატომ დავარქვა? — გაიკვირვა კუზიანმა. — ჩვენ ვალოდია გვინდა დავარქვათ. ეს ლემბიტი რაღაა?

— ლემბიტი სახელია.

— ვალოდია, რა, სახელი არაა?

— ლემბიტი ფოლკლორიდანაა.

— ფოლკლორი რას ნიშნავს?

— ხალხურ შემოქმედებას.

— ხალხური შემოქმედება აქ რა შუაშია?! პირადად ჩემს შვილს ვალოდია მინდა დავარქვა... მე, აი, გრიშა დამარქვეს, და რა გამოვიდა? ვინ გამოვედი? ალკაში... ბარემ პირდაპირ ალკაში დაერქმიათ... ერთიც შევუბეროთ.

შკვე ლუკმის დაუყოლებლად შეესვით.

— ვალოდიას დაარქმევ და, — ენად გაიკრიფა კუზინი, — და რა იცი, რა ოხერი გამოვა. თუმცა, რასაკვირველია, ბევრი რამ აღზრდა-ზედაცაა დამოკიდებული...

— ყური მიგდე, — ვეუბნები, — მას ლემბიტი დაარქვი დროებით. ჩვენი რედაქტორი ამაში მაყუთს იძლევა. ერთი თვის შემდეგ, როცა მას დაარეგისტრირებთ, სახელს გადაარქმევთ...

— რამდენს იძლევა? — დაინტერესდა კუზინი.

— ოცდახუთ რუბლს.

— ეს ორი ნახევარლიტრიანი და მისატანებელია. ესეც თუ სამი-კიტნოში...

— როგორც მინიმუმ — ოცდახუთ რუბლს. იჯექი, დავურეკავ... ავტომატიდან დავრეკე კანტორაში. რედაქტორი ადგილზე აღმოჩნდა.

— გენრიხ ფრანცევიჩ! ყველაფერი ო' კეი! მამა — რუსია, დედა — ესტონელი. ორივე მუშაა...

— თქვენ უცნაური ხმა გაქვთ, — თქვა ტურონოკმა...

— ავტომატია ასეთი... გენრიხ ფრანცევიჩ, სასწრაფოდ გამოგზავნეთ ჰუბერტი ფულითურთ.

— რა ფულითურთ?

— სტიმულის სახით. რათა ბავშვს ლემბიტი დაარქვან... მამა ოცდახუთ რუბლზე თანახმაა. თუ არადა, ადოლფს დავარქმევთო...

— დოვლატოვ, თქვენ მთვრალი ხართ! — თქვა ტურონოკმა.

— სრულებითაც არა.

— კარგი, პო, გავერკვევით. მასალა ოთხშაბათს მზად უნდა იყოს. ჰუბერტი ყოველ ხუთ წუთში შემოდის. მას რატუმის მოედანზე დაელოდეთ. ის თქვენ გასაღებს გადმოგცემთ...

— გასაღებს?

— პო. სიმბოლურ გასაღებს. ბედნიერების გასაღებს. მამამისს გადაეცით... შესაბამის ვითარებაში... გასაღები სამი და ოთხმოცი ლირს. მე ამ თანხას ოცდახუთი რუბლიდან გამოვქვითავ.

— ეს უნამუსობაა.

რედაქტორმა ყურმილი დაკიდა.

მალა ავედი. კუზინი სუფრაზე თავჩამოდებული თვლებდა.

კუზინს მხარში მოვკიდე ხელი.



— ალე, — ვეუბნები, — გაიღვიძე! ჩვენ ჰუბერტი გველოდება...
 — რაო?! — აფორიაქდა ის, — ჰუბერტიო... შენ კი ამბობდი
 ლემბიტიო.

— ლემბიტი სხვაა. ლემბიტი შენი ვაჟიშვილია. ~~დროებით...~~

— დიახ, მე ვაჟიშვილი მეყოლა.

— მას ლემბიტი ჰქვია.

— ჯერ ლემბიტი, შემდეგ კი — ვალოდია.

— ჰუბერტს კი ფული მოაქვს.

— ფული მაქვს, — თქვა კუზინმა, — რვა რუბლი.

— უნდა გადავიხადოთ. ოფიციანტი სადაა?

— ალე, ოფიციანტ, სადა ხარ? — იყვირა კუზინმა.

ოფიციანტი, დაღვრემილი და ტუჩებმოკუმული გვეახლა.

— ერთი თეფში დაიმტვრა, — თქვა მან.

— აჰა, — თქვა კუზინმა, — მას მე მაგიდაზე სიფათით დავაწე-
 ქი და ტრახ!

მან გულისჯიბიდან დარცხვენით ამოიღო თეფშის ნატეხები.

— და ტუალეტშიც გკერდზე მოიმასქნებულია, — დასძინა ოფი-
 ციანტმა, — მეტი აკურატულობა გმართებთ...

— აახვიე აქედან, — უცებ გაბრაზდა კუზინი, — გესმის? თო-
 რემ ახლა ძვალსა და რბილს გაგიერთიანებ!

— არ გირჩევ. შეიძლება ჩაგაყუდონ.

ოფიციანტს ფული ხელში ჩავჩურთე.

— გვაპატიეთ, — ვუთხარი, — ჩემს მეგობარს ვაჟიშვილი შეე-
 ძინა. ჰოდა, განიცდის.

— ჰოდა, რაკი ტუზი დაგეცათ, თქვენც კულტურულად მოიქე-
 ცით, — მოლბა ოფიციანტი.

დანახარჯი გადავიხადეთ და წვიმაში გამოვედით. ჰუბერტის მა-
 ნქანა რატუშის გკერდით იდგა. ჰუბერტმა დაასიგნალა და კარი გა-
 მოაღო. შიგ შევძვერით.

— აი ფული, — თქვა ჰუბერტმა, — რედაქტორი შფოთავს, რომ
 შენ სმას გადააბამ...

მას სიბნელეში ქალღმრთის ფული და ხურდები გამოვართვი...

ჰუბერტმა ძალიან მძიმე ყუთი გადმომცა.

— ეს კიდევ რაღაა?

— „ჰსკოვსკი სუვენირია“.

ყუთი გავხსენი. მასში პატარა ბალალაიკის ზომის ანოდირებული
 გასაღები იდო.

— ჰო, — ვამბობ, — ბედნიერების გასაღებია!

კარი გამოვალე და გასაღები ურნაში ჩავაგდე. შემდეგ ჰუბერტს
 ვუთხარი:

— მოდი, დავლიოთ.

— მე ხომ საჭესთანა ვარ.

— მანქანა დატოვე და წავედით.

— რედაქტორიც უნდა წავიყვანო.

— თვითონაც მიატანს ადგილამდე ის მსუქანი ქოსმენი...

— იცი, ეგენი მე ბინას შემპირდნენ. ბინა რომ არა...



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

— ჩემთან იცხოვრე, — უთხრა კუხინმა, — დედაკაცს კი სოფელში გავგზავნი. პსკოვშიჩინაზე, უსოხიში. იქ მარგარინი ამ ზაფხულს აქეთ არ უნახავთ...

— ჩემი წასვლის დროა, ბიჭებო, — თქვა ჰუბერტმა.../ ისევ წვიმაში გავედით. რესტორან „ასტორიის“ ფიფქვები გამომწვევად, მაცდურად ანათებდნენ.

ელექტროფარანი სიბნელეს სტაცებდა კართან გაჩენილ ნაირფერ გუბებს...

ღირს კი დაწვრილებით იმის მოყოლა, ამის შემდეგ რაც მოხდა? როგორ ავიდა ჩემი თანამგზავრი ესტრადაზე და დაიწყო ღრიალი: „რუსეთი გაყიდეს!..“ შემდეგ შვეიცარს ისე დაარტყა, რომ მისი ქუდი საკუჭნაოში შეფრინდა... მერე კი მილიციაში როგორ მიგვაბრძანეს... და როგორ გავვათავისუფლეს ჩემი მოწმობის წყალობით... და როგორ დავკარგე ჩანაწერებიანი ბლოკნოტი... შემდეგ კი თვითონ კუხინიც...

შუალამეს გამელვიძა — მარინასთან გამელვიძა. ოთახში ბინდ-ბუნდი იწვა.

მალვიძარა აუტანლად ხმამაღლა ტიკტიკებდა. ნიშადურის სპირტისა და სველი ტანსაცმლის სუნით იდგა.

თითოთ საფეთქელთან შესიებულ ნაფხაჭნს შევეხე.

მარინა, ნალვლიანი და ცოტათი შემჭკნარი, გვერდით მეჯდა, ალერსიანად მისვამდა ხელს თმაზე. მისვამდა და იმეორებდა:

— საწყალი ბიჭი... საწყალი ბიჭი... საწყალი ბიჭი... ვის გადაეკიდა ეს, ვფიქრობ, ვის?..

მეექვსე კომპრომისი.

(„ვეჩერნი ტალინი“. კვირეულის რადიოპროგრამა. მარტი 1976 წ.) ...13.30. „შეხვედრა საინტერესო ადამიანთან“.

ვლადიმირ მერკინი. ეკონომიკა. დღე ხვალინდელი.

ლ. აგაპოვასა და ს. დოვლატოვის რადიონარკვევში წარმოგიდგებათ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ გრიგორის ძე მერკინი. თქვენ მოისმენთ მის ცოცხალ და მიმზიდველ საუბარს სსრკ-ში ეკონომიკურ პროგრესსა და თანამედროვე დასავლეთის გარდუვალ ფინანსურ კრიზისზე. შესვენებაზე — ახალი ამბები და „მუსიკალური ანტრაქტი“.

ოთხი წლის შემდეგ ჟურნალისტ აგაპოვას სახეზე მეტალის ნაჭრის დარტყმისაგან იარა გაჩნდება. მას საშინელი გამძვინვარებით დაესხმის თავს თვითნასწავლი არქიტექტორი დეგტიარენკო, გმირი პუბლიცისტური რადიოგადაცემა „მკაფიოობისა“, რომელიც ეთერში არ გადაუციათ. ამ უმსგავსო ექვსი კვირის შემდეგ ჟურნალისტ აგაპოვას პირველად მოუყვებიან პროექტ „მობილუ კოოპერატოსა“ და მის გენიალურ შემოქმედზე, ტალინის ერთ-ერთი ფაბრიკის შავ მუშაზე. აგაპოვა დაწერს რუბრიკით „შეხვედრა საინტერესო ადამიანთან“ გამოსაქვეყნებელ ნარკვევს. ტექნიკური განყოფილება ნახაზებს

მოითხოვს. ექსპერტი ჩუბარევი ერთი წუთით დაიჭერს საკუთარ მოვლილ ხელებში ორ ჭუჭყიან მოთახთახე კალკს და ასე გამოხატავს თავის აზრს:

— ორიგინალურია! ფრიად ორიგინალურია!

ჟურნალისტი აგაპოვა შვეებით და სიამაყით ამოიქაჩება:

— მას ოთხი კლასის განათლება აქვს!

— თქვენა? — ზიზღით ინტერესდება ექსპერტი. — თქვენ იცით ეს რაა?

— მობილე კოოპერატოა. მოძრავი სახლი. მომავლის საცხოვრისი...

— ეს ვაგონია. — აწყვეტინებს მას ჩუბარევი, — ჩვეულებრივი ვაგონი. თქვენი ლე კორბუზიე კი სასწრაფო პოსპიტალიზირებას საჭიროებს...

გადაცემას მაშინვე დაიწუნებენ, დალუქავენ. დაიმედებული დეგტიარენკო ლიდას მეტალის რეისშინას დაარტყამს თავში. ტალინის რადიოს შტატვარეშე კორესპოდენტ აგაპოვას კარიერა დიდი ხნით შეწყდება... ყველაფერი ეს ოთხი წლის შემდეგ მოხდება. ჯერ კი მას ტრამვაის გაჩერებამდე მივყვებით.

აქამდე მოღრუბლული დილა იყო, კიდევ მანამდე — ღამე. ნამძინარევი მტრედი ლავგარდანზე თუნუქის ფხაჭნა-ფხაჭნით წანწალებდა. შემდეგ მალვიძარა, გაცივებული ფოსტლები, ჭედვა ტუალეტთან, ჩაი, დაბრეცილი დამბალი ყველი, ელექტროსაპარსის ღულუნი — ქმარი სამუშაოზე წასვლას ჩქარობს. ქალიშვილი: „მგონი, მე ვითხოვე, რომ ჩემს ხალათს არ შეხებოდნენ!..“ და ბოლოს — უსულგულო ქუჩების სიგრილე, ქარი, გუბეები, გოშიები სკვერებში, ტრამვაის ჩახრახი...

შევეცდები აგაპოვას გარეგნობის აღწერას. თუმცა მის გარეგნობას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

რეზინის იმპორტული ბოტები. მძიმე ყავისფერი ქვედაკაბა სიარულის მანერას ხაზს არ უსვამს. ელვაშესაკრავიანი სინთეტიკური კურტაკი შრიალებს.

ცისფერი კეპი — ტალინელი პოლიტექნიკოსის ფორმისა. გაბედული ადამიანის გამოხედვა, სულმუდამ გათოშილი სახე. კოსმეტიკის არავითარი ნასახი. მარცხენა მხარეს კბილი აკლია. გაკვირვება მხოლოდ თვალებში აღებუჭდება. ფინიშის ლენტივით უძრავი წარბები...

მივყვით ჩვენს გმირს. ტრამვაის გაჩერება...

„... აი, ახალგაზრდა გოგოები რა კარგად იცვამენ. პალტო თუმცა ბევრი არაფერია, მაგრამ ღილების ნაცვლად ნაძვის გირჩებივით რაღაც მიუკერებიან და უხდებან. ან ეს სპეცტანსაცმლიანი გოგონა... უკანალზე ღიდილოები... ლოლობრიჯიდასავით ამაყი სიარული... ზაფხულში კი როგორღაც ფეხშიშველა ვნახე... არა მთვრალი, არამედ შეგნებულად ფეხშიშველა... ქალაქის ცენტრში... მოდის, ფიგურირებს... მეც ასე ვარ, თითქოს ყველაფერი იმპორტული, დემოკრატიული მაცვია. სახალხო დემოკრატიის შესატყვისად მაცვია. მაგრამ არ

ვჩანვარ. ნეტავ სად შოულობენ ისინი? უცხოელებთან სეირნობენ? ვაი თავის მოჭრავ!.. არადა, უხდებათ...”

ტრამვაის კარები რის ვაი-ვაგლახით გაიღო. ხანმოკლე / ძნელი შტურმი. მას გზა არმიელის ფართო ზურგმა გადაუღობა. ლოყით ხაოიან მხუთავ ქსოვილს ეტყეპება... სახელურს ჰკმდებენ ნიკე-ლირებულ მილში სიცოცხლემ გაიელვა...

— კაპიკიანი არ ჩააგდოთ...

ლიდა მეტალის ყუთ-სალაროს თავზე ბალანსირებს.

— გაიარეთ რა, გაიარეთ. ჯირკვიით არა დგას?!

მთავარია არ გალიზიანდე, იუმორის გრძნობა არ დაკარგო. ახლა პიკის საათია, ჩვეულებრივი რაღაცები ხდება. ახლა მთავარია დადებითი ემოციების წყარო მონახა. აგერ ქალს ადგილი დაუთმეს. სტუდენტის კონსპექტებს ფურცლავს. სამხედროსაც კი ნორმალური სახე აქვს...

და ისევ — ქუჩა, მანქანები, ადამიანები, ადამიანებისა და მანქანების სასიამოვნოდ ამალეღვებელი გულგრილობა, შემდეგ — ვესტიბიული, ფართო მარმარილოს კიბე, რომელზეც გაცრეცილი ხალიჩები აფენია... აბრა — „პროპაგანდის ბიურო“.

ლიდამ დააკაკუნა და შევიდა. ყველამ ძალიან გაიხარა. კულეშოვმა მორიგი უხამსობა თქვა. ვეროჩკა კოტოვამ თვალეზაუწევლად გაიღიმა. ენია ტურინი გახდაში დაესმარა. მორალევიჩმა ჰკითხა:

— ხუთშაბათს მოუსმინე? შენით თვით იურნაა კმაყოფილი.

— მართლა?!

იქვე აბოლებდა ვალია ჩმუტოვიც, ქრონიკული უიღბლო ტიპი. ჩმუტოვი მსახიობი იყო. ჰქონდა ბუნებრივი ნიჭი — გასაოცარი ტემბრის ლამაზი დაბალი ხმა. დიქტორად მუშაობდა. ექვსი თვის წინ ტრაგიკული ამბავი შეემთხვა. დილით უნდა წარედგინა გადაცემა, რომელიც პირდაპირ ეთერში გადიოდა. უნდა წარმოეთქვა სულ რამდენიმე სიტყვა: „ძვირფასო რადიომსმენელებო! ეთერშია ყოველკვირეული პროგრამა „გამარჯობა, ამხანაგო!“ და მორჩა, შემდეგ — მუსიკა და ჩანაწერი.

ის ჯიხურში შევიდა. დაჯდა. თავისკენ მოიწია მიკროფონი. გულში გაიმეორა ტექსტი. მანუეტები გადმოაბრუნა, რათა მათი საკინძეები მაგიდას არ გახაჭუნებოდა. ელოდა, ვიდრე აინთებოდა ნათურა — „ეთერი“. გუშინდელი დღის შემდეგ გუნებაწამხდარი იყო. ნათურა არ ინთებოდა.

— ძვირფასო რადიომსმენელებო! — თქვა ფიქრებში დანთქმულმა ჩმუტოვმა. პორტვეინით დათუთქულ ენას ძლივს ძრავდა. ნათურა არ ინთებოდა.

— ძვირფასო რადიომსმენელებო, — ისევ გაიმეორა ჩმუტოვმა, — ო, რა სისაძაგლეა... ძვირფასო რადიომსმენელებო... ისე კი გუშინ სულ ტყუილუბრალოდ ავტყდი...

ნათურა არ ინთებოდა. როგორც გაირკვა, ის გადამწვარა... ეს საუკუნეში ერთხელ ხდება...

— ეთერშია ყოველკვირეული პროგრამა, — რეპეტიციას გადიოდა ჩმუტოვი, — ამის კარგიც... ვახურებ, რაღა...

მინის იქით რედაქტორის დაღრეცილი ფიზიონომია გაკრთა. ჩმუტოვი გაშეშდა. კარი გამოჯახუნდა. გაჯიუტებული დიქტორი კიბუნე დაუშვეს. მისი ნაბახუსევზე შეძახილები მთელმა ქვეყანამ გაიგონა. მსახიობი დაითხოვეს... ეს ამბავი ამით არ მთავრდება.

ჩმუტოვი ფსკოვში გაემგზავრა და იქ რადიოში დიქტორად მოეწყო. ადგილობრივი რადიომაუწყებლობა ყოველდღე მთავარხმევეარს გადიოდა ეთერში. დანარჩენი დრო მოსკოვისა და ლენინგრადის გადაცემებს ეთმობოდა. ჩმუტოვი ნეტარებდა. მას აფასებდნენ როგორც დედაქალაქელ ოსტატს.

ერთხელ გადაცემა რომ მიჰყავდა, მოულოდნელად კარმა გაიჭრილა. დიდი ყავისფერი ძაღლი შემოვიდა (ვისია? საიდან?). ჩმუტოვმა მას ფრთხილად გადაუსვა ხელი. ძაღლმა ყურები სახესთან მიიკუჭა და თვალები მოჭუტა. მას ცხვირი მოკრივის პატარა ხელთათმანივით უპრიალებდა.

— სოფლის მშრომელები გვპატაკობენ. ჰამ! ჰამ! ჰამ!

ჩმუტოვი ისევ დაითხოვეს. ახლა უკვე სამუდამოდ და ყოველგნით. როცა ის ძაღლზე მოჰყვა, არ დაუჯერეს. ჩათვალეს, რომ ნაბახუსევზე თვითონ აყუფდა. ჩმუტოვი ლენინგრადში გაემგზავრა. მთელი დღეები რადიოგადაცემების რედაქციაში იჯდა. ელოდა... ბედის გაღიმებას ელოდა...

უიღბლოებს ყველგან თავიდან იცილებენ. ლიდამ ის არ მოიცილა.

აგაპოვა პროპაგანდის განყოფილებაში დიდი ხანია თანამშრომლობდა. ის ყველას უყვარდა. და აი, ახლაც განყოფილების გამგე ნინა იგნატიევნამ მას ალერსიანად უთხრა:

— ლიდოჩკა, ჩემთან გავიდეთ.

კაბინეტში სიჩუმეა. გაპრიალებული მაგიდა. უამრავი ავტოკალამი. კარადებში მინებს იქით სუვენირები და ენციკლოპედიების ყუები ზიმშიმებენ. ნინა იგნატიევნას მაგიდის უჯრაში პომადა, სარკე და ტუში უწყვია. და საერთოდ საინტერესო ვითარებაა — ასეთ სერიოზულ კაბინეტში ახალგაზრდა საინტერესო ქალი ზის...

— ლიდოჩკა, მინდა ახალი რუბრიკა შემოგთავაზოთ. „შეხვედრა საინტერესო ადამიანთან“. თანაც, არა მაინცდამაინც მეცნიერთან ან კოსმონავტთან. აქ ძალიან ფართო დიაპაზონია. პატივმისაგები პობი, მოულოდნელი გატაცება, მოკრძალებული მთავარი ბულალტერი საიდუმლოდ... არ ვიცი... ყველაფერი, გნებავთ, ყველაფერს ახლა ვერ ვიხსენებ...

— მცირეწლოვანებს ხრწნის, — უკარნახა ლიდამ.

— მე სხვა რამე მქონდა მხედველობაში. დავუშვათ, ის ვილაც საიდუმლოდ...

— სანსკრიტს სწავლობს...

— ამდაგვარი რალაცები. ოლონდ სოციალური მიმართებით უფრო მნიშვნელოვანი რამეები. დავუშვათ, მილიციონერი ვილაცას ახლობელი ადამიანის მონახვაში ეხმარება...

— ამ თემაზე კინოც არსებობს.

— მე არ შემიძლია რაღაც კონკრეტული შემოგთავაზოთ. ამაზე დაფიქრებაა საჭირო. აი, მაგალითად, ფაბრიკა „კალეკში“ ფილმ „მარტოხელა ქალს“ იღებდნენ. გახსოვთ, მსახიობი დორონინა რომ თამაშობს. ჰოდა, ბიჭუნა, რომელიც იმ გადაღებებში მონაწილეობდა, ერთ-ერთი საამქროს უფროსი გახდა.

— მომწონს ეს თემა, — თქვა ლიდამ, — მე მას ვგრძნობ.

— ეს თემა არვიდ კიბსკმა უკვე გამოიყენა. მე პრინციპზე ვლაპარაკობ. რაღაც ჩვენი უნდა მოვიფიქროთ. დავუშვათ, მოხუცი გენერალი ოპერაციის გასაკეთებლად წვება. და ქირურგში თავის ყოფილ დენშჩიკს იცნობს...

— რა გვარია? — იკითხა ლიდამ.

— ვან?

— ის გენერალი რა გვარია? ან დენშჩიკი?

— მე პირობითად ვამბობ... აქ მთავარია მოულოდნელობა, იდუმალება, შემთხვევა... მრავალბლანდიანი ცხოვრება... გარეთ ერთია, შიგნით სხვაა...

— ბევრი ვინმეა ასეთი, — ამოიოხრა ლიდამ.

— მოკლედ, იმოქმედეთ, — უთხრა ლიდას ოდნავ გაღიზიანებულმა ნინა იგნატიევნამ.

ლიდოჩკა გავიდა კაბინეტიდან. ის ბავშვობიდან საინტერესო ადამიანებში ტრიალებდა. მამამისი ერენბურგს იცნობდა. სკოლაში მისი ხატვის მასწავლებელი აუღიარებელ გენიად იყო შერაცხული. შემდეგ ლიდას ეარშიყებოდა ბანდიტი, რომელმაც მას ლექსებიც კი დაუწერა. ლიდას ინსტიტუტის პროფესორები აკვირვებდნენ თავიანთი ახირებულობებით. ერთს შარვალი წინ ყოველთვის გახსნილი ჰქონდა. საინტერესო კაცი იყო მისი ქმარი: უფროსი ეკონომისტი წერისას შეცდომებს უშვებს. მისი ქალიშვილი უცნაური, გამოუცნობი აღმოჩნდა — თითქმის ყოველთვის დუმს. ბოლო ხანებში კი ისე დუმს, რომ ლიდამ იფიქრა, ორსულად ხომ არ არისო... საბლმმართველობიდან მონტორი გამოიძახეს, გამოირკვა, რომ თითქმის მკვლელობისთვის მჯდარა. მოკლედ, თუ გავერკვევით, ყველა ადამიანი საინტერესოა...

ლიდოჩკა განათლებით ექიმი-პიგიენისტი იყო. ყოფილი თანაკურსელების გახსენებას შეუდგა. პავინსკი, როჟინი, იანკელევიჩი, ფეოფანოვი... მიშჩენკო, მგონი, სპორტს მისდევდა. ლევინი მეცნიერი გახდა... ლევინი, ძალიან ჭკვიანი ბორკა ლევინი, პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი... ამბობენ, საფრანგეთში იყო... აგაპოვამ ბლოკნოტი ამოიღო და სუფთა გვერდზე დაწერა — ლევინი. ქმრის ნაცნობების გახსენებაზე გადავიდა. ესენიც, რასაკვირველია, საინტერესო ადამიანები არიან. ეკონომისტები. კალინინი, მაგალითად, ამტკიცებს, უმუშევრობა პროგრესის სტიმულიაო. არადა, ყველამ ისე იცის, რომ მათ არ დაითხოვენ. და თუ დაითხოვენ, არა უშავს. ქუჩის მეორე მხარეზე გადავა და მეზობელ ქარხანაში მოეწყობა. ანუ შეუძლია გაისეირ-გამოისეირნოს, დრო გაატაროს. საეჭვოა კალინინი გამოდგეს. ის მეტისმეტად პროგრესულია... მერკინი კი ხომ საერთოდ... მას ეკითხებიან, ჩვენი ეკონომიკა რამ შეიძლება მკვეთრად გააძლიეროსო?

ეგ პასუხობს: ომბაო. ომბა და მხოლოდ ომბაო. ომი დისციპლინა, შეგნების ამაღლებაა, ომი ნებისმიერ ნაკლოვანებებს გააქარწყლებსო... ვფიქრობ, რომ არც მერკინი გვარგებს... აგერ ამ დღეებში ერთი ფილოლოგი მოვიდა ჟურნალისტ ქალთან ერთად... ფილოლოგი კი არა, მგონი, მთარგმნელიც კი იყო... ამბობს, ბადრაგში ზედამხედველად ვმუშაობდიო... საშინელ რაღაცებს ჰყვებოდა... ჟურნალისტ გვარი აქვს — ალიხანოვია. უდავოდ საინტერესო ადამიანია...

ლევინის გვერდით ბლოკნოტში ასე გაჩნდა ალიხანოვი.

მესამე კანდიდატიც უნდა მოინახოს. და ამ დროს ლიდას გაახსენდა, რომ მის მეზობელთან დროებით მისი პორსოველი ნათესავი დაბინავდა. ნათესავი თუ ნაცნობი. მილკა ოსინსკაია ეზოში მასზე რაღაცას ლაპარაკობდა. რაღაც ბნელით მოცული ბედისწერის კაციაო. ის რეპრესირებული იყო, თუ პირიქით... უფროსი პროვინციიდან — საინტერესოა... ამის როგორმე ორიგინალურად შემობრუნება შეიძლება. „არ არსებობს გეოგრაფიული პროვინცია, არსებობს სულიერი პროვინცია...“

ალიხანოვისა და ლევინის გვერდით ბლოკნოტში ასე გაჩნდა კითხვის ნიშნები. და ფრჩხილებში — მილკა ო.-ს ნათესავი.

რეზერვში ნაკითხი სახლმმართველიც შეგვიძლია ვიყოლიოთ. სიმენონით ინტერესდებოდა. მაგრამ ლიდას მასთან კონფლიქტი ჰქონდა მუდამ პირთამდე სავსე სანაგვე ყუთების გამო... კარგი, კმარა... საქმეს უნდა შევუდგეთ!..

— ნახვამდის, ვეროჩკა, ნახვამდის, ბიჭებო!

— აგაპოვა, ნუ დაიკარგები!

ბორკა ლევინს კლინიკაში დაურეკა. მან იცნო ლიდა, გაიხარეს. შეხვედრის დრო დათქვეს.

ყოფილი ზედამხედველი სახლში აღმოჩნდა.

— მოდით, — თქვა მან, — და, თუ შეიძლება, სამი ბოთლი ლუდი წამოიღეთ. ფულს, როგორც კი მოხვალთ, მაშინვე დაგიბრუნებთ.

ლიდა კარიას ქუჩაზე გასტრონომში შევიდა, ლუდი იყიდა.

სახლები ახალმშენებლობების რაიონში: სადარბაზოდან სადარბაზომდე კილომეტრია...

ალიხანოვი მას ზღურბლზე დახვდა. ეს შუბლდაბალი და უენერგიონიკაპიანი უშველებელი ახალგაზრდა კაცი იყო. მის თვალებში ყალბად ნეაპოლიტანური რაღაც კრთოდა. უთავბოლო უმეცრული ლაპარაკი წამოიწყო, მაგრამ სათქმელი ბოლომდე ვერ მიიყვანა:

— რას უნდა ვუმაღლოდე, ლიდოჩკა, რომელ ზურგის ქარს... რომელიც... რომელმაც... ლუდი იშოვეთ? ყოჩაღ. გაიხადეთ. ჩემთან საოცარი უწყესრიგობაა.

ოთახი საზარელ შთაბეჭდილებას ახდენდა. დივანი, რომელზეც ქალაღდები იყო ბლუჯა-ბლუჯა მიმოყრილი, და ფერფლი... მაგიდა, რომელიც წიგნების გროვებს ქვეშ არც ჩანდა. ომამდელი საბეჭდი მანქანის შავი ჩონჩხი. რომელიღაც დაჟანგული იატაკიანი კედელზე. გაურეცხავი ჭურჭელი და მეწამული ნალექი ლევინის ტიქებში. გაზეთის ქალაღდის ნახევზე ნარჩენები...

- აქეთ მოდით. აქ შედარებით უფრო სისუფთავეა.
- შედამხედველმა ლუდის ბოთლი გახსნა.
- კი, კოლორიტული ვითარებაა თქვენთან, — თქვა ლიდამ. — მე ხომ განათლებით ჰიგიენისტი ვარ.
- მე ანტისანიტარიის გამო ამხანაგურ სასამართლოს გადამცეს.
- მერე, რა განაჩენი გამოიტანა სასამართლომ?
- არც არანაირი განაჩენი არ გამოუტანია. მე მეამბოხე სულით ვრიკტაფელობდი. პოეტი ვარ, იოგა, ბუდისტი, ჰოდა, ამ სანაგვეში ამიტომ ვცხოვრობ-მეთქი... ლუდი გინდათ?
- მე არა ვსვამ.
- აი ფული. რუბლ თერთმეტი.
- რა სისულელეა, — თქვა ლიდამ.
- არა, მაპატიეთ, არა, — ხმამაღლა აღშფოთდა ალიხანოვი. ლიდამ ხურდები ჯიბეში ჩაიყარა. შედამხედველმა ბოთლის ყელიდან მარჯვედ მოსვა ლუდი.
- შეამა, — განდობილად თქვა მან. შემდეგ სცადა ერთხელ კიდევ, ახლა უკვე შტურმით მოება თავი ამ ძორძონა ფრაზისტვის: — რას უნდა ვუმაღლოდე, შეიძლება ითქვას, ისეთ მოულოდნელ სიამოვნებას, როგორც...
- თქვენ ფილოლოგი ხართ? — ჰკითხა მას აგაპოვამ.
- უფრო ზუსტად — ლინგვისტი ვარ. რუსული „Ш“ -ს ფონემატურობის პრობლემას ვიკვლევ...
- ასეთი პრობლემა არსებობს?
- ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საჭირბოროტო პრობლემა გახლავთ... მომისმინეთ, რა მოხდა? რას დავუმაღლო ის, რომ მოულოდნელად თქვენი ხილვის საშუალება მომეცა? — შედამხედველმა მეორე ბოთლიც გადახუნა.
- ჩვენ ვამზადებთ რადიოგადაცემას „შეხვედრა საინტერესო ადამიანთან“. აუცილებელია ორიგინალური ბიოგრაფიის ადამიანი. თქვენ ფილოლოგი ხართ. უფრო ზუსტად — ლინგვისტი. ყოფილი შედამხედველი. მრავალპლანიანი ცხოვრების კაცი... თქვენ მრავალპლანიანი ცხოვრება გაქვთ?
- ამ ბოლო დროს კი, — პატიოსნად უპასუხა შედამხედველმა.
- დაწვრილებით მომიყევით თქვენს ფილოლოგიურ გამოკვლევებზე. სასურველია, რომ გასაგებად მოგვიყვით.
- აჯობებს ჩემი რეფერატი მოგცეთ. ახლა რატომღაც ვერ ვუყრი თავს სათქმელს. ის სადღაც აქაა. ახლავე ვნახავ...
- ალიხანოვი შრეებად დაწყობილი ქალღმრთისკენ გაქანდა.
- სხვა დროს იყოს, — დაამშვიდა ის ლიდამ. — ჩვენ, ეტყობა, კიდევ შევხვდებით. ეს ჩვენი წინასწარი, მოსამზადებელი შეხვედრაა. თქვენ შედამხედველი იყავით. მინდა გკითხოთ: ეს საშიში, სარისკო საქმეა?
- ამირხანოვი უსაღისოდ დაფიქრდა.
- რისკი, რასაკვირველია, იყო. ბევრ არაყს ვსვამდით. არც პარფიუმერულ სასმელებზე ვამბობდით უარს. ეს გულზე მოქმედებს...

— მე პატიმრებს ვგულისხმობ. ისინი ხომ საშინელი ადამიანები არიან. მათთვის წმინდა რამ არ არსებობს...

— ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, — თქვა ალიხანოვმა, თან მესამე ბოთლიც გახსნა.

— მე მათზე ბევრი რამ წავიკითხე. ეს განსაკუთრებული სამყაროა... იქ თავისი კანონები აქვთ... იქ მამაცობაა სწორად, თქვენ მამაცი ადამიანი ხართ?

ალიხანოვი საბოლოოდ დაიბნა.

— ლიუბა, — თქვა მან.

— ლიდა.

— ლიდა! — თითქმის იყვირა ალიხანოვმა. — მე ახლა ექვს რუბლს ვიშოვი. მე ჰუმანური მეზობლები მყავს. ნახევარლიტრიანი და შესატანებელი ავიღოთ. რაღაც ცუდად გაზროვნებ.

— მე არ ვსვამ. თქვენ მამაცი ადამიანი ხართ?

— არ ვიცი. ადრე ორი ლიტრის დაღვევა შემეძლო. ახლა კი შვიდასი გრამი მათაყვანებს... ასაკია...

— თქვენ ვერ გამიგეთ. მე მჭირდება ორიგინალური ადამიანი, საინტერესო პიროვნება. თქვენ ხართ ფილოლოგი, მგრძნობიარე, დახვეწილი ინდივიდუუმი. ადრე კი ზედამხედველი იყავით. ყოველდღე რისკზე მიდიოდით. სულიერი სიფაქიზე ძალიან სშირად თანასდევს ფიზიკურ უხეშობას.

— თქვენ მე როდის გეუხეშეთ?

— მე არა. თქვენ პატიმრებს იცავდით...

— ჩვენ უფრო ჩვენს თავს ვიცავდით...

— მაშინ ეგ იარა რატომა გაქვთ? ნუ თავმდაბლობთ, ჩემო ბატონო...

— ეს იარა არაა, — წამოიძახა ალიხანოვმა, — ეს ძირმაგარაა. ფხანით გავიმისეზე... მაპატიეთ...

— მე მაინც მინდა ვიცოდე, რას განიცდიდით ჩრდილოეთში? ფიგურალურად რომ ვთქვათ, რაზე დუმდა ტუნდრა?

— რაო?

— რაზე დუმდა ტუნდრა?

— ლიდა! — იღრიალა ალიხანოვმა. — მეტი არ შემეძლია, არ შემეძლია! მე რადიოგადაცემისთვის არ გამოვდგები! მე გუშინ დავთვერი! მე ვალები მაქვს, მე ალიმენტებს ვიხდი! მე „გერმანულმა ტალღამ“ მახსენა! მე გარკვეული აზრით დისიდენტი ვარ! თქვენ დაგიტხოვენ... თავი დამანებეთ...

ლიდამ ავტოკალმის ხუფი ჩახრახნა.

— დასანანია, — თქვა მან, — საინტერესო მასალაა. კარვად იყავით. დაგირეკავთ. თქვენ კი თქვენი რეფერატი მონახეთ...

ზედამხედველი ქანცგაცლილი და გაფითრებული იდგა.

— ერთი წუთით, — თქვა მან. — მეც მოვდივარ. მე ჰუმანური მეზობლები მყავს...

ისინი კიბის მოედანზე დასცილდნენ ერთმანეთს. ლიდა ქვევითკენ დაიძრა.

აღიხანოვი მეოთხე სართულზე აიჭრა...

ლევინი ლიდას მოეხვია და კარგა ხანს ავლებდა თვალს.

— დიახ, — თქვა ლევინმა. — წლები მიდიან, მიდიან...

— დავბერდი?

— აბა როგორ გითხრა... ჩამოყალიბდი.

— შენ კი დაჯირჯვდი, გაფიქვინდი. სირცხველდას სახ-
ლშია?

— კრებაზეა სკოლაში. ხულიგანი გვეზრდება. სუქდებიო, მეუბ-
ნები? ცოლი მირჩევს: დილაობით ირბინეო. მე კი ვპასუხობ: „თუ ვი-
რბენ, აღარც დავბრუნდები...“ ყავა გინდა? გაიხადე...

— მხოლოდ თქვენს შემდეგ, ექიმო, — გაიხსენა ლიდამ რომე-
ლიღაც ხუმრობა.

მისაღებ ოთახში შევიდნენ.

შეტრუსულაბაჟურიანი ტორშერი. საზღვარგარეთული ჟურნა-
ლები რაფაზე.

— კარგია შენთან, — თქვა ლიდამ, — ახალ ბინებში ცუდად
გხდები. ყველაფერი გაპრიალებულია, ირგვლივ სულ ფაიფურია...

— ფაიფური მეცა მაქვს, — დაიტრაბახა ლევინმა.

— სად?

— ლომბარდში.

— უწინდებურად კონცეროგენებს უტრიალებ?

— ეგრეა.

— მიაშბე.

— ერთი წუთით, ჩაიდანს შევდგამ...

— გელოდები...

ლიდამ ჩანთიდან უბის წიგნაკი, ავტოკალამი და სიგარეტი „ბტ“
ამოიღო.

ლევინი დაბრუნდა. გააბოლეს.

— საფრანგეთში იყავი?

— ორ კვირას.

— რას იტყვი?

— ნორმალურად არიან.

— უფრო კონკრეტულად?

— შრომისმოყვარე ხალხი, რეაქციული ბურჟუაზია, ეკონომი-
კური კრიზისი, მასების გალატაკება...

— ადამიანურად მოყვეი. ფრანგები კარგად გვეკიდებიან?

— იმათ რას გაუგებ. მათ კარგი განწყობილება აქვთ.

— კეთილდღეობაზე რას იტყვი? ფრანგ ქალებზე რას იტყვი, მო-
გწონან?

— კეთილდღეობა ნორმალურია. კარგად გვეკვებავდნენ. მე მესა-
მე მაგიდა მქონდა. ღვინო, წიწილები, ყავა, წვენები... შესანიშნავი ქა-
ლიშვილები არიან. უფრო სწორად, ან მახინჯია, ან ლამაზი, ვფიქ-
რობ, იქ კოსმეტიკა ამბობს თავის სიტყვას. კოსმეტიკა ღირსებებს ხაზს
უსუამს, ნაკლოვანებებს კი ახვიადებს, უფრო ათვალსაჩინოებს... თა-

ვისუფლად, უშუალოდ უჭირავთ თავი. ისეთი თეთრი სინთეტიკური ხალათები აცვიათ, დეკოლტე...

— თეთრი ხალათები რას ნიშნავს? კლინიკაში მუშაობდით?

— მე არ ვმუშაობდი. ნიცაში დიზენტერია შემეყარა. ერთი დღე ვისეირნე და ჩავწექი.

— მაშასადამე, საფრანგეთი ფაქტიურად არ გინახავს?

— რატომ? ჩვენ ფერადი ტელევიზორი გვქონდა.

— ბედმა არ გაგიღიმა.

— სამაგიეროდ დავისვენე.

— რამე საინტერესო ჩამოიტანე? სუვენირები, ჩვრები?

— ყური მიგდე, — გამოცოცხლდა ლევინი, — უნიკალური რა-
ღაც ჩამოვიტანე, ოღონდ ამას ფარისევლურად არ მოეკიდო. შენ ხომ
ექიმი ხარ. ახლავე მოვიტან. მე მას ვოვკას ვუბალავ.

— რას გულისხმობ?

— ლიდკა, მე ასო ჩამოვიტანე. ფილიგრანულად გაკეთებული
კაუჩუკის ასო. ღმერთმანი. ვაიმე, სად გაქრა? ეტყობა, გალკამ გადა-
მალა...

— რად გინდა?

— როგორ თუ რად მინდა? ხელოვნების ნიმუშია. გეფიცები. და
გალკასაც მოსწონს.

— მებაჟეებმა როგორ არ ჩამოგართვეს?

— ხელით ხომ არ მომქონდა. დავმაღე.

— სად დამალე? ის ხომ ნემსი არაა.

— ერთ ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომელ ქალს ვთხოვე. ქა-
ლებს ნაკლები გულმოდგინებით ჩხრეკენ. და მათ მეტი შესაძლებლო-
ბები აქვთ. ქალს უფრო ისეთი ფიზიონომია აქვს...

— შენ ბავშვივითა ხარ. ჯობია საქმეზე ვილაპარაკოთ.

— ყავას შემოვიტან.

მაგიდაზე გაჩნდა კამფეტები, ვაფლი და ლიმონი.

— შედედებული რძე მოვიტანო?

— არა. მიაჩნებ.

— რა გიამბო? ქიმიური რეაქციების მოდელირებაზე ვმუშაობ.
ერთ დროს აზბესტის მტვრის კანცეროგენს ვიკვლევდი...

— შენ ის მითხარი, კიბოს მოვარჩენთ?

— კანის კიბოს — კი.

— კუჭის კიბოს, მაგალითად?

— ლიდორკა, ამ საქმეში სრული ქაოსია. კანცეროგენის მილიგ-
რამი ძროხას კლავს. ნებისმიერ მოზრდილ ადამიანს თითზე იმდენი
კანცეროგენი აქვს, რომ მთელი ნახირის დახოცვა შეუძლია. მე კი,
აგერ, ვეწევი და მაინც ცოცხალი ვარ... კვამლიც, თავის მხრივ... არ
ჩაწერო. კიბო მოსარიდებელი თემაა. შენს გადაცემას აკრძალავენ.

— არა მგონია.

— შენა, რა, გგონია, ჟურნალისტებთან საქმე არ მქონია? თერა-
პევტს მიმართე — ისინი ჯეჯილობენ. ყოველ თვეში სოცვალდებუ-
ლებებს იღებენ... შენს კანტორაში დარეკე, შეათანხმე.

აგაპოვამ ნინა იგნატიევნას დაურეკა. ის დაფრთხა.

— ლიდოჩკა, კიბო მეტისმეტად დამამწუხრებელი რამაა. უარყოფით ემოციებს წარმოშობს. ცნობილ რომანთან ასოცირდება. ჩვენ რამე ნათელს ვეღოთ...

— კიბო უპირველესი პრობლემაა.

— ლიდოჩკა, ნუ ჯიუტობთ. არსებობს საიდუმლოდ უკანკარგულება.



— რა გაეწყობა, — ამოიოხრა ლიდა, — მაპატიეთ.

— სად მიდიხარ? — გაოცდა ლევინი. — ჩამოჯექი.

— მე, კაცმა რომ თქვას, საქმეზე შემოვიარე.

— ჩვენ შვიდი წელია არ გვინახავს ერთმანეთი. მალე გალკაც მოვა, რამეს დავლევთ.

— მაპატიე, მაგრამ მე მის ნახვას არ ვისურვებდი.

ლევინი დუმდა.

— შენ ბედნიერი ხარ, ბორია?

ლევინმა სათვალე მოიხსნა. ის ახლა კლასში ჩარჩენილს ჰგავდა.

— რის ბედნიერი, ვცოცხლობ, ვმუშაობ. გალკა, გეთანხმები, მძიმე ხასიათის ადამიანია. არის მასში რაღაც უსიცოცხლო. ვალოდია ბრიყვია, ნაკითხი, განვითარებული ბრიყვი. მე, რაც არ უნდა იყოს, დოქტორი ვარ, პროფესორი. ეგ კი გუშინ მეუბნება: „შენ არასრულფასოვნების კომპლექსი გაქვს...“

— მაგრამ შენ ხომ მეცნიერი ხარ, ადამიანებს ემსახურები. შენ უნდა იამაყო...

— მორჩი, ლიდა. მე ვაღინას და ამ გარეწარს ვემსახურები.

— შენ უბრალოდ ფორმაში არა ხარ.

ლიდა უკვე სართულის მოედანზე იდგა.

— ის თუ გახსოვს, ნოვგოროდში რომ ვიყავით? — ჰკითხა ლევინმა.

— ბორია, ახლაცე გაჩუმდი. ყველაფერი უკეთესობისკენაა. აბა, წავედო.

ლიდა კიბეს დაუყვა, თან ქოლგას შლიდა. წკიპურტი და მის თავზე ჭრელი, ოდნავ მოქანავე გუმბათი ჩამოწვა.

— გახსოვს, ნესვებს როგორ ვიპარავდით?! — ჩამოჰყვირა მას ლევინმა...

ამასობაში ჩამობნელდა. გუბეებში აკვარელური ნეონის ალები დალივლივებდნენ. გამვლელთა ფერმკრთალი სახეები მოჩვენებებს ჰგავდნენ. მოსახვევიდან შუქით გაბრდღვიალებული ტრამვაი გამოვიდა ქანაობა-ქანაობით. ლიდა ხის მერხზე ჩამოჯდა. ქოლგა დაკეცა. მოპირდაპირე შავ მინაში მისი დაღლილი სახე ირეკლებოდა. ვიღაცას ფული გაუწოდა, ბილეთი ჩასჩარეს ხელში. მთელ გზაზე ეძინა და თავის ტკივილმა გააღვიძა. სახლისკენ ნელა მიემართებოდა, გუბეებში ტოპავდა. კიდევ კარგი, რეზინის ჩეხური ბოტების ჩაცმა მოისაზრა...

ოსინსკები მეზობელ სადარბაზოში ცხოვრობდნენ. არკადი მსაჯია, სულ მუდამ ანგლობს. მის მკერდზე, ნატის ქურთუკის ქვეშ წამწომი ბრწყინავს. მილკა სადღაც ქიმიას ასწავლის... ვაჟიშვილი საიდუმლოებით მოცული პიროვნებაა. ექვსი წელია თავს არიდებს სავალდებულო სამხედრო სამსახურს. ექვსი წელია სიმულირებს —

ეს ნევროზიო, ეს კუჭის წყლული და ქრონიკული ართრიტიო. ლეგენდარული რევოლუციონერი კამო დაჯაბნა. ამ წლებში მართლა გახდა ნერვიული. კუჭი დაიავადა და ქრონიკული ართრიტი დაემართა. მედიცინის ცოდნას რაც შეეხება, იგორმა უკვე კარგა ხანია ნებისმიერი უბნის ექიმი უკან მოიტოვა. ამას გარდა, ჯანშივერველად თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად... ერთი სიტყვით, — სკვამოდ საინტერესო კაცია, ოღონდ არ მუშაობს...

ლიდა მესამე სართულზე ავიდა. უცებ ძალიან მოუნდა სახლში ყოფნა. ეს აზრი მოიცილა და ღიღის თითი დააჭირა. მილორდი ყრუდ აყეფდა.

— შემოდი, — გაეხარდა მილა ოსინსკაიას, — იგორი სადღაც დაბორილებს. არიკი შეკრებებზეა მაცესტაში. გაიცანი, ეს ვლადიმირ ივანოვიჩია.

სამოცამდე წლის ზორბა მამაკაცი წამოდგა, ლიდას ხელი ჩამოართვა და თავი წარუდგინა. ღირსების გრძნობით ჩამოასხა კონიაკი. მილამ ტელევიზორი ჩართო.

— ბორში გინდა?

— არა. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, დავლევ. დავლევ.

— გაგვიმარჯოს, — მეგობრულად შემოეხშიანა ვლადიმერ ივანოვიჩი.

ამ მხარბეჭიან ჯანსაღ მამაკაცს წითელი თხელი ჯემპრი ეცვა. ზომიერად, მაგრამ რეგულარულად მსმელი კაცის სახე ჰქონდა. კინოებში რომ თადარიგის პოლკოვნიკები არიან, ისეთი ვინმეა. მყარი შუბლი, ჩვეულებრივი ნათელი თვალები, ოქროსგვირგვინიანი კბილები. ჭიქები მიუჭახუნეს ერთმანეთს და დალიეს.

— აბა, ისაუბრეთ, — თქვა დიასახლისმა, — მე კი ვორობიოვებთან შევალ ათიოდე წუთით. რიტა კოფთას მიქსოვს...

და წავიდა.

— მე, უნდა ვთქვა, საქმეზე ვარ მოსული.

— მზად ვარ გემსახუროთ.

— ჩვენ ვამზადებთ რადიოგადაცემას „შეხვედრა საინტერესო ადამიანთან“. ლუდმილა სერგეევნა თქვენზე რაღაცებს მიყვებოდა... და მე ვიფიქრე... ვფიქრობ, თქვენ საინტერესო ადამიანი ხართ...

— მე ყველაზე ჩვეულებრივი კაცი ვარ, — თქვა ვლადიმირ ივანოვიჩმა, — თუმცა, არ დავმალავ, მუშაობა მიყვარს და კოლექტივში პატივს მცემენ...

— სად მუშაობთ? — ლიდამ ბლოკნოტი ამოიღო.

— პორხოვოში არსებობს „კრასნაია ზარიას“ ფილიალი. კოორდინატორულ ატს-ებს ვქმნით. დიდი, წამყვანი საამქროა. მეორე კვარტლის შედეგებით სერიოზულ წარმატებებს მივალწიეთ...

— მოწყენილი არა ხართ?

— ვერ გავიგე.

— პროვინციაში ყოფნა არ მოგწყენდათ?

— ჩვენი ქალაქი იზრდება, კეთილმოწყობილი ხდება, გვაქვს ახალი კულტურის სახლი, სტადიონი, საცხოვრებელი მასივები... ჩაიწერეთ?

ვლადიმირ ივანოვიჩმა ბოთლი დასწია კონიაკის დასასხმელად. ლიდამ უარის ნიშნად თავი გადააქნია.

კაცმა დალია. დამარინადებული სოკო მიატანა.

ლიდა დაელოდა და განაგრძო.

— ვფიქრობ, შეიძლება დედაქალაქში ცხოვრობდნენ პროვინციელი იყო და ტუნდრაში — დედაქალაქელი.

— საესეებით მართალი ხართ.

— ანუ პროვინცია სულიერი მოვლენაა, და არა გეოგრაფიული.

— სწორედ რომ ეგრეა. თანაც, ჩვენ კარგი მომარაგება გვაქვს: ხორცი, თევზი, ბოსტნეული...

— დედაქალაქის შემოქმედებითი კოლექტივები გასტროლებზე ჩამოდიან?

— რასაკვირველია, მაგომაევიც კი ჩამოსულა.

ვლადიმირ ივანოვიჩმა ისევ დაისხა.

— თქვენ, ალბათ, ბევრს კითხულობთ? — თქვა ლიდამ.

— უამისობა როგრ იქნება. სიმონოვს ვცემ პატივს. ვკითხულობ ნანიევს, სამხედრო მემუარებს, ბუნებრივია, კლასიკას. პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოის... ეს უკანასკნელნი, მოგესხენებათ, სამნი იყვნენ... ახალგაზრდობაში ლექსებს ვწერდი...

— ეს საინტერესოა.

— ღმერთო, გამახსენე. აი, მაგალითად:

ვლადიმირ ივანოვიჩი სავარძლის საზურგეზე გადაწვა:

Каждый стремится у нас быть героем,
Дружно шагаем в строю,
Именем Сталина землю покроем,
Счастья добудем в бою...

ლიდამ იმედის გაცრუება დაფარა.

— საამქროს უფროსობა ძნელია?

— პირდაპირ გეტყვით — ადვილი არაა. აქ საწარმოო ფაქტორიცაა და მორალურიც... გეგმა, მუშახელის დენადობა, მიკროკლიმატი, გამორიცხვადობა... და, რაც მთავარია, მომთხოვნი ხალხი მოვიდა. თავიანთი უფლებები იციან. ეს მომეცი, ის მომეცი... არავითარი მოვალეობები, უფლებები კი იმდენი აქვთ, რო... ეჰ, ბატკო სტალინი აღარ არი... წესრიგი იყო, წესრიგი... ხუთ წუთს დაიგვიანებდი? — სასამართლოს გადაგცემდნენ! ახლა კი... გალაქლაქდა ხალხი, ენად გაიკრიფა... ირგვლივ სატირიკოსები არიან, გაიგე?... ეჰ, აღარაა ბატკო...

— მაშასადამე, თქვენ პიროვნების კულტს იწონებთ? — ჩუმად ჰკითხა აგაპოვამ.

— კულტი, კულტი... კულტი არის და იქნება... პიროვნება გვჭირდება, გესმით, პიროვნება!

ვლადიმირ ივანოვიჩი გაცხარდა, დათვრა, ახლა ის უესტიკულირებდა, ბანცალებდა რა ჩანგალს იქნევდა.

— მე ძნელი ცხოვრება გამოვიარე... ყველაფერი იყო. დაბლა ვეცემოდი, მაღლა ვფრინავდი... მე ხომ, ჩვენში დარჩეს და, ცოლი მყავდა.

— ჩვენში რატომ დარჩეს? — გაუკვირდა ლიდას.

— იაკირის დისშვილი იყო ჩემი ცოლი, — ჩურჩულით დასძინა ვლადიმირ ივანოვიჩმა.

— იაკირის? აი, იმის...

— აბა. შვილი გვყავდა. ბიჭუნა...

— ახლა სად არიან ისინი?

— არ ვიცი. მხედველობიდან დაკარგე. ოცდაცხრამეტ წელში... ვლადიმირ ივანოვიჩი გაჩუმდა. ფიქრებში დაინთქა.

ლიდა დიდხანს ელოდა, შემდეგ გაწითლებულმა, აღელვებულმა ჰკითხა:

— როგორ თუ მხედველობიდან დაკარგეთ? როგორ შეიძლება ცოლის მხედველობიდან დაკარგვა? როგორ შეიძლება შვილის მხედველობიდან დაკარგვა?

— სასტიკი დრო იყო, ლიდოჩკა, მრისხანე, სასტიკი დრო. ოჯახები ინგრეოდა, ძველისძველი ზნეობრივი ბურჯები ინგრეოდა...

— ძველისძველი ბურჯები რა შუაშია?! — მოულოდნელად იკივლა ლიდამ. — მე პატარა არა ვარ. და ყველაფერი ვიცი. იაკირი დააპატიმრეს და თქვენც მაშინვე უნამუსოდ მიატოვეთ ცოლ-შვილი. თქვენ... თქვენ... თქვენ არასაინტერესო ადამიანი ხართ!

— მე გთხოვდით, — თქვა ვლადიმირ ივანოვიჩმა, — მე გთხოვდით... ასეთ სიტყვებს ჰაიპარად არ ისვრიან...

და შემდეგ უფრო მშვიდობიანად:

— უფრო მოკრძალებულად დაიჭირეთ თავი, ლიდოჩკა, უფრო მოკრძალებულად, უფრო მოკრძალებულად...

მილორდმა თავი წამოსწია.

ლიდა ვლადიმირ ივანოვიჩს უკვე არ უსმენდა. წამოხტა, საკიდარიდან კურტაკი ჯიქურ ჩამოხსნა და კარი მიიჯახუნა.

კიბეზე ციოდა. კატის აჩრდილი გაკრთა. შემწვარი თევზის სუნის და სიჩუბე იდგა.

ლიდა ძირს ჩავიდა და სადარბაზოდან ეზოს მხრიდან გავიდა. გარაჟების იქით და ნაგვის ბაკების ახლოს ნესტი და სიბნელე უფლობდა. გასაცოდავებულ სკვერში ხეები ჭრაჭუნებდნენ. თოვლზე ხის ცხენი ეგდო.

ლიდამ საფოსტო ყუთში ჩაიხედა, — „ეკონომიჩესკაია გაზეტა“ ამოიღო. წამოდგა და კარი გააღო. ქმრის ოთახში ტელევიზორი გუგუნებდა. საკიდარზე ტანიას დემისეზონის პალტო აღისფრად გიზგიზებდა.

ლიდამ გაიხადა, ხელთათმნები სარკის მაგიდაზე დაყარა.

ცქაფად მოსალმების შემდეგ ახალგაზრდა კაცი საპირფარეოში შევარდა, ჭუჭყიან კულულებზე ყავისფერი ჩექმის თასები ჰქონდა შემოკრული, პუმის შარვალი შლეიფივით ჩამოშვებოდა.

— ტატიანა, ეგ ვინაა?

— ვთქვით, ეენიაა. საქმეს ვაკეთებთ.

- მაინც რას?
- ვთქვათ, გერმანულს ვსწავლობთ. შენ ამის საწინააღმდეგო ვაქვს რამე?
- თვალი მიადევნე, ხელები დაიბანოს, — უთხრა ლიდამ.
- როგორ გიყვარს ყველაფრის გაუსამსება! რჩულა ქალიშვილმა...
- ლიდამ ლამის პირველ საათზე დამირეკა, შემფოთებული და მიყრუებული ხმა ჰქონდა.
- ხომ არ გაგაღვიძე?
- არა, — ვეუბნები, — უარესი...
- მარტო არ ხარ?
- კი, მარტო ვარ, მარინასთან ერთად.
- სერიოზულად ლაპარაკი შეგიძლია?
- რა თქმა უნდა.
- შენს თვალსაწიერში საინტერესო ადამიანი ხომ არ გეგულება?
- გეგულება და ის შენ გესაღმება.
- მორჩი. ძალიან სერიოზული საქმეა. ხუთშაბათს უნდა ჩავაბარო გადაცემა.
- რაზეა?
- რუმბრიკით „შესვედრა საინტერესო ადამიანთან“. შესაფერისი კანდიდატურა ხომ არა გყავს?
- ლიდა, — შევლაღადე, — შენ ჩემს გარემოცვას ხომ იცნობ. ჩემს ირგვლივ სულ გარეწრები არიან! კლიონსკის დაურეკე — იმას ჰყავს — ინვალიდია...
- ერთ წინადადებას გთავაზობ — ეს გადაცემა ერთად დავწეროთ. თხუთმეტ რუმბლს მიიღებ.
- მე ხომ მაგნიტოფონით არ ვსარგებლობ.
- ამას მე ვკისრულობ. მე მჭირდება შენი...
- ცინიზმი? — ვუკარნახე მე.
- შენი პროფესიული გამოცდილება. — ლიდამ დელიკატურად ჩამოაყალიბა თავის აზრი.
- კეთილი, — ვუთხარი მე, რათა მომეშორებინა, — ხვალ დილას დაგირეკავ. უფრო სწორად — დღეს.
- ოღონდ აუცილებლად დამირეკე.
- უკვე გითხარი...
- ხვალამდე, — ვთქვი (უფრო სწორად — ვიყვირე) და ყურმილი დავდე...
- ლიდამ ქმრის მოციხურო შუქით განათებული ოთახის კარი შეაღო. ვადიმი დივანზე ფეხზეგაუხდელი იწვა.
- ბოლოს და ბოლოს შემიძლია ვივასშმო? — იკითხა მან.
- ქალიშვილმა შემოიხედა:
- ჩვენ მივდივართ.
- ტანიას ჰქონდა მოღუშული სახე, რომელზეც მუდმივი წინააღმდეგობის იერი გაყინვოდა.
- მალე მობრუნდი...

— ბოლოს და ბოლოს შემიძლია ჩაი დავლიო? — იკითხა ვადიმმა.

— სხვათა შორის, მეც ვმუშაობ, — უპასუხა ლიდას და შეძევს, ეს საუბარი ჩხუბში რომ არ გადასულიყო, ჰკითხა: — როგორ ფიქრობ, მერკინი საინტერესო ადამიანია?

ეროვნული
ბიზნისი

მეზვიდე კომპრომისი

(„სოვეტსკაია ესტონია“. აპრილი. 1976 წ.)

„მორთულობა მარსზე მცხოვრებთათვის“ (ადამიანი და პროფესია). რას ველოდებით ჩვენ კარგი მკერავისგან? მის მიერ შეკერილი კოსტიუმი მოდას უნდა პასუხობდეს. და თქვენ რას იფიქრებდით გამომჭრელზე, რომლის ნახელავიც მოდის მოთხოვნილებებს ჩამორჩება... ორასი წლით? ამავე დროს ეს ადამიანი დიდი პატივისცემით სარგებლობს და ყველაზე თბილ სიტყვებს იმსახურებს. ჩვენ ვლაპარაკობთ ესტონეთის სსრ-ის რუსული დრამატული თეატრის გამომჭრელ-მოდელიორ ვოლდემარ სილდზე. მის მუდმივ კლიენტებს შორის არიან ესპანელი გრანდები და მუშაკეტერები, რუსი მეფეები და იაპონელი სამურაები, მეტიც — მეღიები, მამლები და მარსელებიც კი.

საგასტროლო კოსტიუმი მხატვრისა და მკერავის ერთობლივი შრომით იქმნება. ის ეპოქის ხასიათს და ამავე დროს სპექტაკლის სულსა და პერსონაჟების თვისებებს უნდა ესაბამებოდეს. წარმოიდგინეთ მოჯაჯულშარვლიანი ონეგინი ან ელეგანტურფრაკიანი სობაკევიჩი... მონა ეზოპეს კოსტიუმის შესაქმნელად ვოლდემარ სილდს ძველი მხატვრობის, ბერძნული დრამის შესწავლა დასჭირდა...

სერთუკი, ხიფთანი, ბეკეში, მენტიკი, ახალუხი — ეს ყველაფერი სამოსლის მკაცრად განსაზღვრული სახეებია მათი სპეციფიკური ნიშნებითა და აქსესუარებით.

— ერთმა ახალგაზრდა მსახიობმა, — ჰყვება სილდი, — მკითხა: „ფრაკი და სმოკინგი განა ერთი და იგივე არაა?“ ჩემთვის ესენი სხვადასხვა რამეებია, როგორც ტელევიზორი და მაგნიტოფონი.

სხვა თეატრების სპექტაკლების ყურებისას ვოლდემარ ჰენდრიკოვიჩი პროფესიული მომთხოვნელობით ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ აცვიათ პერსონაჟებს.

— და მხოლოდ ჩემი საყვარელი ვახტანგოვის თეატრის სპექტაკლებზე მავიწყდება ის, რომ მე მოდელიორი ვარ, და პიესის განვითარებას მივყვები, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ამ თეატრში კოსტიუმერები უზადოდ მუშაობენ, — ამბობს ვ. სილდი.

უზადოდ მუშაობს თვით ვოლდემარ სილდიც — მკერავი, მხატვარი — თეატრის კაცი“.

სახელდახელო თათბირზე ეს მასალა შეაქეს.

— დოვლატოვს ძალუძს ნებისმიერ უბრალო რამეზეც კი ცოცხლად დაწეროს...

— და სათაურიც ეფექტურია...

— ან ეს სიტყვები საიდან მოაქვს — აქსესუარები...
 მეორე დღეს რედაქტორი მიძახებს.
 — დაბრძანდით.



„როგორც შენთან ყველა საუბარი, იდიოტო“, — გავიფიქრე გულში.

— რა რუბრიკა გაქვთ თქვენ?
 — „ადამიანი და პროფესია“. ჩვენ იშვიათი პროფესიების ადამიანები გვაინტერესებს. აგრეთვე მოულოდნელი ეფექტები...
 — იცით, იმ თქვენს სილდს რა პროფესია აქვს?
 — ვიცო, მკერავია. თეატრალური მკერავი. მოულოდნელი ასპექტია...

— ეს ახლა. მანამდე? — პოდა, იცოდეთ, რომ ის ჯომის დროს ჯალათი იყო. გერმანელებთან მსახურობდა. საბჭოთა პატრიოტებს ახრჩობდა, რის გამოც თორმეტ წელიწადს იჯდა.

— ღმერთო ჩემო! — ვთქვი მე.
 — გესმით თუ არა, რა ჩაიდინეთ?! სამშობლოს მოღალატე აქეთადიდეთ! სამუდამოდ გაუტეხეთ სახელი ამ საინტერესო რუბრიკას!
 — მაგრამ რეკომენდაცია მას თეატრის დირექტორმა გაუწია.
 — თეატრის დირექტორი სს-ის ყოფილი ობერ-ლეიტენანტია. თანაც, ის ცისფერია.

— ცისფერი რას ნიშნავს?
 — ადრე პომოსექსუალისტებს ეძახდნენ ასე. ის თქვენ არ გაგკარებიათ?

— არ გაგკარებიათო? როგორ არ გაგკარებია — მე, ჟურნალისტს, ხელი ჩამომართვა. რაღაცამ კი გამაკვირვა...

ამ დროს ერთ ფრანგთან საუბარი გამახსენდა. სიტყვა პომოსექსუალიზმზე ჩამოვარდა.

— ჩვენთან ამის გამო სჯიან, — წავიტრაბახე მე.
 — თქვენთან ბუასილის გამო არ სჯიან? — დაიბუზღუნა ფრანგმა.
 — მე თქვენ არ გადანაშაულებთ, — თქვა ტურონოკმა, — თქვენ წესისამებრ მოქმედებდით. ანუ კანდიდატურა შეათანხმეთ. და მაინც უფრო წინდახედული უნდა იყოთ. ვმირის შერჩევა სერიოზული, ძალიან სერიოზული საქმეა.

რედაქციაში ამ შემთხვევაზე ორ კვირას ლაპარაკობდნენ. შემდეგ თავი ჩემმა კოლეგა ბუშმა ისახელა. მან ინტერვიუ 'გფრ'-ის საფაქტრო გემის კაპიტანისგან აიღო. ეს ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის წინადღეს იყო. კაპიტანი ამ ინტერვიუში საბჭოთა ხელისუფლებას ხოტბას ასხამს. გაირკვა, რომ ის კაპიტანი გაქცეული ესტონელია. სამოცდაცხრა წლის ზაფხულში ბაიდარით ფინეთში ამოჰყო თავი. იქიდან — შვეციაში და ასე შემდეგ. ბუშმა ეს ინტერვიუ თავიდან ბოლომდე შეთხზა. ამ შემთხვევას რეზონანსი ჰქონდა, და მე ყველას მივავიწყდი...

მერვე კომპრომიზი

(„სოვეტსკაია ესტონია“. იენისი. 1976 წ.)

„მოსკოვი. კრემლი. ლ. ი. ბრეჟნევს. დეპეშა.

ძვირფასო და დიდად პატივცემულო ლეონიდ ილიას ძველ მინდა სასინხარულო მოვლენა გაგიზიაროთ, განვლილ წელს დაწინაურებული არნახული შრომითი მაჩვენებლებისათვის მიმედწია. ერთ ძროხას რძის სარეკორდო რიცხვი მოვაწველინე.

და კიდევ ერთი სასინხარულო მოვლენა მოხდა ჩემს ცხოვრებაში. ჩვენი ფერმის კომუნისტებმა ერთსულოვნად ამირჩიეს თავიანთ წევრად.

გპირდებით თქვენ, ლეონიდ ილიას ძვე, მომავალშიც კიდევ უფრო მეტი აღმაფრენით შრომას.

ლინდა პეიპსი“.

„ესტონეთის სსრ. პეაიდეს რაიონი. ლინდა პეიპსს. დეპეშა. ძვირფასო ლინდა პეიპს! მე და ჩემი ამხანაგები სულითა და გულით მოგახსენებთ მადლობას თქვენს მიერ მიღწეული წარმატებების გამო. სამშობლოს საკეთილდღეოდ თავგანწირული შრომა ადამიანის სიცოცხლეს ამაღლებს კომუნისტური იდეალების მიღწევისათვის ბრძოლაში მონაწილეობის შეგრძნებით.

ნება მომეცით სულითა და გულით მოგილოცოთ დაუვიწყარი მოვლენა — კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლა. პარტია ხომ საზოგადოების ავანგარდია, მისი მთავარი ძირეული რაზმია.

ლეონიდ ბრეჟნევი“.

რედაქტორ ტურონოკს საჯდომზე შარვალი გაეხსა. დაუძაბავად და უტკაცუნოდ გაეხსა — ნაკერები გაერღვა. ასეთია იმპორტული რბილი ფანელის ნეგატიური თვისება.

ტურონოკი დაახლოებით თორმეტ საათზე დაწესებულების ბარის დახლს მიადგა. რედაქტორის ნიფხვის ლუმინესცენციური ცისფერობა თავისი თვალით იხილა ყველა მლიქვნელმა, ვინც ის მაამებლურად ურიგოდ მიუშვა დახლთან.

თანამშრომლები ერთმანეთს თვალით ანიშნებდნენ მასზე.

მე ეს ამბავი დაწვრილებით ორი გარემოების გამო მოვყევი. ჯერ ერთი, ხელმძღვანელობის ნებისმიერი დამცირება დიდად მახარებს. მეორეც, ტურონოკის შარვლის გახვევას ჩემი ბედისთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

მაგრამ დახლთან დგომის ეპიზოდს მივუბრუნდეთ.

როგორც ვთქვი, თანამშრომლები ერთმანეთს თვალით ანიშნებდნენ მასზე. ვინ ნიშნის მოგებით, ვინ თანაგრძნობით. ღვარძლიანები — გულწრფელი ნიშნის მოგებით, თანამგრძნობლები — მლიქვნელური თანაგრძნობით. და ასეთ დროს, როგორც ყოველთვის, ჩნდება მთავარი მლიქვნელი, უანგარო და შთაგონებული მლიქვნელი. ეს მლიქვნელი იქამდე აღმერთებს ხელმძღვანელობას, რომ სამშობლო, ეპოქა, მსოფლიო ავიწყდება...

მოკლედ, ედიკ ვაგინი გამოჩნდა.

ნებისმიერი გაზეთის რედაქციაში არის ადამიანი, რომელსაც არც სურს, არც შეუძლია და არც უნდა წერდეს. და წლების მანძილზე არ წერს. ამას ყველა შეეჩვია, და ეს არავის უკვირს. მით უმეტეს, რომ ვაგინის მსგავსი ჟურნალისტები უცვლელად დაქანცულნი და შეურევბულნი არიან. ენაკვიმატი შაბლინსკი ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ვაგინი სულ ჩქარობდა, სალამს სვენებ-სვენებით და ნერვიულად ამბობდა. თავიდან მე მიამიტურად ვფიქრობდი, რომ ის ალკოჰოლიკი იყო. ნაბახუსევობის უამრავ მოდიფიკაციას შორის ეს ნაირსახეობაც არის. ერთგვარი მტანჯველი გაქცევა დღის სინათლიდან. მოფარფატე მოძრაობა გაქცეულისა, რომელსაც სინდისის ქენჯნა ეწვევა...

შემდეგ ვავიგე, რომ ვაგინი არ სვამს და არ მუშაობს — ეს კი დაფიქრებას ნამდვილად მოითხოვს.

— საიდუმლოებით მოცული ადამიანია, — ვამბობდი მე.

— ვაგინი ჩამშვებია, — ამიხსნა ბიკოვერმა, — რა საიდუმლოებაა ამაში?

... კანტორა მაშინ პიკის ქუჩაზე იყო. სახელმწიფო უშიშროების შენობის (პაგარის ქ.) ცხვირწინ. ვაგინი ყოველდღე იქ იყო, ან თითქმის ყოველდღე. ჩვენ ფანჯრებიდან ვხედავდით, როგორ გადადიოდა ის ქუჩაზე.

— ვაგინს ზეგანაკვეთური აქვს! — ღრიალებდა შაბლინსკი...

თუმცა ჩვენ ისევ გადავერთეთ.

... თანამშრომლებმა ერთმანეთს დაუწყეს ცქერა. ვაგინმა ოდნავ შეახო ხელი რედაქტორს მხარზე:

— შეფ, სამოსელში უწესრიგობაა...

და ამ დროს რედაქტორს მარცხი მოუვიდა. სასწრაფოდ იტაცა ორივე ხელი წინ, უფრო სწორად... ერთი სიტყვით, იმ ადგილზე... ის გააკეთა, რასაც მუსიკოსები გლისსანდოს (თითის გატარება სრიალით ფორტეპიანოს კლავიატურაზე ან არფის ვიოლინოს სიმებზე) ეძახიან. დარწმუნდა, რომ საზღვარი ჩაკეტილი იყო. წამოჭარხლდა:

— თქვენს იუმორს უკეთესი გამოყენება მოუძებნეთ.

შეტრიალდა და გავიდა, და ქვეშევრდომებს ნიფხვის ნეონური ციალი მოასხივა.

შემდეგ გაიმართა მოკლე და ფრიად საიდუმლო დიალოგი.

საქციელწამხდარ ვაგინთან შაბლინსკი მივიდა.

— ამაოდ დაშვრი, — თქვა მან, — ისე უფრო მოხერხებული იყო...

— ვისთვის იყო მოხერხებული? — აღმაცერად შეხედა ვაგინმა.

— შენთვის, რა თქმა უნდა.

— რა იყო უფრო მოხერხებული?

— რა და...

— არა, რა იყო უფრო მოხერხებული? რა იყო-მეთქი! — აყვირდა ვაგინი. — თქვას, თქვას!

— წადი, შენი! — თქვა შაბლინსკიმ ცოტა ხანს გაჩუმების შემდეგ.

— საქმეც ეგაა! — გამარჯვება იზეიმა ჩამშვებმა.

ვაგინი საშუალო, უფრთებო, პატარა გაქანების ჩამშვები იყო. მისი შებრალება მოსწრებული არ მქონდა, რომ რედაქტორმა დამიძახა. ცოტათი შევშფოთდი, ეს-ესაა გავამზადე ორასსტრიქონიანი მასალა. მას „მამა მზეზე მალლა“ ჰქვია. ბავშვთა ნახატების გამოფენის შესახებ. ნეტა, რა უნდა? და ახლა ეს ავბუდღღო შარვლის გამოხევაც... რედაქტორი ხომ არ ფიქრობს, რომ ეს მე მოვუწყვე. მე ვამზადებდი ვრცელ ინფორმაციას დეკორატიული ძაღლების გამოფენის შესახებ. ძაღლების მოყვარული რედაქტორი სახელმწიფო მანქანით მოვიდა გამოფენის სანახაფად და ახლა დაიწყო ეს ღვთის რისხვა. ნერვებმოშლილი ტურონოკი მეუბნება:

— თქვენთან საქმიანი ურთიერთობა შეუძლებელია...

— რას გულისხმობთ?

— სულ მუდამ რალაც გაურკვეველი გარემოებები...

თითქოს მე ზევსი ვარ და მეხი საგანგებოდ გამოვიწვიე...

... კაბინეტში შევდივარ. რედაქტორი თაბაშირის ლენინსა და სტერეოდანადგარ „ესტონიას“ შუა სცემს ბოლთას.

ლენინის გამოსახულება ნებისმიერი ნომენკლატურული კაბინეტის აუცილებელი კუთვნილებაა. ერთადერთი გამონაკლისი ვიცოდი, და ისიც ყურმოკრულად. მყავდა მეგობარი ავდეევი, ახალგაზრდული გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი. მას ჰყავდა მამა, ლუგანსკელი პროვინციელი მსახიობი. ის დრამთეატრში წლების განმავლობაში თამაშობდა ლენინს. ამიტომ ავდეევემ შარჯვედ მოძებნა გამოსავალი საერთო ვითარებიდან — მაგიდის თავზე დაკიდა უშველებელი ფოტოსურათი: მამა ილიჩის როლში. შარს ვერც მოსდებდი — თითქოს ლენინია, არადა, მაინც მამა იყო... ტურონოკი ისევ დააბოტებდა ბიუსტსა და რადიოლას შუა. ვხედავ — შარვლის გამორღვეული ადგილი ისევ ისეა. თუ შეიძლება ასე გამოითქვას... სირცხვილისთვის კანონიერი ადგილი თუ არსებობს... როგორც იქნა, რედაქტორი საქმეზე გადავიდა:

— იცით, დოკლატოვ, თქვენ კალამი გაქვთ!

ვდუმვარ, შექების გამო ვვარდისფერდები...

— გაქვთ დანახვის, შემჩნევის უნარი... ვიყოთ გულახდილნი: ესტონეთში რუსი ჟურნალისტების კულტურული დონე, რომ იტყვიან, უკეთესობის სურვილს გვიტოვებს. იდეური ზრდის ტემპები მნიშვნელოვანია, მე ვიტყვოდი, ისინი კულტურულ ზრდას უსწრებენ. განვლილი აქტივი გაიხსენეთ. კლიონსკიმ არ იცის სიონიზმი რაა. ტოლსტიკოვი კი მოწინავეში, დააკვირდით, მოწინავეში აცხადებს: „...ფაბრიკის კომუნისტებმა უახლოეს თვეებში ამ დაუშვებელი სტატუს-ქკოს ლიკვიდიდირება უნდა მოახდინონ...“ რეპეცკიმ სასოფლო-სამეურნეო ხასიათის მოწინავე ასე დაასათაურა: „კვერცხები ექსპორტზე!“.. როგორ მოგწონთ ეს?

— რამდენადმე ინტიმურია...

— მოკლედ ვიტყვი. თქვენ ფლობთ ერუდიციას, იუმორის გრძობას. ორიგინალური სტილი გაქვთ. მაგრამ არ გყოფნით რალაც შინაგანი მომართულობა, დისციპლინა... ერთი სიტყვით, დროა საქმეს მო-

კიდოთ ხელი. როგორც იტყვიან, დიდი ჟურნალისტიკის სივრცეზე ვახვიდეთ. აქ არის ერთი საინტერესო მოსაზრება, პაიდესის რაიონიდან იტყობინებიან... ვინმე პეიპსმა რძის სარეკორდო რაოდენობა მიიღო...

— პეიპსი ძროხაა?

— პეიპსი მწველავია. მეტიც, რესპუბლიკის საბჭოს დეპუტატია. მას რეკორდული მაჩვენებლები აქვს. იქნებ ორასი ლიტრი, ან იქნებ ორი ათასი... ერთი სიტყვით — ბევრი. რაიკომში დააზუსტეთ. ჩვენ ასეთი ოპერაცია მოვიფიქრეთ. მწველავი პატაკით მიმართავს ამხანაგ ბრეჟნევს. ამხანაგი ბრეჟნევი მას პასუხობს. ეს შეთანხმებული იქნება. უნდა დავწეროთ წერილი ბრეჟნევისადმი. მონაწილეობა მივიღოთ ცერემონიებში. პრესაში ავსახოთ ისინი...

— ეს ხომ სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ხაზითაა.

— სპეცკორად გაემგზავრებით. ასეთი დავალების ნებისმიერი ვინმესთვის მიცემა არ შეგვიძლია. ჩვეულებრივი საგაზეთო შტამპები აქ დაუშვებელია. ადამიანური ნოტები უნდა, გაიგეთ? ერთი სიტყვით, უნდა იმოქმედოთ. მივლინების თანხებს მიიღებთ და, აბა, თქვენ იცით... რაიკომში დეპუტატს გავგზავნით... და კიდევ. ასეთი მოსაზრებაც გაითვალისწინეთ. სარედაქციო კონკურსის შეჯამებისას ჟიური სოციალურად მნიშვნელოვან მასალებს მიანიჭებს უპირატესობას.

— ანუ?

— ანუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მასალებს.

— განა გაზეთის ყველა მასალას საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს?

ტურონოკმა ოდნავ შესამჩნევი გაღიზიანებით შემომხედა:

— რაღაცწილად კი, მაგრამ ეს შეიძლება დიდი ან მცირე ხარისხით გამოვლინდეს.

— ამბობენ, ლენინის როლის შესრულებაში მეტს უხდიან, ვიდრე ოტელოს როლის შესრულებაშიო...

— შესაძლოა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამართლიანია. ლენინის როლის შემსრულებელი მსახიობი ხომ უდიდესი პასუხისმგებლობის ტვირთს იკიდებს...

მთელი ამ საუბრის დროს უცნაური შეგრძნება მმსკვალავდა. რედაქტორში რაღაც უჩვეულო მეჩვენებოდა. და ამ დროს გავიაზრე, რომ აქ შარვლის გამოხევა ამბობდა თავის სიტყვას. ამან ჩვენ თითქმის გაგვათანაბრა. მისი ნომენკლატურული უპირატესობა დააცხრო. ჩვენ ერთი საზომით გაგვზომა. დავრწმუნდი, რომ ჩვენ ერთმანეთს ვგავდით. ჩვენ — მოქუჩებული არაახალგაზრდა ადამიანები, რომლებსაც ერთნაირი (უნდა გავთქვა ეს პატარა საიდუმლო) ცისფერი ნიუხვები გვაცვია. ტურონოკის მიმართ პირველად განვეწყვე სიმპათიით. მას ვუთხარი:

— გენრიხ ფრანცევიჩ, თქვენ უკან შარვალი გამოგეხათ.

ტურონოკი მშვიდად მივიდა უშველებელ სარკესთან, დარხარა, დარწმუნდა და თქვა:

— ძვირფასო, ვალი დამდე... ძაფს მოგცემ... სეიფში მაქვს... ძმურად... აბა, პლიუხინას ხომ არ მივადგები.

ვალთა რედაქციის სექს-პრიმაა. ოპერის მომლერალივით ფიორი-ტურებით შელამაზებული ხმა და ერთიც იდიოტური ჩვევა მქონდა — იკბინებოდა... ჰო, საუბარს კვლავ გადავუხვიეთ...

— ... პლიუსინას ხომ არ მივადგები, — თქვა რედაქტორმა.

ესეც შენი ქვეცნობიერება, — ვფიქრობ მე.

— დამეხმარეთ, გეთაყვა.

— ესე იგი, გავკერო?

— ჰაიპარად, სახელდახელოდ...

— რომ არ შემიძლია...

— როგორც შესძლებთ...

მოკლედ, ამოვუკერე შარვალი. სხვა რა გზა მქონდა...

ლაბორატორიაში ჟბანკოვთან შევიხედე.

— გაემზადე, — ვეუბნები — წავედით.

— მომენტ, — გამოცოცხლდა ჟბანკოვი, — მოვდივარ, ოღონდ

მე მხოლოდ ორმოცი კაპიკი მაქვს. და ჟორას მართებს ჩემი სამოც-დაათი...

— ამაზე კი არ ვეუბნები, სამუშაო გვაქვს.

— სამუშაო? — გაწელა ჟბანკოვმა.

— შენა, რა, ფული არ გჭირდება?

— მჭირდება. ოთხი რუბლი ავანსამდე.

— რედაქტორი სამი დღით მივლინებას გვთავაზობს.

— სად?

— ჰაიდაში.

— ო, ნაფოტას ვიყიდით!

— ჰოდა, ხომ ვეუბნები — წავედით!

ტურონოვს ვურეკავ:

— შემიძლია ჟბანკოვი წავიყვანო?

რედაქტორი დაფიქრდა:

— შენ და ჟბანკოვი, პირდაპირ რომ ვთქვათ, საშიში შერწყმა ხართ.

შემდეგ რალაც გაახსენდა და თქვა:

— თქვენი პასუხისმგებლობით. და გახსოვდეთ — სერიოზული დავალებაა.

ასე ავედი მალლა. აქამდე საბჭოთა რუბლს ვგავდი. ის ყველას უყვარს, ჩამოსაყარდნი ადგილი არა აქვს, მაგრამ დოლარის საქმე სულ სხვაგვარადაა. ისეთ სიმალღეზეა ასული, რომ რაც არ უნდა დაეშვას, მაინც არ დაეცემა...

მგზავრობა ორიგინალურად დაიწყო. სახელდობრ — ჟბანკოვი ვაგზალში სრულიად ფხიზელი გამოცხადდა. თავიდან თითქმის ვერც ვიცანი. კოსტუმშია გამოპრანჭული, რალაცნაირად ნალვლიანია.

ჩამოვსხედით, გავაბოლეთ.

— ყოჩაღ, — ვეუბნები, — ფორმაში ხარ.

— იცი რა, დამუხრუჭება გადავწყვიტე. თორემ უკვე ზვავში ვყვები. რაც არ უნდა იყოს, ცოლი მყავს, შვილები... უფროსი უკვე ოთხი წლისა გახლავს. ლერა საბავშვო ბაღში იყო, გამგე მხოლოდ ჩვენს ბიჭს აქებ-ადიდებდა, განვითარებულია, საზრიანია, ენერგიუ-

ლია, ონანიზმს მისდევსო. მამას დაემსგავსა... ბაღინჯოსხელაა, კესმის, მაგრამ უკვე აზრზეა...

ქბანკოვის თავზე კორესპონდენტის ჩანთამ დაიწკარუნა — მატარებელი დაიძრა.

— როგორ ფიქრობ, — მკითხა ქბანკოვმა. — ბუფეტი მუშაობს?

— შენ ხომ გაქვს.

— საიდან?

— ეს-ესაა დაიწკარუნა.

— ეგენი იქნებ ქიმიკატებია?

— ეგ საკენკი...

— საერთოდ, მაქვს, რასაკვირველია. მაგრამ დაფიქრდი. ადგილზე დილის ექვს საათზე ვიქნებით. ნაბახუსევზე დალევა მოგვინდება. რა უნდა ვქნათ? ყველაფერი დაკეტილია. ვაკუუმი... ხმა მლაღაღებლის: უდაბნოსა შინა...

— რაიკომის მდივანი ხომ დაგვხვდება?

— ნახევარბოთლიანით? მან ხომ არ იცის, ჩვენ რა ჩიტებიცა ვართ.

— კი მაგრამ, დამუხრუჭება ვის უნდოდა?

— მე მინდოდა, დროებით. არადა, უკვე ლამის დღე-ღამე გავიდა. ეს მთელი ეპოქაა...

— ბუფეტი ხომ მუშაობს, — ვეუბნები.

ვაგონებს დავუყუევით. კუპეებში სიჩუმე იყო. ჩვენს ფეხის ხმებს ყავისფერი ხალიჩები ახშობდა. საერთო ვაგონებში გაუთავებლად ვბოდიშობდით, როცა ტომრებსა და ვაშლებით საყვარელ კალათებზე გადაბიჯება გვიწევდა.

ერთი-ორჯერ უღვარძლო გინება გამოგვაყოლეს. ქბანკოვმა შემგინებელს მიაძახა:

— სხვათა შორის, შეგინება აუცილებელი არაა!

ტამბურებში ცივი ქარი წულოდა. გადასასვლელებში, დაბალ ალუბინისსახელოვანი მძიმე კარებს შორის გრუხუნის ძლიერდებოდა.

რესტორანში ცოტა ხალხი იყო. ფანჯარასთან ორი აწითლებული მაიორი იჯდა. მათი ქუდები მაგიდაზე იდო. ერთი ალგზნებით ეუბნებოდა მეორეს:

— სადაა გადათვლის ხაზი, სად, ვიტია? გადათვლის ხაზი აუცილებელია. უმისოდ... თვითონაც გესმის...

მისი თანამოსაუბრე არ დაეთანხმა:

— ფაქტი იყო? იყო... ფაქტი კი, იცი შენ, ფაქტია... ფაქტის წინაშე, რომ იტყვიან, იმას...

კუთხეში ებრაული ოჯახი მოკალათდა. ლამაზი ხორცსავესე გოგო მაგიდის გადასაფარებლის ქვეშ ჩაის კოფზს მალავდა. მასზე უფროსი ბიჭი ხანდახან საათზე იყურებოდა. ცოლი და ქმარი ხმადაბლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენ დახლთან მოვკალათდით, ქბანკოვი დუმდა. მერე კი თქვა:

— სერჟ, ამიხსენი, ებრაელები რატომ სძულთ? დავუშვათ, მათ ქრისტე აცვეს ჯვარს. ეს, რასაკვირველია, არ უნდა ექნათ. მაგრამ მას აქეთ რამდენი წელი გავიდა... ისაო, ებრაელები, ებრაელებიო... ვაგი-

ნი რუსია, ტოლსტიკოვი რუსია, მაგრამ ქრისტეს ჯვარს აცვამდნენ კი არა, ცოცხლად შეჭამდნენ... აი, ვის წინააღმდეგ უნდა წარმართოს ანტისემიტიზმი. ტოლსტიკოვისა და ვაგინის წინააღმდეგ. მე ასეთების წინააღმდეგი ვარ, მათ მიმართ საშინელ ანტისემიტიზმს ვახვიცი. შენა?

— ბუნებრივია.

— აი ტოლსტიკოვზე უნდა მიიტანოს კაცმა ანტისემიტური იერიში! და საერთოდ, ყველა პარტიელზე...

— ეგრუა, — ვამბობ, — ეს ურიგო არ იქნებოდა... ოღონდ ნუ ყვირი.

— მაგრამ ამასთანავე ყურადღება მიაქციე... ხედავ, ოთხნი სხედან, არ მიტრიალდე... თითქოს ბუნებრივად სხედან, მაგრამ მე მაინც რაღაც მაცოფებს. ჩვენიანი სისაძაგლეში იჯდებოდა. ო'კეი! ის ორნი, ფანჯარასთან რომ სხედან, კოტრდებიან — ნორმალური ამბავია! ესენი კი ჩუმად სხედან, მაგრამ მე მაინც რატომღაც ვბრაზდები. შესაძლოა, იმიტომ, რომ კარგად ცხოვრობენ. ასე ხომ მეც მათზე უარესად არ ვიცხოვრებდი. ეს წყეული საყლაპი რომ არა. სხვათაშორის, ჩვენი მასპინძლები სად ჯანდაბაში წავიდნენ?..

ერთი მაიორი ეუბნება მეორეს:

— ღირებულებების სკალაა აუცილებელი, ვიტყვით. ღირებულებების ჭეშმარიტი სკალა. პლუს ათვლის წერტილი. ღირებულებების სკალისა და ათვლის წერტილის გარეშე კი, თვითონ განსაჯე...

მეორე მაიორი არც ახლა ეთანხმება:

— არის ფაქტი, კოლია! ფაქტი კი, რაც გინდა თქვი, ფაქტია. ფაქტი რეალობაა, კოლია! ანუ რაღაც ფაქტიურია...

გოგონას ხმაურით გაუვარდა ჩაის კოვზი, მშობლებმა ჩუმად უთხრეს რაღაც გამკილავი. ბიჭმა საათს დახედა...

მოვიდა მასტიკისფერკულულებიანი მეზუფეტე ქალი. მას ლანგრიანი ოფიციალტი მოჰყვა. ებრაელების ოჯახს მოემსახურა.

— რასაკვირველია, — განაწყენდა ჟბანკოვი, — ებრაელები ყოველთვის პირველები არიან...

შემდეგ ის დახლთან მივიდა.

— ერთი ბოთლი არაყი, ბუნებრივია... და რამე მსუბუქი, ბრუდერშაფტის ტიპის...

ჭიქები მივუჭახუნეთ ერთმანეთს, დავლიეთ. მატარებელი დროდადრო ამუხრუჭებდა.

ჟბანკოვი ბოთლს ხელით ამაგრებდა მაგიდაზე. მეორეც შევსვით. ბოლოს ის აღტკინდა, გავარდისფერდა და საკმაოდ ძნელად ასატანი გახდა.

— ბაბუ! — ყვიროდა ის. — მე ხომ ტელევიკთან ვმუშაობ. გესმის, ტელევიკთან! მე ბუნებით მხატვარი ვარ! მე ყველანაირ სისულელეს ვიღებ. სიფათები ობიექტივში არ ეტევა. ერთს ვიღებდი აქა. ერთი რვა კილოგრამი ორდენი ეკეთა. ბრწყინავენ, კრიალებენ, მზის სხივებით თიმთიმებენ... რამდენი ვიწვალე, ვერ წარმოიდგენ! არადა, სურათში სულ ექვსი რუბლი გამომიწერეს! ექვსი რუბლი! აბა, აივანოვსკის მიდგომოდნენ, ამ ფასად ბურლაკები დაგვიხატეო... მე ხომ მხატვარი ვარ!

უკვე პირველი საათი იყო. ჟბანკოვი ძლივს შევიყვანე კუბეში. ჟაპანწყვეტით დავაწვინე. ასპირინის აბი გავუწოდე.

— ეს საწამლაფია? — მკითხა ჟბანკოვმა და ატირდა. დავწექი და კედლისკენ შევბრუნდი.

გამცილებელმა გაჩერებამდე ათი წუთით ადრე გავკვალვოდა.

— გძინავთ, ჩვენ კი იხია გავიარეთ, — უკვე აღმოჩნდა ჩაიბუს-
ლუნა მან.

ჟბანკოვი გაუნძრევლად იწვა და დიდხანს იყურებოდა სივრ-
ცეში. შემდეგ თქვა:

— როცა გამყოლები ერთად იკრიბებიან, ერთი ალბათ მეორეს ეუბნება: „ადამიანს ყველაფერი შემოძლია ვაპატო, მაგრამ თუ ვინმეს ძინავს, და ჩვენ კი იხიას ჩავივლით, ამას არასოდეს დავუვიწყებ...“

— ადუ, — ვეუბნები, — ჩვენ ხომ შეგვხვდებიან. ადუ, სიფათე-
ბი მოვიბანოთ მაინც.

— ახლა რამე ცხელი რომ გვაჭამა, — წაიოცნება ჟბანკოვმა. პირსახოცი, კბილის ჟაგრისი და საპონი ავიღე. საპარსი ამოვად-
რე ჩანთიდან.

— შენ საით?

— ბატკანი უნდა დავკლა, შენ ხომ ცხელი კერძი გინდოდა...

როცა მოვბრუნდი, ჟბანკოვი ყელიან ფეხსაცმელს იცვამდა. ფი-
ლოსოფიური მუსაიფი წამოიწყო: „მაინც რამდენი დავლიეთ გუშინ?“, მაგრამ შევაწყვეტინე.

უკვე შევდიოდით. ფანჯრის იქით ვაგზლის პეიზაჟი მოჩანდა. ომამდელი შენობა, ბრტყელი ფანჯრები, შუქით გაბრდღვიალებული საათი...

ნესტიან და ბნელ პერონზე გავედით.

— რალაც ფანფარების ხმა არ მესმის, — ამბობს ჟბანკოვი.

მაგრამ ჩვენკენ ხელების ექსტიკულირებით უკვე მოიწევდა მა-
ღალი, საქმიანი სახის კაცი.

— რედაქციიდან ბრძანდებით? — ღიმილით დაინტერესდა ის. ჩვენი გვარები დავასახელეთ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

საპირფარეშოს გვერდით (საინტერესოა, ვაგზლის საპირფარეშო-
თა არქიტექტურა ასე ძალიან რატომ ჰგავს რასტრელლის შედევრებს?) მანქანა მორიგეობდა. იქვე მოსასხამიანი ჯმუხი კაცი ტოკავდა.

— რაიკომის მდივანი ლიივაკი, — წარმოგვიდგა ის.

ის, ვინც ჩვენ გამოგვეგება, მძლოლი აღმოჩნდა. ორივენი რუსუ-
ლად თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობდნენ. ალბათ წარმომავლობით ვოლოსოველი ესტონელები იყვნენ...

— პირველ რიგში ვისაუზმოთ! — განაცხადა ლიივაკმა.

ჟბანკოვი შესამჩნევად გამოცოცხლდა.

— მაგრამ ჯერ ხომ დაკეტილია, — ყასიდად თქვა მან.

— რამეს მოვიფიქრებთ, — დაარწმუნა ის რაიკომის მდივანმა.

პატარა ესტონური ქალაქები მყუდრო და გულთბილი ქალაქებია. რიბირაბოზე პაიდე სავსებით უკაცრიელი, დახატული გეგონებოდათ. ბინდბუნდში ცისფერი, ნეონის ასოები ციმციმებდნენ.

— როგორ იმგზავრეთ? — გვკითხა ლიივაკმა.

— ჩინებულად, — ვუპასუხე.

— დაილაღეთ?

— ცოტათი.

— არა უშავს, დაისვენებთ, ისაუზმებთ.

გავუარეთ ცენტრს, სადაც ტუმბერკულოზის კლინიკა და რაიკომის ყვითელი შენობა იდგა. შემდეგ ისევ ქალაქის განაპირა ვიწრო ქუჩების პორიზონტალურ ლაბირინთში აღმოვჩნდით. ორ-სამჯერ მკვეთრად შევუხვიეთ და უკვე გზატკეცილზე ამოვყავით თავი. მარცხნივ ტყეა. მარჯვნივ სწორი ნაპირი და წყლის მოციმციმე ზედაპირი.

— საით მივდივართ? — მიჩურჩულა ჟბანკოვმა. — იმათ იქნებ იქ გამოსაფხიზლებელი აქვთ?

— ცოტალა დაგვრჩა, — ლიივაკმა თითქოს მისი ფიქრი ამოიცნო, — აქ ჩვენ დასასვენებელი სახლის მსგავსი რაღაცა გვაქვს. მომსვლელთა შეზღუდული რაოდენობით. სტუმრებისთვის...

— აი მეც ეგა ვთქვი, — გაიხარა ჟბანკოვმა.

მანქანამ ნაპირზე მდგარი ერთსართულიანი სახლის გვერდით დაამუხრუჭა. თეთრი ფიცრული კედლები, უღიმღამო დაღარული სახურავი, გარაჟი... ამ სურათს მილიდან ზოზინით ამომავალი კვამლი აცოცხლებს. კარიდან პატარა ნავმისადგომამდე ცემენტის საფეხურები მიდის.

ნავმისადგომთან ოდნავ გადახრილი კოხტა იახტები ქათქათებენ.

— აბა, — თქვა ლიივაკმა, — გაიცანით ერთმანეთი.

ზღურბლზე ოცდაათამდე წლის ბრეზენტისკურტაკიანი და ჯინსისშარვლიანი ქალი იდგა. მას ხალისიანი, ალერსიანი, და ოდნავ მაიმუნური სახე, მუქი თვალები და დიდი თანაბარი კბილები ჰქონდა.

— ბელა ტკაჩენკო, — წარმოგვიდგა ის, — კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი.

მე ჩემი გვარი დავასახელე.

— ფოტომხატვარი მიხაილ ჟბანკოვი, — ჩუმად წამოიძახა ჟბანკოვმა და ჩექმის მოღრეცილი ქუსლები ერთმანეთს შემოჰკრა.

— ბელა კონსტანტინოვნა, თქვენი დიასახლისი, — ალერსიანად თქვა ლიივაკმა, — და აქ დაისვენებთ... ორი საწოლი ოთახი, კაბინეტი, ფინური აბანო, მისაღები... არის სპორტული ინვენტარი, პატარა ბიბლიოთეკა... ყველაფერი გათვალისწინებულია... თავად ნახავთ... — შემდეგ მან რაღაც თქვა ესტონურად.

ბელამ თავი დაუქნია და დაიძახა:

— ევი, ტულე სინნე!

მაშინვე მოვიდა აწითლებული სავსებით ახალგაზრდა მაისურიანი და შორტიანი გოგონა. ხელები ნაცრით ჰქონდა მოთხვრილი.

— ევი საქსონი, — წარმოგვიდგინა ის ლიივაკმა, — რაიონის ახალგაზრდული გაზეთის კორესპონდენტი.



ევიმ ხელები ზურგს უკან შემოიწყო.

— ხელს არ შეგიშლით, — გაიღიმა მდივანმა. — მთლიანობაში პროგრამა ასეთია. დაისვენებთ, ისაუზმებთ. სამ საათზე უკვე რაიკონში მოხვალთ. დავამოწმებ თქვენს მივლინებებს. გაეცნობით თქვენს გმირ ქალს. აუცილებელ ცნობებს მოგაწვდით. დილისთვის მასალა მზად უნდა იყოს. ახლა კი, გთხოვთ მაპატიოთ, ხომ იცით, საქმეები...

რაიკომის მდივანმა კიბე მხნედ ჩაირბინა. ორიოდ წამში მოტორი ამუშავდა.

უხერხული პაუზა ჩამოწვა.

— მობრძანდით, რატომ დგახართ? — ბელამ დაარღვია სიჩუმე. მისაღებში შევედით. ფანჯრის პირდაპირ მწვანე ქაშანურის ფილებით დამშვენებულ ლუმელში ცეცხლი ციმციმებდა. ოთახის კუთხეებში ღრმა დაბალი საფარძლები იდგა.

საძილე ოთახში შეგვიყვანეს. ორ ფართო საწოლს კუბოკრული საბნები ეფინა. ტუმბოზე ენთო გრძელი, სქელი მეწამულისფერი შანდალი, რომელიც ჭერს მოცახცახე ვარდისფერი შუქით აჭრელებდა.

— ესაა თქვენი აპარტამენტები, — თქვა ბელამ. — ოცი წუთის შემდეგ სასაუზმოდ მობრძანდით.

ჟბანკოვი ფრთხილად ჩამოჯდა საწოლზე. რატომღაც გაიძრო ყელიანი ფეხსაცმელი. შეშინებულმა მკითხა:

— სერჟ, ეს სად მოვხვდით?

— არსადაც არ მოვხვდით. უბრალოდ, მთაზე ავდივართ.

— რას გულისხმობ?

— საპასუხისმგებლო დავალება მივიღეთ.

— ყურადღება თუ მიაქციე, როგორი გოგოები არიან? გასაგიჟებლები არიან! მე ასეთები გუმშიც კი არ მინახავს. შენ უფრო რომელი მოგწონს?

— ორივე გვარია...

— ეს პროვოკაცია ხომ არ არის?

— ანუ?

— შენ მას, ხომ გესმის, პოპ...

— დავუშვათ.

— მერე კი ვაღიარებ მოგაყურებენ...

— რატომ მაშინვე პოპ. დაისვენე, გაესაუბრე...

— რას ნიშნავს გაესაუბრე?

— საუბარი ისაა, ერთმანეთთან რომ ლაპარაკობენ.

— ა-ა, — თქვა ჟბანკოვმა.

უცებ ოთხზე დადგა და საწოლქვეშ შეიხედა. შემდეგ დიდხანს და უნდობლად ათვალიერებდა შტეპსელის როზეტს.

— რას შვრები? — ვეკითხები.

— მიკროფონს ვეძებ. აქ, ნატურალურად, მიკროფონი უნდა იყოს. მისაყურადებელი მოწყობილობა. ერთი ლოთი ნაცნობი მიაგებობდა...

— შემდეგ ნახე. ახლა საუზმის დროა.

სწრაფად დავიბანეთ ხელ-პირი. ჟბანკოვმა ახალი პერანგი ჩაიცვა.

— როგორ ფიქრობ? — მკითხა მან, — ნახევარლიტრიანი ჩამოვდგა?

— ნუ ჩქარობ, — ვეუბნები, — აქ, ეტყობა, არის თანაც დღეს რაიკომში უნდა მივიდეთ.

— იმას კი არ ვამბობ, გავილეწოთ-მეთქი. ბუდერშაფტს ვბუ-
ლისხმობ...
ბიზნიოსება

— ნუ ჩქარობ, — ვეუბნები.

— და კიდევ, აი რა, — თქვა უბანკოვმა. — ნამეტან ჭკვიანურ საუბრებს ნუ გაახურებ. შენ და შაბლინსკი სხვა დროს გაიბრუყებით, მერე კი მთელ საღამოს ჰიპოსტაზით, დაიწყებთ... ცოტა რამე უფრო მსუბუქი წამოიწყე... სერგეი ესენინის ტიპის რამე, სომხური რადიო...

— კეთილი, — ვეუბნები, — წავედით.

სუფრა მისაღებში იყო გაშლილი. ცკ-ს გამანაწილებლის სტანდარტული ასორტიმენტი. ძვირფასი ძეხვი, ხიზილალა, თინუსი, შოკოლადიანი ზეფირი.

ქალიშვილებს ახლა ღია ფერის კოფთები და მოდელური ტუფლები ეცვათ.

— დაბრძანდით, — მითხრა ბელამ.

ევიმ ლანგარი აიღო.

— დალევა გნებავთ?

— აბა რა?! — თქვა ჩემმა მეგობარმა. — სხვაგვარად ქრისტიანული არ იქნება.

ევიმ რამდენიმე ბოთლი მოიტანა.

— კონიაკი, ტონიკიანი ჯინი, ღვინო, — შემოგვთავაზა ბელამ. უბანკოვი უცებ დაიძაბა და ამბობს.

— პარდონ, მე ამ კონიაკს ვიცნობ... ძვენი ჰქვია... თუ ნაქვდ...

— ძვენი, — შეუსწორა ბელამ.

— ერთი ოხერია. ფასი თექვსმეტი, ოცი... ამ ფასად სამი ბოთლი არყის მოტანა სჯობია.

— ნუ ღელავთ, — დაამშვიდა ბელამ.

ევიმ კი ჰკითხა.

— თქვენ ალკოპოლიკი ხართ?

— დიახ, — უპასუხა უბანკოვმა, — მაგრამ ზომიერად...

კონიაკი ჩამოვასხი.

— ჩვენს შესვედრას გაუმარჯოს, — ვთქვი სადღეგრძელო.

— სასიამოვნო შესვედრას, — დასძინა ბელამ.

— შევუბერეთ, — თქვა უბანკოვმა.

ჩამოწოლილ სიჩუმეს დანა-ჩანგლის წკარუნი არღვევდა მხოლოდ.

— რაიმე საინტერესო გვიამბეთ, — გვთხოვა ევიმ.

უბანკოვმა გააბოლა და დაიწყო:

— ცხოვრება, გოგოებო, არსებითად, კალეიდოსკოპია. დღეს ერთია, ხვალ მეორე. დღეს ლომივითა ხარ, გაიხედავ და, ხვალ კურდღელიც ვერა ხარ... გახსოვს, სერჟ, გვამებთან დაკავშირებით რა გაწამა-

წია დაგვატყდა თავს?

ბელა ჩვენსკენ გადმოიხარა:

— გვიამბეთ.

— მოკვდა ტელესტუდიის სამეურნეო ნაწილის გამგე — ილვესი. თუ დირექტორი იყო, არ მახსოვს. ჰო, მოკვდა, რა... კაცმა რომ თქვას, სწორადაც მოიქცა... ვასაფლავებთ მას წესისა და რიგის დაცვით... ტელესტუდიიდან ჩამოვიდნენ კაცები. ტრანსლაცია მიდის... სიტყვებს წარმოთქვამენ, ბუნებრივია... გამოთხდებიან და იწყო. მეც ვუახლოვდები ცხედარს და ვხედავ — ილვესი არის... რაო, მე ილვესს არ ვიცნობ?... ასჯერ მაქვს მისთვის სურათი გადაღებული. კუბოში კი ვილაც სხვა კაცი წევს...

— ცოცხალი? — იკითხა ბელამ.

— რატომ ცოცხალი? ნატურალურად, მკვდარი, როგორც წესი და რიგია, ოღონდ არა ილვესი. თურმე მორგში გვამები არევიან...

— რითი დამთავრდა ეს ყველაფერი? — აღელდა ბელა.

— ასევე დამთავრდა. უცხო კაცი დავასაფლავეთ. ტრანსლაციას ხომ არ შევწყვეტდით. ღამე კი კუბოებს ადგილი შევუცვალეთ. და საერთოდ, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! არსი ერთია, ოღონდ სხვადასხვანი იყვნენ... როგორ გამოეთქვა ეს?

— ჰიპოსტაზები, — ვუკარნახე მე.

უბანკოვი თითოთ დამემუქრა.

— კოშმარია, — თქვა ბელამ.

— ასეთი რამეები ხდება?! — აღეგზნო უბანკოვი, — მოგიყვებით, როგორ ჩამოიხრჩო თავი ერთმა... ოღონდ ჯერ შევსვათ.

დარჩენილი კონიაკი ჩამოვასხი. ევიმ ჭიქას ხელი დააფარა:

— უკვე მთვრალი ვარ.

— არამც და არამც!

გოგოებმაც გააბოლეს. უბანკოვი სიჩუმეს დაელოდა და განაგრძო:

— ის, თუ როგორ ჩამოიხრჩო თავი ერთმა, სუფთა ხოხმაა. ქმარი მთელი დღე იღრინება, ცოლი, ბუნებრივია, დილიდან ღამემდე გულს აწვრილებს. და აი, კაცმა თავის ჩამოხრჩობა გადაწყვიტა. არა მთლად, არამედ ფიქტიურად. ქალი სამუშაოდ წავიდა. კაცი კი აჭიმებით ჭალს ჩაებლაუჭა და ჰკიდია. ნაბიჯების ხმა ესმის. ცოლი ბრუნდება სამუშაოდან. ქმარს თვალები გადმოუკარკლა. პონტიისთვის, ბუნებრივია. მაგრამ ეს მისი ცოლი არ იყო. ოთხმოცი წლის მეზობელი ქალი იყო, საქმეზე შემოვიდა. შემოდის — კაცი ჰკიდია...

— საშინელებაა, — თქვა ბელამ.

— დედაბერი რკინის ქალი აღმოჩნდა. გული კი არ შელონებია, — მივიდა კაცთან და მისი ჯიბეების ჩითვას შეუდგა. კაცს კიდე ელუტუნება და გაეცინა, ამ დროს დედაბერი გაითიშა. და მორჩა. კაცი კიდე ჰკიდია. აჭიმებს ვერ ხსნის ჭალიდან. მოდის ცოლი, ხედავს ამ სურათს. დედაკაცმა წერილი წაიღო, კაცი ჰკიდია. ცოლი იღებს ყურმილს და რეკავს: „ვასია, ჩემთან სახლში ათას ერთი ღამეა... სამაგიეროდ მე ახლა თავისუფალი ვარ. ჩამოდი...“ ქმარი კი ამბობს: „ჩამოსვლას მივცემ მე იმ... იმ... თვალებს დავაჩიჩქნი...“ ახლა კი ცოლიც გაითიშა. და იმანაც წერილი წაიღო...

— საშინელებაა, — თქვა ბელამ.

— ეგეთები ხდება? — თქვა უბანკოვმა. — მოდით, შევსვათ!

— აბანო მზადაა, — თქვა ევიმ.

— ესე იგი, რაო, გაეხადოთ? — შეშფოთებით იკითხა ებანკოვ-
მა და ჰალსტუხი გაისწორა.

— ბუნებრივია, — თქვა ბელამ.

— ფეხი შეგიძლია მოიხსნა, — ვეუბნები ებანკოვს.

— რომელი ფეხი?

— ხის.

— რაო? — იყვირა ებანკოვმა.

ის წამოხტა და შარვლის ორივე ტოტი აიწია. ძლიერ მოცისფრო
კანჭებზე ჭრელი არამოდური რეზინის ლეკვერთხები ჰქონდა შემოჭე-
რილი.

— მე დღემდე ვთამაშობ ფეხბურთს, — არ შოშპინდებოდა ებან-
კოვი, — ერთი მოცარელებული ადგილი გვაქვს, ბავშვები თამაშო-
ბენ ხოლმე... ზოგჯერ გამოდიხარ ნაბახუსევზე და...

— აბანო მზადაა, — თქვა ევიმ.

აბანოს წინათასში აღმოეჩნდით. კედლებზე ეგზოტიკური პლა-
კატები ეკიდა. გოგოები შირშის იქით გაქრნენ.

— აბა, სერჟ, სული სამოთხეში განავარდდა! — ლულულულებდა
ებანკოვი.

მან სწრაფად, სალდათურად გაიხადა. ფართო სატინის ტრუსის
ამარა დარჩა. მკერდს მწვანე სვირინგი უმშვეენებდა. ბოთლი ჭიქითურთ,
ქალის პროფილი და გულის კიკო. შუაში კი წარწერა სლავური ხელ-
რთვით: „აი რამ დამლუბა!“

— წავედით, — ვეუბნები.

ვიწრო, ქოხის ყაიდაზე სტილიზებულ კოლოფში აუტანლად ცხე-
ლოდა. თერმომეტრი ოთხმოცდაათ გრადუსს აჩვენებდა. გავარვარე-
ბულ წამოსაწოლ ყალიბებზე ცივი წყლის გადავლება დაგვჭირდა.

გოგოებს ხასხასა თანამედროვე საბანაო კოსტიუმები, ორი ვიწ-
რო ამალეღვებელი ჩვარი ემოსათ.

— წესები იცით? — გაიღიმა ბელამ. — მეტალის რალაცები უნ-
და მოიხსნათ. თორემ შეიძლება დამწვრობა მიიღოთ...

— რა რალაცები? — ჰკითხა ებანკოვმა.

— სარჭები, თმისსამაგრები, ქინძისთავები...

— კბილები? — იკითხა ებანკოვმა.

— კბილები შეგიძლიათ დაიტოვოთ, — გაიღიმა ბელამ და დას-
ძინა: — რამე მოყუევით.

— მომენტ. მოგიყვებით ერთმა ქორწილი ფუნაში როგორ ჩააი-
მასქნა.

გოგოები შეშინდნენ და მიყუჩდნენ.

— ჩემი ძმაკაცი საასენიზაციო სატვირთოზე მუშაობდა. სწორედ
იმას იღებდა, ხვეტდა. მას ჰყავდა მეგობარი ქალი, ძალიან წიგნიერი
ვინმე. „ცუდი სუნი აგდისო“, — ეუბნება. ჩემმა ძმაკაცმა კიდე რა
ჰქნას? „სამაგიეროდ, — ეუბნება, — ნორმალურად მიხდიან“. „ტაქს-
ზე გემუშავა“, — ეუბნება მას მეგობარი ქალი. „იქ როგორი გამომუ-
შავებაა? გროშები!“... გადის ერთი წელიწადი. ჩემი ძმაკაცის იმ მე-
გობარმა ქალმა თავისთვის მეგობარი მონახა. უსუნო მეგობარი. ჩემს
ძმაკაცს კი ეუბნება: „მორჩა. გადაგიყვარე. შენ შენთვის. მე ჩემთ-

ვის...“ ჩემი ძმაკაცი, რასაკვირველია, განიცდის. იმათ კიდევ ქორწილი აქვთ. საზოგადოებრივი სასადილო იქირავებს, სვამენ, ერთობიან. შეღამდა... ამ დროს ჩემი ძმაკაცი თავის განავალმზიდით მიიჭრა ამ სასადილოსთან. ფანჯარა გამოაღო, შლანგი შეჰყო და... მთელი ოთხი ტონა განავალი სტუმრებზე მიუშვა. ატყდა სმაური, ყვირილი, აი ესეც შენი „გორკა!“.. მილიცია მოვიდა... საზოგადოებრივი სასადილოსთვის აქტის დაწერა გახდა საჭირო. ჩემმა ძმაკაცმა კი კონსტანტინოვი შეჰძლი წელი გაირტყა... ეგეთი ამბებია, აბა!..

გოგოები გაუჩიებულნი და რამდენადმე საქციელწამხდარნი ისხდნენ. მე სიცხისგან აუტანლად ვიტანჯებოდი. ჟბანკოვი ნეტარების მწვერვალზე იმყოფებოდა.

მე ეს ყველაფერი უკვე მბეზრდებოდა. ალკოჰოლმა თანდათან გამოიარა. შევამჩნიე, რომ ევი მე მაცქერდება. შიშით თუ პატივისცემით მიყურებს. ჟბანკოვი ბელა კონსტანტინოვნას რაღაცას გულმხურვალედ ეჩურჩულებოდა.

— დიდი ხანია გაზეთში ხარ? — ვეკითხები ევის.

— დიდი ხანია, — მპასუხობს ის, — ოთხი თვეა.

— მოგწონს?

— კი, ძალიან მომწონს.

— მანამდე?

— რაო?

— მანამდე სად მუშაობდი?

— არ ვმუშაობდი. სკოლაში ვსწავლობდი.

მას ბავშვური პირი და შუბლზე შეჭრილი ფუმფულა თმა ჰქონდა. ნაჩქარევად, კეთილსინდისიერად, ოდნავ სულშეხუთულად ლაპარაკობდა. ხორკლიანი ესტონური აქცენტით ლაპარაკობდა.

— გულმა გაზეთისკენ რატომ გავიწია?

— რაო?

— იქ ბევრი ტყუილის თქმა გიხდება.

— არა. მე კორექტურას ვაკეთებ. მე თვითონ ჯერ არ ვწერ. სტატია დავწერე, ამბობენ, ცუდიაო.

— რაზე დაწერე?

— სექსზე.

— რაზე?!

— სექსზე. ეს მნიშვნელოვანი თემაა. სპეციალური ჟურნალები და წიგნებია საჭირო. ადამიანები მაინც აკეთებენ სექსს, ოღონდ ძალიან ბევრ რამეს არასწორად...

— შენ იცი, სწორად როგორაა საჭირო?

— კი. მე ქმარი მყავდა.

— მერედა, სადაა შენი ქმარი?

— მდინარეში დაიხრჩო. კონიაკი დალია და დაიხრჩო. ქიმიას სწავლობდა ტარტუსში.

— მაპატიე, — ვეუბნები.

— მე შენი ბევრი სტატია წაგიკითხე. მათში ძალიან ბევრი რამაა სასაცილო და ძალიან ხშირადაა მრავალწერტილები... გაუთავებელი

მრავალწერტილებია... მე ტალინში მიხდა ვიმუშაო. აქ ძალიან პატარა გაზეთია...

— ეს ჯერ წინა გაქვს.

— მე ვიცი, შენ რაც თქვი გაზეთზე. ბევრნი იმას არ წერენ, რაც სინამდვილეშიაო. მე ასეთი რამ არ მიყვარს.

— აბა, რა გიყვარს შენ?

— მე მიყვარს ლექსები, მიყვარს „ბითლზებოზ“ — კიდეც არა მიყვარს, ვთქვა?

— თქვი.

— შენ მიყვარხარ ცოტათი.

მომეჩვენა, რომ მომეყურა. ეს მეტისმეტად მოულოდნელი რამ იყო. ნამდვილად არ მეგონა, ჩემი შეცბუნება ასე ადვილი თუ იყო...

— შენ ძალიან ლამაზი ხარ!

— რა მხრივ?

— ომარ შარიფის ასლი ხარ.

— ომარ შარიფი ვინაა?

— ო, შარიფი! ის პრიმაა!

უბანკოვი მოულოდნელად წამოდგა. კარი თავისკენ გამოსწია. მოუხეშავად და სწრაფად დაეშვა ცემენტის კიბით წყლისკენ. წამით გახევდა. ხელები აიქნია. მხეცურად, არასაკადრისად იღმუვლა და ჩაეზღართა წყალში... ღივლივა მხეფების შადრევანი ამოიფრქვა. აბუყბუყებულ-ატალღებულ მდინარის ფსკერიდან რალაც ქილები, კორძიანი ხეები და ნაგავი ამოტივტივდა. ის სამ წამს არ ჩანდა. შემდეგ წყლიდან ამოყვინთა შავმა რალაცნაირმა თავმა. უბანკოვს სახეზე ერთი თვის ლეკვის თვალეზივით უგუნური თვალეზი ასხდნენ. იგი ბარბაციით ამოვიდა ნაპირზე. მის გამხდარ ბარძაყებს სკულპტურულად ჰქონდა შემოკრული გრძელი არმიული ტრუსი.

უბანკოვმა ორჯერ შემოურბინა კოტეჯს „ლიუბო, ბრატცი, ლიუბო!“-ს მღერა-მღერით, და საწოლზე ჩამოჯდა და გააბოლა.

— რას იტყვი? — ჰკითხა ბელამ.

— ნორმალურია, — უპასუხა ფოტოგრაფმა და მუცელზე მიიტკაცუნა რეზინი.

— თქვენა? — მკითხა ჩემსკენ შემობრუნებულმა ბელამ.

— მხაპს ვანიჭებ უპირატესობას.

მეზობლად მდგარ შენობაში საშხაპე კაბინა იყო. დავიბანე და ჩაცმას შევუდექი.

„ჩვიდმეტი წლის პროვინციელი გოგო... — ვიმეორებდი და ვიმეორებდი გულში, — სამი ჭიქა კონიაკი დალია და გამობენტერდა...“

მისაღებში გავედი და ტონიკიანი ჯინი დავისხი.

გარედან ყვირილი და წყლის თქაფუნი აღწევდა.

მალე შემოვიდა აწითლებული, სველსაბანაოკოსტუმიანი ევი.

— ჩემზე გაბრაზებული ხარ?

— ოდნავადაც არა.

— გატყობ, გაბრაზებული ხარ. მოდი, გაკოცებ...

მე ისევ დავიბენი. და ეს ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილების მიუხედავად...

— ცუდი თამაში წამოიწყე, — ვეუბნები.

— მე შენ არ გატყუებ.

— მაგრამ ჩვენ ხვალ მივემგზავრებით.

— ისევ მოხვალ...

მისკენ წავდგი ნაბიჯი. სცადეთ კეთილგონიერად მოქცევა, თქვენს გვერდით ჩვიდმეტი წლის გოგონაა, რომელიც ვსაქსამის მხრებიდან ზღვიდან, მდინარიდან...

— აბა, რა გინდა შენ, აბა, რა გინდა? — ვეკითხები.

— ჯუდი გარლანდი ყოველთვის ასე იკოცნება, — თქვა ევიმ. — და ის კიდევ ასე აკეთებს...

საოცრადაა მოწყობილი ადამიანი! თუ მხოლოდ მე ვარ ასეთი?! იცი, რომ ეს სიცრუეა, პრიმიტიული რაიკომური სიცრუეა და ბლეფია, თანაც პოლივუდური შეფერილობით, — ეს ყველაფერი იცი, და მაინც ბიჭივით ბედნიერი ხარ...

ევის ბეჭები წაწვეტებული, ხოლო ხერხემალი ცივი ზღვის კენჭებისგან შეკრული პქონდა... დროდადრო ჩუმი შეძახილები სცდებოდა და თრთოდა... ევი — არამჭიდროდ შეკრულ მუჭში მოქცეული სუსტი ჭრელი პეპელა...

ამ დროს გაისმა გამაყრუებელი:

— პარდონ!

კარებში ჟბანკოვი მოჩანდა. მე ევი გავუშვი.

ფოტოგრაფმა მაგიდაზე არყიანი ბოთლი ჩამოდგა. ეტყობა, თავისი რეზერვი ჩართო სმის პროცესში.

— უკვე პირველი საათია, — ვთქვი მე, — ჩვენ რაიკომში გველიან.

— როგორი შეგნებული ხარ, — გაიცინა ჟბანკოვა.

ევი ჩასაცემლად წავიდა. ტანსაცმელი ბელა კონსტანტინოვნამაც გამოიცვალა. ახლა მას მკაცრი, საანგარიშო-გადარჩევით კრებაზე რომ იცვამენ, ისეთი კოსტუმი ეცვა.

და ამ დროს გულში გავიფიქრე: ეჰ, რომ არა ეს რაიკომი, რომ არა ეს გადარეული ძროხა!.. ყოველგვარი საპასუხისმგებლო დავალებების გარეშე აქ ცხოვრება ხომ... იახტა, პატარა მდინარე, ახალგაზრდა ლამაზმანები... დაე იცრუონ, იპრანჭონ, ჩამოფასებული პოლივუდელი ვარსკვლავები ასახიერონ... როგორი ბედნიერებაა ეს — ქალური თვალთმაქცობა!.. იქნებ სულაც ამდაგვარი განცდებისთვის მოვევლინე ქვეყნიერებას! ოცდაათოთხმეტი წლისა ვარ და არცერთი დღე არ მქონია უზრუნველი... ერთი დღე მაინც ხომ უნდა იცხოვროს ადამიანმა ფიქრის, საზრუნავის, დარდის გარეშე... არა რაიკომში, სადაც საათები, პორტრეტები, დერეფნები, და სერიოზულობის გაუთავებელი თამაშია...

— ადამიანებო! მე მეორე სუნთქვა გამეხსნა! — განაცხადა ჟბანკოვა.

არაყი ჩამოვასხი. მე ჭიქა ავივსე. ევი სახელოზე შემეხო:

— ახლა არ დალიო... მერე...

— კარგი ერთი...

— შენ ლიივაკი გელოდება.

— ყველაფერი კარვად იქნება.

— რას ნიშნავს — იქნება? — გაბრაზდა ჟბანკოვი. — ყველაფერი უკვე კარვადაა! მე მეორე სუნთქვა გამეხსნა! წავედით! ბელამ მიმღები ჩართო. დაბალი ბარიტონი რაღაც საშინლად აქტუალურს გაიძახოდა:

— ჭეშმარიტება არ არის ამ ბობოქარ ქვეყნიერებაზე. არის მხოლოდ წამი, და იმას ჩავეჭიდოთ... არის მხოლოდ სხივი წარსულსა და მომავალს შორის, და სწორედ ამას ჰქვია სიცოცხლე!

ჩვენ ისევ და ისევ ვსვამდით. ევი ჩემი სავარძლის გვერდით იატაკზე იჯდა. ჟბანკოვი გაუთავებლად ქაქანებდა, თან დროდადრო საპირფარეშოში გარბოდა. ის წარამარა ნატიფად კითხულობდა: „შემიძლია გავეცნო დაგეგმვას?“ და უცვლელად ამატებდა: „გადაღვრის აზრით...“

და მე უცებ მივხვდი, რომ ხელიდან გავუშვი ის მომენტი, როცა უნდა შევჩერებულიყავით.

გაჩნდა მაცთუნებელი სიმჩატე და მოურიდელობა. წარმოიქმნა ძალისა და დაუსჯელობის შეგრძნება.

— კუბოში ვნახე ეს რაიკომი! მიშკა, დაასხი!

ახლა უკვე ბელა კონსტანტინოვნამ აიღო ინიციატივა:

— ბიჭებო, შევეშვათ, შემდეგ კი... მანქანას გამოვიძახებ.

და დასარეკად წავიდა.

მე ონკანს შევუშვირე თავი. ევიმ საპუდრე გამოიტანა და თქვა:

— არ შევხვდები.

ოცი წუთის შემდეგ ჩვენი ტაქსი რაიკომის შენობას მიაღვა. ჟბანკოვი მთელი გზა მღეროდა:

არ მინდა შენთან ლაპარაკი,

მანია, ნუ მიედ-მოედები,

ჯობია ბიჭებთან წავიდე დასალევად,

იმ ბიჭებს უფრო მნიშვნელოვანი აზრები აქვთ...“²

რაიკომსა და პარტიულ სფეროებს, ალბათ, საიდუმლოებით მოცული მანია განასახიერებდა. ევი ხელს მისვამდა ხელზე და აქცენტით ამაღელვებელ უწმაწურობებს მეჩურჩულებოდა. ბელა კონსტანტინოვნა მკაცრად გამოიყურებოდა.

რაიკომის ფართო დერეფნებში გაგვატარა. მას დროდადრო ესალმებოდნენ.

პირველ სართულზე ბრინჯაოს ლენინი იყო ამართული. მეორეზე — ისევ ბრინჯაოს ლენინი, ოღონდ ნაკლები ზომისა. მესამეზე — მგლოვიარესავით წვერმოშვებული კარლ მარქსი.

— საინტერესოა, მეოთხე სართულზე ვინ მორიგეობს? — იკითხა ჟბანკოვმა და ჩაიციხა.

იქ ისევ ლენინი აღმოჩნდა, ოღონდ თაბაშირისა.

1-2. ბწყარედული თარგმანია — მთარგ.

— წუთით მოიცადეთ, — თქვა ბელა კონსტანტინოვნამ. ჩამოვსხედით. ჟბანკოვი ღრმა სავარძელში ჩაეფლო მისი ფეხი, რომელზეც გაქუცული ყელიანი „სკოროხოდეზი“ ეცვა, მისაღები დარბაზის ცენტრამდე აღწევდა. ვეიშ ცოტათი შეანელა თავისი გზნება. მისი მოწოდებები მეტისმეტად ეწინააღმდეგებოდა თვალსაჩინო აგიტაციის მასალებს.

ბელამ კარი გამოაღო.

— შემოდით.

ლიივაკი ტელეფონზე ლაპარაკობდა. თავისუფალი ხელი გულლი-ად დაგვიქნია მისაღებების ნიშნად, გამამხნეველად შესტიკულირებდა. როგორც იქნა, დაკიდა ყურმილი.

— დაისვენეთ?

— პირადად მე კი, — დაბეჯითებით თქვა ჟბანკოვმა. — მე მეორე სუნთქვა გამეხსნა...

— ძალიან კარგი. ფერმაში წახვალთ.

— ფერმაში რა გვინდა?! — წამოიძახა ჟბანკოვმა. — თუმცა, პო...

— აი მონაცემები ლინდა პეიპსთან დაკავშირებით... შრომითი მაჩვენებლები... მოკლე ბიოგრაფია... წახალისების მოწმობები... თქვენი მივლინების ფურცლები სადაა? ბეჭედი ქვევით დაუსვით... ახლა, სადამო თავისუფალი თუ გაქვთ, შეგიძლიათ სადმე წახვიდეთ... თუმცა, დრამატური ესტონურ ენაზე... დასვენების ბაღი... „ინტურისტში“ ბარი ღამის პირველ საათამდე... ბელა კონსტანტინოვნა, ამხანაგებს პატარა ექსკურსია ჩაუტარეთ...

— შეიძლება გულახდილად ვთქვა? — ხელი ასწია ჟბანკოვმა.

— გთხოვთ, — თავი დაუქნია ლიივაკმა.

— აქ ხომ ყველანი ჩვენები ვართ.

— დიახ, რა თქმა უნდა.

— პოდა, ალაღად, ფლოტურად ვთქვა?

— გისმენთ.

ჟბანკოვმა წინ წადგა ნაბიჯი და კონსპირაციულად დაუწია ხმას:

— მე ეგეები სულ იმაზე მკიდია!

— ანუ? — ვერ გაიგო ლიივაკმა.

— მე ეგეები სულ იმაზე მკიდია!

ლიივაკმა დაბნეულად შემომხედა. მე ჟბანკოვს სახელოზე მოვქაჩე. მან გვერდზე გააბიჯა და განაგრძო:

— დრამატურის ნაცვლად ენ რაოდენობის არაყი მირჩევნია. მე, რა თქმა უნდა, ვიხდი ბოდიშს...

გამტერებული ლიივაკი ბელასკენ შეტრიალდა. ბელა კონსტანტინოვნამ მკაფიოდ მოახსენა:

— ამხანაგი ჟბანკოვი და ამხანაგი დოვლატოვი ყოველივე აუცილებლით უზრუნველყოფილი არიან.

— ძალიან ბევრი ღვინო... — მიამიტად თქვა ვეიშ.

— რას ნიშნავს ბევრი? — არ დაეთანხმა ჟბანკოვი. — ბევრი ფარდობითი ცნებაა.

— ბელა კონსტანტინოვნა, იზრუნეთ სტუმრებზე, — ბრძანა მდივანმა.

— აი, ეს ფლოტურია, — გაიხარა ჟბანკოვმა. — ეს სვენებურადაა!

ჩარევა გადავწყვიტე.

— ყველაფერი ნათელია, — ვამბობ, — მონაცემები მაქვს. ვამხანაგი ჟბანკოვი ფოტოსურათებს გაამზადებს. მასალა დილის ცხრა საათისთვის მზად იქნება.

— გაითვალისწინეთ, წერილი პირადული უნდა იყოს...

მე თავი დავუქნიე.

— მაგრამ ამავე დროს გაითვალისწინეთ ისიც, რომ მთელი ქვეყანა წაიკითხავს.

ისევ დავუქნიე თავი.

— ეს პატაკი უნდა იყოს...

მესამედაც დავუქნიე თავი.

— მაგრამ პატაკი ყველაზე ახლობელი ადამიანისადმი.

კიდევ ერთი თავის დაქნევა. ლიივაკი ჩემს ახლოს იდგა. მეშინოდა მისთვის ღვინის სუნი არ მიმეორთქლებინა. ეტყობა, მაინც მივაორთქლე...

— ძალიან ნუ გაუტევთ. ამხანაგებო, — მთხოვა მან. — ნუ გაუტევთ. ძალიან სერიოზული საქმეა, ასე რომ, ზომიერად...

— გინდათ, დოვლატოვთან ერთად აღგბეჭდავთ? — მოულოდნელად შესთავაზა მან მდივანს. — ორივენი კოლორიტული მამაკაცები ხართ...

— თუ შეიძლება, სხვა დროს, — იმწამსვე თქვა ლიივაკმა, — ხვალ ხომ ვნახავთ ერთმანეთს.

— კეთილი, — დაეთანხმა ჟბანკოვი, — მაშინ უფრო რიგიან გარემოში აღგბეჭდავთ...

ლიივაკს ხმა არ გაუღია.

ქვემოთ ისევ ის ტაქსი და ისევ ის ამდილანდელი მძლოლი გველოდა.

— ფერმაში შევივლით და მორჩა, — თქვა ბელამ.

— შორსაა? — ვეკითხები.

— ათი წუთის გზაა, — მიპასუხა მძლოლმა. — აქ ყველაფერი ახლოსაა.

— კარგი იქნება გზაში საწვავი ჩავასხათ, თორემ იღევა, — მიჩურჩულა ჟბანკოვმა. შემდეგ კი მძლოლს მიუბრუნდა.

— შეფ, პირველივე გასტრონომთან დაამუხრუჭე. ოღონდ იცოდე, არ ჩამიშვა!

— რა ჩემი საქმეა, — განაწყენდა მძლოლი. — გუშინ მე თვითონაც...

— აბა, კომპანიას ხომ არ გაგვიწევ?

— სამუშაოზე ვარ... სახლში მომზადებული მაქვს...

— კეთილი. ოჯახს მიხედვა უნდა. ჭიქა გაქვს?

— აბა არა?!

მანქანა სოფლის მაღაზიის ახლოს გაჩერდა. დახლთან ხალხი ირე-

ოდა. ჟბანკოვს ექვსი რუბლი მუშტში ჰქონდა: ჩაბლუჯული და ენერგიულად მიიკვლევდა გზას.

— თვითმფრინავზე მაგვიანდება, ხალხნო!.. ტაქსი, ხედავთ, მელოდება... ბავშვია ავად... ჩემი ცოლი, ის ძუკნა, მშობიარობს...

ერთ წუთში ორი ლოთი კაპორითურთ მოადგა მანქანას.

მძლოლმა მათ მქრქალი მინის ჭიქა გაუწიდა.

— აბა, გაგვიმარჯოს, ოკეი!

— მეც დამისხი, — ვეუბნები, — რაც იქნება, იქნება.

— კი მაგრამ, ვინ გადაიღებს ფოტოსურათს? — იკითხა ევიმ.

— მიშკა ყველაფერს გააკეთებს. ის კარგი მუშაკია.

და მართლაც, ჟბანკოვი ჩინებულად მუშაობდა. რამდენიც არ უნდა დაეღია. თუმცა მას ყველაზე პრიმიტიული აპარატურა ჰქონდა. ფოტოკორესპონდენტებს თითქმის ხუთ-ხუთ ათასად ღირებული იაპონური კამერები დაუნაწილეს. ჟბანკოვს იაპონური აპარატი არ ერგო. „მაინც სასმელს გადააყოლებს“, — განაცხადა რედაქტორმა. ჟბანკოვი ცხრარუბლიანი აპარატი „სმენათი“ იღებდა. ჯიბით დაჰქონდა, — ფუტლარი დაეკარგა. გამამუღავნებელს კვირების მანძილზე იყენებდა. მასში ნამწვავები ეყარა. ფოტოსურათები კი მკაფიო, ბუნებრივი, გაზეთურად კონტრასტული გამოსდიოდა. ეტყობა, რაღაც განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა...

ბოლოს დირექციის აურაცხელი სტენდით მორთულ შენობას მივადექით. ჭიშკრის თავზე ელავდა ტრანსპარანტი. „ძვალი ძვირფასი სამრეწველო ნედლეულია!“ პარმალთან რამდენიმე კაცი იყო მოქუჩებული. მძლოლმა რაღაცა იკითხა ესტონურად. გზა გვიჩვენეს...

ბოსელი საკმაოდ უღიმღამო დაბალ ნაგებობას წარმოადგენდა. შესასვლელის თავზე ეკიდა მტვრიანი ნათურა, რომელიც გაბინძურებულ საფეხურებს ანათებდა.

ბელა კონსტანტინოვნა, ჟბანკოვი და მე მანქანიდან გადმოვედით. მძლოლი აბოლებდა. ევი უკანა სავარძელზე თვლებდა.

უცებ მოგვადგა კოჭლი კაცი, რომელსაც ოფიცრის ტყავის ჩანთა ეჭირა.

— მთავარი აგრონომი სავკინი, — წარმოგვიდგა ის. — შემოდით.

შევედით. ფიცრულ ტიხრებს იქით ძროხები ტოკავდნენ. ზანზალაკები წკარუნებდნენ, მძიმე ხვნეშა და თივის შარიშური ისმოდა. ზოზინა პირუტყვი თვალმიბნედილი შემოგვცქეროდა.

ძროხაში არის რაღაც საწყლური, დამდაბლებული და გულმიუსვლელი, მის მორჩილებაში, გაუმადრობასა და გულგრილობაში. თუმცა გაბარიტებისა და რქების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ.. მაგრამ ქათამი რომ ქათამია, ისიც კი უფრო დამოუკიდებელი ჩანს. ეს კი ხორციით და ნარჩენებით სავსე ჩემოდანია... თუმცა, მე მათ სულ არ ვიცნობ...

— გამოიარეთ, გამოიარეთ...

ვიწრო პატარა ოთახში აღმოვჩნდით. მაწვნისა და ნეხვის სუნი იდგა. მაგიდაზე ცისფერი მუშამბა ეფინა. დახვეულ შნურზე ლამბა ეკიდა. კედლების გასწვრივ მოჩანდა ტანსაცმლის დასაწყობი ყვითელი ყუთები. კუთხეში საწველი აპარატი პრიალებდა.

- ლინდა პეიპს! — წამოიძახა სავკინმა.
 მივესალმეთ ერთმანეთს.
- მე მივდივარ; — თქვა მთავარმა აგრონომმა, — თუ რამეში დაგჭირდეთ, დამირეკეთ შიდა ტელეფონით — ორი, ორი, ექვსი. ძლივს განვლაგდით. უბანკოვმა ჯიბიდან ფოტოაპარატი ამოიღო. ლინდა პეიპსი რამდენადმე დაბნეული მეჩვენებოდა.
- ის მხოლოდ ესტონურად ლაპარაკობს, — თქვა ბელამ.
- ეგ არაფერია.
- მე გითარგმნით.
- ჰკითხე მას რამე პონტიისთვის, — მიჩურჩულა უბანკოვმა.
- ადექი და შენვე ჰკითხე, — ვეუბნები.
- უბანკოვი ლინდა პეიპსისკენ დაიხარა და პირქუშად ჰკითხა:
- რომელი საათია?
- უთარგმნეთ, — გვერდზე გავწიე უბანკოვი, — ლინდა პეიპსმა როგორ მიაღწია ასე დიდ შედეგებს?
- ბელამ თარგმნა.
- შეშინებულმა მწველავმა რაღაცა წაილულლულა.
- ჩაიწერეთ, — თქვა ბელამ. — კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი...
- ყველაფერი ნათელია, — ვამბობ, — გაიგეთ, პარტიის წევრი თუა?
- წევრია, — მიპასუხა ბელამ.
- დიდი ხანია?
- გუშინს აქეთ.
- მომენტ, — იყვირა ფოტოაპარატმომარჯვებულმა უბანკოვმა. მწველავი ქალი გარინდებით გასცქეროდა სივრცეს.
- საქმე კარგადაა, — თქვა უბანკოვმა, — ექვსიანი მაქვს ჯიბეში.
- ძროხა? — გაუკვირდა ბელას.
- რა ძროხა?
- მე მგონი, ორივეს ერთად უნდა გადაუღოთ.
- ძროხა აქ არ დაეტევა, — ახსნა უბანკოვმა, — იქ კი ბითურული განათებაა.
- აბა; რა ვქნათ?
- უბანკოვმა აპარატი ჯიბეში ჩაიჩურთა.
- რედაქციაში ძროხების მეტი რა მყავს, ამოვჭრი ამ შენს ლინდას და მივაწებებ!
- მაგით რისი თქმა გინდათ?
- იმის თქმა მინდა, რომ არქივში ძროხებს ამოვჭრი და ამ შენს ლინდას მივაწებებ.
- ბელას სახელოზე შევეხე.
- გაიგეთ, დიდი ოჯახი აქვს?
- ბელა ესტონურად ალაპარაკდა. ერთ წუთში მითარგმნა:
- დიდი ოჯახი აქვს, სამი შვილი ჰყავს. უფროსი გოგო სკოლას ამთავრებს. უმცროსი ვაჟი ოთხი წლისაა.
- ქმარი რას აკეთებს?

ბელამ ხმას დაუწია.

— არ ჩაწეროთ... ქმარმა ცოლ-შვილი მიატოვა.

— ჩვენი კაცი ყოფილა! — რატომღაც გაეხარდა ჟბანკოვს.

— კეთილი, — ვამბობ, — წავედით...

დავემშვიდობეთ. ლინდამ ოდნავ იმედგაცრუებულად მზერა გამოგვაყოლა. გულმოდგინედ დალაგებული თმა ლაქისგან უმხინავდა.

ქუჩაში გამოვედით. მძლოლს მანქანა შემოუბრუნებია. სამშის-ქურთუკიანი ევი რადიატორთან იდგა.

ჟბანკოვმა უცებ ცოტათი ააფრინა.

— კიიკ, — იღრიალა მან ესტონურად, — მორჩა! წინ, ამხანაგებო! ახალი მიჯნებისკენ! ახალი მწვერვალებისკენ!

ნახევარი საათის შემდეგ მდინარესთან ვიდექით. მძლოლი თავაზიანად დაგვემშვიდობა და წავიდა. ბელა კონსტანტინოვნამ მის უწყისს მოაწერა ხელი.

თბილი და ნათელი საღამო იყო. მდინარის გაღმა ცის კიდე წითლად იყო შეღებილი. მდინარეზე ვარდისფერი ათინათები ციმციმებდნენ.

შინ წასვლა არ გვინდოდა. ნავმისადგომთან ჩავედით. ერთხანს ვდუმდით. შემდეგ ევიმ მკითხა:

— შენ ესტონეთში რატომ ჩამოსვედი?

რა პასუხი შემეძლო გამეცა? მისთვის მეტყვა, რომ მე სახლი, სამშობლო, თავშესაფარი, ბინა არ მქონდა?.. რომ ყოველთვის მყუდრო სავანეს ვეძებდი?.. რომ მე ცხოვრებას ვთხოვდი მხოლოდ ერთ რამეს — ასე ვიჯდე, ვდუმდე, და არაფერზე ვფიქრობდე?..

ვეუბნები:

— თქვენთან კარგი მომარაგებაა. ღამის ბარები...

— თქვენა? — ბელა ჟბანკოვს მიუბრუნდა...

— მე აქ ვომობდი, — თქვა ჟბანკოვმა, — ჰოდა, დავრჩი. მოკლედ, ოკუპანტი ვარ...

— რამდენი წლისა ხართ?

— არც ისე ბევრისა — ორმოცდახუთის. ომში კი მთლად მიწურულში ჩავერთე, ბიჭი ვიყავი. პოლკოვნიკ ადერთან ვშიკრიკობდი... დავიჭერი...

— მოყევით, — სთხოვა ბელამ, — თქვენ ძალიან კარგად ჰყვებით.

— აქ მოსაყოლი რაა? ნამსხვრევი მეტაკა და... აბა, წავედით?

სახლში ტელეფონმა დარეკა.

— ერთი წუთით, — წამოიძახა ბელამ და კარისკენ მიმავალმა გასაღები ამოიღო. მალე მობრუნდა.

— იუხან ოსკაროვიჩი გთხოვთ ტელეფონზე.

— ვინა? — ვეკითხები.

— ლიივაკი...

სახლში შევედით. გამომრთველი გატკაცუნდა და ფანჯრები ჩაბნელდა. ყურმილი ავიღე.

— პასუხი მივიღეთ, — თქვა ლიივაკმა.

- ვისგან? — ვერ გავიგე.
- ამხანაგ ბრეჟნევისგან.
- ეს როგორ? მისთვის წერილი ხომ ჯერ არ გაუგზავნიათ?
- მერე რა? მაშასადამე, ბრეჟნევის რეფერენტები თქვენზე...
ოდნავ უფრო ოპერატიულები არიან, — დელიკატურად გამოთქვა ლი-
ივაკმა.
- რას იწერება ამხანაგი ბრეჟნევი?
- ულოცავს... მადლობას მოახსენებს ბილწეული წარმატებების
გამო... პირად ბედნიერებას უსურვებს...
- რა ვქნა? — ვეკითხები, — პატაკი დავწერო თუ არა?
- აუცილებლად. ეს ხომ დოკუმენტია. იმედი მაქვს, ამხანაგ ბრე-
ჟნევის კანცელარია მას ძველი რიცხვით გააფორმებს.
- დილისთვის ყველაფერი მზად იქნება.
- გელოდებით...
- გოგოები სუფრის განახლებას შეუდგნენ. ჟბანკოვი და მე სა-
ძილე ოთახში განვმარტოვდით.
- მიშკა, — ვეუბნები, — შენ ისეთი შეგრძნება არა გაქვს, რომ
ეს ყველაფერი სხვა ადამიანების თავს ხდება?... რომ ეს შენ არა ხარ...
და რომ ეს მე არა ვარ... რომ ეს რაღაც იდიოტური სპექტაკლია... შენ
კი უბრალო მაყურებელი ხარ...
- იცი, რას გეტყვი? — შემეხმიანა ჟბანკოვი. — არ იფიქრო,
არ იფიქრო, და მორჩა. მე უკვე თხუთმეტი წელიწადია არ ვფიქრობ.
და თუ იფიქრებ, სიცოცხლე არ მოგინდება. ყველა, ვინც ფიქრობს,
უბედურია...
- შენ კი ბედნიერი ხარ?
- მე? მე, თუ გინდა, ახლავე გაგყოფ თავს ყულფში! აი, რომ და-
ვიძინებდე და არ გავიღვიძებდე...
- რა ვქნათ?
- იქნებ ეგ ისეთი ტკივილია, რომლის გაძლებაც შეუძლებელია...
- რა ვქნათ-მეთქი?
- არ ვიფიქროთ, არაყი დაყლით.
- ჟბანკოვმა ბოთლი დააძრო.
- ეტყობა, დავთვრები, — ვეუბნები.
- დავთვრები, აბა არა! — თვალი ჩამიკრა ჟბანკოვმა. — ბოთლი-
დან ხომ არ გინდა დალიო?
- იქ ჭიქა ხომ არის?
- ჭიქით ის კაიფი არაა.
- რიგრიგობით დავლიეთ. შესატანებელი არაფერი გვებადა. კმაყო-
ფილებით ვგრძნობდი, თუ როგორ მნთქავდა სიმთვრალის ბანგი.
- ცხოვრების კონტურები ნაკლებ მკაფიოდ მკვეთრი ხდებოდა.
- ამის მომდევნო მოვლენების ასასახავად გარკვეულწილად დაძაბ-
ვა მოგვიწევს.
- მახსოვს, განახლდა, გამეორდა დეფიციტური რაიკომური საუზმე.
აუშტა, სუფრაზე გაჩნდა სამიკიტნო ხიზილალა, რაც დაქვეითებას

ათვალსაჩინოებდა. და დაღევაც უფრო დაბალი რანგისა გახდა, — მიშკას საყვარელი არაყი, იუგოსლავიური „სლივოვიცა“, კაპორი.

მეათე წუთზე ჟბანკოვმა ისე იყვირა, რომ გული გადაგვიქანდა და წამოდგა:

— მე მხატვარი ვარ, გაიგე! მხატვარი! მე ხრუშჩოვის ცოლს გადავუღე სურათი! თვითონ ჟისკარს, ბლიად, დ'ესტენს! მხატვართა სახლში გამოფენა მქონდა! შენ კი ამბობ — ძროხაო!

— სულელო, ჩემო სულელო! — ტკბებოდა მისით ბელა, — წამო, ფისო, დასაძინებლად დაგაწვენ...

— შენ ნამეტანი ნაღვლიანი ხარ, — მითხრა ევიმ, — რამე ცუდი მოხდა?

— ყველაფერი, — ვეუბნები, — ჩინებულადაა! ნორმალური ძალღერი ცხოვრებაა...

— ნაკლები უნდა იფიქრო. უნდა გაიხარო იმით, რაც არის.

— აი მიშკაც მეუბნება: დალიეო!

— სმა უკვე გეყოფა. ჩვენ ახლა წავალთ. მე შენ უნდა მოგაწონო თავი...

— რაც ძნელი რამ არაა, — ვეუბნები.

— შენ ძალიან ლამაზი ხარ.

— ძველი სიმღერაა, მაგრამ რა კარგად ჟღერს!

ევი ჩემი სავარძლის ახლოს იატაკზე ჩამოჯდა.

— შენ სხვებს არ გავხარ, — თქვა მან. — შენ კარგი კარიერა გაქვს. შენ ლამაზი ხარ, მაგრამ ხშირად ნაღვლიანი ხარ. რატომ?

— იმიტომ, რომ სიცოცხლე ერთია. მეორე აღარ იქნება.

— შენ არ იფიქრო. ზოგჯერ ჯობია სულელი იყო.

— გვიანაა, — ვამბობ, — სჯობს დავლიოთ.

— ოღონდ ნაღვლიანი ნუ იქნები.

— ეს გათავდა. მე მალლა მივიწევ. საპასუხისმგებლო დავალება მივიღე. დიდი ჟურნალისტის სივრცეებზე გავდივარ...

— მანქანა გყავს?

— შენ ის მკითხე, მთელი წინდები თუ მაქვს.

— ძალიან მინდა მანქანა.

— გექნება, გავმდიდრდები და ვიყიდით.

შევსვი და კიდევ დავისხი. ბელა ჟბანკოვს საძილე ოთახისკენ მი-ათრევდა. ჟბანკოვი ფეხებს ორი დამჭკნარი გლადიოლუსივით მიასა-სავებდა იატაკზე.

— ჩვენც წავიდეთ, — მითხრა ევიმ, — შენ უკვე გეძინება.

— ახლავე.

დავლიე და ისევ დავისხი.

— წავიდეთ.

— აი, ხვალ წავალ, და ვინმე მანქანიანს იპოვნი.

ევი დაფიქრდა, თავი მუხლებზე დამადო.

— ხელმეორედ მხოლოდ ებრაელზე გავთხოვდები, — განაცხადა მან.

— ვითომ რატომაო? გგონია, რომ ყველა ებრაელი მდიდარია?

— აგისხნი. ებრაელები წინადაცვეთას იკეთებენ...

- მერე.
- სხვები არ იკეთებენ!
- აი ის ოხრები!
- ნუ იცინი. ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა. როცა წინადაცვეთა არაა, სმეგმას ვიღებთ...
- რას?
- სმეგმას. ეს ცუდი ნივთიერებებია... კანცეროგენები. აი იქ, გინდა გაჩვენო?
- არ მინდა, დაუსწრებლად ჯობია...
- როცა წინადაცვეთაა, სმეგმა არ მიიღება, ჰოდა, მაშინ არც საშვილოსნოს ყელის კიბო ჩნდება. იცი, რა არის საშვილოსნოს ყელი?
- ვთქვათ, ვიცი... დაახლოებით...
- სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ როცა არ არის წინადაცვეთა, სშირია საშვილოსნოს ყელის კიბო. ისრაელში კი სულ არ არის...
- რა არ არის?
- საშვილოსნოს ყელი, საშვილოსნოს ყელის კიბო... სამაგიეროდ არის ყელის კიბო, კუჭ-ნაწლავის კიბო...
- არც ესაა დიდი სიამე, — ვეუბნები.
- რასაკვირველია, — დამეთანხმა ევი. გავჩუმდით.
- წავიდეთ, — მითხრა მან, — შენ უკვე იძინებ...
- დაიცა. წინადაცვეთა უნდა გავიკეთო...
- სავსე ჭიქა გადავკარი და კვლავ დავისხი.
- ძალიან მთვრალი ხარ, წავიდეთ...
- წინადაცვეთა უნდა გავიკეთო. ყველაფერს აჯობებს ის ყელი მოიჭრას, მაგის დედა ვატირე!
- შენ ძალიან მთვრალი ხარ. და ჩემზე ბრაზობ.
- მე არ ვბრაზობ. ჩვენ — მე და შენ — სხვადასხვა თაობის ადამიანები ვართ. ჩემი თაობა ნაგავია! შენი კი უკვე ფანტასტიკური რაღაცაა!
- რატომ ხარ გაბრაზებული?
- იმიტომ, რომ სიცოცხლე ერთია. წამი გავა, და მორჩა. მეორე არ იქნება...
- უკვე ღამის პირველი საათია, — თქვა ევიმ. დავლიე და დავისხი. და მაშინვე სადღაც გადავეშვი. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს აქვარიუმის ფსკერზე ვიყავი. ყველაფერი ირწეოდა, მიცურავდა, რაღაც ათინათები ციალებდნენ... შემდეგ ყველაფერი გაქრა...
- ... კაკუნმა გამომალვიძა. ჟბანკოვი შემოვიდა. მას სპორტული ხალათი ეცვა.
- საწოლის გარდიგარდმო ვიწექი. ჟბანკოვი გვერდზე მომიჯდა.
- როგორ ხარ? — მკითხა მან.
- ნუ მკითხავ.
- როცა მოვხუცდები, — განმიცხადა ჟბანკოვმა, — შვილებსა და შვილიშვილებს ანდერძს დავუწერ. ეს ერთი — ერთადერთი ფრაზა იქნება. იცი რომელი?

— რომელი?

— ეს იქნება ერთი — ერთადერთი ფრაზა: „ნაბახუსევზე ქალთან ნუ დაწვებით!“ და სამი ძახილის ნიშანი.

— ცუდადა ვარ. ძალიან ცუდად.

— და სამკურნალოც არაფერი გვაქვს. შენ ხომ სულ გამოცალე.

— ჩვენი ქალები სად არიან?

— საუზმეს ამზადებენ. უნდა ადგე. ლიივაკი გვეუბნება...

უბანკოვი ჩასაცმელად გავიდა. მე თავი ონკანს შევუშვირე. შემდეგ საბუჯდ მანქანას მივუჯექი. ხუთ წუთში ტექსტი მზად მქონდა.

„ძვირფასო და დიდად პატივცემულო ლეონიდ ილიჩ! მინდა სასიხარულო მოვლენა გაგიზიაროთ. განვლილ წელიწადში მე შევძელი არნახული შრომითი მაჩვენებლებისთვის მიმეღწია. ერთ ძროხაზე მე რძის სარეკორდო... („ერთ ძროხაზე“ განზრახ დავწერე. სიტყვების ამგვარი შეთანხმებით წერილის ცხოვრებისეული ნამდვილობისა და მისი ავტორის გულისამაჩუყებელი გლეხური გულმართლობის ილუზიის შექმნა მინდოდა).

დასასრული ასეთი იყო:

„... და კიდევ ერთი სასიხარულო მოვლენა მოხდა ჩემს ცხოვრებაში. ჩვენი ფირმის კომუნისტებმა ერთსულოვნად ამირჩიეს თავიანთ წევრად!“

აქ სტილისტიკა უკვე აშკარად კოჭლობდა. გადაკეთების თავი არ მქონდა.

— საუზმეზე გთხოვთ, — დაგვიძახა ბელამ.

ევიმ პური დაჭრა. მე მას დამნაშავესავით მივესალმე. პასუხი: მომხიბვლელად გაღიმება და გულითადი „როგორ გრძნობ თავს?“

— უარესს ვერ წარმოიდგენ. — ვეუბნები.

უბანკოვმა კეთილსინდისიერად გამოაკვლია ცარიელი ბოთლები.

— ერთი გრამიც არაა ჩატოვებული, — დაამოწმა მან.

— ყავა დალიეთ, — გვარიგებდა ბელა, — ერთ წუთში ტაქსში ვსხდებით.

ყავამ ვერ გამომაკეთა. ჭამაზე ხომ ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

— რალაც გროშები კიდევ მიჩხრიალებს, — თქვა უბანკოვმა და ხურდები ამოკრიბა. შემდეგ ბელა კონსტანტინოვნას შეხედა:

— დედი, რუბლნახევარს კიდევ დამიმატებ?

ბელამ საფულე ამოიღო.

— ტალინიდან გამოგიგზავნი...

— კარგი, შენ ის გამოიმუშავე, — ცინიკურად გაიცინა ბელამ.

ავტომობილის საყვირი მოისმა.

პორტფელეები გავიტანეთ და ტაქსში ჩავსხედით. მალე ლიივაკი გვართმევდა ხელს. ჩემს მიერ დატოვებული ტექსტი მოიწონა. მეტიც, მოკლე სიტყვაც წარმოთქვა:

— მე კმაყოფილი ვარ, ამხანაგებო. თქვენ კარგად იმუშავეთ, კულტურულად დაისვენეთ. თქვენი გაცნობა მახარებს. იმედი მაქვს,

რომ ჩვენი ეს მეგობრობა ტრადიციული გახდება. პარტიული მუშაკი და ჟურნალისტი ხომ რალაციით, მე ვიტყვოდი, კოლეგები არიან. წარმატებებს გისურვებთ რთულ იდეოლოგიურ ფრონტზე. იქნებ კითხვები გაქვთ?

— აქ ბუფეტი სადაა? — ჰკითხა ჟბანკოვმა. — მსოფლიოშია წავიშკურნალოთ...

ლიივაკი მოიღუშა:

— მომიტევეთ უხეში რუსული გამოთქმა...

საყვედურის გამომხატველი პაუზის შემდეგ:

— ... მაგრამ ბავშვებივით იქცევით!

— რაო, არც ლუდის დალევა შეიძლება? — იკითხა ჟბანკოვმა.

— თქვენ შეიძლება დაგინახონ, — დაუწია ხმას მდივანმა, — ჭრელი ხალხია... ხომ იცით, როგორი ვითარებაა რაიკომში...

— შენც სამუშაო შეირჩიე, რალა, — თანაგრძნობით უთხრა მას ჟბანკოვმა.

— მე განათლებით ინჟინერი ვარ, — მოულოდნელად თქვა ლიივაკმა.

გავჩუმდით. დამშვიდობებას შევუდექით. მდივანი უკვე რალაც ქალაქებს ფურცლავდა.

— მანქანა გელოდებათ, — თქვა მან. — სადგურში მე დავრეკავ. მეოთხე სალაროს მიმართეთ. უთხარით, რომ ჩემგანა ხართ...

— ჩაო, — ხელი დაუქნია მას ჟბანკოვმა.

ქვევით ჩავედით. მანქანაში ჩავსხედით. ბრინჯაოს ლენინი თვალს გვაყოლებდა. გოგოები ჩვენთან ერთად წამოვიდნენ.

პერონზე ჟბანკოვი და ბელა გვერდზე გავიდნენ.

— კიდევ მოხვალ? — მკითხა ევიმ.

— რასაკვირველია.

— მეც ჩამოვალ ტალინში. რედაქციაში დავირეკავ, რათა შენი ცოლი არ გაბრაზდეს.

— მე ცოლი არა მყავს, — ვეუბნები, — მშვიდობით, ევი. ნუ გამიბრაზდები, გეთაყვა...

— ასე ბევრი არ დალიო, — მითხრა ევიმ.

თავი დავუქნიე.

— თორემ სექსის გაკეთებას ვერ შეძლებ.

მასთან მივედი, ჩავიხუტე და ვაკოცე. ბელა და ჟბანკოვი მოგვიასლოვდნენ. ჟბანკოვის შესტიკულაციით ჩანდა, რომ ის თავხედურად ცრუობდა.

კუბეში ავედით. ბელა და ევი მხიარული ბაასით მიდიოდნენ მანქანისკენ. არც შემობრუნებულან...

— ნაბახუსევზე ტალინში დავლიოთ, — თქვა ჟბანკოვმა, — ექვს რუბლამდე მაქვს. გინდა სასიამოვნო რამე გითხრა? — ჟბანკოვმა თვალის ჩამიკრა. სახე მხიარულმა, მოხეიძე ლიმილმა გაუცისკროვნა: — გითხრა? კიდევ ჟორას მართებს ჩემი სამოცდაათი კაპიკი!..

მეცხრე კომპრომისი

(„სოვეტსკაია ესტონია“. ივლისი. 1976 წ.)

„ყველაზე ძნელი დისტანცია. ტიინა კარუ დაიბადა მეგობრულ ოჯახში, სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, იყო ალექსანდრე ნეველსკის მდივანი, გატაცებული იყო სპორტით. აქ უნდა გამოიყოს ერთი ნიშანდობლივი დეტალი. მსუბუქი ათლეტიკის უამრავი სახეობიდან ის უპირატესობას აძლევდა სირბილს 400 მეტრზე, ეს დისტანცია კი, სპეციალისტების აზრით, ყველაზე უფრო შრომატევადია სპორტში, სინჯარისა და ამტანობის, ფეთქებადი ძალისა და გამარჯვებისკენ დაძაბული ლტოლვის შერწყმას მოითხოვს. შეუპოვრობა, თანმიმდევრულობა, ასკეტური რეჟიმი — აი ის ფაქტორები, რომლებმაც განსაზღვრეს ტიინას ბიოგრაფია, მისი გზა დასახული მიზნისკენ. სკოლის დამთავრების შემდეგ ტიინა შედის ტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის განყოფილებაზე, მონაწილეობს სტუდენტთა სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაობაში, ხალისით ასრულებს კომკავშირულ დავალებებს. ბოლო კურსზე ხდება სკაკ წევრი. შემდეგ ის ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის ასპირანტია. ტიინას, როგორც სპეციალისტ-ქიმიკოსს, აინტერესებს კანცეროგენური ნივთიერებების შემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. დისერტაცია თითქმის მზადა აქვს.

ტიინა კარუ დიდ რეალურ მიზნებს ისახავს. მწამს, რომ ის თავის რთულ დისტანციაზე წარმატებებს მიაღწევს“.

ტიინა კარუ და მე ერთმანეთს ჩვენმა საერთო მეგობრებმა გაგვაცნეს. საინტერესო, საკმაოდ ჭკვიანი ქალია, ახალგაზრდა მეცნიერი. მასზე ჩანახატი მოვამზადე. ტიინას ზოგჯერ სხვადასხვა სამეცნიერო კომპანიებში ვნახულობდი. ერთხელ მირეკავს:

— გცალია? მინდა დაგელაპარაკო.

კაფე „რაიაში“ მივუვლი. ჯინი შევუკვეთე. ტიინამ მითხრა:

— ოთხი წელია გათხოვილი ვარ. აქამდე ყველაფერი კარგად იყო. ზაფხულში რუდი მოსკოვში იყო. შემდეგ დაბრუნდა. ჰოდა, ამის შემდეგ დაიწყო ყველაფერი...

— ?

— უცნაური რაღაც ხდება. მას უნდა... აბა, როგორ აგიხსნა... ჩვენ ერთმანეთისთვის უცხონი გავხდით...

დავიძაბე და მკაფიოდ ვკითხე:

— სქესობრივი მხრივ?

— სწორედ.

— რითი შემძლია დაგეხმაროთ?

— ანუ შენ რატომ მოგმართე, არა? შენ ჩემს ნაცნობებს შორის ერთადერთი ამორალური ადამიანი ხარ. ჰოდა, შენთან საკონსულტაციოდ მოვედი.

— არ მესმის.

— სიტუაციის განსახილველად.

— იცი, რა, მე ამ თემებზე მამაკაცებთანაც კი არ ვბჭობ. მაგრამ ჩემს მეგობარს აქვს წიგნი „სექსის ტექნოლოგია“. თუ გინდა, გამოვართმევ. ოღონდ ცოტა ხნით. ეს მისი ნიადაგსამარი წიგნია. შენ რუსულად თავისუფლად კითხულობ?

— რასაკვირველია.

მას „ტექნოლოგია“ მივუტანე. შესანიშნავი წიგნია. ზღაპრულად გვერდს გადაშლი, აწერია „შესავალი“. უკვე სასაცილოა. მისი ერთ-ერთი კარი ასე იწყება: „უზომოდ დიდმუცლიან საყვარლებს შეგვიძლია შევთავაზოთ პოზიცია-7“. ჰუმანურმა ავტორმა ისეთ საზიზღარ არსებებსაც კი მიაქცია ყურადღება, როგორც უზომოდ დიდმუცლიანი საყვარლები არიან...

წიგნი მივეცი. ერთი კვირის შემდეგ მიბრუნებს...

— ყველაფერი გაიგე?

— ვერ გავიგე მხოლოდ ერთი სიტყვა — „исподволь“.

ავუსხენი, რასაც ნიშნავს.

— ახლაც მინდა პრაქტიკულ ჩვევებს დავეუფლო.

— დამილოცნიხარ, ჩემო გოგო!

— ოღონდ არა ქმართან. მე ჯერ უნდა ვივარჯიშო.

ხაზს ვუსვამ, რომ ამას ბეწვისოდენა კოკეტობის გარეშე, ესტონური მანერით, საფუძვლიანად და საქმიანად ამბობდა.

— შენ ამორალური ადამიანი ხარ? — მკითხა მან.

— მთლად არა.

— მაშასადამე, უარს მეუბნები?

— ტიინა! — შევლაღადე მას. — ეს ასე არ კეთდება! ჩვენ კარგი ამხანაგური ურთიერთობა გვაქვს. დროა საჭირო, ეს ურთიერთობა შეიძლება სხვა გრძნობაში გადაიზარდოს.

— რომელში?

— რა რომელში?

— რამდენი დრო სჭირდება ამას?

— ღმერთო ჩემო, არ ვიცი... თვე, ორი თვე..

— არ გამოვა. მე აპრილში საკანდიდატო მინიმუმს ვიცავ... ვინმე გამაცანი. სასურველია შავგვრემანი იყოს. ხომ გყავს შენ ნაძირალა მეგობრები?

— ჩემი მეგობრების უმეტესობა ეგენი არიან, — ვთქვი მე.

ვზივარ, ვფიქრობ. შაბლინსკი, რასაკვირველია, ხუთოსანია, მაგრამ უხეშია. როზენშტეინი აგარაკს აშენებს, სულ ქანცგაცლილია. ვულაევი ქერაა. მიტია კლიონსკის ტრიპერი ჭირს. ოსკა ჩერნოვი? მგონი, შესაფერისია. მორიდებული, მოგიზგიზე შავტუხაა. მართალია, ცოტა ძუნწი კია, მაგრამ ეგ არაფერი. ერთხელ გამოდგება.

ჩერნოვს ვეკითხები:

— ბევრი ქალი გყავდა?

— ოცდათექვსმეტი და ოთხი კითხვის ნიშნის ქვეშ.

— რას ნიშნავს კითხვის ნიშნის ქვეშ?

— ოსკამ თავი დახარა:

— ყოველგვრი გადახრებით...

ვარგა, ვიფიქრობ. მას საქმის არსი გავაცანი. დაიბნა:
— მე ის როგორღაც ვნახე. ის მეც მომწონს. მაგრამ, დამეთანხ-
მე, რომ ასე, უტილიტარულად...

— შენთვის ხომ ეს...

— მე მაინც მამაკაცი ვარ.

— ჰოდა, შეეწიე, ხელი გაუმართე ადამიანს.

ჩემი ფულით ვიყიდე ერთი ბოთლი რომი, და ოსია და ტიინა და-
ვპატიყე. ტიინამ მიჩურჩულა:

— მე ჩემს დაქალს მოველაპარაკე. მისი ბინა სამი საათის მანძი-
ლზე ჩემს განკარგულებაში იქნება.

დავლიეთ, გავაბოლეთ, ბი-ბი-სის მოვუსმინეთ. ოსკამ ჭკუისკოლო-
ფობის სეანსი წამოიწყო:

— დიახ, სიცოცხლისუნარიანი მხოლოდ დევნილი ორგანიზაცია
შეიძლება იყოს...

ტიინამ შეაწყვეტინა.

— უნდა წავიდეთ. თორემ შეიძლება ჩემი დაქალი დაბრუნდეს.
წავედით. დილას ტიინა მირეკავს.

— რას იტყვი? — ვეკითხები.

— მიმაცილა და წავიდა.

ჩერნოვს ვურეკავ:

— შენ სინდისი გაქვს?

— იცი რა, ძველო, არ შემიძლია. როგორღაც არ გამოდის...

— ამის შემდეგ შენ რა მამრი ხარ?!

ოსკა აღშფოთდა:

— შენ რამდენიც კატლეთი გიჭამია, მე იმაზე მეტი ქალი მყავ-
და. ასეთი კი არ შემხვედრია. ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ მე ის
მომწონს.

ორივენი ისევ დავპატიყე. ჩარჩენილი რომი ჩამოვდგი. წავიდ-
ნენ. ტიინა მირეკავს:

— ეშმაკმა დალახვროს შენი მეგობრის თავი!

— ნუთუ ისევ იდეზერტირა? — ვეკითხები.

— ყური მიგდე. ჩავსხედით მანქანაში. ოსია სიბნელეში იხდის
ფულს. მძლოლს რუბლიანის მაგივრად ათრუბლიანი ჩაუჩურთა. შემ-
დეგ საშინლად წაუხდა გუნება. სახლში ფეხით წავიდა... ვხედავდი,
ათრუბლიანს რომ უჩურთავდა. ვიფიქრე, კავკასიაში ასეა მიღებული-
მეთქი. კიდევ ის ვიფიქრე, ჩემზე შთაბეჭდილების მოხდენა უნდა-მეთ-
ქი. ოსია ხომ ქართველია?

— ოსია ებრაელია. და საერთოდ მისი ნამდვილი გვარი მალ-
კიელია.

ისევ ვრეკავ:

— ოსკა! სინდისი იქონიე!

— ყური მიგდე, ათრუბლიანი, რუბლიანი და ხურდები მქონდა...
ისინი მესამედ დავპატიყე.

— ყური მიგდეთ, — ვამბობ, — მე დღეს რედაქციაში ვათევ ლა-
მეს. თქვენ კი აქ დარჩით. შნაპსი მაცივარშია. თუ დარეკავენ, ყურმი-
ლი არ აიღოთ. კარი უნდა ჩარაზოთ, ოსკა რომ არ გაიქცეს.

— არ გავიქცევი, არა.
 რედაქციისკენ გავემართე სამორიგეოდ. ტინა მირეკავს:
 — ერთი წუთით ჩამოდი.
 პოლში ჩამოვედი. ის პორტფელიდან შოკოლადს და კისკ „ლონგ
 ჯონსის“ ბოთლს იღებს.
 — მოდი, — ამბობს, — უნდა მაკოცო. ნუ გეშინია, ამხანაგუ-
 რად...
 მაკოცა.
 — რომ იცოდე, როგორ გემადლიერები!
 — ოსკას ემადლიერე.
 — ათი რუბლი დავუბრუნე, აი ის ათი რუბლი, მძლოლს რომ
 მისცა.
 — როგორი თავის მოჭრაა!
 — კარგი, პო, ის ათი რუბლი მან გამოიმუშავა.
 მე ბოთლი ჯიბეში დავმალე და წავედი მორალურ თემაზე სტატიის
 დასამთავრებლად.

მეათე კომპრომისი

(„ვეჩერნი ტალლინი“. ივლისი. 1976 წ.).

„ისინი ჩვენ ცხოვრებაში გვიშლიან ხელს“. დღეს დილას № 4
 სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მოიყვანეს მოქალაქე ე. ლ. ბუში,
 რომელიც ცდილობდა თავი რესპუბლიკური პრესის მუშაკად გაესაღე-
 ბინა. ე. ლ. ბუშმა სამედიცინო გამოსაფხიზლებლის პერსონალს წინა-
 აღმდეგობა გაუწია, რაც კბენით გამოიხატა. გადაწყდა, რომ ეს ეცნო-
 ბოს მისი მუშაობის ადგილზე, რომლის დადგენაც თუნდაც მიახლოე-
 ბითი სიზუსტით ჯერ ვერ მოხერხდა“.

როგორც ყოველთვის, სპირტიანი სასმელი არ გვეყო და ასევე რო-
 გორც ყოველთვის, ეს ახლაც წინასწარ განვჭვრიტე. საუზმესთან და-
 კავშირებით კი პრობლემები არ გვქონდა, ან რა პრობლემები უნდა
 გვქონოდა, რაკი სევასტიანოვს შეეძლო ჩვეულებრივი ვაშლი სამოც-
 დაოთხ ნაწილაკად დაეჭრა?!

მახსოვს, „სტრელეცკაიას“ მოსატანად ორჯერ გავიქეცი. შემ-
 დეგ მოვიდნენ ვილაც გოგოები ყინულზე ბალეტიდან. შაბლინსკი სულ
 გოგოებს უყურებდა და იძეორებდა:

— ჩვენ გავადნობთ ამ ყინულს... ჩვენ გავადნობთ ამ ყინულს...
 ბოლოს არაყზე ჩემი გაქცევის რიგიც დადგა. შაბლინსკი გამომ-
 ყვა. როცა დავბრუნდით, გოგოები არ დაგვხვდნენ.

შაბლინსკიმ თქვა:

— ის გოგოები, მე რომ მეგონა, იმაზე ჭკვიანები აღმოჩნდნენ.
 ჭამეს, სვეს და გაიპარნენ.

— კარგი, პო, — თქვა სევასტიანოვმა, — მოდით, კარტოფილს
 მოვხარშავ.

— იქნებ ფაფაც შემოგეთავაზებინა! — დაუყვირა შაბლინსკიმ.

დავლიეთ და გავაბოლეთ. ალკოჰოლი არაეფექტურად მოქმედებ-
 და. სათანადოდ, საჭიროებისამებრ დათრობაც ხომ ხელოვნებაა...

ასეთ შემთხვევებში გოგობთან დარეკვას აზრი არა აქვს. რაკი ღრეობა არ გამოვიდა, მორჩა. შენ მხოლოდ სრული დამცირებები გელის. ვითარება უნდა შეიცვალოს. ვითარება — აი რაა მთავარი.

მახსოვს, თოფიკ ალიევი ჰყვებოდა.

— სახლში მაქვს როიალი, სასმელები, ვერცხლები... თითქმის ალორძინების ეპოქის სურათები... და არავინ არის... გარაჟში კი რაგინდარა ხარახურაა, ძველი საბურავები, ბრეზენტის შალითა... ამ შალითაზე ქორეოგრაფიული სასწავლებლის ნახევარი მყავდა. ბევრი პირდაპირ მიყოლიებდა — გარაჟში წავიდეთო! იქ შესატყვისი ვითარებააო...

შაბლინსკი დგება და ამბობს:

— ტალინში წავედით.

— წავედით, — მხარს ვუჭერ.

ჩემთვის სულერთი იყო. მით უფრო, რომ გოგობები გაქრნენ.

შაბლინსკი გაზეთ „სოვეტსკაია ესტონიაში“ მუშაობდა. ერთი კვირით ლენინგრადში იყო სტუმრად ჩასული. და ახლა სახლში მისვლის ხელსაყრელი შემთხვევა პქონდა.

სევასტიანოვმა შემოგვთავაზა არ დავმლილიყავით. ქუჩაში გავედით. მაღაზიაში შევიხედეთ. ბოთლებისგან ჯიბეები ჩამოწყვეტილი გვქონდა. საზაფხულო პერანგი და კედები მეცვა. თან პასპორტიც არ მქონდა.

ათიოდე წუთში „ვოლგა“ მოგვადგა. საჭესთან იჯდა პირქუში კაცი, რომელსაც შაბლინსკი გრიშანიას ეძახდა.

გრიშანია მთელ გზაზე დუმდა. არყის დაღვევაზე უარი თქვა. ისიც კი მომეჩვენა, რომ მას შაბლინსკი საერთოდ პირველად ხედავდა.

სწრაფად გავცდით ლენინგრადის უშნო ჩრდილოეთ-დასავლეთ გარეუბნებს.

ამის შემდეგ იყო ერთფეროვანი ახალშენები, ღია-მწვანე ველები და მოზოზინე მდინარეები. გადასასვლელზე გრიშანიამ დაამუხრუჭა, კარი გააღო და ბუჩქებისკენ გაემართა. იქამდე მან, როგორც ეს სხვების უგულბელმყოფელთ სჩვევიათ, გულმოდგინედ შეიხსნა შარვალი.

— რატომაა ის ასე პირქუში? — ვკითხულობ.

შაბლინსკიმ მიპასუხა:

— ის პირქუში არაა. მის საქმეს იძიებენ. თუ არ ვცდები, იქ ქრთამი ფიგურირებს.

— რაო, მან ვინმეს ქრთამი მისცა?

— გრიშას ნუ გააიდუალებ. გრიშა კი არ აძლევდა, იღებდა. თანაც, განუზომელი ოდენობით. და აი, ახლა მის საქმეს იძიებენ. უკვე გაუსვლელი ხელწერილი ჩამოართვეს.

— აბა, როგორ გამოვიდა?

— საიდან?

— ლენინგრადიდან.

— ტალინში დაადებინეს ხელწერილი.

— ტალინიდან როგორღა გამოვიდა?

— სულ უბრალოდ. მანქანაში ჩაჯდა და წამოვიდა. გრიშას უკვე არაფერი აქვს დასაკარგი. მას მალე დააპატიმრებენ.

— როდის? — ზედმეტი კითხვა დავუსვი.

— ტალინში ჩვენს ჩასვლამდე არა...

ამ დროს გრიშანია ბუჩქებიდან გამოვიდა. გზაზე შარვალს გულ-
მოდგინედ იკრავდა. მის ძლიერ მაჯაზე რაღაც ბრწყინავდა.
„ხელბორკილია?“ — გამიელვა თავში.

შემდეგ დავინახე, რომ მას მეტალის სამაჯურიანი ორი საათი ეკეთა.

გზა განვაგრძეთ.

ნარვის იქით პეიზაჟი შეიცვალა. ბუნება აქ უკვე მეტნაკლებად მოწესრიგებული ჩანდა. სახლებიც უფრო აკურატული და მკაცრი იდგა.

შაბლინსკიმ შესვა და ჩათვლიმა. მე კი სულ ვფიქრობდი — რატომ, საით და რისთვის მივდივარ? და რა სულელურად მიედინება ჩემი ცხოვრება!..

დაბოლოს ტალინს მივუახლოვდით. გავიარეთ მისი უსახო აგურის გარეუბნები. შემდეგ გოთიკამ გაიელვა. და აი, უკვე რატუშის მოედანზე ვართ.

საჯდომს ქვეშ ბოთლმა დაიწკარუნა. მანქანამ დაამუხრუჭა. შაბლინსკიმ გაიღვიძა.

— აი უკვე შინა ვართ, — თქვა მან.

ავტომობილიდან ვადმოვედი. რიყეფენილი ბუნდოვან ნეონის ასოებს ირეკლავდა. ბრტყელი ფასადები პირქუშად იყვნენ გამოშვერილი სიბნელიდან. პეიზაჟი ანდერსენის წიგნების ილუსტრაციებს ჰგავდა.

შაბლინსკიმ ხელი გამომიწოდა:

— დარეკე.

მე ვერ გავაგე.

მაშინ მან თქვა:

— ნელკა ღელავს.

ახლა კი საბოლოოდ დავიბენი. სასოწარკვეთილმა ისიც კი ვკითხე:

— ნელკა ვინაა?

— ჩემი ცოლია, — თქვა შაბლინსკიმ, — დაგავიწყდა? ჩვენს ქორწილში ხომ პირველი შენ გაითიშე...

შაბლინსკიმ უკვე დიდი ხანი იმუშავა პარტიულ გაზეთში. ფუნქციონერის მდგომარეობა მას მაინცდამაინც არ ბორკავდა. რაღაც მომხიბვლელობაც კი შემორჩა.

საერთოდ, მე შევამჩნიე, რომ ადამიანის მომხიბვლელობის მოსპობა საკმაოდ ძნელი რამაა. ეს გონების, პრინციპების ან რწმენის მოსპობაზე გაცილებით ძნელია. ეს ზოგჯერ პარტიული მუშაობის ათწლეულებსაც კი არ ძალუძს. ღირსება, ეტყობა, სავსებით დაკარგულია; მაგრამ მომხიბვლელობა შემორჩა. თქვენ წარმოიდგინეთ, მორდოვიაში მომხიბვლელ ციხის უფროსსაც კი ვიცნობდი...

მოკლედ, შაბლინსკი ნორმალური ადამიანი იყო. და თუ სადაგლობებსაც აკეთებდა, მაინცდამაინც მეტისმეტად თავგამოდებით არ აკეთებდა. მე მასთან თითქმის ვიშვებობდი. ახლა კი...

— დარეკე; — გაიმეორა მან...

ტალინში აქამდეც ვყოფილვარ... მაგრამ ეს შემთხვევითი კონკრეტული ნებები იყო. ანუ ის, რაც გულისხმობდა აუცილებელ ქალაქებს, ფულს და სასტუმროს. რაც მთავარია, უგვანო, მაგრამ დაგეგმილ მიზანს.

ახლა კი რისთვის ჩამოვედი? რედაქციიდან დამითხოვეს. ჯიბეში თექვსმეტი რუბლი მიდევს. აქ ჩემს ერთადერთ ნაცნობს ცოლთან მიიჩქარება. გრიშანია რომ გრიშანიაა, იმასაც სადაცაა დაიჭერენ.

ამ დროს შაბლინსკი დაფიქრდა და თქვა:

— იდეა მაქვს. ბუშთან წადი. უთხარი, რომ ჩემგანა ხარ. ხალხით შეგიკედლებს.

— ბუში ვინაა?

— ბუში ფანტასტიკური ვილაცაა. თვითონ ნახავ. ვფიქრობ, მოგეწონება. ტელეფონი — ოთხი, ორი ნული, თერთმეტი.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს. გრიშანია ავტომობილში იჯდა. შაბლინსკიმ მას ხელი დაუქნია და სწრაფად შეუხვია კუთხეში. ასე მიმატოვა უცნობ ქალაქში. გასაოცარია, რომ ერთი კვირის შემდეგ ჩვენ ერთ გაზეთში ვიმუშავეთ და თითქმის ვიშვებობდით.

ამ დროს ავტომობილის მინა ნელა ჩამოეშვა და გრიშანიამ გამოიხედა.

— ფული ხომ არ გჭირდება? — მკითხა მან.

ფული მჭირდებოდა. მეტიც — აუცილებლად მჭირდებოდა. და მაინც ასე ვუპასუხე:

— გმადლობთ. ფული მაქვს.

პირველად შევაფლეთ თვალი გრიშანიას სახეს. ის მყვინთავს ჰგავდა. მყვინთავით მარტოხელა და შეულწევ-შეუჟონავი იყო.

მომინდა მისთვის რამე სასიამოვნო მეთქვა. მე მისმა კეთილშობილებამ განმაცვიფრა. ფულის გასესხება დაპატიმრების წინ — ხვედრის უფრო დახვეწილად ასე კატეგორიულად აუღიარებლობა, უარყოფა შესაძლებელია კი?..

— წარმატებას გისურვებთ, — ვუთხარი მე.

— ჩაო, — მოკლედ მიპასუხა გრიშანიამ.

სამსახურიდან ოქტომბრის დასაწყისში დამითხოვეს. მე, როგორც იტყვიან, „ყველაფრისთვის ერთად“ გამომაძევეს. ეტყობა, ჩემს თავს ბევრი ზედმეტი რამის უფლებას ვაძლევდი.

ჟურნალისტიკაში ყველას ერთი რაღაცის კეთების უფლება ეძლევა. შეუძლია ერთ რაღაცაში დაარღვიოს სოციალისტური მორალის პრინციპები. ანუ ერთს სმის უფლება ეძლევა. მეორეს — ხულიგნობისა. მესამეს — პოლიტიკური ანეგდოტების მოყოლისა. მეოთხეს — ებრაელობისა. მეხუთეს — უპარტიოობისა. მეექვსეს — ამორალურად ცხოვრებისა. მაგრამ თითოეულს, ვიშვებ, მხოლოდ ერთი რამის ნება აქვს. არ შეიძლება ერთდროულად ებრაელი და ლოთი იყო. ან ხულიგანი და უპარტიო...

მე კი დამლუპველად უნივერსალური გახლდით. ანუ ჩემს თავს ცოტ-ცოტათი ყველაფრის უფლებას ვაძლევდი.

ვსვამდი, ვსკანდალობდი, იდეოლოგიურ სიბეცეს ვავლენდი. ამას ვარდა, პარტიის წევრი არ ვიყავი და ნაწილობრივ, თქვენ წარმოიდგინეთ, ებრაელი გახლდით. დასასრულ, ჩემი ოჯახური ცხოვრება სულ უფრო და უფრო იწეწებოდა.

ეროვნული

და დამითხოვეს. პარტკომის კრებაზე გამომიძახეს და მიხსნეს:

— კმარა! არ დაგავიწყდეთ, რომ ჟურნალისტიკა იდეოლოგიური ფრონტის მოწინავე ხაზია, ფრონტზე კი მთავარი დისციპლინაა. და თქვენ სწორედ ეს გაკლიათ. გასაგებია?

— მეტ-ნაკლებად.

— გამოსწორების შანსს ვაძლევთ. ქარხანაში წადით. თავი მძიმე ფიზიკურ შრომაში გამოიჩინეთ. მუშკორი გახდით. თქვენს კორესპონდენტობებში ნამდვილი ცხოვრება ასახეთ...

ეს უკვე ვეღარ მოვითმინე:

— ნამდვილი ცხოვრების ასახვისთვის თქვენ ხომ გაუსამართლებლად დამხვრეტთ!

კრების მონაწილეებმა აღშფოთებით გადახედეს ერთმანეთს. მე „საკუთარი სურვილით“ დამითხოვეს.

იმის შემდეგ არ მიმსახურია. რაღაც გენერლის მემუარებს ვურედაქტორე რადიოსთვის. დავწერე ბროშურა „კომუნისტებმა დაიპყრეს ტუნდრა“. მაგრამ აქაც კი უხეში პოლიტიკური შეცდომა დავუშვი. ბროშურაში მონჩეგორსკზე იყო ლაპარაკი. მოვლენები ოცდაათიანი წლების დასაწყისში ხდებოდა. მოქმედ პირთა შორის ბევრი ებრაელი იყო. მასხენდებიან შიმკუსი, ფელდმანი, რაპოპორტი... ბროშურას ქალაქკომში გაეცვინენ და თქვეს:

— ეს რა სიონისტური პროკლამაციაა? ეს ვინ მითოლოგიური ებრაელები არიან ტუნდრაში? დაუყოვნებლივ მოსკეთ მთელი ტირაჟი!...

მაგრამ ჰონორარის მიღება მოვასწარი. შემდეგ შიდა რეცენზიებს ვწერდი ჟურნალებისთვის. ანონიმურად ვთანამშრომლობდი ტელევიზიაში. მოკლედ, თავისუფალ მხატვრად ვადავიქეცი. დაბოლოს ბედმა ტალინში ამომაყოფინა თავი...

სუვენიერების მაღაზიის ახლოს ტელეფონის ჯიხური შევამჩნიე. გავიხსენე ციფრები: ოთხი, ორი ნული, თერთმეტი.

ვრეკავ. ქალის ხმა მპასუხობს:

— გისმენთ! — მას „სლუშაიუს“ ნაცვლად „სვუშაიუ“ გამოსდიოდა, — სვუშაიუ, მივენკი!

ტელეფონთან ერკ ბუმს ვთხოვე. მიპასუხეს, შინ არ არის. ძალიან ვღელავ (ვოლნუიუს-ის მაგივრად ვოვენუიუს გამოსდის). შემპირდა, არ დავაგვიანებო. ასე რომ, მოდით. ჩვენ საამურად წავილაყებთ („მი სვავნო პობოვტაემ...“).

ქალმა საკმაოდ დალაგებულად მიკარნახა მისამართი. ამიხსნა, როგორ მეშვავრა.

მინიატურული ესტონური ტრამვაი მოსახვევებში ქანაობდა. ოც წუთში კადრიორგში ვიყავი. ბუმის ნახევრად დანგრეული ძელური სახლი იოლად მოვძებნე.

კარი ორმოცდაათამდე წლის გამხდარმა მოცისფროთმიანმა ქალმა გამიღო. მისი ლილისფერი პენუარის მაქმანები ოქროს არაბულ ფეხსაცმლებამდე იყო ჩამოშვებული. სახე სქლად ჰქონდა დაბურული. ლოყებს ქიმიური სიწითლე უბზინებდა. ეს ქალი ყავლვასული ოპერეტის პერსონაჟს ჰგავდა.

— ერიკი შინ არის, — მითხრა მან, — შემოდით.

ვიწრო წინკარში ძლივს ავუქციეთ გვერდი ერთმანეთს. ოთახში შევედი და გავხევედი. ასეთი საშინელი უწესრიგობა ჯერ არასოდეს მენახა.

სასადილო მაგიდაზე ჭუჭყიანი ჭურჭელი იყო დახვავებული. მომწვანო შპალერის ნაგლეჯები იატაკამდე ეშვებოდა. დაგლეჯილ ხალიჩაზე სქელ ფენად ეყარა გაზეთები. სიამის კატა ერთი კუთხიდან მეორისკენ დახტოდა. კართან ცარიელი ბოთლები იყო ჩამწკრივებული.

ჩაჭყლეთილი დივანიდან ოცდაათამდე წლის კაცი წამოდგა. მას ამერიკელი კინოგმირის გარუჯული ვაჟკაცური სახე ჰქონდა. ხარისხიანი საზღვარგარეთული პიჯაკის ლაცკანი შიხაკით ჰქონდა გამშვენებული. დახურული ფეხსაცმელი უპრიალებდა. ჩანაგვიანებული საცხოვრისის ფონზე ერიკ ბუში 'კოსმოსიდან მოსულს ჰგავდა.

ერთმანეთს მივესალმეთ. უგერგილოდ და აბნეულად აეუხსენი მას საქმის ვითარება.

ბუშმა გაიღიმა და მოულოდნელად თავისუფალი ლექსებით ალაპარაკდა:

— შემოდი, შუალამის სტუმარო! საკუჭნაო შენს განკარგულებაშია, ყავადანი ქურაზეა, ქურაზე. კარადაში პოლანდიური ყველია. შენ ძმა გახდები ჩემი, ძმა. გალინას მეგობარი გახდები, დედასავით გიყვარდეს ის, დედასავით. გიყვარდეს ის ვითარცა შვილს. იყოს, ირგვლივ ბარდაკი იყოს...

— ტკბილი ფუნთუშები (ს ლ ა დ კ ი ე ბ უ ლ ო ჩ კ ი ს ნაცვლად. ს ვ ა დ კ ი ე ბ უ ვ ო ჩ კ ი ს ამბობს) გვაქვს! — ჩაერთო გალინა.

ბუშმა მას სიტყვა ფაქიზი, მაგრამ ზვიადური შესტით გააწყვეტინა:

— იყოს, იყოს ირგვლივ ბარდაკი — არსებობს უარესი უბედურებები, არსებობს! უბერავდეს ფანჯრიდან, უბერავდეს. ჭუჭყიანი იყოს ჩვენი სორტირი... სამაგიეროდ — და ეს ფაქტია — აქ საბჭოთა ხელისუფლება არ არის, არა. თავისუფლებაა ჩემი დევიზი, ჩემი ფექტიში, ჩემი კერპი!

თავი ისე მეჭირა, თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო. რა უნდა მექნა? ლამის პირველ საათზე ამ სახლიდან წამოვსულიყავი? „სასწრაფო დახმარებისთვის“ მიმემართა?

ამას გარდა, ადამიანის სიგიჟე ყველაზე უარესი რამ სულაც არ ვახლავთ. წლების მატებასთან ერთად ჩემთვის ის სულ უფრო და უფრო უახლოვდება ნორმას, ნორმა კი რალაც არაბუნებრივი ხდება.

ნორმალურმა ადამიანმა სულ მარტოობაში მომაქცია, არანორმალური კი ყავას, მეგობრობას და საკუჭნაოს მთავაზობს...

დავიძაბე და ამოვღერდე:

— თქვენთან სტუმრობა დიდი პატივია. დიდი მადლობა შეფარებინსთვის. მით უფრო, რომ, როგორც დიდი ხანია ცნობილია, სხვები, ყველანი, მაფურთხებენ...

შემდეგ ყავა დავლიეთ, ვჭამეთ ფუნთუშები ჯემითურთ სიამის კატა თავზე დამახტა. გალინამ ოფენბახის ფირფიტა დაახლოებით ღამის ორ საათზე ვანვცალკევდით.

ბუშთან და გალინასთან სამი კვირა დავყავი. ისინი დღითიღღ უფრო და უფრო მომწონდნენ. თუმცა ორივენი ნამდვილი შიზოფრენიკები იყვნენ.

ერიკ ბუში ფრიად რესპექტაბელური ოჯახის შვილი გახლდათ. მამამისი იყო მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი რიგაში. დედა რესპუბლიკის ქაოვილების ინსტიტუტში სექტორს განაგებდა. შვიდი წლის ასაკისამ ბუშმა ორივე შეიძულა. რალაც საოცრების ძალით ის ღამის დაბადებიდანვე ანტისაბჭოელი და ანტიკონფორმისტი იყო. თავის მშობლებს „დაწინაურებულებს“ ეძახდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ბუშმა რიგა დატოვა. წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდა ზღვაზე, ტრაულერზე. შემდეგ ერთხანს პლიაჟის ფორტოგრაფი იყო. შევიდა ლენინგრადის კულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. მისი დამთავრების შემდეგ ჟურნალისტი გახდა.

ფიქრობდა, რომ მისი მსოფლგაგების ადამიანისთვის ასეთი საქმიანობა შეუსაბამო, მიუღებელი იყო. ბუში ხომ არა მარტო აკრიტიკებდა არსებულ წეს-წყობილებას, არამედ გამორიცხავდა თვით ისტორიულ რეალობას. კერძოდ, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას.

ის ამტკიცებდა, რომ უფასო მედიცინა არ არსებობს. გამოთქვამდა ეჭვებს კოსმოსში ჩვენს უპირატესობასთან დაკავშირებით. მესამე წიქის შემდეგ ბუში გაჰკიოდა:

— გაგარინს კოსმოსში არ უფრენია! და არც ტიტოვს უფრენია!.. ყველა სხვა საბჭოთა რაკეტა კი თიხით ამოვსებული უზარმაზარი კონსერვის ქილებია...

ერთი შეხედვით, საბჭოთა ჟურნალისტიკაში ასეთი ადამიანის ადგილი არ იყო. მაგრამ ბუშმა სწორედ ეს საქმიანობა აირჩია. შეურიგებელი კონფორმიზმი მასში აბსოლუტურ უპრინციპობას ერწყმოდა. ეს ხდება.

ბუშის შემოქმედებით მანერაში გერმანული ექსპრესიონიზმის გაკვეთილები იჩენდა თავს. მისი ერთ-ერთი კორესპონდენცია ასე იწყებოდა.

„მსხვილფეხა რქოსან საქონელს უდიდესი აღმავლობის უამი დაუდგა. ვეტერინართა ყრილობის მონაწილეები მუშაობას შეუდგნენ. ერთმანეთს ცვლიან რძისა და ნეხვისსუნნიანი ორატორები..“

ბუში ჯერ პროვინციის გაზეთში მუშაობდა. მაგრამ მიყრუებული ადგილი მას მალე მოხუზრდა. ჩრდილოეთის პატარა ქალაქისთვის ის მეტისმეტად დიდი პიროვნება იყო.

ორი წლის შემდეგ ტალინში გადავიდა. ვილაც ქალთან დაბინავდა.

ბუმს ჰქონდა ის, რაც სიბერეშეპარულ ქალებზე საბედისწეროდ ზემოქმედებდა. სახელდობრ — სიღარიბე, სიღამაზე, სარკასტული იუმორი, მაგრამ, რაც მთავარია — სრული უნებისუფობა.

ბუმმა ორ წელიწადში ოთხი სიბერეში გადასული ქალი აცთუნა. გალინა არკადიევნა მისთვის მეხუთე და ყველაზე სწავსრული სიბერეში გადასული ქალი გახლდათ. დანარჩენებს ბუმის შიმართ შადლიერებისა და აღტაცების გრძნობები დარჩათ.

ბოროტი ენები ბუმს აღფონსს ეძახდნენ. ეს უსამართლობა იყო. სიბერეში გადასული ქალების სიყვარულში ის ალტრუისტული მოტივებით ხელმძღვანელობდა. ბუმი მათ გულმოწყალებად აძლევდა იმის ნებას, რომ თავიანთი მწარე დროგადასული ემოციების ჩანჩქერები მის თავზე გადმოეღვარათ.

ბუმზე თანდათან ლეგენდები იქმნებოდა. ის განუწყვეტლივ ებმებოდა რალა-რალაც ფათერაკებში.

ერთხელ ბუმი ღამე კადრიორგიდან მოაბიჯებდა. მას სამნი მოადგნენ. ერთმა მათგანმა პირქუშად უთხრა:

— მოსაწევი მომე.

ასეთ სიტუაციაში ნორმალური ადამიანი როგორ იქცევა? არის შედარებით გონივრული მოქცევის სამი ვარიანტი:

ხულიგანს ალუშფოთველად და უშიშრად მიაწოდო სიგარეტი.

სწრაფად ჩაუარო გვერდზე, ან კიდევ უკეთესი — თავქუდმოგლეჯილი გაიქცე.

და უკანასკნელი — დაანოკაუტო ის, რომელიც ყველაზე ახლოსაა და სწრაფად მოუსვა.

ბუმმა ყველაზე დამლუპველი, ყველაზე არასტანდარტული ვარიანტი აირჩია. ამ უხეში მოთხოვნის პასუხად ბუმმა დახვეწილად წარმოთქვა:

— რას ნიშნავს მომე? მე და შენ განა ბრუდერშაფტი დავლიეთ?! აჯობებდა ლექსებით ალაპარაკებულყო. საშიშ გიჟად ჩათვლიდნენ. ახლა კი ბუმი ცემით მიასიკვდილეს. ხულიგნები ალბათ საიდუმლოებით მოცულმა სიტყვა „ბრუდერშაფტმა“ გააცოფა.

როცა გონებას კარგავდა, ბუმი ჩურჩულებდა:

— იზეიმეთ, ტეტიებო! თქვენს სახეებზე ხორცის უხეშ ზეიმს ვჭვრეტ!..

ერთი კვირა იწვა საავადმყოფოში. ნეკნები ჰქონდა ჩალეწილი და თითი ნაღრძობი. შუბლზე რომანტიკული იარა გაუჩნდა...

ის „სოვეტსკაია ესტონიაში“ მუშაობდა. წელიწადნახევარი შტატგარეშე კორესპონდენტად ჰყავდათ. იყო ლაპარაკი იმაზე, რომ მისთვის მუდმივი ადგილი მიეცათ. მთავარი რედაქტორი ღიმილით იყურებოდა მისკენ, თანამშრომლებიც რიგიანად ეკიდებოდნენ. განსაკუთრებით — სიბერეში გადასული ქალები. ბუმს რომ დაინახავდნენ, ჩურჩულებდნენ და წითლდებოდნენ.

შტატიანი თანამდებობა ბევრს ნიშნავდა. განსაკუთრებით რესპუბლიკურ გაზეთში. ჯერ ერთი, ეს სტაბილური ფული იყო. ამას გარდა,

სხვადასხვაგვარ სოციალურ შედეგათებსაც გულისხმობდა. ანუ იმ მთავარს, რითაც რეჟიმი თავის ნომენკლატურას ასაჩუქრებს.

ბუში მოუთმენლად ელოდა შტატში ჩარიცხვას. ვიმეორებ, ის ორჭოფული პიროვნება იყო. მისი შეამბოსეობა იოლად ეთვისებოდა მის უპრინციპობას. ბუში ამბობდა:

— იმისთვის, რომ რეჟიმი დავამსო, მის ერთ-ერთ ბურჟუაზიულ ვიქტუე და მაშინ ნაგებობა ძალე შეირყევა...

ახლოვდებოდა 7 ნოემბერი. რედაქტორმა ბუში გამოიძახა და უთხრა:

— გადაწყდა, ერნსტ ლეოპოლდოვიჩ, თქვენ საბასუხისმგებლო დავალება მოგეცათ. სამდივნოში იღებთ საშვს. მიდიხართ საზღვარ სავაჭრო ნავსადგურში. ესაუბრებით რამდენიმე დასავლეთელ კაპიტანს. არჩევთ ერთს, მათში სოციალისტების იდეების მიმართ ყველაზე ლოიალურს. მოკლედ, მისგან ინტერვიუს იღებთ. სასურველია, რომ მან ჩვენ ოქტომბრის რევოლუციის სამოცდამესამე წლისთავი მოგვილოცოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან პოლიტიკური ლოზუნგები უნდა იძახოს. სრულებითაც არა. თავშეკავებული პარტივისმცემლური მილოცვაც კმარა. ესაა ყველაფერი, რაც მოგეთხოვებათ. გასაგებია?

— გასაგებია, — მიუგო ბუშმა.

— თანაც სახელდობრ დასავლეთელი ზღვაოსანია საჭირო. შვედი, ინგლისელი, ნორვეგიელი, კაპიტალისტური სისტემის ტიპური წარმომადგენელი. და მაინც, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალური.

— მოვნახავ, — აღუთქვა რედაქტორს ბუშმა, — ასეთი ადამიანები გვხვდებიან. მახსოვს, ხაბაროვსკში შვეიცარიის სამეფო ფლოტის მატროსს დაველაპარაკე. ის ჩვენი კაცი იყო, სულ ლენინის ციტატები მოჰყავდა.

რედაქტორმა წარბები მალლა აზიდა, დაფიქრდა და საყვედურით ამოთქვა:

— შვეიცარიაში, ამხანაგო ბუშ, ზღვა არ არის და, აქედან გამომდინარე, არც შვეიცარიის სამეფო არსებობს. თქვენ რაღაც გერევათ...

— როგორ თუ ზღვა არ არის? — გაოცდა ბუში. — აბა, თქვენი აზრით, რა არის იქ?

— ხმელეთია, — უპასუხა რედაქტორმა.

— კმ, — არ ნებდებოდა ბუში. — საინტერესოა. ძალიან საინტერესოა... იქნებ, იქ ტბებიც არაა? სახელგანთქმული შვეიცარიის ტბები?!

— ტბები არის, — ნაღვლიანად დაეთანხმა რედაქტორი, — შვეიცარიის სამეფო ფლოტი კი არ არსებობს... შეგიძლიათ იმოქმედოთ, — დაასრულა მან, — მაგრამ, გეთაყვა, უფრო სერიოზული იყავით. ჩვენ, როგორც ცნობილია, თქვენთვის შტატისანი სამუშაოს მოცემაზე ვფიქრობთ. ეს ამოცანა ბევრწილად გადამწყვეტია. წარმატებას გისურვებთ...

ტალინის ნავსადგური ქალაქის ცენტრიდან ოცი წუთის სავალზეა. ბუში დავალების შესასრულებლად ტაქსით გაემართა. ნავსადგურის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქციაში შევიდა. იქ ფოტოგრაფ

ლიოვა ბარანოვის დაბადებიდან მეორმოცე წლისთავს აღნიშნავდნენ ბუშს ლიქიორიანი ჭიქა მიაწოდეს. სიამოვნებით შესვა და თქვა:

— მე არ უნდა დავლიო. დავალებაზე ვარ მოსული.

ცოტაც დალია და დარეკა დისპეტჩერთან, რომელმაც ბუშს დასავლეთგერმანულ სავაჭრო გემ „ედელვაისზე“ ასვლას უბრძანა.

ბუშმა ერთი ჭიქაც დაცალა და მეოთხე პირსისკუნს გაემართა.

კაპიტანი ბუშს ტრაპზე დახვდა. ეს იყო ტიპური ზღვის ლომი, გამხდარი, სახეწითელი, არწივისპროფილიანი. ის პაულ რუდი გახლდათ.

დისპეტჩერმა კაპიტანი გააფრთხილა, რომ მასთან საბჭოთა ჟურნალისტი მივიდოდა. მან ბუში კაიუტაში მიიწვია.

შეუდგნენ მუსაიფს. კაპიტანი რუსულად რიგიანად ლაპარაკობდა კონიაკს ფრანგულს აძლევდა უპირატესობას.

— ეს „ორდონ-ბლო“, — თქვა მან. — ამის სმას გირჩევთ. ბოთლი ორასი მარკა ღირს.

ბუშმა თავს შეატყო, რომ თვრებოდა და მოასწრო ეკითხა:

— შენ როდის გადიხარ?

— ხვალ თერთმეტსა და ოცდაათზე.

ახლა შეიძლებოდა საქმეზე კრინტი არც დაეძრა. კაპიტანს შეეძლო გასვლის წინ, რაც გნებავთ, ის ეთქვა. ვილა შეამოწმებს ამას?

გულახდილად და უბრალოდ საუბრობდნენ.

— ქალები გიყვარს? — ჰკითხა კაპიტანმა.

— მიყვარს, — თქვა ბუშმა. — შენა?

— მიყვარს რომელია! ოღონდ ჩემი ლუიზა ამას ვერ ხვდება. მე ქალები, სმა და ფული მიყვარს. შენ ფული გიყვარს?

— დამავიწყდა, როგორ გამოიყურება ის. ფული ნაირფერი ქაღალდები რომაა, ისაა?

— ან მეტალის რგოლები.

— მე ფული ფეხბურთზე მეტად მიყვარს! ქალებზე მეტადაც კი. მაგრამ მე ის სუფთად პლატონისებურად მიყვარს...

ბუში სვამდა, კაპიტანი კი მას ტოლს არ უდებდა. კაიუტაში ამერიკული სიგარეტის კვამლის ნისლი მიმოზოზინებდა. უჩინარი რადიოწერტილიდან ჰავაიური მუსიკა მოისმოდა. საუბარი სულ უფრო და უფრო გულწრფელი ხდებოდა.

— შენ რომ იცოდე, — ეუბნება ჟურნალისტი კაპიტანს, — აქ როგორ შემძავდა ყველაფერი! ამ წყეული ქვეყნიდან უნდა გავიქცე!

— მესმის შენი, — ეთანხმება კაპიტანი.

— შენ ამას ვერ გაიგებ! შენთვის, პაულ, თავისუფლება ჰაერივითაა! შენ ამას ვერ ამჩნევ. შენ მისით მხოლოდ სუნთქავ. ჩემი გაგება მხოლოდ ნაპირზე ამოგდებულ თევზს შეუძლია.

— მე მესმის, — თქვა კაპიტანმა, — არის გამოსავალი. შენ ხომ გერმანელი ხარ. შენ გერმანიაში ემიგრირება შეგიძლია.

— თეორიულად ეს შესაძლებელია. პრაქტიკულად — გამორიცხებულია. დიას, ჩემი მაძილო გარუსებული კურლიანდიელი გერმანელია. დედა პოლონეთიდანაა. ორივენი ოცდათექვსმეტი წლიდან არიან პარ-

ტიაში. ორივე დაწინაურებულია, რეჟიმის მსახურია. ისინი სათანადო ქალაქებს ხელს არ მოაწერენ.

— მე მესმის, — ბჭობდა კაპიტანი. — არსებობს სხვა გამოსავალი. მიდი სავაჭრო ფლოტში, გამატროსდი. ვინის მიღებას მიადრე. და დასავლეთის რომელიმე პორტში რომ მოხვდები, გაიქეცი, თვსმესაფარი ითხოვე.

— ესეც ფიქციაა. მე ხომ ცუდი თვალით მიყურებენ. ვინას არ მომცემენ. უკვე ვცადე, ვცადე... ვაი რომ, მე ნელი სიკვდილისთვისა ვარ განწირული.

— მესმის... შეიძლება შენი „ედელვაისზე“ დამალვა. მაგრამ ეს სარისკოა. რამე რომ მოხდეს, შენ, როგორც მოლალატეს, გაგასამართლებენ...

კაპიტანი ძალზე საღად სჯიდა. მეტისმეტად საღად. საერთოდ, უცხოელის კვალობაზე ის ძალზე კომპეტენტური იყო. ფხიზელი ადამიანი ამან შეიძლება შეაეჭვოს, მაგრამ ბუში ამ დროისთვის უკვე გაღეშილი იყო. ის ორატორობდა:

— თავისუფალია არა ის, ვინც რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვის. და არც ის, ვინც შიშს სძლევის. არამედ ის, ვინც არ იცის შიში რაა. თავისუფლება, პაულ, ორგანიზმის ფუნქციაა! შენ ამას ვერ გაიგებ! შენ ხომ ფრინველივით თავისუფალი დაიბადე!

— მესმის, — უპასუხა კაპიტანმა...

ბუში დაახლოებით ღამის თორმეტ საათზე დაეშვა ტრაპზე. ის ხანდახან ნაბიჯს ანელებდა და ჰაერში აგდებდა მუშტს: — „როტ ფრონტ!“ შემდეგ თითებს ფარჩხავდა, რაც „ვიკტორიას!“ — გამარჯვებას ნიშნავდა...

კაპიტანი გაგებით აყოლებდა მას თვალს...

მეორე დღეს ბუში რედაქციაში მივიდა. ის აღვზნებული, მაგრამ ფხიზელი იყო. მისი სივარეტები კეთილ სურნელს აფრქვევდნენ. გვერდითა ჯიბიდან ავტოკალამ „პარკერს“ ჰქონდა თავი ამოყოფილი.

ბუშიმა სტატია მბეჭდავ ქალებს გადასცა. გრძელი და ღამაზი სათაური ჰქონდა: „მე დავბრუნდები, რათა ისევ ვიგემო ჭვავის პური!“

სტატია ასე იწყებოდა:

„კაპიტანი პაულ რუდი სამანქანო განყოფილებაში მოვიხელთე. სავაჭრო გემი „ედელვაისი“ გასასვლელად ემზადებოდა. დაძველებული, გაცვეთილი მექანიზმები დამატებით შემოწმებას საჭიროებდნენ.

— ბოსს მხოლოდ მოგება, სარფა აინტერესებს, — უკმაყოფილოდ აცხადებს კაპიტანი, — ოცჯერ ვურჩიე ცილინდრების გამოცვლა. ერთიც ვნახოთ და, ისინი პირდაპირ ღია ზღვაში დასკდნენ. თვითონ ბოსი ხომ იახტით მიმოგზაურობს. ჩვენ კი აქ ისე ვიდაგებით, როგორც ეშმაკები ჯოჯოხეთში...“

სტატიის დასასრული ასეთი იყო:

„კაპიტანმა დაკოჟრილი ხელები ძენძით გაიწმინდა. წვერი მაზუთისგან უბზინავდა. თიხის ჩიბუხი კვადრატულ ყბას უბერავდა. მან თვალი ჩამიკრა და მითხრა:

— გახსოვდეს, ახალგაზრდავ! თავისუფლება ჰაერივითაა. შენ თავისუფლებით სუნთქავ და მას ვერ ამჩნევ... საბჭოთა ადამიანები ამას

ვერ გაიგებენ. მე კი მხოლოდ ნაპირზე ამოგდებული თევზი გამიგებს... და ამიტომ მე დავბრუნდები! მე დავბრუნდები, რათა ისევ ვიგემო ჭვავის პური! თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის სურნელოვანი პური!..“

— რიგიანია, — თქვა რედაქტორმა. — ცოცხალი, და მამაჯერებელია. ერთადერთი რამ, რაც მაცბუნებს... მან რამდენად მამაჯერებელია ვილად თქვა?

ბუში გაოცდა:

— აბა სხვა რისი თქმა შეეძლო?!

— თუმცა, პო, რასაკვირველია, — უკან დაიხია რედაქტორმა.

სტატია გამოქვეყნდა. მეორე დღეს ბუში რედაქტორთან გამოიძახეს. კაბინეტში ორმოცდაათამდე წლის უცნობი კაცი იჯდა. მისი სახე სრულ გულგრილობას და ამავედროულად უკიდურეს ძალის მოკრებას გამოხატავდა.

რედაქტორმა თითქოს ჩრდილში გადაიწია. იმ კაცმა, მისი არაშთამბეჭდავობის მიუხედავად, ნომენკლატურული კაბინეტის მთელი სივრცე მოიცვა. შილაშემოსვეულ კვარცხლბეკზე შემომდგარი ლენინის თაბაშირის ბიუსტის სიგანე-სიმაღლეც კი შემცირდა.

იმ კაცმა ბუშს შემოხედა და ოდნავ გასაგონად უთხრა:

— მოყუევით.

ბუშმა გაღიზიანებულად ჰკითხა:

— რა მოვყვე? ვის მოვყუევ? და საერთოდ... მაპატიეთ, ვის ველაპარაკები?

პასუხი მოკლე, თითქოს პუნქტირით გამოხატული იყო:

— შეხვედრას... მე... სოროკინი... პოლკოვნიკი სოროკინი...

აუწყა რა თავისი ჩინი, პოლკოვნიკი ისე გაჩუმდა, თითქოს ქანცი გამოეცალაო.

ბუში რალაცამ აიძულა დაჰყოლოდა მას: "შეუდგა კაპიტან რუდის შესახებ დაწერილი სტატიის ხელახლა მოყოლას.

პოლკოვნიკი უგულისყუროდ უსმენდა. უფრო სწორად, თითქმის თვლებში. ის ზარმაცი სტუდენტისთვის კითხვის დამსმელ პროფესორს ჰგავდა. კითხვისა, რომლის პასუხიც წინასწარ იცოდა.

ბუში ლაპარაკობდა, სტატიაში გადმოცემულ ფაქტებს ეყრდნობოდა. ლაპარაკი პათეთიკურად დაამთავრა:

— სადა ხარ შენ, პაულ? საით მიგაქროლებს შორეულ მოგზაურობათა ქარი? სად ხარ ახლა შენ, ჩემო უცხოელო მეგობარო?!

— ციხეშია, — მოულოდნელად უპასუხა პოლკოვნიკმა.

მან გაზეთი მაგიდას ისე დაარტყა, თითქოს ბუშს კლავდა, და მკაფიოდ თქვა:

— პაულ რუდი ციხეში იმყოფება. ჩვენ ის დავაპატიმრეთ როგორც სამშობლოს მოღალატე. მისი ნამდვილი გვარი რიუტია. ის გაქცეული ესტონელია. სამოცდაათ წელში იახტით გასხლტა შვეციაში. ჰამბურგში დამკვიდრდა. ლუიზა რეიშვიცზე დაქორწინდა. მეოთხე წელი დასავლეთგერმანული სავაჭრო ფლოტის გემებზე დაცურავს. ბოლოს ესტონეთში ჩამოვიდა პირველი რეისით. ჩვენ მას დიდი ხანია ველოდით...

პოლკოვნიკი რედაქტორს მიუბრუნდა:

— ჩვენ ორნი დაგვტოვეთ.

რედაქტორს ეუხერხულა, რომ მას მისივე კაბინეტიდან აგდებდნენ, და ჩაიბურღლუნა:

— კი, მე ისედაც ვაპირებდი ილუსტრაციების ნახვას და გავიდა.

პოლკოვნიკი ბუშს ეკითხება:

— თქვენ ამაზე რას იტყვით?

— გაოცებული ვარ. ენა ვერ დამიძრავს.

— როგორც ამბობენ, შეუთანხმებლობა გამოვიდა.

მაგრამ ბუში წინანდელ ვერსიას ადვია:

— მე ყველაფერი ისე აღვწერე, როგორც იყო. კაპიტან რუდის წარსულზე ვერაფერს ვხვდებოდი. მას პროგრესულად მოაზროვნე უცხოელად აღვიქვამდი.

— კეთილი, — თქვა პოლკოვნიკმა, — დაეუშვათ, რომ ეს ასეა. და მაინც, ეს თქვენთვის უსიამოვნო შემთხვევაა. ძალზე უსიამოვნო. ეს თქვენი ჟურნალისტური კარიერის ლაქაა. ამასაც კი ვიტყვოდი — იდეოლოგიური შეცდომაა. სიფხინლის დაკარგვაა. რაღაც უნდა გაკეთდეს.

— მაინც რა?

— არის ერთი იდეა. გინდათ დაგვეხმაროთ? ჩვენ კი, ამის შესაბამისად, რეკომენდაციას მოგცემთ შტატის ადგილის მისაღებად.

— კგბ-ში? — ჰკითხა ბუშმა.

— რატომ კგბ-ში? გაზეთ „სოვეტსკაია ესტონიაში“. თქვენ ხომ დიდი ხანია შტატის სამუშაოზე ოცნებობთ. თქვენ გააღუძთ ამ გადაწყვეტილების მიღების დაჩქარება. ვადა თქვენზეა დამოკიდებული.

ბუშმა ყურადღება დაძაბა. პოლკოვნიკი სოროკინი განაგრძობდა:

— თქვენ შეგეძლოთ ჩვენთვის საინტერესო ჩვენებების მოცემა.

— ანუ?

— კაპიტან რუდის შესახებ... მოგვეცით ჩვენება, რომ მას უნდოდა თქვენი... აი ის... ხმარება... სქესობრივი გახრწნის მიზნით...

— რაო?! — წამოიწია ბუში.

— მშვიდად!

— თქვენ მე ვინა გგონივართ! აი, ნამდვილად არ ვფიქრობდი, კგბ ამგვარ მეთოდებს თუ იყენებდა!

პოლკოვნიკის თვალებმა სამართებლის პირივით გაიელვა. ის წამოჭარხლდა და წელში გაიმართა:

— ოღონდ ხმამაღალ სიტყვებს შეეშვით. გირჩევთ დაფიქრდეთ. თქვენი მომავალი დევს სასწორზე.

ახლა კი ბუშიც გაიმართა წელში. ნელა ამოიღო ამერიკული სიგარეტების კოლოფი და სანთებელა „რონ-სონი“. მოუკიდა. შემდეგ მშვიდად თქვა:

— თქვენი წინადადება ამორალურია. ის ჩემს ზნეობრივ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ესლა მაკლდა, რომ ჰომოსექსუალისტს მოვწონებოდი!.. მოკლედ, უარს ვამბობ. სქესობრივი გარყვნილება ჩემი საქმე არ არის. გინდათ დაგიწეროთ, რომ ის მე მათრობდა?!.. თუმცა, კეთილშობილური ქმედება არც ეს იქნება...

— რა გაეწყობა, — თქვა პოლკოვნიკმა. — ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ვფიქრობ, რომ თქვენ ამით წააგებთ.

— ნუთუ კგბ-სთან მოგება შეიძლება?! — გადაიხარხარა ბუშმა. საუბარი ამით დამთავრდა. პოლკოვნიკი წავიდა, მან უკვე სავსებით მოულოდნელად თქვა:

— თქვენ, მე რომ მეგონა, იმაზე კარგი ხართ. უკვე უკვე...

— პოლკოვნიკო, სტილი არ დაკარგოთ! — უპასუხა ბუშმა...

ის შტატგარეშე სამუშაოდან დაითხოვეს. შესაძლოა, ამას სოროკინმა მიაღწია. უფრო კი საფიქრებელია, რომ რედაქტორმა გამოიჩინა მეტი გულმოდგინება. ბუში ისევ სიბერეში გადასული ქალების კმაყოფილებაზე გადავიდა. თუმცა აქამდეც დაახლოებით ასე იყო ყველაფერი.

სწორედ იმ დღეებში გაეცნო ბუში გალინას. მანამდე მას მარიანა ვიკენტიევნა, ვაჭრობის მუშაკი უყვარდა. ის ბუშისთვის პერანგებსა და პალსტუხებს ყიდულობდა, რესტორნებში მის დანახარჯებს იხდიდა. გემრიელი და საღი საკვებით კვებავდა. მაგრამ ბუშს ჯიბის ფულს არ აძლევდა. რომ მიეცა, ის მაშინვე სხვა ქალებთან არსიობას დაიწყებდა.

ბუში რედაქციიდან მორიგი პონორარის მიღების შემდეგ უკვალოდ ქრებოდა. როცა შინ გვიან დამე ბრუნდებოდა, ხახვისა და კოსმეტიკის სუნი ასდიოდა. ერთხელ მარიანამ ვერ მოითმინა და უყვირა:

— სად დაბორიალობ, არამხადავ?! შუაღამეს რატომ ბრუნდები?! ბუში დამნაშავეის გამომეტყველებით პასუხობდა:

— დილას დავბრუნდებოდი, მაგრამ, უბრალოდ, ფული არ მყოფნიდა...

ბოლოს მარიანა ამბოხდა. კურორტზე მთავარი სამართველოს ხანდაზმულ მუშაკთან ერთად გაემგზავრა. მის გვერდით მარიანა თავს ახალგაზრდად და ქარაფშუტად მიიჩნევდა. მან, ბუნებრივია, ცარიელ ბინაში ბუშის დატოვება არ ისურვა.

და აი, გალინა არკადიევნა გამოჩნდა. პრაქტიკულად არაფრისგან მოვევლინა. შესაძლოა, საგანთა მუდმივობის შემოქმედებით მოვევლინა.

საქმე ისაა, რომ გალინას მოქალაქეობის სტატუსი არ ჰქონდა. ის სახელგანთქმული ესტონელი რევოლუციონერის, ლამის თვით კინგისეპის ქვრივი იყო. და მას ამის გამო პენსიის მსგავსი რაღაც მისცეს.

ბუში მას რომანტიკულ ვითარებაში გაეცნო. სახელდობრ — ტბორის ნაპირზე.

კადრიორგის მთლად ცენტრში არის პატარა ჩრდილით დაფარული ტბორი. მას ფართო ცაცხვის ხეივნები რკალავს. ბალახზე შინაური ციყვები დაცმუკავდნენ...

მაისის საღამოს ბუში ტბორესთან ბალახზე იჯდა. სიგარეტი გაუთავდა. ფული უკვე მეორე დღე-ღამეა არ ჰქონდა. წინაღამე „სოიუზ-პერიატის“ მიტოვებულ კიოსკში გაათენა. კიდევ კარგი, რომ იქ იატაკზე ძველი გაზეთები ეწყო.

ბუში ხმელ მწარე ბალახის ღეროს ღეჭავდა. თავში დეპრესიასავით წვეტილი და სავიშვიშო ფიქრები უელავდა:

„საჭმელი... სიგარეტი... ბინა... მარიანა კურორტზე... სამუშაო არაა... მშობლებთან მისვლა სირცხვილია, და, რაც მთავარია, ამას აზრი არა აქვს...“

როდის და რა ჭამა მან ბოლოს? თვითმომსახურების სასაუზმეში შეჭმული ორი ნაჭერი პური გაიხსენა. კიდევ — ვეჯცის კეჭის მესრის თავზე მოწყვეტილი მუავე ვაშლი. გზაზე ნაპოვნი ვაშლიც კამომხმარი ორცხობილა, „სოიუზპეჩატის“ კიოსკში ნაპოვნი მწვანე პამიდორი...

წყალზე ორი გედი ორი უზარმაზარი შავი თაიგულივით დაცურავდა. საჭმელს ისინი იოლად, თვალისთვის შეუმჩნეველი ძალისხმევის გარეშე შოულობდნენ. ყოველ წამს მკვეთრად ჰყოფდნენ მოკაკულ კისერზე მოსადაგებულ პატარა თავს წყალში...

ბუში საჭმელზე ფიქრობდა. მისი ფიქრები უფრო და უფრო მოკლდებოდა:

„...გედი...ფრინველი... გარეული ფრინველი...“

და უცებ წინაპართა ყივილმა ბუშის სულს ნერვიული თრთოლვა შეუყენა თვალებში, პირველყოფილი კოცონების შუქი აუკიაფდა. სული განაბა ჭაობზე შემდგარ სეტერივით, რომელმაც ქალაქის ტყვეობას დააღწია თავი.

ათი საათისთვის სავსებით ბნელდება. თავდაჯერებული ფრინველის დაჭერა წუთის საქმე იქნება. გაპუტული გედი სულ იოლად შეცვლის ბატს. მთელი ბატი თუ ხელთ ექნება, ბუში არ დაიკარგება. ის იმ ბატთანად ნებისმიერ კომპანიაში სასურველი სტუმარი იქნება...

ბუში გარდაისახა. მისი სულის სიღრმეში მონადირის ბუკი ჟღერდა. ის გრძნობდა, თუ როგორი სალი იყო მისი გაუპარსავე ნიკაპი. ბუშში ისტორიამდელმა ძალამ გაიღვიძა...

და ამ დროს სასწაული მოხდა. ნაპირზე გამოჩნდა სიბერეში გადასული ქალი. ანუ გარეული ფრინველი, რომლის სუნსაც ბუში უშველებელ მანძილზე გრძნობდა.

შავი გედები ვერასოდეს გაიგებენ, ვინ გადაარჩინა მათი სიცოცხლე!

ქალი წარმოსადეგი და მშვენიერი იყო. მის თავს ზემოთ პეპლები ტრიალებდნენ. მისი ცისფერი ჰაეროვანი კაბა ბალახს ეფინებოდა. წიგნი ეჭირა. ლოცვანივით გულზე ჰქონდა მიხუტებული.

შორსმხედველმა ბუშმა იოლად წაიკითხა იმ წიგნის სახელწოდება — „ახმატოვა. ლექსები“.

მან ბალახის ღერი გადმოაფურთხა და ძლიერი, მოგუდული ბარიტონით წარმოთქვა:

Они летят, они еще в дороге,
Слова освобожденья и любви,
А я уже в божественной тревоге,
И холоднее льда уста мои...

ქალმა ნაბიჯი შეანელა. ხელისგულები საფეთქლებთან მიიჭირა. წიგნი ფურცლების შრიალ-შრიალით დაეცა ბალახზე.

ბუში განაგრძობდა:

А дальше — свет невыносимо щедрый,
Как сладкое, горячее вино...
Уже душистым, раскаленным ветром
Сознание мое опалено...

ქალი დუმდა. მის სახეზე გაოგნება და თავზარი იყო აღბეჭდილი (ალგუნებისა და სიხარულის გრძნობას თუ თავზარს შეიძლება დაერქვას).

შემდეგ თვალეზღვრებდა ქალმა ხმაბლით წარმოთქვა:

Не скоро там, где жидкие березы,
Прильнувши к окнам, сухо шелестят, —
Венцом червоным заплеснутся розы,
И голоса ревниво прозвучат...

(მან „გოლოსას“ ნაცვლად „გოვოსა“ თქვა.

ბუში წამოდგა.

— ახმატოვა გიყვართ?

— მე მისი ყველა ლექსი ზეპირად ვიცი, — უპასუხა ქალმა.

— როგორი დამთხვევაა! მეც... ყვავილები? გიყვართ ყვავილები?

— ეს ჩემი სისუსტეა!... ფრინველები? ფრინველებზე რას იტყვი?

ბუშმა შავ გედებს შეავლო თვალი, შეყოვნდა და თქვა:

Ах, чайка ли за облаком кружится,
Малиновки ли посятся вокруг...
О незнакомка! Я хочу быть птицей,
Чтобы клевать зерно из ваших рук...

— თქვენ პოეტი ხართ? — ჰკითხა ქალმა.

— სტრიქონებს შუა ვწერ რაღაცებს, — თავმდაბლად მიუგო ბუშმა...

დღე გრილდებოდა. ცაცხვების ჩრდილები გრძელდებოდა. წყალი სიკამკამეს კარგავდა. ბუჩქებში ბინდბუნდი სადგურდებოდა.

— ყავა გნებავთ? — შესთავაზა ქალმა. — ჩემი სახლი ახლოსაა.

— მაპატიეთ, — დაინტერესდა ბუში, — ძეხვი გაქვთ?

პასუხი:

— მე მაქვს ყველაფერი, რაც მარტოხელა გულს სჭირდება...

სამი წელი ვიცხოვრე ბუშთან და გალინასთან. ეს უცნაური, უგუნურობით გაძეჭილი დღეები იყო.

დილა ჩუმი, მღელვარე სიმღერით იწყებოდა. გალინა ბიჭური ტენორით აწკრიბებდა:

Эх, истомилась, устала я,
Ночью и днем... Только о нем...

მისი საყვარელი დაბალი, ჩახრინწული ბარიტონით უბამდა მხარს:

Эх, утопу ль я в Северной Двине,
А может сгину как-нибудь иначе...
Страна не зарыдает обо мне,
Но обо мне товарищи заплачут...

ზოგჯერ დილაობით სამზარეულოში ცეკვავდნენ. ამასთან, ორივე თავის რაღაცას მღეროდა.

გალინამ ჩაის სმისას გამოაცხადა:

— დღეს მე ვეროჩკა დამიძახეთ. ხვალინდელი დღიდან კი — ფასკუნჯი...

დღისით ის ხშირად რეკავდა ტელეფონზე. ნომრებს უბოდიშოდ კრეფდა. როცა ყურმილს იღებდნენ, ალერსიანად წარმოთქვამდა:

— დღეს თქვენ სასიამოვნო მოულოდნელობა გელით.

ან:

— გეშინოდეთ შლაპაზე ალუბლიანი მანდილოსნისა...

ამას გარდა, გალინა საათობით წვრთნიდა სწრაფ ხმალთევზას. აქვარიუმისკენ დახრილი ეჩურჩულებოდა მას:

— ნუ ჭირვეულობ, ჯიმ. დედიკოს ხელი დაუქნიე...

და ბოლოს, გალინა მომავალს წინასწარმეტყველებდა. მე, მაგალითად, რაღაც ფერადი მძივის მარცვლების თვალჩერებისას განმიცხადა:

— სიცოცხლის ბოლო დღეებს სადღაც ბრაზილიაში გალევ.

(მაშინ — სამოცდათხუთმეტში — გავიცინე. მაგრამ ახლა თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ასეც მოხდება).

ბუში მთელი დღე მწვანეხალათჩაცმული მიდო-მოდიოდა. — ის ხალათი გალინამ შეუკერა ფანჯრის ფარდისგან. ბუში მისთვის ნობელის პრემიის გადაცემის შემდეგ წარმოსათქმელ სიტყვას ამზადებდა. ის სიტყვა ასე იწყებოდა:

— „ქალბატონებო და ბატონებო! მადლობას მოგახსენებთ ჩემთვის მოგებული პატივისთვის. როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...“

ასე ვცხოვრობდით. ჩემი თექვსმეტი რუბლი სწრაფად გათავდა. გალინას პენსია რვა დღეს გვეყო. რაიმე სამუშაო უნდა მომეძებნა.

და უცებ თვალში მომხვდა ქუჩაში კედელზე გამოკრული განცხადება: „სასწრაფოდ გვჭირდებიან მეცეცხლურები“.

ეს ბუშს ვუთხარი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ბუში ამაზე უარს იტყოდა. მაგრამ უცებ დათანხმდა და სახე გაუბრწყინდა კიდევ.

— გენიალურია, — თქვა მან, — სწორედ ისაა, რაც საჭიროა! დიდი ხანია დროა ხალხის ცხოვრების სიღრმეში ამოვეყო თავი. როგორც იტყვიან, ფესვებს ჩავწვდე. ბუნებასთან ახლოს, ჩემო ძმავო, ბუნებასთან ახლოს! უფრო ახლოს უბრალო ადამიანურ სიხარულებთან! უფრო ახლოს ბუნებრივ მონოლითურ პიროვნებებთან! ძირს მეტაფიზიკა და ყოველგვარი ტრანსცენდენტურობა! გაუმარჯოს უროს და გრდემლს!..

გალინა მას არ დაეთანხმა და ნაზად უთხრა:

— ერინკა, შენ სუსტი ხარ! („სლაბის“ ნაცვლად „სვაბის“ ამბობდა.)

ბუშმა გაჯავრებით შეხედა ქალს და მან ხმა გაკმინდა.

საქვაბე გრანდიოზული მილის ძირთან მდებარე პირქუშ დაბალ შენობას წარმოადგენდა. მისი კარის ახლოს ნახშირის გორები იყო დახვავებული. აქვე ეყარა ნიჩბები და ორი გადაყირავებული მაზიდა.

შენობაში მწყობრად გუგუნებდა სამი სექციური ქვაბი. ერთი მათგანის გვერდით ჯმუხი ახალგაზრდა იდგა. მას ხელში მძიმე შემდუღებელი აპარატი ეჭირა. ღუმელის რიკულის თავზე ვარდისფერი ცეცხლი გიზგიზებდა. ახალგაზრდა იჭმუნებოდა და ქაჩქინებდა აბრუნებდა.

ბიზლიჩიშვილი

— გამარჯობა, — მიესალმა მას ბუში.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა მეცეცხლურმა. — თქვენ ახალბედა ხართ?

— ჩვენ განცხადებით მოვედით.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მე ოლეგი მქვია.

ჩვენ ჩვენი თავი წარვუდგინეთ.

— სადისპეტჩეროში შედით, — თქვა ოლეგმა, — ცურიკოვს წარუდექით.

რკინისკარიან პატარა ჯიხურში ქვაბების ხმაური ყრუდ ისმოდა. დაკბილულ მაგიდაზე გრაფიკები და უწყისები ეწყო, მაგიდის თავზე კი იაფფასიანი რეპროდუქტორი ეკიდა. ვიწრო ფიცრის საწოლზე სალდათისტანსაცმლიანი მამაკაცი თვლებდა. მაგიდას უოკეისქუდიანი კაცი უჯდა და მუშაობდა. ჩვენ რომ დაგვინახა, თავი ასწია:

— თქვენ ახალბედა ხართ?

შემდეგ წამოდგა და ხელი ჩამოგვართვა:

— ცურიკოვი, უფროსი დისპეტჩერი, — დასხედით.

ნასალდათარს გამოეღვიძა. შრიალ-შრიალით აიღო გაზეთი.

— ხუდი, — მოკლედ წარმოგვიდგა.

— მუშახელი გვჭირდება, — თქვა დისპეტჩერმა. — რთული სამუშაო არაა. ახლა კი გამომყევით.

მორყეულ კიბეზე დავეშვიტ. ხუდიც მოგვეყვებოდა. ოლეგმა ხელი ისე დაგვიქნია, თითქოს მისი ძველი მეგობრები ვიყავით.

მარცხენა ქვაბის ახლოს, თანაც მასთან 'ისე ახლოს გავჩერდით, რომ ძლიერი სიცხე მეტაკა.

— ძალზე პრიმიტიული მოწყობილობაა. გახურება, ღუმელის რიკულები, ქვესაბერი... ქვაბში ტემპერატურა სამოცდაათი გრადუსი უნდა იყოს. ცვლის დასაწყისში ნახშირს ახაზირებთ. სავსე მაზიდას ჩატვირთვას არ გირჩევთ — ჩაგივარდებათ... წასვლისას ღუმელის რიკულები უნდა გაწმინდოთ, წიდა უნდა ამოკრიფოთ... კაცმა რომ თქვას, სულ ესაა... უბრალო გრაფიკია — ერთ დღე-ღამეს ვმუშაობთ, სამ დღე-ღამეს ვისვენებთ. ნარდობლივი ანაზღაურებაა. იოლად შეიძლება ასორმოცდაათი რუბლის გამომუშავება.

ცურიკოვმა ბიჭებთან მიგვიყვანა და თქვა:

— იმედი მაქვს, შეეწყობით ერთმანეთს. თუმცა ჩვენ აქ საკმაოდ თავისებური პუბლიკა გვყავს. ოლეჟკა, მაგალითად, ბუდისტია. „ძენის“ სკოლის მიმდევარი. საკუთარი სულის მონასტერში ეძებს სიმშვიდეს... ხუდი ფერმწერია, მსოფლიო ავანგარდის მარცხენა ფრთაა. მეტაფიზიკური სინთეთიზმის ტრადიციებს ერთგულობს. ძირითადად ტარას — ყუთებს, ქილებს, შალითებს ხატავს...

— ციკლს მქვია „მკვდარი ჭეშმარიტებები“, — ახსნა უხერხულობისგან აწითლებულმა ხუდმა.

ცურიკოვი განაგრძობდა:

— მე კი უბრალო კაცი ვარ. თავისუფალ საათებში მუსიკის თეორიას ვუზივარ. სიტყვას მოჰყვა და, რას ფიქრობთ თქვენ ბრიტენის პოლიტონალურ ჰარმონიებზე?

ბუში აქამდე დუმდა. მაგრამ მისი სახე უცებ მოხარულად შექცა და გადაჭრით თქვა:

— წავიდეთ აქედან!

ცურიკოვმა და მისმა კოლეგებმა დაბნეულად გამოგვაყოლეს თვალნი.

ქუჩაში გამოვედით. ბუშმა მრისხანე მონოლოგი დააქუხა:

— ეს საქვაბე არაა! ეს, მაპატიე და, რაღაც სორბონაა!.. მე ხალხის ცხოვრების სიღრმეში დანთქმაზე ვოცნებობდი. მორალურად და ფიზიკურად განმტკიცებაზე. მაცოცხლებელი წყაროების დაწაფებაზე... აქ კი?! ვიღაც ძენბუდისტებისა და მეტაფიზიკოსების ხროვაა! რაღაც ბოზური პოლიტონალური ჰარმონიებია! მოკლედ, წავედით სახლში!..

რაღა დამრჩენოდა?

გალინა სიხარულის გამომხატველი შეძახილებით შეგვხვდა.

— მე ისე ვტიროდი („პლაკალას“ მაგივრად „პლაკავაო“), — თქვა მან, — ისე ვტიროდი... ისე მეცოდებოდით („ჟალკოს“ მაგივრად „ჟავკოო“)...

კიდევ სამი დღე გავიდა. გალინამ რამდენიმე წიგნი გაყიდა ბუკინისტურ მაღაზიაში. მთელი ტალინის რედაქციები მოვიარე. ერთგან შტატგარეშე მუშაობაზე მოვილაპარაკეთ. რომელიღაც ზეინკლისგან ინტერვიუ ავიღე. სამრეწველო გამოფენის შესახებ რეპორტაჟი დავწერე. შაბლინსკის ოცი რუბლი გამოვართვი მოძავალი ჰონორარის ანგარიშზე. შიმშილით სიკვდილი გადავადდა.

მეტიც, წარმატებასაც მივალწიე. ლენინგრადში რიგით ჟურნალისტად მიმიჩნევდნენ, აქ კი თითქმის კორიფე ვიყავი. ყველაზე საპასუხისმგებლო დავალებებს მე მაკისრებდნენ. ვწერდი ახალ წიგნებსა და თეატრალურ სიახლეებზე, მიმყავდა ყოველდღიური რუბრიკა „სხვა მოსაზრება“, ვთხზავდი ფელეტონებს, ესენი კი, მოგეხსენებათ, ყველაზე დეფიციტური ჟანრია გაზეთში. მოკლედ, საკმაოდ ჩქარა ავიღმართე.

უკვე სარედაქციო სახელდახელო კრებებზეც მიწვევდნენ. ერთი თვის შემდეგ კი დაწესებულების წვეულებებზეც. ჩემს პუბლიკაციებზე ესტონეთის ცკ-ში ალაპარაკდნენ.

ამ დროისთვის უკვე კარგა ხნის წამოსული ვიყავი ბუშისა და გალინას ბინიდან. რედაქციამ ოთახი მომცა ტომპის ქუჩაზე — ეს შტატგარეშე კორესპონდენტისთვის უპრეცედენტო შეღავათი იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემთვის შტატიანი სამუშაოს მოცემას აპირებდნენ. და მართლაც, ამის შემდეგ ერთ თვეში ჩავირიცხე შტატში.

რედაქტორი მეუბნებოდა:

— თქვენ გასაოცარი იუმორის გრძნობა გაქვთ. ბევრი თქვენი აფორიზმი ზეპირად მახსოვს. ზოგიერთ თქვენს ფელეტონს ჩემს შინამოსამსახურეს ვუყვები. სხვათა შორის, მან ახლა გერმანული გიმნაზია დაამთავრა.

— აჰა, — ვეუბნები, — ახლა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. ახლა უკვე ვიცი, საიდანა ვაქვთ თქვენ ასეთი წუნდაუღებელი მანერები.

რედაქტორი არ ბრაზობდა. ის ლიბერალურად მოაზროვნე ინტელიგენტი იყო. საერთოდ მაშინ შედარებით ლიბერალური ვითარება სუფევდა. განსაკუთრებით ბალტიისპირეთში.

ამას გარდა, მე გააზრებულად და მარჯვედ ვთამაშობდი. ერთი ჩემი ნაცნობი ამ სტილს „მოკრძალებულ ფამილარულობას“ ეძახდა.

ახლა ორას ორმოცდაათ რუბლზე ნაკლებს არ ვაკეთებდი. რალაც ალიმენტების გადახდასაც კი ვახერხებდი. და შესაფერისი მეგობრებიც გამიჩნდნენ. ესენი იყვნენ ახალგაზრდა მწერლები, მხატვრები, მეცნიერები, ექიმები. სრულფასოვანი, კარგგასამრჯელოიანი ადამიანები. დავდიოდით თეატრებსა და რესტორნებში, კუნძულებსაც არაერთხელ ვწვევივართ. მოკლედ, შემოქმედებითი ინტელიგენციისთვის ნორმალური ცხოვრების წესით ვცხოვრობდით.

მთელი ეს თვეები მახსოვდა ბუში. ტალინი ხომ პატარა, ინტიმური ქალაქია. ნაცნობს კვირაში ერთხელ მაინც აუცილებლად გადაეყრები.

ბუშს ჩემი წარმატებები არ შურდა. პირიქით, სიხარულით იმეორებდა: „იმოქმედე, ძმაკაც! სახელმწიფოს სადავეები ჩვენებს უნდა ეკავოთ!“

ბუშს ფულს სესხად ვაძლევდი. მიუნდი-ბარში ოცჯერ მაინც გადავიხადე მისი დანახარჯი. ანუ ისე ვიქცეოდი, როგორც ჯერ არს. სხვარისი გაკეთება შემეძლო მისთვის? ჩემს ადგილს ხომ არ დავუთმობდი?

ღმერთმანი, მე ბუშს თავს არ ვარიდებდი. უბრალოდ, ჩვენ ახლა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს ვეკუთვნოდით.

მეტიც, მოვითხოვდი, რომ ბუში ისევ გამოეყენებინათ შტატგარეშე ავტორად. გულწრფელად თუ ვიტყვი, ამის მიღწევას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. კაპიტან რუდთან დაკავშირებული შემთხვევა ჯერ ხომ ახსოვდათ.


იგულისხმება, რომ ბუშს ახლა პოლიტიკური შეფერილობის მასალების მომზადებას არ ანდობდნენ. ის წერდა ინფორმაციებს ყოფით, სპორტულ, კულტურის თემებზე. ვცდილობდი სახელდახელო კრებებზე ყოველი მისი ინფორმაცია შემექო. ბუში უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა რედაქციის დერეფნებში.

ამ დროისთვის ის რამდენამდე გამქრქალდა. შარვალი ისე აკურატულად არ ეცვა, მის პიჯაკს აშკარად სჭირდებოდა ქიმწმენდა. მაგრამ, როცა ბუშს მოკრავდნენ თვალს, სიბერეში გადასული ქალები (ისინი კი ნებისმიერ რედაქციაში საკმარისად არიან) ისევ გულისდამთუთქვლად წითლდებოდნენ. მაშასადამე, მისი უპირატესობები უფრო მისი შიგნით იყო ჩაიდუმალეული, და ისინი გარედან ნაკლებად ჩანდა.

რედაქციაში ბუშს კორექტულად და მორიდებულად ეჭირა თავი. ხელმძღვანელობას უსიტყვოდ ესალმებოდა. რიგით ჟურნალისტებთან ახალ ამბებზე საუბრობდა. ქალებს ქათიანურებს ეუბნებოდა.

მახსოვს, რედაქციაში მანქანაზე მბეჭდავი ბიუროს გამგის — ლორეიდა ფილიპოვნა კოჟიჩის დაბადების 60 წლისთავი აღინიშნებოდა. ბუშმა მას უძღვნა მიმზიდველი მოკლე ლექსი:

Вздыхаю я, завидевши Лорейду...
Ах, что бы это значило по Фрейду?!



ამის შემდეგ ლორეიდა ფილიპოვნა მთელი კვირა ერთდროულად გაბადრული და გაფერმკრთალებული იყო...

ნომენკლატურულ მუშაკებს აქვთ ერთი მომსახურების მუშაკება. ისინი ავმესსიერნი არ არიან თუნდაც იმიტომ, რომ ზარმაცები ბრძანდებიან. მათ შურისმაძიებლური ქმედებებისათვის ძალა არ ჰყოფნით. ნამდვილი ბრაზისთვის ნაღდი ენთუზიაზმი აკლიათ. კეთილდღეობის მრავალი წლის მანძილზე მათი გრძნობები შემწყნარებლობამდე დადის. მათი აზრები ისე უსიცოცხლოა, რომ ხანდახან სიკეთეს ჰგავს.

„სოვეტსკაია ესტონიას“ რედაქტორი გულკეთილი კაცი იყო. იგულისხმება, რომ იმ წუთამდე, ვიდრე სასტიკი და ბოროტი გახდებოდა. ვიდრე ამას შესაბამისი ინსტრუქციები არ აიძულებდნენ. ცნობილია, რომ წესიერი ადამიანი ისაა, ვინც სისაძაგლეს სიამოვნებით არ აკეთებს.

მოკლედ, ბუშს ბეჭდვის ნება დართეს. თავიდან მის შენიშვნებს განსაკუთრებული გულმოდგინებით უწყევდნენ რედაქტირებას. შემდეგ ნათელი გახდა, რომ ბუში შეიცვალა, მომწიფდა. მისი კორესპონდენციები სულ უფრო და უფრო ტევადი და თემატიკითაც უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ბუშის სამმა თუ ოთხმა ნარკვევმა პატარა სენსაცია გამოიწვია. ადგილობრივ ჟურნალისტთა კადრების ფონზე ის შესამჩნევად გამოირჩეოდა.

დეკემბერში რედაქტორი ისევ ალაპარაკდა ბუშისთვის შტატიანი ადგილის მიცემაზე. ამას გარდა, ბუშისთვის ადგილკომიდან ყველა სიბერეში გადასული ქალი იდებდა თავს. მე და შაბლინსკი ხომ აქტიურად ვუჭერდით მას მხარს. ერთ-ერთ სახელდახელო კრებაზე მე ვთქვი: „აუცილებელია ბუშის უფრო ქმედითად გამოყენება. სხვაგვარად ჩვენ მას მოლიპული დისიდენტური გზისკენ ვუბიძგებთ...“

ბუშის შრომითმა მოწყობამ იდეოლოგიური ღონისძიების ხასიათი მიიღო. მთავარი რედაქტორი ღიმილით იხედებოდა მისკენ. მისი ბედი შეიძლებოდა ახლო მომავალში გადაწყვეტილიყო.

მოახლოვდა ახალი წელი. განზრახული იყო კანტორის ტრადიციული წვეულების გამართვა. როგორც ეს ამგვარ შემთხვევებში ხდება, განსაკუთრებით მცონარეები გააქტიურდნენ. ორი ლოთი მეტრანპაჟე არაყზე გაიქცა. წერილების განყოფილებაში მომუშავე სქელო გოგონები ბუტერბროდებს ამზადებდნენ. გამსვლელი კორესპონდენტები რუშკისი და ბოგდანოვი მაგიდაზე სუფრას აფარებდნენ.

ამ დღეს მუშაობა ადრე დაამთავრეს. შტატგარეშე კორესპონდენტებს სთხოვეს არ დაშლილიყვნენ. რედაქტორმა ბუში გამოიძახა და თქვა:

— იმედი მაქვს დღეს სალამოს შევხვდებით ერთმანეთს. იქ მინდა სასიამოვნო ახალი ამბავი გაუწყოთ.

თანამშრომლები დერეფნებში დაბორიანდებდნენ. ყველაზე მოუთმენლები საყოფაცხოვრებო განყოფილებაში ჩაიკეტნენ. იქიდან ჭიქების წკარუნი მოისმოდა.

ზოგიერთნი სახლში წავიდნენ ტანსაცმლის გამოსაცვლელად. ისინი ექვსი საათისთვის მობრუნდნენ. ბუში თამბაქოსფერი სახლვარგარეთული კოსტიუმით კოხტაობდა. მისი ლაქწასმული ფეხსაცმლები კაშკაშებდა. მისი პერანგი კანცელარიულად შარიშურობდა.

— ჩინებულად გამოიყურები, — ვუთხარი მას. —
ბუშმა დარცხვენით გაიღიმა:

— გუშინ გალინამ კბილები გაყიდა. იუველირს ორი პლატინის გვირგვინი მიუტანა. და მთელი ეს კაზმულობა მიყიდა. აბა, როგორ შემიძლია მე ამის შემდეგ მისი მიტოვება!..

სამდივნოს ფართო ოთახში განვლაგდით. ბოლო წვრილმანებს აგვარებდნენ. ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ეწეოდნენ, იცინოდნენ.

საერთოდ, რედაქციული ქეიფები დემოკრატიის ზეიშია. აქ შეგვიძლია მთავარ რედაქტორზე გახუმრება. იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ ვინაა ეპოქის უგუნიალურესი ჟურნალისტი. ყველას შეუძლია თავისი პრეტენზიების გამოხატვა. მოუზომელი ქათინაურების წარმოთქმა. აქ შეიძლება, მაგალითად, ასეთი რანეები ვაიკონოთ:

— ძმაკაც, მომისმინე, შენ გიგანტი ხარ! შენ ფოტოგრაფიის პაგანინი ხარ!

— შენა კიდე, — გაისმის პასუხი, — ეკონომიკური საკითხების გაშუქების შექსპირი ხარ!..

აქვე წყდება მიმდინარე ამურული კონფლიქტებიც. ინლართება ინტრიგები. ფარულად სასელდება ღირსების დაფაზე გასაკვრელთა კანდიდატურები.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველდღიური სარედაქციო ბაზარი აქ ნორმა ხდება. საბოლოოდ სადგურდება რედაქციისთვის ტიპური დაძაბული, ციებ-ცხელებიანი უნაყოფო ატმოსფერო.

ბუშს გასაოცრად ტაქტიანად და მკაცრად ეჭირა თავი. ფანჯარასთან სავარძელში ჩაჯდა. თაროდან წიგნი ჩამოიღო. მთელი ამ გაწამაწიისგან გამოთიშულად კითხულობდა. წიგნს „ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის მძიმე შემთხვევები“ ერქვა.

როგორც იქნა, ყველანი სუფრაზე მიგვიწვიეს. რედაქტორი სრულ სიჩუმეს დაელოდა და თქვა:

— ჩემო მეგობრებო! აი, შრომით დატვირთული კიდეც ერთი წელიც გავიდა. ჩვენ ცოტა რამ როდი გვაქვს გასახსენებელი. არც ნალგელი გვაკლდა და არც სიხარული. წარმატებებიც გვქონდა და წარუმატებლობებიც. მაგრამ მთლიანობაში, მინდა ვთქვა, გაზეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. სულ უფრო და უფრო მეტ სერიოზულ, მთამბეჭდავ და ღრმა მასალებს ვბეჭდავთ. სულ უფრო და უფრო ნაკლებ შეცდომებს ვუშვებთ. დარწმუნებული ვარ, რომ დამდეგ წელს კიდეც უფრო მეგობრულად და დარაზმულად ვიმუშავებთ... დღეს ცენტრალური კომიტეტიდან დამირეკეს. ივან გუსტავოვიჩ კებინი სულითა და გულით გილოცავთ. ნება მომეცით ჩვენც სულითა და გულით შევუერთდეთ ამ მოლოცვას. ახალ წელს გილოცავთ, ჩემო მეგობრებო!..

ამის შემდეგ უამრავი სადღეგრძელო წარმოითქვა. დავლოცეთ მთავარი რედაქტორი და პასუხისმგებელი მდივანი. მოკრძალებულ მა-

შერალთ-კორექტორებსა და მანჭანაზე მბეჭდავ ქალებს მოვეფერეთ. შტატგარეშე კორესპონდენტებსა და აქტიურ მუშაკორებს მივეალერსეთ. ვილაც პოლიტიკურ სიფხიზლეზე ლაპარაკობდა. ვილაც ამ ფეხბურთის გუნდის შექმნის წინადადება წამოაყენა. რედაქციის ჩამშვები იგორ გასპლი იდაყვის გრძნობაზე ლაპარაკობდა. მეჭკუეშტლენსკიმ მომხიბვლელი ქალების სადღეგრძელო შემოგვთავაზა ~~შეგვთავაზა~~

ოთახი კვამლით დაიბურა. ყველანი ჭიქებიანად კუთხეებში მიღვნენ... საუზმეული სწრაფად ქრებოდა. საყოფაცხოვრებო განყოფილების მუშაკი ტორშინა ცდილობდა ყველანი ერთხმად აგემლერებინეთ. თიმა ბიკოვერი ვალებს არიგებდა. მნე მელეშკო მრისხანებდა:

— ეტყობა, მე მაინც ვერ გაფიგებ, ვინ მოიპარა საზოგადოებრივი რეფლექტორი!..

მაღე დამლაგებელი პილდა მოვიდა. შენობის განთავისუფლება იყო საჭირო.

— ათი წუთიც გვაცალეთ, — თქვა რედაქტორმა და პილდას თავისი ხელით გაუწოდა შამპანურიანი ბოკალი.

შემდეგ ზღურბლზე მთავარი რედაქტორის ცოლი ზოია სემიონოვნა დაჩნდა. მას მოჰქონდა უშველებელი მელქიორის ლანგარი, რომელზეც ყავის ჭიქები ფაქიზად წკარუნებდნენ.

ბუში აქამდე გაუნძრევლად იჯდა. ჭიქა რადიოლის სახურავზე დადგა. მუხლებზე გადაშლილი ცნობარი ედო. შემდეგ წამოდგა. სახეგაბადრული მიუახლოვდა ზოია სემიონოვნას. უცებ რალაც ელვისებური საფეხბურთო მოძრაობა გააკეთა. შემდეგ ლაქით გაპოხილი ყელიანი ფეხსაცმლის ძლიერი დარტყმით თავზარდაცემულ ქალს ლანგარი ხელებიდან გააგდებინა. ჭიქების ლაწალუწის ხმამ იქაურობას დაუარა. დათუთქული თანამშრომლები კიოდნენ და ვაივიშობდნენ. ლიუბა ტორშინამ ერთი კი შეპკივლა და გული წაუვიდა...

ბუშს ოთხმა შტატგარეშემ სტაცა ხელი. ის წინააღმდეგობას არ სწევდა. მის სახეზე ბედნიერი ღიმილი იყო დასადგურებული.

ვილაცა მილიციაში რეკავდა, ვილაცა — სასწრაფო დახმარებაში...

სამი დღის შემდეგ ბუში ფსიქიატრიულმა კომისიამ გამოიკვლია. და სავსებით შერაცხადად სცნეს. ხულიგნობის გამო გაასამართლეს. მიუსაჯეს ორი წელი — პირობითად.

კიდევ კარგი, რომ რედაქტორი მის უფრო მკაცრად დასჯას არ შეეცადა. ანუ ბუში იოლად გადარჩა. მაგრამ უკვე სასაცილო იყო, რომ ჟურნალისტიკაზე თუნდაც ეფიქრა...

ახლა ბუში მე მთელი თვით დავკარგე თვალთახედვიდან. ლენინგრადში ვიყავი ჩემი საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად. როცა დავბრუნდი, დავურეკე — მისი ტელეფონი არ მუშაობდა.

ბუში არ დამვიწყნია. ვიმედოვნებდი, რომ მას ქალაქის ცენტრში ვნახავდი. ასეც მოხდა. ის ფოტოატელიეს ვიტრინის ახლოს იდგა და რომელიღაც მომღიმარე მონსტრებს ათვალთვლებდა. ხელში ფრანგული ნახევარი ფუნთუშა ეკავა. ყველაფერი მის სრულ უსაქმურობაზე მეტყველებდა.

იქვე, ბარ „კუნგლაში“ შესვლა შევთავაზე. ბუშმა თქვა:

— იქ ვალი მაქვს.

ბევრი?

— ექვსი რუბლი.

— ეგ არაფერი, — ვეუბნები, — ერთად გავასწორებთ ლანგარიშს. გავინადეთ, მეორე სართულზე ავედით და ფანჯარასთან დავსხედით.

მინდოდა გამეგო, რა მოხდა. რისი გულისთვის ჩაიდინა ბუშმა ასეთი რალაც. რა იყო ეს — ნერვიული აფეთქება? გონების დაბინდვა? ბუში თვითონ ალაპარაკდა ამ თემაზე:

— გაიგე, ძმაკაც! რედაქციაში მხოლოდ ვირიშვილები არიან...

შემდეგ შეასწორა:

— შენს, შაბლინსკისა და ოთხი ბედკრული დედაბრის გარდა... მოკლედ, იქ ვირები ჭარბობენ. და ეს სულელური წვეულება ტარდება. და იწყება ის გაუთავებელი მურტალი ლაყბობები. მე კი ვზივარ და ველოდები, ის სქელტრაკა რედაქტორი როდის გამომიცხადებს მადლობას. და ამ დროს შემოდის ის ფებმოქცეული ზოიკა ლანგრიტურთ. და ყველას მხოლოდ ერთი რამ უნდა — ფეხი ამოჰკრას იმ ჩემანალა ლანგარს. და ამ დროს ჩემთვის ნათელი გახდა — დადგა საპასუხის-მგებლო წუთი. ახლა გადაწყდება ვინა ვარ მე. რაინდი ვარ, როგორც ამას გალკა მიიჩნევს, თუ ნაგავი, როგორც ამას ყველა სხვა დანარჩენი ამტკიცებს. მაშინ ავდექი და ჰაიდა...

ბარში დაახლოებით ერთ საათს ვისხედით. რედაქციაში უნდა წავსულიყავი. რომელიღაც პროგრესული ფრანგისგან ინტერვიუ უნდა ამეღო.

ბუშს ვკითხე:

— გალინა როგორაა?

— არა უშავს, — თქვა მან, — ოპერაცია გაიკეთა... რალაც ქალური სჭირს...

ჰოლში ჩავედით. ინვალისი მეგარდერობე ბარიერს იქით თერმოსიდან ჩაის სვამდა. ბუშმა ალუმინის პატარა ნომერი გაუწოდა.

მეგარდერობე უცებ გაბრაზდა:

— ეს ტიპური უზრდელობაა — ნომრის ციფრით ქვემოთ მოჩეჩება!..

ბუშმა მას მოუსმინა და თქვა:

— ყველას თავისი პრობლემა აქვს...

იმ დღის შემდეგ ჩვენ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. რედაქცია დიდ დროს მართმევდა. თანაც, მოთხრობების კრებულს ვამზადებდით დასაბეჭდად.

ბუშს როგორღაც იპოდრომზე შევხვდი. დაგლახაკებული კაცის სახე ჰქონდა. რა მექნა, ცოტა ფული ვასესხე. მადლობა გადამიხადა და მაშინვე დასაღვეად გავარდა. მე არ დაველოდე და წამოვედი.

შემდეგ ორჯერ შევეფეთეთ ერთმანეთს ქუჩაში და ტრამვაიში. მთლად ხელმოთავებულიყო. ერთმანეთთან სალაპარაკო აღარაფერი გვქონდა.

ზაფხულში ბულგარეთში კინოფესტივალზე გამგზავნეს. ეს საზღვარგარეთ ჩემი პირველი მივლინება იყო. ანუ ეს გახლდათ ჩემს მიმართ პოლიტიკური ნდობის გამოცხადება და ჩემი ლოიალობის აშკარა დამოწმება.

იქიდან დაბრუნებულმა განსაცვიფრებელი რამ გავიკეთე. ტალინში 7 ნოემბერს შეიმობდნენ. დემონსტრაციები ქალაქის ცენტრისკენ მიემართებოდნენ. სამთავრობო ტრიბუნები ცენტრალური კომიტეტის შენობასთან იყო აღმართული. ჟღერდა მუსიკა. მოედნის თავზე საპაერო ბუშტები დაფრინავდნენ. დიქტორი აურაცხელ სადღეგრძელოს და მოლოცვას გაჰყვიროდა.

დემონსტრაციებს ტრანსპარანტები მოჰქონდათ. მილიციონერები წესრიგს თვალს ადევნებდნენ. ყველას ამალღებული განწყობილება ჰქონდა. ვინდ ასე თქვი და ვინდ ისე, ეს მაინც შეიმი იყო.

დემონსტრაციებს შორის იმყოფებოდა ბუშიც. მეტიც, მას მოჰქონდა ფანერის ხისსახელოვანი ნაჭერი, რომელიც თოვლის ასახვეტ ნიჩაბს მოგაგონებდათ. ფანერაზე მწვანე გუაშით დიდი ასოებით ეწერა: „ძლიერი წინააღმდეგობა გავუწიოთ მსოფლიო იმპერიალიზმის მტრებს!“

ბუშს ეს პლაკატი კადრიორგიდან როიალების ფაბრიკამდე მოჰქონდა. და მილიციონერები მხოლოდ აქ, როგორც იქნა, მოვიდნენ აზრზე. ვინ არიან ეს „მსოფლიო პროლეტარიატის მტრები“? ვის უნდა გაეწიოს „ძლიერი წინააღმდეგობა?“

ბუში პოლიციას არ გასძალიანებია. ის დახურულ შავ მანქანაში შეჩურთეს და პაგარის ქუჩაზე მიიყვანეს. სამი წუთის შემდეგ ბუშის დაკითხვას თვით გენერალი პორკი შეუდგა.

ბუში კითხვებს მშვიდად და მოკლედ პასუხობდა. ის თავს დამნაშავედ კატეგორიულად არ სცნობდა. ამბობდა, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, სრული დაბნეულობით გამოწვეული გაუგებრობა, შეცდომა იყო.

გენერალი ბუშთან თითქმის საათნახევარს საუბრობდა. ის დროდადრო კორექტული იყო, დროდადრო კი მოულოდნელად უწევდ ხმას. ბუშს ხან ერნსტ ლეოპოლდოვიჩით მიმართავდა, ხან კი უყვიროდა: „დაგხვრეტ, ძაღლო!“

ბუშს ბოლოს და ბოლოს მობეზრდა თავის მართლება. ფანქარი და ქალაღდი ითხოვა. გენერალმა შვებით ამოისუნთქა და ავტოკალამი გაუწოდა:

— გულწრფელმა აღიარებამ შეიძლება თქვენი ხვედრი შეამსუბუქოს...

ბუში ცოტა ხანს ფანჯარას უყურებდა, შემდეგ კი გაიღიმა და ლამაზი, წაწვენილი ხელწერით მოხაზა „განცხადება“.

და შემდეგ.

1. გამოვხატავ ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის ქრისტიან-ბაპტისტების ხვედრის გამო დიდად შეფიქრიანების გრძნობას!

2. მოვუწოდებ ამერიკულ ინტელიგენციას მგრძობიარედ ირეაგიროს ადამიანის თავისუფლებათა სფეროში კრემლის ბოროტმოქმედებებზე!

3. მოვითხოვ ჩემს ისტორიულ სამშობლოში — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაუბრკოლებლად ემიგრირების უფლებას!

ხელმოწერა — **ერნსტ ბუში**, სინდისის პატიმარი

გენერალმა განცხადება წაიკითხა და სანაკვე ყუთში ჩააგდო. მან ძველი, ნაცადი მეთოდის გამოყენება გადაწყვიტა. უბრალოდ ადგა და კრინტი დაუძვრელად გავიდა.

ასეთი ქმედება, როგორც წესი, შეუღერხებლად ამართლებდა. ცარიელ ოთახში დარჩენილი დასაკითხი პირები საშინლად ნერვიულობდნენ. გაურკვევლობა მათ ნებისმიერ მუქარებზე მეტად აშინებდა. თავიანთი საქციელის გაანალიზებას, გადამრჩენი სვლების სასწრაფოდ მოფიქრებას იწყებდნენ. ისინი თავის დაძვრენის ფანდთა ორომტრიალში იხლართებოდნენ. მტანჯველი ლოდინი მათ მოცანცახე, მოძაგძაგე ცხოველებად ხდიდა. გენერალიც სწორედ ამას ესწრაფვოდა.

ის ორმოცი წუთის შემდეგ მობრუნდა. იმან, რაც დაინახა, გაამტერა. ბუშს, ოქმების დასტახე თავჩამოდებულს, უდრტვინველად, არხეინად ეძინა.

გენერალი შემდეგში პყვებოდა:

— ჩემს კაბინეტში რა არ ყოფილა, რა! ადამიანები ვენებს იჭრიდნენ! საფერფლეში უბის წიგნაკებს წვაფდნენ. ფანჯრიდან გადახტომას ცდილობდნენ. მაგრამ პირველად ვნახე, რომ დაეძინოთ!..

ბუში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანეს. ის, რაც მოხდა, გენერალს სულიერი ავადმყოფობის აშკარა სიმპტომად მიაჩნდა. შესაძლოა, გენერალი ჭეშმარიტებიდან არცთუ შორს იყო.

ბუში იქიდან მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ გამოუშვეს. ამ დროისთვის ჩემს ცხოვრებაშიც მოხდა ცვლილებები.

ძნელი გასახსენებელია, ეს როდის დაიწყო. ორჯერ რალაც ზედმეტი ვთქვი. წავეჩხუბე გასპლს, ორგანოების კაცს. ერთხელაც ცკ-ში მთვრალი მიგედი. ესტონელი მწერლების კონფერენციაზე თვით ამხანაგ ლიპპოს შევეკამათე...

გაზეთში კარიერა თუ გინდა გაიკეთო, გამუდმებით მეტი და მეტი, მზარდი ძალისხმევით უნდა ესწრაფვო ამას. შეჩერება კაპიტულირებას ნიშნავს. ეტყობა, მე საამისოდ არ ვიყავი გაჩენილი. დავამუხრუჭე, ბუქსირით მივიწვევდი წინ, რალაც დონეზე ამოვყავი თავი, და მორჩა...

გაიხსენეს, რომ მე ტალინში ჩაუწერლად ვმუშაობდი. ჩემი ნაწილობრივ ებრაული წარმომავლობაც გამოჩნრიკეს. და არც ბუშთან კონტაქტები ამაგრებდა ჩემს რეპუტაციას.

ამ დროს კი ესტონეთში პოლიტიკური არეულობაც დაიწყო. დისიდენტების ჯგუფმა პეტიტციით მიმართა ვალდჰაიმს. დემოკრატიზაცია და თვითგამორკვევა მოითხოვეს სამი დღის შემდეგ მათი მემორანდუმი დასავლეთის რადიომ გადასცა. კიდევ ერთი კვირის შემდეგ მოსკოვიდან მოვიდა დირექტივა — გაძლირდეს აღმზრდელობითი მუშაობა. ეს მავანთათვის პატივის აყრას, გაძევებას, ჩამოქვეითებას ნიშნავდა.

ყველაფერი ეს, იგულისხმება, მეშორანდუმის ავტორთა მიმართ გამოძიების ჩატარებასთან ერთად უნდა მომხდარიყო.

მნე მელეშკო რედაქციაში ამბობდა:

— შეეძლოთ თავიანთი ხელმძღვანელობისთვის მიემართათ. იმათ კი ვილაც ხაიმი (ვალდჰაიმს გულისხმობდა) აუტყდათ.

მე რეპრესიებისთვის მისწრება კაცი ვიყავი. ბრძანებდა მისთვის. იმავდროულად სტამბაში ჩემი მოთხოვნების კრებულის თითქმის ჩამოტეხილი ტირაჟი მოსპეს. და ეს მხოლოდ იმისთვის გააკეთეს, რომ კრემლელი ბოსებისთვის ეპატაკათ — ზომები მიღებულია!

რასაკვირველია, მე ერთადერთი მსხვერპლი არ ვიყავი. იმავე დღეებში დახურეს იპოდრომი — ბურჟუაზიული განწყობილებების ბუდე. ჟურნალისტთა კავშირის ბუფეტში სპირტიანი სასმელებით ვაჭრობას წერტილი დაუსვეს. მალაზიებიდან ლორი გაქრა. თუმცა ეს უკვე სხვა თემაა...

ერთი სიტყვით, ესტონურ ლიბერალიზმს ბოლო მოეღო. ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებმა — ორმა ახალგაზრდა მეცნიერმა — არალეგალურად, იატაკქვეშეთში განაგრძეს საქმიანობა...

შტატიან თანამდებობას ჩამოშორდნის, „საკუთარი სურვილით“ წასვლა და ისევ მუშეობა მიჩიეს. უარი ვთქვი.

დრო იყო ლენინგრადში წავსულიყავი. მით უმეტეს, რომ ჩემი ოჯახური ცხოვრება შეიძლებოდა მოგვარებულიყო. დიდი მანძილით დაშორებული ადამიანები უფრო კეთილგონიერდებიან.

ტომპის ქუჩაზე ჩემს ნივთებს თავს ვუყრიდი. უცებ ტელეფონმა დარეკა. ბუშის ხმა ვიცანი:

— ძმაკაც, დამელოდე! მოვდივარ! უფრო სწორად — ფეხით მოვდივარ. კაპიკი არა მაქვს. სამაგიეროდ შენთვის ძვირფასი საჩუქარი მომაქვს...

ღვინის ამოსატანად ჩავედი. ბუში ორმოცი წუთის შემდეგ მოვიდა.

ნახევარი წლის წინათ როგორც ვნახე, იმაზე უკეთ გამოიყურებოდა.

— როგორაა საქმე? — ვკითხე მას.

— არა უშავს.

ბუშმა მიაშბო, რომ ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღრაცხვაზე ჰყავთ აყვანილი. და რეგულარულად დაათრევენ კვბ-ში.

შემდეგ ოდნავ გახალისდა და ხმას დაუწია:

— აი შენ სუვენირი სახსოვრად. — მან პიჯაკი გაიხსნა, ილლიდან ქალაღდის ოთხად გაკეცილი ფურცელი გამოიღო, და კმაყოფილმა გამომიწოდა.

— ეს რაა? — ვკითხე მას.

— კედლის გაზეთია.

— რა კედლის გაზეთია?

— კვბ-ს ადგილობრივი განყოფილებისა. ხომ ხედავ მის სახელწოდებას — „ფარი და მახვილი“. შიგ უამრავი საინტერესო რამეა. ვილაც ზემდეგს ლანძღავენ ლოთობის გამო. არის სტატია „ფარცოვშიჩიკებზე“. აგერ კიდევ ლექსიც ხულიგნებზე:

Стиляга угодил бутылкой
В орденносца — старика!
Из седовласого затылка
Кровь хлещет, будто с родника...



ქართული

საქართველო

— არა უშავს, ხომ? — თქვა ბუშმა.
შემდეგ იმის მოყოლას შეუდგა, თუ როგორ ხაიგდო ხელში ეს კედლის გაზეთი:

— ის შერეკილი სოროკინი მიბარებს. თავის იდიოტურ ლაილას იწყებს. მე მის მიერ მარქსის ციტატებზე დაფუძნებულ ყველა მოსაზრებას უარვყოფ. სოროკინი მიდის და თავის პედერასტულ კაბინეტში მტოვებს. ვფიქრობ — სერგეის რა წავუღო სახსოვრად? ვხედავ — კარადაზე კედლის გაზეთი კიდია. ვეცი, პერანგქვეშ ჩავიჩურთე. სუვენირად გიძღვნი...

— მოდი, — ვეუბნები, — დავწვათ ეს ოხრობა! ცოდვისგან ხელეები შორს დავაჭიროთ.

— ეგრე ვქნათ, — დამეთანხმა ბუში.

კედლის გაზეთი დავკუწეთ და უნიტაზში ჩავუშვიტ.

ვაგვიანებდი. ტაქსი გამოვიძახე. ბუში სადგურში ჩემთან ერთად წამოვიდა.

პერანგზე ხელი მტაცა:

— რა შემიძლია შენთვის გავაკეთო? რითი შემიძლია დაგეხმარო?

— ყველაფერი ნორმალურადაა, — ვუპასუხე მას.

ბუში წამით დაფიქრდა და რალაც მტანჯველი გადაწყვეტილება მიიღო.

— გინდა — მკითხა მან, — გალინაზე დაქორწინდე? — გითმობ, როგორც ჩემს მეგობარს. მას გასაყიდად ყვავილების დახატვა შეუძლია. ერთი კვირის შემდეგ კი სიამის კნუტები დაიბადებიან. შეირთე, არ ინანებ!

— მე, — ვეუბნები, — საერთოდ რომ ვთქვა, ცოლიანი ვარ.

— შენი საქმეა, — თქვა ბუშმა.

გადავეხვიე და მატარებელში ავედი.

პერონზე მარტო ბუში იდგა. მგონი, არ მითქვამს, რომ ის ტანმორჩილი იყო.

ხელი დავუქნიე. ამის პასუხად ბუშმა მუშტი შეაგდო მაღლა — „როტ ფრონტ!“ შემდეგ თითები გაფარჩხა — „ვიკტორია!“

მატარებელი დაიძრა.

მეექვსე წელია ამერიკაში ვცხოვრობ. ჩემთან ჩემი ცოლი და ქალიშვილი კატია არიან. როცა მორიგ ჯინსს ვყიდულობ, კატია მას ორმოც წუთს ტკეპნის ფეხებით. მერე კი მუხლისთავეებზე ნახვრეტებს უკეთებს.

ცოტა ხნის წინათ ბრუკლინში კაცმა დამიძახა. დავაკვირდი და გრიშანია ვიცანი. სწორედ ის გრიშანია, რომელმაც ლენინგრადიდან ტალინში ჩამიყვანა.

უახლოეს რესტორანში შევედით. გრიშანიამ მაუწყა, რომ მხოლოდ ნახევარ წელიწადს იჯდა. შემდეგ ვილაციისთვის ქრთამის მიცემა მოახერხა და გამოუშვეს.

— ალბა შეგიძლია? — მიცემაც შესძელი, — წაიფილოსოფოსა გრიშანიამ.

ბუში როგორაა-მეთქი, ვკითხე. მან თქვა:

— აზრზე არა ვარ. შაბლინსკი მდივნად დანიშნეს...

შევთანხმდით, რომ გადავურეკავდით ერთმანეთს. მე არ დამირეკავს. არც მას...

ერთი თვის წინათ გაზეთებში კაპიტან რუდიზე ინფორმაცია წავიკითხე. ის ოთხ წელიწადს ამყოფეს მორდოვეთში. შემდეგ რომელიღაც ორგანიზაციები გამოექომარებნენ. კაპიტანი დროზე ადრე გაანთავისუფლეს. ახლა ის ჰამბურგში ცხოვრობს.

ბუშზე ვეკითხები ყველას, ვისთვისაც კი შემეძლო მეკითხნა. ერთი ცნობით, ბუში ციხეშია. მეორით — თევზის მრეწველობის მინისტრის ქვრივზე დაქორწინდა. ორივე ეს ვერსია სარწმუნოა. და ორივე მწარე გრძნობით მმსჭვალავს.

სადაა ახლა ის, დისიდენტი და ლამაზი მამაკაცი, შიზოფრენიკი, პოეტი და გმირი, სიმშვიდის დამრღვევი, — ერნსტ ლეოპოლდის ძე ბუში?!

მეთერთმეტე კომპრომისი

(„სოვეტსკაია ესტონია“, აგვისტო, 1976 წ.):

„ტალინი ემშვიდობება ჰუბერტ ილვესს“.

გუშინ ლინნამეტსის სასაფლაოზე დაიკრძალა ესტონელი ხალხის ერთგული შვილი, ტელესტუდიის უცვლელი დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ჰუბერტ ვოლდემარის ძე ილვესი.

ჰუბერტ ილვესის მთელი ცხოვრება ნიმუში იყო კომუნიზმის საქმისთვის თავდადებული ღწვისა.

გამორჩეულად ახასიათებდა პასუხისმგებლობის ურყევი გრძნობა, ადამიანებისადმი ყურადღება და გასაოცარი პიროვნული მოკრძალებულობა...

სამგლოვიარო მარშის თანხლებით საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები მიასვენებენ უთვალავი გვირგვინით შემკობილ კუბოს, რომელშიც განსვენებულის ცხედარი ასვენია.

ახალგაჭრილ საფლავზე დამშვიდობების საზეიმო სიტყვები გაისმის...

სამგლოვიარო მიტინგში მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, განსვენებულის კოლეგებმა, რადიოს, ტელეხედვისა და უდიდესი ესტონური გაზეთების თანამშრომლებმა.

ჰუბერტ ილვესის ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულებში“.

— ამხანაგო დოვლატოვ, შავი კოსტიუმი გაქვთ?

რედაქტორი უკმაყოფილოდ იჭმუხნის შუბლს. მას არ სიამოვნებს რესპუბლიკური პარტიული გაზეთის თანამშრომლისთვის ასეთი წამ-გებიანი კითხვის დასმა. რედაქტორს ჩალისფერი სახე, ფართო წელი და ბავშვური გვარი — ტურონოკი აქვს.

— არა, — ვუპასუხე, — მე ჯემპრი მაქვს. ეროვნული

— ამ წუთში სახლში გავარდი და... ბიზნისშია

— საერთოდ არა მაქვს კოსტიუმი, — ვპასუხობ.

შემდეგლო ამეხსნა, რომ არც სახლი, თავშესაფარი ბინა მაქვს, რომ მე ბინას ხან სად ვჭირაობ და ხან-სად...

— თეატრში როგორ დადიხართ?

შემდეგლო მეთქვა, რომ თეატრში არ დავდივარ, მაგრამ გაზეთში სულ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა ჩემი რეცენზია სპექტაკლ „უმზითვოზე“. ის დიმა შერის მონაყოლზე დაყრდნობით დავწერე და პოლემიკურობის გამო აქვს...

— თუმცა, მოდით, არსებითზე ვილაპარაკოთ, — დაიღალა რედაქტორი, — ილვესი გარდაიცვალა.

ცრუობის საძაგელი ჩვევის ბიძგით სახეზე ნალველი აღვიბეჭდე.

— თქვენ მას იცნობდით? — მკითხა რედაქტორმა.

— არ ვიცნობდი, — ვპასუხობ.

— ილვესი ტელესტუდიის დირექტორი იყო. მისი დაკრძალვა სერიოზული ღონისძიებაა. იმედი მაქვს გამიგეთ...

— გაგიგეთ.

— ამ ღონისძიებას ჩვენი რედაქციის წარმომადგენელიც უნდა დაესწროს. შაბლინსკის გაგზავნას ვაპირებდით.

— სწორია, — ვეუბნები, — მიშკა იმათთან დაუსრულებლად ხალტურობს და ხალტურობს.

რედაქტორი შეიჭმუხნა:

— მიხაილ ბორისოვიჩს ამისთვის არ სცალია. კუნძულ საარემაზე მიემგზავრება მივლინებით. კლიონსკი გამორიცხულია. იქ კარგი გარეგნობის, წარმოსადეგი კაცი გვჭირდება. თქვენს კანდიდატურაზე შევჩერდით. გევედრებით, არ დამალალატოთ. მოკლე თბილი გამომშვიდობების სიტყვა უნდა წარმოთქვათ. ეს აუცილებელია, რათა... მოკლედ, თავი ისე დაიჭირეთ, თითქოს კარგად იცნობდით განსვენებულს...

— განა მე გარეგნულად წარმოსადეგი ვარ?

— თქვენ ახოვანი ხართ, — მოწყალება მოიღო ტურონოკმა, — ჩვენ კლიუხინას შევუთანხმდით. ვფიქრობ, გალოჩკა, თუმცა, კარგი, პო...

— გენრიხ ფრანცევიჩ, — ვეუბნები, — მე ეს არ მომწონს. ამას მისტიფიკაციის სუნი ასდის. ილვესს არ ვიცნობდი. არ მსურს ყალბად, თვალთმაქცურად ვიგლოვო. შაბლინსკი გაგზავნეთ. საარემაზე კი, ჯანდაბას, მე წავალ.

— ეს გამორიცხულია. თქვენ პრობლემურ მასალებს არ ჰქმნით.

— არ მავალეებენ და არ ვქმნი.

— თქვენ დაგავალეს დაგეწერათ კორესპონდენცია გერმანელებზე, მაგრამ უარი განაცხადეთ.

— ვფიქრობ, რომ ისინი უნდა გავუშვათ.

— თქვენ, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილო კაცი ხართ.

— აბა, რა? კავშირში გერმანელები სომხებზე ბევრნი არიან. მაგრამ მათ ავტონომიაც კი არა აქვთ.

— აბა, ეგენი რა გერმანელები არიან? ეს კულტურის მესამე თაობაა. ისინი დიდი ხანია გაესტონელდნენ. ენა, კულტურა, ცხოვრების წესი... ტიპური ესტონელები არიან. მათი მამები და პაპები ესტონეთში ცხოვრობდნენ...

— ბორია როიბლატის პაპაც ესტონეთში ცხოვრობდა. მამამისიც ესტონეთში ცხოვრობდა. მაგრამ ბორია ებრაელი იყო და ებრაელად დარჩა. და დადის უმუშევარი...

— იცით, დოვლატოვ, თქვენთან ლაპარაკი შეუძლებელია. რაღაც დემაგოგიურ ილეთებს ხმარობთ. სამუშაო მოგეცით, მხარი დაგიჭირეთ. ვფიქრობდით, რომ მომწიფდებოდით. უფრო სოლიდური გახდებოდით...

— მე ხომ არ ვმუშაობ. ვწერ.

— და რიგიანადაც წერთ. თვით იურნამ ამოაციტატა ერთი თქვენი ფრაზა: „...კონსტრუქციული იდეა უპასუხისმგებლო ექსპერიმენტის ქაოსში გაუჩინარდა...“ სხვა რამეზეა ლაპარაკი. თქვენი აპოლიტიკურობა, თქვენი ინფანტილიზმი... თქვენგან გაუთავებლად რაღაც დემარშებს მოველით. თქვენ ორას ორმოცდაათი რუბლი გაქვთ გამომუშავება. კარგად გექცევინ, აფასებენ თქვენს იუმორს, თქვენს სტილს. გეკითხებით, სადაა უკუგება, სად? რატომ უნდა ვკარგო მე დრო ასეთი ფუჭი, ამაო საუბრებისთვის? მტკიცედ გთხოვთ შაბლინსკი შეცვალოთ. ის დროებით გაძლევთ თავის კოსტიუმს. მოიხომეთ. იქაა, გასახდელში.

მოვიზომე.

— როგორი ლაცკანია, — ვამბობ, — ამას წითელი დროშის ორდენი დაამშვენებდა...

— მორჩა, — შემაწყვეტინა რედაქტორმა, — წადით.

სასაფლაოს ცერემონიებს ვერ ვიტან. არა იმიტომ, რომ ვიღაც მოკვდა, მე ხომ ახლობლის სიკვდილი არ გადამიტანია, გარეშეებისადმი კი გულგრილი ვარ. და მაინც მძულს დაკრძალვები. ვილაცის სიკვდილის ფონზე ნებისმიერ მოძრაობას უზნეობად მივიჩნევ. დაკრძალვა მწუხარების ლამაზი დამაჯერებლობის შეგრძნების გამო მძულს. სხვების, გარეშეთა ცრემლების გამო. სიხარულის დამთრგუნავი გრძნობის გამო: „მე კი არ მოვკვდი, სხვა მოკვდა“. მალე დალევასთან დაკავშირებით ფარული მოუსვენრობის გამო. მიცვალებულის მისამართით აღვლენილი ზომაგადასული ქათინაურების გამო (ყოველთვის მინდოდა მეყვირა: „იმას ფეხზე ჰკიდია ეს ყველაფერი. ცოცხლებისადმი იყავით უფრო შემწყნარებლები. ანუ, მაგალითად, ჩემდამი“).

და აი, მე შაბლინსკის მაგივრად უნდა მივიღო მონაწილეობა დაკრძალვის ზეიმებში, მის მაგივრად უნდა ვიმწუხარო და ვიპირფერო. ტელესტუდიაში ვრეკავ:

— დაკრძალვას ვინ ხელმძღვანელობს?

— თვითონ ილვესი.
ლამის ჩამოვვარდი სკამიდან.

— რანდო ილვესი, მიცვალებულის ვაჟი. და საორგანიზაციო
კომისია.

— როგორ დავრეკო იქ? ვიწერ... გმადლობთ.
ვრეკავ. ბალტიისპირეთული აქცენტით მკაცრად;

— თქვენ განსვენებულის ნათესავი ხართ?

— მისი კოლეგა ვარ.

— ტელევიზიაში თანამშრომლობთ?

— დიახ.

— თქვენი გვარი შაბლინსკია?

— ლამის ეგრეა, მე ვარ-მეთქი, ვუპასუხე. — შაბლინსკი მივლი-
ნებაშია. მისი შეცვლა დამეკისრა.

— გელოდებით. მესამე სართული, ოთახი თორმეტი.

— მოვდივარ.

მეთორმეტე ოთახში სამკლაურებიანი ვილაცები იყვნენ მოქუჩე-
ბული. შაბლინსკის პიჯაკი, რომელიც მისი პატრონის მოხაზულობებს
ერთგულობდა, მიჭერდა და მბორკავდა. აუზში მკვდარი ვეშაპი, ან
ძაღლის სადგომში ცხენი რომ გრძნობს თავს, ისეთ დღეში ვიყავი.

მაგიდასთან მჯდარმა ქალმა კივილით მკითხა:

— თქვენ შაბლინსკი ხართ?

— არა.

— „სოვეტსკაია ესტონიასგან“ შაბლინსკი უნდა იყოს.

— ის მივლინებაშია. მისი შეცვლა მე დამეკისრა.

— გასაგებია. გამოსვლის ტექსტი მზადაა?

— ტექსტი? მე მეგონა, რომ ეს... მღელვარე იმპროვიზაცია იქ-
ნებოდა.

— არის ვითარება, როცა... ტექსტის შეთანხმება აუცილებელია.

— შემძლია ხვალ წარმოვადგინო?

— ნუ წუხსართ. აი შაბლინსკის მიერ მომზადებული ტექსტი.

— ჩინებულია, — ვეუბნები, — გმადლობთ.

პაპიროსის ქაღალდის ორი ფურცელი მომართვეს.

ვკითხულობ:

„ამხანაგებო! როგორ მშურს ილვესისა! დიახ, დიახ, არ გაგიკვი-
რდეთ. მე თეთრი შურის გრძნობა მსჭვალავს. რა შინაარსიანი სი-
ცოცხლეა! რა შთამბეჭდავი შედეგებია! მეოცნებისა და მებრძოლის რა
შესაშური დიდებაა!..“

ამას დამსახურებათა ჩამოთვლა მოსდევდა, და ბოლოს — ფინალი:

„... იძინე, ჰუბერტ ილვეს! შენ იშვიათად თუ გიჯერებია გული
ძილით. იძინე!..“

ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა იმაზე, რომ იქ ეს ყველაფერი წა-
რმომეთქვა. ქაღალდზე რაღას არ ვწერ. მაგრამ ხმამაღლა, ადამიანე-
ბის თვალწინ...

მაგიდასთან მჯდარ ქალს მივუტრიალდი:

— ჩემი რაღაცის შეტანას ვისურვებდი... ოღნავ შეცვლას... მე

ისე ემოციური არა ვარ...

— ძირითადი უნდა შეინარჩუნოთ. არის ვიზა...

— იგულისხმება.

— მონაცემები გადაიწერეთ.

გადავიწერე.

— ნათავისარები არ უნდა გააჭაჭანოთ.

— იცით, — ვეუბნები, — ნათავისარი სჯობია ნაიმისარს.

— რა თქვით? — მკითხა ქალმა.

— კეთილი, — ვეუბნები, — ყველაფერი ნორმალურად იქნება.

ახლა ყველაფერი შაბლინსკიზე ვთქვათ. მამამისი რეპრესირებული იყო. ბიძამისი, პროფესორი, სახელგანთქმულ მემუარებში იხსენიება.

ის თითქმის ერთადერთია, ვის მიმართაც სიმპათიას გამოხატავენ.

მიმა უსიცოცხლო სალაგერო დასახლებაში იზრდებოდა. არითმეტიკასა და რუსულს საბჭოთა მეცნიერების... ბუმლატიანი კორიფეები ასწავლიდნენ. ასე ყალიბდებოდა მისი ცხოვრებისეული წარმოდგენები. ის სტაბილური და საზრიანი კაცი დადგა. სიტყვებისა არ სჯეროდა, გადაჭრით მოქმედებდა. ბევრს კითხულობდა. პოეზიაც უყვარდა და ტექნიკაც. დიპლომის უქონლად მუშაობდა კონსტრუქტორად. უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მრეწველობის თემებზე მომუშავე ჟურნალისტი გახდა.

ამას იქით მისი სფერო პოეზიისა და ტექნიკის პიბრიდია.

მიზნის მისაღწევად ყველაფრისთვის მზად იყო. ნებისმიერ საშუალებებს იყენებდა. მიზანი სულ უფრო და უფრო ბუნდოვნად ესახებოდა. მისი ცხოვრების მიზნად სახსრების მოპოვება იქცა. სიკეთისა და ბოროტების ალტერნატივა წარმატებისა და წარუმატებლობის ალტერნატივად გარდაისახა. აქტიურმა ცხოველქმედებამ ზნეობრივი წინსვლა დაამუხრუჭა. როცა ჩვენ ერთმანეთს გაგვაცნეს, ის ტიპური გაორებული და ცინიკური ჟურნალისტი იყო. ჟურნალისტებზე შესანიშნავად ბრძანა ფორდმა: „პატიოსანი მეგაზეთე ერთხელ იყიდება“. და მაინც, ამ გამონათქვამს იდეალისტურად მივიჩნევ. ჟურნალისტიკაში არის შემსყიდველი პუნქტები, საკომისიო მაღაზიები და საქველმანოებიც კი. ანუ გადაყიდვას გახურებული.

არსებობს მშვენიერი, მტანჯველი, ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება. და არის მუშაობა, რომელიც კარგად ნაზღაურდება: და სხვა, უფრო მკაფიო ტრაგიზმს მოკლებული, ჰარმონიული ცხოვრება. ეს ქალაქში არსებობს.

ზის ჟურნალისტი და წერს: „იდვა მრისხანე ცხრამეტი წელი...“

წუთით შეწყვიტა წერა და თავის მობეზრებულ ცოლს გასძახის: „გარიკ ლერნერი სამ ქილა უნალექო ყავას შემპირდა...“

ცოლი სამზარეულოდან: „როგორ, ლერნერი ჯერ არ ჩაუსვამთ?“

მაგრამ კალამი უკვე განაგრძობს წრიპინს. დავუშვათ: „... ბუნების კიდევ ერთ საიდუმლოებას აეხადა ფარდა...“ ან: „ნიუ-იორკში ლევკოინების სურნელი არ ტრიალებს...“

მეგაზეთის ცხოვრებაში არის ყველაფერი, რითაც მშვენიერია ყველა ღირსეული მამაკაცის ყოფა.




ქართული
ბიბლიოთეკა

გულწრფელობა? მეგაზეთე გულწრფელად ფიქრობს მხოლოდ იმას, რასაც არ ფიქრობს.

შემოქმედება? მეგაზეთე დაუსრულებლად ველს ნამდვილად ასალებს.

სიყვარული? მეგაზეთეს ნაზად უყვარს ის, რასაც სიყვარულიც არ ღირს.



თუმცა, ჩვენ სათქმელს გადავუხვიეთ

ტელევიზიიდან მარინასთან წავედი. ჩვენს შორის მთელი წლის ნანძილზე ხდებოდა ინტელექტუალური სიახლოვის მსგავსი რაღაც, რასაც მტრობისა და გარყვნილების ელფერი დაჰკრავდა.

მარინა ჩვენი გაზეთის სამდივნოში იღვწოდა. მუშაობის შემდეგ მას ოცდაათი წლის გაუთხოვარი ქალის სკეპტიციზმი და მოუხეშო პირდაპირობა თანგავდა.

ის ოდესღაც, ისევე როგორც ჩვენი რედაქციის ყველა დანარჩენი ქალიც, მისი ქალი გახლდათ.

ისინი, უკლებლივ, ადრე თუ გვიან, ეგუებოდნენ მის ფაციფუსს. მისი ასეთი წარმატების საიდუმლოს დიდხანს ვერ ვხვდებოდი. შემდეგ და შემდეგ მივხვდი, რომ შაბლინსკი თავის ხელყოფებს არაორაზროვნებით უღებდა ბოლოს. ერთხელ, მაგალითად, ლიტვიდან მივლინებულ პრაქტიკანტ ქალიშვილს, რომელსაც ძლივს იცნობდა, განუცხადა:

— მე თქვენ მიყვარხართ. და შესაძლო ტრიპერიც კი ვერ შემაჩერებს.

მე მას როგორღაც ვეუბნები:

— მიშკა, მე ფარისეველი არა ვარ. მაგრამ შენ ოთხი ქალი გყავს. მალე ახალი წელი დგება. შენ ოთხივეს ხომ ვერ მიიწვევ.

— რატომ? — მკითხა შაბლინსკიმ.

— სკანდალი ატყდება.

— გამორიცხული არაა, — დაფიქრდა ის.

— მერე რა გინდა ჰქნა?

შაბლინსკი დაფიქრდა, ამოიოხრა და თქვა:

— რომ იცოდე, ეს როგორი სერიოზული პრობლემაა...

მარინას იმიტომ დასცილდა, რომ ცოლის შერთვა ჩაიფიქრა. მარინა ცოლად არ ვარგოდა. ის, ვიმეორებ, დაახლოებით ოცდაათი წლისა იყო, ეწეოდა და ბევრი რამ იცოდა. მიშას ტრადიციული ებრაული საქორწინო ვარიანტი აინტერესებდა. დიასახლისური მიდრეკილებების უმწიკვლო ქალიშვილი. ის ვიღაცამ გააცნო. მართლაც ასეთი იყო ძვირფასი, პატარაულვაშიანი როზოჩკა. კითხულობს, ბევრ რამეში ერკვევა. როზა თვალების ფახულით იმეორებდა და იმეორებდა:

— მე და გათხოვება?! მე ხომ გამოცდილება არა მაქვს...

— რა არა გაქვს? — ხარხარებდა შაბლინსკი.

მარინა კი მიატოვა. და ამ დროს მარინას მოვევლინე მე, მე, ფიქრიანი, თავაზიანი, პატიოსანი ვიღაც და მან თითქოს პირველად დამინახა. პირველად დამაფასა.

ჩემს სათნოებებს ერთი საინტერესო თვისება აქვთ. ისინი მხოლოდ რაღაც უმსგავსოების ფონზე იფურჩქნებიან. ჰოდა, მიტოვებულ ქალებს მე ვუყვარვარ.

თავიდან ის მხოლოდ შაბლინსკიზე მელაპარაკებოდა:

— იცი, მას ხომ მე თავისებურად ერთხელ როგორღაც ვესაუვედურე: „არ გიყვარვარ“. და იცი რა ჰქნა? ჩემი ტანსაცმელი და ხელჩანთა აიღო და დაკიდა...

— სად? — ვეკითხები.

— როგორი ვინმე ხარ... ეს ღამით იყო. სრული ინტიმი. მე ვეუბნები: „არ გიყვარვარ“, მან კიდევ აიღო ტანსაცმელი, ჩანთა და დაკიდა იმაზე, სწორედ იმაზე, რათა ეჩვენებინა თუ რა ძლიერია და როგორ ვუყვარვარ მე...

მაშ ასე, ტელევიზიიდან მარინასთან მივდივარ. ახალმშენებლობათა რაიონში მის სახლში მისი კოლეგა-მეგაზეთეები ცხოვრობენ. ტროლეიბუსიდან ჩამოხვალ თუ არა, უშენ ადგილზე ხედავ უშველებელ სახლს და ყოველ ფანჯარაში — თანამშრომელს.

მეოთხე სართულზე ავდივარ, ხარს ვაჭერ თითს და ამ დროს მახსენდება, რომ შაბლინსკის პიჯაკი მაცვია. კარი გაიღო. მარინა განცვიფრებული მიყურებს. შესაძლოა, გაიფიქრა, რომ მე შაბლინსკი ეჭვის წიადაგზე მოვკალი, მისი კლიფტი კი მოვიპარე...

(ქალებს სამოსელი ზებუნებრივად ამახსოვრდებათ. ჩემი ცოლი ვილაცაზე მეუბნებოდა: „შენ იმას იცნობ. ძალიან კარგად იცნობ. უსიმპათიო ვინმეა, ყავისფერთასმებიანი შავი ყელიანი ფესსაცმელი აცვია.“)

კარგი კაცი ურთიერთობას ყოველთვის ძნელად აგვარებს. მე კი კარგი კაცი ვარ. ოდნავადაც არ მეუხერხულება განვაცხადო, რომ ეს საამაყო სულაც არაა. კარგი ადამიანისგან მისი სიკარგის შესატყვის ქცევას ელიან. მას დიდ მოთხოვნებს უყენებენ. ის ყოველდღე კეთილშობილების, გონიერების, გულმოდგინების, სინდისის, იუმორის მძიმე ჭაბანს ეწევა. შემდეგ კი მას ვილაც გამოუსწორებელი ნაძირალის გამო ტოვებენ. და იმ გარეწარს სიცილ-სიცილით ელაპარაკებიან კარგი კაცის გულისგამწყალებელ სათნოებებზე.

ყველამ იცის, რომ ქალებს მხოლოდ არამზადები უყვართ. მაგრამ არამზადობა ყველას არ შეუძლია. მე ერთ მევალუტეს, აკულას, ვიცნობდი. ცოლს ნიჩბის ტარით სცემდა. იმ ცოლს თავისი საყვარლის შამპუნის აჩუქა. კატა მოკლა. სიცოცხლეში ერთხელ მოუშადა მას ყველიანი ბუტერბროდი. ცოლი მთელი ღამე ქვითინებდა ქმრის სინაზით გულაჩუყებული. ცხრა წელიწადს უვზავნიდა კონსერვებს მორდვეთში. ელოდა...

კარგი კაცი კი ვის რაში უნდა, თუ ღმერთი გწამთ?!

მაშ ასე, სხვისი პიჯაკი მაცვია.

— რა მოხდა? — ვეკითხება მარინა, რომელმაც ამ გადაცემაში რაღაც სექსუალური წარწყმედა, რაღაც ურთიერთშენაცვლება დაინახა.

— ეს მიშკას პიჯაკია, — ვეუბნები, — დროებით, სოლიდურობისთვის.

— გინდა ხელი მთხოვო?

(ღვარძლნარევი იუმორი.)

— სერიოზული ადამიანი რომ ვიყო, მოურიდებლად გთხოვდი.

— ნუ ფრთხები.

- დაკრძალვაზე უნდა გამოვიდე. ილვესი მოკვდა.
- ილვესი? ტელეხედვიდან? კომპარია... ჭამე რამე?
- არ მახსოვს. ილვესი არც მინახავს.
- ბულიონი, ღვეზელები და იხვი შაქვს.
- მოიტა. ხომ არ ჩამერბინა?
- შაქვს. ფსკერამდეა დასული.



ვიცნობ მე ამ კულტურულ სახლებს. ხატები, ნავთქურები, ნეფერტიტი... რალაც მრავალმნიშვნელოვანი დოქების, ქოთნების ნამტვრევები... უამრავი წიგნი, და სუ ახლები... არაყი კი ძირში უდგათ. სუ ყოველთვის ძირში უდგათ. და როგორ გაჩნდა ის აქ? ვინმემ მოიტანა? მოიტანა და ჩატოვა? უფრო მნიშვნელოვან რამეზე გადავიდა?

ექვციანობის უფლება არა შაქვს. ცოლი, ალიმენტები... დიდი ხანი უნდა ამის მოყოლას. კომპოზიცია დაინკრევა...

— არაყი საიდან გაჩნდა? — ვეკითხები. — ვინ იყო აქ?

მე არ ვეჭვციანობ, ჩემთვის ეს სულერთია. ჩვენ ასეთი თამაში გვაქვს დაწესებული.

— ედიკმა შემოიარა. დებრესია აქვს.

პოეტი ბოგატირიევი იგულისხმება. გაწელილი გვარი, სათვალე, გიჟური ხარხარი. მე მისი ლექსების წიგნი ვნახე. „სიკეთის ჰიპოთენუსა“ თუ „გულის ბისექტრისა“ ჰქვია. თეთრი ლექსებია. ან, იქნებ, ვცდები. მაგალითად, ასეთები:

ჩვენ გვერდიგვერდ მივდიოდით,
და ვერ შევძელით შეერთება...

და შემდეგ მითითება: „21-22 დეკემბრის ღამე. ჩქარი მატარებელი ლენინგრადი-ტალინი“.

— მას ყოველთვის დებრესია აქვს. სამუშაო ვითარება. ბუშის სამუშაო ვითარება კი ლოთობაა.

— ბოროტი ნუ იქნები!

— კარგი, პო...

— გინდა, ნახე, დღიურში რა ჩავწერე? შენთან მიმართებით.

ალუბლისფერი ბლოკნოტი მოიტანა. ყდაზე ოქროს ასოები იყო აღბეჭდილი. „ტალინის პარტიული კონფერენციის დელეგატს.“

— აქ არ წაიკითხო და არც აქ წაიკითხო. აი, აქ წაიკითხე.

„ის იყო ჩემი სხეულის ზეიმი და ჩემი სულის სტუმარი. 1975 წლის 19-20 აგვისტოს ღამე“. წაიკითხე და გამაჟრჟოლა. ოთახში აუტანელი სიცხე დასადგურდა. ცისფერი კედლები ირიბად გაცოცდნენ ზევით. ჩემს თვალწინ ესტამპები ირხვოდნენ. სულის ხუთვამ, გუდვამ კარს იქით გამაგდო. შპალერზე ხელების ფათურ-ფათურით შევვარდი აბაზანაში. ნიჟარისკენ დავიხარე, და მის ცივ ქაშანურის კიდებს დავეყრდენი. გული მერეოდა. თავი ონკანს შევუშვირე. ყინულივით წყალი საყელოში ჩამედვარა.

მარინა დელიკატურად მელოდა დერეფანში. შემდეგ მკითხა:

— გუშინ დალიე?

— ოპ, მომეშვი...

— გულს მტკენს, როცა ვხედავ, როგორ იღუპება ადამიანი.
 — იცი, — ვეუბნები, — ჩვენს პირობებში წაგება იქნებ მოგე-
 ბაზე უფრო ღირსეული რამ იყოს.

— შენ მოგწონს საკუთარი თავის დაზარალებულად წარმოდგენა,
 საკუთარი წარუმატებლობებით ტკბები, ამით კოკეტობს ჩვენში

ბიზნიმთქა

— ლიმონი გაქვს?

— ახლავე.

ვზივარ, ლიმონს ვღეჭავ. გამომეტყველებაც ამის შესაბამისი
 მაქვს. მარინა კი თავისას მიერეკება:

— ჭეშმარიტი ტალანტი როდისმე გაიკვალავს გზას. ადრე თუ
 გვიან წარმოაჩენს თავს. წერე, იმუშავე, მიზანს მიაღწიე...

— მე ვაღწევ. მე მგონი, უკვე მივაღწიე. მე ცეკას კულტურის
 განყოფილების ინსტრუქტორმა გამათხნა. მომისმინე, სადაა ის? შენ
 ამბობდი, ძირშიაო...

მარინამ საზღვარგარეთული ბოთლით რაღაც ბითურობა და ორი
 ფუჟერი მოიტანა.

ფირფიტისაკრავი ჩართო. ბუნებრივია — ვივალდი. ის დიდი ხა-
 ნია დაღევასთან ასოცირდება...

— იცი, — ვეუბნები, — ნებისმიერ ვითარებაში ყოფნაზე ვოც-
 ნებობდი.

— მე მინდა ძლიერს, გონებანათელს, მიზანმისწრაფებულს გი-
 ყურებდე.

— ეს იმას ნიშნავს, რომ შაბლინსკის უნდა ვგავდე.

— სულაც არა. ბუნებრივი იყავ.

ალბათ ჩემთვის ბუნებრივი ისაა, რომ არაბუნებრივი ვიყო.

— შენ ყველაფერს მეტისმეტად ართულებ. არც ისე ძნელია წე-
 სიერი ადამიანობა.

— შენც მიდი, სცადე.

— თავხედობა აუცილებელი არაა...

და მართლაც, ვფიქრობ, რას მივედ-მოვედები... ლამაზი ქალია.
 საკმარისია ხელი გავიწვდინო. გავიწვდინე, მუსიკა გამოვრთე, ფუჟე-
 რი გადავაბრუნე...

მესმის: „მიშკა, მე ახლა მოვკვდები!“ და ჩუმი ჟღერიალი — მა-
 რინამ შორეული, თავისუფალი, უჩინარი, ზედმეტი ხელით მყარად ჩა-
 მოდგა ფუჟერი.

— მიშკა, — ვეუბნები, — მივლინებაშია.

საზიზღარ გუნებაზე დავდექი და წავედი. უფრო სწორად, დავ-
 რჩი.

ჩემი გამოსვლის ტექსტი დილას მზად იყო.

„ამხანაგებო! ჩვენ დღეს აქ სამწუხარო გარემოებამ მოგვიყვანა.
 გარდაიცვალა ჰუბერტ ილვესი, თვალსაჩინო ორგანიზატორი, პარ-
 ტიული, მოვალეობის ერთგული ადამიანი...“ ამას მოსდევდა მისი დამ-
 სახურებების ჩამონათვალი. შრომის წიგნაკის რამდენადმე ბელეტრი-
 ზებული ვარიანტი. და დასასრულ — ფინალი: „მისი ხსოვნა იცოცხ-
 ლებს ჩვენ გულებში!..“

ამ ფურცლიანად წავედი ტელევიზიაში. იქ წაიკითხეს და თქვეს:
 — რამდენადმე აბსტრაქტულია. თუმცა ეს უკეთესია. უფრო
 ოფიციალურ გამოსვლებთან კონსტრასტის გამოისობით.
 — შენ დამკრძალავი კომისიის განკარგულებაში ხარ, ხვალამდე.
 ჩაო!

ბიზნისი

დამკრძალავ კომისიაში ფაციფუცი სუფევდა, რაც ჩემთვის ცნობილ სარედაქციო გარემოს, მის ყველა ზრუნვასა და ხმაურიან უნაყოფობას მაგონებდა. კიბეზე სახანძრო სტენდთან ვეწეოდი. ამ დროს ბიკოვერმა დამიძახა. ნებისმიერ რედაქციაშია ასეთი არასტანდარტული ფიგურა — ებრაელი, გადარეული, ჭკუის კოლოფი. ისევე, როგორც ნებისმიერ დასასლებულ პუნქტში — შეშლილი. საკმაოდ საინტერესო ბედ-იღბლის კაცია. მამამისი რეველელი ფაბრიკანტის უმცროსი ვაჟიშვილი იყო. იმ ფაბრიკანტმა კემბრიჯი დაამთავრა. შემდეგ ბურჟუაზიული ესტონეთი დაეცა. ფიმა, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ებრაელი, რევოლუციას უჭერდა მხარს. რესპუბლიკური გაზეთის საზღვარგარეთის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. (ენების ცოდნა გამოადგა.) და აი, მას საპასუხისმგებლო დავალება მისცეს. ბულგარეთში დიმიტროვთან უნდა დაერეკა. ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკის იუბილისთვის მასალა უნდა შეეკვითა. სოფიაში დარეკა. ყურმილი დიმიტროვის მდივანმა აიღო.

— ტალინიდან გელაპარაკებით, — განუცხადა იმ მდივანს ბიკოვერმა ისე, რომ მისი დიდი ერუდიციის მიუხედავად, მაინც ებრაელად რჩებოდა. — ტალინიდან გელაპარაკებით, — გაიმეორა.

პასუხად გაისმა:

— გამარჯობათ, ამხანაგო სტალინ! ბულგარეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხი მოგესალმებათ. ნება მომეცით მშრომელთა სახელით გიპატაკოთ, რომ....

— მე სტალინი არა ვარ, — უწყინრად, გულთბილად შენიშნა ბიკოვერმა, — ბიკოვერი გასლავართ. და მე იმისთვის გირეკავთ, რომ კარგი იქნებოდა ესტონეთის იუბილესთან დაკავშირებით მოკლე მოლოცვის ორგანიზება... სულ რამდენიმე სიტყვით...

ორმოცი წუთის შემდეგ ბიკოვერი დააპატიმრეს. მკრეხელური შედარების, შეპირისპირების, წმინდანის მასხრად აგდების, იდიოტიზმის გამო.

ამის შემდეგ ბევრი რამ იყო. ძიება, ცოტა ხანს ყოფნა ლაგერში, სადაც ბიკოვერმა სილითა და ტუტეთი გატყავებული და დაფეშხობული ქროხა გაყიდა. („თქვენ მეუბნებოდით გულმოდგინედ გარეცხეთ, პოდა, მეც გულმოდგინედ ვრეცხავდი...“). როგორც იქნა, დაბრუნდა იქიდან და რომელიღაც ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. დიპლომი არ ჰქონდა (კემბრიჯი არ ეთვლებოდა). ოთხმოც რუბლს უხდიდნენ. ამასობაში ბიკოვერი დაქორწინდა. მისი ცოლი სულ ავადმყოფობდა, მაგრამ უპრობლემოდ აჩენდა შვილებს. ღარიბ-ღატაკი, დამფრთხალი, ნახევრად შეშლილი ბიკოვერი რედაქციის პოლებში დაბაკუნებდა. ძალზე უბადრუკი შინაარსის მეტისმეტად იაფ ინფორმაციებს წერდა. „ფაბრიკა „კალევის“ ახლოს დომბა ნახეს“. „გადამდგარი მაიორის

სახლში ბუმბერაზი კაქტუსი აყვავდა. „დაიბეჭდა გრიგოროვიჩის მორიგი წიგნი“. და ასე შემდეგ, ბიკოვერი ყოველდღე რეკავდა სამშობიაროში იმის გასაგებად, სამტყუპი ხომ არ გაჩნდა. ყოველთვიურად მიმოიხილავდა ფართო-მთხმარების სიახლეებს. ყოველწლიურად იძლეოდა ინფორმაციებს ნადირობის სეზონის დაწყების წინსწინების ყველას გვიყვარდა.

— გამარჯობა, ფიმა! — მკრეხელურად მხნე ხმით მივესალმე.

— რა უბედურებაა, რა უბედურებაა, — მიპასუხა ბიკოვერმა.

— ამბობენ, მიცვალებული გარეწარი იყო.

— ეს ის სიტყვა არაა, ის სიტყვა არაა...

— მომისმინე, ფიმა, — ვეუბნები, — ერთხელ მაინც სცადე წელში გამართვა, ან ხმამალლა ლაპარაკი.

ბიკოვერმა ისე შემომხედა, რომ გავწითლდი.

— იცი, რას ვისურვებდი? — თქვა მან, — უჩინარი გავხდე. საერთოდ არ ვარსებობდე. სიამოვნებით შევეცვლებოდი ილვესს, მაგრამ შვილები მყვანან. სამი შვილი. და სამივეს ვჭირდები, ხომ იცი...

— რატომ მოხვედი აქ?

— არ მინდოდა მოსვლა. მე ასე ვსჯიდი: განა ილვესი მოვიდოდა ჩემს დაკრძალვაზე?! არასოდეს მოვიდოდა. მაშასადამე, არც მე წავალ. მაგრამ ცოლი მეუბნება: „ფიმა, წადი. ყველანი იქ იქნებიან. იქ საჭირო ადამიანები იქნებიან...“

— აი, მე საჭირო ადამიანი ვარ?

— მაინცდამაინც საჭირო არა, მაგრამ კარგი კაცი ხარ.

რომელიღაც შავსამკლაურიანმა გამოიხედა:

— აქ შაბლინსკი ვინაა?

— მე გახლავართ, — ვეუბნები.

— გესმით თუ არა, ილვესი მორგშია. მას შესანიშნავი მუქ-ლურჯი კოსტიუმი ჩააცვეს, მაგრამ ჰალსტუხი არ აღმოაჩნდათ. ჰალსტუხი ეს-ესაა მოიტანა მისმა დისშვილმა. და კიდევ, ლაცკანზე უურნალისტთა კავშირის ნიშანია მისაბნევი.

მე ჰალსტუხი მეკეთა. ერთი წლის წინათ გადამყიდველმა აკულამ მაჩუქა. მანვე გამინასკვა რაღაც არაჩვეულებრივი ხერხით. ა-ლია ფრენკ სინატრა. მას აქეთ ეს კვანძი არც გამიხსნია. ასე ვიქცეოდი: ნასკვს ვასუსტებდი და ნელა ვაჯართოვებდი მარყუჟს. წვერი გარეთ რჩებოდა. შემდეგ ფრთხილად ვიძვრენდი იქიდან თავსა და ყურებს. და პირიქით, ასეთნაირადვე...

— მგონი, არ გამომივა...

— ისე კი, მე ეს შემიძლია.

— აგაშენათ ღმერთმა, — გაიხარა ქალიშვილმა, — სატვირთო მანქანა ქვევითაა. იქ შოფერი და ხმის ოპერატორი აღტმიაეც არიან. აი ჰალსტუხი და ნიშანი. მიცვალებული აქ მოასვენეთ. იმ დროისთვის ყველაფერი უკვე მზად იქნება. ცერემონია ზუსტად სამზე დაიწყება. და კიდევ აღტმიაეს უთხარით, რომ ფონი კონტრასტული უნდა იყოს. მან იცის...

ჩავიცვით და ლიფტში შევედით. ბიკოვერმა თქვა:

— მეც გამოვადექი მავანთ.

ქვევით ფურგონიანი სატვირთო მანქანა იდგა. კაბინაში ხმის ოპერატორი ალტმიაე თვლემდა.

— სალამი, ოსკარ, — ვეუბნები, — მხედველობაში იქონიე, რომ ფონი კონტრასტული უნდა იყოს.

— რა ფონი, რის ფონი? — გაოცდა ალტმიაე.

— შენ იცი.

— რა ვიცი მე?

— ქალიშვილმა მითხრა ეს მეთქვა შენთვის.

— რომელმა ქალიშვილმა?

— კეთილი, — ვეუბნები, — იძინე.

ძარაში შევძვერით. ბიკოვერი ხარობდა:

— კარგია, რომ მე შემიძლია სასარგებლო კაცი ვიყო. ილვესი საჭირო ვინმეა.

— ვინაა საჭირო? — გავოგნდი მე.

— უმცროსი ილვესი, ვაჟიშვილი.

— ის რაღას აკეთებს?

— პროპაგანდის განყოფილებაში მუშაობს.

— დაჯექი, — ვეუბნები, — ჩემსკენ მოიწიე. აქ მანქანა ჯაყაყაყებს.

— მე ყველგან ერთნაირად ვჯაყაყაყებ.

ოდესღაც ლაგერის ზედამხედველი ვიყავი. პატიმრები დამყავდა ასეთივე ლითონის ფურგონით. იმ მანქანას ავტოზაკი ერქვა. იმ ფურგონში საერთო „სალონის“ გარდა ორი ვიწრო რკინის კარადაც იყო. მათ ჭიქებს ეძახდნენ. იქ მხოლოდ ერთი ადამიანი ეტეოდა, ისიც, თუ იდაყუებითა და მუხლებით კედლებს მიეჭეჭეებოდა. ბადრაგი გარეთ იმყოფებოდა. რკინის კარში ერთი ვიწრო სათვალთვალო ღრეჩო ჰქონდა. პატიმრები ამ მოწყობილობაზე ამბობდნენ: „შენ მე მხედავ, მე შენ ვერ გხედავ“.

უცებ ვიგრძენი, რა ძნელი იყო რკინის ჭიქით მგზავრობა. იმ დროიდან ხომ თექვსმეტი წელი გავიდა...

ფურგონის ლითონის სახურავზე ტოტები აშარიშურდნენ. ჩვენ შევქანდით, რადგან მანქანა დამუხრუჭდა.

სინათლეზე გამოვძვერით. ხეებს იქით საპროზექტორის კედლები ყვითლად ბზინავდნენ. ზარი კარის მარჯვენა მხარესაა. თითი დავაჭირე. მუშაობის წინსაფარიანმა კაცმა გაგვიღო. ალტმიაემ დოკუმენტები ამოუღო და რაღაც თქვა ესტონურად. მორიგემ უესტით გვანიშნა, რომ მას მივყოლოდით.

— მე არ წავალ, — თქვა ბიკოვერმა, — გული წამივა.

— არც მე. შემდეგ მე კოშმარები დამესიზმრება, — განაცხადა ალტმიაემ.

— კარგი ვინმეები ხართ, — ვამბობ, — ეს წინასწარ უნდა შეგეტყობინებინათ.

— ჩვენ შენი იმედი გვქონდა. შენ ხომ ასე ზორბა ხარ.

— მე პალსტრუხსაც კი ვერ ვიკრავ.

— მე გასწავლი, — თქვა ბიკოვერმა; — მე გასწავლი „კემბრიჯული ლოტოსის“ ხერხს. შენ აქ წაივარჯიშე, ადგილზე კი განახორციელებ.

— მე წავიდოდი, — თქვა ალტმიაემ, — მაგრამ მეტისმეტად მგრძნობიარე ვარ. და საერთოდ მიცვალებულებს პატივს ვცემ. შენა?

— მიცვალებულები ჩემი გატაცებაა, — ვეუბნები.

— მიყურე და ისწავლე, — მითხრა ბიკოვერმა და პრაქტიკული გაკვეთილი ჩამიტარა. — შეხედე. ლამაზია, არა?

— არა უშავს, — ვეუბნები.

— „კემბრიჯის ლოტოსის“ უპირატესობა ისაა, რომ კვანძი იოლად იხსნება. საკმარისია ეს წვერი მოსწიო და მორჩა.

— ილვესი აღფრთოვანდება, — თქვა ალტმიაემ.

— მიხვდი, როგორ კეთდება?

— თითქოს მიხვდები, — ვამბობ.

— სცადე.

ბიკოვერმა მკვირცხლად მომიშვირა მომჩვარული ყელი, რომლის ოთხ ადგილას ლეიკოსალბუნი იყო დაწებებული.

— კარგი, პო, — ვამბობ, — დავიხსომე.

მორგში გრილოდა და ხმაური იდგა. ყავისფერი კედლები, საპატოო დაფა, გამომწვევად წითელი ცეცხლსაქრობი.

— ესაა, — გვაჩვენა მორიგემ.

ფანჯარასთან წითელ მატერიაში გახვეულ კვარცხლბეკზე კუბო იყო შემოდგმული. არა ჩვეულებრივი ყავისფერი (უწვავი კარადის ფერის მსგავსი), არამედ შავი, ფოლგისგალუნიანი კუბო. ილვესი აბსოლუტურად მკვდარივით გამოიყურებოდა. მულაყივით უსიცოცხლოდ.

მორიგეს პალსტუხი ვაჩვენე. გაირკვა, რომ ის რუსულად კარგად ლაპარაკობდა.

— მე წამოვწევ, თქვენ კი გაუნასკვეთ.

მან ერთმანეთს გადაჯაჭვული ხელებით მორიგით წამოსწია სხეული. შემდეგ — უთავბოლოება და ჩვენი ცოდვილობა. „კარგია... ცოტაც და...“ აბზეკილი საყელო, დაჭმუჭნული ქაღალდის მაქმანები...

— ო'კეი, — თქვა-მორიგემ და მიცვალებულის თმას შეეხო.

სამკერდე ნიშანიც მუქი შვეიოტის ლაცკანზე დავაბნეე. მორიგემ ექვსჯანჭიკიანი სახურავი მოიტანა. დააზომეს, ჩახრახნეს.

— ბიჭებს დავუძახებ.

ალტმიაე და ბიკოვერი შემოვიდნენ. ფიქსს თვალები მაგრად ჰქონდა დახუჭული. ალტმიაე ფერმიხდილი იღიმებოდა. კუბო გამოვიტანეთ და საძაგელი ღრჭიალით შევდგით ქარაში.

ალტმიაე კაბინაში მოკალათდა. ბიკოვერი მთელი გზა დუმდა და როცა უკვე ვუახლოვდებოდით დანიშნულ ადგილს, ფილოსოფიურად შენიშნა:

— იცოცხლა, იცოცხლა ადამიანმა და მოკვდა.

— აბა, შენ რა გინდოდა? — ვეკითხები.

ვესტიბიულში ხალხი ფუთფუთებდა. ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. კედლებზე ფოტოგამოფენა „პლანეტის სიჭაბუკის“ ექსპონატები ციალებდნენ.

სამკლაურიანი უცნობი კაცი გამოვიდა და ხმადაბლა გამოაცხადა:
— მოწვევა ნებადართულია.

ამ ჰუმანურმა პატარა უკანონობამ მგლოვიარენი დააკმაყოფილა. ბრბოში უხმაუროდ მიმოდრიოდნენ განმკარგულებლები. მე მათ ყველას ვიცნობდი. ეტყობა, დაკრძალვის ზეიმები ჩვეულებრივ იერარქიულ სისტემას არღვევენ. უსახელო ადამიანები ხალხში ჩნდებიან. ისინი, ვინც ნებაყოფლობით კისრულობენ ამ საქმეს.

განმკარგულებელთან მივედი:

— კუბო მოვიტანეთ.

— კაბელი წამოიღეთ?

— კაბელი? პირველად მესმის.

— არა უშავს, — ისე თქვა მან, თითქოს უმნიშვნელო შეცდომა დამეშვას. შემდეგ ხმას აუწია და მწუხარებაშერჩენილი ხმით გამოაცხადა:

— მანქანებში ჩასხედით, ამხანაგებო!

ორი ქალი აჩქარებით და დაგვიანებით ჰყრიდა იატაკზე ნაძვის ხის ტოტებს.

— მგონი, უკვე საჭირონი არა ვართ, — თქვა ალტმიაემ.

— მე სიტყვით გამოსვლა დამავალეს.

— შენ ბოლოს ილაპარაკებ. ჯერ გამოვლენ ამხანაგები ცკ-დან. შემდეგ კი ყველა, ვისაც არ დაეზარება. ყველა მსურველი.

— ყველა მსურველი რას ნიშნავს? მე გამოსვლა დავალებული მაქვს და ტექსტი ვიზირებულია.

— ბუნებრივია. შენ დავალებული გაქვს მსურველი იყო. მე ვნახე სია. შენ მერვე ხარ. ლემბიტის შემდეგ. მას უნდა, რომ ყველამ იმღეროს. არის ასეთი სიმღერა — „წეროები“. „მნე კაჟეტსია პორთიუ, ჩტო სოლდატი...“ და ასე შემდეგ. ჰოდა, ლემბიტი შესთავაზებს ხალხს ილვესის პატივსაცემად „წეროები“ იმღერონ.

— მერედა, ვინ იმღერებს? თანაც ამ სიცივეში.

— ყველა იმღერებს. აგერ ნახავ.

— მაგალითად, შენ იმღერებ?

— არა, — თქვა ალტმიაემ.

— შენა? — ახლა უკვე ბიკოვერს ვკითხე.

— თუ საჭირო იქნება, ვიმღერებ, — მიპასუხა ფიმამ.

ხალხი გასასვლელისკენ მიიწევდა. ბევრს გვირგვინები, თაიგულები და ყვავილებიანი ქოთნები მოჰქონდა. სადარბაზოსთან ექვსი ავტობუსი და ჩვენი ფურგონი იდგა. ჩემთან განმკარგულებელი მოვიდა:

— ამხანაგი შაბლინსკი ხართ?

— ის მივლინებაშია.

— მაგრამ თქვენ „სოვეტსკაია ესტონიადან“ ხართ?

— დიახ. მე დამევალა...

— სხეული თქვენ მოასვენეთ?

— სამმა მოვასვენეთ.

— ამის შემდეგაც უნდა გააცილოთ. სპეცმანქანით წახვალთ. ეს კი ჩამომართვით, რომ არ გაიყინოთ. — მან რაღაც ბუყბუყა შეკვრა გამომიწოდა. ეს ჰონორარის ბუნდოვანი ფორმა იყო. ყლუპი ძერიშის წინ. შევცბი, მაგრამ გავჩუმდი. პაკეტი ჯიბეში ჩავიჩარე. ეს ბიკოვერსა და ალტმიაეს ვაუწყე. ბუფეტში შევედი და ჭიქები გვითხოვეთ. ალტმიაემ სამი ბუტერბროდი იყიდა. ვესტიბიული დატარებულა, ნაძვის ტოტები ყვითლად მოპრიალე იატაკზე მუქად ჩანდნენ. ფურგონთან მივედით. მძღოლმა თქვა:

— კაბინაში ადგილია.

— არ გვინდა, — უთხრა ალტმიაემ.

— იმას „პატარა“ მივცეთ? — ჩურჩულით ვიკითხე მე.

— არავითარ შემთხვევაში, — მოჭრა ბიკოვერმა.

კუბო წინანდელ ადგილზე იდგა. ერთხანს მრუმეში ვისხედით. მოტორი ამუშავდა. ალტმიაემ ბუტერბროდები კუბოს სახურავზე დადო. მე სასმელი დავაძრე. ფიმამ ბოთლს კბილებით მოაძრო საცობი. ჭიქებმა ჩუმად დაიწკარუნეს. მანქანა დაიძრა.

— ვახსენოთ, — ნაღვლიანად თქვა ბიკოვერმა.

ალტმიაემ წამოიძახა:

— თანახმა ვართ!

შევსვით და ბოთლები სკამქვეშ შევყარეთ. ქალაქი ფანჯრიდან გადავაგდეთ.

— ჭიქები კი უნდა დაგვებრუნებინა, — ვთქვი მე.

— ჯერ გამოგვადგება, — არ დამეთანხმა ბიკოვერი.

ფურგონი გადასასვლელზე შეინჯღრა.

ლინამეტსის სასაფლაო ახალტანაყრილი ფიჭვებითა და ხავსმოკიდებული ეფექტური კაჭრებით დაფარულ ბორცვებზეა განფენილი.

აქ ყველაფერი უკვდავებისა და სიმშვიდის იდეას ესაბამებოდა. ბორცვებზე ძველი ციხის ნანგრევები იყო მიმოფანტული. მოშორებით უჩინარი ზღვა ბობოქრობდა. ფიჭვების ვარჯები ირხეოდნენ. მათს მოყვითალო პარალელურ ტანებს ქერქი ეცლებოდა.

არავითარი განცხადებები, პლაკატები, კიოსკები და ნავის ბაკები. წყლისა და ქვის საზეიმო კავშირი. სიჩუმე.

სასაფლაოს მთავარ ხეივანზე გავედით. მას ფიჭვების ჩრდილები კვეთდნენ. მძღოლმა დაამუსრუჭა.

რკინის კარი გაიღო. ჩვენს უკან ავტობუსების კოლონები ჩამწყვრივდნენ. განმკარგულბელი მოგვადგა:

— რამდენი ხართ?

— სამნი, — ვპასუხობთ.

მივხვდი, რომ კუბოზე ჯერ ისევ ჩვენ უნდა გვეზრუნა.

ავტობუსების ახლოს გვირგვინებიანი და თაიგულიანი ადამიანები იყვნენ მოქუჩებული.

უცებ მუსიკამ იგრიალა. პირველი მძღავრი აკორდის ექო მოეფინა იმ მიდამოებს. სამი ზორბა ბიჭი — ახალგაზრდული გაზეთის შტატგარეშეები — შემოგვიერთდა. ერთ მათგანთან ხშირად მითამაშნია მაგიდის ჩოგბურთი. კუბო გამოვართიეთ. შემდეგ მოვტრიალ-

დით და კოლონის თავში დავიკავეთ ადგილი. შოპენის სამკლოვიარო მარში უღერდა. მძიმე ტვირთიანად ნელა სიარული წამება დავიქანცე. ხელის შენაცვლება შეუძლებელია.

ბიკოვერმა უცებ სასოწარკვეთილი ხმით თქვა:

— მძიმეა ეს ვირიშვილი...

— უფრო ჩქარა ვიაროთ, — ვთქვი მე.

ოდნავ ავუჩქარეთ ფეხს. ორკესტრმა ტემპი გაზარდა. უფრო ჩქარა მივიწვევთ წინ, ვდირიჟორობთ. ბიკოვერი აცხადებს:

— ახლა გამივარდება.

და უფრო ხმამაღლა:

— შეგვცვალეთ, ამხანაგებო... ვაი!

ის რადიოკომენტატორმა ოიამ შეცვალა.

ხეივანის ბოლოში შავად ჩანდა სწორკუთხედი საფლავი. მის გვერდით საფლავიდან ამოყრილი გრილი მიწის პატარა ბორცვი იყო ამართული, მუსიკოსები ნახევარწრედ განლაგდნენ. პაუზას დაველოდეთ და კუბო ბორცვზე ჩამოვდგივით. იქ მყოფნი საფლავს შემოერკალნენ. განმკარგულელებელმა და მისმა თანაშემწეებმა კუბოს თავი ახადეს. დავრწმუნდი, რომ ჰალსტუხი ადგილზე ჰქონდა, და ხეებს იქით გავედი. ტელევიზიული ბიჭები ხელსაწყოების დაქენებას შეუდგნენ. კაშკაშა ნათურების შუქი უადვილოდ ჩანდა. ბალახში შავი მავთულები იყო გაჭიმული. ბიკოვერი და ალტმიაე მომადგნენ. ეტყობა, არაყმა შეგვკრა. გავაბოლეთ, განმკარგულელებელმა გაჩუმება ითხოვა. ალაპარაკდა პირველი ორატორი, რომელსაც ხელში ველვეტის ახალი შლიაპა ეჭირა. მე მას არ ვუსმენდი. შემდეგ სხვები გამოდიოდნენ სიტყვით. ტელევიზიის ბიჭები მხნედ ესმიანებოდნენ ერთმანეთს.

— პირდაპირი ტრანსლაციაა, — თქვა ბიკოვერმა. შემდეგ დასძინა: პირადად მე ძალღსავით დამასაფლავებენ.

— ამას სანეპიდსადგური არ დაუშვებს, — ირეაგირა ალტმიაემ. — სიკვდილისაკენ მიმავალი გზა უშინაარსო ინფორმაციებითაა მოკირწყლული.

— სწორედ რომ ძალიან შინაარსიანი ინფორმაციებით, — აღმოფოთდა ბიკოვერი.

სიტყვა გაზეთ „ისტუ ლესტის“ რომელიღაც პასუხისმგებელ მუშაკს მისცეს. ერთი ფრაზა დავიჭირე: „მისი მამა და პაპა ესტონური თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდნენ“.

— ეს რა ოხრობაა?! — განცვიფრდა ალტმიაე. — ესტონეთში თვითმპყრობელობა არ ყოფილა.

— კარგი, ჰო, ცარიზმის წინააღმდეგ, — თქვა ბიკოვერმა.

— არც ესტონური ცარიზმი არსებულა. რუსული ცარიზმი არსებობდა.

— აი ებრაული ცარიზმი ნამდვილად არ არსებულა, — ჩაერთო საუბარში ფიმა. — რაც არ ყოფილა, არ ყოფილა.

მოვიდა განმკარგულელებელი:

— შაბლინსკი თქვენა ხართ? თქვენ ერთის შემდეგა ხართ...

ალტმიაემ სიგარეტი ამოიღო. სანთებელა არ ამუშავდა — ბენზი-

ნი გათავდა. ბიკოვერი ასანთის საშოვნელად წავიდა. ერთ წუთში თითის წვერებზე მდგარი მობრუნდა. და ხელების ქნევით თქვა:

— ახლა თქვენ იხარხარეთ. ეს ილვესი არაა, ალტმიაეს სიგარეტი გაუვარდა.

— როგორ თუ ილვესი არაა? — ვიკითხე მე.

— ილვესი არაა. სხვა კაცია. უფრო ზუსტად, სხვა მიცვალებულია...

— ფიმა, შენ სრულ ჭკუაზე თუ ხარ?

— გეუბნები, ილვესი არაა. და მას არცა ჰგავს. მე ილვესს არ ვიცნობ, თუ რა?!

— ეს პროვოკაცია ხომ არაა? — თქვა ალტმიაემ.

— ეტყობა, შენ შეგეშალა.

— მორიგეს შეეშალა. მე ილვესი თვალითაც არ მინახავს. რამე უნდა ვილონოთ, — ვამბობ.

— კიდევ რა გინდა, — თქვა ბიკოვერმა, — პირდაპირი ტრანსლაცია?

— ეს კი უკვე ღმერთმა თუ იცის რაა?

— მივალ, შევხედავ, — თქვა ალტმიაემ.

მივიდა, დაბრუნდა და თქვა:

— მართლაც, ილვესი არაა. მაგრამ მსგავსება არის...

— ნათესავები და ახლობლები რას იტყვიან? — ვეკითხები.

— ილვეს ნათესავები და ახლობლები არ ჰყავდა, ისე, გულწრფელად თუ ვიტყვით, არ უყვარდათ.

— ამბობდნენ შვილი, დისშვილი ჰყავსო...

— შენი თავი დააყენე მის ადგილზე. ტელეგადაცემა მიდის. და საერთოდ საპასუხისმგებლო ღონისძიებაა...

საფლავის ახლოს ამღერდნენ. ყველაზე გამოკვეთილად საყოფაცხოვრებო განყოფილების წარმომადგენლის, ლიუბა ტორშინას მწივანა დისკანტი ჟღერდა. ამ დროს განმკარგულებელმა დამიქნია ხელი. საფლავთან მივედი. როგორც იქნა, სიმღერა შეწყდა.

— გამოსამშვიდობებელი სიტყვა ეძლევა...

იგულისხმება, რომ მან ჩემი გვარი დაამახინჯა.

— გამოსამშვიდობებელ სიტყვას იტყვის ამხანაგი დოლმატოვი.

ჩემს სიცოცხლეში ვილა არ ვყოფილვარ — დოკლადოვიც, ზაპლატოვიც...

საფლავთან უფრო ახლოს მივედი. იქ წყალი იდგა და გადაკაფული ფესვები თეთრად ჩანდნენ. გვერდით სპეციალურ ჯოჯგინებზე შემოდგმული იყო კუბო. უცნობი ყვავილებში იყო ჩაფლული. მისი სახე უპატრონოსავეით ჩაიკარგა ჯადვარებისა და გლადიოლუსების ზვინში. ახლა ეს გაარავინებული მიცვალებული რაღაცად იქცა. მე ცისფერი კარავის ფიჭვებშეყინული გუმბათი დავინახე. როგორც ტელეეკრანზე, ისე მიმოფრენდნენ ჭკები. მაღალი ეკლესიის დამაბრმავებლად ყვითელი შპილი თვალნათლივ აჩენდა მუსტამიაეს სახლების უფერულობას. საფლავს გარს ეხვივნენ მუქპალტოიანი უცნობი ადამიანები. ყვავილებისა და წიწვების მსუთავი სუნი ვიგრძენი... ჟღერდა ჩემი შორეული, თვითტკბობით შეფერადებული ხმა:



„... მე არ ვიცნობდი ამ ადამიანს. მის სულს, მის ალტყინებებს, მედეგობას, ვაჟკაცობას, იმედის გაცრუებებსა და იმედებს. მე არ მჯერა, რომ ჭეშმარიტებას ის უძიებებოდ ჩაწვდა... არა მგონია, რომ მან გაიგო საით მივდივართ ჩვენ და რაა სასიხარულო უკუსვლაში. და მაინც ის აქა... მისი არჩევანით...“

მესმოდა, რომ დრტვინვა ძლიერდებოდა. მესმოდა, როგორი გაკვირვებით კითხულობდნენ. „რას ამბობს ეგა?..“ ვილაცამ სახელოზე შემაფლო ხელი. მხარი ავიჩეჩე. უფრო ჩქარა გავუტიე.

— რაზე ვფიქრობ მე ამ საფლავთან მდგარი? ადამიანის სულის საიდუმლოებებზე. სიკვდილისა და სულიერი მწუხარების დაძლევაზე. ყოფიერების კანონებზე, რომლებიც ათასწლეულების წიაღში იშვნენ და მზის ჩაქრობამდე იარსებებენ...“

ვილაცამ გვერდზე გამიყვანა.

— მე ვერ გავიგე, რას გულისხმობდი? — მკითხა ალტმიაემ.

— მე თვითონაც ვერ გავიგე, — ვუპასუხე. — ირგვლივ რაღაც ქაოსია.

— მე ყველაფერი გავიგე, — თქვა ბიკოვერმა. მისი სახე საიდუმლოებასთან მზაკვრული თანაზიარობის შუქით გაბრწყინდა. — ის თევზმჭერი კოლმეურნეობის ბულალტერი გასპლია. ილვესის მაგივრად აქ, მერიფილის სასაფლაოზე გასპლს მარხავენ, იქ კი წარმოუდგენელი სკანდალია. ეს-ესაა დარეკეს... ოჯახი ისტერიკაშია... გადაწყდა, როგორცაა ისე დამარხონ...

— ხვალ ან დღეს საღამოსაც კი შესაძლებელია ეპიტაფიების გაცვლა, — თქვა ალტმიაემ.

— არამც და არამც. — არ დაეთანხმა ბიკოვერი, — ილვესი ნომენკლატურული მუშაკია. ის პრივილიგებულ სასაფლაოზე უნდა დაიკრძალოს. არსებობს რკინისებური წესი და რიგი. ღამე კუბოებს გაცვლიან...

უცემ დავკარგე რეალობის გრძნობა. მომავლის სამყაროში პერსპექტივა არ ჩანდა. განცდილ-გადატანილ-განვლილი აუჩინარებდა პორიზონტს. მე უკვე მეჩვენებოდა, რომ ჰარმონია გამოიგონეს პოეტებმა, რომლებსაც ადამიანთა გულების ატოკება სურდათ.

— წავედით, — თქვა ბიკოვერმა, — ავტობუსში ადგილები უნდა დავიკავოთ. თორემ რკინის უთში ჯაყჯაყი მოგვიწევს.

მეთორმეტე კომპრომისი

(„სოვეტსკაია ესტონია“. ოქტომბერი. 1976 წ.)

„მესსიერება საშიში იარაღია!“ ბერძნულ მითოლოგიაში არის სახე ლეთასი, დავიწყების მდინარისა, რომლის წყლებსაც ადამიანების მიერ გადატანილი მიწიერი ტანჯვა მიჰქონდათ. ლეთას ნაპირზე ადამიანს ბედნიერების უზადრუკი დროებითი ილუზია ექმნებოდა. გამოცდილებისა და მოგონებების უქონელი მიამიტი გონება ადამიანს ბედისწერის ხელში სათამაშოდ ხდიდა. მაგრამ ოდითგან ლეთას დინე-

ბის საპირისპიროდ მოძრაობს ადამიანის მეხსიერების წყალუხვი და დაუშრეტელი მდინარე...

ქალაქ ტარტუში გაიხსნა ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ პატიმართა რესპუბლიკური შეკრება.

მათი სახეები — ერთდროულად საზეიმო და მკაცრი, მკერდზე თითოეულ მათგანს ეკიდა მოკრძალებული ნიშანი — წითელი სამკუთხედი და მტრედის სილუეტი, დაღვრილი სისხლისა და მშვიდობის განუყოფელი ემბლემები. ისინი თეატრ „ვანემუინეს“ ფართო კოლებში იკრიბებიან ჯგუფებად. მისალმებები, ჩახუტებები, აღელვებული გამოსვლები...

ჰყვება ლაზარ ბორისის ძე სლაპაკი, ინჟინერ-კონსტრუქტორი:
— თავიდან მე სამხედრო ტყვეთა ბანაკში ვიმყოფებოდი. ანტიფაშისტური პროპაგანდისა და გაქცევების ორგანიზების გამო შტუტ-პოფში გადამიყვანეს... ჩვენებს ვგრძნობდით მათი თვალებით, ხელის ერთი მოძრაობით, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით... ადამიანი თავს მსხვერპლად არ აღიქვამს, თუ მის გვერდით ამხანაგები არიან...

შეკრება ორ დღეს გრძელდებოდა. ეს იყო მოგონებებით, ძმობის გრძნობით, გადატანილის ერთგულებით დაყურსული ორი დღე. დელეგატებმა და სტუმრებმა ადამიანის მეხსიერების ძვირფასი და მარადი არქივი შეავსეს და დაემშვიდობნენ ერთმანეთს. და ჩვენც მათსავით საზეიმოდ და მკაცრად, გაფრთხილებასავით, ფიცით, და მსოფლიოს გასაგონად აღვლენილი ანდერძით ვამბობთ: „არავინ და არაფერია დავიწყებული!“

ტარტუში დილაადრიან ჩავედით. ჟბანკოვი მთელ გზაზე ფოტო-აპარატს უჩხიკინებდა. ამოქმედდა უამრავი საკანცელარიო სამაგრი, საიზოლაციო ლენტი, სახაზავი.

თავიდან მალკიელის გამოშვება უნდოდათ, მაგრამ ჟბანკოვმა პროტესტი განაცხადა:

- მე, სხვათა შორის, ფრონტელი ვარ, ნამუსი იქონიეთ!
- რედაქტორი ტურონოკი ცდილობდა თავისი გაეტანა:
- იქ პატიმრები იკრიბებიან, და არა ფრონტელები.
- თითქოს მე პატიმარი არ ვიყო! — ხმას აუწია ჟბანკოვმა.
- გამოსაფხიზლებელი არ ითვლება! — გესლიანად გადაჰკრა მოლტი რედაქტორმა.

ჟბანკოვი არ თმობდა. მას რეზერვში ქმედითი საშუალება ჰქონდა. მიშას აშკარად ღიად თუ ავიწროვებდნენ, ის შემვიწროვებლებს სიტყვას გადაუკრავდა, სმას გადავაბამო. ამას პირდაპირ არ ამბობდა, მხოლოდ კითხულობდა:

- რაო, ურთიერთდახმარების სალარო ჯერ ისევ ღიაა?
- ეს იმას ნიშნავდა, რომ მიშა ფულის გამონახვას აპირებდა. და თუ ამას ვერ შესძლებდა, მაშინ სახაზინო იმპორტულ ფოტოგამადიდებელს გამოუყვანდა წირვას.

როგორც წესი, მას უთმობდნენ. მით უფრო, რომ ის ხშირად სვამდა გადაბმულად. გადაბმულად სმის თვით გაფიქრებაც კი ამის მაუწყებელი იყო...

— გენრიხ ფრანცევიჩი, — ჩავერიე, — მე და ჟბანკოვი ერთად უკვე ვიყავით მივლინებაში.

— ჩვენ შემოქმედებითი ურთიერთგაგება გვაქვს, — კვერი და-
ნიკრა მიშაბ.

— მე სწორედ ეს მაშინებს, — თქვა ტურონოვი, — კა-
რგი, პო, გაემგზავრეთ.

ვფიქრობ, რედაქტორს გაახსენდა, რომ ეს საპასუხისმგებლო დო-
ნისძიება იყო, ჟბანკოვი კი შესანიშნავად იღებდა ფოტოსურათებს...

ვაგზლიდან თეატრამდე ფეხით წავედით. ტარტუ გულთბილი,
კულტურული ქალაქია. გამვლელ-გამომვლელთა შორის სტუდენტთა
მწვანე ქუდები ჩანდა. ჟუჟუნა წვიმა ცრიდა.

— ფირი უნდა ვიყიდო, — თქვა ჟბანკოვმა.

მყუდრო საკანცელარიო მალაზიაში შევედით. გამყიდველი ელექ-
ტროქურაზე ყავას ხარშავდა. მისი ტიპური ესტონური ნაქსოვი ჟილე-
ტი მეტალის დილებით იყო დაჯინჯილებული.

— მიკრატ-ოთხი გაქვთ? — ჰკითხა ჟბანკოვმა.

ესტონელმა თავი გადააქნია.

— იწყება...

მე დავინტერესდი:

— სადაა უახლოესი მალაზია, რომელშიც მეოთხე ნომერი იქნება?

— ჰელსინკში, — მიპასუხა გამყიდველმა გაულიმებლად.

— კეთილი, — თქვა ჟბანკოვმა, — იქ იქნებიან ბიჭები „ე და-
ზი დან“.

წვიმა ძალას იკრებდა. ფეხს ავუჩქარეთ. თეატრის შესასვლელთან
ქოლგებიანი და ცელოფანისწამოსასხამიანი ადამიანები იყვნენ მოქუ-
ჩებული.

— ეგენი ქოლგებიანნი რატომ დგანან ველურებივით? — გაოცდა
ჟბანკოვი, თან ღრმა გუბეში შეაბოტა.

— უფრო ჩუმად ილაპარაკე, — ვეუბნები.

თეატრი „ვანემუინე“ შედარებით ცოტა ხნის წინათ აშენდა. მარ-
მარილოს კიბეები, ფართო პოლები, ძლიერი ექო. შესასვლელის თავ-
ზე — ლურჯი ტრანსპარანტი (ესტონეთში ლურჯი ტრანსპარანტები
უყვართ).

„დიდება ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ პატიმ-
რებს!“

განმკარგულებელი ვნახეთ, წარვუდექით. მან თქვა:

— პროგრამა ასეთია: ჯერ — ემოციური ნაწილი. ძველი მეგობ-
რების შეხვედრა. შემდეგ — საზეიმო მიტინგი. და ბოლოს — ბანკეტი.
თქვენცა ხართ მიპატიჟებული.

— აბა როგორ, — თქვა ჟბანკოვმა.

პოლებში ორდენებიანი და მედლებიანი ადამიანები დააბიჯებდ-
ნენ. ძირითადად რამდენიმეკაციან ჯგუფებად. ეწეოდნენ და ჩუმად
მუსაიფობდნენ.

— ემოციები რალაც არ ჩანს, — თქვა ჟბანკოვმა.

განმკარგულებელმა აგვიხსნა:

— პატიმრები ყოველ წელს იკრიბებიან. უკვე ოცი წელია. ემოციური ნაწილი მალე დამთავრდება. საზეიმო ნაწილი დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდება. იქნებ უფრო ადრეც. შემდეგ ბანკეტი...

— აქედან გამომდინარე შედეგებით, — მოულოდნელად/გადაი-
იარხარა ებანკოვმა.

განმკარგულებელი შეტოვდა.

— მაპატიეთ, — ვთქვი მე; — ადამიანებს უნდა დაველაპარაკო და ზოგი რამ უნდა ჩავიწერო.

განმკარგულებელმა მაღალი ბრგე კაცი გააჩერა:

— გაიცანით. ლაზარ ბორისის ძე სლაპაკი გახლავთ, ინჟინერ-კონსტრუქტორი, შტუტპოფის ყოფილი პატიმარი.

მეც წარვუდექი.

— შტუტპოფში ანტიფაშისტური ქმედებებისა და გაქცევების ორგანიზების გამო გადამიყვანეს. მანამდე კი პოლონეთში ვიმყოფებოდი...

— თქვენ, საინტერესო ფაქტები გნებავთ? — იკითხა მან.

სლაპაკი ჩქარა და დაბეჯითებით ლაპარაკობდა. ეტყობა, ჟურნალისტებთან ურთიერთობას შეეჩვია.

თავი დავუქნიე.

— მოდით, ჩამოვსხდეთ.

დივანზე ჩამოვსხედით. ორნი შემოვკვიერთდნენ. შედარებით ახალგაზრდა კიტელიანი კაცი და ნაღვლიანი უხელო მოხუცი. განმკარგულებელმა მათი გვარები დაასახელა — ვალტონი და გურჩენკო.

სლაპაკი კი სიჩუმეს დაელოდა და განაგრძო:

— გაქცევების ორგანიზებას სახსრები სჭირდებოდა. დავფიქრდით, სად უნდა გვეშოვა ფული. და, წარმოიდგინეთ, გამოსავალი მოვნახეთ. მე ჭადრაკს რიგიანად ვთამაშობდი. ვიცოდი, რომ ბანაკის უფროსიც ჭადრაკის გიჟი იყო. მატჩის ორგანიზება გადავწყვიტეთ. დავაწესეთ პრიზი — ოთხმოცი მარკა. ჩემი ამხანაგები ძალიან გულშემამტკივრობდნენ. ათიდან შვიდი პარტია მოვიგე. ბანაკის უფროსმა თქვა: „დონნერვეტტერ!“ და ოთხმოცი მარკა გადაიხადა.

— საინტერესოა, — სიტყვა გააწყვეტინა მას მოხუცმა, — ძალიან საინტერესოა...

მე ჩავიწერე მისი გვარი — გურჩენკო.

მოხუცი აქამდე დუმდა.

— რა იყო, ამხანაგო? — ჰკითხა სლაპაკმა.

— იმის თქმა მინდოდა, რომ დროს კარგად ატარებდით...

— ანუ? — დაძაბულად გაიღიმა ინჟინერ-კონსტრუქტორმა.

— შენ ერთი სამი წელი ყოფილიყავი მორღვეთში და... — განაგრძო მოხუცმა.

ეტყობოდა, რომ შეზარხოშებული იყო.

— სად იჯექით, ამხანაგო? — ჩაერია მათ დიალოგში განმკარგულებელი, — დაპაუში? ოსვენციმში?

— მორღვეთში ვიჯექი, — მიუგო გურჩენკომ, — ყაზახეთში... ოცდახუთი წელი ვიჯექი როგორც ყოფილი სამხედრო ტყვე...

— თქვენ გგონიათ, მე არ ვიჯექი?! — გაბრაზდა ინჟინერ-კონს-

ტრუქტორი. — მე თირკმლები ამოცლილი მაქვს! იოსერი იცით? ვესლიანა? როპჩა?

— გვსმენია, — საუბარში კიტელიანი ახალგაზრდა ჩაერთო. — როპჩის გადასაგზავნ ციხეში მენინგიტით დავვაავადდი. ბიჭუნა ვიყავი, როცა ტყვედ ჩავვარდი. ბანაკში გამგზავნეს. თუმცა კომუნისტების არ ვექვემდებარებოდი. და პროპაგანდას არ ვეწეოდი. ეს ჩემს მართლშეშა იყო. ფაშისტები შიმშილით გვხოცავდნენ. ამას გარდა, ბანაკში ქალები არ იყვნენ...

— შენ როპჩაში როგორ მოხვდი? — გესლიანად ჰკითხა უხელომ.

— სულ უბრალოდ. ჩვენ ფრანგებმა გაგვათავისუფლეს. მე პარიზში აღმოვჩნდი. საბჭოთა საელჩოს დაუყოვნებლივ მივადექი. ოთხმოცი კაცი მოგვაქუჩეს. მატარებელში ჩავსხეს. და აღმოსავლეთისკენ წაგვიყვანეს... მივდივართ, მივდივართ... მოსკოვი გავიარეთ. ურალი გავიარეთ...

— გაიღიმეთ, კაცებო! — ითხოვა ჟბანკოვმა. — ყურადღება! ვიღებ!

— შენ ხომ ფირიც კი არა გაქვს, — ვეუბნები მას.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, — თქვა ჟბანკოვმა. — ვითარების განმუხტვაა საჭირო.

განმკარგულებელიც აფორიაქდა. წამოდგა და ხელისგული ხელისგულზე მიიტყაპუნა:

— ამხანაგო პატიმრებო, დარბაზში შებრძანდით!..

საზეიმო ნაწილი სულ ოც წუთს გაგრძელდა. ყველაზე ბევრი თვითონ განმკარგულებელმა ილაპარაკა. თავისი გამოსვლა მან ასე დაამთავრა:

— ჩვენ სამუდამოდ ფაშიზმის ტუსაღებად დავრჩებით. ის, რაც ჩვენ გადავიტანეთ, დავიწყებას ხომ არ ეძლევა...

— ეგეც სამხედრო ტყვეა? — ვკითხე უხელო გურჩენკოს.

— ეს თხუნელა თეატრიდანაა, — მიპასუხა მოხუცმა. — პარტკომმა დანიშნა. მეოთხე წელია აქ გამოდის... ევ მორდვეთში უნდა ამყოფო ერთი სამი წელი... ხეები უნდა აჭრევიხო...

ამ დროს საბანკეტო დარბაზის კარი გაიღო. ჩვენ ფანჯარასთან მდგარ პატარა მაგიდას მივუსხედით. ჟბანკოვმა ორი სკამიც მიაჩოჩა და არაყი ჩამოასხა.

— მოდი, სადღეგრძელოები არა ვთქვათ, — შემომთავაზა სლაპაკმა. — ყველაფერ კარგს გაუმარჯოს!

კრინტისდაუძვრელად შევსვით. ჟბანკოვმა მაშინვე მეორედ ჩამოასხა არაყი. ვალტონი ცდილობდა ჩემთვის ბოლომდე მოეყოლა ის ამბავი.

— მე სავაჭრო ფლოტის იუნგა ვიყავი. გერმანელები შეცდნენ. არც არაფრის გამო ჩამსვეს. მე სამხედრო მეზღვაური არ ვიყავი. სავაჭრო ფლოტის მეზღვაური გახლდით... ისინი კი ადგნენ და ჩამსვეს. არსებითად, არც არაფრის გამო...

ისეთი პირი უჩანდა, რომ ვალტონი თავს იმართლებდა. ლამის გერმანელებთან თავის ლოიალურ დამოკიდებულებას გვიმტკიცებდა.

— ჩუხონცები სუ ეგეთები არიან, — თქვა ჟბანკოვმა, — ადოლფი მათი საუკეთესო მეგობარია. რუსები კი სძულთ.

— აბა, რისთვის უნდა ვუყვარდეთ? — გურჩენკო ჩაერია საუბარში. — იმისთვის, რა ბარდაკიც ჩვენ ესტონეთში გავმართეთ?!

— ბარდაკი — ეგ კიდეც არაფერი, — თქვა ჟბანკოვმა ცუდია, რომ არაყი ძვირდება...

მისი ფიზიონომია გაცისკროვნებული იყო. **სედმეცხელები**
ბიზნიმეცხე

— მოხრაკული გადმოგილოთ? — დაიხარა ჩემკენ სლაპაკი.

ჟბანკოვი კორექტულად შეესო მას იდაყვში:

— დიდი ხანია მინდა გავიგო... როგორც იტყვიან, საჩოთირო კითხვაა... მაპატიეთ და, თქვენ რომელი ნაციისა ხართ?

სლაპაკი ოდნავ შესამჩნევად დაიძაბა. შემდეგ მტკიცედ და დაბეჯითებით გასცა პასუხი. მის ხმაში იმ კაცის ინტონაცია ჟღერდა, რომელსაც დასამალი არაფერი ჰქონდა:

— მე ებრაული ნაციისა ვახლავართ. მაპატიეთ და, თქვენ რომელი ნაციისა ბრძანდებით?

ჟბანკოვი ცოტათი დაიბნა. მარინადში ჩადებული სოკო მოიხელთა.

— მე ვარ რუსული... ებრაული ნაციისა, — მშვიდობისმოყვარულად დააფორმულა მან.

ამ დროს სლაპაკს უხელო გურჩენკო მოუბრუნდა:

— გულს ნუ გაიტეხ, ყმაწვილო, ებრაელი თუ ხარ, იყავი ებრაელი. არა უშავს. მე ოთხი წელი ვცხოვრობდი ყაზახეთში. ყაზახები ასჯერ უარესნი არიან...

საბანკეტო დარბაზი, როგორც ხდება, ახლაც ახმაურდა. ჭიქები და ჩანგლები წკარუნებდნენ. ვიღაცამ რადიოლა ჩართო. ძლიერი აკორდები გაჟღერდა:

...Идет война народная,
 Священная война...

— ეი! ვინ ხართ მანდ ახლოს?! მუსიკა ჩაახშეთ! — უთხრა ვიღაცას ჟბანკოვმა.

— ისა სჯობია, წარამარა გინებები ჩაახშო, — ვუთხარი მას.

— სიმართლეს ვერ ჩაახშობენ! — უცებ იყვირა გურჩენკომ...

ჟბანკოვი წამოდგა და რადიოლასკენ წავიდა. ამ დროს პიონერების ჯგუფი შევამჩნიე, ისინი უხერხულად მოაბიჯებდნენ მაგიდებს შორის. ეტყობა, ისინი თავსხმა წვიმამ შეაფერხა, პიონერებს უშველებელი ყვავილებიანი კალათი მოჰქონდათ.

მიშა მათ გზაზე შეეფეთა. ის საკმაოდ თვალწარმტაცად გამოიყურებოდა.

თვალეები ალგზნებით უელავდა. პალსტუხი მხარზე ედო.

საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილი პატიმრების ფონზე ჟბანკოვი გამოფიტულობითა და ტრაგიკული გამომეტყველებით გამოირჩეოდა.

პიონერები შეჩერდნენ. ჟბანკოვი დაბნეულად ტოკავდა ადგილზე. წითელყელსახვევიანმა გამხდარმა ბიჭუნამ ხელი ასწია. ვიღაცამ რადიოლა გამორთო.

ჩამოწოლილ სიჩუმეში გაისმა ბიჭუნას გაუმაგრებელი ხმა:

— სამარადისო დიდება გმირებს!

და შემდეგ — სამგზის:

— დიდება, დიდება, დიდება!

შეშინებულ ჟებანკოვს ყვავილებიანი კალათი ~~მკერდთან~~ ^{მკერდთან} კქონდა მიხუტებული.

ოდნავ დაყოვნების შემდეგ მან იყვირა:

— ვაშა!

დარბაზში წარმოუდგენელი ღრიანცელი იდგა. ვილაცა ყუთებიდან უკვე იღებდა რეკვიზიტს.

კბილებში ბუტაფორულიატაგნიანი ვილაცა ლეკურს ცეკვავდა...

ჟებანკოვს ადგილობრივი გაზეთის თანამშრომელმა ბიჭებმა გადაუღეს სურათი...

მისი ალექსილი, წამოჭარხლებული სახე სიმწვანეში ჩაეფლო. ის ჩვენს მაგიდასთან მობრუნდა. კალათი რაფაზე შემოდგა.

გურჩენკომ თავი წამოსწია. შემდეგ ის ისევ დაუვარდა კარტოფილიან კერძზე.

ჟებანკოვს სკამი მივუჩოჩე.

— დიდებული თაიგულია, — ვეუბნები.

— ეს თაიგული არაა, — მწუხარედ თქვა ჟებანკოვმა. — ეს გვირგვინია!..


ამ ტრაგიკული სიტყვით ვემშვიდობები მე ჟურნალისტიკას, კმარა!


ჩემი ძმა, რომელსაც ორი ნასამართლობა აქვს (ერთი არაწინასწარგანზრახული მკვლელობის გამო), ხშირად მეუბნება:

— რამე სასარგებლო საქმეს მოკიდე ხელი. როგორ არა ვრცხვენია?

— შენლა მაკლდი ჭკუის დამრიგებლად!..

— მე მხოლოდ მოვკალი ადამიანი, — მეუბნება ჩემი ძმა, — და მისი გვამის დაწვას ვცდილობდი. შენ კი?!





ბორის პასტერნაკი



ქართული
ბიბლიოთეკა

ლექსები რეპანიდან „ქვიშა ქვიშაბო“

თარგმნა ბათუ მანუჩიანი

სიცოცხლეს მოაკვლევინეს

დავამთავრე ამ ლექსების თარგმნა და ჩავიფიქრე, არასდროს არაფერი ვთარგმნო... ოცდახუთი წელია ვთარგმნი რუსი და საზღვარგარეთელი პოეტების ლექსებს და პასტერნაკით ძნელად სათარგმნი პოეტი არ შემხვედრია. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ბოლოდროინდელი ლექსების გარდა, მის პოეზიაში სირთულე და სიმარტივე არასდროს შორდებიან ერთმანეთს — ყოველთვის თანამგზავრნი არიან. პასტერნაკს იშვიათად აქვს ლექსი — თავიდან ბოლომდე მარტივი, ან თავიდან ბოლომდე რთული, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ლექსებს, რომლებიც შექმნა სიცოცხლის ბოლო წლებში. დიახ, სრულ უბრალოებას პასტერნაკმა სწორედ ბოლოდროინდელ ლექსებში მიაღწია, მანამდე უბრალოება მისი პოეზიიდან ისე გამოანათებს ხოლმე, როგორც სანახევროდ მოღრუბლული ციდან — მზე... მის ზოგიერთ პოეტურ ქმნილებაში უდავოდ იგრძნობა რილკესეული ცნობიერება. ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი — ის ხომ უზომოდ იყო გატაცებული რილკეს პოეზიით...

პასტერნაკის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუსიკასა და ფილოსოფიას... მართალია, მან ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ, კლასიკურ გიმნაზიაში სწავლისას, ექვსი წლის მანძილზე, გაიარა კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტის საგნები, ორკესტრირების გარდა. საზღვარგარეთ ყოფნის დროს კი, ერთხანს სწავლობდა მარბურგის, იმ დროისთვის საყოველთაოდ ცნობილ, ფილოსოფიის სკოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფილოსოფოსი პერმან კოჰენი. პასტერნაკი უეცრად თავს ანებებს ფილოსოფიას და მიემგზავრება იტალიაში... მუსიკისა და ფილოსოფიის სწავლას უკვალოდ არ ჩაუვლია — ორივემ მკაფიო გამოხატულება პპოვა მის შემოქმედებაში.

1914 წელს პასტერნაკმა გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული „ტყუპისცალი ღრუბლებში“, რომელსაც საზოგადოების დიდი ყურადღება არ მიუქცევია. იმ წიგნში შესულ და იმ წლებში დაწერილ ლექსებს შემდგომში „დაწყებითი ხანა“ დაარქვა. 1922 წელს გამოდის მისი მეორე პოეტური კრებული „ჩემი და — სიცოცხლე“, რომელმაც უმაღლვე გაუთქვა სახელი.

წინამდებარე ციკლი 1946-1953 წლებში დაიწერა. ამ ციკლში არის სახარების თემებზე შექმნილი ლექსებიც, სადაც არამცთუ მთარგმნელი, თავად ავტორი არაა თავისუფალი — განზე გახედვის ნებაც არ აქვს, რადგან მაცხოვარს, ღვთისმშობელს,

მოციქულებს თუ მაგდალინელს, ახალს, ანუ სახარებაში რაც არ წერია, იმას, როგორ ათქმევინებს ისე, მკრეხელობად რომ არ მოინათლოს!..

როცა მოსკოვის ლიტერატურულ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ერთხელ, პოეზიის სემინარზე მოვიწვიეთ ბორის პასტერნაკის ვაჟი — ევგენი პასტერნაკი, ვინც მამის თხზულებათა ახალგამოცემული ორტომეული მისახსოვრა კავშირით. შეიძლება იმანაც განაპირობა ამ დიდი პოეტის თარგმნით ჩემი დაინტერესება. 1986 წელი იყო. მას შემდეგ ვთარგმნი ლექსების ამ ციკლს, რაც, იმ ორტომეულის გამოცემამდე, შევიდა მხოლოდ საზღვარგარეთ გამოცემულ და ნობელის პრემიაზე წარდგენილ რომანში „ექიმი ჟივაგო“. როგორც ვიცით, პასტერნაკი დააჯილდოვეს პრემიით, ოღონდ ნობელის პრემიების კომიტეტში თურმე ეწერა, რომ ბორის პასტერნაკს ეს პრემია მიენიჭა ლირიკის განვითარებისათვის. გაჰოლის, რომ მას ჯილდო „ექიმ ჟივაგოში“ შესული ლექსებისთვისაც მიანიჭეს. მერე რაც მოხდა და რა დღეც დააწიეს იმ „ლირიკის განვითარებისათვის“, მძიმე ინფარქტგადატანილ, სამოცდაათ წელს მიტანებულ და უკურნებელი სენით დაავადებულ, იმ დროის ცოცხალ პოეტებს შორის ყველაზე დიდ პოეტს რუსეთში, ამაზე ვრცლად საუბრის საშუალებას ეს პატარა წინასიტყვაობა არ იძლევა. თანაც ეს ამბავი, ასე თუ ისე, ცნობილია საზოგადოებისათვის. მე მოვიყვან მხოლოდ ნაწყვეტს წერილიდან, რომელიც 1990 წლის 1 აპრილს გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა ქართული პოეზიის ანთოლოგიისა და „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელმა, აწ განსვენებულმა, ქალბატონმა ვენერა ურუშაძემ, ვინც 1958 წელს პერედელკინოს მწერალთა დასასვენებელ სახლში „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა. წერილში გადმოცემული ამბავი სწორედ იმ დღეს ეხება, როცა მოსკოვში მწერალთა კავშირიდან რიცხავდნენ პასტერნაკს. სასოწარკვეთილი პასტერნაკი კი პერედელკინოშია, მოსკოვში არ მიდის. მაშინ შეხვდა ქალბატონ ვენერა ურუშაძეს. იმ შეხვედრას იხსენებს ქალბატონი ვენერა თავის წერილში. აი, ნაწყვეტი იმ წერილიდან: „ალარ ვიცოდი რა მეთქვა. თითქოს მიმიხვდაო და თვითონვე გამომელაპარაკა:

— ვენერა გიორგიევნა, მოსკოვში არ წავედი და არც წავალ, რაც უნდათ ის ქნან. ძალიან დავიღალე. თუ ნობელის პრემია მომანიჭეს, ჩემი რა ბრალია?! ხომ მათქმევინებს უარი, ახლა რაღას მემართლებიან? ჯერ იყო და, შენი ლექსები ჩირადაც არ ღირს, შენივე ხელით დაწვიო. მერე იყო და, „ჟივაგოს“ გამო ჯვარს მაცვეს. თუ მაინცდამაინც არ იშლი წერას, რამდენიც გინდა თარგმნე სხვისი ლექსები, საკუთარს თავი დაანებე და საერთოდ, მწერლობა შენი საქმე არ არისო. კაცს, რომელიც რაღაც დიდ რამეს დააშავებს, ან დახვრეტენ, ან ჩამოახრჩობენ, ან თავს მოკვეთენ, ან ელექტრონის სკამზე დასვავენ, ან წყალში გადააგდებენ, ან ხეებს შორის გამოკიდებენ და გაგლეჯენ, მე კი ერთი რომელიმეს ღირსიც არ გამხადეს, ყველაფერი ერთდროულად მომისაჯეს და ასე ნელ-ნელა უნდათ მიწასთან გამასწორონ და დამაჩოქონ... — და გულზე ხელი დაიდო, ჩაიმუხლა და აქვითინდა...“

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ეყოლებოდათ შემოაღნიშნული სიტყვების ამომთქმელი პოეტი. არც ისაა ძნელი წარმოსადგენი, რა დღეშიც ჩავარდებოდნენ ის ნიჭიერი მწერლები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ მწერალთა კავშირიდან პასტერნაკის გარიცხვაში და მერე სინდისი შეაწუხებთ ისე, როგორც ბორის სლუცკის, ვინც იმ სამარცხვინო ამბის შემდეგ, პერედელკინოში, პასტერნაკის აგარაკის ახლომახლო, ცრემლმორეული დადიოდა რამდენიმე დღე...

ბლოკი შიმშილით მოკვდა... ესენინმა და მაიაკოვსკიმ თავი მოიკლეს თუ მოკლეს ისინი, დღემდე გაურკვეველია... მხოლოდ დიდ პოეტებს აქვთ ასეთი ბედი.

პასტერნაკიც დიდი პოეტია, ოღონდ არც შიმშილით მომკვდარა, არც თავი მოუკლავს და არც მოუკლავთ, იგი „ოტეპელის“ „შესაფერისად“ დასაჯეს / სიკვდილამდე სიცოცხლეს მოაკვლევინეს («Но быть живым, живым и только, живым и только до конца»)... როგორ აუხდა შეგონება .. სამაგიეროდ გაურკვეველი აღარაფერი დარჩენილა...

ეროვნული

როგორც იქნა, ამდენი წლის შემდეგ, ვთარგმნე ეს ლექსები მაგრამ მანა შეიძლება სრულყოფილად თარგმნო ლირიკული პოეზია — სხვისი სუნთქვა და გულისცემა, სხვისი ალერსი და ტკბობა, სხვისი სიხარული და მწუხარება?!

ცნობილი მთარგმნელებიც კი წინასიტყვაობას დაახლოებით ასე თავმდაბლურად ამთაერებენ ხოლმე: ბედნიერი ვიქნები, თუკი ეს თარგმანები ორიოდე მკითხველს მაინც მიანიჭებს სულიერ სიამოვნებასო! არამც და არამც არ ვიტყვი ასე... დღეს საქართველოში თარგმანებით კი არა, გალაკტიონის ლექსითაც ჭირს ვინმესთვის სულიერი სიამოვნების მიანიჭება... ხალხს პოეზიისთვის აღარ სცხელა. ხალხს დღეს უპირველესად შიმშილი და მერე სხვა მრავალი პრობლემა აწუხებს. ხალხისთვის ახლა პოეზია ისეთია, ჭაობში მკერდამდე ჩაძირულ კაცს, ამოსაყვანად, ვარდისფერი ძაფი გაუწოდო... მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე ამ თარგმანების გამოქვეყნება, რადგან, როცა ეს — გაათრებული მხეცის ბალანივით აძაგრული ცხოვრება დალაგდება, მაშინ, იქნებ ვინმეს გაახსენდეს და მათი წაკითხვის სურვილიც გაუჩნდეს.

მთარგმნელისაგან

2002 წ.

ქ ა მ ლ ე ტ ი

ხმაური მიწყდა. მე სცენაზე გაველ მაშინვე.
მივეყრდენ კარს და არ ვაპირებ ვინმეს ბრალდებას.
შორეულ ხმების ექოთიც ვგრძნობ, ამ ჩემ საშინელ
საუკუნეში რა ცოდვებიც დატრიალდება.

ლამის სიბნელე, რაც გარშემო ისევ მატულობს,
პირდაპირ ჩემკენ მომწვერილა ურიცხვ ჭოგრიტით.
ამ სასმისს თუ არ მომაწოდებ, მამაც ბატონო,
სიამოვნებას, ცოტაოდენს, ალბათ, მომგვრიდი.

მე მომწონს შენი ჩანაფიქრი დღეს და ამავე
დროს უნდა გითხრა, რომ თანახმა ვარ ამ როლზედაც,
ისე, ამჟამად ეს პიესა სულ სხვა დრამაა
და ჯობს, დამდგმელი თუკი წასვლის ნებას მომცემდა.

მაგრამ წინასწარ გათვლილია აქ ყოველივე
და ველი ბოლოს — ამ უშავეს დღეთა ნადავლად...
მარტო ვარ. ყველა პირფერია და მლიქვნელია.
სიცოცხლის გავლა — არ ყოფილა მინდვრის გადავლა.

1946

მ ა რ ტ ი

მზე იკბინება — არაფერს ზოგავს:
ხევხუვს აგიჟებს, ხეივნებს აბნევს
და, ვით მეჯოგეს, ჯეელს და
ზორბას,
გაჩარხული აქვს გაზაფხულს საქმე.

და მიდის თოვლი სნეულ ოცნებად —
გადაჭრილ ვენებს სისხლისგან
იცლის,
მაგრამ ცხოვრება ღვივის
ბოსლებთან,
ჯანზე არიან კბილები ფიწლის.

დღე-ღამე წვეთავს დაუსრულებლივ,
ნაჟური წყალი კუთავს და კუთავს,
კრამიტებს ცრემლისგან
ბიზლინების
და ლაქლაქია უძინარ რუთა...

გომურებს ლამის კარები შეხსნან,
მტრედები თოვლში კენკავენ
შვრიას,
სუფთა ჰაერის სუნი აქვს ნებვსაც
და ამ ყველაფერს სიცოცხლე
ჰქვია.
1946

3628-ის კვირა

გარშემო ჯერაც ღამე ხასხასებს,
ჯერაც ვერაფრით დათვლი
ვარსკვლავებს,
ჯერაც ღუმს ზეცის ყველა
სართული,
ღამეს დრო კიდევ დარჩა
წასვლამდე,
და ზოგჯერ რომ არ განზე მიხედვა,
ჩიწა, ფსალმუნის კითხვით
გართული,
აღდგომის მოსვლას ვერც გაიგებდა.

ისევ ღამეა ირგვლივ მედინი,
მოედანი კი, ღამით ძლეული,
წევს კუთხისა და გზაჯვარედინის
ძლიერ მკლავებზე
მარადისობად... —

ჯერაც ცისკრამდე ათასწლეული
დარჩა და ბინდი ძალას იზოგავს.

მიწა შიშველი არის ჯერ კიდევ
და შესამოსელს ვინ უწყალობებს,
თუ ღამლამობით ზარს დაეკიდა,
ან თუ აუბა მხარი მგალობლებს!..

თუმცაღა ვნების ოთხშაბათიდან,
სწორედაც ვნების შაბათის
ჩათვლით,
ყველა მდინარე ისე ადიდდა,
რომ ნაპირები იცვლიან ადგილს.

და ტყე, შიშველი, შეუმოსველი,
მუდამ, იესოს ვნების კვირისთვის,
ვითარცა გუნდი წრფელად
მლოცველთა,
ფიჭვების ბრბოდ დგას დროის
პირისპირ.

ხოლო ქალაქში, ხენი, ყრილობის
მონაწილეებს ჰგვანან მეტადრე —
მჭიდროდ დგანან და იმას
ცდილობენ,
საყდრის გალავანს მაინც
ხედავდნენ.

შიშისგან ყველა იქითკენ იწევს...
ბალებს არ უნდათ ეზოში
დარჩნენ —

იქნებ იპოვონ ადგილი მარჯვე...
წყობა-წესრიგი ინგრევა მიწის,
რადგან იქ, თურმე, მარხავენ
ღვთის ძეს.

საკურთხეველთან ხედავენ მწუხარ
უამრავ სახეს და სანთლებს უხვად
და შავ თავსაფარს ნახავენ ოდეს —
მოპირდაპირე მხარიდან ჯვარი
გარდამოხსნამდე აქეთკენ მოდის
და ორი არყი, კარებთან მდგარი,
ცოტათი განზე გადაგება როდის!

და კარიბჭეში შემოაქვთ გზიდან
და მერე ჩააქვთ კიბეზე, ქვემოთ —
საგაზაფხულო ხმები და თვითონ
ის, რითაც პაერს სუნი და გემო
აქვს სუფისკვერის და კიდევ
მხუთრის,
რაც გაზაფხულის სუფევას უდრის.

და კარიბჭესთან, სად ხეიბრებმა
იციან დგომა, თოვლს ფანტავს
მარტი,
თითქოს კაცია მთლად არხეინი,
ვინც სკივრი გახსნა და სახეიროდ
გასცა ყოველი და დარჩა მარტო...

და აისამდე გალობა ისმის
მათი, ვინც დიდხანს ტიროდნენ
მწარედ,

წაიკითხავენ ფსალმუნებს
ღვთისთვის,
და ჩუმად აღწევს მათი ხმა გარეთ,
ფარნამდე, ვიდრე საბრეგლო
უკონუნუდრეკს.
ზიზღით
მაგრამ შუალამ დუმდება ყოვლი,
და გაზაფხულის ჰქრის რახან სიო,
რახან გზას ადგას ყინვა და თოვლი,
და რახან ავდარს ძლევს დარი
ბოლოს,
შესაძლო არი, რომ სიკვდილს
სძლიო,
იესოს მკვდრეთით აღდგომით
მხოლოდ.

1946

თეთრი ლამე

მე მელანდება დაკარგული გზა
და თითქოს პეტრეს ქალაქს
ვუმზერდე.
ასულო, ღარიბ მემამულისავ,
კურსკელი გოგო სწავლობ
კურსებზე.

თაყვანისცემა ბევრისგან არი...
და ცა თეთრ ღამეს როცა შეირთავს,
შენს სიახლოვეს სარკმელთან
მდგარი,
მე გავცქერ შენი ცათამბრჯენიდან.

დილამ შეაკრთო თეთრი სიქუფრე,
ფარნები ჩანან გაზის პეპლებად...
და მე შენ რასაც გესაუბრები,
მძინარ სიშორეს თუ შეედრება.

ჩვენ საიდუმლო როდი გავეცით,
შეპყრობილი ვართ მისით თავიდან,
ვით პეტერბურგი ნევის მკლავებზე
ფართოდ გადაშლილ პანორამითა.

ამ თეთრ ღამეში, ამ გაზაფხულზე,
დღის მოლოდინით მაშვრალ
ღვივებთან,

ზედმეტი ხოტბით გამოაყრუეს
ვრცელი ტყეები მაფშალიებმა.

სტვენა მიგორავს და ის ნამცეცა
ჩიტი სიჩუმეს სადღაც მიაფშენის
და მიძინებულ თეთრ აღტაცებას
აღვიძებს უღრან ტევრის წიაღში.

იმ ადგილებში როს ღამე მკრთალი
ღობეს ფეხშიშველ მწირად
ჩაურბენს,
ფანჯრიდან უკან გაჰყვება კვალი —
მოყურადებულ ჩვენი საუბრის.

ო, ხმები ჩვენი საუბრის, ყავრით
შემოკავებულთ ესმოდათ ბალებს
და იმ ბლებმა და ვაშლებმა,
ჯავრის
შესამოსავად, ის ხმები გაჰყვეს.

და ხენი, როგორც თეთრი ღამეები,
გამოსცვივიან გზაზე ბრბოსავით —
რომ გააცილონ, ხელის დაქნევით,
ღამე — სითეთრის
გვირგვინოსანი...

1953

ქ ა რ ი

მე წაველ, შენ კი ისევ მზელალის
ქვეშ ხარ და უსმენ ქარის ლაპარაკს,
და ქარი არხევს ტყეს და აგარაკს,
და ქარი არხევს ტყეში ყველა ხეს,
თითოეულ ფიჭვს ცალკე კი არა,
არამედ ყველას ერთად, ზიარად,
ვით აფრებს, რაიც წლებმა შელახეს

და ნავსადგურში უკრთით იარა...
ამას იქმს ქარი არა თარეშით
და არც იმით, ~~ეჭრებ რეხვას~~
ზიზღით ~~განიცდის,~~
არამედ უნდა: სიმწუხარეში
სიტყვები ჰპოვო იავნანისთვის.

1953

დედაბრის ყვავილობა

მოცხრის ფოთოლი გაუხეშდა ბალში, ხაკივით.
შინ — ხარხარისგან ხანხარებენ ფანჯრის მინები.
გაუჩნდათ საქმე: მარინადში დებენ მიხაკებს,
ჭრიან, კეპავენ და ამწნილებენ.

ტყე დამცინავის დარად, თითქოს გასაქცევს ეძებს.
ხმაა ფლატეზე, სადაც სივრცე მოჩანს ნაცრისფრად,
ხოლო თხილნარი, დაბუგული მცხუნვარე მზეზე,
შეტრუსულია, თითქოს, ხანძრისგან.

აქ გზა ხევისკენ ეშვება და ხედავ დახოცილ
უთვალავ ფოთოლს და აქა-იქ — კუნძებს წვეტიანს
და გენანება შემოდგომის ნაფლეთ-ნაკუწი,
ქარებს რომ ღრეში ჩაუხვეტიათ,

ისიც — სამყარო რომ იმაზე მარტივი არი,
ვიდრე მავანი ქლესა ფიქრობს, მავანი ტრელი,
და რომ კორომი თითქოს წყალში ჩამდგარა და რომ
ერთ დროს ყველაფერს გაქრობა ელის.

და რომ უაზრო არის პირის დაღება ბოლოს,
როდესაც თვალწინ სუყველაფერს დანაცრულს ამჩნევ
და შემოდგომის ქათქათა და რძისფერი ბოლი,
ვით აბლაბუდა, ედება ფანჯრებს.

ღობეში გადის გზა ბალიდან გამოსასვლელი
და იკარგება არყიანში თუ სივრცეს ფატრავს.
სახლი კი სიცილ-ჟრიამულის ხმებით სავსეა
და ასევეა შორეთში, სადღაც.

1946

ა ბ ვ ი ს ტ ო

არ მოგვატყუა: როგორც
დაგვპირდა,
მზე დილით ადრე ისევ ანათებს, —
ზაფრანისფერი ზოლით, ფარდიდან,
შემოაღწია კვლავ დივანამდე.

გარეთ, ტყე-ველი ვიდრე
შეთეთრდა,
ცხელი ჟანგმიწით მორთო ყოველი,
შინ — ლოგინი და თარო კედელთან
და სასთუმალი, ოდნავ სოველი.

და მე ვიხსენებ, რად დამისველა
ბალიში ცრემლმა გრძნობის სიოთი:
ჩემი ცხედარის გასაცვილებლად,
წუხელ სიზმარში, თქვენ
მოდით.

თქვენ მოდიოდით ერთად,
ნალღლისფრად,
ერთს გაახსენდა, რაღაც მიზეზით,
რომ დღეს ექვსია, ძველით,
აგვისტო —
ფერისცვალება ჩვენი ქრისტესი.

დღეს თაბორიდან შუქი უალოდ
მოდის და თითქოს ხმაა მიწიდან...
დღეს შემოდგომა, გარდაუვალი,
თავისკენ ურიცხვ მზერას იზიდავს.

თქვენ ხმელ ხეების ნახეთ ქაოსი,
ნახეთ ალაგი ჩრდილდაფენილიც,
სადაც ტყე ენთო სასაფლაოსი,
ქალაღზე ნაბეჭდ
თაფლაკვერივით...

იქ მეზობლობდა ცა კენწეროებს,
ხმაგაკმენდილებს და ეძახოდა

სივრცე საკუთარ თეთრ ხიშორეებს
უხსოვარ მკვდრების
სამოსასლოდან.

ეროვნული
ტყეში სიკვდილი უკვე შედგარად
და თუმც გათვლილი ჰქონდა
ყოველი,
საჩემო ორმო რომ გაეთხარა,
მიცქერდა, როგორც მიწისმზომელი.

კიდევ გრძნობდნენ და კიდევ
ამჩნევდნენ
მშვიდ ხმას, რომელიც ფრენდა
თითქოსდა, —
ჩემი ყოფილი, წინასწარმჭვრეტი
ხმა შეუხებელ ხრწნით გაისმოდა:

„მშვიდობით, ცაო ფერისცვალების!
შენ უპირველეს ოქროდ ციმციმებ...
შემიმსუბუქე, ქალის ალერსით,
საბედისწერო ჟამის სიმძიმე!

მშვიდობით, ჟამო, ავად
მოლაშქრევ!
მშვიდობით, ქალო, ვინც ყოველივე
შექმენ და ჩაგვრას იწვევ
ბრძოლაში
და შენთვის გავხდი ბრძოლის
ველი მე!

მშვიდობით, ფრთებო! — თქვენი
მიცავდა
მოქნევა — ყველგან
სამოგზაუროდ...
მშვიდობით, სიტყვავ — ხატო
ღვთისავ და
შემოქმედებავ და სასწაულო!“

1953

ზამთრის ღამე

ქარი და თოვლი დაიტაცებს
ცისქვეშეთს შემნდობს.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

და როგორც შუქთან არხეინი
ქინქლები გროვად,
ისე მოჩანდა სარკმელიდან
ფიფქების თოვა, —

ეკვროდნენ სარკმლის პალიტრას და
ავსებდნენ ერდოს...
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

ჭერზე მოჩანდა, შეჩერებულ
ღრუბლების ელდად,
ჩრდილები ბედით შეჯვარებულ
ფეხთა და ხელთა.

და იატაკზე ფეხსაცმელი
ცვიოდა წყვილი
და კაბას, ცხელი ცრემლებივით,
ცვარავდა ცვილი.

თოვლი, ქათქათა შალითისებრ,
მოსავდა ფერდობს.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

და ალი, თითქოს მზობრისგან
ტოკავდა შევების —
ბოლს თითქოს ჰქონდა ანგელოსის
ჯვრისებრი ფრთები.

და თებერვალი აგელვებდა
ქარ-თოვლის თეთრონს.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.

1946

გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

კაცი ზღურბლიდან გასცქერის,
როგორღაც ვერ გრძნობს თავს შინ.
ჰგავს ქალის წასვლა — გაქცევას.
ნგრევის კვალია სახლში.

კაცი ვერა სცნობს ოთახებს,
ვერ გრძნობს სიმშაგის ზღვარსაც,
ვერც შაკიკს უძლებს ცოტა ხნით,
სიმშვიდე არ ჩანს არსად.

რისი ჩაესმის ვიშვიში —
ხსოვნის, ნატვრის თუ ფიქრის?!
რატომ არის, რომ ფიქრშიაც
მხოლოდ ზღვას ხედავს
ირგვლივ?! —

სევდის ორმაგი სიმძიმე,
უდაბნოს მოჰგავს ზღვისას,
როცა ჭირხლს მიღმა ციმციმი
არ ჩანს სარკმელში ღვთისა.

ო, იყო მისთვის ძვირფასი,
იმ ქალის ნაკვთი ყველა,
როგორც ახლოა ზღვისათვის
ნაპირი, როცა ღელავს.

როგორც მშფოთვარე ტალღიდან
ქრება ლელქაშის კვალი,
მის სულში ისე დაინთქა
მთელი არსება ქალის.

როცა მათ ჭირი სისინით
ასმევდა შხამს და ბაღლაშს,

მაშინ ერთმანეთს ისინი
მიაკრა ბედის ტალღამ.

და გაცდნენ ჭირის კირთებას
და ლხინს უთმობდნენ დიდ დროს,
ქალი წაიღეს ზვირთებმა,
გარს შემოეკრნენ მჭიდროდ.

და ქალის წასვლა დღეს იქნებ
ნაძალადევი არის! —
მათ განშორება შეილევს,
მათ დახრავს დარდის ქარი...

და კაცი ავლებს ცვარიან
მზერას, ვარამით დაღლილს:
ქალმა საშინლად არია
წასვლის წინ მთელი სახლი.

და კაცი გვიან ლამემდი
ალაგებს უჯრებს, ყუთებს,
შეუკერავი კაბების
ნაჭრებს და გული უტევს.

და მიბნეული რაღაცას,
ნემსი რომ უჩხვლევს, უმაღ
ის ყველაფერში ნახავს ქალს
და ტირის, ტირის ჩუმად.

1953

ქრისტეშობის პარსკვლავი

ქარი, ყველაფრის თავზე დამტყდარი,
 კვლავ განაგრძობდა ქილიკს,
 მღვიმეში იწვა ჩვილი
 და ჩვილს სციოდა, იდგა ზამთარი.



და ჩვილი ხარის სუნთქვით თბებოდა
 და ცხოველების ნასუნთქს,
 მალლა თბილ კვამლად ასულს,
 ბაგას აფენდა ქარი ზემოდან.

ჩამოიფერთხეს რა ქურქებიდან
 მტვერი, ფეტვი თუ ბრელო,
 ლამის სივრცეში იცქირებოდნენ
 მწყემსები მთიდან ქვემოთ.

ჭვრეტდნენ საფლავის ქვებს და მესერებს
 და მინდორს, თოვლით სავსეს,
 და სასაფლაოს თავზე
 ზეტა ვარსკვლავებს გადაესერა.

და სადარაჯოს სარკმელს, ბაზმაკის
 სიმორცხვით, სხივებს ნაზებს
 ჰფენდა — ბეთლემის გზაზე —
 მანამ უცნობი ერთი ვარსკვლავი.

ის ენთო, როგორც ზვინი ჩალისა,
 განზე გამდგარი ცისგან,
 ის ენთო, როგორც ტეცხლი კალოზე
 და ღამე ჰგავდა ცისკარს.

ზვინივით ენთო მთელ კიდევანად,
 ქვეყნის შუაში, მალლით
 და ახალ მნათის ნახვით —
 გაოცებული იყო ქვეყანა.

და მზარდი იყო შუქის წყარო და
 შთაგონებული ამით,
 ვარსკვლავთმრიცხველი სამი —
 იმის ნიშანზე მოიჩქაროდა.

და იმათ უკან, აქლემებით მიჰქონდათ ძღვენი
 და ჩოჩორები, შეკაზმული, მთიდან, პატარა
 ბიჯებით ქვემოთ ეშვებოდნენ, ნამქერის ცვენით...

და უცნაური სახილველი, სათნო და ბრძენი,
 შორეთის მიღმა ჩანდა, ვიღა მოთვლის, რა და რა:

მომავლის ყველა აზრი, ფიქრი, ლამენი, დღენი,
 მომავლის ყველა მუშეუმი, ფერთა მგზავრობა,
 ფერების ყველა ჯადოქრობა და ონავრობა,
 ყველა ნაძვის და ბავშვის სიზმრის უტკბესი წვენი.



და მოცახცახე სანთლების და ზიზილ-პიპილი
 მთელი სიჭრელე-სიბრჭყვიალე, თბილი და მლხენი,
 ყველა ვაშლი და ოქროს ბუშტი კრთოდა იქიდან,
 აქ კი ველიდან ჰქროდა ქარი, სიავის მჩენი...

თხმელის ტოტები ტბორის ნაწილს ფარავდა, მაგრამ
 ჭილყვავთ ბუდეებს და კენწეროთ შორის, აქედან,
 მკაფიოდ ჩანდა სხვა ნაწილი და სივრცის ქარგაც
 და ის მწყემსები, რამდენიმე აქლემ-სახედარს,
 ერთად მიმავალს, ტბორის გასწვრივ, ხედავდნენ კარგად.

— მოდით, წავიდეთ ჩვენც იმათთან, ჩვენც იმ
 ერთად, თაყვანი ვცეთ სასწაულს, დროს ^{ლალებთან} ტყვილა
 ვკარგავთ! —

თქვეს და ტყაპუჭთა აიკეცეს კალთები ზანტად...
 შუქი ხალიჩად გაეფინა გზად ქარსის ფურცლებს...
 ქობთან შიშველი ფეხის კვალი გამოჩნდა უცებ,
 იმ კვალზე, რაიც სანთლის ნამწვის ალივით ჩანდა,
 იღრინებოდნენ ნაგაზები ვარსკვლავის შუქზე...

და ზღაპარს ჰგავდა სუსხიანი ღამე და ვიღაც,
 ქარით დაზვინულ თოვლის თეთრი კედლიდან, მათ რიგს
 უერთდებოდა უხილავად, ზეციურ მადლით...
 ძაღლები, შიშით გამხედავნი მიდამოს მიღმა,
 მწყემსებს ეკვროდნენ, თითქოს ცუდი ხდებოდა მათთვის.

იმავე გზას და იმავე არე-მიდამოს უცბად —
 ანგელოზები მოევლინენ ღვთიური ძალით,
 უსხეულობით, უხილავად ვიდოდნენ თუმცა,
 მაინც რჩებოდათ ფაფუკ თოვლში ტერფების კვალი.

ჯგროდ შეგროვილმა ხალხმა ახლოს გაბედა მისვლა.
 კედრები, ღამის დამალულნი, მოჰქონდა ცისკარს.
 — ვინ ხართ? — იკითხა მარიამმა, ვინ იცის, როდის.
 — ჩვენ ვართ მწყემსების ჯილაგი და ელჩები ცისგან,
 უნდა გადიდოთ ორივენი... თქვენ შვებას გვიზღავთ...
 — ყველანი ერთად ნუ შემოხვალთ, რიგრიგად მოდით!

და ქვეითები საუბრობდნენ მხედრებთან იქვე,
 ნაცრისფერ ბინდში, როცა ღამის ბნელი შეჩერდა...
 მწყემსები ხტოდნენ ერთ ადგილას, გავთბეთო იქნებ!
 და მობლავილე აქლემები იდგნენ გეჯებთან
 და სახედრებიც მათ მახლობლად ისროდნენ ტლენკებს
 შიშისა და შიშისა

ცისკარი, ღლის და ღამის შორის გამჭრალ ტიხართან,
 ბოლო ვარსკვლავებს მიიგვიდა ფერფლის მარცვლებად
 და მარიამმა შინ შეუშვა მოგვებილა და
 იქ ორთქლი ბაგას, როგორც აკვანს, ისე არწევდა.

და მას, ერთიან გაბრწყინებულს, ეძინა მუხის
 ბაგაში, როგორც ფულუროში მთოვარის ციაგს...
 და ცხვარის ტყავის მაგივრობას უწევდა ბული
 ხარის და ჩოჩრის ნასუნთქისა, საამო ფრიად.

იდგნენ მოგვები ბოსლის ბინდში ნეტარი გრძნობით,
 ნაჩურჩულევი ძლივს ესმოდათ, მაგრამ ქარიანს
 ვერ აბრალებდნენ ჟამს და უცებ სიამე მოგვრილ
 ერთ მოგვს ვილაცა შეესო და მობრუნდა მოგვი
 და ღია კარში დაინახა: ქალწულ მარიამს,
 როგორც სტუმარი, ისე ჭკრეტდა ვარსკვლავი შობის.

1947

ს ა ს წ ა უ ლ ი

ჯერ წინათგრძნობით მწუხარებას გულთან მიიტანს,
 იერუსალიმს ელტვის მერე — ბეთანიიდან...

გადამხმარიყო ეკლიანი ჩირგვნარ-ბუჩქნარი,
 ქონმახებიდან არ ერთვოდა კვამლი მაღალ ცას,
 ჰაერი ხურდა და ლერწამნი, ვით უჩინარნი,
 დუმდნენ და ზღვაზეც არ იძვროდა წყალი აღარსად.

ზღვასავით დარდი მიჰყვებოდა, მწარე ესოდენ
 და ღრუბლებს ქვემოთ, იმ საქაცვე-საეკლნაროდან,
 მოკლესე, მტვრიან გზებითა და უზო-ეზოთი,
 მოწაფეების შეკრებაზე მიიჩქაროდა...

გზად აზრებს ისე ჩაულრმავდა, რომ გარეშემო
 ღვრიდა აბზინდის სუნს უმწარეს ფიქრთა ამალით.
 იქ, იმის გარდა, არრა იყო მოშარიშურე,
 დავიწყებაში არემარე ბელტივით იწვა,

არეულიყო ერთმანეთში სითბო, ტრამალი,
ნაკადულები და ხვლიკები და მწირი მიწა.

და უნაყოფო იდგა ლელვის ხე შორიანლო,
მხოლოდ ფოთლები მოუჩანდათ ტოტებს ბენდებდად...
მან უთხრა: „შენგან სარგებელი რაღა ვიხდებოდა?
რითი მაამებს მე ეგ შენი ცრუ გარინდება?“

რა შენ და რა ქვა, ფშუტყვავილავ! ზედმეტ ბარგივით
ზარ და რომ მშია, რაღა უნდა მასვა-მაჭამო?!
რა საწყენია, რომ ვერ ვხედავ შენგან სარგებელს!
ასეთი დარჩი ბოლო დღემდი... სამარადჟამოდ!“ —
ლელვის ხეს ტანში დაუარა განკითხვის ყრუოლამ,
როგორც მეხამრიდს ნაპერწკალმა ელვა-მეხისამ
და მყის დაიწვა — გადაიქცა ნაცრად და ბოლად.

თავისუფლების წუთებს ამ დროს რომ გაელვიდათ
ხის ტოტ-ფოთოლში, ფესვებში და ტანში ერთიან,
მაშინ ჩარევას მოასწრებდა ხელი ბუნების,
მაგრამ ეს არის სასწაული, რაიც ღმერთია,
და რაიც, როცა გვიდავია, მაშინ უვნები
ძალით გვწვევია და ჩვენს ყოფნას უცებ შერთვია.

1947

შავხელი ღლეუბი

ის, ბოლო კვირას, იერუსალიმს
მიუახლოვდა ზეციურ შუქად,
შემოეგებნენ მას ოსანები,
ბზის ტოტები რომ მოსდევდათ
უკან.

მკაცრი ღლეუბი გრძნობებს
არბევდნენ,
გულებს დაშორდა გრძნობა
სრულიად...

ეჭმუნებოდით ზიზღით წარბები:
ეს უსათუოდ დასასრულია!..

ცა მიდამოებს ავდარს მიაგებს,
ფარისეველები არ გრძნობენ
ავდარს —

სამხილს ეძებენ... იულია კი
იმის წინაშე მელიას ჰგავდა...

და განსასჯელად, ბნელი ძალების
ხელით მიეცა ავაზაკ ლანდებს...
და ამცირებდნენ იმ მგზნებარებით,
რომლითაც ადრე აპყავდათ ცამდე.

და ბრბო ღელავდა და ალაყაფის
კართან ქცეული იყო თვალებად,
სასრულს ელოდა ავი ლაყბობით
და წინ და უკან დაწრიალებდა.

და გაისმოდა დრტვინვა მეზობლად,
ხმა ტრიალებდა, როგორც
ნამქერი,
მას სიზმარივით ახსენდებოდა
ყრმობა, ეგვიპტე... და ყველაფერი.

მას გაახსენდა დიდებული მთა
იმ უდაბნოში და კლდე ფრიალო,

სადაც სატანამ მის საცდუნებლად
სიავის დროშა ააფრიალა...

მას გაახსენდა შექორწინენი,
გაოცებულნი ერთად, ზიარად...
და ზღვა, რომელზეც, როგორც
მიწაზე,
ნისლში, ნავისკენ, გადაიარა.

მას გაახსენდა კრება გლახაკთა,
მღვიმე... სანთელი, რომელიც
მზემდე
შეტოკდებოდა, როცა ნახაუდა
მას, გაცოცხლებულს ქვეყნის
გადასარჩევად.

1949

მ ა გ ღ ა ლ ი ნ ე ლ ი

I
მოვა ღამე და დემონიც მოვა,
რომ მაზღვევინოს წარსული
ცოდვილს.

მრუშობის ხსოვნა დაიწყებს
გლოვას
და გულს თავისი ნისკარტით
მკორტნის:

აფხორც კაცების მეხვია გროვა,
მათი საცდური — ეშმაკის ქოთნით
მედვა და მივეც, ვინცა კი მთხოვა,
არ გავაწბილე ქურდნი და ლოთნი.

და ასე, ბინად გადმექცა ქუჩა...
მაგრამ ორიოდ წუთილა დარჩა,
ვიდრე დადგება სიჩუმე ლურჯი,
მანამ კი — ბევრის ყოფილი ხარჭა,
დარჩენილ ყოფნას, ვით ამბრის
ჭურჭელს,
მე შენს წინაშე ვამსხვრევ და
ვხარჯავ...

სად წამიყვანდა, ცოდვებით
დასჯილს,
დღეს, მაცხოვარო, გზა ჩემი
გვემის,

რომ არ მელოდეს შინ, აფრის
გაშლით,
მარადისობა, ვითარცა გემი,
როგორც ახალი ხელობის ხლართში
შეტყუებული მუშტარი ჩემი!

მაგრამ ამიხსენ, რას ნიშნავს
ცოდვა,
კვდომა, შავეთი, გვენას ალი,
როს ყველას თვალწინ, ვითარცა
ყლორტი
ხეს, სწორედ ისე, ბუნების ძალით,
შენ შეგეზარდე მე, გრძნობით
მორთულ
ჩემს კაეშანში, სუსტი და
მკრთალი,

ან, როს, იესოვ, ტერფები შენი
მუხლებზე მიდევს და ის ძალა ვარ,
ვინც მათი ხვევნი უდიდეს
რწმენას
ვლებულობ ჯვრისას და ვინც
ალაღად
მოვილტვი შენკენ ცრემლების
ცვენით,
რომ მოგამზადო დასაკრძალავად!

1949

მ ა გ ღ ა ლ ი ნ ე ლ ი

II
დღესასწაულებს მზად უნდა
შევხვდეთ,
მაგრამ მე მათგან მივიწევ გან-გან.

სათლს ვიღებ და შენს უწმინდეს
ტერფებს
ნელსაცხებელით განვბან და
განვბან.

სამყარო იყო უკაცრიელი,
მხოლოდ ამ ბაღში ძვერდა
ცხოვრება.

უმზერდა უფსკრულს, გულის
შემრისხველს,
ბნელს — უთავბოლოს და უჰაეროს
და ევედრიდა მამას ცრემლისღვრით,
რომ სიკვდილის თასს გვერდით
ჩაეველო.

ტანჯვისგან ლოცვით
განიტვირთება,
გამობრუნდება უკან —
ბაღისკენ, —
ძილს მისცემიან აქ შეგირდები
და მათ მაშინვე გამოალვიძებს:

„უფალმა ღირსგყოთ, ჩემთან
მოჩანდეთ,
თქვენ კი მიწაზე ჩანხართ
ბელტებად,
ძისა კაცისა დაჰკრავს დრო-ჟამი,
საცაა ჩემი მზე დაბნელდება!“ —

თქვა და გამოჩნდა რკინის
ჟღრიალით,
ბრბო მონათა და მაწანწალათა,
მათ წინ იუდა მოაფრიალებს
შავ დროშასაგით ამბორს

ღალატად.

პეტრე, მომხდურთა არად ჩამკდები,
მავანს ყურს წარკვეთს ხაფი
და ესმის: „რკინით ვერას/გახდები,
თავის ადგილას შენაძნეს მახვილი!“
გინჯ...ნიქ...ნიქ...


ეს რომ საჭირო იყოს, ანგელოზთ
დასს მოგზავნიდნენ ცის სამეფოდან,
მტერს დაფანტავდა ძალა განგების
და თმის ღერიც არ
დამაკლდებოდა...

შლის ჟამის წიგნი ფურცელს
ცრემლიანს,
რომლის სიწმინდე ჯერ არასოდეს
უნახავს თვალს და რაც დაწერილა
იქ, დაე ამინ, იგი აღსრულდეს!

ხედავ, იგავს ჰგავს, ჟამთა
წინსვლანი,
მათ შენ იხილავ უფრო
აღმავალს! —
მე მის საშინელ დიდებისათვის
ჩემივე ნებით შთავალ საფლავად.

მაგრამ მესამე დღეს აღვდგები და
როგორც გემები ზღვას
ჩვეულებრივ,
ისე მსჯავრისთვის ჩემკენ
ბნელიდან
გამოცურავენ ასწლეულები...“

1949





ქართველი
წიგლისმწიქნი

ანა მარია მატუბე

ორი ნოველა

ესპანურიდან

თარგმნა ელზა ახვლედიანმა

სინდისი

ქალს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, გრძნობდა, ველარ გაუძლებდა ამ მაწანწალა ბერიკაცის ძალად სტუმრობას. კმარა, როგორმე უნდა გააპანღუროს სახლიდან ეს ტირანი მათხოვარი!

თითქმის ნახევარი თვეა, ქალი ამ დღეშია. ერთი რამ უკვირდა მხოლოდ, რატომ უთმენდა ამ მაწანწალას ანტონიო? რატომ აჩერებდა ამდენხანს სახლში, მან ხომ მხოლოდ ერთი ღამით ითხოვა თავშესაფარი?

ეს ამბავი დიდმარხვის წინა დღეს დაიწყო. ქარი ფანჯრის მინებს შოლტებივით ესეთქებოდა, გზაზე მტვრის კორიანტელი იდგა, ქარი ერთბაშად ჩადგა და ავდრის მომასწავებელმა სიჩუმემ დაისადგურა ირგვლივ.

„არ მომწონს ეს სიჩუმე“, — გაიფიქრა ქალმა და დარაბები ხმაურით მიხურა. ის იყო კარი ურდულზე უნდა ჩაეკეტა, რომ...

— სენიორა...

მარიანა შეკრთა, ზღურბლზე ჩამოძონძილი ბერიკაცი იდგა ჯოხითა და გაქუცული ქუდით ხელში.

— რა გინდა?..

მათხოვარი ისე უცნაურად შემოსცქეროდა, რომ ქალს სიტყვა გაუწყდა. აქამდეც ბევრს უთხოვია თავშესაფარი ზამთრის სუსხიან ღამეებში, მაგრამ ქალს მსგავსი გრძნობა არასოდეს გაჩენია: ამ ბერიკაცის გამოსხედვაში იყო რაღაც შიშისმომგვრელი და ამაფორიაქებელი.

მაწანწალამ ღამის დაზეპირებულივით მიაყარა: მხოლოდ ერთი ღამე გამათევინეთ, თუნდაც თავლაში. ერთი ნატეხი პურისა და სადმე მიგდებული კუნჭულის მეტი არა მინდა რა, ხომ ხედავთ, სადაცაა ქარიშხალი ამოვარდება.

ამასობაში ქარიშხლის მაუწყებელი წვიმაც აკაკუნდა კარზე ყრუდ და მძიმედ.

— მარტო ვარ სახლში, — თქვა ქალმა ცივად, — როცა ჩემი ქმარი შინ არ არის, უცხო ადამიანებს ზღურბლს აქეთ ფეხს არ ვადგმევინებ. წადი აქედან და ღმერთს შესთხოვე შველა.

მაგრამ მაწანწალა ფეხს არ იცვლიდა, ჯიუტად შესცქეროდა ქალს: — ერთი საწყალი კაცი ვარ, სენიორა, ცუდი მხარსიძეა, მაგრამ ჩამიდენია, ბევრს ხომ არა გთხოვ, ერთი ნატეხი პური და...

წინკარში სიცილ-კისკისით შემოცვივდნენ თავზე წინსაფარწაფარებული მოახლეები. ცოტაც და, თავით ფეხამდე გაიღუმპებოდნენ ბოსტანში. მარიანამ მათ დანახვაზე შვებით ამოისუნთქა.

— კარგი, — თქვა მან. — დარჩი, მაგრამ მხოლოდ ერთი ლამით. ხვალ დილით რომ აგდგები, აქ აღარ დაგინახო, იცოდე!

მოხუცმა გაუღიმა და მადლობის ნიშნად მდაბლად დაუკრა თავი. მარიანა თავის საძინებელში ავიდა და ლოგინში ჩაწვა. ქარი ისეთი ღმუილით აწყდებოდა ფანჯრებს, რომ ქალს თვალი არ მოახუჭვინა.

დილით, საათმა რვაჯერ რომ ჩამოკრა, მარიანა სამზარეულოში ჩავიდა, მაგრამ კართანვე ვაშემდა: მაწანწალა ბერიკაცი მაგიდას მისჯდომოდა და უშფოთველად მიირთმევდა საუზმეს — მოხარშულ კვერცხს, ახლად გამომცხვარ პურს და ზედაც ღვინოს აყოლებდა. მარიანამ იგრძნო, სიბრაზისაგან სისხლი როგორ მოაწვა სახეზე, მაგრამ ისიც იგრძნო, შიშისმაგვარი რალაც რომ დაეუფლა.

— მარსელინა! — მკაცრად უხმო ცეცხლთან მოფუსფუსე მოახლეს. — ვინ გთხოვა, ამ კაცს სუფრა გაუშალო? და საერთოდაც, რატომ არ წაეთრა აქამდე?! — ბოღმა და ბრაზი ისე ახრჩობდა, სიტყვებს ვერ პოულობდა, პირდაღებულ მოახლეს კი ქაფქირი შესციებოდა ხელში:

— მე... ასე მითხრა...

მაწანწალა წამოდგა და ტუჩები დინჯად შეიწმინდა ხელის ზურგით.

— სენიორა, აღარ გახსოვთ, გუშინ რომ თქვით, ამ საწყალ კაცს სხვენზე გაუშალოთ ლოგინი და კარგადაც დაანაყრეთო? და ვიწყდათ ასე რომ თქვით?

მარიანას პასუხი მზად ჰქონდა, მაგრამ რალაც გაეჩხირა ყელში. მაწანწალა დაჟინებით შესცქეროდა თავისი შავი მჩხვლეტავი ცხლებით. ქალი შებრუნდა და აფორიაქებული გავიდა ბაღში.

ნაცრისფერი დღე მოიზღაზნებოდა, აღარ წვიმდა. მარიანას სიცივისაგან შეაჟრჟოლა. ბალახი სველი იყო, შარავზა სადღაც შორს იკარგებოდა ბურუსში. ზურგსუკან მაწანწალის ხმა შემოესმა და ხელები უნებურად მომუშტა.

— სენიორა, რალაც მინდა გითხრა...

მარიანა არ შერხეულა, გზას გასცქეროდა.

— მართალია, მე ბებერი მაწანწალა ვარ, მაგრამ ზოგჯერ ბებერ მაწანწალებსაც გაგვეგება რალაც-რალაცები. ერთი სიტყვით, მე იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი დავინახე, საკუთარი თვალით დავინახე, სენიორა...

მარიანამ პირი გააღო, მაგრამ ვერც მოისაზრა რა ეთქვა.

— რას მიეღებ-მოუღები, ძაღლო? — ამოღერღა ბოლოს. — გაფრთხილებ, ჩემი ქმარი შინ ათი საათისათვის დაბრუნდება, იმას კი, იცოდე, ხუმრობა არ უყვარს!

— ვიცი, რომ არ უყვარს, — თქვა მაწანწალამ, ამიტომაც არ მინდა, გაიგოს ის, რაც მე დავინახე.

მარიანა სწრაფად შემობრუნდა, სიბრაზე გაქრობოდა, უბრალოდ, დაბნეული ჩანდა და გული გამალებით უცემდა: „ნეტავ საითკენ უკაკუნებს? ნეტავ რა იცის, ან რა დაინახა?..“

ხმამალლა არაფერი უთქვამს, ზიზღითა და შიშით შეხედა მხოლოდ. მოხუცი იღიმებოდა, ჩაშავებულ, უკბილო ღრძილებს აჩენდა.

— რამდენიმე ხანს კიდევ დავრჩები აქ, კეთილო სენიორა, ამასობაში დათბება, ძალასაც მოვიკრებ... მე ხომ ბებერი ვარ, ფეხები აღარ მემორჩილებიან...

მარიანა ისარივით მოწყდა ადგილს, ჭამდე ირბინა გულამოვარდნილმა.

ეს ამბავი პირველ დღეს მოხდა.

მალე ანტონიოც დაბრუნდა შინ. ყოველ კვირას მიდიოდა იგი პალმარში და ჩამოჰქონდა საქონელი. პატარა სასტუმროს გარდა სოფლის ერთადერთი დუქანიც მათი საკუთრება იყო. დიდი სახლი ედვან სოფლის თავში, ბაღიც კარგი ჰქონდათ. ერთი სიტყვით, შეძლებულად ცხოვრობდნენ. ანტონიო მდიდარ კაცად მიაჩნდათ სოფელში. „მდიდარი კაცი“, — ღვარძლიანად გაიფიქრა ქალმა. ამ მაწანწალამ სულ დაუკარგა სიმშვიდე... „მდიდარი რომ არ ყოფილიყო, ნეტავ თუ გაჰყვებოდა ცოლად? არა! „რა ძნელი გამოსაცნობი ესაა, რა თქმა უნდა, სიმდიდრისათვის გაჰყვა ამ უხეშ, თოთხმეტი წლით მასზე უფროს, მკაცრსა და გულჩახვეულ კაცს. მარიანა ლამაზი გოგო იყო, სოფლის თვალი, კონსტანტინოს საკუთარ თავს ერჩივნა, მაგრამ ხელმოკლე ოჯახის შვილს რა შეეძლო, მით უმეტეს რომ იცოდა, მარიანასაც ყელში რომ ჰქონდა ამოსული ლამის დილიდან დილამდე მუხლჩაუხრელი შრომა, უფულობა და შიმშილი. ჰო, ყელში ჰქონდა ამოსული სილატაკე, ამიტომაც მისთხოვდა ანტონიოს.“

ვერა და ვერ დაიმშვიდა აფორიაქებული სული მარიანამ. უკვე ორი კვირა იყო, ეს მაწანწალა მათ სახლში ცხოვრობდა. ეძინა, ჭამდა, სვამდა, კარგ ამინდში კი კარწინ იჯდა და უსირცხვილოდ იქექებოდა.

თავის სახლში უცხო კაცი რომ დაინახა, ანტონიომ იკითხა:

— ვინ არის ეს ბედოვლათი, აქ რას აკეთებს?

— შემეცოდა, — მარიანამ შალის ფოჩებს დაუწყო წვალება. — ბებერია, თანაც გარეთ ისე ცივა, წვიმს...

ანტონიოს არაფერი უთქვამს, ისე გაემართა მაწანწალისაკენ, ქალმა იფიქრა, ნამდვილად გააგდებსო, და შეშინებული ავარდა თავის ოთახში. „ვაითუ ამ ბერიკაცმა კონსტანტინო დაინახა, ანტონიოს შინ არყოფნის დროს ჩემი ფანჯრის წინ წაბლის ხეზე რომ ძვრებოდა. ან იქნებ ის დაინახა, წაბლის ხიდან ჩემს ოთახში რომ გადმოსტა?.. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს მისი სიტყვები, საკუთარი თვალით დავინახე ყველაფერიო? ღმერთო, შენ მიშველე!“

ქალი აქეთ-იქით აწყდებოდა სულაფორიაქებული. აბეზარი მათხოვარი მეტისმეტად გავიდა თავს: ლამის საოვეს, ჭამასა და სმას აღარ სჯერდებოდა, ფულის თხოვნაც დაიწყო, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ანტონიო მასზე აღარ ლაპარაკობდა, თითქოს არად აგდებდაო ძალად სტუმარს. სამაგიეროდ ცოლს გადახედავდა ხოლმე თანხის დიდი მოელვარე შავი თვალებით და მარიანასაც შიშის ჟრუანტელი უვლიდა ტანში.

ერთ დღესაც ანტონიო კვლავ დაადგა პალომარის გზას თავისი საზიდრით. მარიანა ციებიანივით დაგდაგებდა: „მეტი აღარ შემიძლია ასე ცხოვრება, აღარ შემიძლია... ღმერთო, ეს ვის გადავეყარე, ახლავე უნდა ვუთხრა, მოშორდეს აქაურობას, როდემდე უნდა ვიცხოვრო ასე შიშით დასაფრულმა?!“ შიშმა ლამის ავად გახადოს, შიშმა დაამორა კონსტანტინოს... მარიანამ იცოდა, ანტონიოს შეეძლო თვალის დაუხამხამებლად მოეკლა მოღალატე ცოლი, დარწმუნებული იყო, მოკლავდა, კარგად იცნობდა ქმარს.

როგორც კი თვალს მოეფარა ანტონიოს საზიდარი, მარიანა სამზარეულოში ჩავიდა. მაწანწალა ცეცხლის პირას იჯდა და თვლემდა. იქვე რკინის მაშა იდო. „ცოტა გულადი რომ ვიყო, მოვკლავდი“, — გაიფიქრა ქალმა, თუმცა იცოდა, ამის გამკეთებელი რომ არ იყო. „მხდალი ვარ, ძალიან მხდალი და ძალიან მიყვარს სიცოცხლე“. აი რა იყო მთავარი — „მიყვარს სიცოცხლე“.

— ბებერო, — თუმცა ხმადაბლა დაუძახა, მაწანწალამ მაინც გაიგონა და თვალი გაახილა. „არ სძინავს ბებერ მელას, — გაიფიქრა ქალმა, — წამომყევი, უნდა მოგელაპარაკო.“

ჭასთან გაჩერდნენ.

— ჩემს ქმარს შეგიძლია ყველაფერი უამბო, ძაღლო, მაგრამ უნდა წაეთრიო აქედან!

მაწანწალა ერთ ხანს დუმდა, მერე გაიღიმა:

— სენიორი როდის დაბრუნდება?

მარიანას ფერი წასვლოდა სახეზე. „ლამაზი გოგოა, ლამაზი თვალები აქვს, ოღონდ ამ ბოლო დღეებში ხორცი დაკარგა“, — გაიფიქრა მოხუცმა.

— წადი აქედან, — უთხრა მარიანამ. — თავიდან მომწყდი!

ქალს შიში აღარ ეტყობოდა და მაწანწალამ ეს ფერიცვალეობა უმაღლ ამოიკითხა მის თვალებში. როგორც ჩანს, შიშმა და სასოწარკვეთამ შესძინა სიმტკიცე. „ეეჰ, დამთავრდა ჩემი ოქროს დღეები, კარგი სმაცამა, დასვენება, ჭერი თავზე... აბა, ბებერო ძაღლო, გაუდექ გზას, სხვარა ჩარაა!“ — ფილოსოფოსივით გადაწყვიტა მათხოვარმა.

— კარგი, სენიორა, მე წავალ, მაგრამ იცოდეთ, იმას ყველაფერს ვეტყვი.

მარიანა დუმდა, უფრო მეტად წასვლოდა ფერი სახეზე. უცებ მაწანწალა აიტანა შიშმა: „ეს ქალი არაფერზე დაიხვეს უკან; ისეთი ქალი ჩანს, შეუძლია თავი ჩამოიხრჩოს ან რაღაც გაუგონარი ჩაიდინოს“, — შეეცოდა ჯერ კიდევ ასე ახალგაზრდა და თანაც ასე ლამაზი ქალი.

— კარგი, — გაიმეორა მან, — მაჯობე, სენიორა, მივდივარ. მართალი გითხრა, სხვას არც ველოდი შენგან და მაინც კმაყოფილი მივდი-

ვარ აქედან. არასოდეს დამავიწყდება აქაური საჭმელებისა და ღვინის გემო. არასოდეს... ერთი სიტყვით, მივდივარ.

— თანაც ახლავე! ახლავე გასწი აქედან! იქნებ გზაში დაეწიო და ყველაფერი ჩაუკაკლო ჩემს ქმარს. ჰო, ჩქარა, დაეწიე-მეთქი, ძაღლო!

მაწანწალას მორჩილად გაელიმა, თავის გაქუცულ ქვედა და ხელჯოხს დასწვდა და ჭიშკრისკენ გაემართა, მაგრამ მშუკ-ჭიშკრე შემობრუნდა:

— ისე, რომ იცოდე, სენიორა, არც არაფერი დამინახავს და ისიც კი არ ვიცი, რა უნდა დამენახა... ერთი კია, სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ ხეტიალმა ბევრი რამ მასწავლა, განსაკუთრებით ადამიანები გადამიშალა ხელის გულზე და შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ამქვეყნად არავის აქვს სინდისი სუფთა, ბავშვებსაც კი... დიახ, ბავშვებსაც-მეთქი, ჩემო მშვენიერო სენიორა. შეხედავ ბავშვს თვალებში, ეტყვი, ჭკვიანად იყავი, თორემ მე ყველაფერი ვიციო, და ისიც შეშინებული აცახცახდება, როგორც შენ აცახცახდი, უმშვენიერესო სენიორა...

მარიანას გული თითქოს გადაუტრიალდაო. ვერაფრით ვერ მიხვდა, რისგან იყო ეს: მთელი ეს დღეები შიშით დაზაფრული რომ ათენალამებდა, თუ სიხარული რომ ესტუმრა უცაბედი? ვერა და ვერ მიმხვდარიყო... რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბებერი მაწანწალა უკვე ჭიშკარს გადალმა მიდიოდა. მაინც შემობრუნდა, ქვეშ-ქვეშად ჩაიციინა და ქალს გამოსძახა:

— გიჯობს შენს ანტონიოს მიხედო, სენიორა. არა მგონია, ბებერ მათხოვრებს ტყუილ-უბრალოდ ათევიანებდეს ღამეს სახლში. ღმერთო, მაპატიე და ზოგჯერ ისე მიყურებდა...

ენა ჩაუვარდა მარიანას, გაოგნებული გასცქეროდა ბებერ მაწანწალას, რომელიც გზასთან ერთად იკარგებოდა ჩამუქებულ ნისლში.

ბედნიერება

ბინდდებოდა, როცა ლორენსო ქალაქში ჩამოვიდა ავტობუსით. გუბეებში წყალი ისე ბრჭყვიალებდა, თითქოს შუშის ნამსხვრევები ჩაეყაროთ შიგ. გაშიშვლებული ხეები შავად მოჩანდნენ მონაცრისფრო-მოლურჯო ცის ფონზე.

ავტობუსი სამოქალაქო ყაზარმასთან გაჩერდა. ყაზარმის კარფანჯრები უკვე ჩაეკეტათ. კარის აბრას მკრთალად ანათებდა პატარა ნათურა. რამდენიმე ქალი და ფოსტალიონი ფოსტას ელოდებოდნენ და პოლიციელთან მასლაათით კლავდნენ დროს.

ლორენსო ავტობუსიდან გადმოვიდა თუ არა, მის ფეხთა ქვეშ მყისვე აჭრაჭუნდა თრთვილი და სუსხმაც სახე აუწვა. ვიდრე ავტობუსიდან პარგი გადმოჰქონდათ, ლორენსოს პოლიციელი მიუახლოვდა:

— თქვენ ბრძანდებით დონ ლორენსო, ჩვენი ახალი ექიმი?

ლორენსომ თავი დაუქნია.

— მე ატილანო რიგომესი ვარ, აქაური ალგუასილი. — მან სტუმარს ჩემოდანი ჩამოართვა და წაუძღვა მახლობელი სოფლისაკენ, რო-

მელიც აქედან კარგად ჩანდა. მოახლოებული ღამის სიბნელეში ნელ-ნელა იძირებოდნენ სახლები, ფარდულები, ქვები. სოფლის გადაღმა ოდნავ ტალღოვანი დაბლობი მოჩანდა წერტილებივით ზედ მიმოფანტული სინათლეებით. მარჯვნივ ფიჭვნარი ჩაყურსულიყო პირქუშოდ.

— ატილანო სწრაფად მიაბიჯებდა.

— რალაც მინდა გკითხოთ, დონ ლორენსო.

— გისმენთ.

— თქვენთვის არვის უთქვამს, რომ აქ ძალიან ჭირს ბინის შოვნა? არვის უთქვამს, ამ სოფელში სასტუმრო კი არა, სულ უბრალო, პატარა სახლიც რომ არა გვაქვს სტუმრის მისაღებად?

— მე მითხრეს, რომ...

— დიახ, გითხრეს, მაგრამ აღარავის სურს ვინმე ჩაისახლოს თუნდაც დროებით, მით უმეტეს, ექიმი. ცუდი დრო დადგა, დონ ლორენსო. უჭირს ხალხს და ამიტომაც არიან უარზე, ერიდებათ, სტუმარს რიგიანად ვერ ვუმასპინძლებთო, საკუთარი თავი როგორღაც გაგვაქვს შებოლილი ხორცის ნაჭრითა და ორიოდე კარტოფილით, მაგრამ სტუმარს ასე მცირედს ხომ ვერ ვაკადრებთო. ქალებს ზამთრობითაც თავზე საყრელი აქვთ სამუშაო, უსაქმოდ მათ ვერასოდეს ნახავთ, კაცებივით შრომობენ, ამიტომაც ვერ იცლიან ნაირ-ნაირი კერძების მოსამზადებლად, თანაც რა დასამალია და, არც ძალიან ემარჯვებათ ეს საქმე. უნდა გვაპატიოთ, დონ ლორენსო... რა ვქნათ, ასეთი ცხოვრება გვაქვს...

— კი მაგრამ, სადღაც ხომ უნდა დავბინავდე?

— ქუჩაში არ დარჩებით, რა თქმა უნდა. რალაცას მოვიფიქრებ.

ლორენსო გაოცებული და დაბნეული იდგა. მუნიციპალიტეტის ალგუასილს ახლა უფრო ახალგაზრდა მოეჩვენა ეს თმახუჭუჭა, ჭოტივით მრგვალთვალება ექიმი; სიცივისაგან საცოდავად აბუზულს ხელში ღრმად ჩაემალა გაცრეცილ პალტოს ჯიბეში.

— ნუ ლელავთ, ქუჩაში არ დაგტოვებთ. არის აქ ერთი ქალი, რომელიც თანახმაა ოთახი დაგიტოვოთ, ოღონდ... გიჟია ის საბრალო ქალი.

— გიჟი?!

— დიახ, მაგრამ წყნარი გიჟია, არავის არაფერს უშავებს. დამშვიდდით, უბრალოდ, უცნაურ ამბებს ჰყვება ხოლმე... წინასწარ იმიტომ გეუბნებით, რომ მერე არ გაიკვირვოთ. ისე, სხვაფრივ, კეთილი და ძალიან სუფთა ქალია.

— სამაგიეროდ გიჟია! იქნებ მითხრათ, რაში გამოიხატება მისი სიგიჟე?

— ისეთი არაფერია, დონ ლორენსო. ისა... იცით... როცა მოუფლის ხოლმე, რალაც აბდაუბდებს ჰყვება... მეტი არაფერი. ხომ ვითხარით, წყნარი ქალია. თანაც მის სახლში ერთი-ორი დღე მოგიწევთ ყოფნა. იმედი მაქვს, ამასობაში რიგიან ბინასაც ვიშოვით.

სახლი ერთი პატარა მიხვეულ-მოხვეული ქუჩის ბოლოში იდგა. პატარა სახლი იყო, ნახევრად დამპალი ხის აივნისანი. კარი ხილაბანდით თავწაკრულმა, ორმოცამდე წლის სახენათელმა ქალმა გააღო. ხელში ნავთის ლამპა ეჭირა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამ სახლში, — რბილად გაიღიმა ქალმა.

მას ფილომენა ერქვა. სამზარეულოში, აგუზგუზებული ცეცხლის პირას გაუშალა სტუმარს ღარიბული, მაგრამ სუფთა და გულმისასვლელი სუფრა. ირგვლივ იდუმალი სიმყუდროვე და სიყვარულსავე ამეფობდა. კედლები საგულდაგულოდ იყო შეთეთრებული, ცეცხლის ანარეკლი წითლად კრთოდა ქვაბებსა და ქაშანურის ქოთნებზე.

— ჩემი შვილის ოთახში გაგიშლით ლოგინს, — ქალმა რალაცნაირად დაუდაბლა ხმას. — იგი ახლა ქალაქშია... მშვენიერი ოთახია, თვითონვე დარწმუნდებით.

სტუმარმა გაუღიმა. რალაც საოცარ თანაგრძნობას იწვევდა ეს პატარა მოძრავი ქალი.

ოთახი პატარა იყო. რკინის საწოლზე გრძელფოჩიანი წითელი გადასაფარებელი ეფინა. ფიცრულ იატაკს კრიალი გაჰქონდა. ირგვლივ რომელიღაც ყვავილის და კირის სუნი ტრიალებდა. კომოდზე საგულდაგულოდ გაწმენდილ-გაპრიალებული სარკე იდგა, სარკის ერთ კუთხეში კი სამი ჩამაგრებული ვარდი იწონებდა თავს.

ქალმა გულხელი დაიკრიბა:

— აი, აქ სძინავს ხოლმე ჩემს მანოლოს...

— რამდენი წლისაა თქვენი შვილი? — ჰკითხა სტუმარმა: ბოლოს და ბოლოს რალაც ხომ უნდა ეთქვა.

— ცამეტისა შესრულდება აგვისტოში. ისეთი ჭკვიანი ბიჭი მყავს, ისეთი თვალები აქვს...

ლორენსოს გაეღიმა, ქალი შეკრთა:

— მაპატიეთ... ვიცი, სისულელეებს ვროშავ, მაგრამ მე ხომ მანოლოს გარდა არავინა მყავს ამქვეყნად. ქმარი რომ მომიკვდა, ჩემი ბიჭი ორი თვისა იყო მხოლოდ. მას შემდეგ...

ქალმა ამოიოხრა, ცისფერი თვალები იდუმალ ნალველში ჩაეძირა. მერე უცებ სწრაფი ნაბიჯით გაემართა კარისაკენ.

— მაპატიეთ... ხომ ივახშმებთ? — ზღურბლიდან ჰკითხა კაცს.

— დიახ, თუ არ შეწუხდებით.

ქალმა წვნიანით სავსე თეფში დაუდგა წინ. გემრიელი წვნიანი იყო.

— ღვინოცა მაქვს, — თქვა მორიდებულად. — თუ ინებებთ... ყოველთვისა მაქვს გადანახული ჩემი მანოლოს ჩამოსვლის დღისათვის...

ლორენსოს უცნაური და მონატრებული სიმშვიდე მოჰგვარა ამ სახლმა. მას ხშირად უწევდა სოფელში სიარული, პირქუში კვარტლების ჭუჭყიან, ამყრალებულ პანსიონებში ღამისთევა, აქ კი ამ საოცარ სიმშვიდესთან ერთად იგრძნობოდა მიწა — მშვენიერი, დიდი, ასე მახლობელი და გასაგები მიწა.

„ნუთუ ეს ქალი გიჟია? რაში გამოიხატება ნეტავ მისი სიგიჟე? მის დიდსა და გარუჯულ ხელებში, მის მოგრძო და სიმშვიდით აღსავსე თვალებში არის რაღაც თავად მიწისეული“.

— თქვენი მანუელი ქალაქში რას აკეთებს?

— ხარაზთან დგას შევირდად. იქ სხვებიც სწავლობენ ამ ხელობას, მაგრამ მანოლო ყველაზე გონიერია. გაჩვენებთ, ~~ქარაგინის~~ ~~ქვესა-~~ ~~ცმელი~~ შემიკერა შარშან საშობაოდ.

ქალმა ღვინო და მუყაოს კოლოფი მოიტანა, ფრთხილად და აუჩქარებლად ჩამოასხა ჭიქაში ღვინო. თავაზიან, სტუმართმოყვარე დიასახლისს ისეთი კმაყოფილება ეხატა სახეზე, თითქოს ამბობდა, ვიცი მე ჩემი ძვირფასი ნივთის ფასიო. მერე კოლოფი გახსნა და მაშინვე ტყავისა და მწარე ნუშის სუნი ამოჰყვა უბრალო ნაცრისფერი ნატის ფეხსაცმელს.

— აი, ნახეთ... ჩემი მანოლოს ნახელავია.

— ძალიან კარგია.

— შვილზე ძვირფასი არაფერია ამქვეყნად, — ფილომენამ ფეხსაცმელი კვლავ კოლოფში ჩადო. — დამიჯერეთ, შვილზე ძვირფასი არაფერია ამქვეყნად.

შემდეგ სტუმარს სორცი მიართვა, თვითონ კი ცეცხლს მიუჯდა. ხელები მშვიდად ელაგა მუხლებზე. ლორენსომ გაიფიქრა: ნეტავ ისეთი რა ძალა აქვთ ამ გაუხეშებულ ხელებს, რომ ასეთი აუხსნელი, საოცარი სიმშვიდე გეუფლება მათ დამნახავსო.

— იცით... — ქალი კვლავ ცეცხლს მისჩერებოდა, — ცხოვრებაში ბევრი არაფერი სიხარული მინახავს. ის იყო გავთხოვდი, რომ დავქვრივდი კიდევ. ჩემი ქმარი დღიური მუშა იყო, მოგეხსენებათ, როგორ ვიცხოვრებდით. არაფერი დაუტოვებია. საკუთარი შრომით უნდა გამეტანა თავი, არაფერი გამაჩნდა, მაგრამ მე მყავდა ის, ჩემი შვილი და ეს იყო ჩემი ბედნიერება. დიახ, სენიორ, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. ვხედავდი, როგორ იზრდებოდა, როგორ იდგამდა ფეხს, როგორ იწყებდა ტიტინს. მითხარით, რომელი დედა არ იშრომებდა, ოღონდ ეს ენახა, ოღონდ ამას მოსწრებოდა? ნეტავ იცოდეთ, რა სიხარული იყო, სულ პატარამ რომ ისწავლა კითხვა! აქაურები ჩემზე ამბობენ, გიჟიაო... გიჟი ვარ იმიტომ, რომ ჩემი შვილი მიწას მოვწყვიტე და ქალაქში გავუშვი ხელობის შესასწავლად... გიჟი ვარ იმიტომ, რომ არ მინდა მამამისივით მიწაში თავჩარგული იყოს მთელი ცხოვრება, იმიტომ, რომ მუნღჩაუხრელად ვშრომობ ლამის დილიდან დილამდე: ჩემს მანუელს არაფერს ვაკლებ, პანსიონის ქირა დროზე უნდა გადავუხადო, ტანსაცმლისა და წიგნების ფულიც დროზე უნდა გავუგზავნო. ძალიან უყვარს კითხვა. რომ იცოდეთ, რა ცნობისმოყვარე ბიჭია. ორი წიგნი ვუყიდე სულ ახლახან, ფერადნახატებიანი, გაჩვენებთ მერე... მე კითხვა არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, საინტერესო წიგნები უნდა იყოს, ჩემს მანუელს უსათუოდ მოეწონება. სკოლაში საუკეთესოდ სწავლობდა... ქალაქიდან ხანდახან ჩამოდის ჩემს მოსახახულებლად. აღდგომა დღეს მესტუმრა, ახლა საშობაოდ ველოდები...

ლორენსო მღუმარედ უსმენდა. ცეცხლთან მიმჯდარი ქალი თითქოს შუქს აფრქვევდა. ასე ანათებს ხოლმე მიწა იქ, შორს, პორი-

ზონტთან. უსაზღვრო სიმშვიდე, მიწისეული სიმშვიდე იყო მოქცეული ქალის თბილ ხმაში. „რა კარგია აქ, — გაიფიქრა ლორენსომ, — არსადაც არ წავალ აქედან“.

ქალი წამოდგა, ცეცხლს მოშორდა და თეფშები დააგვირგვინა.

— საშობაოდ რომ ჩამოვა, შეგასვედრებთ ჩემს მანოლოს.

— ძალიან მინდა გავიცნო, — თქვა ლორენსომ. — მართლა ძალიან მინდა.

— გიჟს მეძახიან, — ქალმა გაიღიმა და ლორენსოს მოეჩვენა მიწისეულ სიბრძნეს იტევდა ეს ღიმილი. — იმიტომ მეძახიან, რომ ჩაცმა-დახურვაზე არ ვფიქრობ, ზედმეტი ფუფუნების უფლებას არ ვაძლევ თავს. ხალხს ჰგონია, მსხვერპლად ვწირავ თავს, ის კი არ იციან, რომ ეს ეგოისტობით მომდის, მხოლოდ ეგოისტობით. განა ყველაფერი, რასაც მისთვის ვაკეთებ, ჩემთვის არ არის? განა ჩემი შვილი — მე არა ვარ? არავის ესმის ეს, არც კაცებს, არც ქალებს...

— გიჟები სხვები არიან, — თქვა ქალის წყნარი ხმით მონუსხულმა ლორენსომ. — გიჟები თვითონ არიან.

ლორენსო წამოდგა. ქალი კვლავ ცეცხლს მიუბრუნდა მოჯადოებულ ივით.

როგორც კი მანუელის ლოგინში ჩაწვა და სხეულზე ჯერაც უხმარი ზეწრის შეხება იგრძნო, ლორენსო მიხვდა, რომ ის მოწმე გახდა უსაზღვრო ბედნიერებისა, რომელიც მუსიკასავით მოსდებოდა ამ სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულს და თავად მასაც...

დილით ფილომენამ ფრთხილად დაუკაკუნა კარზე:

— დონ ლორენსო, ალგუასილი მოვიდა თქვენთან.

ლორენსომ პალტო მოისხა და კარი გააღო.

— დილა მშვიდობისა, ექიმო. ყველაფერი მოგვარდა. ბინა ვიშოვე, ნამდვილად მოგეწონებათ...

— არსად არ მივდივარ, მე აქაც კარგად ვგრძნობ თავს, — ცივად გააწყვეტინა ლორენსომ.

ალგუასილმა სამზარეულოსკენ გააპარა თვალი. იქიდან ჭურჭლის ხმაური მოისმოდა, ეტყობა, ქალი საუზმეს ამზადებდა.

— აქ გინდათ დარჩეთ?!

ლორენსო ბავშვივით გაცხარდა:

— ეს ქალი გიჟი არ არის. ის დედაა, არაჩვეულებრივი ქალია. რატომ არის გიჟი? იმიტომ, რომ შვილს აღმერთებს, მისით სულდგმულობს და სავსეა ამ ბედნიერებით?

ატილანომ ნაღვლიანი თვალები მიაპყრო ექიმს, თითი ტუჩებთან მიიტანა და ხმადაბლა უთხრა:

— არავითარი შვილი მას არ ჰყავს, დონ ლორენსო, ოთხი წლის წინ მოუკვდა მინინგით.



ოიარს ვაშიატისი



ლ მ ძ ს მ ბ 0

ლატვიური ეპიკა

თარგმანა რინე კადანდიაშ

ყვაპილეპის პიზიტი ქარბუჟის ჟამს

პირველი:

ჰო, რა თქმა უნდა, ქრიზანთემაა,
რომელსაც თვისი საფარველის
გადაფარებით
აშიშვლებს ბუქი,
და მის მხარზე ცრემლად იღვრება
შიშველი სული ამ ყვაფილისა.

მეორე:

ყვითელი ცეცხლია ნარგიზელების,
აი, ახლახან დანთებული მებალის
მიერ,
და ამჟამად ციმციმებს ალი,
ყვითელ და თბილი პურის
კვერივით
თავად ქარბუჟის ხახასთან.

მესამე:

ლილისფერი ფრინტაა —
საგაზაფხულო ღრანტეს ნობათი,
და რადგან მიწას მოწყვეტილია,
აწ დარჩენილა მოკონწიალედ —
ჰაერში.

მეოთხე:

მწვანე კოთხუჯი გახლავთ,
მისი სიმძიმით ღრუბელი
ურტყამს,
უხათქუნებს საკუთარ ფეხებს
და პორიზონტის გასწვრივ კი
ტოვებს
უმტკივნეულო ნაიარევებს.

მეხუთე:

შტერულ „ვუყვარვარ — არა“-თი
ქარბუქი წეწავს ყაყაჩოს
ფურცლებს,
და იგი კვდება
ტყის ზემორე.

მექვსე:

ჰო, რა თქმა უნდა, ქრიზანთემაა,
იგი მიწაზე აგდება თავის
განიერ, მაგრამ გახეულ ხაზარდას
და ფეხშიშველა შეაბიჯებს
ღამის წყვდიადში.

და წერს ბარათს
თავის ერთადერთს,
სანამ ეგ შავი დაფა ღამისა
არ გათეთრდება — ასოებისგან.

სშირად ხდება, რომ ბრმად სწამთ,
თუმცა
ეჭვი შეაქვთ რაღაცის გამო.

მე მეეჭვება,
რომ მარადიულ ცეცხლთან
გაშეშების ჟამი
უკვე ნიშნავს, რომ გავერკვიეთ —
ცეცხლსა და მარადისობაში.

არც ხანძრის დროს
და არც ციებ-ცხელებისას,
არც იქ, სადაც იბუშტება გამდნარი
თუჯი,
არც დუელისას მეტოქეთა გამჭოლ
მზერაში
შენ უბრალოდ არ ხარ —
არასდროს.

მე მეეჭვება ისიც კი —
ხარ თუ არა შენ პრომეთე —
სულაც არ ჰგავხარ სხვათათვის

ცეცხლის მომპარავ კეთილ
ჯიბგირს.
შენ ნამეტნავად გაშეშდი უკვე,
და წარმართებიც ასე არ დგანან
ცეცხლთან.

შენში წიკწიკებს
ინერტული დრო გამვლელ-
გამომვლელისა
და სიმხურვალის ნაპერწკალსაც კი.
ვერ შემატებ
მარადიულ ცეცხლს.

ალი გეხლება,
როგორც სტალაქტიტს.

ყველა ცეცხლის მატარებელი —
დამწვრობითაა ნიშანდასმული.

საერთოდ კი
სამყაროში
უთვალავი გალაქტიკაა,
რომელთა ორბიტები, მწამს, რომ
არ გადაიკვეთება.

გ ზ ა

მე ყველასთან და ყველაფერთან
მივდივარ ფეხით.

მე მსურს მისვლა,
და არავითარ შემთხვევაში —
მიბრძანება-გამოცხადება.

გზით დაქანცვის გარეშე.
გზით მარტოობის გარეშე.
საკუთარ თავთან პირზე წაყენების
გარეშე.

სევდის გარეშე —
შენს გამო.

მე მსურს სვლა-მისვლა.
და არა —
უცებ ამოყვინთვა.

მანძილის გარეშე.
ნაბიჯთა გარეშე.
ნაბიჯების ხმის გარეშე,
რომლებიც ზოგჯერ
გამოუთქმელსაც ამბობენ.

ჰო, მე ვცვეთ
უამრავ ლანჩას,
მაგრამ არ ვცვეთ
უამრავ ადამიანს.

ყინულის პიტრაჟი

და თავის ვიტრაჟს იღებს მდინარე,
და ქარბორია
კვლავ მიძვრება ბუჩქების

ჭირხლში,
და ბაღებს ისე უხარიათ, რომ
დროც კი არ რჩებათ
დიდებად იქცნენ.

და შიშველი აქვთ დიდებს ხელები,
ხოლო ხელებში — თოვლის
გუნდები

ცივი და მრგვალია,
აჰა, დიდებიც
იმდაგვარი გატაცებით ისვრიან
გუნდებს,

რომ თვითონ სვდებიან
ბავშვობაში.



ყინულის

და ყველანი ერთმანეთს
თოვლიან და თავისუფალ
მდინარეზე მიაბიჯებენ,
და მათ წარბებს ქვემოთ ფრენენ
სტვენები სიხარულისა.
და კვლავ მიდიან ისინი,
თითქოს დიდსა და თეთრ

ცხოვრებაში,

როგორც ახლახან გაქცეულ
კურდღელს მისდევენ კვალზე.

იარე, ჩემო ბრმაო ძმაო,
მე გადავიყვან ქუჩის მეორე
მხარეზე.

ჩანს, მანქანები მიმოიფანტნენ.
როგორც ეტყობა, გაზარმაცდნენ
მეფხოვენი.
ასფალტი ძალზე მოლიპულია.

ოჰ, როგორ ვცრუობ!

ჩემთვის უთუოდ არის საჭირო
ის პატარა კმაყოფილება —
რომ უსინათლო ქუჩის გაღმა
გადავიყვანე.


ოჰ, როგორ ვტყუი!

მე ხომ თავად
ვცდილობ გავყვე უსინათლოს და
უკვე თვითონაც ვერ გამიგია,
თუ საით მივემართები.

მე მჭირდება გამცილებელი.
ყველას სჯობია უსინათლო.
ბრმები არასდროს არ მიდიან
უაზროდ არსად,
უბრალოდ არ ხეტიალობენ.

მარადიულად უდარდებო,
თქვენ სინამდვილე არც გაგაჩნიათ.

თქვენ ხან ქირქილებთ,
ხანაც — ხვიხვინებთ,
როცა მე ვყვირო.
რა მაყვირებს?
შორს, სიშორეში
მალლა ავარდა მიწიერი შადრევანი.

თქვენ დაყრუვდებით,
როცა მოაღწევს
ბკერა. 
თუმც აფეთქებს უკვე მშვეს

სულაც არაა ჩემი ბრალი,
რომ მე ნამდვილად —
ვისმენ და ვუსმენ
თვალეებით.

ხ ი ლ ე ბ ი

მაინც რა ტელეპათია აქვთ ნეტავი
ხიდებს?

რატომაა, რომ ისინი ჩვეულებრივ
ყრუ-მუნჯები,
ამაღელვებელ ცეცხლს აღვივებენ
გულში,
როდესაც ჩვენ გვემუქრება მძიმე
ყამი

განშორებისა?

ნეტავი რატომ ვაგდებთ მონეტას
მდინარეში,

როცა ხიდზე ვართ პირველად?
ცხოვრებაში ხომ ყველაფერი
სამუდამოდ უჩინარდება.
გარდასულ წუთში
ვერ დავბრუნდებით.

მაშასადამე, ჩვენ იმ მონეტას

ვაგდებთ
უცნობი ბედის
ქუდში,

მაშასადამე, ამაოდ ვლამობთ,
რომ შევაჩეროთ

წამი, რომლის შეჩერება
ძებორციელს
არ უწერია.

მე კვლავ ვუმზერ ხიდის
მოაჯირს,
როგორც თევზი თავის
დიდბადეს,
ნაპირთა შემაერთებელი ქარი
ჩემს ქოჩორში დაბორიანებს,
ხოლო დინება — ნაპირების
დამშორებელი
ჩემს თვალეებშია.

შეაერთო შეუსაბამო —
ჯადოქრობაა,
და ანტიპოლუსების მიზიდვა —
ეშმაკობაა,
სიყვარულია,
ნოსტალგიაა,
ასტროლოგია...

ლამე.
და ზეცა პირადმაა.
და ისევ ხიდი.

გზაზე შემდგარს არ დაგავიწყდეს,
ეგ შენი გზა შესაძლოა, რომ
გადიოდეს
ქვრივ-ობლის კარის ახლოს.

როცა ვერცხლისფერ გუბეებში
ლალობ ბავშვივით გახარებული,
ნუ იშხეფები,
რადგან ისინი გადიქცევიან ჭუჭყად,

ხოლო სიბინძურე გვერდზე
 მიმჯდარა —
 და არ მათხოვრობს იგი.
 გზაზე შემდგარს არ დაგავიწყდეს,
 რომ ეგ შენი გზა შესაძლოა,
 გადიოდეს
 ბრმის ფანჯრის ახლოს.
 მაგრამ ღამით არ არიან ბრმები —
 ღამით ყველა თვალხილულია,

და საერთოდ, ბრმის სიზმრები
 ბევრად უფრო გულწრფელია,
 ვინემ ისინი,
 რაც ესიზმრებათ თვალხილულებს.
 ერივნეშლი
 გზაზე შემდგარს არ დაგავიწყდეს,
 ეგ შენი გზა შესაძლოა, რომ
 გადიოდეს
 ქვრივ-ობლის კარის ახლოს.

გ ა მ ო ფ ე ნ ა ზ ე

უ-უ! მე ვერ ვავალწევ
 გამოფენიდან!
 ღრუბელივით ვარ
 ნაკვები სულთა
 ასე თბილი და წითელი
 ნიუანსებით.
 თავისუფლების შესახვედრად
 კარში გავარდნილს
 კვლავ მომიხდება კვამლად
 ვწვებოდე
 მთელი დღე.
 მთელი კვირა.
 და მაშინ, როცა ავიწევი,
 ავფრინდები ტყეზე მალლა,

თვით ცისარტყელას ფერებიც ვერ
 შემაჩერებენ,
 მიწაზე ვერ დამაკავებენ.
 ვერ შესძლებენ ცისარტყელები
 აწ აღვირებად გადაქცევას,
 მათ ძალუძთ მხოლოდ —
 ბაფთებად იქცნენ
 ნორჩ გოგონათა ნაწნავებზე.
 და სწორედ მაშინ მე დავიღვრები
 აღფრთოვანების ფერად ცრემლებად
 თქვენს ზემორე
 და მდებლობად
 ვაქცევ თქვენს სულებს.
 უ-უ!
 და უკვე ვერასდროს ვერ გააღწევთ
 თქვენ
 იმ წითელი მდებლობიდან.

მარად დამშეული მტაცებელი
 ჩემშია —
 მე ვიჭერ გაქცეულ თავგს,
 და ჩემი დიდი გასაჭირი-უბედურება
 სწორედ ისაა, რომ ვერც დავიჭერ,
 ჩემი თავვი —
 ესაა დრო.
 და ჩემი ბუდი-ბედნიერება
 სწორედ ისაა, რომ მე მარად მისი
 მდევარი ვიქნები,
 ერთ ადგილას დგომის უფლებას
 არ მაძლევს ქალაქი,

და მაიძულებს, რომ დავიჭირო
 ფოთოლი,
 დავიჭირო აშარი ქარი,
 დავიჭირო მოგიზგიზე
 ნაკვერჩხალი —
 მანამდე, სანამ ცარიელი და
 მტკიცნეულია
 ჩემი თათები,
 ხოლო უღვაში შეუტრუსავ-
 შეურცხვენელი,
 იმ უამამდე ვერ გავჩერდები —
 მარად მშიერი მტაცებელი —
 დე, ავრე ყოს!

რა არის ჩვენთვის გავშვობა

საოცრად ტკბილი, შორეული,
თანაც ჯერაც ცხელი ჩაი —
ლიმონით
ქვეყნიდან, სადაც არასდროს
ვყოფილვართ.

სხვა დროს კი —
ცოცხალი, ცხოვრებაში გადამსტარი
პარაშუტისტი
ან ბაბუაწვერას ბუსუსი —
ქარში.

თუმცა ქარიან ბანდბუნდში,
როცა ყინვისგან ხეების კანი
ხორკლიანი და ხეშემში ხდება,
როცა გულს უწყურს და ვაწროვდება
ცხელი გვერგვი ხსოვნისა, მაშინ —
გავშვობა ჩვენთვის
ის შორი და მარად მბჟუტავი
თეთრი კვარია,
რომელთანაც ჩვენ ვსხდებოდით
ელექტრობის გამოსაგონად.

საშეგოგომო სიბრილა

ბუნება დღეს შებრუნებულა და
იმზირება შიგნით.

გათოშილი ბელურაც —
შიგნით,
იმ ერთი ციციქნა რალაციკენ,
რაც მასში ჯერაც
ბჟუტავს და ათბობს.

კარდალა
უმზერს წენიანს
აწ გამთბარ სამზარეულოში.

ველი
წითური ნაწვერალის მიღმა კი
ხედავს

წენგოსფერ წვერს —
გაზაფხულზე რომ ამოუვა და
ხავერდით აბიბინდება.

ცხიმი
კვლავ ცდილობს, რომ მოიძიოს
ის ადგილი, სადაც მასში ოდესღაც
თრთოდა
კუნთი.

მე საკუთარ თავს ვათვალიერებ,
თუ როგორ და რა მიკროსახით
მრავლდება ჩემში
უსრულო ზრახვანი.

სამყარო მიქრის უდასასრულოდ
და იხედება პაწაწინა სარკეში
ხანაც —
ნეტავ ხომ არ წარმოიშობა იქ
ბირთვული რეაქცია,
თუ მის შექმნაზე
დაიხარჯება ის უზარმაზარი ძალა,
რომელიც ჯერაც იხარჯება მისი
განადგურებისათვის?

და კიდევ ერთი თესლი, რომელიც
საკუთარ თავში შებრუნებულა,
თრთოლვით განიცდის —
რად ან ვინად ვიქცევი მე:
სასუქად,
ხედ,
ყვავილად,
თუ ადამიანად,
არაკაცად ანუ მაქციად,
ძეხორციელად,
კაციჭამიად,
ადამის შვილად,
თუ ქონდრისკაცად...





ბი დე მოპასანი

სანოლი 29

ფრანგულიდან

თარგმნა ნანა ახალაძემ

ავტორს წელს დაბადებიდან
155 წელი შეუსრულდა

გამოჩნდებოდა თუ არა ქუჩაში, ქალები უმაღლეს მისკენ მიტრიალდებოდნენ და ჯიქურ მზერას მიაპყრობდნენ. ჰუსართა პოლკის თვალ-ტანადობით გამორჩეულ კაპიტანს ალბერტ ეპივანს თავი მუდამ მედიდურად ეჭირა, საკუთარ უღვაშებსა და აღნაგობაზე ზრუნვა წესად ჰქონდა, ეამაყებოდა მშვენიერი უღვაშები, მოხდენილი ტანი და ლარივით წვივები რომ ჰქონდა. ხშირი და საგულდაგულოდ დახვეული, ბოლოებში წაწვრილებული, მწიფე ხორბლისფერი უღვაშები მეომრის ჩაღრისავით ორ მძლავრ ნაკეცად ეფინებოდა ტუჩის ორივე მხარეს. წელი ისეთი წვრილი ჰქონდა, გეგონებოდათ, კორსეტი შემოუჭერიათ. მისი მამაკაცური, მძლავრი გულ-მკერდი წელს ზემოთკენ ფართოვდებოდა. წითელი მაუდის შემოტმასნილ რეიტუზებში კუნთების ოდნავ, შერხევაზეც კი მისი არაჩვეულებრივი აღნაგობის — ტანმოვარჯიშისა თუ ბალეტის მოცეკვავის სხეული ინაკვთებოდა.

მხრებგაშლილი ტანის აქეთ-იქეთ რხევით სიარული სჩვეოდა, სწორედ ისეთი, კავალერისტებს რომ ახასიათებს საკუთარი სხეულის სილამაზით თავის მოსაწონებლად. ასეთ მანერებს მუნდირიანი მამაკაცები იმშვენიებენ, მათ სერთუკში ჩაცმულთ, სავალალოდ, ვულგარული იერი ეძლევათ.

როგორც ბევრ სხვა ოფიცერს, კაპიტან ეპივანსაც სრულებით არ უხდებოდა სამოქალაქო ტანსაცმელი, შავი ან რუხი ფერის მაუდის პიჯაკში კომერსანტს ჰგავდა, სამაგიეროდ მუნდირში გამოწყობილს თვალს ვერ მოწყვეტდით. თავის მეტად ლამაზი მოყვანილობა ჰქონდა, თვალეზი ცისფერი, თხელი, ოდნავ კენიანი ცხვირი, ვიწრო შუბლი. უკვე საკმაოდ შემელოტებულს არ ასვენებდა ფიქრი იმაზე, თუ რატომ დასცვივდა ასე ადრიანად თმები. თუმცა თავს იმით ინუგეშებდა, ცოტათი მოშიშვლებულ თავის ქალასთან დიდი უღვაშები ურიგოდ არ მადგასო.

გარე საზოგადოება დიდად არ ეხატებოდა გულზე, თუმცა მეტ-ნაკლები საზომით, ობივატელებს საერთოდ ვერ იტანდა, ცხოველებად თვლიდა მათ და ამბობდა კიდევ, ქათმებსა და ბელურებს მეტ ყურადღებას არც იმსახურებენ ამ კატეგორიის ადამიანებიო. დაფაქების ღირსად მხოლოდ ოფიცრები მიაჩნდა, მაგრამ ყველას ერწმუნებოდატივის-ცემით მაინც არ მოიხსენიებდა, მისი თქმით, სამხედრო — მისამსახურე წარმოსადეგი, ლამაზი და უშიშარი უნდა ყოფილიყო, იგი ღმერთს ბრძოლისა და სიყვარულისთვის გაუჩენია. სიძლიერე და სიმამაცე, თავის თავში დაჯერებულობა — აი, რა თვისებები უნდა ჰქონდეს მას, — ასე ფიქრობდა ეპიკანი.

ფრანგული არმიის გენერლებს ერთმანეთისგან მათი გარეგნობის, სიმაღლისა და მკაცრი გამომეტყველების მიხედვით განასხვავებდა. მხოლოდ ბურბაკი მიაჩნდა თანამედროვეობის უდიდეს მხედართმთავრად. სასაცილოდ არ აყოფნიდა დაბალი და ჩასუქებული ქვეითი ოფიცრები ქოშინით რომ დაბობლავდნენ, მაგრამ, განსაკუთრებით უპატივცემულობას იჩენდა და ერთგვარად ძულდა კიდევ პოლიტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები, ეს გამხდარი და სათვალეებიანი, ზანტი და მოუქნელი კაცუნები, რომლებიც მუნდირს ისე იმშვენებდნენ, როგორც კურდღლები წირვაზე სიარულს. აღშფოთებას ვერ ფარავდა იმის გამო, თუ რატომ იჩენდნენ შემწყნარებლობას ამ უმწიფარა, წვრილფეხა ოფიცრების მიმართ, კიბორჩხალებივით რომ დაჯლაჯუნობდნენ, ცოტას ჭამდნენ, სასმელის გემო საერთოდ არ იცოდნენ და ლამაზ ქალიშვილებს განტოლებები ერჩივნათ.

ქალებში ალბერტ ეპიკანს მუდამ თავბრუდამხვევი წარმატება ჰქონდა. ყოველთვის, როცა რომელიმე ქალს ვახშამზე დაპატიუებდა, ღრმად სჯეროდა, რომ იმ ღამეს მასთან ერთად გაატარებდა. თუ ვინიცობაა, რაიმე დაბრკოლება იჩენდა თავს, მეორე დღეს წარმატება გარდაუვალი იყო. მეგობრები თავს არიდებდნენ მისი საყვარლების გაცნობას. კომერსანტები, რომელთა დახლებსაც მათი ლამაზი ცოლები ემსახურებოდნენ, კარგად იცნობდნენ კაპიტნის ბუნებას და საშინლად ეჯავრებოდათ იგი.

გზაზე როცა ჩაივლიდა, ფარდულში მოვაჭრე ქალი ვიტრინიდან ისეთი თვალებით გამოხედავდა, ყოველგვარ საალერსო სიტყვებზე მეტს რომ იტყვდა. მოწონება, თავისთან მოხმობა, გრძნობებში გამოტყდომა — ყველაფერი იკითხებოდა ამ უტყვე მზერაში. იქვე მდგომი მისი ქმარი ინსტინქტურად გრძნობდა ამას, მძვინვარე იერით შეავლებდა თვალს ოფიცრის ამაყ და ახოვან სილუეტს და მკვეთრად შემოტრიალდებოდა უკან.

კაპიტანი თვითკმაყოფილი, მოძლიმარე სახით გაშორდებოდა იქაურობას. თითქოს ამბობდა, — „აი, ნახეთ, რა შთაბუჭდილება მოვანდინეო“, ამის შემხედავი ვაჭარი წონასწორობას კარგავდა, და აკანკალებული ხელებით თავის საქონელს ერთი ადგილიდან მეორეზე გადააწყობდა და თან დასძენდა:

— აი, მოზრდილი ინდაური! ნეტავი გამაგებინა, როდემდე უნდა ასვან და აჭამონ მუქთად ამ არაფრისმაქნისებს, საომარი აღჭურვილობით რომ იბლინძებიან ქუჩებში? მე თუ მკითხავთ, რით არ ჯობია ჯა-

რისკაცს ყასაბი? მათ წინსაფრებს სისხლის ლაქები თუ ამჩნევიათ, ეს ცხოველებისაა და არა ადამიანების! რაც არ უნდა იყოს, ყასაბი მაინც სასარგებლო საქმეს ემსახურება. წელზე დანები ადამიანის მოსაკლავად კი არა აქვთ გარჭობილი. არაფერი მესმის იმისა, ამ საჯარო მკვლელებს რატომ აძლევენ უფლებას სასიკვდილო იარაღით ისუფრჩინონ უფრეთ? მესმის, არც მთლად უამისოდ ვარგა, მაგრამ შეინახონ მზად მათი კიდევ რა, სამასკარადო ტანსაცმელში, ლურჯი ფერის დოლომანსა და წითელ შარვალში რომ გამოპრანჭულან, ეს რასა ჰგავს, ჯალათი და გენერალი არ უნდა განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან?

ასეთ ყბედობას ცოლი ყურს საერთოდ არ უგდებდა, მხოლოდ მხრებს აიჩეჩავდა და ქმარიც უკან მოუტრიალებლად გრძნობდა რა მის რეაქციას, თავის მხრივ დაუმატებდა:

— სულელი უნდა იყო, აბა არაა? ეს გაყოყობული ტიპები ყურადღების ღირსი რომ გახადო...

●
იღგა 1868 წელი. ჰუსართა 102-ე პოლკი რუანის გარნიზონში დაბანაკდა.

ეს ამბავი ქალაქში მალე გახდა ცნობილი. ყოველ საღამოს ხუთი საათისათვის გამოჩნდებოდა ხოლმე კაპიტანი ბუაელდიეს ბულვარში და კაფე „კომედის“-ში აბზინთის დასაღევად, შესვლამდე ერთ წრეს მაინც დაარტყამდა ბულვარს, მიმზიდველი გარეგნობით გამვლელებზე მთაბეჭდილება რომ მოეხდინა.

ფიქრებში გართული რუანელი კომერსანტები წინ და უკან, ზურგსუკან ხელებდაწყობილნი ერთმანეთში ხმამაღლა საუბრობდნენ ფასების ზრდასა და აწევაზე, მაგრამ თვალი მაინც გაეპარებოდათ ხოლმე ეპივანისკენ და ჩურჩულით წარმოთქვამდნენ:

— ეშმაკმა დალახვროს! ლამაზი მამაკაცის განსახიერება! შემდეგ, როცა შეიცნობდნენ, შურით ჩაილაპარაკებდნენ — ეს კაპიტანი ეპივანია. ვაჟკაცი ვარო, ამან უნდა დაიკვეხნოს!..

ალბერტ ეპივანთან შეხვედრისას ქალები თავს რაღაც უცნაურად გააქნევდნენ. აიწურებოდნენ და დაიმორცხვებდნენ, თითქოს ძალა გამოეცლებოდათ და მის წინაშე შიშვლები რჩებოდნენ, შემდეგ ყელს ნაზად მოიღერებდნენ და ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდებოდათ, თან გულში გაუვლიდათ, ნეტავი კაპიტანს მოვეწონებოდე და შემოხედვას არ დამამადლიდესო.. კაპიტანი თუ მარტო არ იყო და რომელიმე ამხანაგი ახლდა, ეს უკანასკნელი შურით აღივსებოდა და თავისთვის ჩაიბურტყუნებდა ყოველთვის, როცა ერთი და იმავე სცენის მოწმე გახდებოდა: ბედი წყალობს ამ თაღლითს!..

რუანის ხარჭებს შორის კაპიტანის გამო ნამდვილი ბრძოლა და ურთიერთქიშპობა გაიმართა. ისინი, ოფიცერთათვის განკუთვნილ ღროს, ზუსტად ხუთი საათისათვის გამოემზურებოდნენ ბუაელდიეს ბულვარში და წყვილ-წყვილად, ქვედა ტანის რხევით დასეირნობდნენ მისი ერთი კიდიდან მეორე კიდემდე. ლეიტენანტები, კაპიტნები და მაიორებიც ორ-ორად დადიოდნენ ტროტუარამდე დაშვებული კავალერისტის ხმლებით.

და აი, ერთ საღამოს, მომხიბვლელმა ირმამ, მანუფაქტურის მდიდარი მეპატრონის, ბატონ ტამპლიე-პაპონის საყვარელმა თავისი ეკიპაჟი „კომედის“ ახლო-მახლო გააჩერებინა და იქედან გადმოვიდა, თითქოსდა საწერი ქალაქის შეკვრა და გრაფიორის შეკვეთა სურდა ბატონი ტამპლიესათვის. სინამდვილეში, ოფიცერთა შაგხდენას წინ გავლა ეწადა, კაპიტანისათვის მრავალმნიშვნელოვნად რომ გსენებოდა თავალი თვალში, ისე დაუფარავადაც წაიკითხავდით, „მე თქვენი სურვილების მონა ვარო“. პოლკოვნიკმა პროუნმა, რომელიც თავის ვიცე პოლკოვნიკთან ერთად მწვანე ლიქიორს სვამდა, თავი ველარ შეიკავა და წარმოთქვა: იღბალი აქვს, რა ამ მაშაძალს!

პოლკოვნიკის სიტყვები სხვებმაც გაიმეორეს და კაპიტანმა ეკიპანმა ასეთი მოწონების გამოხატველი სიტყვებით გულგაკეთებულმა მეორე დღესვე, საპარადო ფორმაში გამოწყობილმა, რამდენჯერმე შედიხედ გაიარა ლამაზი ქალბატონის ფანჯრებქვეშ.

ქალმა შეამჩნია, გამოსედა და გაუღიმა:

იმავე საღამოს ირმა მისი საყვარელი ვახდა.

ჰოდა, იმ დღიდან მოყოლებული, ისინი ერთმანეთს არ დაშორებულან და არც თავიანთი ურთიერთობა დაუფარავთ ვინმეს წინაშე, პირიქით, ამაყობდნენ კიდევ ამ სიახლოვით.

ქალაქში მეტი სალაპარაკო არ ჰქონდათ. ოფიცრისა და მშვენიერი ირმას სასიყვარულო შეხვედრები ეკერა ყველას პირზე, მხოლოდ ბატონმა ტამპლიე პაპონმა არაფერი იცოდა.

კაპიტანს ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს იმეორებდა. ირმამ ეს მითხრა... წუხელ ღამით ირმა მიყვებოდა... გუშინ ირმასთან ერთად რომ ვსადილობდი... და ა. შ.

ერთ წელზე მეტმა განვლო. მათი ურთიერთობის ამბავი კაპიტანმა მთელს რუაზში ისე გამოფინა და გაშალა, თითქოს მტერზე წართმეული დროშა ყოფილიყო. თავი ამაღლებულად მიაჩნდა, გრძნობდა მოშურნეები რომ გაუჩნდნენ... ჯვრის ორდენზე ოცნება დაიწყო და სჯეროდა, რომ იღბალი აქაც არ უმტყუნებდა. მისდამი გაზრდილი ყურადღება თვალში საცემი იყო, მაგრამ იქნებ სჯობია ყველას ახსოვდე, დავიწყებას რომ არ მიეცე...



და აი, ომიც დაიწყო და კაპიტანის პოლკი ერთ-ერთი პირველი გაგზავნეს საზღვარზე, გულსაწვავი იყო მათი ერთმანეთთან დამშვიდობება, რომელიც მთელ ღამეს გაგრძელდა...

ხმალი, წითელი შარვალი, მუნდირი, სკამიდან ძირს გადმოცვენილ კაბებთან, ქვედაბოლოებთან, აბრეშუმის წინდებთან ერთად ხალიჩაზე ელაგა ერთმანეთში არეულ-დარეული. ოთახში ისეთი უწესრიგობა იყო, ბრძოლის ველი გეგონებოდათ. ირმა შეშლილს გავდა, სასოწარკვეთილი, თმებგაწეწილი, ყელზე ეხვეოდა და გულში იკრავდა კაპიტანს, შემდეგ ხელს შეუშვებდა, და იატაკზე დაგორდებოდა. ავეჯი სულ მიღევ-მოღევა, სავარძლის ფეხები დაკბინა, ფოჩები სულ ამოყარა,

ეპივანი ძალზე აღელვებული და გულაჩუყებული სანუგეშო სიტყვებს ვერ პოულობდა და სულ ერთსა და იმავეს იძეორებდა:

— ირმა, ჩემო პატარავ, სხვა გამოსავალი არ არის, უნდა შევეკუო, ასეა საჭირო, ასე მოითხოვს ომი!.. — და დრო და დრო ლოყებზე გადმოგორებულ ცრემლებს თითოთ იწმენდა.

ერთმანეთს რიჟრაჟზე დასცილდნენ. ქალმა ფეხქვეშა რელი ეტლით გააცილა პირველ საეტაპო პუნქტამდე და მოურიდებლად, მთელი პოლკის წინაშე გადაკოცნა განშორების წუთებში, ასეთი მოქცევა ყველამ ბუნებრივად და ღირსეულად ჩათვალა ამ დროს, თანაპოლკელებმა კაპიტანს ხელი მაგრად ჩამოართვეს და გულწრფელად განუცხადეს: გული ჰქონია ამ გოგონასაც, ბედნიერი კაცი ხარ!..

პოლკმა მძიმე განსაცდელი გადაიტანა საბრძოლო კამპანიებში. გმირული თავდადებისათვის კაპიტანი ჯვრის ორდენით დააჯილდოვეს. როგორც კი დამთავრდა ომი და იგი რუანის გარნიზონში დაბრუნდა, მან მაშინვე მოიკითხა ირმა, მაგრამ იმის შესახებ ზუსტი ცნობები ვერავისგან მიიღო.

ზოგიერთებს თუ დაეუჯერებდით, ორმა პრუსიელთა შტაბის ოფიცრებთან ერთად აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდაო...

იმასაც ამბობდნენ, მშობლებთან დაბრუნდა, ივეტოს შემოგარენშიო...

კაპიტანმა მერიაში თავისი ადიუტანტი გაგზავნა, რათა გარდაცვლილთა რეგისტრში სიები გადაემოწმებინა, მაგრამ მისი საყვარლის სახელი და გვარი იქ არ აღმოჩნდა. ეპივანი ძალზე დადარდიანდა და ამას არც ფარავდა. თავის უბედურებას მტერს აბრალებდა, დაუპატიუებლად რომ შემოიჭრა რუანში. პოდა, ახალგაზრდა ქალის გაუჩინარებასაც მის სახელს უკავშირებდა და ხმამაღლა იმუქრებოდა:

— მე ვაზღვევინებ ამ ბოროტმოქმედებს მომავალ ომშიო...

ერთ დილით, როცა წირვაზე მიდიოდა, გზაში შემოხვდა ერთი ხანდაზმული დამტარებელი, რომელსაც ტანთ უჯრედებიანი ხალათი ეცვა და თავზე გაპრიალებული კეპიანი ქუდი ეხურა. ამ უკანასკნელმა შეაჩერა ის და წერილი გაუწოდა. კაპიტანმა გახსნა და სულმოუთქმელად წაიკითხა:

„ჩემო საყვარელი!

საავადმყოფოში ვწევარ. ავად ვარ — ძალიან ავად. ხომ მნახავ? რომ იცოდე, როგორ გამახარებ!

ირმა“

კაპიტანს ფერი წაუვიდა. ქალისადმი სიბრალულით შეძრულმა წარმოთქვა:

— ღვთის გულისათვის, საბრალო გოგონავ! საქმეს მოვიღევ თუ არა, მაშინვე შენთან გაუჩნდები.

დილით, საუზმეზე, ენა არ გაუჩერებია და ყველას უყვებოდა, ირმა საავადმყოფოში წევს და მას იქედან მალე გამოვიყვანო... თქმა არ უნდა, იმ წყეული პრუსიელების ბრალი იქნება, ქალი მარტოდმარტო

დარჩა, ჯიბეში, ალბათ, ერთი გროშიც არ მოეძეოდა, ვინ იცის, იქნებ შიმშილობდა კიდევ... ეჭვი არაა, გაძარცვადნენ და წაიღებდნენ მის ქონებას, ყველაფერს, რაც კი ებადა, ოპ, ეს პირუტყვები!

კაპიტანის სიტყვებზე თანაპოლკელები მეტად აღელდნენ, ეპივანმა გაკეცილი სალფეთქი ხის რგოლში ისევ ჩადო, მერე სწრაფად წამოდგა, საკიდარიდან ხმალი ჩამოიღო, მკერდი წინ გამოიჩინა, წყნარად უფრო რომ დაწვრილებოდა, ქამარი შემოიჭირა და აჩქარებული ნაბიჯებით სამოქალაქო საავადმყოფოს გზას გაუყვა.

კაპიტანს ფიქრადაც არ მოსვლია იქ მოხვედრაზე დაბრკოლებას თუ წააწყდებოდა, მაგრამ როცა კარები ცხვირწინ ჩაურახეს და ცივი უარით გამოისტუმრეს, მეტი გზა არ ჰქონდა, მოძებნა პოლკის უფროსი, თავისი გასაჭირი უამბო და წერილი შეადგენინა მთავარი ექიმისათვის. ამ უკანასკნელმა სიმპათიური კაპიტანი კარგა ხანს აყურყურა მისაღებში, სანამ შესვლის ნებას დართავდა, შემდეგ ცივად გამოემშვიდობა და არც შემოხედვაში გამოუხატავს არანაირი კეთილგანწყობა.

გაჭირვების, ტანჯვისა და სიკვდილის ამ ნავთსაყუდელში ფეხის შედგმისთანავე კაპიტანს ხასიათი დაუმძიმდა...

კაპიტანს სანიტარი მიუძღვებოდა წინ...

ხმაური რომ არ გამოეწვია, ფეხის წვერებით გაიარა გრძელი კორიდორი. ირგვლივ ავადმყოფობის და წამლების სუნი ტრიალებდა. აქა-იქ ჩურჩულის ხმა დრო და დრო საავადმყოფოს ღრმა მდუმარებას არღვევდა.

ნახევრად ღია კარიდან არც თუ ისე კარგად მოჩანდა საწოლთა გრძელ მწკრივებში გადასაფარებლებში მწოლიართა სხეულები... მათ შორის მომჯობინებულები საწოლზე ჩამომჯდარიყვნენ და კემსვით იქცევდნენ თავს, ტანთ საავადმყოფოს რუხი ფერის მოსასხამი ემოსათ, თავზე კი თეთრი ჩაჩი ეხურათ.

კაპიტანის თანმხლები ქალი მოულოდნელად ერთ-ერთი პალატის წინ შეჩერდა, სადაც მოჭარბებულად იყვნენ ავადმყოფები. შესასვლელ კარზე დიდი ასოებით ეწერა: „სიფილისით დაავადებულნი“...

კაპიტანი მოულოდნელად შეცბა და სახეზე წითელმა აღმურმა გადაუარა...

იქვე, ხის პატარა მაგიდაზე, მედდა წამლებს ამზადებდა...

— მე გაგყვებით 29-ე საწოლამდე, — უთხრა მან ოფიცერს და წინ გაუძღვა.

საწოლის გადასაფარებელი ოდნავ ამობურცული იყო, ავადმყოფს იგი თავზეც წაეფარებინა.

კაპიტანის დანახვაზე უზომოდ განცვიფრებული, ფერდაკარგული სახეები ერთბაშად წამოიმართა ბალიშის ზემოთ, ყველანი მუნდირს მიამტერდნენ. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც, მაგრამ ერთნაირად დამახინჯებულნი და დამჭკნარი სახის, საავადმყოფოს უბრალო ბალახონებში გახვეულნი.

კაპიტანი სულ მთლად დაიბნა. იგი გახვევებული იდგა ერთ ადგილას, ერთ ხელში ხმლითა და მეორეში კეპით, ბოლოს, როგორც იქნა, ცალა მოიკრიბა და დაიძახა:

— ირმა!

საწოლი შეირხა და მის წინ საყვარელი ქალის სახე წარმოჩნდა... „ღმერთო დიდებულო! როგორ შეცვლილა... რა გამხდარია და რა ნაწამები გამომეტყველება აქვს.“ — გაიფიქრა კაპიტანმა.

— ალბერტ, ალბერტ, ეს შენა ხარ? აჰ, რა კარგია, რა კარგი, რომ მოხვედი!..

ქალს თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოხვედნისთანავე სანიტარმა სკამი შემოიტანა.

— დაბრძანდით, ბატონო!

— რა მოგივიდათ? — ჰკითხა კაპიტანმა.

— ხომ დაინახე, კარზე რა აწერია! — ტირილით მიუგო ქალმა და სახეზე ზეწრის ბოლო აიფარა.

კაპიტანმა უხერხულობა იგრძნო და დაბნეულმა ჰკითხა:

— საბრალოვ! ეს როგორ, როგორ დაგემართა?

— ყველაფერი იმ ხნედაცემული პრუსიელების მიზეზით. მათ თითქმის ძალით წამიყვანეს... და ეს სენიც გადამდეს...

კაპიტანს თითქოს ენა დაემა, აღარ იცოდა, რა ეთქვა, ისევ ისე მისჩერებოდა ქალს და მუხლებზე ქუდს ატრიალებდა.

პალატაში მწოლიარე ყველა ქალი ცნობისმოყვარეობით მიშტერებოდა კაპიტანს, რომლისთვისაც ამ საშინელი, საძაგელი სენით დაავადებულ მეძავეებით სავსე პალატაში, თითქმის ერთმანეთში აირია გახრწნილ სხეულთა მყრალი სუნი, სირცხვილი და სიძულვილი...

— ალბათ აქედან ცოცხალი ველარასოდეს გავალ. ექიმი ამბობს, რომ ჩემი მდგომარეობა ძალზე სერიოზულია.

უცბად ირმამ კაპიტანის მკერდზე ჯვარი შენიშნა.

— აჰ, ალბერტ! ორდენი მიიღე? მოხარული ვარ, ეჰ, რომ შემეძლოს, მოგეხვეოდით...

იმის გაფიქრებამ, რომ ეს ქალი შესაძლებელია მას შეხებოდა, ალბერტს ზიზღი მოჰგვარა და ტანში ჭრუოლამ დაუარა, ერთი სული ჰქონდა, გარეთ გავარდნილიყო, სუფთა ჰაერი ჩაეყლაპა და მეტი არც არასდროს შემოედგა აქ ფეხი, ამ ავად სახსენებელ პალატაში, მაგრამ ის თითქოს ადგილზე გაქვავდა, ფეხებიც აღარ ემორჩილებოდა, რომ ამდგარიყო და გამომშვიდობებოდა...

— ეტყობა, დროზე არ მიხედე თავს, — ძლივს გამოსცრა ბოლოს კაპიტანმა.

ირმას თვალები ცეცხლივით აუკიაფდა...

— არა! არა! მე შური მიხდოდა მეძია. ჩემს თავს საერთოდ არ ვჩიოდი, თუნდაც სული ამომხდომოდა. ჰოდა, მეც, ყველას, რამდენსაც შემეძლო ეს სენი გადავდე... სანამ ისინი აქ პარპაშებდნენ, მკურნალობაზე ფიქრიც კი ზედმეტად მიმაჩნდა.

— აი, შენ მართლა სწორედ მოქცეულხარ! — კაპიტანის ნათქვამში აღკარა იყო ხუმრობაშერეული ტონი.

ირმა გამოცოცხლდა. მას ყვრიმალები აუხურდა.

— ჰო, დიახ, ხეირი მე მათ დავაყარე, გარწმუნებ, ცოტა არ არიან ისინი, ვინც ჩემი წყალობით სამზეოს დაემშვიდობება. მე შური ბოლომდე ვიძიე.

— მით უკეთესი! — ისევ გაიმეორა კაპიტანმა.

შემდეგ წამოდგა და ქალს უთხრა:

— ჩემი წასვლის დროც მოვიდა. ოთხ საათზე პოლკის მეთაურთან უნდა ვიყო.

ქალს ამკარად დაეტყო აღელვება.

— ასე მალე მტოვებ? განა ახლახან არ მოდი?

ეპივანს მეტი გაჩერება აღარ შეეძლო.

— შენც კარგად ხედავ, როგორც გავიგე, მაშინვე მოვაშურე, მაგრამ ოთხი საათისათვის პოლკოვნიკი მიბარებს. — მიუვო ალბერტმა.

— ეს ისევ ის პოლკოვნიკი პრუსენია? — ჰკითხა ირმამ.

— დიახ, ის არის. ორჯერ დაიჭრა ომში.

— შენი ამხანაგები? ბევრი დაიღუპა? — ისევ ჩაეკითხა ქალი.

— კი. სენ-სიმონი, სავანია, პოლი, საპრევალი, რობერ დე კურსინი, ალფიზი, სანტალი, კარავანი და პუასენი ცოცხლებს შორის აღარ არიან. სააელს ტყვიამ ხელი წაგლიჯა, კურფუაზენს — ფეხი. პაკემ მარჯვენა თვალი დაკარგა.

ქალი ავზნებული სახით უსმენდა, შემდეგ ხმადაბლა წარმოთქვა:

— წასვლისას არ მაკოცებ? სულ მარტონი ვართ. ქალბატონი ლანკლუა გასულია. თუმცა მის მიმართ ზიზღის გრძნობა თანდათან ეზრდებოდა, ეპივანი ეამბორა მის ფერდაკარგულ შუბლს, ქალმა ხელი შემოხვია მის ცისფერ დოღმანს, მაგრად დაეკონა და გაუჩერებლად დაუწყო კოცნა და თან განაგრძობდა:

— ხომ მოხვალ ისევ? მომეცი პირობა, რომ ისევ მინახულე.

— ჰო, გპირდები, მოვალ, აუცილებლად მოვალ.

— როდის? ხუთშაბათს შეძლებ?

— ჰო, ასე იყოს. ხუთშაბათს!

— ხუთშაბათს, ორ საათზე.

— კარგი, ხუთშაბათს ორ საათზე.

— მჯეროდეს, არა?

— ხომ შეგპირდი!

— მშვიდობით, ძვირფასო.

— მშვიდობით.

... და კაპიტანიც გავიდა, მაგრამ უხერხულობას გრძნობდა, როდესაც ხედავდა, რომ პალატაში ყველა მას მისჩერებოდა, შეეცადა წელში მოკუნტულიყო, რომ პატარა გამოჩენილიყო. ქუჩაში გამოსულმა უკვე შვეებით ამოისუნთქა.

სალამოს ამხანაგები არ მოეშვნენ: აბა, მოგვიყევი, როგორ არის შენი ირმაო!..

— ძალიან ცუდაა, ფილტვების ანთება აქვს, — შემცბარმა გასცა პასუხი ბიჭებს, მაგრამ ერთ-ერთმა, მეტად ახალგაზრდა ლეიტენანტმა, მის სიტყვებში სიყალბე დაუნოხა, გარკითხ-გამოიკითხა ამბები და მეორე დღეს, წირვაზე მისულ კაპიტანს, ყველამ სიცილი დააყარა — თითქოს ამით ჯავრი ამოიყარეს კაპიტანზე.

ამას გარდა, მათთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ირმა თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა შტაბის ოფიცრებთან და რომ მან ცხენით შემოიარა მთელი მხარე პრუსიელთა პოლკოვნიკთან და ბევრ სხვასთან ერთად, რომ მას ზედმეტსახელად „პრუსიელთა ქალად“ მოიხსენიებდნენ.

მთელი კვირის განმავლობაში კაპიტანი პოლკის „გენსაზობი“ სამიზნე გახდა, რას არ უგზავნიდნენ ფოსტით: რეცეპტებს, მიწერილებს, რომელი ექიმისთვის მიემართა, წამლებსაც კი, რომელთა დანიშნულება პაკეტზე იყო ნაჩვენები.

პოლკოვნიკმა, რომელიც ყველაფერში გაარკვიეს, მკაცრი ტონით განაცხადა:

— თურმე რა შესანიშნავი ნაცნობობა ჰყოლია ეპივანს! ვულოცავ!..

გავიდა ათი დღე. ირმამ ისევ შემოუთვალა წერილით, რომ ენახა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, გააფთრებულმა დახია ბარათი და არაფერი უპასუხა.

კიდევ ერთმა კვირამ განვლო. ისევ მოვიდა წერილი ირმასგან, რომელშიც იტყობინებოდა, რომ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო და მასთან გამომშვიდობება სურდა.

ეპივანმა ახლაც დუმილი ამჯობინა.

რამდენიმე დღის შემდეგ კაპიტანს საავადმყოფოს მღვდელი ეახლა. მან უარის თქმა ვერ შეჰკადრა და თან გაჰყვა, ღვარძლიანი გაბოროტებული სახით. ამ ქალმა დაამცირა და ფეხქვეშ გათელა მისი სიამაყე, შეუბღალა თავმოყვარეობა.

— „უარესობის არაფერი ეტყობა, აშკარაა, იცრუა“ — იფიქრა თავისთვის მის დანახვაზე.

— გამაგებინე, რა გსურს ჩემგან? — ჰკითხა ქალს.

— ის რომ, მინდოდა დაგმშვიდობებოდი, ამბობენ, დიდი დღე არ მიწერია.

მამაკაცმა არ დაიჯერა.

— მისმინე, ჩემო კარგო! შენს გამო მთელი პოლკის სასაცილო შევიქენი. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დაესვას ამას წერტილი.

— მაინც რა დაგიშავე?

ალბერტს სიბრაზე უფრო და უფრო ერეოდა და საპასუხო სიტყვებს ვერ პოულობდა.

— არ იფიქრო, აქ იმისთვის ვივლი, ჩემი დაცინვის საბაბი მივცე სხვებს.

ამ სიტყვებზე ქალმა მამაკაცს მიანათა თავისი ჩამქრალი თვალები, რომელშიც აშკარად გამოკრთოდა უკიდურესი გაცხარება, მაგრამ მაინც თავშეკავებულად უთხრა:

— არ იტყვი, რა დაგიშავე? იქნებ ალერსი დაგაკელი, ან რაიმე ისეთი გთხოვე ოდესმე? შენ რომ არ გამოჩენილიყავი, მე ბატონ ტ. პ.-სთან ვიქნებოდი ისევ და აქაც არ მოვხვდებოდი. იცი, თუ ვინმეს რაიმე აქვს ჩემთვის სასაყვედურო, შენ არა, ყოველ შემთხვევაში...

— არა, არ გსაყვედურობ, მაგრამ აწი ველარ გნახავ. იმასაც არ დაგიმალავ, პრუსიელებთან შენი მოქცევა მთელი ქალაქის სირცხვილია და თავის მოჭრაა! — ათრთოლებული ხმით განაგრძობდა ალბერტი.

ირმა წელში გასწორდა და საწოლზე ჩამოჯდა.

— პრუსიელებთან ჩემი საქციელი სამარცხვინოა? აკი გითხარი, ძალით წამიყვანეს-მეთქი! მე განზრახ არ ვიმკურნალე, მოძალადეები რომ დამეწამლა. თავის გადარჩენა რომ მდომოდა, ნამდვილად არ გამიძნელებოდა, რად ვერ გაიგე, შე კაი კაცო, მე მათი განადგურება მსურდა და ალბათ ბევრ მათგანს გამოვასალმებ წუთისროვნული ეპივანი ისევ ისე იდგა გაუნძრევლად.

— როგორც არ უნდა მომხდარიყო. ეს სირცხვილია, გესმის? ირმას უფრო და უფრო ეხუთებოდა სული, მაგრამ მაინც განაგრძობდა:

— მაინც რა მიგაჩნია სამარცხვინოდ? ის რომ, მათ დასახოცად მე ვკვდები? შენ ასე არ ფიქრობდი, ჟანა დ'არკის ქუჩაზე ჩემთან რომ დადიოდი, ესე იგი სირცხვილია, არა? აი, შენ ჩემს ადგილას, ასეთ რამეზე არ წახვიდოდი. თუმცა ჯილდო კი მიიღე, მაგრამ, მე უფრო დავიმსახურე, ვიდრე შენ, შესაბამისად, პრუსიელები მე მეტი მოვკალი, გაიგე?

კაპიტანი უზომოდ განცვიფრებული იდგა და აღშფოთებისაგან ცახცახებდა.

— გაჩუმდი მაინც! არ გაძლევ უფლებას, ასეთ რამეებს შეეხო! მაგრამ ქალი მას აღარ უსმენდა.

— კარგი რა! იქნებ იმასაც იტყვი, პრუსიელები დიდად დავაზარალებთო. თქვენ რომ სიმამაცე გამოგეჩინათ და რუანში არ შემოგეშვათ ისინი, ეს არ მოხდებოდა. ჰო, ჩემო ბატონო! ეს თქვენ არ უნდა დაგეშვათ, მათი აქ შემოსვლა. ამიტომ ვფიქრობ, რომ მე მათ უფრო მეტი ბოროტება მივაყენე, უფრო მეტი დავხოცე, ვიდრე შენ! რომელი უფრო დიდი მეომარი ვყოფილვართ? მე სადაცაა სულს დავლევ, შენ კი ისევ ლაღად ისეირნებ, თავგზა რომ აუბნო სუსტი სქესის წარმომადგენლებს...

ავადმყოფთა თავები ისევ ერთბაშად წამოიმართა ყველა საწოლიდან და მუნდირიანი მამაკაცისკენ მიტრიალდა. კაპიტანი თითქმის ჩურჩულით, ახლა უკვე ლულულულით იმეორებდა:

— გაჩუმდი, გესმის? გთხოვ, გაჩუმდი!

... მაგრამ ირმა არ ცხრებოდა, იგი უკვე აღარავის ერიდებოდა და რაც შეიძლება ხმამაღლა გაიძახოდა:

— კარგი ვინმე ხარ! გიცნობ, კარგად გიცნობ!.. კიდევ გაგიმეორებ, რომ მე მათ მეტი ზიანი მივაყენე, ვიდრე შენ, ბევრად მეტი დავხოცე, ვიდრე მთელმა პოლკმა ერთად! წადი, გამეცალე აქედან, შე ლაჩარო, შენა!

ეპივანიც ამას ელოდა, იგი თითქმის გარბოდა დიდი ფართო ნაბიჯებით საწოლების ორ მწკრივს შორის, სადაც გამოცოცხლებული სახეებით, სიფილისიანი ქალები იწვნენ. ზურგს უკან ირმას აქოშინებული და სტვენის მსგავსი ხმა კუდში მისდევდა კაპიტანს:

— მე, მე დავხოცე შენზე მეტი, შე ლაჩარო! ეგ ჯვარი შენ კი არა, მე მეკუთვნის, მე, შე ლაჩარო!

კაპიტანმა კისრისტეხით ჩაირბინა კიბე და ვინმეს რომ არ შეემჩნია, უკანმოუხედავად, სწრაფი ნაბიჯებით გაუყვა სახლისკენ მომავალ გზას.

მეორე დღეს მან ირმას გარდაცვალების ამბავი შეიტყო.



თარგმნა მადეა ზუგადალაშვილმა

ეს ამბავი მოხდა 1456 წლის ნოემბრის ბოლოს. პარიზში გადაულეებლად ბარდნიდა. ქუჩაში დროდადრო ქარი უბერავდა და თოვლის ქარბორბალას ატრიალებდა, დროდადრო კი სიმშვიდე ისადგურებდა და ღამეული ცის სიბნელიდან მღუმარედ ცვიოდა მირიადი მსხვილი ფანტელი... საწყალ ხალხს, სველი წარბებქვეშიდან რომ უყურებდა ყოველივე ამას, მარტო ისღა დარჩენოდა, გაკვირვებულიყო, ნეტავ საიდან მოდის ამდენი თოვლიო. დღისით ტავერნის ფანჯარასთან მდგარმა მეტრმა ფრანსუა ვიიონმა კი ასეთი რამ ივარაუდა: ან წარმართი იუპიტერი ბატებს ბღღვნის, ანდა წმინდა ანგელოზები ბუმბულს იცვლიანო. თავად მას, ხელოვნებისა და საღვთო საკითხების მოკრძალებულ მაგისტრს, არ შეეძლო რაიმე დასკვნის გამოტანა. მონტარყელმა მოსულელო მოხუცმა კიურემ, მათ კამპანიას რომ მიტმასნოდა, ახალგაზრდა ყალთაბანდს კიდევ ერთი ბოთლი ღვინო დაუდგა მანჭვით წარმოთქმული ამ ხუმრობისათვის და თავისი თეთრი წვერი დაიფიცა, რომ ამ ასაკში თვითონაც ისეთივე ღვთისმგმობელი ლეკვი იყო, როგორც ვიიონი.

ჰაერი ფილტვებს ჭრიდა, თუმცა სულ ოდნავ ყინავდა... სველი ფანტელები ფაროებივით ცვიოდა. ქალაქი თითქოს შეწარში გახვეულიყო. მთელ არმიას შეეძლო მისი ერთი ბოლოდან მეორემდე ისე გაევილო, ჩამიჩუმი არავის გაეგო. ცაში აქა-იქ შეყოვნებული ჩიტები თუ გადაიფრენდნენ, სიტყვს კუნძული მათ დიდ თეთრ საკერებლად, ხიდეები კი — შავი მდინარის სიგანეზე გავლებულ თეთრ წვრილ ხაზებად მოეჩვენებოდათ. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი თოვლს დაებარდნა. ბევრი ნიში თოვლით ამოვსებულიყო, ქანდაკებებს კი მაღალი თოვლის ქუდები დაეხურათ თავიანთ რქებიანსა თუ გვირგვინოსან თავებზე. წყალჩასადინარებზე ქიმერები გრძლად ჩამოშვებულ ცხვირებად ქცეულიყვნენ. ლავგარდანების ჩუქურთმები აღარ ჩანდა. ქარი ჩადგებოდა თუ არა, ტაძრის კარიბჭიდან კაპელის ყრუ ხმა ისმოდა.

სენ-ჟანის სასაფლაოს თავისი წილი თოვლი რგებოდა. ყველა საფლავი თოვლით კეთილსახიერად იყო დაფარული. ირგვლივ მდიდრულად მორთული, მაღალი თეთრი სახურავები ჩანდნენ. პატივცემული ბურჟუები კარგა ხანია ისვენებდნენ ქვეშაგებში, თავზე ჩამოეფხატათ მათ სავანეებზე დადებულ თოვლზე არა ნაკლებად ქათქათა ჩაჩები. მთელ არემარეში არსად კრთოდა სინათლის სხივი გარდა ეკლესიათა კარებზე მოქანავე მბჟუტავი ფარნებისა ყოველ გაქანებაზე უცნაურ ჩრდილებს რომ აფენდნენ ირგვლივ. ჯერ ათი საათიც არ იქნებოდა

სენ-ჟანის სასაფლაოს მახლობლად ხელთათმანების ტყაპუნით ფარნი-
ანმა და ალბარდებიანმა პატრულებმა რომ ჩაიარეს. ჩაიარეს და საეჭ-
ვო აქ ვერაფერი ნახეს.

თუმცა სასაფლაოს კედელთან მიყუჟული იყო პატარა სახლი, რომელიც ერთადერთი ჩანდა ძილად მივარდნილ მთელ ამ ქუჩაზე, სადაც არ ეძინათ, და არც თუ სასიკეთოდ. სახლი გარეგნულად თვეში არაფრით გეცემოდათ: საკვამურიდან ამოდიოდა კვამლი, სახურავს დამდნარი თოვლის ადგილას შავი ლაქები აჩნდა, ზღურბლს კი — თოვლით ნახევრად დაფარული ნაფეხურები. მაგრამ შიგნით, მიხურულ დარბაზებს მიღმა, პოეტი ფრანსუა ვიიონი თავისი ამფსონი ქურდების ჯგუფიდან ზოგზოგიერთთან დროს ღვინის სმაში ატარებდა.

თაღოვან ბუხარში წითლად მოგიზგიზე ნაკვერცხლებს სიცხის ბუდი დაეტრიალებინა. ბუხრის წინ იჯდა პიკარდიელი ბერი დომინე ნიკოლასი და ანაფორააკვალთულს სტუმართმოყვარე ცეცხლისთვის მსუქანი შიშველი ფეხები მიეფიცებინა. მის ვეება ჩრდილს ორად გაეყო ოთახი და ბუხრიდან სინათლე ძლივს ატანდა ბერის ზონზროსა სხეულის აქეთ-იქიდან, გან-განზე გადგმულ ფეხებშია კი პატარა გუბე დაეყენებინა. ამ ხელმოთავებულ ლოთს შეშუპებული სახე წვრილწვრილი წითელი ძარღვებით ჰქონდა დაფარული, რომლებსაც ახლა სიცვიისაგან ღია იისფერი დასდებოდათ. ანაფორის კაპიუმონი უკან გადაეჯდო და მისი ხარივით კისერზე უცნაური კორძებივით გაფხორილიყო. ბუხრის წინ ასე წამოჭიმული ცხვირში რალაცას დუდლუნებდა.

მის მარჯვნივ ვიიონი და გი ტაბარი პერგამენტის ნაგლეჯზე დახრილიყვნენ: ვიიონი თხზავდა ბალადას, რომელსაც მოგვიანებით „შემწვარი თევზის ბალადა“ უწოდა, გი ტაბარი კი მის ზურგს უკან რალაცას ალფრთოვანებით დუდლუნებდა. პოეტი ძალზე შეუხედავი იყო: უფრო დაბალი ეთქმოდა, ლოყები ჩავარდნოდა. თხელი შავი თმა კულულებად ეყარა. ოცდაათი წლისას აგზნებული გამოცოცხლება მოსძალეობდა. სინარბისაგან თვალბეჭევს ნაოჭები გასჩენოდა, უკეთური ღიმლისაგან პირი გარშემო ხაზებით დაღარვოდა. მისი სიგონჯე და უკმეხი ხასიათი მჭევრმეტყველებდა მთელ მის ამქვეყნიურ ვნებებზე. ხელები პოეტს პატარა და თოკივით კორძიანები ჰქონდა. თითები მისი სახის წინ ნიადაგ მგზნებარე გამომსახველი მოძრაობით გაიელვებდა ხოლმე. რაც შეეხება ტაბარს, მისი მიჭყლეტილი ცხვირი და დორბლმორეული პირი ისედაც ნათლად მეტყველებდა პატრონის გვარიან უდარდელსა და გულარხეინ სისულელეზე: ის ქურდი გახდა (ისევე როგორც შეიძლება გამხდარიყო მშვიდი ბურჟუა) ყოვლისშემძლე შემთხვევის წყალობით, რომელიც ადამიანთა სახით მართავს ბატებისა და ვირების ბედს.

ბერის მეორე მხარეს მონტინი და ტევენინ პანსეტი ბანქოს თამაშობდნენ. პირველ მათგანს ჯერ კიდევ შეენარჩუნებინა კეთილშობილური წარმომავლობისა და აღზრდის რალაცა კვალი: გარეგნულად წარმოსადევს, მოქნილსა და დახვეწილს, ჰქონდა რალაც არწივისებური, პირქუში გამომეტყველება. საბრალო ტევენინი კი დღეს კარგ გუნებაზე იყო: დღისით მას გამოსვლოდა რალაც თაღლითური ოინი სენ-ჟაკის გარეუბანში, ახლა კი ზედიზედ უგებდა მონტინს. სახეზე კმა-

ყოფილების ღიმილი დაჰფენოდა, წითური კულულების გვირგვინში მოქცეული ნახევრად მულოტი თავი ვარდისფრად ულაპლაპებდა, ვეება მუცელი კი ყოველ ჯერზე, მოგებას მოხვეტდა თუ არა, მოჭარბებული სიცილისაგან უთახთახებდა.

— ფსონს ჩამოდინხარ თუ ამთავრებ? — იკითხა ტევენინმა, მონტინმა კუშტად დაუქნია თავი.

— „ზოგ-ზოგი ჭამას მოოქროვილი ჭურჭლიდან ამჯობინებს“, — წერდა ვიიონი. — ჰა, მომეხმარე, გვიდო!

ტაბარი ხითხითებდა.

— „ზოგს ვერცხლის ჭურჭელი ურჩევნია“ — განაგრძობდა პოეტი.

გარეთ ქარი ძლიერდებოდა, თოვლს წინ მიერეკებოდა, დრო და დრო მისი ღმუილი სახეიმო ღრიალში გადადიოდა, მერე კი სამარისეულ გოდებად იქცეოდა. ღამით სიცივემ იმძლავრა. ვიიონმა ტუჩები გამოხერა, ქარის ხმას გამოაჯავრა და გაშოსცა რალაც ხმა, სტვენასაც რომ ჰგავდა და კვნესასაც. პიკარდიელ ბერს დაუდგარი პოეტის ყველაზე მეტად სწორედ ეს ტალანტი არ მოსწონდა.

— ნუთუ არ გესმით, ქარი როგორ ევლება გარს სახრჩობელებს? — უთხრა ვიიონმა, — ახლა ალბათ იქ ყველანი ჰაერში გატაცებით ცეკვავენ უიგას. იცეკვეთ, იცეკვეთ, ყმაწვილებო, სულერთია მაინც ვერ გათბებით. ფუი, რა ქარია! რომელიღაც ალბათ ჩამოწყდა კიდევ! ერთი ვაშლით ნაკლები იქნება სამფეხა ვაშლის ხეზე! დომინე, სენ-დენის გზაზე ახლა ეციება ალბათ, არა? — იკითხა მან.

დომინე ნიკოლასმა ორივე თვალი ჩაუკრა და ხორხი ისე დაეჭიმა, თითქოს სასულეში რამე გადასცდაო. პარიზის სახრჩობელებიდან ყველაზე საშინელი მონფოკონის სახრჩობელა იყო და იგი სწორედ სენ-დენის გზიდან ჩანდა, ამიტომაც ვიიონის სიტყვები ცოცხლებს გულზე მოხვდათ. ტაბარმა კი გემოზე იცინა ვაშლზე ნათქვამი ხუმრობის გამო — არაფერი ამაზე სასაცილო არასოდეს მსმენიაო, ფერდებზე ხელები მიეჭირა და სიცილისაგან იჭაჭებოდა. ვიიონმა თანამეინახეს ცხვირზე წკიპურტი ჰკრა, რის გამოც მას სიცილის ნაცვლად ხველა აუტყდა.

— ამ ჭინვინს გირჩევნია „თევზის“ რითმა მოიგონო, — უთხრა ვიიონმა.

— ფსონს ჩამოდინხარ თუ ამთავრებ? — ბუზლუნით იკითხა მონტინმა.

— ცხადია, ფსონს ჩამოვდივარ, — უპასუხა ტევენინმა.

— ბოთლში კიდევ დარჩა რამე? — იკითხა ბერმა.

— შენც მეორე გახსენი, — უთხრა ვიიონმა, — ნუთუ იმედი გაქვს, რომ შენს კასრივით მუცელს ეს ერთი ბეწო სასმელი ამოავსებს? ან როგორ აპირებ ცად ასვლას? რამდენი ანგელოზი დაჭირდება ერთი პიკარდიელი ბერის ცაში აყვანას? თუ თავი ახალ ილიად მოგაქვს და უცდი, რომ ეტლს გამოგიგზავნიან?

— *Hominibus impossibile,*¹ — უპასუხა ბერმა და ჭიქა შეავსო.

1. ადამიანისათვის არაფერია შეუძლებელი (ლათ.).

ტაბარმა აღფრთოვანებისგან აღარ იცოდა რა ექნა, ვიიონმა ერთხელ კიდევ ჰკრა წკიპურტი ცხვირზე.

— მოჰყვება ხითხითს ჩემს ოხუნჯობაზე!

— სასაცილოა და რა ექნა, — შეედავა ტაბარი. ვიიონი დაეჯღანა.



ქართული

— მოიფიქრე „თევზის“ რითმა, თუმცა ლათინურად გეგვება, შენთვის უკეთესი იქნება თუ ვერაფერს გაიგებ განკითხვის დღეს, როცა გვიდო ტაბარს დაკითხვაზე გამოიხმობს დიდკუზიანი და წითლად გავარვარებულ ბრწყალებიანი ეშმაკი. რაკილა ეშმაკზე ჩამოვარდა სიტყვა, შეხედე ერთი მონტინს, — დაუმატა მან ჩურჩულით.

სამივემ მალულად გაიხედა იმ მხარეს. მონტინს კვლავ არ უმართლებდა, პირი გვერდზე მობრეცოდა, ერთი ნესტო გაბერვოდა, მეორე ზედ მიწებებოდა, როგორც იტყვიან, ქეჩოზე შავი ძალღი მოსჯდომოდა და ამ ავბედით ტვირთქვეშ მძიმედ სუნთქავდა.

— ეგრე მგონია, მოკლავს თავის პარტნიორს, — ჩაიბურტყუნა თვალბდაჭყეტილმა ტაბარმა.

ბერს შეაკანკალა, პირით ცეცხლისკენ შეტრიალდა და ხელები ბუსარს მიუშვირა. ასე სიცივემ იმოქმედა და არა მომეტებულმა მგრძნობელობამ.

— ბალადას მივუბრუნდეთ, ვნახოთ, რა გამოგვივიდა, — თქვა ვიიონმა და დაიწყო ლექსის ხმამაღლა კითხვა, თან რიტმს ხელს აყოლებდა.

მაგრამ მეოთხე სტრიქონზე მოთამაშეებმა შეაწყვეტინეს. იქ თვალის დახამხამებაში რაღაც მოხდა. მორიგი პარტია რომ დამთავრდა და ტევენინი ფსონის გამოცხადებას აპირებდა, უეცრად მონტინი ასპიტით გაშალებით ეცა და ხანჯალი პირდაპირ გულში გაუყარა. ყველაფერი ისე ანახდელულად მოხდა, რომ ტევენინმა უკან დახევა და დაყვირებაც კი ვეღარ მოასწრო. მას სხეულზე რამდენჯერმე გადაუარა კრუნჩხვამ, თითები ხან ეშლებოდა, ხან ეკუმშებოდა, ქუსლებს კი მოხშირებულად ურტყამდა იატაკს, მერე თავი მარცხნივ გადაუვარდა, თვალები ფართოდ გააღო და ტევენინ პანსეტის სული თავის შემოქმედს დაუბრუნდა.

ყველა წამოხტა, მაგრამ ყველაფერი ერთ წამში მოხდა, ოთხნი, ცოცხლები, გაღმეილები ერთმანეთს ფერწასულები შეჰყურებდნენ. მიცვალებული კი თითქოსდა იდუმალი დაცინვით ჭერის კუთხეს მიშტერებოდა.

— მოწყალო ღმერთო! — თქვა ბოლოს ტაბარმა და ლოცვას მოჰყვა ლათინურად.

უეცრად ვიიონს ისტერიული სიცილი აუტყდა. ტევენინისკენ გააბიჯა და მასხარასავით დაუკრა თავი. თან უფრო ხმამაღლა მორთო ხარხარი. მოძალებული სიცილისაგან თავი ვერ შეიკავა და მძიმედ დაეშვა ტაბურეტზე.

პირველი მონტინი მოვიდა გონს.

— ვნახოთ თუ აქვს რამე, — თქვა მან, — ერთ წამში გამოცდილი ხელით მიცვალებულს ჯიბეები გაუსუფთავა და მაგიდაზე ოთხ თანაბარ დასტად დააღაგა, ეს თქვენ, — თქვა მან.

ბერმა თავისი წილი აიღო, თან ღრმა ოხვრა ამოაყოლა და ცერად გაჰხედა სკამიდან ჩამოცურებულ, ლამის ძირს დავარდნილ ტევენინს.

— ამ საქმეში ყველა ვურევივართ! — წამოიძახა ვიიონმა, როცა რიცხილი დაიოკა, — ყველა აქ დამსწრეს სახრჩობელა გველი, რომ არაფერი ვთქვათ აქ არმყოფებზე.

მან მკვეთრად ასწია მარჯვენა ხელი, ენა გამოყოფილი კვერდზე გადაადგო და ჩამოხრჩობილი წარმოადგინა. მერე თავისი წილი ნადავლი ქისაში ჩაიყარა და იატაკზე ფეხების ტყაპუნს მოჰყვა, თითქოს სისხლის მიმოქცევის აღდგენა სურსო.

ტაბარმა ბოლოს აიღო თავისი კუთვნილი. მაგიდას მივარდა ფულის ასაღებად, მერე კი თავის ფულიანად ოთახის შორეულ კუთხეში მიიკუნჭა.

მონტინმა ტევენინის სხეული სკამზე გაასწორა და ხანჯალი ამოაძრო. ჭრილობიდან სისხლმა იფეთქა.

— მეგობრებო, გვირჩევნია აქედან წავიდეთ, — თქვა მან და ხანჯალი თავისი მსხვერპლის კამზოლზე გაწმინდა.

— ჰო, სწორია, — ნერწყვის ყლაპვით თქვა ვიიონმა, — დალახვროს ეშმაკმა მაგისი გოგრა! ყელში ნახველივით მადგას, რა უფლება აქვს ადამიანს, სიკვდილის შემდეგაც წითური იყოს? — თქვა, ხელახლა დაეცა ტაბურეტზე და სახე ხელებში ჩამალა.

მონტინმა და დომინე ნიკოლასმა ხმამაღლა გაიცინეს, ტაბარიც უნებურად აჰყვა მათ.

— აჰ, შე მტირალა, შენა, თქვა ბერმა.

— მე მუდამ ვამბობდი, რომ ეგ დედაკაცია-მეთქი, — ზიზღით ჩაიცინა მონტინმა, — ჰო, იჯექი, — დაუყვირა მიცვალებულს და შეანჯღრია, — ცეცხლი ჩააქრე, ნიკ!

მაგრამ ნიკს ამისთვის არ ეცალა, მან არხეინად აიღო ვიიონის ქისა, ვიიონი კი აკანკალებული მოუსვენრად იჯდა იმ ტაბურეტზე, რომელზეც სულ რამდენიმე წუთის წინათ ბალადას თხზავდა. მონტინმა და ტაბარმა ბერს ანიშნეს, რომ ისინიც ითხოვდნენ თავიანთ წილს, ბერიც დუმილითვე დათანხმდა მათ და ქისა ანაფორის ქვეშ ილღიაში დამალა. არტისტული ნატურა ხშირად ვერ ეგუება პრაქტიკულ ცხოვრებას.

ბერმა ძლივს მოასწრო თავისი ოპერაციის დასრულება რომ ვიიონი ანაზღად გამოცოცხლდა, წამოხტა და იმანაც დაიწყო ნაკვერცხლების ფეხით გასრესა და ჩაქრობა. ამასობაში მონტინმა კარი გამოაღო და ფრთხილად გაიხედა ქუჩაში. გზა თავისუფალი იყო, ახლომანლო აბეზარი პატრულების კვალიც არ ჩანდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს თითო-თითონი გასულიყვნენ, და რაკი ვიიონი ჩქარობდა, რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა მკვდარ ტევენინს, დანარჩენები კი უფრო მეტად ჩქარობდნენ პოეტი თავიდან მანამდე მოეცილებინათ, სანამ ნაქურდალს აღმოაჩენდა, მას პირველს მისცეს ქუჩაში გასვლის ნება.

ამასობაში ქარი გაძლიერებულიყო და ციდან ღრუბლები სულ გადაერეკა. მარტოდმარტო პატარა მქრქალი ღრუბელი დაცურავდა სწრაფად ვარსკვლავებს შორის. ყინავდა და, ცნობილი ოპტიკური ცთომილების წყალობით, ყველა მოხაზულობა უფრო მკვეთრად ჩანდა, ვიდრე

კაშკაშა მზეზე. ძილს მიცემულ ქალაქში სრულ მდუმარებას დაესადგურა. ვიიონმა დაწყევლა თავისი ბედნავსობა — აღარ თოვს, და ახლა სადაც არ უნდა წავიდეს, ყველგან მის უკან გადათეთრებულ ქუჩებზე დარჩება ამკარა კვალი, სადაც არ უნდა წავიდეს მაინც ყველგან სენგანის სასაფლაოს სახლთან იქნება მიჯაჭვული, სადაც არ უნდა წავიდეს, დანაშაულის ადგილიდან სახრჩობელამდე თვეთუთვედ დაგვალავს გზას. მიცვალებულის დამცინავმა მზერამ ახლა მისთვის ახალი მნიშვნელობა შეიძინა. მან თითები გაატკაცუნა, თითქოსდა თავის გასამხნევებლად და გზის არჩევას აღარ მოჰყოლია ისე, ანდებზე გაუყვა ერთ-ერთ თოვლიან შესახვევს.

ორი მოჩვენება სდევდა თან მოუშორებლივ: მონფოკონის სახრჩობელა, როგორადაც წარმოედგინა იგი ამ ქარიან ნათელ ღამეს დწითური კულულების გვირგვინიანი მელოტი თავი. ორივე ზმანებგულს უწურავდა, და იგი სულ უფრო და უფრო უმატებდა ნაბიჯს თითქოსდა აბეზარი ფიქრებიდან გაქცევას შეძლებდა. დრო და დრო შეშფოთებული მალ-მალე მიიხედავდა უკან, მაგრამ დათოვლილ ქუჩებში მის გარდა კაცის ჭაჭანება არ ჩანდა, მხოლოდ კუთხეებიდან გამოვარდნილი ქარი ხანდახან აიტაცებდა ყინვით დამზრალ თოვლს და მბზინავი თოვლის მტვრის კორიანტელს აყენებდა.

უეცრად თვალი მოჰკრა შავ ლაქას და ფარნის სინათლეს. ლაქა მოძრაობდა, ფარანიც აქეთ-იქით ქანაობდა. ეს პატრული იყო, რომელმაც, მართალია, ქუჩა გადაჭრა, მაგრამ ვიიონმა მაინც გონივრულად მიიჩნია სასწრაფოდ თვალს მიფარებოდა. მას სულაც არ სურდა პატრულთა შეძახილის გაგონება. მით უფრო, მშვენივრად იცოდა, როგორ იკვეთებოდა თოვლზე მისი მარტოხელა ფიგურა. მის მარცხნივ აღმართულიყო ოდესღაც მდიდრული, კოშკურებიანი და საპარადე პორტიკიანი სახლი. ვიიონს ახსოვდა, რომ შენობა კარგა ხანია მიტოვებული და ცარიელი იყო, მან სამიოდე ნაბიჯის შემდეგ მიაღწია იქამდე და პორტიკის შვერილის მიღმა მიიმალა. თოვლით განათებული ქუჩების მერე აქ ძალზე ბნელოდა და გზას იგი ხელის ცეცებით განაგრძობდა. ანაზდად რაღაც უცნაურს წააწყდა, ის ხელის შეხებით ერთდროულად მაგარიც იყო და რბილიც, მკვრივიც და დამყოლიც. ვიიონს გული აუფანცქალდა, უკან დაიხია და შეშინებულმა დაიწყო ამ დაბრკოლების თვალშიერება. ბოლოს შვებით ამოისუნთქა და გაეცინა, ეს იყო ქალი და ისიც მკვდარი. მან ქალის მახლობლად ჩაიჩოქა, რათა დარწმუნებულიყო ამაში, ქალი უკვე გახევეებული და ყინულივით გათოშილი იყო. დახეულ მაქმანს, ქალის თმა ძლივს რომ აკავებდა, ქარი აფრიალებდა, ლოყებზე კი ეტყობოდა სულ ცოტა ხნის წინათ სქლად ჰქონდა დადებული ფერუმარილი. ჯიბეში ერთი გროშიც არ უჭყაოდა, მაგრამ წინდაში, დამაგრებული რეზინის ქვემოთ, ვიიონმა იპოვა ორი წვრილი მონეტა. სულ არარაობას ეს მაინც ჯობიაო, ამასთან პოეტი ააღელვა იმ აზრმა, რომ ქალი ისე მომკვდარიყო, მათი დახარჯვა ვერ მოესწრო. უცნაური და დასანანი ამბავია. ის ხან მონეტებს უცქერდა, ხან მიცვალებულს და სინანულით აქნევდა თავს. ფიქრობდა ადამიანის ცხოვრების გამოცანებზე. პენრის მეხუთე ინვლისელი უცებ მიიცვალა ვენსენში მას შემდეგ, რაც საფრანგეთი დაიპყრო, ეს საცოდავი კი ვიღაც დი-

დებულის სახლის ზღურბლზე ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო
ორი მონეტის დახარჯვა. დიას, მკაცრად მართავს ბედისწერა/სამყაროს.
ამ ორი მონეტის დახარჯვას ბევრი არაფერი უნდოდა, პირს ხომ მაინც
ჩაიტკბარუნებდა პატარა ნუგბარით და ტუჩებს ერთხელ კიდევ გემ-
რიელად გააწკლაპუნებდა მანამდე, სანამ მის სულს უშვებდა/სესეპატ-
რონებოდნენ, სხეულს კი ყვაკები ან თაგვები შესაწვავდნენ. არა,
რაც შეეხება თავად მას, დაე, ბოლომდე დაიწვას სანთელი, სანამ ჩააქ-
რობენ, ფარანს კი დაამსხვრევენ.

სანამ ეს ფიქრები უტრიალებდა თავში, ჯიბეში თითქმის უნებ-
ლიეთ დაუწყო ძებნა ქისას, და უცებ გული ღამის გაუჩერდა, ცივმა
ჭიანჭველებმა დაუარეს ნაკუთალებში, თავში კი თითქოს რაღაც ჩას-
ცხესო. ერთ წუთს გაშტერებული იდგა, მერე აკანკალებული ხელი ისევ
ჯიბეში ჩაიყო და ბოლოს და ბოლოს, თავის დანაკარგში რომ დარ-
წმუნდა, ცივმა ოფლმა დაასხა. მოქეიფისათვის — ფული — ეს რაღაც
ცოცხალი და მოქმედი რამაა, მხოლოდ და მხოლოდ რაღაც სიფრიფანა
ფარდაა მასა და სიამოვნებას შორის, ამ სიამოვნებას ზღვარს მხოლოდ
დრო უდებს. მოქეიფეს ჯიბეში რამდენიმე ლუიდორი რომ აქვს, სანამ
უკანასკნელ გროშამდე არ დახარჯავს, თავი რომის იმპერატორი
ჰგონია. მისთვის ფულის დაკარგვა უდიდესი უბედურებაა, ეს სამო-
თხედან ჯოჯოხეთში წამიერ გადასვლას, ყოვლისშემძლეობიდან სრულ
არარობად ქცევას უდრის. და განსაკუთრებით თუ ამ ფულის გულის-
თვის თავს ყულფში ყოფ, თუ ხვალ სახრჩობელა გელის ასე ძნელად
ნაშოვნი და სულელურად დაკარგული ქისის სამაგიეროდ.

ვიიონი იდგა და იწყევლებოდა, მოულოდნელად ორივე მონეტა
ქუჩაში ისროლა, ზეცას მუშტებით დაემუქრა, ფეხები ააბაკუნა და სუ-
ლაც არ აღელვებდა, რომ ფეხქვეშ თელავდა საბრალო ქალის გვამს.
მერე სასწრაფოდ მობრუნდა და სასაფლაოს სახლისკენ გასწია. დაავი-
წყდა ყოველგვარი შიში, დაავიწყდა პატრული, რომელიც ახლა ალბათ
უკვე შორის იყო, ყველაფერი დაავიწყდა დაკარგული ქისის გარდა. ამ-
აოდ ათვალერებდა ნამქერს გზის ორივე მხარეს; არსად არაფერი ჩან-
და... არა, ქისა ქუჩაში არ ამოვარდნია. იქნებ სახლშივე დარჩა? ძალი-
ანაც სურდა წასულიყო და იქ მოეძებნა, მაგრამ იმ სახლის საშინელი
ბინადარი შიშის ზარს სცემდა. თანაც, ახლოს მისულმა დაინახა, რომ
ამაო გამომდგარიყო ცეცხლის ჩასაქრობად მათი მცდელობა, ცეცხლი
პირიქით ავიზგიზებულებიყო და ალის ანარეკლმა ფანჯრებსა და კარის
ღრჩობებში პოეტს სახრჩობელის შიში აღუძრა.

ის დაბრუნდა მიტოვებული სახლის თალებქვეშ და ძებნა დაუწყო
მონეტებს, რომლებიც ბავშვური გაგულისების გამო გადაყარა. იპოვა
მხოლოდ ერთი მონეტა, მეორე ალბათ გვერდულად დაეცა და ღრმად
ჩაეფლო თოვლში. ასეთი ხურდა ფულით კი ავაზაკთა რომელიმე ბუნა-
გში შფოთიანი ღამის გატარებაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. მოსალო-
დნელი სიამოვნება თვალსა და ხელშუა გასხლტომოდა, საქმე ნამდვილად
ძალზე ცუდად იყო. ამ ძველი სახლის წინ რომ გაჩერდა, იგრძნო, მთელ
სხეულში ამტვრევდა, სველი ტანსაცმელი ზედ შეშრობოდა, მართალია,
ქარი ჩამდგარიყო, მაგრამ თანდათან მომძლავრებული ყინვა ძვალსა და
რბილში ატანდა. რა უნდა ქნას? უკვე გვიანაა და არც წარმატების

სჯერა, მაინც ცდის ბედს თავის მამობილთან — წმინდა ბენუას ეკლესიის კაპელანთან.

მთელი გზა სირბილით გაიარა, მიიჩინა თუ არა, კარზე მორიდებით დააკაკუნა. არავინ გამოპასუხებია. მერე ზედიზედ უფრო გაბედულად აკაკუნებდა. ბოლოს შიგნიდან ნაბიჯების ხმა გაიშვა. გისოსებიანი საჭვრეტელი გაიღო და სინათლის ყვითელმა სწივმა გამოანათა.

— სარკმელთან ახლოს დადექით, — მოიხმა შიგნიდან კაპელანის ხმა.

— მე ვარ, — საბრალობლად წარმოთქვა ვიიონმა.

— აჰ, შენა ხარ? — თქვა კაპელანმა და მღვდლის ღირსებისათვის სრულიად შეუფერებელი ლანძღვა მოაყოლა იმის გამო, რომ ასე გვიან შეაწუხეს და ბოლოს თავისი შვილობილი უკან, ჯოჯოხეთში გაგზავნა, საიდანაც, უეჭველია, მობრძანდა იგი.

— ხელები დამილურჯდა, ფეხები ისე დამაზრა, ტკივილსაც ვეღარ ვგრძნობ, ცხვირი სიცივისაგან გამისივდა, ყინვამ გულშიც შეაღწია, დილაძდე ვერ გავატან. მხოლოდ ამ ერთხელ, მამაო, და, ღმერთმანი, მეტჯერ აღარ შეგაწუხებთ, — ივედრებოდა ვიიონი.

— მოსულიყავი ადრე, — ცივად გამოეპასუხა კაპელანი, — ახალგაზრდებმა როდისმე უნდა ისწავლონ ჭკუა; — მან საჭვრეტელი დახურა და აუჩქარებელი ნაბიჯით გაბრუნდა უკან.

ვიიონი გააფთრდა და ფეხებითა თუ ხელებით უბრაახუნებდა კარს, თან ლანძღვა-გინებას უგზავნიდა კაპელანს. — ამყრალბულო ბებერო მელავ, ხელში თუ ჩამივარდი, ჯანდაბას იქით გაგაგზავნი, — ყვიროდა იგი.

სადღაც შორს, გადასასვლელებს იქით მიჯახუნდა კარი და ამ ხმამ ძლივს მიაღწია პოეტის ყურამდე. ის იწყევლებოდა, თან პირს ხელით იწმენდდა. მერე მიხვდა თავის მდგომარეობის კომიკურობას, გაეცინა და გულარხეინად შეხედა ზეცას, საიდანაც ვარსკვლავები თვალს უკრავდნენ და დასცინოდნენ მის ამ უიღბლობას. რა უნდა ქნას? ეტყობა, ყინვაში მოუწევს ღამის გათევა. გაახსენდა გათოშილი ქალი და ამის გახსენებაზე გული ღამის გაუჩერდა. ის, რაც ქალს გვიან საღამოს დაემართა, თავად შეიძლება გარიჟრაჟისას დამართნოდა. ის კი ისეთი ახალგაზრდაა! წინ კიდევ რამდენი შფოთიანი გართობა ელის! თავის თავს თითქოს გვერდიდან რომ შეხედა, გული აუჩუყდა ასეთ ბედზე ფიქრის გამო. წარმოსახვამ კი უმალ დაუხატა სურათი, როგორ იპოვნენ დილით მის გაშეშებულ სხეულს.

მონეტას თითებში ატრიალებდა და ფიქრით ჩხრეკდა ყველა შესაძლო შანსს. საუბედუროდ, წაჩხუბებული იყო ყველა თავის ძველ მეგობართან, ვისაც ოდესღაც მსგავსი შემთხვევებისგან ეხსნა. ის კი თავის ლექსებში ბოროტად დასცინოდა, ეჩხუბებოდა და ატყუებდა მათ. და ახლა, ამ უკიდურეს გაჭირვების ჟამს რომელიმე მათგანი მაინც თუ მოლბებოდა, ეს იქნებოდა ერთადერთი შესაძლებლობა. ყოველ შემთხვევაში, მოსინჯვა ღირდა, რასაც აუცილებლად შეეცდებოდა.

გზაში თავისთავად არც თუ მნიშვნელოვანმა გარემოებამ სულ სხვა აზრზე დააყენა. პირველად ის პატრულის კვალს დაადგა და რამ-

დენიმე ასეული ნაბიჯი ასე იარა. ამან მიზნიდან მართალია გადაახვე-
ვინა, სამაგიეროდ, ცოტათი გაამხნევა თავის კვალს რომ აბნევდა! მას
არ ასვენებდა შიში იმის გამო, რომ მის კვალს მიაგნებდნენ თოვლით
ერთიანად გადათეთრებულ პარიზში და გარიჟრაჟაძღე დაიჭურდნენ.
მეორე გარემოება სულ სხვაგვარი იყო; მან ჩაუარა გზაჯვარედინს,
სადაც რამდენიმე წლის წინათ მგლებმა დედა-შვილი შეხვდნენ. ამინდი
ახლაც სწორედ რომ შესაფერისი იყო და მგლებს ახლაც შეიძლება
მოსვლოდათ თავში პარიზში გასეირნება, მაშინ ცარიელ ქუჩებში მარ-
ტოდმარტო შიშის ამარა მიმავალი კაცი ძნელად თუ გააწყობდა მათთან
რამეს. ვიიონი გაჩერდა და აქეთ-იქით დაიწყო ყურება. აქ თავს იყრი-
და რამდენიმე ქუჩა. ის ათვალეირებდა თითოეულ მათგანს, ხომ არ
ჩანს თოვლზე რაიმე ჩრდილით და სუნთქვაშეკრული აყურადებდა მდი-
ნარის მხრიდან ყმუილი ხომ არ ისმისო. გაახსენდა, როგორ უყვებოდა
დედა ამ ამბავს და მოჰყავდა კიდევ ამ ადგილის სანახავად. დედა! რომ
იცოდეს სად არის ახლა — თავშესაფარიც უზრუნველყოფილი ექნებო-
და. გადაწყვიტა, გათენდებოდა თუ არა, შეეტყო მისი ამბავი და აუცი-
ლებლად მოენახულებინა საბრალო მოხუცი! ამ ფიქრებში გართული
მიადგა ნაცნობ სახლს — აქ იყო უკანასკნელი იმედი იმისა, რომ ჰპო-
ვებდა ღამის გასათევს.

ფანჯრები, როგორც მთელი ქუჩები, ჩაბნელებული იყო. მაგრამ
რამდენჯერმე რომ დააკაკუნა, შიგნიდან რალაც ხმაური მოისმა, სად-
ღაც კარიც გაიღო, მერე კი ვიღაცის ხმამ ფრთხილად იკითხა, ვინ
არისო. პოეტმა თავისი გვარი არცთუ ხმამაღლა წარმოთქვა და შიშით
დაუწყო ლოდინი, რა მოხდებოდა. ცდა დიდხანს არ დასჭირვებია, ზევით
ფანჯარა გაიღო და მთელი ვედრო ნარეცხი წყალი გადმოასხეს. ეს
ვიიონისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ის, რამდენადაც შესაძლებელი
იყო, შესასვლელი კარის შვერილს აჰკვროდა, და მაინც წელს ქვემოთ
ერთ წამში დასველდა. შარვალი უმაღლ გაუფერულდა. ყინვისა და
გაციებისაგან მოსალოდნელმა სიკვდილმა თვალებში ჩახედა. გაახსენდა,
რომ დაბადებიდან ჭლექისკენ იყო მიდრეკილი და ხმა გაისინჯა, ხომ
არ მახველებსო. მაგრამ გაჭირვებამ აიძულა არ აღელვებულიყო. რამ-
დენიმე ასეული ნაბიჯი რომ გაიარა იმ კარიდან, სადაც ასე უხეშად
მოექცნენ, თითი ცხვირთან მიიტანა და ფიქრი დაიწყო, რათა თავი
ღამის გასათევით უზრუნველყო. არსებობდა ერთადერთი საშუალე-
ბა — თვითონვე უნდა ეპოვა იგი. მახლობლად იდგა სახლი, რომელში
შელწევაც თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა, და ისიც მაშინვე იქითკენ
გაეშურა, თან გზაში თავს იიმედებდა, რომ სასადილო ოთახში დახვდე-
ბოდა ჩაუმქრალი ღუმელი, მაგიდაზე — ვახშმის ნარჩენები. ღამეს იქ
გაათევს, დილაუთენია კი წამოვა და ხელს გამოაყოლებს ძვირფას ჭუ-
რჭელს. იმასაც კი ვარაუდობდა, რა საჭმელი და რომელი ღვინო იქნე-
ბოდა უმჯობესი მაგიდაზე რომ დახვედროდა, და გუნებაში გაიხსენა
თავის ყველაზე საყვარელი კერძები, უცებ შემწვარი თევზი მოაგონ-
და, მოაგონდა და გაეცინა, მაგრამ ამასთან შეძრწუნდა კიდევ. „ვერა-
სოდეს დავამთავრებ ამ ახალ ბალადას“.

— ჯანდაბას ჩემი გოგრა! — ხმამაღლა წამოიძახა და თოვლზე
გადააფურთხა.

მის მიერ მიზანში ამოღებულ სახლში ერთი შეხედვით ბნელოდა, მაგრამ როცა ვიიონმა დაიწყო შეტევისათვის სუსტი ადგილის შეთვალერება, სქელ ფარდებჩამოფარებულ ფანჯრის მიღმა სუსტი შუქი გამოკრთა.

„ეშმაკმა დალახვროს, არ სძინავთ, — გუნებაში შეტევნი მან: ვინმე სკოლიარი ან ღვთისმოსავი იქნება, ჭირმა წინდროსი გეჭენს არა, ხომ უნდა გამოთვრნენ გემრიელად, მერე კი გვარიანი ხვრინვა ამოუშვან. მაშინ რალა ეშმაკადაა საჭირო მწუხრის ხარი და საცოდავი მნათეები, თოკებზე დაკიდებულები წელეებზე ფეხს რომ იდგამენ, ან რა საჭიროა დღე, თუ მამლის ყივილამდე უნდა იჯდე? შუახე რომ გასკდნენ ლორმუცელობით! — გაეცინა, როცა მიხვდა, სად მიიყვანა ასეთმა მსჯელობამ. დაე ყველას თავისი მიეზღოსო, — დაუმატა მან, — რაკი არ სძინავთ, მაშინ, ღმერთმანი, საფუძველიც მაქვს ეშმაკი გავაცურო და პატიოსნად ვითხოვო ვახშამი“.

ვიიონი გაბედულად მივიდა კართან და მაგრად დააკაკუნა. ამის წინა ჯერზე ყურადღების მიპყრობისა ეშინოდა, ამიტომ უფრო მორიდებულად აკაკუნებდა, მაგრამ ახლა, რაკი გადაწყვიტა სახლში ქურდივით შესულიყო, კარის დაკაკუნება ძალზე ჩვეულებრივ და უბრალო რამედ ეჩვენებოდა. მისი დარტყმის ხმა, იდუმალად რომ ზრიალებდა, მთელ სახლში ისე გაისმა, თითქოს იგი სრულიად ცარიელი იყო. მაგრამ ეს ხმა მიწყდა თუ არა, მოისმა მტკიცე, თანაბარი ნაბიჯები, მერე ურდულების ჯახუნი და კარი ფართოდ გაიღო, აშკარა იყო იქ მზაკვრობას არ იცნობდნენ და არც ეშინოდათ მისი. ვიიონის წინ იდგა მაღალი, გამხდარი, დაკუნთული, თუმცა წლებისგან ოდნავ წელში მოხრილი მამაკაცი. თავი დიდი ჰქონდა, მაგრამ კარგი მოყვანილობის, ცხვირიც — დახვეწილი, წარბებიც ლამაზი. პირისა და თვალების გარშემო ოდნავ შესამჩნევი ნაოჭი აჩნდა, მთელ სახეზე კი ჭალარა წვერი თანაბრად ჰქონდა შეკრეჭილი.

კაცს ხელში ლამაზ ეჭირა და ლამპის მოციმციმე შუქზე მოხუცის სახე შეიძლება უფრო კეთილშობილური გჩვენებოდათ, ვიდრე სინამდვილეში იყო. მაგრამ მაინც ეს იყო მშვენიერი სახე, უფრო დარბაისლური, ვიდრე ჭკვიანური, ამავე დროს ძლიერი, უბრალო და გულლია.

— გვიან აკაკუნებთ, მესსირ, — თავაზიანად თქვა მოხუცმა დაბალი, მჟღერი ხმით.

ვიიონი ერთიანად მოიკუნტა და მამებლურ ბოდიშებად დაიღვარა; ასეთ შემთხვევებში, საქმე უკიდურესობამდე როცა მიდიოდა, მასში მათხოვარი სჯაბნიდა, გენიალობა კი უკან იხევდა.

— მთლად გათოშობილხართ, — განაგრძო მოხუცმა, — ალბათ მშიერიც ხართ. რას იზამ, შემოდით, — და მან კეთილშობილური შესტით მიიპატიჟა.

„დიდგვაროვანი ვინმეა“, — გაიფიქრა ვიიონმა. სახლის პატრონმა კი ამასობაში ლამაზ შემოსასვლელის ქვის იატაკზე დადგა და ყველა ურდული ისევ გაუყარა.

— მაპატიეთ, მაგრამ მე წინ წავალ, — და პოეტი მაღლა, დიდ ხში აიყვანა, სადაც წითლად ბრდღვიალებდა მაყალი, ჭერზე და-

კიდებულ ლამპიდან კი კაშკაშა სინათლე იღვრებოდა. ოთახში ბევრი ნივთი არ იყო: იდგა მოოქროვილი ჭურჭლით სავსე ბუფეტი, პატარა მაგიდაზე რამდენიმე ფოლიანტი და ფანჯრებშია კედლებზე უკრდა რაინდის საჭურველი. კედლებზე გაკრულ შესანიშნავ ვობელენებზე ერთზე გამოსახული იყო ჯვარცმა, მეორეზე — მწვემსარქველებისა და ქალების სცენა წყაროსთან, ბუსარზე ეკიდა გერბიანი ფანჯრა.

— დაბრძანდით, ბოდიშს გიხდით, რომ მარტოს გტოვებთ, — თქვა მოხუცმა, — დღეს ჩემ გარდა შინ არავინაა და თვითონ მომიხდება თქვენთვის რაიმე საჭმლის გამონახვა.

სახლის პატრონი როგორც კი გავიდა, ვიიონი სკამიდან წამოხტა და კატისებური გაქნილობით და გულმოდგინებით დაიწყო ოთახის თვალიერება. ის ხელით წონიდა ოქროს დოქებს, იჭყიტებოდა ყველა ფოლიანტში, ათვალიერებდა ფარის გერბს და ხელით სინჯავდა სავარძლებზე გადაკრულ ქსოვილს. ფანჯრებზე ფარდები გადასწია და რამდენადაც მოასწრო თვალის შევლება, დაინახა, რომ ფერადი ვიტრაჟები გამოსატავდნენ რალაც საბრძოლო გმირობას. მერე შუა ოთახში გაჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა, ლოყები გაბერა, ამოსუნთქვა შეაყოვნა, ქუსლებზე შემოტრიალდა და კვლავ მიმოიხედა გარშემო, რათა მეხსიერებაში აღებეჭდა თითოეული წვრილმანი.

— სერვიზში შვიდი ნაჭერია, ათი რომ იყოს, ნამდვილად გავრისკავდი, — თქვა მან, — ყველა წმინდანს ვფიცავ, ჩინებული სახლია და ჩინებული მოხუცი!

დერეფანში მოახლოებული ნაბიჯის ხმა გაიგონა თუ არა, მივარდა თავის ადგილს და გაეარვარებულ მაყალს მოკრძალებულად მიაფიცხა სველი ფეხები.

მასპინძელი შემოვიდა, ცალ ხელში ხორციანი ლანგარი ეჭირა, მეორეში — ღვინის დოქი. ვიიონს ანიშნა, სავარძელი ახლოს მიეწია, თვითონ კი ბუფეტიდან გადმოიღო ორი კათხა და შეავსო.

— ვსვამ სადღეგრძელოს იმის გამო, რომ ბედმა გაგიღიმათ, — თქვა მოხუცმა და ვიიონს კათხა ზეიმურად მიუჭახუნა.

— იმის გამოც, რომ უკეთესად შევიცნოთ ერთმანეთი, — მიუგო გათამამებულმა ვიიონმა.

ჩვეულებრივ მდაბიოს მოხუცი დიდებულის თავაზიანობა გულს აუთრთოლებდა, მაგრამ ვიიონი ბევრის მნახველი იყო, არაერთხელ ჰქონია შემთხვევა გაერთო ძლიერნი ამა ქვეყნისანი და დარწმუნებული იყო, რომ ისინიც ისეთივე არამზადები იყვნენ, როგორიც თვითონ. ამიტომაც ხარბად დააცხრა შემწვარ ხორცს, მოხუცი კი სავარძელზე გადაწოლილი დაჟინებით და ცნობისმოყვარედ უთვალთვალებდა.

— მხარზე სისხლი გაცხიათ, ძვირფასო, — უთხრა მოხუცმა.

სახლს რომ ტოვებდნენ ალბათ მონტინმა დაადო თავისი სისხლიანი ხელი და გუნებაში წყევლა-კრულვა გაუგზავნა მას.

— მე არ ვარ დამნაშავე, — ჩაიბურტყუნა მან.

— მეც ეგრე ვფიქრობდი, — მშვიდად წარმოთქვა მასპინძელმა, — იჩხუბეთ?

— ჰო, იყო რაღაც მაგდაგვარი, — უპასუხა შემკრთალმა ვიიონმა.

— ვინმე მოკალით?

— არა, არ მოგვიკლავს, — სულ უფრო და უფრო იბნურდა პოეტის, — ყველაფერი ნამუსიანად იყო, უბრალოდ, უბედური შემთხვევა მოხდა, და მე არაფერ შუაში არა ვარ, — მერე ფიცხლქნა დაუმატა, — ღმერთმა დამიფაროს!

— ერთი ავაზაკით ნაკლები იქნება, — მშვიდად წარმოთქვა მასპინძელმა.

— სავსებით მართალი ბრძანდებით, — ენით უთქმელი შვეებით დაეთანხმა ვიიონი, — ასეთი ავაზაკები არ არიან ღირსნი უყურონ ნათელ მზეს... ის გადაყირავდა და ფეხები ძალა აიშვირა, მაგრამ ამის ცქერა სასიამოვნო როდი იყო. თქვენ კი თქვენს სიცოცხლეში ალბათ ბევრი მკვდარი გინახავთ, არა, მესსირ? — დაუმატა მან და თან აბჯარს შეხედა.

— საკმაოდ, — თქვა მოხუცმა, — თვითონ განსაჯეთ, მე ხომ ვიბრძოდი.

ვიიონმა დანა და ჩანგალი, რომელსაც ის-ის იყო მოკიდა ხელი, გვერდზე გადადო.

— მათ შორის მელიოტებიც იყვნენ?

— იყვნენ, ჩემსავით ჭალარებიც იყვნენ.

— ჭალარები არც ისე საშინელებაა, — თქვა ვიიონმა, — ის კი წითური იყო, — და მას ისევ ააცახცახა და სცადა ნერვიული სიცილი ღვინის დიდი ყლუბით დაეფარა, — ამ ამბის განსენებაზე ცუდად ვხდები, — განაგრძო მან, — მე ხომ ვიცნობდი მას, ჭირსაც წაულია იმისი თავი! თანაც ამ ყინვაში თავში ათასგვარი სისულელე მოგდის, თუ პირიქით, ამ სისულელეების გამო ყინვა მთელ ტანში გივლის — უკვე აღარ ვიცი რა რისგანაა.

— ფული გაქვთ? — ჰკითხა მოხუცმა.

— ერთი მონეტა, — სიცილით მიუგო პოეტმა, — ეს ფულიც აქვე ერთ სადარბაზოში გაყინულ გოგოს წინდიდან ამოვაცალე. ის საცოდავი ყინულივით იყო გათოშილი, თმაზე კი ლენტის ნაფლეთი ეკიდა. ზამთარი ცუდი დროა გოგოებისთვის, მგლებისათვის და ჩემნაირი მაწანწალებისთვის.

— მე ვარ ენგერან დე ლა ფეიე, სენიორ დე ბრიზეტი, პატატრაკის ბაი, — თქვა მოხუცმა, — თქვენ ვინლა ხართ?

ვიიონი წამოდგა და ასეთი შემთხვევისათვის შესაფერისად დაუკრა თავი.

— მე მქვია ფრანსუა ვიიონი, ვარ აქაური უნივერსიტეტის ღარიბი ხელოვნების მაგისტრი, ცოტაოდენ ლათინურს ვფლობ, ნაკლოვანებებმა კი ყველაფერი დაჯაბნა. შემიძლია ლექსების, სიმღერების, ბალადების და რონდელების შეთხზვა. ამასთან, ვარ ღვინის დიდი მოტრფიალე, დაეიბადე სხვენზე და შეიძლება სახრჩობელაზე დავამთავრო სიცოცხლე. ამას დავუმატებ, რომ ამ ღამით ვარ თქვენი უმორჩილესი მსახური, მესსირ.

— თქვენ ჩემი მსახური კი არა, ამ ღამის სტუმარი ხართ, — უპასუხა დიდებულმა.

— სტუმარი აღსავსე მადლიერებით, — თავაზიანად მიუგო ვიიონმა, — მდუმარედ ასწია კათხა მასპინძლის პატივსაცემად და გამოცალა.

— თქვენ საკმაოდ ჭკვიანი კაცი ხართ, — უთხრა მოხუცმა და შუბლზე მიიკაკუნა, — ძალიან ჭკვიანი და განათლებული, და მაინც გადაწყვიტეთ ქუჩაში გაყინული ქალისთვის წინდიღამი მოგეცალათ. როგორ გგონიათ, ეს ქურდობას არა ჰგავს?

— ასეთი ქურდობა სამხედრო ნადავლზე უარესი არაფრით არ არის, მესსირ.

— ომი ღირსების ასპარეზია, — ამაყად შეეპასუხა მოხუცი, — იქ ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლე წყდება. ის იბრძვის თავის სიუზერენი-მეფის, თავისი უფალი ღმერთის და მთელ ანგელოზთა დასის სახელით.

— და მე თუ ნამდვილად ქურდი ვარ, მე კი არ ვრისკავ ჩემს სიცოცხლეს? ამასთან, უმძიმეს ვითარებაში? — იკითხა ვიიონმა.

— გამორჩენის და არა ღირსებისათვის.

— გამორჩენისათვის! — გაიმეორა ვიიონმა და მხრები აიჩეჩა, — გამორჩენა! საწყალ კაცს უნდა, რომ ივანშმოს და ისიც შოულობს ამ ვახშამს, როგორც სალდათი ომის დროს. ეს რეკვიზიციები რაღა მოიგონეს? ვინც ამას აწესებს, თუნდაც ვერ პოულობდეს გამორჩენას, სულ ერთია, ვისთვისაც ამას აწესებენ, ისინი მაინც წაგებულები რჩებიან. სალდათები სამხედრო ბანაკებში კოცონთან ღრუობენ, ქალაქის მაცხოვრებლები კი ტყავს იძრობენ მათი ღვინისა და შეშის საფასური რომ გადაიხადონ. გზის გაყოლებით ჩამოხრჩობილი სოფლები რამდენი მინახავს! მახსოვს, მარტო ერთ თელაზე ოცდაათი კაცი ეკიდა, და ეს საშინელი სანახავი იყო. რომ ვიკითხე, რატომ ჩამოახრჩეს-მეთქი, მიპასუხეს, სალდათებისთვის ვერ შეძლეს საკმაო მონეტების შეგროვებაო.

— ეს ომის მწარე აუცილებლობაა, რომელიც მორჩილებით უნდა გადაიტანონ მდაბიოთ. თუმცა ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთი მხედართმთავარი უკიდურესობაში ვარდება. შეუბრალებელი ყველა რანგის ადამიანი შეიძლება იყოს, გარდა ამისა, ზოგი დაქირავებული ჯარისკაცი ნამდვილი ბანდიტია!

— ხომ ხედავთ, თქვენც კი ვერ ახერხებთ ომის გადარჩენას ბანდიტებისაგან, — უთხრა პოეტმა, — ქურდი რაღაა, თუ არა მარტოხელა ბანდიტი, ოღონდ უფრო წინდახედული. მე მოვიპარავ ცხვრის ორ კატლეტს ისე, რომ არავის გავაღვიძებ, ფერმერი ცოტას წაიბუნლუნებს და მერე მშვიდად ივანშმებს იმით, რაც დარჩება, თქვენ კი თავს დაატყდებით გამარჯვებულის ფანფარებით, ცხვარს მთლიანად წაიღებთ, თან სართად სცემთ კიდევ. მე ფანფარები არა მაქვს; მე ასეთი ვარ, მაწანწალა, არამწადა, ჩამოხრჩობა ჩემთვის ცოტაა, რას იზამ, თანახმა ვარ, მაგრამ აბა ფერმერს პკითხე, ჩვენგან რომელს ამჯობინებს, ან ზამორის უძილო ღამეებში ვის უგზავნის წყევლა-კრულვას.

— შემოგვხედე ორივეს, — თქვა სენიორმა, — მე მოხუცი ვარ, მაგრამ ჯანმავარი და ყველასგან პატივცემული, ხვალ სახლიდან რომ

გამაგდონ, ასობით ადამიანი იქნება მოხარული შემიფაროს, მდაბიონიც მზად იქნებიან ბავშვებთან ერთად ქუჩაში გაათიონ, თუკი ვანიშნებ, რომ მარტოს მსურს დარჩენა. თქვენ კი დახეტილობით უთავშესაფროდ და სულაც არ გეთაკილებათ მკვდარი ქალის გაქურდვა, მე არავისი და არაფრის არ მეშინია, თქვენ კი, ჩემი ფეხებით, რომ ვნახე, ერთ სიტყვაზე ფითრდებით და კახკალი გიტანთ — ჩემი ტყვეს, სახლში მშვიდად ვუცდი იმ საათს, როცა თავისთან მიმიხმობს ღმერთი ანდა მეფე მიმიხმობს ბრძოლის ველზე, თქვენ კი სახრჩობელას, ძალადობით სიკვდილს ელით, პატივსა და იმედს რომაა მოკლებული, ნუთუ არ არის ჩვენს შორის განსხვავება?

— ჩვენ ცასა და დედამიწასავით ვართ, — დაეთანხმა ვიიონი, — მაგრამ მე რომ ბრეხეტის მულობელად დავბადებულყავ, თქვენ კი საბრალო ფრანსუად, განა ნაკლები განსხვავება იქნებოდა ჩვენს შორის? მაშინ განა მუხლებს მე არ გაყითბობდი ამ მაყალთან, თქვენ კი მონეტის საპოვნელად თოვლზე არ იხოხებდით, განა მაშინ მე არ ვიქნებოდი სალდათი, თქვენ კი ქურდი?

— ქურდი? — შეჰყვირა მოხუცმა, — მე ქურდი? რომ იცოდეთ, რას ამბობთ, ინანებდით თქვენს სიტყვებს.

ვიიონმა უტიფრად, არაჩვეულებრივი გამომსახველობით გაშალა ხელები.

— თქვენი მოწყალეობა პატივს თუ დამდებს ჩემს მსჯელობას გავყვი...

— მე ისედაც დიდი პატივი დავდეთ თქვენს აქ ყოფნას რომ ვითმენ, — თქვა დიდებულმა, — ისწავლეთ ენაზე კბილის დაჭერა მოხუცებულ და საპატიო ხალხთან საუბრისას, თორემ ყველა ჩემსავით კი არ მოგიტმენთ, სასტიკად გაგისწორდებათ. — ადგა და მრისხანებისა და ზიზლის დასათრგუნად ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ვიიონმა ამით ისარგებლა, ხელახლა გაივსო კათხა და სავარძელში უფრო მოხერხებულად მოეწყო: ფეხი ფეხზე გადაიდო, თავი მარცხენა ხელს დააყრდნო, მარჯვენა ხელის იდაყვი კი სავარძლის საზურგეზე ჩამოდო. ის დანაყრდა და გათბა, ამასთან, გაიცნო მასპინძლის ბუნება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო შესედულებათა ასეთი სხვადასხვაობის დროს. ახლა სულ აღარ ეშინოდა მოხუცის. ღამე ილეოდა, ბოლოს და ბოლოს ყველაფერმა არნახულად კარგად ჩაიარა და სავსებით დარწმუნებული იყო, დილით მშვიდობიანად დატოვებდა სახლს.

— ერთ შეკითხვაზე მიპასუხეთ, — უთხრა ვიიონის წინ შეჩერებულმა მოხუცმა, — ნამდვილად ქურდი ხართ?

— მე სავსებით ვენდობი სტუმართმოყვარეობის კანონებს, — უპასუხა პოეტმა, — დიან, მესსირ, ქურდი გახლავართ.

— თქვენ ხომ ჯერ ასეთი ახალგაზრდა ხართ, — განაგრძო მოხუცმა

— მე აქამდისაც ვერ ვიცოცხლებდი, ეს ათი მსახური რომ არ მყავდეს — უპასუხა ვიიონმა და თითები გაფარჩხა, — დედასავით გამომკვებეს და მამასავით გამომზარდეს.

— თქვენ ჯერ კიდევ დრო გაქვთ მოინანიოთ და ცხოვრება შეიცვალოთ.

— მე ყოველდღე ვინანიებ, — უპასუხა პოეტმა, — ცოტა ვინმე თუა საბრალო ფრანსუასავით მომნანიე, იმისათვის კი ცხოვრების წესი რომ შევიცვალო, დაე, მანამდე ვინმემ შეცვალოს ამჟამინდელი ჩემი ცხოვრება, ადამიანს საჭმელი მაინც უნდა ჰქონდეს, რაღა დრო ჰქონდეს მონანიებისთვის.

— გზა ცვლილებისა გულში უნდა იწყებოდეს, — შეიმურად წარმოთქვა მოხუცმა.

— ძვირფასო სენიორ, ნუთუ ფიქრობთ, რომ სიამოვნების გამო ვიპარავ? — უპასუხა ვიიონმა, — მე ქურდობა სხვა დანარჩენი სამუშაოებივით მძულს, თანაც ეს საშიშროებასთან არის დაკავშირებული. სახრჩობელის დანახვაზე კბილს კბილზე მაცემინებს, მაგრამ ხომ მინდა ჭამა, დალევა და ადამიანებთან ურთიერთობა, ჯანდაბა, ადამიანი განდევილი ხომ არაა — *Cui Deus feminam tradit.*¹ მაქციეთ მეფის სუფრაჯად, სენ-დენის აბატად, ანდა თქვენი პატატრაკის ბაიდ, აი, მაშინ შეიცვლებოდა ჩემი ცხოვრება, მაგრამ სანამ ფრანსუა ვიიონი, თქვენისავე ნებით, რჩება ღარიბ სკოლიარად, რომელსაც ქისაში გროშიც არ უჭყავის, მის ცხოვრებაში არავითარ ცვლილებას არ უნდა ელოდეთ.

— ყოვლად ძლიერო მოწყალეო ღმერთო!

— ერეტიკოსი უნდა იყოთ, ამაზე რომ შემეკანათოთ, — უთხრა ვიიონმა, — ღმერთის მოწყალებით, თქვენ ბრიზეტის მფლობელი და პატატრაკის ბაი გახდით, მე კი ღმერთმა გამჭრიახობისა და ამ ათი თითის გარდა არაფერი მიწყალობა, შეიძლება ღვინოც, უმდაბლესი მადლობა ამისათვის. ღმერთის წყალობით, თქვენ შესანიშნავი ღვინო გქონიათ!

ბრიზეტის მფლობელი ზურვზე ხელებდაწყობილი მიმოდიოდა ოთახში. შეიძლება მას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ქურდისა და სალდათის დაპირისპირების შეჯერება; შესაძლოა ვიიონს თანაუგრძნობდა კიდევ, შეიძლება შეცბუნებულიც იყო, რაკი არ გახლდათ ჩვეული ასეთ მსჯელობებს, ასე თუ ისე, მას რატომღაც სურდა, რომ ეს ახალგაზრდა ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინა და ვერ გადაეწყვიტა მისი ქუჩაში გაგდება.

— მაინც ვერ გამიგია, — თქვა მან ბოლოს, — ენა გრძელი გაქვთ და ეშმაკს კარგა შორს შეუყენებისართ თავის გზაზე, მაგრამ ეშმაკი სუსტია ღმერთის წინაშე და მთელი მისი მოხერხებულობა ისე ქრება, როგორც ლამის სიბნელე განთიადისას. მომისმინეთ, დიდისანია, შემეცნებული მაქვს რომ აზნაური უნდა იყოს რაინდული კეთილშობილების განსახიერება, უყვარდეს ღმერთი, მეფე, თავისი გულის რჩეული ქალი და მართალია, ჩემს სიცოცხლეში ბევრი უსამართლობა შემხვედრია, მაინც ვცდილობდი, ამ კანონებით მეცხოვრა. ისინი მარტო ბრძნულ წიგნებში კი არა, თითოეული ადამიანის გულში წერია, ოღონდაც ადამიანმა მოიცალოს მის წასაკითხად. თქვენ ლაპარა-

1. ღმერთმა მას ქალი უბოძა.

კობთ საჭმელსა და ღვინოზე, ვიცი, შიმშილი დიდი განსაცდელია და ძნელი გადასატანი, მაგრამ როგორ არ უნდა გვანსოვდეს სხვა საჭიროებანი — პატიოსნება, ღმერთისა და ახლობლების რწმენა, კეთილშობილება და უმწიკვლო სიყვარული. ან ეგებ მე არ მყოფნის სიბრძნე? მაგრამ ასე კია? ჩემი აზრით, თქვენ განსაცდენილიყდა ძალზე თავგზააბნეული ადამიანი ხართ, თქვენ ზრუნავთ წყნარად განსაჭირზე და სრულებით გავიწყდებათ დიდი, ჭეშმარიტი საჭიროებანი. თქვენ ემსგავსებით ადამიანს, განკითხვის დღეს კბილის ტკივილს რომ მკურნალობს, მაგრამ ღირსება, სიყვარული და რწმენა არა თუ მართო მალლა დგას საკვებსა და სასმელზე, ვფიქრობ, გაცილებით ძლიერ და მძაფრად ვეწამებით, როცა მოკლებულნი ვართ ამ თვისებებს, ამას იმიტომ გეუბნებით, რომ, ასე მგონია, შეგიძლიათ ადვილად გამიგოთ. მუცლის ამოვსებას რომ ცდილობთ, ამით გულში ხომ არ იკლავთ სხვაგვარ შიმშილს? და ეს ხომ არ არის მიზეზი იმისა, რომ სიცოცხლის სიხარულის მაგივრად მხოლოდ სიმწრის გრძნობას განიცდით?

ვიიონი აშკარად გააღიზიანა ამ ჭკუის სწავლებამ.

— მაშ, თქვენი აზრით, მოკლებული ვარ ღირსების გრძნობას?!

— შესძახა მან, — დიახ, ღმერთია მოწმე, მე ლატაკი ვარ და მიმძიმს იმის ყურება, რომ მდიდრებს თბილი ხელთათმანები აცვიათ, მე კი ხელებს სულის შებერვით ვითბობ. ცარიელი მუცლით ცხოვრება ადვილი არ არის, თუმცა თქვენ ამას არაფრად აგდებთ. თქვენ რომ ეს ყოველივე გამოგეცადათ, შეიძლება სხვაგვარად ამღერებულყავით. დიახ, მე ქურდი ვარ და ამიტომაც მიმხედრდებით! მაგრამ ღმერთს ვფიცავ, სულაც არა ვარ ჯოჯოხეთის მოციქული. იცოდეთ, თქვენზე არანაკლები ღირსება მაქვს, თუმცა დილიდან საღამომდე ამით არ ვტრაბახობ, როგორც რაღაც ღმერთის სასწაულზე. არა, ეს არაფრით არაა ყურადსაღები და ჩემს ღირსებას, სანამ არ დამჭირდება, ჩანთაში ვინახავ. აი, თუნდაც ახლანდელი მაგალითი: რამდენი ხანი გავატარე თქვენთან აქ, თქვენს ოთახში? ხომ მითხარით, ოჯახში მართო ვარო? თანაც ეს ოქროს ჭურჭლეულობა! ვთქვათ, სულთი ძლიერი ბრძანდებით, მაგრამ თქვენ ხომ მოხუცი ხართ, უიარაღო მოხუცი, მე კი თან დანა მაქვს, რად მიღირს, რომ მკლავი გავშალო და დანა ნაწლავებში გაგიყაროთ? მერე მეძებონ ქუჩა-ქუჩა იღლიაში ამ თქვენი კათხებამორჩილი... როგორ ფიქრობთ, საამისოდ გამბედაობა არ მეყოფოდა? მეყოფოდა! მე კი ამაზე უარი ვთქვი. აჰა, აი, თქვენი წყეული კათხები, უვნებელია როგორც ჭურჭლის საცავში, თქვენც გული საათივით თანაბრად გიცემთ. მე კი ახლა ისეთივე უპოვარი წავალ, როგორიც მოვედი. ერთადერთი მონეტის მფლობელი, რასაც ასე მამუნათებთ. თქვენ კი მეუბნებით ღირსების გრძნობა არ გაგაჩნიათო. დიახ, დაე, ღმერთმა დამსაჯოს ასე თუ არ იყოს.

მოხუცმა მარჯვენა ხელი ასწია.

— იცით, ვინა ხართ, თქვენ ავაზაკი ხართ, ძვირფასო, უსირცხვილო და უგულო ავაზაკი და მაწანწალა. თქვენთან მხოლოდ ერთი საათი გავატარე და დამერწმუნეთ, შერცხვენილად ვგრძნობ თავს.

თქვენ ჩემს სუფრაზე ჭამეთ და სვით, მაგრამ ახლა გული მერევა რომ გიყურებთ. უკვე ირიურაყა, ღამის ფრინველები ფულურთებს უბრუნდებიან. ჩემ წინ წახვალთ თუ გამოძევებით?

— როგორც გენებოთ, — თქვა პოეტმა, წამოდგა და მდუმარედ გამოცალა თავისი კათხა, — თქვენს პატიოსნებაში ვერ შემიძლება შეპარება, მინდოდა თქვენი ჭკუაც მერწმუნა, — თქვენს დასრულებულ შუბლზე მიიკაკუნა, — მაგრამ წლები, წლები! ტვინი ცუდად მუშაობს, რბილდება!


თავის თავის პატივისცემის გამო მოხუცი წინ წავიდა, ვიიონი უკან მიჰყვა. თან უსტვენდა და დიდი თითები სარტყელში ჩაეყო.

— ღმერთმა შეგიწყალოთ, — უთხრა სღურბლზე მოხუცმა.

— მშვიდობით, ძია კაცო, დიდი მადლობა ცხვრის ცივი ხორცისთვის, — მთქნარებით უპასუხა ვიიონმა.

კარი დაიხურა. თეთრ სახურავებზე რიყრაყი იდგა. ცივ, მოლუშულ დილას მოღრუბლული დღე მოჰყვა. ვიიონი იდგა შუა ქუჩაში და იზმორებოდა.

— მოსაწყენი მოხუცი იყო, — ვაიფიქრა მან, — ნეტა რამდენი ეღირებოდა მისი კათხები?



ვხეტიალობდი ეულივით, როგორც ღრუბელი,
 ზანტი ზმანებით მთა და ველზე რომელიც წვება,
 როცა უეცრად მე დავლანდე უბერებელი
 და მოლალანე ნარგიზები ოქროსფერ ფრთებზედ.
 აცეკვებს ბრიზი მათ ღეროებს, ნელად მიღელავს,
 რომ ტბასთან ახლოს მოისმინოს მათი სიმღერა.



ვარსკვლავები რომ ციმციმებენ უწყვეტ ნაკადად
 და შუქით თბება მოციაგე ცის იკანკელი,
 იმ ნარგიზებმაც თვალი მომჭრა, წყალმა ჩახატა
 და ტბის ჭავლები მიდენიდნენ ნელი კანკალით.
 ერთხელ შევხედე და ვიხილე ასი ათასი
 და მათი ცეკვით ჩემი ტკბობის ავსილა თასი.

ტალღები თრთოდნენ და ტოკავდნენ მათ სიახლოვეს
 და ყვავილების უხვი წყება, ვით სასწაული,
 გადაიშალა და ეს ფიქრი დავიმარტოვე:
 — ბუნების ზეიმს ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლი...
 ვუცქეროდი და ვუცქეროდი, ცოტას ვფიქრობდი
 და ამ სისავსით შემორჩენილ სევდას ვიქრობდი.

და ხშირად, როცა მე ვისვენებ ჩემს სარეცელზე
 დაღლილ, უაზრო და სევდიან განწყობილებით,
 გაიელვებენ, გინდაც თვალი მათ არ ექებდეს,
 ის ნარგიზები, მომხიბლავნი, ტანწყობილები,
 მარტოობაში მყოფი სული აყვავილდება
 იმ ათრთოლებულ ნარგიზებად დახვავილდება.



ფრანგული პოეზია



ქართველთა
წიგნიერების
კავშირები

შარლ კრო

სანდალოზის ზარდახშა

პოეტური ფანტაზიები პროზად

თარგმნა რადი ყაღინაძემ

წ ი ნ ა თ ქ მ ა

შარლ კრო (1842—1888) იყო პოეტი, დაჯილდოებული ბრწყინვალე ნიჭით: მან ჯერ კიდევ ედისონამდე გამოიგონა ფონოგრაფი, სწავლობდა პლანეტათაშორისო კავშირების შესაძლებლობებს. მისი პოეზიისთვის დამახასიათებელია ინტონაციათა მრავალფეროვნება. სასიყვარულო ლირიკის სინატიფე და სევდა აქ ენაცვლება მოსწრებულ შარქს, იმედის გაცრუება და გულგატეხილი დაღლილობა კი მეზობლობს ამაყ თვითდამკვიდრებასთან, ნიადაგ მოძრავი წარმოსახვის უნარი შესამებულია პოეტურ ენასა და ყოვლისგამჭვალავი ირონიის დახვეწილ გამჭვირვალობასთან.

კრო პარიზული ლიტერატურულ-არტისტული ბოჰემის შუაგულში ცხოვრობდა. ახალგაზრდობაში ვერლენთან და რემბოსთან მეგობრობდა. არც მეცნიერულ აღმოჩენებს და არც ლექსებს მოუტანია სიცოცხლეში მისთვის დიდება. სწავლულობის ტვირთს არ შეუშლია ხელი მისთვის ყოფილიყო ეშმაკური თამაშობების მოთავე, თავქარიანი მუსუსი და ვერლენის ხშირი თანამეინახე.

მე-20 საუკუნეს თან უნდა მოეტანა მნიშვნელოვანი ძვრები გემოვნებაში თუ სტილში, რათა კროს ფუქსავატი სახის მიღმა ოდნავ მაინც გახსნილიყო სულ სხვანაირი, ფარული კრო, ის, რომელიც ცდილობს ხუმრობაში გაატაროს გულში მოგვრილი მწეწკავი ტკივილი — სევდა და მოჩვენებათა გუნდის საშინელებანიც, რომლებიც ეზმანებიან ხოლმე შეძრწუნებულ გონებას ჯიუტი ყოველდღიურობის უფერულ კუნჭულებში.

შარლ კრო თუმცა კი იყო დაკავშირებული პარნასელებთან, არსებითად მაინც სიმბოლისტთა ადრინდელ თაობას ეკუთვნოდა, მაგრამ ვერცერთმა გაუგო მას და პოლ ვერდენის თქმით, რჩებოდა „დაწყევლილ“ ე. ი. განკიცხულ პოეტად. მან შესძლო გამოექვეყნებინა მხოლოდ ერთი (საზოგადოებამ იგი ძალიან ცივად მიიღო) კრებული „სანდალოზის ზარდახშა“ (1873). მხოლოდ მე-20 საუკუნემ მოუტანა პოეტს ჭეშმარიტი აღიარება.

1. აბუზარი

ოთახი სავსეა არომატით. დაბალ მაგიდაზე კალათებში — რეზედა, ჟასმინი და სხვადასხვა ფერის: წითელი, ყვითელი და ცისფერი ყვავილებია.

ეროვნული
ბიზლირთუქა

თმაშევერცხლილი ლტოლვილები ხანგრძლივი მწუხრის, ოცნებათა ქვეყნებიდან, — ფანტაზიები ავსებენ ჩემს წარმოსახვას. ისინი ისე მიმოქრიან იქ და ისე იბლიკნებიან, რომ მათი შორს განდევნის მიპყრობს სურვილი.

ვიღებ ხელში ქათქათა, ტკიცინა ფურცლებს და ქალღმრთელ მერცხალივით მოჭიკჭიკე ბუმბულის ქარვისფერ კალამს. მინდა მივცე მათ — ჩემში მშფოთვარე ფანტაზიებს — რითმის და რიტმის თაყმესაფარი.

მაგრამ, აი, ქალღმრთელ, თეთრზე და გლუვზე, ჩემი კალამი რომ დაფარფატებდა, ჭიკჭიკით, როგორც მერცხალი ტბაზე, ცვივა რეზედას, ჟასმინისა და სხვადასხვა ფერის: წითელი, ყვითელი და ცისფერი ყვავილები.


იგი — რომელიც მე ვერ შევამჩნიე — კალათებში მშვიდად არხევდა თაიგულებს, ზედ დაბალი მაგიდის თავზე.


მაგრამ ფანტაზიები უწინდებურად ბორგავდნენ და ლამობდნენ უკან გაქცევას. მაშინ, დამავიწყდა რა, რომ ის აქცეა, გვერდით, მშვენიერი და თოვლივით თეთრი, სულის ერთი შებერვით თეთრ ფურცელზე მიმოფანტული ყვავილები ძირს ჩამოვბერტყე და შევეცადე დავწეოდი ფანტაზიებს, რომელთაც მსხემთა ლაბადებში დამალული აქვთ ვერაგი ფრთები.

ის-ის იყო თითქმის მოვიმწყვდიე ერთი — სრულიად ნორჩი, მწვანე მზერით, ველური — მჭიდრო სტრიქონში.

მაგრამ აქ იგი მოპიახლოვდა. იდაყვებით ისე დაეყრდნო, ძლიერ ახლოს ჩემთან, დაბალ მაგიდას, რომ თავისი აღმგზნები ძუძუებით ეფერებოდა პრიალა ქალღმრთელს.

მე მრჩებოდა მხოლოდ სასრული სტრიქონი, რათა შეემეკრა უკვე სტროფი. მან ხელი შეუშალა ამ ყოველი-

ვეს, ხოლო ფანტაზია მწვანე მზერით ისე გაქანდა, რომ გაუვარდა და პირდაღებულ სტრიქონში დაკარგა თავისი მოხეტიალეს ლაბადა და ფრთების სადაფი  ოდენი.

ო, მოუშორებელო!.. მე ვაპირებდი მისი  რებას იმ ამბორით, რომელსაც იგი ასე ელოდა, როცა დაუდგრომელმა ფანტაზიებმა, საყვარლებმა, შორეთის შორი არომატებით განაახლეს როკეები ჩემს წარმოსახვაში.

კვლავ დავივიწყე, რომ ის აქაა, გვერდით, თოვლივით თეთრი და შიშველი. მე ვაპირებდი მჭიდრო სტროფის უკანასკნელი პწკარით შეკვრას, ურღვევი, საუკეთესო ფოლადისგან ნაქსოვი ძეწკვით, მოსავადებულთ ოქროთი, ინკრუსტირებულით დაისების ბრილით, რომლებიც დაილექნენ ჩემს ხსოვნაში.

და მე ხელით მსუბუქად გავწი-გამოვწიე მისი ამგზნები სურვილებისგან დაბერილი ძუძუები, ტკიცინა ქალაღდზე ბოლო სტრიქონის ადგილს რომ ფარავდა. კალამი ჩემი კვლავ მიეცა აღმაფრენას, ჭიკჭიკით, რომელიც ავდრის წინ ზედ ეფინება კამკამა ტბის უშფოთველობას.

მაგრამ ჰოი, აი წამოწვა იგი, თოვლივით თეთრი, შიშველი და მშვენიერი, დაბალ მაგიდაზე კალათებს ქვემოთ და თავისი საუცხოო და მიბნედილი სხეულით გლუვი ქალაღდის ფურცელი სულ ერთიანად დაფარა.

მაშინ ჩემი ფანტაზიები შორს გაფრინდნენ, რათა აღარ დაბრუნდნენ მეტად.

ჩემი თვალები, ჩემი ტუჩები და ხელები ჩაეფლნენ მისი სურნელოვანი კეფის ტევრში, მისი გულში ჩახუტებისა და სურვილისგან დაბერილი ძუძუების ძლიერი ძალაუფლების ქვეშ მოქცეულნი.

და მე ვხედავდი მხოლოდ ამ საოცარ სხეულს, მიბნედილს, გრილს, გლუვს და ქათქათას, რომელზედაც მოტორტმანე კალათებიდან იყრებოდა რეზედა, უასპინი და სხვადასხვა ფერის: წითელი, ყვითელი და ცისფერი ყვავილები.

2. კარადა

საჭირო იყო: თვალი ყველაზე სწრაფი, სმენა ყვე-
ლაზე მახვილი, ყურადღება ყველაზე უფრო დაძაბუ-
ლი, —

ეროვნული
ზიგნიფიკაცია

რათა გამოეცნო ამ კარადის საიდუმლო, შემელ-
წია ინკრუსტაციის პორიზონტს მიღმა, პატარ-პატარა
სარკულ მინებში ჩავწვდომოდი წარმოსახვათა სამყა-
როს:

როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, გავარჩიე იდუ-
მალი დღესასწაული, გავივინე მინიატურული მენუე-
ტები, შევიტყვე ზოგი რამ დახლართული ინტრიგების
ქსელის შესახებ, კარადაში რომ იბმება ხოლმე.

აღებ საგდულს და ნათლად ხედავ ვითომ სასტუმ-
როს, ამჩნევ თეთრ, შავ და ყავისფერ ფილებიან იატაკს,
თანაც უტრირებულ პერსპექტივაში.

მინა შუაში, მინა მარჯვნიდან, მინა მარცხნიდან —
როგორც კარები გამავალი სიმეტრიული ფიცარნაგის-
კენ. სინამდვილეში კი ეს მინები — ყურთამდე ღია კა-
რებია მოჩვენებითი სამყაროსაკენ.

მაგრამ აშკარად უჩვეულოა მისი ამგვარი უდაბუ-
რობა; სისუფთავე, რომლის მნიშვნელობა უაზროა ამ
სასტუმროში, სადაც არავინ არის; მოჭარბებული ფუ-
ფუნება კედლებში, სადაც, როგორც ჩანს, მხოლოდ ლა-
მე შეფობს.

ემორჩილები ილუზიებს; და ეუბნები საკუთარ
თავს: „ეს კარადაა და მეტი არაფერი“; ასე გგონია,
რომ მინებს მიღმა არაფერია, მათში მჭვრეტელთა და
არეკლილ საგანთა გარდა.

ჩაგონებები, საიდანლაც შემოპარულნი; მატყუა-
რობა, ჩვენი გონებისთვის ნაჩურჩულები, რომელიღაც
ანგარებიან ვირეშმაკობით; უცოდნელობა, რომელშიაც
ჩვენ გვაკავებენ განსაზღვრული ინტერესები, რომელ-
თაც მე არ დავასახელებ.

თუმცა არ მინდა ამიერიდან ვიმოქმედო წინდახე-
დულად, შედეგებზე თვალებს ვხუჭავ, აღარ ვშფოთავ მე
ღვარძლიანი ფანტაზიების გამო.

როცა კარადა დაკეტილია, როდესაც აბეზართა სმენა დახშულია სიზმარ-ცხადით ან სავსეა გარეშე ხმებით, ჩვენი ფიქრი რატომღაც გაიჭედება რომელიმე სარწმუნო ნივთზე.



მაშინ კარადის სასტუმროში თამაშდება რუსული სახიობანი; მომცრო მინებიდან გამოდიან ფილატ უცხო და უჩვეულო სიმაღლისა და გარეგნობის პიროვნებები; მოჩვენებითი შუქ-ჩრდილებით გაბრწყინებული რაღაც ჯგუფები ფუსფუსებენ უტრირებულ პერსპექტივაში.

ინკრუსტაციების სიღრმიდან, მოჩვენებითი სვეტებიდან, ტალანების ხელოვნური წიაღებიდან, რომლებიც კარების შიდა მხარესაა,

გამოწეულან, დრომოჭმულ მორთულობებში, ცქმუტი ნაბიჯებით მიმავალნი დღესასწაულზე, არამიწიერი კალენდრის მიხედვით,

სიზმრის ეპოქის კოპწიები, ქალიშვილები, ადგილს რომ ეძებენ ამ ანარეკლთა საზოგადოებაში და, ბოლოს კი ღრმად მოხუცი მშობლები, გათქვირებული დიპლომატები და დაქვრივებული მატრონები — სახეზე ფერისმჭამელებით.

კაცმა არ იცის რანაირად დამაგრებულნი, როგორ ინთებიან გაპრიალებულ ხის კედლებზე ჟირონდოლები. შუა დარბაზში, ილუზორულ ჭერზე კამკაშებს ჭალი, გადაძეპგილი ვარდისფერი, მსუქანი და ლოკოკინას რქებივით წინ წამოწეული სანთლებით. გამოუცნობ ბუხრებში კი ციციანათელების მსგავსად, გიზგიზებენ ცეცხლის ენები.

ვინ მოიტანა აქ ეს ღრმა სავარძლები, როგორც თხილის ნაჭუჭი, და რომლებიც განლაგდნენ ირგვლივ, ეს მაგიდები, გადატვირთულნი ჰაეროვანი გამაგრებელი სასმელებით და მიკროსკოპული სათამაშო ფსონებით, ეს მდიდრული ფარდები — მსუბუქები, ვითობობას ქსელი.

აჰა, იწყება მეჯლისი. ორკესტრი, თითქოს მაისის ხოჭოებისგან იყოს შემდგარი, ძნელად გასარჩევ ნოტებს, კილიტებს და სტვენებს აჟღერებს. ახალგაზრდები რევერანსებით გამოხატავენ მოწიწებას.

შეიძლება ვიდაც მალულად ცვლიდეს კიდევ წარ-
მოსახვით-სასიყვარულო ამბორებს, მარაოს ბუზისებრ
ფრთებქვეშ მალავდეს უდარდელ ღიმილს, ითხოვდეს
ან იღებდეს კიდევ დამჭკნარ ყვავილს, ნიშნად ურთი-
ერთგულგრილობისა.

ეროვნული
ზიზღი

რამდენ ხანს გრძელდება ეს ყველაფერი? რა სიტ-
ყვები დაფარფატებენ ამ ზეიმებზე? სად ქრება საღამოს
დამთავრებისთანავე ეს ფუქსავატი საზოგადოება?

უცნობი რჩება.

ვინაიდან, თუკი კარადას გამოაღებ, შუქი და ცე-
ცსლი ქრება; მოწვეული კოპწიები, კეკლუცები, ღრმად
მოხუცი მშობლები ჯგროდ ქრებიან, ყოველგვარი და-
რბაისლობის გარეშე, სარკეებში, დერეფნებში, სვე-
ტებს მიღმა; ფარდები, სავარძლები და მაგიდები კი
ორთქლდებიან.

სასტუმრო კვლავ ცარიელია, სუფთა და მდუ-
მარე.

და ყოველი იტყვის: „ეს — ინკრუსტირებული
კარადაა და მეტი არაფერი“, — არც იეჭვებს, რომ,
თვალს მოაშორებს თუ არა,

პაწაწკინტელა ცბიერი სახეები, გამბედაობა მოკ-
რებილნი, კვლავ იცქირებიან სიმეტრიული სარკეები-
დან, ინკრუსტირებული სვეტებიდან, ხელოვნური დე-
რეფნების სიღრმეებიდან.

და საჭიროა განსაკუთრებით მახვილი, ფხიზელი და
სწრაფი თვალი, რათა თავს წაადგე უცებ, ნახო, როდის
გადიან ისინი ამ უტრირებულ პერსპექტივაში, როდის
სხლტებიან პაწაწინა სარკეების წარმოსახვით ჩანაქცე-
ვებში, — წაასწრო მათ ანაზღეულ დაბრუნებას გაპრიან-
ლებული ხის ფანტასტიკურ სამალავებში.

1. პანგაში

შუალამე — სიზმარი. რკინიგზის სადგური. მო-
სამსახურენი თანამდებობრივ ქუდებზე კაბალისტიკური
ნიშნულებით. გისოსიანი ვაგონები, სადაც აქა-იქ აჩხო-
რილან რკინის ბოთლები, შემოჭედილ ურიკებს მოაქვთ
მძიმე ფუთები, მათ ბაქანზე გადმოტვირთავენ.

ისმის მჭახე ხმა კონდუქტორისა: „ბატონ იგიტუ-
რის გონება მიემგზავრება მთვარეზე!“ შემდეგ მოდის
შავი მუშა და მითითებულ ფუთას ეტიკეტს აწებებს.
ბოთლი მსგავსია იმ ბოთლებისა, რომლებიც გისოსე-
ბიან ვაგონებში. წონიან რა ზუსტ სასწორზე, ტვირთა-
ვენ. ისმის გამგზავრების მაუწყებელი მკვეთრი ალმგ-
ზნები, ხანგრძლივი სასტვენის ხმა.

ანაზღეული გამოღვიძება. სასტვენის ხმა კი გადა-
დის შინაური კატის კნავილში. ბატონი იგიტური აკე-
თებს ნახტომს, ამსხვრევს ფანჯარას და იძირება ბინ-
დით მოცულ სილურჯეში, სადაც ლივლივებს დამცინა-
ვი სახე მთვარისა.

2. წყალქვეშა კატივმოყვარეობა

მოვერცხლისფრო-ვარდისფერი ამფიტრიტე ჩაიქ-
როლებს თავისი ამალით მომწვანო შორეთის, სამხრე-
თული ზღვის სიღრმეში.

ვით პარიზელი ნიმფები, სასეირნოდ გასულნი
ტყეში, იგი თვითონ მართავს თავის მოლუსკის ნიჟა-
რას — თვალწარმტაცს, ლაქის შავი ლაპლაპით, ორად-
გილიანს, შეფერადებულს სადაფითა და ლაყვარდით.

ლამაზმანი თმებს შეუშვერს მარილიან მქროლავ
ნიავეს. სანახევროდ თვალეზმოჭუტულს, მოვარდისფრო
ნესტოები ებურება ამ სახიფათო სეირნობისგან მიღებუ-
ლი სიამოვნებით.

რა ქედმაღლურად გაჭიმულან წინ მისი ნატიფი
ხელები და აკავებენ სადავეებით — მწვანე სიფრიფანა
წყალმცენარეებით — ორ დაუცხრომელ ღია წითელი
ფერის ზღვის ცხენთევზას!

ეს — დამლუპველი და მომხიბლავი, ვანუჭვრეტე-
ლი უგუნურებაა ქალისა, რომელიც ნაყიდი ქსოვილე-
ბით უფრო ამაყოფს, ვიდრე თავისი თოვლივით თეთრი
ლამაზი მკერდით, მედიდურობს ეტლში შებმულთა წმი-
ნდა ჯიშინობით, ვიდრე თავისი თვალების ბროლით.

მას ელოდებიან რომელიღაც საქველმოქმედო სა-
ლამოზე, სადაც შეწირულობებს აგროვებენ ნერეიდები,
რომელთაც ბრბოში მიაცილებენ მეტისმეტად გაჯგბი-
ლი ტრიტონები საზეიმო საყულოებში, და სადაც სირი-

ნოზები წელში წყდებიან მარჯანგამომშავებელ მუშათა დასახლებაზე ზრუნვით.

ის მივა, არცთუ წინასწარგანზრახულობის გარეშე დაგვიანებით, რათა ბატონი პროტევის, გულმოდგინე ორგანიზატორის, მაგრამ ფრიად მოსაწყენი ორგანიზატორის ოფიციალური სიტყვით გამოხატვის დროს თავისი გამოცხადებით მოახდინოს დიდი ფურორი.

იგი მივა დაგვიანებით, და კმაყოფილი თუნდაც იმიტომ, რომ მისით ტკბებიან, მერე რა რომ ზღვის ყველაზე თავმდაბალი მოქალაქენი, ის შეაჩერებს თავის ფიცს ცხენთევზებს, მშვიდი სახით, თითქოს მათზე არ მბრძანებლობდეს, აიძულებს ადვილზე ჯირითს.

თუმცა, განა ეს არაა ქველმოქმედება: უსასყიდლოდ მოაჯადოვო ასე უამრავ გლახაკთა მზერა?

3. ხომალდი-როიალი

გასაოცარი სიჩქარით მიჰქრის ფანტაზიების ოკეანეში ხომალდი.

წინ მიჰყავთ იგი ძლიერი მოსმით მენიჩბებს — მონებს, რომლებიც სხვადასხვა წარმოსახვით რასას წარმოადგენენ.

წარმოსახვითი, რადგან განსაკუთრებულია თითოეული პროფილი, ვინაიდან შიშველ ტორსთა ფერები ძალზე იშვიათია ანდა არსებულ რასებში სულაც შეუძლებელი.

არიან აქ მწვანეები, ლურჯები და ნარინჯისფერები, ჭიაფერნი, ყვითლები და მეწამულები — როგორც ეგვიპტურ კედლებზე მოხატულობა.

შუა გემბანზე — ზეაწეული ესტრადა, ესტრადაზე კი — ძალზე გრძელი როიალი.

*

ქალი — სიჩქურის დედოფალი — კლავიატურის წინ ამაყად დაბრძანებულა. მისი მოვარდისფრო თითების შეხებით ინსტრუმენტი მძლავრ, ხავერდოვან ბკერებს გამოსცემს, და ისინი ტალღათა დრტვინვასა და მენიჩბეთა დაჭიმულ ოხვრას ახშობენ.

* სიჩქური — გამონაგონი.

ფანტაზიათა ოკეანე მოთოკილია: ვერარა ტალღა ვერ გაბედავს გააფუჭოს როიალის ზედაპირი, ეს შედეგური, პალისანდრის ბზინვარებით, ძვირფასი ავეჯის დერგლის ნახელავი, დააღბოს მისი ჩაქუჩების თექა და მისი სიმების ფოლადი უანგით დაფაროს.

ეროვნული
ბიზნიუსი

სიმფონია მიუთითებს გზას მესაჭესა და მენიბეებს.

რომელ გზას? რომელ ნავსადგურში მიჰყავს ისინი? ეს რიგიანად არ იციან არც მესაჭემ, არც მენიბეებმა. მაგრამ ისინი სულ უფრო წინ, უფრო და უფრო გაბედულად მიიწევენ ფანტაზიათა ოკეანეში.

— წინ! წინ! გასწით! — მოუწოდებს მათ სიჩქურის დედოფალი — განუწყვეტელ სიმფონიაში. — გწამდეთ, ყოველ განვლილ მილში — მოპოვებული ბედნიერების სიხარულია, რამეთუ ასე ახლოვდება მიზანი იგი უზენაესი და ენით უთქმელი, ჯერაც მიულწეველ უსასრულობასაც რო ესაზღვრებოდეს იგი.

5. ცივი ღრო-შაპი

სალამოს მწუხრმა იმდენი ფერადი ქვა დატოვა ჩემს ხსოვნაში, საკმარისია წარმოვთქვა სიტყვები „სალამოს მწუხრი ბრწყინვალეა დაისებისა“, რომ ერთბაშად ცოცხლდებიან მკაცრი მოგონებები აწ უკვე განვლილი ცხოვრებისა და მთვრალი სიყმაწვილის ალტაცებანი.

მერე კი, მწუხრის შემდგომ წვება ნაზი, გამჭვირვალე ღამე ანდა კვლავ ღამე მძინარეთა, ბეწვეულივით დაბურული.

მაშინ პარიზში ინთება გაზი. ზაფხულში, ხეებს შორის ბაღებში ციმციმა გაზი ფოთლებს, რომელთაც დაბლიდან ხედავ, ფეერიული დეკორაციის მწვანე, მქრქალ ელფერს ანიჭებს. ზამთარში კი, ნისლში, გაზი ჰყვება სალამოების სხვადასხვაგვარ სიგიჟეებზე: ჩაიზე, შემთბარ ღვინოზე სახლებში, ლუდზე და თამბაქოს კვამლის ბოლქვებზე კაფეში, ორკესტრებზე, და თავისი ხმაურიანი ფშვინვით, მოყიალე ყველა წოდების კოპწიებზე.

ანდა მუშაობით გართული ღამე: ღამბა, კერა, არავითარი ხმაურიანი აბეზარობა.

შემდეგ ვიტრინებში ქრება სინათლე. მხოლოდ სა-
ზოგადოებრივ ფარნებს აქვთ უფლება ქუნდნენ ციმი-
ციმისა.

იშვიათია გამვლელებიც. ყველანი წავიდ-წამოვი-
დნენ სახლებში. ერთნი ფიქრობენ მყუდრო ოთახზე,
საწოლზე ფარდით, სადაც მშვიდი იქნება სიკვდილი.
სხვები დარდობენ შეწყვეტილ ფაციფუცზე, თავდავიწყებას რომ ეძებენ ღია ცის ქვეშ სიმღერებსა და შეძახილებში. აქა-იქ მთვრალი შფოთისთავების ღრიანცელია.

ქალბატონები კაპორებში,* ტოვებენ მასპინძლებს დარბაისლური ვახშმის შემდეგ; ზოგიერთები, სიამოვნებებით მოვაჭრენი, გვიანი დროის გამო სადღაც შეუმჩნევლად შეყუჟულნი, ჩურჩულით სთავაზობენ თავიანთ საქონელს.

მიდინარ. უსმენ საკუთარი ნაბიჯების ხმას. ყველა წავიდა. მხოლოდ ნამძინარევი ყასბები იბარებენ უზარმაზარ დაკლულ ხარებსა და ცხვრებს, უკვე დანაწილებულს და გაშეშებულს.

სახლებში უკვე ყველას ძინავს მძიმე და ეგონისტური ძილით. სად წავიდე? ყველა ნაცნობი სტუმართმოყვარე ადგილი დაკეტილია. ცეცხლი ჩაქრა. ძნელად თუ იპოვი მოციმციმე ნაკვერჩხალთა მწიკვს გაცივებულ ბუხართა ფერფლში.

ანტიკურ ცხოვრებაში სწორედ ეს იყო ის დრო, როცა ორგების უამს მიძინებულთ აღვიძებდნენ მონები. დაშრეტილ ღამპარს ზეთს უმატებენ. ლანგრებით მოაქვთ სასმელები. ფაციფუცობენ. მღერიან. მაგრამ ეს ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ დაივიწყონ ბედის ვარსკვლავი, რომელსაც თვისი ძალაუფლების ქვეშ ჰყავს სახლი. ასე რომ, ყველა ფერმკრთალია, მოლურჯოა, თვით ყველაზე უდრეკნიც; შეუკავებელი ცახცახი მათ ძვლებამდე ატანს.

* კაპორი — ქალის საზამთრო თავსაბურავი. ბაფთებით იკვრება ნიკაპქვეშ.

ღამეული გამჭვირვალობა მძიმდება ან ნისლში
 ეხვევა. სჯობს, რომ ადგილზე არ გავჩერდე. საით წა-
 ვიდე? ეს — ცივი დროა.



შუალამე — საზღვარია მოჩვენებითი, უსტრუქონობა
 ული წინა დღესა და ხვალინდელს შორის. მაგრამ ცივი
 დრო — ჭეშმარიტი, ადამიანური წუთია, როცა ახალი
 დღე უნდა დადგეს. ჩანს, ყველასათვის ამ დროს წყდება:
 დაემატება თუ არა კიდევ დღე მომავალი იმ დღეებს,
 რაც მან უკვე იცოცხლა, თუ სათვალავი დღეთა მისთვის
 დასრულებულა.

და დარჩე მაშინ სიმარტოვეში, უძილარი — საზა-
 რელია. გეჩვენება, რომ სიკვდილის ანგელოსი დაპ-
 ფარფატებს ადამიანებს, სარგებლობს რა მათი უწყალო
 ძილით, რათა, სანამ მიმხვდარა ვინმე, აირჩიოს თავი-
 სი მსხვერპლი.

ო, ნეტავ ჩვენ ამ საათს შეგვკვროდა სუნთქვა,
 გვეხროტინა, გვეგრძნო, თუ როგორ სკდება გული,
 როგორ აწვება უკანასკნელი სპაზმით ყელს თბილი,
 მტკნარი სისხლი! — არა, არავის ძალუძს გაიგონოს,
 არ მოუნდება თავი წაართვას მგუდავ, უსიზმრო ძილს,
 რომელიც ხელს უშლის დედამიწის შვილებს შეიგრძნონ
 ცივი დრო-ჟამი.



აფხაზური პროზა

ბაბრატ შინკუბა



გაპოზილი ქვა

თარგმნა თამარ ჩიჯავაძემ

ვერსიონი ჩემს შვილიშვილს —
კატარა ბაბრატს

ბავშვობა ადამიანის სულის ფესვია, იგი ხასიათად და ბედისწერად ამოიზრდება ჩვენში.

რაც შორეულ წარსულში გულში ჩაგვევარდნია, არაფერი მომკვდარა, ოღონდ ზოგი რამ სწრაფად აღმოცენებულა, ზოგი კი ისევ უძრავად დარჩენილა მის სიღრმეში. მარცვალივითაა... და თუკი ოდესმე რაიმეს შევურყევივართ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ინახავს ჩვენი მეხსიერება.

არსებითად მთელი ეს სამყარო ბავშვობის სამყაროა, აურაცხელი სიმდიდრით აღვსილი სულის საგანძური. რამდენიც არ უნდა ვხარჯოთ, ეს საგანძური არ ღარიბდება...

ო, ჩემო ოქროს ბავშვობავ! რა ახლოსა ხარ და რა შორს ერთდროულად. რა ხშირად ვნაღვლობ შენზე, რამდენჯერ მომვლენიხარ მხსნელად ჩემთვის ყველაზე უფრო მძიმე წუთებში. საკმარისია ძილს მივცე თავი და მოწმენდილ ცაზე კამკამა ვარსკვლავებით გამოანათებს დედაჩემის თვალები — ჩემი განუყრელი თანამგზავრები, რომლებიც მესმარებიან ადამიანთა ზღვაში რომ არ დავიკარგო. ისევ უღერს ჩემში მისი იავნანა, ისევ ვგრძნობ მზის იმ სხივის სითბოს, პირველად რომ მომელამუნა ლოყაზე...

ბავშვობავ, შენა ხარ ყველაზე უფრო ნაზი, ყველაზე უფრო სუფთა, ყველაზე უფრო კეთილი ხანა. როგორც ორი ნაკადული არ არის ერთნაირი დედამიწაზე, ასევე არ არსებობს ორი ერთნაირი ბავშვობა, ბავშვობა არ მეორდება. ის ერთისთვის უღრუბლო და ნათელია, მეორისთვის კი დაბადების დღიდანვე მოქუფრული: ნაადრევი ობლობა, ბოროტი დედინაცვალი, სიცოცხლეს რომ უმწარებს ამოძულებულ გერს, მესამისთვის კიდევ უარესი: მტრებმა თვალწინ დაუხვრიტეს დედა, ფერფლად უქციეს სახლი, წაართვეს თუ კი რაიმე გააჩნდა. ყველასგან მიტოვებული, მშიერ-მწყურვალი, გათოშილი კეცავს გზებს, სა-

ნამ ასევე ბედდაწყევლილებთან ერთად რომელიმე თავშესაფარში არ მოხვდება. აქვე ატარებს თავისი ბავშვობის დარჩენილ დღეებს.

ბავშვობა! რაც უფრო შორსაა იგი ჩვენგან, უფრო გვენატრება, ცრემლით გვევსება თვალი და მოგონებებში ვიძირებით, თუ ბედნიერი ბავშვობა გვქონდა, მოგონებებიც ნათელია, ხოლო თუ მწარე და მძიმე, მოგონებებიც შავი და ბნელია. ვისაც უსიხარულე ბავშვობა ქონდა, ტკივილისაგან გული ეკუმშება.

ბევრს მოგონებების გარდა არაფერი რჩება ბავშვობიდან, მე კი დამრჩა და ამიტომ ბედნიერ კაცად ვთვლი თავს. მართალია, დიდი ხანია მშობლები აღარა მყავს, მაგრამ ისევ დგას სახლი, სადაც დავიბადე მე, სადაც დაიბადა მამაჩემი და სადაც მამაჩემის მამა დაიბადა. ისევ არის ეზო, სადაც დავრბოდი, ისევ დგას ხეები, რომლებზეც დავცოცავდი ხოლმე, არ დამშრალა წყარო, რომელიც მე და ჩემს წინაპრებს წყურვილს გვიკლავდა, ისევ ცათაა აზიდული მთა, რომლის მწვერვალიდანაც გადაიშალა ჩემს წინ სამყარო.

სამოცი წელი!.. მთელი ცხოვრება გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ადგილები მივატოვე, მაგრამ ჩემს ბავშვობასთან დამაკავშირებელი ძაფები არ დაწყვეტილა, არც დასუსტებულა და ჩემგან მიტოვებული მიწა ისევ ძველებური ძალით მიზიდავს და როცა მონატრება გაუსაძლისი ხდება, ჩემი სოფლისკენ მიმავალ გზას გავუყვები ხოლმე.

... უკიდევანო ზეცა თითქოს ერთი მხრიდანაა განათებული, ეს მთის თხემებზე სქლად დადებული თოვლის წყალობაა. მთის ფერდობებზე უზარმაზარი ენებივით ეშვება ულრანი ტყეები, სწორედ იმ მთის კალთაზე უდევს თავი ჩემს სოფელს.

უცნაური გრძნობა მეუფლება, ჩემს სოფელს რომ ვუახლოვდები. ყველაფერი მგონი ათასჯერ მაქვს ნანახი, მაგრამ თითქოს პირველად ვხედავ: ჩაის პლანტაციების მწვანე ზღვა, ამოლტლილი სიმინდის ყანები; მოსავალს იღებენ, თამბაქოს თესავენ, შორს თხის არვე მოჩანს, დაგრეხილი ჯაჭვივით რომ მიუყვება ციცაბო მთას. გზის ორივე მხარეს ახალი ორ სართულიანი სახლები ქათქათებენ, მწვანედ ხასხასებს მოვლილი ეზოები...

უპირველეს ყოვლისა, სკოლაში შევდივარ. დიდი ქვის შენობა შვიდას მოსწავლეს იტევს... ჩემ დროს ხის სკოლა იყო, წაბლის ფიცრებისგან შეკრული. ვინ იცის, რამდენჯერ დამნანებია ის ძველი სახლი, რომლის ჭერქვეშაც გლეხების არა ერთმა თაობამ ისწავლა წერა-კითხვა. ისევ მინდა მის ჭრაჭუნა აივანზე გავიდე, მის ვიწრო დერეფნებში გავიარო, მოვძებნო ჩემი კლასი, ჩემი მერხი, ჩამოვჯდე და დაველოდო, როდის შემოვარდებიან ყიჟინით ჩემი ამხანაგები და თავთავიანთ ადგილებს დაიკავენ. უკან კი მასწავლებლები შემოჰყვებიან, ვისი სიყვარულიც აქამდე არ გამნელებია. მაგრამ ვაი, რომ დიდი ხანია, აღარ არის ჩვენი ძველი სკოლა. მან შეასრულა თავისი დანიშნულება, ვალი მოიხადა და ეტყობა, თავისი არსებობის ყავლი გაუვიდა. ახლა ის მახარებს, რომ აქ ბავშვების ჟრიაბულით ავსილი ეზო მხვდება.

სკოლიდან კულტურის სახლისკენ მივემართები. ცოტა ხნის წინათ ვიყავი იქ. ინტერესით მოვისმინე კლასიკური მუსიკის კონცერტი,

რომელზეც თვითონ მონაწილეებმა მიმიწვიეს — ჩვენი სოფლის მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა. შემდეგ არანაკლები ინტერესით გავეცანი ჩვენივე ფერწერის სტუდიის თვითნასწავლი მხატვრების ტილოებს. მაინც კმაყოფილი ვარ. მომწონს კულტურის სასახლე, მიყვარს იქ ყოფნა. ჩემი თანამემამულენი, ვიცი, ნამდვილად მოამზადებენ რაღაც ახალს. გარდა ამისა, იმედს ვეფოფინები, იქნებ ბედმა გამილიმოს და როგორც წინათ, ეგების ახლაც მოვხვდე ეთნოგრაფიული ანსამბლის რეპეტიციაზე. ფეხაკრეფით შევალ დარბაზში, სკამზე დავჯდები და გავიტრუნები ალტაცებისგან. ჩვენს ძველ სიმღერებს მოვისმენ. რამხელა ვაჟკაცობა და გულითადობაა ამ სიმღერებში! ალბათ ამიტომაცაა აფხაზური სიმღერა უკვდავი.

სასახლის ფოიეში კი ჰკიდია სურათი, რომელიც მე ძლიერ მიყვარს. როცა დრო მაქვს, სადმე მოშორებით ვჯდები, ისე რომ, ხელი არავის შევუშალო და დიდხანს, ძალიან დიდხანს ვუცქერი. ღმერთთან მორკინალ აბრსკილს მახვილი თავს ზემოთ აუზიდავს და ზეცას შესცქერის, საიდანაც კვამლსა და ცეცხლში გახვეული ლოდი მოჰქრის. წამიც და აბრსკილი ბასრი მახვილით გააპობს მას... ეს სიუჟეტი, არსებული უამრავი თქმულებიდან, განსაკუთრებით პოპულარულია.

ხშირად ჩავდივარ ხოლმე მშობლიურ სოფელში. ამის მიზეზი სხვა და სხვაგვარია, ხან სამხიარულო და ხან სამგლოვიარო. ზოგჯერ კოლმეურნეობის კრებაზეც მიწვევენ. დიდ მეურნეობაში ყოველთვის არის საქმე და საზრუნავი, სიძნელეები. აქაც ასეა და დახმარებას თუ მთხოვენ, ვესმარები, როგორც შემძლია... ერთი სიტყვით, აქ მხოლოდ იმისთვის არ ჩამოვდივარ, ჩემი ბავშვობის ნაფენსურებზე რომ ვიარო. არა, რაკი ამ მიწამ მშობა, მადლობა უნდა გადავუხადო, ბოლომდე უნდა მოვიხადო მამაშვილური ვალი. არც თანასოფლელები მრჩებიან ვალში, ყურადღებით ადევნებენ თვალს ჩემს შემოქმედებას.

— აბა, რით გაგვანარებ, ლაგან? — მეკითხებიან და მეც ფეხს ვაჩერებ, ცოტა ხნით მაინც რომ ვესაუბრო ჩემს ახალ წიგნებზე, უამისოდ ერთმანეთს ვერ დავშორდებით.

ჯერ კიდევ ქალაქში, სოფლისკენ წამოსასვლელად რომ ვემზადები, რაღაც მემართება, ყველაფერი სხვანაირად მესმის, ყველაფერს სხვანაირად ვხედავ. მოგონებები ამიყოლიებენ და მთის მდინარესავით გამიტაცებენ. ფეხს შევდგამ თუ არა მშობლიურ ეზოში, იქვე, ჭიშკართან შემომეგებება ჩემი ბავშვობა და თვითეული ბალახის ღერო თუ ყვავილი, ბებერი ნაგაზი, მამალი, კერიის კვამლის ტკბილი სურნელი — ყველაფერი ჩემს მშობლიურ ენაზე მესაუბრება, ჩემი ბავშვობის ენით მელაპარაკება.

ჭიშკრიდან პირდაპირ ჩვენი ძველებური ფაცხისკენ მივემართები, შუა ეზოში ვჩერდები და რძესავით თეთრტანიანი ჭადრის ქვეშ ვჯდები ძელსკამზე. ჭადრის გარშემო უნაზესი ბალახის ზურმუხტოვანი ხალიჩაა გაშლილი, ზუსტად ისეთი, ახალფენადგმული რომ ვეცემოდი ხოლმე ზედ... სულს მოვიბრუნებ და ფაცხაში შევდივარ. აქ ყველაფერი ძველებურადაა. კერიაზე ჭვარტლით გაძინებული ორი ჯაჭვია ჩამოკიდებული. კერიის ქვაც კი ძველებურია. ასე რომ, არ მიჭირს, აღვიდგინო მესხიერებაში, ვინ სად იჯდა, როცა მთელი ოჯახი სრულად ვიყა-

ვით. აი, იქ გრძელ სკამზე ჯერ ბაბუა დაჯდებოდა ხოლმე, მის ახლოს კი, ზუსტად კერიასთან მე...

ამ ფაცხაში გადავდგი პირველი ნაბიჯები. მის კედლებს ახსოვს ალბათ, რა ძალა და ღონე დამჭირდა ამისთვის... მერე ისევ ეზოში გამოვდივარ და ბებერ თხმელასთან მივდივარ. ეს ყველაზე ხუფრო დიდი ხნისაა ჩვენს ხეებში. ძალიან დიდი ხნის წინათ ვაზის ღერს შემოევნია თხმელას. ახლა ვუყურებ და არ მჯერა, ნუთუ როდისმე მოქნილი და წვრილი იყო ეს გავასავით ფართო და განიერი ძირი. რამდენჯერ მოვქცევივარ ამ თხმელას კენწეროზე შეთვალული ყურძნის მარცვლებით რომ ჩამეტკბარუნებინა პირი. მერე და რა გემრიელი იყო! ახლა არც ვაზი მეჩვენება და არც თხმელა ისე მაღალი, როგორც მაშინ მეჩვენებოდა. ნუთუ ხეებიც ადამიანებზე პატარავდებიან სიბერეში?

ვემშვიდობები მათ, ეზოს ვტოვებ და გზატკეცილზე გამოვდივარ. ჩემს ბავშვობაში ეს ჩვეულებრივი შარაგზა იყო, ახლა კი ასფალტია დაგებული, მანქანები დაჰქრიან, გარბიან მარცხნივ და მარჯვნივ ჩარბეული ტელეფონისა და ელექტრონის ბოძები. ცოტა ხნის შემდეგ გზიდან ვუხვევ და მანამ მივბობლავ მთაზე, სანამ მიზანს არ ვაღწევ. და აი, ჩემს წინაა მაღალი ბორცვი, გაპობილი ქვის ბორცვს რომ ეძახიან ჩვენში. ბავშვობაში ის იყო ჩემი თავშესაფარი, ჩემი სათვალთვალო კოშკი და ასეც ჩამრჩა მესსიერებაში.

როცა აფხაზეთიდან შორსა ვარ, მშობლიურ სახლზე უფრო, არ ვიცი რატომ და, სწორედ ეს ბორცვი მახსენდება.

რამდენიმე წლის წინათ უცხოეთში ვიყავი სამოგზაუროდ. ჩვენი თვითმფრინავი უკვე საათზე მეტ ხანს მიფრინავდა საჰარაზე. მე კი უდაბნოს უკიდუგანობით მოჯადოებული თვალს ვერ ვაშორებდი ილუმინატორს. ეს ის დღეები გახლდათ, მთელი აფრიკა რომ შფოთავდა, რადგან სწორედ ამ ადგილებში გამოსცადა საფრანგეთმა წყალბადის ბომბი. მე ქვევით ვიხედებოდი და მიხდოდა წარმომედგინა ამ აფეთქების საშინელი სურათი, მაგრამ მის ნაცვლად ნატყორცნი ცეცხლივით გაპობილი ქვის ბორცვი ამესვეტა თვალწინ, სადაც ეულად დგას ერთადერთი ცაცხვი. ქარი აშრიალებს მის ფოთლებს, ფერდობებზე ფერად-ფერადი ყვავილებით მოჩითული მოლი ბიბინებს, თვალს ვერ მოაცილებ ამ მწყაზარ სურათს. არასოდეს მომწყინდება ჩემი საყვარელი ბორცვის ცქერა.

ერთხელ კიდევ გამომეცხადა იგი უცხო მიწაზე... ჰო, ეს პოლონეთში იყო, ქალაქ ზაკოპანში. ოსვენციმი... დარწმუნებული ვარ, მართლა თუ არსებობდა როდისმე ჯოჯოხეთი, აქ იქნებოდა, საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ფაშისტებმა ოთხ მილიონ ადამიანს მოუსპეს სიცოცხლე. ექსკურსიიდან რომ დავბრუნდით, უკვე ღამე იყო. დასაძინებლად დავწექი, მაგრამ ნანახი კომპარების გამო მოუსვენრად ვწრიალებდი და მივხვდი, არ დამეძინებოდა. ავდექი, ჩავიცვი და კუთხიდან კუთხეში სიარულს მოვყევი. ცოტა მაინც რომ დავწყნარებულიყავი, აივანზე გამოვედი, სუფთა ჰაერზე. ჩემს პირდაპირ თითქოს ყალყზე იდგნენ უზარმაზარი მომრგვალებული მთები, ცაზე ლეგა ღრუბლების ნაფლეთები მიცურავდა, მაგრამ თვალწინ კვლავ გაზის კამერები, ლუმელები, ქალის თმის გორები და ძვლები მედგა, ძვლები... ძვლები...

და მაშინ თითქოს ცხადად ვიხილე შორეული კავკასიონის ფერხ-
თით მიწოლილი ბორცვი, ჩემი საყვარელი ბორცვი. ომს არ მიულწე-
ვია იქამდე, არც ცეცხლის აღში გახვეულა და არც ყუმბარებსა და
ჭურვებს შეუნგრევია მისი გულმკერდი, მაგრამ რამდენი სიცოცხლე
დაიღუპა, მისი სიმშვიდე რომ არ დარღვეულიყო! და ეს ბორცვი მა-
რადეამს იჩურჩულებს თავისი ბალახით იმ გმირთა სახელებს, ვინც
სიცოცხლე შესწირა მის გადარჩენას. ისინი მკვდრებიც არიან,
ჩვენთან ერთად ცხოვრობენ, ჩვენთან ერთად საქმიანობენ.

ასეთი ფიქრებით შევეგებე გაჩითიადს...

დიახ, მე ბედნიერი კაცი ვარ. დღემდე დგას სახლი, სადაც დავი-
ბადე და გავიზარდე. ისევ დგანან ხეები, რომელთაც არ დავვიწყებ-
ვარ, კვლავ ვახსოვარ. აღმართულია ბორცვი — ჩემი ბავშვობის სა-
ყუდარი. ეამთა სვლას დაუბერებია ისინი, წელთა სიმრავლეს მოუნ-
რია, მაგრამ დაე, ჩემმა მოგონებებმა სიცოცხლესა და ახალგაზრდობას
დაუბრუნოს ისინი, როგორც თვითონ მაბრუნებენ შორეულ, ბედნიერ
ბავშვობაში. და თუ კი ვინმეს ბრალია, რომ სურვილი აღმეძრა, ბოლო-
მდე ამომეხაპა ჩემი მეხსიერების ჭა, ჩემი სახლი, ჩემი ბორცვი, ჩემი
ხეები ყოფილა დამნაშავე. როცა იმათ ვიხსენებდი, როცა ჩემს ბავშ-
ვობას ვიხსენებდი, მივხვდი, სათქმელი მაქვს, მაგრამ შევძლებ თუ არა
მის მკითხველამდე მიტანას, ეს სხვა საქმეა. და აი, დავწერე წიგნი.

1.

თვალი გავახილე თუ არა, ჭერი დავინახე. ჭერი ჭერია, გასაოცა-
რი არაფერია, მაგრამ ახლა ის რაღაც სხვანაირი იყო... ლოგინში ვი-
წექი, ჭერს ვათვალიერებდი და ვერაფრით ვერ გამეგო რა მაწუხებდა.
გამავებული, გარუჯული, ჭვარტლით ალაპლაპებული კაკვები კარგად
ნაცნობი იყო ჩემთვის, მაგრამ... მაგრამ ამხარში, სადაც დედამამასთან
ერთად ვცხოვრობ, ასეთი ჭერი არ არის. ის სუფთაა, ეს კი... ასეთი
ჭერი ამაცურტაშია და იქ ბაბუას სძინავს. მე როგორღა აღმოვჩნდი
აქ? მოწნულ კედლებში შემოსული შუქის მიხედვით, გარეთ სინათლე
იყო. თვალი დავხუჭე და თითქოს ისევ ჩავთვლიძე, მაგრამ ამაცურ-
ტაში გამოღვიძების საიდუმლოება მოსვენებას არ მაძლევდა და თა-
ნამიმდევერობით დავიწყე ყველაფრის გახსენება, რაც წინა დღეს შე-
მემთხვა...

დილას მამაჩემი ტყეში წასასვლელად მოემზადა, შეშა უნდა მო-
ეტანა. კამეჩები დააუღლა. მე კი ფეხებში ვებლანდებოდდი და თან წა-
ყვანას ვთხოვდი. მამას ჩემთვის არ ეცალა, მაგრამ, ეტყობა, გული გა-
ვუწყალე ჭუჭყუნით და ბოლოს და ბოლოს, ურემზე შემსვა. მივივდი
ტყეში, ურემი შემით დავტვირთეთ. მამა წინარაზე შეხტა, მუხლებშუა
მომიმწყვდია და შინისკენ გავუყევით გზას. წვიმას გზა გაიფუჭებინა,
ტვირთი მძიმე იყო და კამეჩები ძლივს მილოღავდნენ. მამაჩემს მოთ-
მინება დაეკარგა, წამოდგა, კარგად რომ შეეხურებინა კამეჩები, და
მუხლები ოდნავ გაშალა. მუხლების გაშლა და ჩემი ბორბლებში პირ-
დაპირ ცხვირით გადაშვება ერთი იყო. მახსოვს, როგორ წამოვედე
ნაბღით ხელნას. მერე ზედ კამეჩის კუდთან ჩავიქროლე და შივ ტალა-

ხში მოვადინე ზღართან. უკანასკნელი, რაც დამამახსოვრდა, ჩემზე გადმომხობილი წითელი თიხით გათითხნილი ურმის ძირი იყო...

მამაჩემის ხელებზე მოვედი გონს. თითქოს მანანავებდა და აცახცახებული ხმით მევედრებოდა: შემომხედე, შემომხედე, მითხარი, სად გტკივა?

მოგვიანებით გავიგე, რა მოხდა მას მერე, ურმიდან წამსვე ვარდნი. რალაც ერთ წამში მოუსწრია მამაჩემს ურმიდან გადმოსტომა და ბორბალს რომ უნდა გადაეველო თურმე ჩემთვის, მაშინ აუწყვია ურემი და მანამ სჭერია ხელში, სანამ სამშვიდობოს არ დავუგულვებოვარ. მერე და ურემი ხომ ცარიელი არ იყო... მამაჩემმა კამეჩები მეზობლის ბიჭს დაუტოვა, რომელიც იქვე ფიჩხს აგროვებდა, მე კი გულზე მიმიკრა და სირბილით დაეშვა სოფლისკენ. წყაროზე გადასვლისას პეშვით დამალევიანა წყალი. ნაპირზე რომ გავედით, ფეხზე წამოყენება დაძინირა, მაგრამ მუხლები მეკეცებოდა და ვეცემოდი.

აი, მაშინ კი აუკანკალდა მამას ნიკაპი. დედაჩემმა და ჩემმა დებმა შორიდანვე შეგვნიშნეს და როგორც კი მოსახვევში გამოვჩნდით, წივილ-კივილით გამოიქცნენ ჩვენს შესახვედრად. ბაბუამ კვერთხიც კი მოუღერა მამაჩემს.

ამაცურტაში შემიყვანეს, წყალი აადულეს და ხმელი დაფნის ფოთლები მოხარშეს. ორთქლი მასუნთქეს და დავდე თუ არა ბალიშზე თავი, მაშინვე დაძეძინა...

აი, თურმე რატომ ვწევარ ბაბუას საწოლზე... მაგრამ ეს რაა? ყური მივუგდე: ეზოდან და ვერანდიდან მამაკაცების ბუბუნის ისმოდა. ვინ არიან, რა უნდათ, აქ რატომ მოიყარეს თავი?!

ნელნელა დავიწყე ხმების გარჩევა. მივხვდი, რომელი ხმა ვის ეკუთვნოდა. აი, ბაბუაჩემის დინჯი საქმიანი სიტყვა — ალბათ, როგორც ყოველთვის, ვერანდაზე ზის ჯოხზე დაყრდნობილი. ჩვენს მეზობელ საიდს ელაპარაკება. რა თქმა უნდა, საიდია, აბა სხვას ვის შეუძლია ასე სწრაფი და მალაღფარდოვანი ლაპარაკი... ნეტა ეს ვიღას ხმაა? ო, ეს ხომ მუსიკოსის მამსირია, დედაჩემის ბიძა. ოჰო, ზაფასიც აქაა! ამ მხიარული და შემაქცევარი კაცის წიკვინა ხმასაც ვცნობ.

ეს კი ბიდას ხმაა, სითბოდ რომ მეღვრება გულში. ოჰ, ბიდა, ბიდა, სიკვდილამდე არ მომწყინდება შენი ზღაპრების მოსმენა.

მეგონა მარტო ვიყავი, საბანი გადავიხადე, კერიისკენ გადავბრუნდი და გავშეშდი: მთელი ამაცურტა ქალებით იყო გატენილი. ფეხებთან დები მედგნენ, სასთუმალთან — დედა, უკან მეზობლები...

— მადლობა ღმერთს! — წამოიძახა დედამ, — როგორა ხარ, შვილო? მუცელი ხომ არ გტკივა? — საბანქვეშ შემომიყო ხელი და მუცელზე მომისვა.

— ხედავ, რამდენი ხალხი მოვიდა შენს სანახავად? — მითხრა ჩემსკენ გადმოსრილმა მარი მამიდამ.

მე გავუღიმე და საბნიდან გამომძვრალი მეზობლებისკენ მივბრუნდი. წინ დაბალი სკამი დაედგათ, ზედ თეფშებით მსხალი და ვაშლი ეწყო. თეფშებს შორის წითელ ქარქაშიან დანას მოვკარი თვალი. მატარა იყო, მაგრამ მთლად ნამდვილს ჰგავდა. ორივე ხელით ჩავბლუ-

ჯე, გულზე მივიკარი და კედლისკენ მივიჭუჭკე, — თითქოს ვინმე დანის წართმევას მიპირებდა.

— ბიდას გადაუხადე მაღლობა, იმან მოგიტანა, — შიოსრა დედამ.

მაგრამ მე უკვე აღარ ვუსმენდი დედას, მონუსხული ვათვალე-რებდი საოცარ საჩუქარს. დანა ქარქაშიდან ამოვასრქე, ხან-ხან გვერდიდან დავხედავდი და ხან იმ გვერდიდან. ცქერით ვერ ვძღვებოდი.

უცბად ვიგრძენი, ვილაც დაიხარა ჩემსკენ. სახეზე არც კი შემიხედავს, და უკვე ვიცოდი, ვინ იყო. მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდა აფხიარცა* ქამარზე მიმაგრებული.

— აი, თურმე ვის გადაუბრუნებია ურემი მუცლით — თქვა მამსირმა და თავისი მძიბე ხელისგული შუბლზე დამადო.

— ბიძაჩემმა უნდა გაგსინჯოს, — სწრაფად ჩამიჩურჩულა დედამ, — მაგას ყოველნაირი ავადმყოფობის მორჩენა შეუძლია. დაუჯერე, არ გაუძალიანდე.

მამსირი მხოლოდ მუსიკოსი კი არა აქიმიც იყო. მან ტაბურეტი მიიწია, დაჯდა, ფეხები გაჩაჩხა და მკაცრი უძრავი მზერა მომაპყრო. მეც მივაჩერდი. მოხუცის სახე ღრმა ნაოჭებით იყო დაღარული და ძალიან ჰგავდა გადახნულ მინდორს... პერანგი ამიწია და ჯოხივით მაგარი თითი მუცელზე გადამატარა. აქ გტკივა? — მეკითხებოდა იგი თითის ყოველ დაჭერაზე. — აქ? — მერე ყველაფერი დამითვალეირა: ხელები, ფეხები.

ყველანი სუნთქვაშეკრული ელოდებოდნენ რა განაჩენს გამოიტანდა მუსიკოსი და აქიმი.

ბოლოს მამსირმა პერანგი შემისწორა და ისევ თვალემოწკურულმა შემომხედა, მაგრამ ამჯერად მისი შავი თვალები ალერსიანად და გულკეთილად მიცქეროდნენ.

— ყველაფერი რიგზეა, საშიში არაფერია. ღმერთს დაუფარავს ეს ბავშვი. — მერე მე მომიბრუნდა, — ახლა კი მოდი, ისე მაგრად გავიცინოთ, რომ შენი ხმა ქუჩაშიც გაიგონონ! — მამსირმა ღუტუნი დამიწყო.

კარგა ხანს ვითმენდი, მერე კი ველარ გავძელი, ყურებამდე გავალე პირი და კინალამ გავსკდი სიცილისაგან. გარშემო შვეებით ამოისუნთქა ხალხმა, როგორც იქნა გაიღიმეს.

— მაღლობა ღმერთს! მაღლობა ღმერთს! — ისმოდა ყოველი მხრიდან.

მაგრამ უცბად ყველა გაჩუმდა. მამსირი წამოდგა, სკამი გვერდზე გასწია, დედაც გვერდზე მიდგა, ხალხი სწრაფად გაიყო და ვილაცას ვზა დაუთმო. ჯოხის კაკუნზე მივხვდი, ბაბუა მოდიოდა.

ბაბუა საწოლთან გაჩერდა, ოდნავ აკანკალებული ხელი თავზე გადამისვა, დაიხარა და დიდხანს ყურადღებით მიცქეროდა. მერე გასწორდა და თქვა:

— შენ ნამდვილი ვაჟკაცი ხარ, ლაგან. ასეც მჯეროდა... ტყეში რომ მიდიოდი, აღბათ რალაციით გააბრაზე ბოროტი სული და იმანაც

* აფხიარცა — ორსიმიანი ხემიანი საკრავი.

ვადაწყვიტა, სამაგიერო გადაეხადა. უკანამც დაბრუნებია ეს სიბოროტე. შენ კი აწი ფრთხილად იყავი, მსგავსი რამ რომ აღარ შეგემთხვეს. — ბაბუა მამსირს მიუბრუნდა, — მართალს ამბობ, საშიში არაფერიაო?

— ბეჟან, ძვირფასო, შენ კეთილი კაცი ხარ, ყველასთვის ასეთი იყავი და სწორედ შენი სიკეთის გამო დაიფარა ღმერთმა შენს შვილიშვილი, — დაიქუხა ამაცურტაში მამსირის ხმამ. — დამიჯერე: ლავანი, შეიძლება ითქვას, მშრალი ამოვიდა წყლიდან. ჯანსაღი და უვნებელია, ერთი ნაკაწრიც კი არა აქვს სადმე. რაიმე რომ დაზიანებოდა კიდევ, წამში მოვარჩენდი ჩემი აფხიარცით. მადლობა ღმერთს, ის ყოველთვის თან დამაქვს, მაგრამ ახლა საჭირო არ არის. ხომ ხედავ, კოტრილოვს და იცინის.

ბაბუამ თავი გადასწია და იქ მყოფთ მხერა მოავლო.

— დღევანდელი შაბათი ბედნიერი დღეა. შვილიშვილი გადამირჩა, ჩემი მემკვიდრე, კერა არ ჩამიქრა... წყალი მომიტანეთ, განბანა უნდა აღვასრულო და ღმერთს აღთქმა უნდა მივცე. — ბაბუამ გვერდით მდგომთ ჯოხი და თექის ქუდი მიაწოდა.

ჩემი უფროსი და გუშკა ტაშტითა და სპილენძის თუნგით მიუახლოვდა ბაბუას. ბაბუამ ჩოხის სახელოები აიკეცა, ხელები დაიბანა, პირზე წყალი შეისხა და სწრაფად შეიმშრალა მიწოდებული პირსახოცით.

— აღთქმა ღია ცის ქვეშ მინდა დავდო. ყველანი გამომყევით, დიდიც და პატარაც, — თქვა ბაბუამ და კარისკენ წავიდა.

ხალხი უკან გაჰყვა და ამაცურტაში მხოლოდ მე და ჩემი უმცროსი და მაჩიჩი დავრჩით. ის გვერდით მომიჯდა და თავისი სათამაშოებით გართობა დამიწყო. მალე ეზოდან ბაბუას გაბმული ხმა მოისმა:

— ღმერთო დიდებულო და ყოვლის შემძლევე, დაგვიფარე და მოწყალეობა მოიღე ჩვენზე. ისმინე ვედრება ჩემი... მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე და გულმხურვალედ გვაჯები: ჩემი პატარა, საყვარელი და ერთადერთი შვილიშვილი ჯანმრთელად მიმყოფე ამ უბედურების მერე. თუ ამ თხოვნას ამისრულებ, ღმერთო, ვფიცავ, მეორე შაბათს ხუთწლიან დაწმენდილ თხას მოვართმევ მსხვერპლად და შენდა სადიდებლად ლოცვას აღვაავლენტ. მოწმედ ყველა აქ დამსწრეს ვასახელებ, ამინ!

— ამინ! ამინ! ღმერთმა გისმინოს! — გაისმა შეძახილები.

ხალხი რომ დაწყნარდა, ექიდნური ხმა გავიგონე. თქმა არ უნდა, მასხარა ზაფასის ხმა იყო. კიდევ დიდხანს მოითმინა, რომ არ ენაკვიმატა.

— მე მგონია, — თქვა ზაფასმა, — დიდი ცოდვა არ იქნება, ამ კვირაში თუ შეწირავ ღმერთს იმ შენ თხას. მომავალ შაბათამდე რა გაძლებს ცარიელი კუჭით.

ვილაცამ მოგუდულად და მოკლედ ჩაიხითხითა. სხვებს კრინტი არ დაუძრავთ, იცოდნენ, რომ ახლა სიცილი უადგილო იყო და შეიძლება მოხუცი გაბრაზებულიყო.

ხალხი მდუმარედ წავიდ-წამოვიდა სახლებისკენ. ყველას სჯეროდა, რომ ჩვენს ოჯახზე დატეხილი უბედურება საშიში არ იყო და მშვიდად დაიშალნენ.

დედა რომ დაბრუნდა ამაცურტაში, საწოლზე წამოვჯექი და ტანსაცმელი მოვიტხოვე. მინდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გავეკრძინებო და გარეთ და ქამარზე ჩამოკიდებული ჩემი ახალი დანით თავი მომეწონებინა. მაგრამ დედამ ფაფა მომიტანა, მაჩიჩი საწოლიდან ჩამოაგდო, მისი ადგილი თვითონ დაიკავა და კოვზით დამიწყო ჭმევა. სიამოვნებით მივირთმევდი ფაფას და თან ვუსმენდი. დედა ალერსიანად მარწმუნებდა, ერთი ორი დღე უნდა იწვე, ჯერ შენი ადგომა არ შეიძლებაო, მამსირმა გვითხრაო. მერე მითხრა: ელიზბარ ძია, მამაჩემის ძმა, ცხენით წავიდა ბერძენ იანკოს დუქანში, კანფეტები და თაფლკვერები უნდა მოგიტანოსო. საღამოს ბიდა უნდა მოვიდეს და ისეთი ზღაპრები მოგიყვებს, ჯერ რომ არ მოგისმენიაო. მერე მეც მალე სართავს მოვრჩები, ცოტა მაუდს მოვქსოვ და მაშინვე ახალ ჩოხას შეგიკერავო...

ასეთ ტკბილ დაპირებებში ჩამეძინა.

საკმარისია, ბავშვობა გავიხსენო და თვალწინ მაშინვე ჩვენი მოწონული ამაცურტა დამიდგება, სადაც ურმიდან გადმოვარდნის შემდეგ ვიწექი. ის ახლაც უვნებლად დგას და მარადიულობაზე აღმიძრავს ფიქრებს. როცა შიგ შევდივარ და კერიის პირას ვჯდები, მოგონებანი შემომესევიან, დროის ყოველ პირობით საზღვრებს გადამატარებენ და ამ ბედნიერ დღეებს მიბრუნებენ, როცა პირველად დავინახე ეს სიკეთით სავსე ქოხი...

ის ჩემმა პაპამ ააგო, აზნაურმა. აქ გაიარა მთელი ჩვენი ოჯახის ცხოვრებამ. აქ დაიბადა ბაბუა, მამაჩემი და თვითონ მე. კედლები შქერის წნელითაა მოწნული, სახურავი ისლისაა. ორი ყავრის კარი აქვს, ერთი წინ, მეორე უკან. ფანჯრები არა აქვს. ან რა საჭიროა, როცა იმდენი ჭუჭრუტანაა კედლებში, შუქიც შემოდის და ნიავედა კიდევ. კერიის კვამლიც ამ ჭუჭრუტანებით გადის გარეთ. ზამთარში ჭუჭრუტანებს მაგრად ამოგმანავენ ხოლმე, ზაფხულში კი პირიქით... როგორი პაპანაქებაც არ უნდა იყოს, აქ ისე გრილა, როგორც დაბურულ კორომში. მთელი ფასადის გასწვრივ ვერანდაა. ვერანდის ბოლოს ფიცარნაგია, რაზეც ნაჯახები და წალდები აწყვია. რატომღაც სწორედ აქ უყვარდა ბაბუაჩემს ჯდომა. ამაცურტაშიც ასეთივე ფიცარნაგია მარცხენა კედელთან. იქ ჩემი დები წვებოდნენ. შესასვლელის მარჯვნივ კი სამზარეულო სახელმწიფო იყო. რაღა არ არის აქ. საჭმლის მოსამზადებელი მაგიდა, კედლის გასწვრივ თიხისა და სპილენძის სურები ჩამწკრივებული. მუხის კუნძზე უზარმაზარი ქვაბი განისვენებს, რომელშიც მთელი ოჯახის სამყოფ ღომს აკეთებდნენ ხოლმე. გვერდით უფრო მომცრო ქვაბებია, ბოლოს სულ პატარები. მერე ერთმანეთზეა მიჭუჭკული ხის კასრები, თიხის კათხები, თუჯიები, ლობიოს ქოთნები. მათ თავზე ჩამჩები, ციცხვები, ჩოგნები, ტოლჩები, პატარა ნიჩბები,

სარევეები და სხვა სამეურნეო წვრილმანები ჰკიდია. კუთხეში, განიერი თაროს თავზე ფქვილის კიდობანია, თვითონ თაროზე თავსები, ლარნაკები, ჯამები, თეფშები, ლამბაქები, ტაფები აწყვია. მთელი ამ ავლადიდების თავზე კი დღის ფერგამკრთალ მთვარესავით ჰკიდია საცერი.

მეორე კუთხე ბაბუასია. აქ მისი ხის საწოლი ^{მდგას} ^{მწვანე} ^{წითლი} ტაბურეტი, ზედ ყუთით თამბაქო, აბედი, კაჭი და კვეხი.

უკანა კარიდან საკუჭნაოში გადიხარ, რომელიც წაბლის ფიცრებისაგან არის შეკრული და ამაცურტაზეა მიდგმული. გვერდითა კედელზე პაწია ფანჯარა აქვს. საკუჭნაოში დედა აჯიკას ნაყავდა ხოლმე. აი, ამ ბრტყელ ქვაზე, კედელთან რომ არის მიწეული. ნახევრად ჩაბნელებულ საკუჭნაოში მთელი წლის განმავლობაში წითლად პარპალებდნენ ძაფზე ასხმული საშინლად მწარე წიწაკები. იქაურობა ერთიანად გაუღენთილი იყო თავქვე დაკიდებული გამხმარი ბოსტნეულის კონების, სურნელით.

მოდით, საკუჭნაოს თავი დაეანებოთ, კარი გამოვიხუროთ და ისევ ამაცურტაში დავბრუნდეთ. მე ხომ ჯერ ყველაზე მთავარზე — კერიაზე არაფერი მითქვამს.

კერია წმინდა ალაგია. იქ ცეცხლი ამაცურტას აგების დღესვე დაინთო და მერე აღარ გამქრალა. მისდამი პატივისცემაც ბავშვობიდანვე გვქონდა ყველას ჩანერგილი. „ცეცხლიც გაგქრობია კერიაზე!“ ყველამ ვიცოდით, ამაზე საშინელი წყევლა არ არსებობდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ შენი მოდგმა ამოწყვეტილიყო, ალგვილიყო პირისაგან მიწისა. მათი ხსოვნაც კი გაქრება, როცა კერიის გამჩალებელი არვინ იქნება. „გამქრალა კერია, ჩემი წინაპრების...“

კერია მაგარი ქვისაგან არის გაკეთებული და ამაცურტის შუაგულში ერთი ხელის დადებაზეა მიწიდან ამოწეული. კერიის თავში დიდი და მკვრივი ქვა დევს, რომელსაც კერიის ქვასაც ეძახიან. კერიის ქვაზე შეშას აწყობდნენ. ჩვენთან ცეცხლს ნაპობებს კი არ უკეთებენ, მთელ-მთელ მორებს აწყობენ და ნელნელა სწევენ წინ, ცეცხლისკენ. ზევით, მის ორივე მხარეს რამდენიმე ნაკბილი ეკიდა, რომელშიც შამფურებს ამაგრებდნენ ხოლმე. ქვეშ ნათხარები იყო ინდაურებისა და ქათმებისათვის, დამარილებული ხორცის მწვადებისათვის, კუპატებისათვის, ქონი რომ არ დაწვეთებოდა ნახშირს და არ ახრჩოლებულიყო, ქვეშ განიერ ტაფასაც უდგამდნენ.

კერიაზე მჭვარტლისგან ვამავეებული ორი ჯაჭვია, ერთზე სალომე ქვებს ჰკიდებდნენ, მეორეზე — ხორციანს ან რაიმე შეჭამანდიანს. შესასვლელი კარის ახლოს ძელებიდან გრძელი ჭოკებია ჩამოშვებული. ისინი თავისივე კაკვებით არიან ძელებზე დამაგრებული და თავისუფლად მოძრაობენ კოჭის მთელ სიგრძეზე. ჭოკებს ქვემოდან პატარა კადონები აქვს აკრული, ზედ, როგორც თაროებზე, ჭრაქები, რძიანი ქვაბურა და გამხმარი გოგრისგან გაკეთებული საწური დევს.

მოკლედ, ამაცურტა სამხარეულოც იყო და სასადილოც, საძინებელიც და სასტუმროც. აქ ამზადებდნენ კერძებს, აქვე მიირთმევდნენ და აქვე, კერიასთან ატარებდნენ საღამოებს. პატარძალიც აქ შემოყავდათ პირველად. შემოატარებდნენ კერიის გარშემო და მერე მიიღებდნენ ოჯახში. მაგრამ შორეულ წლებს რომ ვავლებ თვალს, მხოლოდ ამა-

ცურტას როდი ვხედავ. ბაბუასაც ვხედავ. აი, დგას იგი ჯოხზე დაყრდნობილი, დაღეული, სიბერისაგან წელში მოხრილი. იმ ხანად ის ოთხმოცდაათს კარგა ხნის გადაცილებული იყო, მაგრამ მხნეობა და ხალისი შენარჩუნებული ჰქონდა, განსჯის უნარიც შესწევდა. მისი სიტყვა ყოველთვის აუჩქარებელი, მოფიქრებული და ჭკვიანური იყო.

კეხიანი ცხვირი და მოკლედ შეკრეჭილი მომრგვალებული წვერი, შორიშორ ჩამჯდარი ნახშირივით შავი თვალები მჭიდროდ მისი ხან ფხიზლად იხედებოდნენ აქეთ იქით, ხან გამჭოლად მოგაჩერდებოდნენ. მარჯვე და სწრაფმა ხელებმა დასვენება არ იცოდა, ყოველთვის საქმიანობდნენ.

ჩემს მოგონებებში ბაბუა ამაცურტისაგან განუყოფელია. ამაცურტა და ბაბუა ჩემთვის მთლიანობას წარმოადგენს. სინამდვილეშიც ასე იყო. როცა დაქვრივდა, მაშინაც კი არ ისურვა ბაბუამ სახლში გადმოსახლება და ყურადღება რომ არ მოკლებოდა მოხუცს, ჩემი დები გადავიდნენ ამაცურტაში.

კერიის ორივე მხარეს ორი გრძელი სკამი იდგა, სადაც თვითეულ ჩვენთაგანს კუთვნილი ადგილი გვქონდა მიჩნეული. ბაბუას ადგილი ხელშეუხებელი იყო, განსაკუთრებულად პატივსაცემი სტუმრის გარდა, იქ დაჯდომას ვერავინ ბედავდა. ბაბუა რომ სადმე წავიდოდა, მაშინაც კი თავისუფალი იყო მისი ადგილი. „როგორ შეიძლება ჩვენი მანვშის ადგილის დაკავება!“ აფრთხილებდნენ უფროსები უმცროსებს, რძლებსა და ჩვენი ახლობლების ცოლებს ბაბუას სახელის კი არა, მისი მსგავსი სიტყვების წარმოთქმაც მკაცრად ეკრძალებოდათ. ამიტომ მაგალითად კურდღელს გრძელყურას ეძახდნენ, რადგან ბაბუას ბეჟანი ერქვა და ეს კი „აჟას“ მოგვაგონებდა, რაც კურდღელს ნიშნავს.

მხოლოდ მე მრთავდა ხოლმე ბაბუა ზოგი რაიმის ნებას. თავის გვერდით მსვამდა, მაკვირდებოდა, როგორ ვჭამდი, ყველაზე უფრო გემრიელ საჭმელებს მაწოდებდა.

დღეში სამჯერ ვჭამდით. ზოგჯერ სადილად ცხელი კერძი არ გვქონდა, სამაგიეროდ, საუზმისა და ვახშმისთვის აუცილებლად კეთდებოდა ღომი. დედაჩემი მარჯვედ ამოხელდა ღომს, შიგ ჩოგანს ჩაარჭობდა და ნელ ცეცხლზე შემოდგამდა დასაშუშებლად. მერე ვერანდაზე ორ დაბალ ხის მაგიდას გამოიტანდა, ქვაბს ჩამოდგამდა, ერთხელ კიდევ ჩაზელდა ღომს და თეფშებზე ამოაგებდა. პირველად სტუმარს მიართმევდა, მერე უფროსებს და ბოლოს ჩვენ, ბავშვებს. ამ დროს ჩემ ერთერთ დას თუნგი და პირსახოცი ეჭირა, ტაშტთან იდგა და ყველას სელს გვაბანიებდა. ჯერ ბაბუა დაიბანდა, მერე უფროს უმცროსობის მიხედვით. ხელის დაბანვას რომ მორჩებოდნენ, სკამების წინ გრძელ მაგიდებს დადგამდნენ და ისევ რიგ-რიგობით სხდებოდნენ. სხვათაშორის, მამაჩემი, რომელსაც უკვე ხუთი შვილი ჰყავდა და მისი ორმოცი წლის ძმა ელიზბარი ჭამის დროს ბაბუას გვერდით არ სხდებოდნენ, მოშორებით იკავებდნენ ადგილებს და ლუკმის გადაღებასაც ვერ გაბედავდნენ ბაბუაზე ადრე. შვილების სადღეგრძელოს თუ სვამდა, ისინი მანამ იდგნენ ფეხზე, სანამ ბაბუა უკანასკნელ წვეთს არ გამოსცლიდა. რა თქმა უნდა, მამის სადღეგრძელოსაც ფეხზე მდგარი სვამდნენ.

ყოველი იჯრის შემდეგ ისევ უნდა დაგვებანა ხელები და, გარდა ამისა, ორჯერ უნდა გამოგვევლო პირში წყალი. ასეთ რაღაცეებს გან-

საკუთრებით მკაცრად ეკიდებოდა ბაბუა და თუ ვინმე დაარღვევდა წესს ან გულმოდგინედ არ შეასრულებდა მას, მაშინვე გაჯორავდა დამნაშავეს.

აღზრდის საკითხი მხოლოდ ზეპირი შეგონებით როდის ისაზღვრებოდა. მსჯავრდებული გარკვეულ ხანს გაუნძრევლად უნდა მდგარიყო ფეხზე. თუ სასჯელს ვერ გაუძლებდა, ბაბუა მხოლოდ წინაშე დაეცა და ზიზღით ეტყოდა:

— რას გეკეცება ეგ მუხლები, იდექი, როგორც წესია. საკუთარი თავის მორევა უნდა შეგეძლოს.

ბაბუას სტუმრების თანდასწრებითაც შეეძლო ამის თქმა...

სადილის შემდეგ ყალიონს აიღებდა ბაბუა, მე უკვე ვიცოდი, რა უნდა მექნა — მაშინვე კერიისკენ გავრბოდი მუგუზლის მოსატანად. კარგ დანაკვერცხლებულ მუგუზალს შევარჩევდი და როგორც კი ბაბუა ყალიონს გატენიდა, მაშინვე მივურბენინებდი. მოწიწებით მივაწოდებდი და მერე კედელზე მიყუდებული ჯოხის მოსატანად გავრბოდი.

სხვაგანაც რომ ყოფილიყო წასული ბაბუა, მაინც გვეგონა, რომ სადღაც ახლოს იყო და თვალყურს გვადევნებდა. გვეგონა, არცერთი ჩვენი ეშმაკობა არ გამორჩებოდა და ამიტომ ხშირად ვუმუჯღლუგუნებდით ერთმანეთს: „ბაბუას არ მოეწონებაო“.

თუ შინ იყო და...

— როგორ ზისარ? ახლავე მიწიე მუხლები ერთმანეთთან! — მრისხანედ გვიყვიროდა მე და ჩემს დებს.

თვალს არ გვაშორებდა, არცერთი დაუდევრობა არ გამოეპარებოდა. გვასწავლიდა, როგორ დაემსხდარიყავით, როგორ ავმდგარიყავით, როგორ მოვქცეულიყავით სუფრასთან.

მღუშარედ გვიცქეროდა, როგორ ვჭამდით და მერე ვილაც ხანაშვაზე გვიამბობდა ხოლმე. მე და დედამ გვიან გავიგეთ მამასაგან, რომ არავითარი ხანაშვა არ არსებობდა ქვეყანაზე. ის თვითონ ბაბუამ გამოიგონა, მის მაგალითზე რომ ესწავლებინა ჩვენთვის წესიერად ჭამა-სმა.

— აი, თქვენ, ახალგაზრდებმა, არ იცით, როგორ ჭამდა ხანაშვა. ამიტომ, დასხედით და მომისმინეთ. — ბაბუა ღომის კარგა მოზრდილ ნაჭერს გადაიღებდა, გვიჩვენებდა და გვეტყოდა, — აი, ამას ხედავთ? ხანაშვა კი უფრო დიდს იღებდა, თითქმის მუშტის ხელას. აიღებდა, ჭყლეტავდა ხელში და თოვლივით აგუნდავებდა. აგუნდავებდა, აგუნდავებდა და სიამოვნებისაგან თვალებს ჭყუტავდა — ო, რა გემრიელი იქნებაო. მერე ხახას დააღებდა და ერთბაშად გადაუძახებდა. ხეირიანად არც კი ღეჭავდა, ისე ყლაპავდა. სამი კაცის სამყოფ ღომს ჭამდა და მაინც ვერ ძლებოდა. ღორმუცელობისაგან სივანეში უფრო მეტი იყო, ვიდრე სისქეში და ამიტომ ხანაშვა ფაშვიანი დაარქვეს... ვინ იცის, იქნებ ამისთვის კი არა, სხვა რამისთვის დაარქვეს, ა? შენ როგორ ფიქრობ, ლაგან? ბაბუა მე მიყურებდა.

მე ღომი გამეჩხირებოდა ხოლმე ყელში და ხმას ვერ ვიღებდი. ის კი ხელებს ხელსახოცზე შეიწმენდდა, უღვაშებს გადაიწკეპავდა, ჭიქას აიღებდა და ყველას გვადღეგრძელებდა, დიდებსაც და პატარებსაც. ისე კი, არ მახსოვს, სამ ჭიქაზე მეტი დაეღიოს როდისმე.

— ა, ლაგან, ნეტა რატომ დაარქვეს ფაშვიანი? — ისევ მეკითხებოდა ბაბუა და ეშმაკურად იღიმებოდა. — ის საცოდავი ხომ ქამარსაც არ ხმარობდა, ვერ იკრავდა და რად უნდოდა. უქამრო კაცო კი უსალტეებო კასრივითაა.

ბაბუა გვაჩვენებდა რამხელა ნაჭერი ღომი უნდა მოგვევლიჯა, როგორ მიგვეტანა პირთან და როგორ გვეჭამა.

— სანამ პირი საჭმელითა გაქვს გამოტენილი, ნუ ილახარაკებ, ულამაზოა. — იტყოდა ხოლმე და ჭიქას აიღებდა. — მართლა, ხანაშვას ერთი ნაკლიც ჰქონდა, — გააგრძელებდა ცოტა ხნის შემდეგ. — ღვინო თუ ჩაუვარდებოდა ხელში, უსათუოდ გაილეშებოდა. ისე კი, ჭიქის დაჭერაც არ იცოდა. ხუთივე თითს შემოაჭდობდა, თითქოს ეშინოდა, არ წამართვანო... — აბა, ლაგან, მაჩვენე, როგორ უნდა გვეჭიროს ჭიქა.

ბაბუა ჭამას გააჩერებდა და მიყურებდა.

სამი თითით ავიღებდი ჭიქას, ნეკსა და უსახელო თითს კი ჭიქის ფსკერს ამოვღებდი და ხმაურით მოვყლუპავდი.

— უხმაუროდ უნდა დალიო, — შენიშვნას მაძლევდა ბაბუა.

მიყვარდა კიდევ ბაბუა და მეშინოდა კიდევ მისი. მჯეროდა მისი და მწამდა, რომ მან ყველაფერი იცოდა ამ ქვეყანაზე. იმასაც ყველასგან გამორჩეული ვყავდი და ყოველთვის ვგრძნობდი მის ყურადღებასა და მზრუნველობას.

— ეჰ, ეტყობა, გადაშენდა ჩვენი გვარი, თორემ ლაგანი უძმოდ არ დარჩებოდა, — ამბობდა ბაბუა და გულში მიკრავდა.

— ნეტა რას ნიშნავს „გადაშენდა“ და რატომ განიცდის ამას ასე ძალიან ბაბუა? — მაწუხებდა კითხვები, მაგრამ ხმამაღლა თქმას ვერ ვბედავდი. გარდა ამისა, მეჩვენებოდა, რომ ბაბუა რალაცაში ჩემს მშობლებს ადანაშაულებდა და, ეტყობა, სამართლიანადაც, იმიტომ, რომ ისინი თავს არ იმართლებდნენ, თითქოს აღიარებდნენ დანაშაულს. რა იყო ეს დანაშაული, წარმოდგენა არ მქონდა.

ერთხელ ნავახშმევს ბაბუამ ყალიონი გააბოლა და თქვა:

— ლაგანი რომ გაიზარდა და დაკაცდა, ვერ ამჩნევთ? აქამდე ჩვენთან სამი კაცი იყო, ახლა ოთხი ვართ. ჩემი თუ არ გჯერათ, კარგად დააკვირდით და მიხვდებით. — წელზე ხელმოკიდებული ძლივს წამოდგა და ზანდუკისკენ წავიდა. ბაბუას საწოლის ფეხთან მიდგმული ეს ზანდუკი ჩვენთვის გამოცანაც იყო და საიდუმლოც. პირადად მე ცნობისმოყვარეობა მკლავდა: რა საუნჯეს ინახავს იქ ბაბუა? ზანდუკი არასოდეს იკეტებოდა, ბოქლოში არ ედო, მაგრამ ის ჩვენთვის მაინც ცხრაკლიტული იყო, რადგან არცერთ ჩვენგანს ფიქრადაც კი არ გაუვლია, ცალი თვალით მაინც ჩამაჭყიტა შიგო.

ბაბუამ ზანდუკს თავი ახადა, შიგ ჩაიხედა, ხელი მოაფათურა და დრო-ქამისაგან ჩაშაფებულნი ხანჯალი ამოიღო.

— მოდი აქ, — თითით მიმიხმო მან.

მეორედ დაძახება არ დამჭირვებია.

— დღეიდან, — გამოაცხადა ბაბუამ, — ეს იარაღი შენ გეკუთვნის, საჩუქრად გაძლევ. შენ უკვე კაცი ხარ და იარაღს უნდა ატარებდე. ოღონდ პატიოსნად ატარე... ახლა კი ელიზბართან მიდი, ის გასწავლის ქარქაშიდან ხანჯლის ამოღებას. — ამ სიტყვებით, ხანჯალი

გადმომცა და ისევ თავის ადგილისკენ წავიდა. — შენ კი, — უცბად დედაჩემს მიუბრუნდა ბაბუა, — ზედმეტად დაჰკანკალებ შენ შეილს, ისევ ბავშვი გგონია. იმისი გეშინია, რისიც არ უნდა გეშინოდეს. არა, შეილო, ასე არ შეიძლება, გავაფუჭებთ ბიჭს. ჩემი ურთადგოთი შვილიშვილი და მემკვიდრე ყველაფერში პირველი მინდა რომ იყოს: ცხენზე თუ იქნება, პირველი ჯიგითი უნდა იყოს; თუ ისტრისკის მრევრითი არ უნდა ააცდინოს მიზანს. მიწას თუ ხნავს, ისე უნდა მოხნას, რომ ოჯახი მშვიერი არ ჰყავდეს. სიტყვის სათქმელად თუ გახსნის პირს, მის სიტყვას ოქროს ფასი უნდა ჰქონდეს... ვაჟკაცი ყველაფერისთვის უნდა იყოს მზად, ყველაფერი უნდა შეეძლოს: ბრძოლაც, შრომაც და სიმღერაც; მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის ვაჟკაცი უნდა იყოს და არა საცოდავი მხდალი არსება. ამისთვის უნდა ვიზრუნოთ ყველამ... გაიგონეთ რა ვთქვი?

მე ელიზბარ ძიას წინ ვიდექი. კარგად რომ გამეგო და დამემანსოვრებინა, ის აუჩქარებლად მიხსნიდა, როგორ მომეკიდებინა ხელი ხანჯლის ტარისთვის, როგორ ამომეძრო ხანჯალი ქარქაშიდან... როგორც იქნა, ხანჯალი ქამარზე ჩამოვიკიდე. უფროსების მიბაძვით, ზედმარჯვენა ხელი ჩამოვადე, თავი უკან გადავწიე და ფეხი ოდნავ წავდგი წინ. იმ დროს ჩემი თავი საოცრად მოხდენილი, გაჯგიმული და ვაჟკაციური მეგონა.

ყველანი მათვალეობდნენ. ნათესავები სიამაყითა და სიხარულით მიცქეროდნენ. საოცრად გაამაყებული გახლდით, თითქოს უკვე ნამდვილ ჯიგითად ვიქეცი.

— ახლა ქალებმა შეასრულონ თავისი მოვალეობა და ერთ კვირაში ჩოხა და მამაკაცისთვის საჭირო სხვა ტანსაცმელი შეკერონ, — გაიგონე ბაბუას ხმა და გავიფიქრე, აი, ეს კი გაუხარდება-მეთქი დედას.

მაგრამ დედა რატომღაც სულაც არ ჩანდა გახარებული.

ახლა ვხვდები რატომ...

გამბედაობა და სხვა მამაკაციური თვისებები რომ აღეზარდათ ჩემში, უნდა მესწავლა: სროლა, ცხენზე ჯირითი, ხტომები, ცურვა, დანის ხმარება, ხელჩართული ბრძოლა და ყველაფერი ეს კი ჩემს ჯანმრთელობას, შეიძლება სიცოცხლესაც ემუქრებოდა. გარდა ამისა, ეს იმასაც ნიშნავდა, რომ მე სამუდამოდ ვტოვებდი მისი ხელით გაკეთებულ მყუდრო და უხიფათო ბუდე, ფრთებქვეშიდან ვუფრინდებოდი. ამიტომ იმ საღამოს დედაჩემს პირდაპირ ბაბუაჩემის საწინააღმდეგო გრძნობა ეუფლებოდა. მაგრამ მამამთილის წინაშე სიტყვის თქმას ვერ ბედავდა და იმას როგორ იტყოდა, რაც გულში ჰქონდა.

მამაჩემი ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა. აქეთ ცოლი იყო და იქით მამა... რა თქმა უნდა, დედა ეცოდებოდა, ესმოდა მისი, თანაუგრძნობდა, მაგრამ ხმამაღლა დაცვა არ შეეძლო, ეშინოდა უღირს შვილად არ მონათლულიყო.

ერთი დღეც არ მიცხოვრია, ისე, დედა რომ არ გამხსენებოდა... მღალი, თეთრი, უკვე ჭალარაშერეული წაბლისფერი თმით, ასეთი იყო იმ დროისთვის, მე რომ საკუთარი თავის შეცნობა დავიწყე.

კარგ ამინდში მზე რომ აცხუნებს და ჰაერი გამჭვირვალეა, მეჩვენება, რომ ისევ ვხედავ მას. ჩვენი ამაყი მთებიც დედას მაგონებენ — მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალებით, გარინდებულები და მშვიდები. მოწმენდილი ცაც დედაჩემის თვალებს მაგონებს თავისი სიღრმითა და სილურჯით. პაპანაქება სიცხე თუა და სუფსე ვერ ვითქვამ, გრილი ნიავი თუ დაუბერავს უცბად საიდანღაც და ფლოტების ძლივს გასაგონ ჩურჩულს მოიტანს, ვიცი, ეს დედაჩემის სუნთქვაა.

მისი სახე დღესაც მინათებს შორიდან — ბავშვობის წლებიდან. დღესაც აღწევს ჩემამდე მისი ციალი. ცოცხლად ვხედავ დედას: ხან საქსოვ დაზვას უზის და მთელი გულისყურით ჩასჩერებია წვრილცხვირა მაქოებს, ძაფებს რომ ეგლასუნებიან და ყვინთავენ. ხან მხარსე შედგმული სურა უჭირავს ხელით... აი, ამაცურტაში აგიზგიზებულ გერიასთანაა, სიცხისგან სახე ატკეცვია, აჩუხჩუხებულ წყალში ოქროსფერ სიმინდის ფქვილს ყრის და ჩოვნით ურევს. ან საკუჭნაოშია, იდაყვებამდე დაუკარწახებია თეთრი ხელები და ბრტყელ ქვაზე ცეცხლივით წიწაკას ნაყავს.

ყოველთვის მშრომელი მახსენდება დედა: ხან ძაფს ართავს, ტრიალებს, ბზრიალებს თითისტარი, ხან ბამბას ჩეჩავს, ხან რეცხავს.

ერთადერთი სურათი, რომელიც ჩემ მეხსიერებას შემორჩა და რომელიც ყველასგან გამოირჩევა, დედაჩემის მოქნილი თითებია, ჩამგურის* სიმებს რომ აჟღერებენ. ეს არის და ეს. ამის გარდა, წუთი რ არის, წუთითაც კი არ მახსოვს დედაჩემი უსაქმოდ, მუდამ მოუცლელი იყო. ყველაზე ადრე დგებოდა და ყველაზე გვიან წვებოდა. მთელი დღე საოჯახო საქმიანობას უნდებოდა, ჩამოსაჯდომად არ ეცალა. საჭმლის მომზადება, რეცხვა, ლაგება, ყველაფერი მისი გასაკეთებელი იყო. ის ართავდა და კერავდა, მთელ ოჯახს შემოსავდა ხოლმე. თვითონ თესავდა ბამბას და მერე თვითონვე უვლიდა.

დედაჩემი კეთილი ქალი იყო, ამას ყველა აღნიშნავდა, ვინც კი დედას იცნობდა. თუ ვინმეს რაიმეთი გაახარებდა, იმ ღამეს ბედნიერი დაიძინებდა. ისე, სამასლაათოდ თუ შემოივლიდა რომელიმე მეზობელი, დედა სუფრასთან მიიწვევდა და რას აღარ მიართმევდა. სტუმარი თუ საჭმელს პირს არ დააკარებდა, დედა გულდაწყვეტილი რჩებოდა.

სხვათა შორის, ჩვენთან ძალიან ხშირად და სიამოვნებით დადიოდნენ ხოლმე სტუმრები. ზოგჯერ მრავლადაც იკრიბებოდნენ. ცხადია, ასეთ დროს დედას საქმე ემატებოდა, მითუმეტეს, სტუმრიანობა თუ გრძელდებოდა, მაგრამ დედა დაღლილობას არ იმჩნევდა. გულლია და მომთმენი იყო. სათითაოდ უმასპინძლებოდა ყველას, უშლიდა ლოგინს, ამზადებდა საჭმელს... მოკლედ, როგორც ჩვენთან იტყვიან, სტუმრის სული და გული იყო.

გარეგნულად დედა ძლიერი და ამტანი ჩანდა, სინამდვილეში კი საოცრად რბილი, სათნო და გულჩვილი იყო. მისი გულჩვილობა ზოგჯერ ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა: ქათმის დაკვლაც კი არ შეეძლო. მდინარე თუ ამღვრეული იყო, თავბრუ ეხვეოდა და ხიდზე ვერ გადადიოდა. ჭექა-ქუხილი ხომ თავზარს სცემდა. შორიდანაც რომ გა-

* ჩამგური — ორ სიმიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი.

ეგონა ქუხილი, სუსტი ხმით დამიწყებდა ძახილს, საძებნელად წამოვი-
დოდა და სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, მომაგნებდა. თავზე შალის
თავსაფარს გადამაფარებდა და ამაცურტაში შემიყვანდა. იქ კუთხეში
მიკუნჭულები ერთმანეთს მივეკვრებოდით და ამინდის გადაკარებას
ველოდებოდით.

დედაჩემის პირიდან სულ ეს უნაზესი სიტყვები ისმოდა: „ჩემო
სინათლევ“, „შენ შემოგვევლე“, „შენი ჭირიმე“. არასოდეს არ დაურ-
ღვევია უფროსებისადმი პატივისცემის წესები. მამამთილის წინ არ
გადაუვლია. ზურგის შექცევა კი არა და, მის წინაშე სიტყვა არ დაუძ-
რავს არასოდეს. ბაბუა ისე გარდაიცვალა, არ იცოდა, დედას როგორი
ხმა ჰქონდა. თავის მაზლს — ელიზბარ ძიას ცოლის შერთვამდე დედა
ურეცხავდა და უკერავდა. ელიზბარის ტანზე ჭუჭყიანი სამოსი არავის
უნახავს. შვილებზე ნაკლებად არ უყვარდა დედაჩემს იგი და ვაჟიშვი-
ლივით უვლიდა.

მაგრამ მე ყველაზე უფრო ძვირფასი ვიყავი მისთვის...

ჯანმრთელი რომ ვყოფილიყავი, ასე გადაფოფრილი არ იქნებოდა
ჩემზე, მაგრამ საუბედუროდ, სწორედ ეს ჯანმრთელობა მაკლდა. წი-
ნა ზაფხულს ციებ-ცხელება ავიკიდე და იქიდან მოყოლებული ყოველ-
თვის შუადღისას ისე მაძაგძაგებდა, კბილს კბილზე მაცემინებდა. ვერა-
ფერი ვერ მათბობდა, ათი საბანი რომ დაეხურათ, მაინც არ მშველო-
და. საშინლად მწყუროდა, წყურვილს კი ვერაფერი მიკლავდა. მერე
სიცხე ამიწევდა, ვბოდავდი, ვკვნესოდი და ოფლად ვიღვრებოდი.

ციებ-ცხელება ზამთარშიც არ მომეშვა. მორიგი შეტევის მოახ-
ლოვებას რომ ვიგრძნობდი, საბანში გავეხვევოდი და კერიის პირას
მივიკრუნჩხებოდი. ცეცხლთან ახლოს ჯდომით ფეხები წითლად მქონდა
აფორაჯებული. გაზაფხულზე ცოტა მოვიკეთე, მაგრამ ახლა სახსრებმა
დამიწყო ტკივილი, მუხლებში მტეხავდა, ძვლები თითქოს მიფეთქავდა.
მოსვენება მეკარგებოდა, ვერ ვიძინებდი, ვტიროდი და ვწრიალებდი
ლოჯინში. ვერც ზაფხულმა მიშველა. მართალია, შეტევები მომეხსნა,
მაგრამ ტეხვა და ძვლების ტკივილი ძველებურად მაწვალებდა. ეტყო-
ბა, ავადმყოფობამ ხელი დამრია. ისე გაეხდი, ცარიელი ძვალი და ტყა-
ვიაო, ამბობდნენ.

ჩემს მდგომარეობას არ შეიძლება, ჩემი მშობლები არ შეეშფო-
თებინა, მაგრამ ისინი მაინც თვლიდნენ, რომ საშიში არაფერი მჭირდა.
ვინმე თუ იტყოდა სერიოზული წამლობა არ აწყენდა ბიჭსო, ბაბუა
უკმაყოფილოდ აბუზღუნდებოდა:

— დიდი ამბავი, ციება! ნახეს რა სალაპარაკო... ჩვენთან, აფხა-
ზეთში ლამის ყველას აციებს, მაგრამ ცოცხლობენ...

რა თქმა უნდა, ბაბუას ენას ვერავინ შეუბრუნებდა, მაგრამ დე-
დაჩემი კი ოხრავდა ფარულად...

აი, სწორედ ამ დროს მოვყევი ურმის ქვეშ.

როგორც გახსოვთ, ბაბუამ ფიცი დასდო ღმერთისა და ხალხის
წინაშე, რომ მსხვერპლს შეწირავდა და ლოცვას აღავლენდა. პო და,
ამ უბედურების მეთოთხმეტე დღეს ელიზბარ ძიამ ერთი ზორბა დაწ-
მენდილი თხა შემოათრია ეზოში. ერთ ციდა ადგილას, მურყნარში, სა-

დაც ჩვეულებრივ ღვთისმსახურებას ვასრულებდით ხოლმე, თხა დაკალთ და მოვხარშეთ. ბაბუამ თხილის შამფურზე წამოაცვა გულღვიძლი, გვერდით ამომიყენა, მხარზე ხელი დამადო და ჩვენი ოჯახის ყველა წევრმა ერთდროულად დაიხოქა.

— ო, ყოვლის შემძლე მეუფეო, დიდება შენი ცათა უმღლესია! — ამღერებულად წარმოთქვა ბაბუამ, ხმას თანდათან უწყვეტად, როგორც ყოველთვის, როცა ლოცვას კითხულობდა ხოლმე. ამ უწყვეტად შენი მოწყალე თვალთ ამ პატარა ანგელოზს. დაე, ფესვმაგარ ხესავით იდგეს მოვარდნილ წყალში, აშორე ყოველგვარი უბედურება, მწიფე აღუჩასავით ჩამოაბერტყინე სახადები და სნეულებები. არ მოლუნულიყოს მაგის თავზე მწვანე ტოტი და არ გადატეხილიყოს ხმელი! ღმერთო დიდებულო, მწედ ეყავი და ნუ მოაკლებ შენს ზრუნვასა და მოწყალებას!..

ლოცვა რომ დაამთავრა, ბაბუამ ღვიძლის ნაჭერი მომაწოდა, გამოვართვი და განზე გავდექი.

ყველანი კოცონისკენ წავიდნენ. თავის წილ ხორცს ფოთლებზე დებდნენ და ბალახზე სხდებოდნენ. საღმრთო ტრაპეზი იწყებოდა.

ჩვენი წესის მიხედვით, ვინც ახალგაზრდა ქალს ირთავს ცოლად, ჯერ ახალი სახლი უნდა აიშენოს. მამაჩემმაც ქორწილის წინ აიშენა სახლი. ისიც ამაცურტასავით მოწნული იყო, ოღონდ უფრო პატარა და მომრგვალებული. სახურავი კონუსისებური ჰქონდა, ჩვენი სახლის უკან იდგა, სიღრმეში. ამ ამხარში ვცხოვრობდი მე დედასა და მამასთან ერთად. ამაცურტაში კი ღამე მოვხვდი. იქ მაშინ მიმიყვანეს და დამაწვინეს, ურმის ქვეშ რომ მოვყევი.

დილით გავიღვიძე თუ არა, ავდექი, ჩავიცვი, ამხარიდან გამოვედი და ეზოში გავიარე. ცხენსაბმელთან ბაბუას ცხენი გუადახი დავინახე. შეკაზმული იყო და მოთმინებით ელოდებოდა პატრონს. ალბათ „თავყრილობაზე“ მიდის — გავიფიქრე და ბაბუასაც მოვკარი თვალი. ვაშლის ხის ქვეშ იდგა და ტომარას თივით ტენიდა. „ესე იგი, დღეს ხანჯლით ჩხუბს ვისწავლი“. ის იყო ბაბუასკენ უნდა გავქცეულიყავი, მაგრამ დროზე გამახსენდა, პირი უნდა დამებანა.

წყარო ახლოს იყო. ცქვიტად ჩავიბინე, წყაროს პეშვი შევუშვირე და ფრუტუნით, წყლის შხაპა-შხუპით, გულმოდგინედ დავიბანე პირი, ყელი, ყურები. დაბანილმა და დავვარცხნილმა, როგორც იქნა, გავბედე ბაბუას წინაშე გამოცხადება. დილა მშვიდობისა ვუსურვე.

ჩემი ხმა რომ გაიგონა, ბაბუა წელში გასწორდა და თავისი ჩვეულების მიხედვით, ისე შემომხედა, თითქოს სადღაც მინახავს ეს კაცი, მაგრამ არ მახსოვს სად და როდისო. თითქოს თავს ძალას ატანდა, გაესხენებია ვინ იდგა მის წინ. ბაბუამ ნახშირით შავი თვალები მომაშტერა, მიცნო ვინც ვიყავი, (მისი გამომეტყველების მიხედვით, ამას არავითარი სიხარული არ მიუნიჭებია მისთვის) და მოსალმების ნიშნად ოდნავ დამიქნია თავი.

— წაიხემსე და მაშინვე აქ გაჩნდი! — მითხრა მან და დაუმატა, — ხანჯალი არ დაგავიწყდეს.

დედამ ამაცურტაში გამიწყო საუზმე და სუფრას მიგუჯექი.

— რა გეჩქარება, თითქოს ვინმე მოგდევდეს! — უზინხვოდ დამიყვირა დედამ და მივხვდი, რალაციით აღელვებულ ვიყავი.

მე კი მართლა შეჩქარებოდა. ხელად შევსახე დედას და მეწყო და ამაცურტიდან გავვარდი.

— გაიქეცი, გაიქეცი! — ჩურჩულით დამადევნა დედამ, — ჯერ სადა ხარ, ეგ რას არ გასწავლის!

მაგრამ ჩემი შეჩერება არაფერს შეეძლო. მე ამხარისაკენ გავვარდი, სადაც საწოლის თავზე ნაჩუქარი ხანჯალი ეკიდა...

და აი, ქამარში ხანჯალგარტობილი გაჯგიმული ვდგავარ ბაბუას წინ. სანამ ვსაუზმობდი, ბაბუას ტომარა გაუტენია და ვაშლის ხეზე ჩამოუკიდია.

— წარმოიდგინე, რომ ეს — ბაბუამ ყალიონი პირიდან გამოიღო და ტომარას მიართვა, — კაცია, რომელსაც შენზე თავდასხმა განუზრახავს. რა უდევს გულში, სუმრობს თუ არა, არავინ უწყის. შენ მიდიხარ, იმან კი გზა გადაგიღობა და არ გიშვებს. რა უნდა ქნა, რომ თავი დაგანებოს და გზა დაგიტმოს? იმასაც ხანჯალი აქვს და შენც. ხანჯლის ხმარება გუშინ გასწავლე, ხომ არ დაგვიწყნია?

— არა! — ვუპასუხე და ხანჯალი ქარქაშიდან ამოვადვრე.

— ოღონდ ის ბოძივით გაშეშებული არ გეგონოს. კი არ გიცდის, როდის ჩაპკრავ ხანჯალს. ერთ მხარეს შენა ხარ და მეორე მხარეს — ის. ის გველივით დაიწყებს კლაკვნას, თავგზას აგიბნევს. შენ როგორღა მოიქცევი, ა? მე გასწავლიდი, გახსოვს?

— რა თქმა უნდა, მახსოვს, ყველაფერი მახსოვს.

— რაკი ასეა... — ბაბუამ მაგრად გააქანა ტომარა და მიბრძანა, — დაარტყი! პირდაპირ დაარტყი!

კისრისტეხით ვეცი მტერს, მინდოდა ტარამდე ჩამერჭო ხანჯალი მისთვის შიგ გულში, მაგრამ გამოქანებული ტომარა ისეთი ძალით დამეჯახა, რომ მაშინვე მიწაზე გავიშხლართე. ჩემი იარაღი კი გვერდზე გადავარდა.

— რა მოგივიდა? აბა, გვერდიდან, გვერდიდან ეცი! — მაქეზებდა ბაბუა, თან ტომარას არ აჩერებდა, აქანავებდა და აქანავებდა.

მე შერცხვენილი, თავლაფდასხმული, საქციელწამხდარი ვიყავი, მაგრამ ისევ გააფთრებული ვიწევდი მტერზე, რომელიც უფრო და უფრო მეზიზღებოდა. ხან წინიდან ვურტყამდი, ხან უკნიდან, მაგრამ ყოველ დარტყმაზე ხანჯალი ხელიდან მივარდებოდა.

— მიდი, მიდი, არ დანებდე! — მამხნევებდა ბაბუა.

მე და ჩემი მტერი სამკვდრო სასიცოცხლოდ შევებით ერთმანეთს. ოფლის წვეთები სეტყვასავით მცვიოდა. ხანჯალი მხოლოდ ხელს მიშლიდა, იქით მოვისროლე ეს გამოუსადეგარი ნივთი და მუშტებით ვეცი წყეულ ტომარას.

— ეს უკვე აღარ ვარგა! — მომესმა ბაბუას ხმა.

მან ტომარას მომაშორა და ჩხუბი შეაჩერა. ნელ-ნელა ვცხრებოდი, გონება მიბრუნდებოდა.

— შენ თურმე ფიცხი ყოფილხარ. არა, ასე არ ივარგებს. ვინც იარაღს მოჰკიდებს ხელს, იარაღსაც უნდა მოერიოს და საკუთარ თავსაც... კარგი, აილე ხანჯალი, დღეს საკმარისია. — ბაბუამ შურგი შემაქცია და გუადახისკენ წავიდა.

ვერანდაზე ჩემი დები მიიმალნენ, ღიმილს ძღვეს და ეგებდნენ. საბნებს ამხეურებდნენ და, ცხადია, დაინახეს ჩემი მარცხი თავგამეტებული ბრძოლა.

„დედამაც დამინახა“ — ნაღვლიანად გავიფიქრე და ამაცურტიკენ გავაპარე თვალი. არავინ ჩანდა. დაიძალა ალბათ სადმე კუთხეში და ტირის საწყალი. თავისი შერცხვენილი შვილის გამო ტირის ალბათ.

2.

გავიდა თუ არა ბაბუაჩემი ჭიშკრიდან, დედამ მაშინვე დამიძახა. ვადაიცვიო მითხრა და სხაპა-სხუპით მამცნო, მკითხავთან უნდა წავიყვანო.

კინალამ გადავირიე. ყველამ იცის რომ მკითხავი მკიდი ვერავი და ბოროტია. ღამლამობით სოფელში დაეხეტება, სახლებში შეღის, მძინარე ხალხს ღვიძლს ამოართმევს სოლმე და შეექცევა...

— ჩემს მოსვლამდე სახლიდან ფეხი არ მოიცვალათ და იცოდეთ, არაფერი გააფუჭოთ, — დაუბარა დედამ გოგოებს. წინასწარ ფეხებშეკრული ალისფერ ბიბილოიანი მამალი ამოიღლია და ეზოდან გავედით.

ბაბუა რომ შეუპოვრობასა და ვაჟკაცობას მიქადაგებდა, დედაჩემს ეჭვი ღრღნიდა. ჯერ ერთი, მიუხედავად მსხვერპლის შეწირვისა, ფიქრობდა რომ ავადმყოფობა არ მომეშვა, მწიფე ალუჩასავით არ დამცვივდა დაავადებები. პირიქით, რომ აცივდა, სახსრების ტეხვა უფრო გამიძლიერდა, მუხლები უარესად მეკეცებოდა. ისევ დამაწყებინა ციება. მთლად დამეკარგა მადაც და ძილიც. მიცვალებულზე უარესი სანახავი ვიყავი. მეზობლები ჩემ ჯანმრთელობაზე ჩუმად ტუტუნებდნენ, დედაჩემის გასაგონად კი განგებ ამბობდნენ ხმამაღლა: „მერე რა მოხდა, ბავშვი ხან ურმის ქვეშ მოყვება და ხან ციება შეეყრება... იქნება სხვა რამე მიზეზი აქვს, ან თვალნაკრავია? მაგის ადგილას რომ ვიყო, აქამდე ცხრაჯერ წავიყვანდი მარჩიელთან, ცერცვზე ვამკითხვინებდი“.

დედა ეთანხმებოდა, მაგრამ რჩევას ვერ იყენებდა. ბაბუა მარჩიელებს ვერ იტანდა, ცბიერები და მატყუარებიანო, ხოლო ვინც იმათ უჯერებს, სულელები და უმეტრებიო. პო და, რომ გაეგო, ბიჭი მკიდთან წაიყვანესო, გაცეცხლდებოდა. მით უმეტეს, რომ ჩემზე მოწყალების მოღებას ღმერთს შესთხოვდა. ასე თუ ისე, დედაჩემმა მაინც გაბედა...

მარჩიელი ახლოს ცხოვრობდა. ღელეზე გადავედით, ფერდობს ავუყევით, დაბურულ ჭალაში ბილიკით გავედით და ერთ დაქონქილ ჭიშკარს მივაღექით. დედაჩემმა გზაში ყოველ შემთხვევისთვის წკნელი მოიმარჯვა, მაგრამ ეზოში შესვლა მაინც ვერ გაბედა.

ეშმაკი! აი, აი, შეხედე! დაიღუპე აქედან! დაიწვი შე ეშმას ნაშიე-
რო! ფუპ, ფუპ, ფუპ! სამჯერ გადააფურთხა მკიდმა მარცხენა მხრი-
დან. — ეტყობა, ვილაც თქვენი წინაპარია შერისხული... ეს კიდევ არა-
ფერია. შენი შვილი ერთ უბედურებას კი გადაურჩა, მაგრამ წინ კიდევ
ორი ელოდება და უფრო უარესი! ყველაფერს თავი შეაჩვენებდა, თვალი
არ მოაშორო ბიჭს, თუ გინდა, რომ შვილი არ დაკარგვას! ფუპ, ფუპ,
ფუპ! დაიღუპე აქედან, ცეცხლმა გიყოს პირი! — ყვიროდა მკიდი და
აქეთ-იქით ატრიალებდა თავს.

გული გამეყინა. თითქოს მეც დავინახე ეშმაკი და უფრო მაგრად
მივეხუტე დედას. ამ დროს კალათის ქვეშ მომწყვდებულმა ჩვენმა მამა-
ლმა დაიყვილა.

— გესმის? შენი მამალიც კი ადასტურებს ჩემ სიტყვებს. — მე-
დიდურად განაცხადა საზიზღარმა მოხუცმა და თითი დაგვიქნია.

აყროლებულ, ჩაბნელებულ ოთახში სული მეხუთებოდა. მოუთმენ-
ლად ველოდი, როდის დაამთავრებდა შელოცვას და უწმინდურის წყე-
ვლა-კრულვას. როგორც იქნა, წამოდგა მკითხავი, ხელისგულებით მო-
ხვეტა მაგიდიდან ლობიოს მარცვლები და ტომსიკაში ჩაყარა. გარეთ
გამოვედით. სუფთა პაერზე ნელნელა მოვეგე გონს.

უკვე ჭიშკართან ვიყავით მისული, მკიდმა ხელი რომ წამავლო
და უცბად შემაბრუნა თავისკენ:

— იცოდე, დაუჯერე დედაშენს! — მუქარით მითხრა და გაჩინ-
კული თითი ზედ თვალებთან დამიქნია. მერე დედაჩემისკენ დაიხარა
და პირდაპირ ყურში ჩაუსისინა: — მხოლოდ შენი თვალები გადაგირ-
ჩენენ შვილს. დაიხსომე ეს და ერთი წამითაც არ დაივიწყო!

დედაჩემი უსმენდა, დამწუხრებული უქნევდა თავს და სლუკუ-
ნებდა...

მკითხავის სიტყვები თითქოს ბედისწერით იყო ნათქვამი და დე-
დას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ნაწინასწარმეტყველვეი უბედურება ახ-
დებოდა. სახლში რომ ვბრუნდებოდით, დედამ თავი ვეღარ შეიკავა და
აქვითინდა. იმდენი იტირა, რომ თავი ასტკივდა.

შინ რომ მივედით, დედამ ჩემი დები მოიხმო, წინ დაისხა და უთ-
ხრა:

— კარგად მოისმინეთ, რასაც გეტყვით... — დედა გაჩერდა, ტი-
რილით დაწითლებული თვალებით გოგოები შეათვალიერა და განაგრ-
ძო, — თქვენს ერთადერთ ძმას საშიშროება ელის და თუ ამას რამე
მოუვა, სინათლე ბნელით შეგვეცვლება. ერთი წამითაც არ მოაშორეთ
თვალი, თამაშის დროსაც არ მოაკლოთ ყურადღება.

დედა ისევ ატირდა.

სალამოს, ტანზე რომ გამხადა და ლოგინში ჩამაწვინა, დედა მა-
მას მიუჯდა და იმედიანად ჰკითხა:

— მითხარი, თქვენი წინაპრებიდან ვინმე ხომ არ არის შერის-
ხული?

— ჩემი გვარი არასოდეს არ შეურისხავს ვინმეს! — გაბრაზდა
მამა, — არასოდეს მიგვიტაცნია სხვისი, რაც გვქონდა, იმას ვჯერდე-
ბოდით, არავის ცუდი არ გავგხარებია... მე მგონი, ეს შენც კარგად
უნდა იცოდე...

მამამ მღურვით გადახედა დედას, წარბი შეიკრა, მაგრამ არ დაუტუქსავს და არ შეურცხვენია. ეტყობა, შეეცოდა.



ქართული

არ მახსოვს, ჩვენი ოჯახიდან ვინმე თუნდაც ერთი წელიწადი უფილიყოს უსაქმოდ. ჯერ კიდევ სალამოს იცოდნენ, ვის რა უნდა გაეკეთებინა მეორე დღეს. ვისაუზმებდით თუ არა, ყველა თავის საქმიანობას შეუდგებოდა.

აი, დღეს მაგალითად, მამაჩემი და ბიძაჩემი შეშის საჭრელად მიდიან. ახლომანლო ფიჩხსაც ვეღარ იშოვის კაცი. წინადღეს დილიდანვე ემზადებოდნენ: ლესავდნენ ნაჯახებს, აწესრიგებდნენ ხერხებს. ჩქარობდნენ. სექტემბერში მოჭრილი რცხილა არ ნესტიანდება, სწრაფად სმება, არ ლბება და რამდენიმე დღეში მთელი წლის სამყოფი შეშა უნდა დაამზადონ... ჭრიდნენ ხეებს, თაკარებად აწყობდნენ და მერე მთელი თვე ეზიდებოდნენ ტყიდან.

მარი მამიდა კაკალს ამტვრევს ჩემს დებთან ერთად. კაკლის გორებია. მერე ლებნებს ძაფზე ასხამს ჯანჯუხებისთვის. მამიდა ლელვსაც ხარშავს ქვაბში, მერე პატარა მაგიდებზე დააწყობს გასახმობად.

დედა ვერანდაზე წის და მთელი დღე მატყლს ჩეჩავს, რომელიც ელიზბარ ძიას მოუტანია საიდანღაც. ხვალ ის და ერთი მეზობლის ქალი ნაბდის მოთელვას დაიწყებენ. დედას იმედი აქვს, რომ დაჩეჩილი მატყლიდან სამი ნაბადი მაინც გამოვა.

ბაბუა გუადახს კაზმავს, მორიგ ყრილობაზე წასასვლელად ემზადება. ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის საადკილ-მამულე კომისიის წევრად აირჩიეს და ამ ბოლო დროს არცერთ ყრილობას არ აცდენს. იქ რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ ძალზე ხშირად ბაბუა ღრუბელზე უფრო მოქუფრული ბრუნდება ხოლმე შინ.

მეც მაკისრია მოვალეობა. ის უბრალო და იოლია, მაგრამ მაინც სიამაყით მავსებს! მეც ვშრომობ. ამაზე ბაბუამ იზრუნა... შუადღეზე მოზვერი და ხბოები უნდა დავარწყულო, სალამოს საძოვრებიდან დატენილი ცურების ქანაობით რომ დაბრუნდებიან ძროხები, საჩესში უნდა შევრეკო. წველის დროს ხბოები უნდა დავაკავო, ჯიქანზე რომ არ ეცნენ ძროხებს. ბაბუა რომ დაბრუნდება, გუადახს უნაგირს მოვხდი და ბაგასთან მივიყვან... ამასობაში, ჩემ საქმესაც ვაკეთებ. საქმე კი ყელამდი მაქვს. ხან ქოხებს ვაშენებ მყუდრო ადგილას, ხან ურმებს ვთლი, ხან წყლის წისქვილებს ვდგამ ჩვენ დელეზე, მშვილდოსნობაში ვვარჯიშობ. ბედელს შემოჩვეულ ჩხიკვებსაც უნდა ვუდარაჯო. იმათთვის ყოველთვის მაქვს მომზადებული ჩემი კონდახიანი მშვილდი...

დილით საუზმის შემდეგ სუფრიდან რომ ავდექით, ბაბუამ შეგვაჩერა და თქვა:

— ლაგანი უკვე ვაჟკაცია, ხანჯალს ატარებს, მაგრამ სროლით მხოლოდ მშვილდიდან ისვრის, სხვა იარაღი არა აქვს. მერე და რატომ? განა ეს სწორია?.. გადავწყვიტე, რომ ჩემმა შვილიშვილმა დღეს ყველას თვალწინ აილოს დამბაჩა და პირველად გაისროლოს დამოუკიდებლად. მაგრამ ისე კი არა, უმიზნოდ, მიზანში ისვრის და თავს გა-

უხვრიტავს იმ საზიზღარ ეშმაკს, მკიდმა რომ დაინახა... ეჰ, მკიდ, მკიდ... რამდენი ტყუილი მოიგონე! ყველაფერი კი ერთი მამლის გამო ჩაიდინე... — ბაბუამ უხალისოდ გაიცინა.

მერე ბაბუამ ხელი ჩამკიდა და ამაცურტიდან გამოიყვანა. /თხმელნარში ელიზბარ ძია დაწინაურდა, ერთი დიდი ნაფოტი დაწინაურდა და ბებერ თხმელაზე მიაჭედა სამიზნედ. ბაბუამ ქამრისა და ქვედაბურთის ორლულიანი კაჟიანი დამბაჩა ამოიძრო, ამ დამბაჩას იშვიათად ატარებდა, ხანდუკში ინახავდა თავის სხვა განძთა შორის, ათასში ერთხელ ამოიღებდა და მასწავლიდა, როგორ დამეჭირა ხელში და როგორ დამემიზნებინა. ახლა კი უნდა გამესროლა და თავს ძლივს ვიკავებდი, ხელიდან რომ არ გამომეგლიჯა ბაბუასთვის იარაღი.

— დამბაჩას ცალ ხელში იჭერენ, — შემახსენა ბაბუამ და ერთხელ კიდევ მაჩვენა, როგორ უნდა ვმდგარიყავი, — მარცხენა თვალს ვხუჭავთ, მარჯვენათი კი ვაკვირდებით, როდის გაუსწორდება მიზანი სამიზნეს. აი, შეხედე... ლულას ხან ავწევთ, ხან დავწევთ, როგორც საჭირო იქნება. როცა ნიშანი სამიზნეს დაემთხვევა, ჩახმახს დავუშვებთ. გასაგებია?

მან დამბაჩა გამომიწოდა. მე ხელი ჩავჭიდე, ჩახმახი ფეხზე შევაყენე, მოვემზადე... დამბაჩა მძიპეა, გაჭიმული ხელი ძლივს იჭერს, მიკანკალებს და სიმართლე გითხრათ, გასროლისაც მეშინია. მოკლედ, დამიზნებაც ვერ მოვასწარი და დამბაჩამ დაიქუხა და აბოლებული ბალახებში ვადავარდა. თოფის წამლის სუნზე ბველა ამივარდა, თვალები ამიცრემლიანდა, ნაფოტი კი, რა თქმა უნდა, არც შერხეულა.

— მიდი, აიღე იარაღი, — გავიგონე ბაბუას ხმა, — ორივე ლულა გატენილია და მეორესაც გაისვრი.

ახლა უფრო გულდაჯერებული ვიყავი, მტკიცედ ვიდექი ფეხზე. როგორც ბაბუამ მასწავლა, დამბაჩა ქვევიდან მალლა ავწიე და როგორც კი ნაფოტი სამიზნეს გაუსწორდა, გავისროლე. ნაფოტი ჩამოვარდა.

— ყველა გასროლა ასე მარჯვედ გამოვსვლოდეს, ჩემო კარგო! შენ სასიკვდილოდ დაჭერი ის წყეული ეშმაკი და სამუდამოდ განთავისუფლდი მისგან. დღეიდან დაივიწყე ის და ფიქრადაც კი არ გაივლო გულში, რომ თითქოს ის იყოს შენი ავადმყოფობის მიზეზი... გაიგე რა გითხარი? — ბაბუამ გულში ჩამიკრა. ბედნიერი და ამაყი ვიდექი. ჩემი გასროლის სანახავად შეგროვილი შინაურები კი მოცვივდნენ, მეხვეოდნენ, მილოცავდნენ და მისურვებდნენ, ყოველთვის ასე ზუსტად მესროლა. მხოლოდ დედაჩემს არ უხაროდა ჩემი წარმატება. საერთოდ არ მოსწონდა ჩემი ბოლოდროინდელი საქმიანობა და მით უმეტეს, დამბაჩის გასროლა... მაგრამ თავისი ნაფიქრალის ხმამალლა თქმას, ნება რომ მიეცათ, მაინც ვერასოდეს გაბედავდა. თუმცა თქმაც არ იყო საჭირო, ისედაც ყველა ამოიკითხავდა მის სახეზე, რასაც ფიქრობდა: „ავადმყოფობით ისედაც გატანჯულ ბავშვს ახლა კიდევ დამბაჩა უნდა? ხელში რომ გაუსკდეს? თოფის წამალმა თვალი რომ ამოუწვას? ამას კიდევ უბედურება აკლია?“

ამ დროს ბაბუა ნაღვლიანად ათვალიერებდა დამბაჩას.

— ახლა სხვანაირი იარაღი გამოვიდა, რომელიც ვაზნებით იტენება, — როგორც ყოველთვის, ბაბუა ახლაც დინჯად ლაპარაკობდა. —

ასე რომ, მორჩა, ჩვენ კაჟიან იარაღს ყავლი გაუვიდა. მაგრამ ეს ცხოვრება ამასთან მაქვს გატარებული და მიჭირს განშორება... დღეს საკმარისია, ლაგან. — ბაბუამ ხელი მომხვია და თავზე მაკოცა.

ორჯერ, სამჯერ კიდევ მომიწია ბაბუას დამბახის გასროლა. მერე კი ჩვენ სოფელში კაჟიანის ნაცვლად, როგორც ბაბუა ამბობდა, კუთხვილიანი დამბახა შემოვიდა. ელიზბარ ძიას ერთ-ერთი უმცირესი ძმის "ენდვესონის" სისტემის რევოლვერი ჰქონდა, რომელსაც ჩვენთან ოფიცრულს ეძახდნენ. რადგან, მათი აზრით, ასეთი მდიდრული იარაღი მხოლოდ ოფიცრებს თუ ექნებოდათ. ბიძაჩემი ხანდახან მასროლინებდა ხოლმე ამ იარაღიდან. ჩემი პირველი გასროლის ქუხილი ახლაც მიდგას ყურში.

ბაბუას ისევ დაეწყო თავის ტკივილი და რამდენიმე დღეა ლოგინიდან არ დგება. დედა ნივრის ნაყენით უხეღს საფეთქლებს და პირსახოციით უხვევს თავს. ამაცურტიდან ბაბუას შეკავებული კვნესა ისმის და ვხვდები, რომ ტკივილმა უმატა. ასეთ დროს ბაბუას არავის ნახვა არ უნდა, ჩიბუხიც კი ავიწყდება და ისიც გაცივებული, ობლად დევს თუთუნის ყუთის გვერდით.

ნეტავ მამსირი იყოს აქ, სისხლს გაუღებდა და ბაბუაც ხელად მოიკეთებდა. მაგრამ მამსირი მთაშია. ასე მიდის ყოველ ზაფხულს და გვიანობამდის არ ბრუნდება ხოლმე. ბაბუა კი ისეთ საპასუხისმგებლო ოპერაციას, როგორც სისხლის გამოშვებაა, მამსირის გარდა არავის ანდობს. ტანჯვას მხოლოდ ერთი რამელა უმსუბუქებს ბაბუას, მის საწოლთან მეზობლები იკრიბებიან და მთელი ღამე ართობენ. უყვებიან ცისას და ბარისას, ტყუილს და მართალს. მე სულგანაბული ვუსმენ მათ. ასე ღამეც რომ გაგრძელდეს ასე, სულერთია, ძილი არ მომიეკარება.

ამაცურტა ძლივს იტევდა ხალხს. ყველა იქ იყო, ვისაც კი ბაბუას ავადმყოფობა გაეგო. მხოლოდ ჩვენი მეზობელი ბიდა არ ჩანდა. ნეტა სად დაიკარგა? სულმოუთქმელად ველოდი მის მოსვლას — ჩვენ ერთმანეთი განსაკუთრებულად გვიყვარდა.

კარგად რომ ჩამობნელდა, სახლიდან გამოვედი და ჭიშკართან გავჩერდი. მინდოდა, პირველი შევხვედროდი ჩემ მეგობარს. ბიდა თუ გამოჩნდა, ხელად ვიცნობ. იმ სიმაღლეა, ყველა ღობეზე უფრო მაღლა მოქანაობს ხოლმე მისი თავი. დარი თუა, სუფთად გაპარსული, უფრო სწორად გაფხეკილი თავი მზეზე ულაპლაპებს. ავდარში კი თექის ფართო ქუდი ახურავს.

ხშირად ველოდები ბიდას აქ. მოვკრავ თუ არა თვალს, კისრის ტეხით გავრბივარ მისკენ. ბიდა მაღლა ამისვრის ხოლმე და ფრთხილად შემისვამს მხარზე. მის განიერ ჯიბეებში ყოველთვის არის გადანახული ჩემთვის რაიმე. ხან ვაშლი, ხან სათამაშო. ამას წინათ კი მშვილდისარი და ხუთი ისარი მაჩუქა.

ყველაზე მეტად მაინც ბიდას ზღაპრების მოსმენა მიყვარს. მერე და რამდენი ზღაპარი იცის, უღუველი. შეხსენებაც კი არ მჭირდება, მივუჯდები თუ არა გვერდით, ბიდა იწყებს: „სანამ მე ერთი ზღაპრი-

დან მეორეზე გადავიდოდი...“ მისი ხმა და ზღაპრები ისე მნუსხავენ, რომ რამდენიც არ უნდა მეძახონ, ვერ გამაგონებენ...

ველარ დაველოდე ბიდას, მივატოვე ჩემი პოსტი და ნაცურტაში დავბრუნდი... კერიაზე ცეცხლი ბუბუნებდა, ბაბუას ათბობდა და ისიც ღიმილით უსმენდა მეზობლების საუბარს. როგორც ჩანს, უცხოელმა უკლო, შეუშვა კლანჭები.

მე კერიასთან მივჩოჩდი, სადაც ცეცხლის გასალავივებლად ნაქურჩლები ეწყო გროვად და მათგან ქოხების აშენება დავიწყე. ვაშენებდი, მაგრამ ქოხები მაშინვე ინგრეოდა. გვერდით დაბალ სკამზე ბუთქუნა კუდი მოეკეცა კატას, იჯდა და თვლემამორეული თვალებით მომჩერებოდა...

— სადამო მშვიდობისა! — გაისმა ამ დროს და კარის წირთხლისთვის თავი რომ არ აერტყა, წელში მოხრილი ბიდა შემოვიდა.

ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

— დღეს როგორა ხარ, ბეჟან? — დაიხარა ის ბაბუასკენ.

— ვერა ხედავ? ვილაც უცხვირო დედაბერი მადვას თავზე და მე-ბუქრება, მალე წაგიყვანო. — გაეხუმრა ბაბუა.

კარგა ხნის ნავახშმევი ვიყავით, მაგრამ ჩვენი წესის მიხედვით, რა დროსაც არ უნდა გვწვევოდა სტუმარი, უნდა გავმასპინძლებოდით. ბიდასაც მაშინვე შევთავაზეთ ვახშამი. ჩემმა უმცროსმა დამ მაჩინმა დოქი და ტაშტი შემოიტანა და მოშორებით დადგა. იცდიდა, როდის ინებებდა სტუმარი ხელის დაბანას. მაგრამ ბიდამ იუარა, ეს ეს არის ავდექი სუფრიდანო. მასპინძლები არ მოეშენენ და ბოლოს და ბოლოს ბიდაც დათანხმდა, რამდენიმე ჭიქა გადაეკრა ბაბუას სადღეგრძელოდ. ბიდასთან ჩემი უფროსი და გურკა მივიდა ღვინიანი დოქით და ხონჩით, რომელზეც დაჭრილი ყველი და ახალი აჯიკა ეწყო, შუაში ჭიქა იდგა. ბიდა კი, ნაცრისფერ თვალება და უღალ უღვაშა, ფეხზე იდგა და ლაბის თავით ჭერს ებჯინებოდა. ხმაც ასევე მაღალი და ძლიერი პქონდა. ბიდა რომ ლაპარაკობდა, არავისი ხმა აღარ ისმოდა.

პირველი ჭიქით ბიდამ ბაბუას სადღეგრძელო შესვა, ჯანმრთელობა და ყოველივე სიკეთე უსურვა. ერთი ორი ჭიქა კიდევ გადაჰკრა და საუბარში ჩაერთო.

ბიდას მოსვლამდე ბაბუას მნახველები ლაპარაკობდნენ, რომ კიდევ არ დაცხრა ვნებათღელვები, არ მოისპო ქურდობა და ყაჩაღობაო. ბიდას მოსვლის შერე კი საუბარი მიწის განაწილებაზე ჩამოვარდა, რაც ჩვენს სოფელში ახალი დაწყებული იყო. ამ საკითხში ყველაზე უფრო გარკვეული ბაბუა იყო, რადგან საადგილ-მამულე მიწის კომისიის წევრი გახლდათ და ყოველთვის ესწრებოდა მათ ყრილობებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა არ შეეძლო ამ საკითხზე საფუძვლიანი საუბარი და მხოლოდ მოკლე შენიშვნებით იფარგლებოდა.

„როდის დამთავრდება ეს ლაყბობა? — ვკვდებოდი მოწყენილობისაგან, — ნუთუ ისე წავა ბიდა, რომ ზღაპრებს არ მომიყვება?“ ალბათ ჩემი დებიც ასე ფიქრობდნენ. უკვე ორჯერ ჩავუარე ბიდას, თითქოს ვანიშნე, რა ამბავია, რატომ ყურადღებას არ მაქცევ-მეთქი. უკვე დამე მიიპარებოდა და სტუმრებიც გაიკრიფნენ ნელ-ნელა.

— ლაგან! — დამიძახა უცბად ბიძამ, — აჰა, დაიჭი! — წამში მის გვერდით გავჩნდი. ბიძამ ჯიბეში მოიფათურა ხელი და ვაშლი ამოიღო, ძალიან დიდი, სისხლივით წითელი ვაშლი და ხელისგულზე დამიდო. მერე მუხლებშუა მომიმწყვდია და მკითხა:

— აბა, ახლა მითხარი, ისევ ვტეხავს ძვლები?

— უკვე მთლად მორჩენილი იქნებოდა ეს კუდიანი მკიდი რომ არა, შემოასია მთელი თავისი ეშმაკები. — ჩემს მაგივრად უპასუხა ბაბუამ. ის საბანში იყო გახვეული და კერიას მიჩერებოდა.

— ო, ო... ეშმაკებთან ბრძოლა ადვილი საქმე არ გახლავთ, — მოჩვენებითი სერიოზულობით თქვა ბიძამ, — მაგრამ მე და ლაგანი თუ ერთმანეთის გვერდით ვიქნებით, ყოველნაირ უწმინდურობას მოვკერვით. — ბიძამ თავისი დიდი და მხურვალე ხელი მომიტყაპუნა წურვზე.

— ეშმაკები, ეშმაკები, — ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაიმეორა ჩაფიქრებულმა ბიძამ, რომელიც ცეცხლს ჩასჩერებოდა. მერე ჩემზე გადმოიტანა მხერა და თქვა: — ამაღამ რომ რაიმე არ მოვუყვე ამას, მთელი სიცოცხლე არ მაპატიებს... ხაფანგში ვარ მომწყვდეული! კარგი, აბა, დაჯექი და მასპინე.

ჩაკბეჩილი ვაშლი გვერდზე გადავდე და სიხარულით მოვემზადე მოსასმენად. ელიზბარ ძიამ მუგუზლები შეასწორა, ისევ ავარდა ალი და იქაურობა განათდა. ყველა ჩუმად იყო და ამ დაძაბულ ღუმილში, როგორც იქნა, გაისმა ბიძას ხმა:

— ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად აჟი გიდი. არც ცხენი გააჩნდა და არც ძროხა. ერთადერთი თხა ჰყავდა და ისიც ურქო... — ბიდა გაჩუმდა, კერიიდან უკან დაიწია, ეტყობა დაცხა და ისევ განაგრძო, — ჰო და, ერთხელ, ღამე, როცა ყველანი ავადმყოფის საწოლთან იყვნენ შევროვილი, ისე, როგორც ახლა ჩვენ ვართ, ვიღაცამ უთხრა აჟი გიდის: „ადექი, მოკიდე ხელი შენს თხას და სანამ გარეთ კუნაბეტი ღამეა, ციხე-სიმაგრე ჩაბლახანში წადი. იქ დაკალი შენი თხა, გაატყავე და ხორცი მოხარშე... თუ არ შეგეშინდება და ისე მოიქცევი, როგორც გითხარით, ხუთივინი, ვინც გენაძლევებით, თითო თხას მოგცემთ, რა თქმა უნდა, ეშმაკები მშვიდობიანად თუ გამოგიშვებენ და ჩვენთან თუ დაბრუნდები“.

აჟი გიდიმ იფიქრა, იფიქრა და ბოლოს დათანხმდა. აბა, რას იზამდა, ერთი თხის ნაცვლად ხუთი ეყოლებოდა!.. ჩააბა თოკი თხას, მოიკიდა ქვაბი და გაუდგა ვზას ჩაბლახანისკენ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩაბლახანი ცნობილი ადგილია. ის მთელ აფხაზეთის სამეფოში იყო ქებული. სწორედ აქ იყო ბაღში მოსეირნე დედოფალმა ძმებივით ჩახუტებული ორი მგელი რომ დაინახა... თუმცა ამაზე სხვა დროს ვიამბობთ... მერე აფხაზებს მტრები დაესხნენ თავს. ისინი ზღვიდან მოვიდნენ, ნაპირზე გადმოვიდნენ და ბრძოლით შევიდნენ ქვეყნის შუაგულში. მათ ჩაბლახანის ციხე-სიმაგრემ გადაუღობა ვზა, მაგრამ მომხდურებმა მაინც მოახერხეს მისი აღება. წასვლისას საძირკვლამდე დაანგრეს იგი. ძალიან დიდხანს ჩიტებიც კი არ იკეთებდნენ იქ ბუდეებს. მერე ეშმაკებმა შეიყვარეს ნანგრევები და

ახლა ყოველ დღე იკრიბებიან ისინი იქ, ცეკვა-თამაშს მართავენ, ღრე-
ობენ და მხიარულობენ, როგორც შეუძლიათ...

აი, რა საშიშ ადგილას უნდა მისულიყო აუი გიდი და ისიც შუა-
ღამისას. მიდის აუი გიდი ჩაბლახანში, მიდის და ეშმაკებზე და ავსუ-
ლებზე ფიქრობს. მიდის და თან შიშისაგან ძარღვები უცახცახებს. მა-
გრამ რას იზამ, ძალიან უნდა, ხუთი თხა ჰყავდეს ერთის ნაცვლად...

მივიდა აუი გიდი, როგორც იქნა, დათქმულ ადგილას, დაანთო დი-
დი კოცონი, დაკლა თხა, გაატყავა და ხორცი ქვაბში ჩაყარა მოსახარ-
შავად. ზის და ელოდება, მაგრამ ძილმა წაართვა თავი. ველარ გაძლო.
ადგა, ბალახი დაგლიჯა, ტოტები დაამტვრია და საწოლი მოიწყო. წყა-
ლი ჩუხჩუხებს, ხორცი იხარშება, აუი გიდის კი სძინავს არხეინად.

იხელთეს დრო ეშმაკებმა და ხვრელებიდან გამოძვრნენ. ზოგი კე-
დელზე მოცოცავს, ზოგი მავთულხლართებზე, ზოგი თითქოს ციდან
ცვივა... მოგროვდნენ კოცონის გარშემო ბლომად, ახალგაზრდებიც და
ბებრებიც, უწვერულვამოები და წვერიანებიც, მაგრამ ორ ციდაზე მა-
ღალი არცერთი არ ყოფილა. დაიწყეს ყვირილი, ჩხავილი და გააღვი-
ცეს აუი გიდი. გაიღვიძა აუი გიდი, დაინახა ეშმაკები, შეეშინდა, მაგ-
რამ არ შეიმჩნია, ვითომ და აქ არაფერიყო, ქვაბში ჩაიხედა, ხორცი
გასინჯა და მოქაფვა დაიწყო. მოხდის ქაფს და ეშმაკებისკენ ისვრის.
ისინი კი უკან-უკან იწევენ, ეშინიათ, არ დაიფუფქონ, მერე ისევ ქვა-
ბისკენ მიძვრებიან. უცბად გაყუჩდნენ, გაისუსნენ, მიიწ-მოიწიეს და
ცეცხლთან ყველაზე უფრო ხნიერი ეშმაკი კურმაჩი მივიდა. ხედავთ?
ეშმაკებიც კი არ არიან უუფროსოდ! მთლად ჭალარაა, წვერი მიწაზე
დასთრევეს. დადგა და ქვაბს მიაშტერდა. აუი გიდიმ კი აიღო და მდულა-
რე შეასხა. „ოოო!“ — დაიბლავლა გაფუფქულმა კურმაჩმა, — ვიწვი,
ვიწვი!“ და მოუსვა იქიდან. ირბინა, ირბინა და ზურგით დაგორდა ბა-
ლახზე. წევს და ფეხებს აფხარკალებს, ეშმაკები კი სიცილით იფხრი-
წებიან. შემოეხვიენ გარშემო კურმაჩს, ჩაკიდეს ერთმანეთს ხელი და
დაიწყეს როკვა. ცეკვავენ ეშმაკები, მღერიან და თან ისე ბუქნაობენ,
რომ დედამიწა ზანზარებს და ყურებს იცობს საშინელი ხმაურის გამო.
აუი გიდის კი ვითომ ისევ არც არაფერი ესმის და ვერც ვერაფერს ხე-
დავს.

უცბად საშინელი მქუხარე ხმა გაისმა: „თუ აუი გიდის ურქო თხა
უკვე მოიხარშა, ქვაბიდან ხორცი ამოიღეთ და შიგ მისი პატრონი ჩა-
აგდეთ. აბა, ჩქარა, თორემ ფიჩხი აღარ არის!“

„ჩააგდეთ, ჩააგდეთ ცეცხლში!“ — ბრძანება გასცა კურმაჩმაც.
ეშმაკები მაშინვე ეცნენ აუი გიდის, ფეხებზე და ხელებზე მოებლაუ-
ჭნენ და კოცონისკენ წაათრიეს.

„ვერ მოგართვეს, წყეულებო! არ იცით, ვისთან გაქვთ საქმე!“ —
დაიძახა აუი გიდიმ, ქარქაშიდან თავისი ერთგული ხანჯალი დააძრო,
მოიქნია და... გაეღვიძა კიდეც. თვალები მოიფშვნიტა, წამოჯდა და
მიიხედ-მოიხედა. ხედავს, უკვე გათენებულა. ნამძინარევი ვერ ხვდე-
ბა: სად არის, აქ რა უნდა. მერე ციხის ნანგრევები დაინახა და ყველა-
ფერი გაახსენდა. რა საოცარია, კოცონი დიდი ხანია ჩაფერფლილა, ნა-
ცარიც კი გაცივებულა, მაგრამ, რაც მთავარია, ქვაბი არა ჩანს არსად.
„ფთქვათ, ხორცი ეშმაკებმა შეჭამეს და ტყავიც წაათრიეს, ქვაბი რა-

ლად უნდოდათ?!" — ფიქრობდა შეწუხებული აუი გიდი, მერე კეფა მოიფხანა, ადგა და ჩაბლახანს გაეცალა.

მიდის აუი გიდი გზაზე, ფიქრობს და ვერ მიმხვდარა, რა იყო სიზმარი და რა — ცხადი. მართლა დაუჯერებელი ამბავი კი შეემთხვა. ნეტა მენახა, თქვენ რას იზამდით მის ადგილას რომ ყოფილიყო. როგორც იქნა, მიაღწია თავის სოფლამდე, მივიდა იმ სახლამდე, სადაც ავადმყოფი იწვა და სადაც ნაძლევი დადეს. ჭიშკართან უკვე ელოდებოდნენ.

„რა ცოცხალ-მკვდარივით მოლასლასებ, ცოტა აუჩქარე ნაბიჯს, რამდენ ხანს უნდა გელოდოთ“. დაუძახა ერთერთმა იმ ხუთი კაციდან და ჭიშკარი გააღო. აუი გიდი ამაცურტაში შევიდა და რას ხედავს, კერიასთან მისი საწყალი თხის ტყავი აგდია. პატარა სუფრებს სტუმრები მისხდომიან. ყველას ღომი აქვს თეფშებით ჩამორიგებული. მიიწმომიწიეს და აუი გიდი გვერდით მოისვენს. მისი წილი ხორცი რომ მიაწოდეს, ყველას გაეცინა: „აილე, აილე, ნუ გრცხვენია! მართალია, თხა იყო, მაგრამ მაინც შენი გაზრდილიაო, მიაძახა ვილაცამ და აუი გიდის ოხშივრიანი ნაჭერი დაუდო წინ. მერე სიმღერა წამოიწყო და ყველანი აპყვნენ. მოკლედ, ყველაფერი ისე იყო, როგორც ჩაბლახინთან, ოღონდ იქ უწმინდური ეშმაკები დასცინოდნენ საწყალ აუი გიდის, აქ კი ადამანები.

იმ ხანებში, რომელზეც მე ვესაუბრებით, ჩვენ მხარეში ვილაც მოხეტიალე მოლა გამოჩნდა, რომელსაც პატარა ხოჯას ეძახდნენ. სოფლიდან სოფელში დაწოწიალობდა, სახლებში შედიოდა, ხან ვისთან რჩებოდა და ხან ვისთან. არავინ უწყოდა საიდან მოვიდა, ვინ იყო, რა გვარისა და ჯიშისა. ზოგიერთებმა ლამის წმინდანად შერაცხეს. ყოვლის მცოდნეს ეძახდნენ, რადგან მათი სიტყვით, საკმარისი იყო ავადმყოფის საწოლთან ჩამომჯდარიყო, თავისი შავყდიანი წიგნი გადაეშალა და მაშინვე ჩამოვითვლიდათ, რა აწუხებდა სნეულს.

დედაჩემს დიდი ხანია უნდოდა ჩემს გამოც ჩაეხედა პატარა ხოჯას წმინდა წიგნში, მაგრამ ერიდებოდა, იცოდა, რომ ეს ბაბუას შეურაცხყოფდა. ბაბუა, მისი შვილები და შვილიშვილები ხომ ქრისტიანებად ვითვლებოდით. „რამი გვჭირდება ვილაც მოლა, როცა ჩვენ ეკლესიაში დავდივართო“ — ამბობდა ხოლმე ბაბუა.

დაავადება კი ბოლო ხანებში გამიმწვავდა. მე ხომ წყლის წისქვილებს ვდგამდი ღელეზე. თანაც მხოლოდ კარგ ამინდში კი არა, ზოგჯერ წვიმაშიც. პო და, რა თქმა უნდა, ხშირად მთლად გავილუმპებოდი ხოლმე. ერთხელაც გავცივდი და ციებამ ახალი ძალით შემომიტირა. ისევ ვიტანჯებოდი, სახსრებმა ტეხვა დამიწყო და ძვლებმა ღრღნა.

დედაჩემი ადგილს ვეღარ პოულობდა, ლამის გონება დაკარგა. ოღონდ ისეთი ვინმე ენახა, ვინც ნამდვილად მომარჩენდა და არაფერს დაზოგავდა, ვერც ვერავინ შეაჩერებდა. სულერთია ვინც იქნებოდა ის: მუსულმანი, ქრისტიანი თუ საერთოდ უღმერთო. ოღონდ მისი ბიჭი გადარჩენილიყო და არას დაგიდევდათ.

იმ დღეს მამაკაცთაგან არავინ იყო შინ. ყველანი: მამაც, ბაბუაც და ელიზბარ ძიაც დილიდანვე წავიდნენ ხეობაში ყავრის სატკეჩად. დედაჩემმა წინადღითვე იცოდა, მართო რომ დარჩებოდა და ჩვენ მეზობელ კუჩირს მოელაპარაკა, მოლა მომიყვანეო.

და აი, ნაადილევს გვეწვია პატარა ხოჯა კუჩირის თანხლებით. შევხედე თუ არა მოლას, მაშინვე მივხვდი, პატარა ხოჯას რატომ ეძახდნენ. ჩვენ მეზობელს წელამდე ძლივს წვდებოდა, არა და არც ჩვენი მეზობელი იყო გოლიათი. მაჯაზე პატარა თეთრი ჯოხი ეპორწიალებოდა. მართალია, მართო არ იყო, მაგრამ მაინც აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და ბუტბუტებდა:

— უყურე, უყურე, მე ძალღი არ შეჭამოს!

სტუმრები აშაცურტაში შევიდნენ და დასხდნენ. დედამ სასწრაფოდ დაუდგა წინ პატარა მაგიდა. ეშინოდა, კაცები დროზე ადრე არ დაბრუნებულიყვნენ და მოლასთვის არ მოესწროთ. რა თქმა უნდა, მოლას სახლიდან არ გააგდებდნენ, ზედმეტსაც არაფერს აკადრებდნენ, მაგრამ ბაბუა ნაღდად გაბრაზდებოდა და მაგრადაც.

სუფრაზე, დედაჩემის აზრით, მუსულმანური საჭმელი იყო: თაფლის კვერები, ბლინები, ბრინჯის კოლიო და თაფლიანი წყალი ღვინის ნაცვლად...

თვალს არ ვაშორებდი პატარა ხოჯას, არც კაცი იყო და არც ბავშვი. მეჩხერი უღვაში პქონდა, თხელი წვერი, შავი ჩაცვივებული თვალები, წვეტიანი შავი ჩაჩი ეხურა. მაჯაზე თასმით პატარა თეთრი ჯოხი ეკიდა, რომელიც ჭამის დროსაც არ მოუშორებია. ცალ ხელს სწრაფად აფათურებდა სუფრაზე, მეორეთი კი საჭმელს იყრიდა პირში, თანაც ისე იხედებოდა, თითქოს რაც სუფრაზე იყო, ერთი ხელის მოსმით უნდოდა სტომაქში გადაეშვა. მესმოდა, როგორ აწკლაბუნებდა პირს, რა ნეტარებით ყლაპავდა შეუსვენებლივ თაფლიან წყალს. კუჩირი კი, პირიქით, სასმელს იყო შეჩვეული. ახლაც სიამოვნებით გადახუხავდა ერთ-ორ ჭიქა ჭაჭის არაყს, მაგრამ გვერდით მოლა ეჯდა და არ შეიძლებოდა. პო და, რა ექნა, ისიც ნაძალადევად წრუპავდა ტკბილ წყალს.

კარგად რომ გამოძღა, პატარა ხოჯამ უღვაშებზე გადაისვა ხელი, ჯიბიდან პატარა შავი წიგნი ამოიღო, გადაშალა და, ტუჩების ცმაცუნის მიხედვით მივხვდი, კითხვა დაიწყო. დედაჩემი და ჩემი დები პირდაპირ გაშეშდნენ. აბა, რა იქნებოდა, ახლა ჩემი ბედი თითქოს ხელისგულზე ედო მოლას. იგი ცოტა ხანს კითხულობდა, ეტყობა, გაიგო, ვინ ვიყავი, რა მჭირდა, წიგნი დახურა, გვერდზე გადადო და ფეხზე წამოხტა. სკამი მოაჩოჩა და ჩემ წინ დაჯდა. სწრაფი გამჭოლი მხერა მომაპყრო, ხელი გამოწია, ფეხებზე შემეხო. შემდეგ ლოყები გაბერა და სულის შებერვა დამიწყო: ფჰუუ, ფჰუუ! — ხან ერთ მუხლზე მიბერავდა, ხან მეორეზე. მისი ნერწყვის მხეფები ყინულის ნამცეცებივით მეცემოდა და ზიზღით ავარიდუ თავი. პატარა ხოჯამ ბოროტად გამიყარა თვალი თვალში. ფუჰჰ! ფუჰჰ! — მისი სუნთქვა საშინლად მტკენდა ფეხებს. უცბად გვერდზე გაიხედა, თითქოს რაღაც დაინახაო და გაუგებარი სიტყვები ჩაიჩურჩულა, თანაც ბრტყელ ხელისგულებს წვერზე ისვამდა.

— ო-ო-ო, რა გაქნილი ეშმაკია, ო, რა ეშმაკია, — წამოიკივლა მოლამ და ვილაცას მუშტი მოუღირა.

მომეჩვენა, რომ აჟი გიდის ურქო თხის ნახარშით გაფუფქული ეშმაკების წინამძღოლი კურმაჩი კიოდა. „იქნებ მართლა კურმაჩია?“ ამ საშინელმა მიგნებამ ურუანტელად დამიარა ტანსაცმელს მალე დაემშვიდდი, იმას მიწამდე დასთრევედა წვერი, ამასკენ წაიქცა.

ამასობაში პატარა ხოჯამ ჯიბიდან მათრახი ამოიღო და ჩურჩულით დაიწყო მისი გამონასკვა. გააკეთებს ერთ კვანძს, მიიტანს ტუჩებთან და რალაცას ჩაიბუტბუტებს. გააკეთებს მეორეს, კიდევ ჩაიბუტბუტებს და ასე შემდეგ. როცა მთელი მათრახი პატარ-პატარა კვანძებად იქცა, მოლამ მუხლებქვეშ გამიძვრინა და რაც ძალი და ღონე პქონდა, გაჭიმა.

— მორჩა, გავაგდე ეშმაკი! მაგრამ ეს ეშმაკი მართლა ეშმაკია, ამიტომ უნდა დავწვა! — გამოაცხადა მოლამ, ჯიბეებში დაიწყო ფათური და ქალაღდის ნაკუწები ამოიღო. — უნდა დავწვათ! — მოგვმართა ჩვენ.

რამდენჯერმე მომუჭნა მოლამ ქალაღდის ნაკუწები, მიწის იატაკზე დააგდო და ასანთს გაჰკრა. მერე ხელი ჩამჭიდა, იმ პატარა კოცონთან მიმიყვანა, ზედ გადამახტუნა, თავზე დედაჩემის შალის თავსაფარი გადამაფარა და პირდაპირ ცეცხლში შემაგდო. ალმა სახე ამილანდა, მწარე კვამლი სულს მიხუთავდა. მინდოდა თავი ამეწია და გამოვარდნილიყავი, მაგრამ ჩემ მკურნალს მაგრად ვყავდი ჩაბლუჯული. ის ჯოხს მიკაკუნებდა ზურგზე და ბუტბუტებდა:

— დაიწვი, დაიწვი, წყეულო ეშმაკო!

მეტის ატანა ველარ შევძელი, ხამბარასავით დავიჭიმე, დამწვარი თავსაფარი მოვიგლიჯე, გვერდზე მოვისროლე და არეული ნაბიჯით სუფთა ჰაერზე გავედი.

— შენ ძალიან ჭირვეული ყოფილხარ! — მომაძახა პატარა ხოჯამ, რომელმაც არ იცოდა, რა ექნა ჩემგან ნასროლი თავსაფრისთვის.

3.

ყველა ლეგენდასა და თქმულებას შორის აბრსკილის ამბავი იყო ჩემთვის დედის რძესავით ტკბილი. ის მაპურებდა და მარწყულებდა. აბრსკილზე ლეგენდები სულ პატარამ ვიცოდი. რა თქმა უნდა, ბაბუა მიაშობდა ხოლმე. ეს თქმულებები ფართოდ არის ჩვენში გავრცელებული, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა მოგიყვებათ. მაგრამ გმირის სახელს, რომელმაც გაბედა და უზენაეს ღმერთს აღუდგა, მხოლოდ ენამზეობისთვის როდი ახსენებენ. თუკი მასზე ლაპარაკი აუცილებელია, პირველად პატივცემული და დაფასებული ადამიანები იწყებენ საუბარს, ისეთები, როგორიც მაგალითად, ბაბუაა. მერე ისეთნაირად იხსენებენ, თითქოს გუშინ დაშორებოდნენ მას.

აბრსკილზე თქმულებები მკაცრია და საზეიმო. ამიტომ მთხრობილი არც მღერის და არც აფხიარცაზე უკრავს. მე მხიბლავდნენ ეს თქმულებები, სამოგზაუროდ მეწეოდნენ. ჩემს ბავშვურ წარმოსახვებსა

და გატაცებებს ველარ ვიოკებდი. ზოგჯერ აბრსკილს თითქოს ჩემი შინაგანი თვალით ვხედავდი და ის სულაც არ იყო ისეთი, როგორაც მას თქმულებები ხატავდა. ჩემი აბრსკილი ქვას წვეს ადენდა, უღვაშები შავი და მზინვარე ჰქონდა, მის ერთგულ ცხენს კი მათრახი არ სჭირდებოდა, ისედაც უჯერებდა პატრონს და ყოველგვარ ნაკურვილს უსრულებდა. ისიც მეგონა, რომ აბრსკილს ყველა გახედვით მშვენიერად უყვარდა (მე კი ჩემი თავი ასეთი მეგონა) და ირმის ნუკრებს აძლევდა ვასაზრდელად. ისეთი თვინიერები უნდა გაეზარდათ, რომ როცა მოუნდებოდათ, თავზე გადაესვათ ხელი. აბრსკილი მშვილდისრებს აკეთებდა და ბიჭებს ასწავლიდა, როგორ ესროლათ ისარი შორს, ძალიან შორს და როგორ დაეჭირათ თავისი ნასროლი ისარი ჰაერშივე... აბრსკილის ცხენი სილურჯე შერეულ შავად, ყორნისფრად მყავდა წარმოდგენილი, მოსევადებული, თეთრი წინდებითა და თეთრივე ვარსკვლავით შუბლზე. თითქოს ფრთებზეც თოვლივით თეთრი არშია ჰქონდა შემოვლებული. აბრსკილის ცხენი ბალახს და ფოთლებს არასოდეს ჭამდა, მხოლოდ და მხოლოდ ფოლადით იკვებებოდა...

აბრსკილმა სული ამიდულა და ამიფორიაქა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ის ნამდვილად არსებობდა, ვეძებდი, ველოდებოდი მის გამოჩენას, ვოცნებობდი და ვიმედოვნებდი, რომ როდესმე უსათუოდ შევხვდებოდი. თანაც ვღელავდი: ვიცნობდი კი? ან ხომ არ შემეშინდებოდა?

ყველაფერი რაც აბრსკილს ეხებოდა, იდუმალების ბურუსით იყო მოცული, მაგრამ ის მაინც ყველას უყვარდა, ყველასთვის ახლობელი იყო, იმათთვისაც, ვინც რაიმე იცოდა გმირის შესახებ და იმათთვისაც, ვინც უბრალოდ გულით ატარებდა მის ხატებას. როცა ხალხი იმ ჯოჯოხეთურ სატანჯველს იხსენებდა, ღმერთმა რომ მიუსაჯა აბრსკილს, მწუხარება ეუფლებოდათ, მაგრამ არც იმის იმედს კარგავდნენ, რომ ადრე თუ გვიან ბორკილები დაიმსხვრეოდა, აბრსკილი ბნელი, აშშორებული მღვიმიდან სინათლეზე გამოვიდოდა და მთელ აფხაზეთს მოედებოდა ეს სასიხარულო ამბავი.

ბაბუასაც ასე სჯეროდა. ბაბუასაგან ვიცოდი, როგორ ჰყვაროდა აბრსკილის დროს ძველი აფხაზეთის სამეფო. როგორ დაუნდობლად სჯიდა აბრსკილი ბოროტებას, რა სასტიკად უსწორდებოდა მტრებს და მჩაგვრელებს. აბა, მაშინ ვინ გაბედავდა ჩვენზე თავდასხმას. ისიც ვიცოდი, ყველას მძლეველმა და დამმარცხებელმა გმირმა თვით ღმერთი, ცისა და მიწის შემქმნელი ღმერთი რომ გამოიწვია ორთაბრძოლაში. როგორ განრისხდა ღმერთი ამ კადნიერ გამოწვევაზე, როგორ გაგზავნა მთელი თავისი ფრთიანი მხედრიონი, რათა შეეპყროთ და დაესაჯათ ის უგუნური. რა მძიმე იყო მსახურთათვის ღვთის ნების ასრულება — ბორკილები დაედოთ აბრსკილისა და მისი ჯადოსნური რაშისთვის და მღვიმეში ჩაეკეტათ საშუდამოდ...

— ... და დაკარგა ხალხმა უანგარო მსახური, მათი სამშობლოს ქომაგი და გადაპრჩენელი. დამთავრდა მათი მხიარული, უზრუნველი ცხოვრება და გაიწელა შიშით, მწუხარებითა და დამცირებით სავსე დღეები. რას არ აკეთებდა ხალხი, თავისი მფარველის დასახსნელად,

მაგრამ ყოველივე ამას იყო, ... — ამ ადგილას რომ მიდიოდა, ბაბუა თხრობას შეწყვეტდა ხოლმე და მწარედ ოხრავდა.

მოსმენილით აღგზნებული ვიყავი, უამრავი შეკითხვას მადგა ენის წვერზე, მაგრამ ბაბუას მწარე ფიქრებიდან მოწყვეტას ვერ ვბედავდი და დედას მივაშურებდი ხოლმე. მარტო თუ იყო, მაშინვე მოვეშვე-ბოდი, სანამ გვერდით არ მომისვამდა და ყველაფერს იჩინებდა. აი, ის საშინელი მღვიმე, საიდანაც თავის დაღწევა არ შეიძლება, ღმე-რთის მხედრიონს ბოროტმა ჯადოქარმა უჩვენაო, მეუბნებოდა დედა. მისი რჩევით დაამწყვდიეს იქ აბრსკილი, მაგრამ არც ჯადოქარს და-სდგომია კარგი დღე. ღმერთთან მორკინალი აბრსკილი რკინის ბოძზე რომ მიაჯაჭვეს, ისიც გვერდით მიუსვებს სადარაჯოდ. მღვიმეში ისეთი მყრალი და დახუთული ჰაერი იყო, თვით ჯადოქარიც კი ვერ სძლებდა, სული ეხუთებოდა. პო და, ისიც ყოველ ღამე ჩუმად გამოდიოდა ხო-ლმე გარეთ. გარეთ კი მგელი დარაჯობდა მღვიმეს და დაინახავდა თუ არა ჯადოქარს, მაშინვე ეცემოდა. იმასაც მეტი რა დარჩენოდა, მოახ-ტებოდა მგელს ზურგზე და წკნელის ნაცვლად შხამიან გველს გადა-უშხუილებდა. ასე მგელზე ამხედრებული დაჯირითობდა უგზო-უკვ-ლოდ. ასეთ დროს მთელ დედამიწაზე ჭექა-ქუხილი ატყდება, ელვით განათებულ არემარეზე ზოგჯერ მგელზე გადამჯდარი ჯადოქარიც გა-მოჩნდება ხოლმე. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ ჯადოქარს შეე-შინდეს და მღვიმეში შებრუნდეს. უზენაესს უნდა, რომ ის ფხიზლად დარაჯობდეს ტყეს. ეშინია აბრსკილმა ჯაჭვები არ დაწყვიტოს და თავისუფლება არ დაიბრუნოს. ასე რომ მოხდეს, მაშინვე გაცოცხლდება ერთი ქვის ორი ნახევარი, აი, იმ ქვისა, ახლა გორაკზე რომ უდრტვი-ნველად დევს, და იმ ბოროტი ჯადოქრის საძებნელად აგორდებიან, იპო-ვნიან და გასრესენ... ასეთი ანდერძი დატოვა ღმერთმა და ასეთიც უნ-და იყოს იმ ბოროტი სულის აღსასრული...

ერთი რამ კი ვერ გამიგია, რატომ სძულდა აბრსკილს წითურები და ჭროლა თვალეზიანები? დედა მიხსნიდა, ისინი ყველანი ბოროტები არიან, იმათ თვალებს უბედურება მოაქვთ ხალხისთვისო. მაგრამ თვა-ლწინ ჟღერს უღვაშეზიანი და ჭროლა თვალეზიანი ბიდა დამიდგებოდა და ყველაფერი ქარწყლდებოდა...

ჩვენ სოფელში ბევრი ადგილია, რომელთა სახელიც, ასე თუ ისე, აბრსკილთანაა დაკავშირებული; აბრსკილის წყარო, აბრსკილის ცხენ-საბმელი, აბრსკილის მოსაცდელი, უკვე ნახსენები აბრსკილის მღვიმე. ეს მღვიმე ჩვენი სახლიდან არც ისე შორს იყო. რაც შეეხება გორაკს, სადაც გაბობილი ქვა დევს, ჩვენი ეზოდან რომ დაიძახო, გორაკის წვე-რზე მდგარი კაცი უსათუოდ გაიგონებს. მე მაგალითად, თამაშში თუ ვიყავი გართული, რამდენიც უნდა ეძახათ, არ მესმოდა.

გორაკს გაბობილი ქვის გორაკი ჰქვია. მისი ხის კენწეროებს ზე-მთა აწვდილი მწვერვალი შორიდანვე მოჩანს და ისე ჰგავს იმ ქვას, რომელზეც დედაჩემი აჯიკას ნაყავდა, რომ ზოგჯერ ახრი ამეკვიატე-ბა, ადამიანის ნახელავი ხომ არ არის-მეთქი...

გორაკის ყველაზე მაღალ ადგილას ცადაბჯენილი ბებერი ცაცხვი დგას, მის გარშემო ისე მოკრიალეებულია ყველაფერი, ვერც გარეულ

კამას მოჰკრავ თვალს, ვერც გვიმრნარს და ვერც ანწლს. თითქოს და-
ვარცხნილ რბილ ბალახში კოჭამდე გეფლობა ფეხი.

ბაბუას თქმით, გაპობილი ქვის ბორცვი ოდითგანვე წმინდა ადგი-
ლადაა შერაცხული, თითქოს პირუტყვმაც იცისო, იქ ბალახის ძოვას
ერიდება, არც თაკარა მზეში აფარებს თავს იმ ერთადერთი ცაცხვის
ჩრდილს. ზამთრობით ცაცხვის ხშირსა და გაბურღულ ტოტებს უამრა-
ვი გარეული მტრედი ეხიზნება, მაგრამ არცერთი მონადირე არ ახ-
ლებთ ხელს, დიდ ცოდვად მიაჩნიათ ამ წმინდა ადგილას სისხლის და-
ღვრა.

გაპობილ ქვასთან პირველად ბაბუამ მიმიყვანა. მახსოვს, უკვე
შემოდგომა იდგა. მინდვრის ყვავილები შემჰკნარიყვნენ, დროდადრო
ცივი, ნესტიანი ქარი წამოუბერავდა ხოლმე, ხეებს ფოთლებს დააყ-
რევინებდა და ისინიც დამფრთხალი ფრინველებივით მიქროდნენ. ბა-
ბუა ცალი ხელით ჯოხს ეყრდნობოდა, ცალი ჩემზე ჰქონდა ჩავლებუ-
ლი და ფლატა-ფლუტით, ნელა მიუყვებოდა აღმართს. ხშირხშირად
ისვენებდა, სულს მოითქვამდა, შორს გაიხედავდა და ხან უცბად გამო-
ჩენილ ზღვას დამანახვებდა, ხან კიდე ერთმანეთზე მიწოლილი მთე-
ბისკენ გამახედებდა, ფაფუკი თოვლის ვერცხლისფერი ქუდები რომ
დაეხურათ უკვე.

წინათ არასოდეს ავსულვარ ამ სიმაღლეზე. ისეთი შეგრძნება
მქონდა, თითქოს ცისკიდურზე დავნავარდობდი. ეს სიმაღლე და ფრე-
ნის შეგრძნება მაჯადოებდა, ასეთი რამ არასოდეს განმეცადა, მაგრამ
როცა ჩემ წინ ბელლის ხელა ქვა ამოიზარდა, ყველაფერი დამავიწყდა
და გაოცებული მივაჩერდი. ქვის სიდიდეს იმდენად არ გაუუვოცები-
ვარ, რამდენადაც იმან გამოაცა, რომ ის მართლა შუაზე იყო გაპო-
ბილი, თავისთავად გახეთქილი კი არა, თითქოს ვილაცისგან საგანგე-
ბოდ შუაზე გაჭრილი.

„აი, ისიც, გაპობილი ქვა!“ გამიელვა თავში.

როგორც ჩანს, ბაბუა მიხვდა, გაოცებული რომ ვიყავი.

— წავიდეთ, წავიდეთ, გენაცვალე, ახლოდან ნახე ის ქვა, — მი-
თხრა და ჯოხის ბოლოთი თითქოს გზა მიჩვენა.

ფეხი ვერ მოვიცვალე, ადგილიდან. „საიდან გაჩნდა აქ ამხელა
ლოდი?“ — გაოცებული ვფიქრობდი მე.

— გახსოვს, აბრსკილზე რომ გიაშობდი? — მკითხა ბაბუამ, —
ხომ არ დაგვიწყნია?

— არა, ყველაფერი კარგად მახსოვს, ისიც მახსოვს, მღვიმეში
როგორ ჩაკეტეს, როგორ მიაჯაჭვეს რკინის ბოძს. ბოროტი ჯადოქა-
რიც მახსოვს... ყველაფერი მახსოვს!

ბაბუამ კმაყოფილად ჩაილიმა, ცაცხვის ქვეშ დაჯდა და ზურგით
ხის ძირს მიეყრდნო, მხრით ჯოხს დაებჯინა. მივხვდი, კიდევ რალაცის
მოყოლას აპირებდა და ახლოს მივედი.

— ვინც კი აფხაზეთს ესხმოდა თავს, — დაიწყო ბაბუამ, — ვი-
საც აფხაზეთის დარბევა და გაძარცვა უნდოდა, აბრსკილი ხვდებოდა
მახვილით ხელში და დაუნდობლად ჩეხავდა. მხოლოდ მტრებს კი არა,
ყველა ბოროტსა და უწმინდურს ეშინოდა მისი. თვალს მოჰკრავდნენ
თუ არა, უკან მოუხედავად გარბოდნენ. მაგრამ, უკაცრავად, სად დაი-

მალეობდნენ, აბრსკილი ქვესკნელიდანაც კი ამოაძვრენდა მათ... აი, ეს ბორცვი კი, ჩემო ძვირფასო, მისი საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო. როგორც ხვდები, ღმერთი აქაც არ ასვენებდა. მოვიდოდა ბორცვთან აბრსკილი, დაღლილობისგან ძლივს იჯდა ხოლმე ცხენზე, ჩამოხტებოდა, ამოვიდოდა მალლა, აი, აქ დაჯდებოდა მისადგომი რომ კარგად დაენახა. მტრები ხომ ყოველ წამს შეიძლება დასხმოდნენ თავს, ამიტომ სულ ფხიზლად უნდა ყოფილიყო. დენს ქვევით ტოვებდა, აი, იმ მინდორზე. როგორც კი მეფის ლაშქარი ბორცვს შემოესეოდა აბრსკილის ტყვედ ჩასაგდებად, მაშინვე ცხენისკენ გაქანდებოდა ხოლმე. აბრსკილის ცხენი კი, როგორც განსოვს, ფრთიანი იყო. მოახტებოდა ცხენს და ორივენი ზეცაში აიჭრებოდნენ. აბა აი, იქით გაიხედე, ხედავ, რაღაც ბრწყინავს. ის ზღვა არის. ერთხელ ხომ გაჩვენე... აბრსკილიც ხან იქ, ზღვის ნაპირას დაეშვებოდა, ხან პანავას გადაევლებოდა თავზე. პანავა აი, იმ მაღალ მთას ჰქვია! — და მიჰქროდა ერცახუსკენ... ვერაფერი ვერ მოუხერხეს ღვთის მსახურებმა. ძალით ვერ მოერივნ და ეშმაკობით აჯობეს. ესეც ხომ გაამბე, ალბათ განსოვს, არა?..

და აი, ერთხელ, როცა ნაჯაფარი, დაღლილი აბრსკილი აქ ისვენებდა, მტრებმა შენიშნეს და გადაწყვიტეს, რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, ხელში ჩაეგდოთ. კარგად იცოდნენ, თუ აბრსკილი ცხენზე შეჯდომას მოასწრებდა, მაშინვე ზეცაში აიჭრებოდა. ჰო და, მოილაპარაკეს, რაკი მიწაზე ვერაფერს ვაკლებთ, ახლა ცაში მოვსინჯოთო. მოილაპარაკეს და ბორცვისკენ გაფრინდნენ. იმდენი იყვნენ, რომ დღე დააბნელეს.

არ ვიცი, რა მოუვიდა მაშინ აბრსკილს, ან დაიბნა, ან დაეძინა ალბათ. მოულოდნელად დაესხნენ თავს. შეიძლება სულაც იმედი გადაიწყვიტა და თავის რაშს კი არ მოახტა, აი, ეს უზარმაზარი ქვა აიღო, თავისი ხელით რომ ჰქონდა ამოტანილი, აიღო, მოიქნია და ზეციური ლაშქრის შიგ შუაგულში ისროლა. სანამ ქვა მიჰქროდა, ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ფრთიანი მეომრები ბუხებივით ერთიანად მოხოცა ცისკიდურიდან. შეეშინდათ მეომრებს და აი, იმ შორეული მწვერვალების უკან დაიმაღლნენ. ცა ისევ მოკრიალდა, მზემ გამოიხედა, ქვა კი ძირს დაეშვა. აბრსკილმა თავს ზევით აზიდა მახვილი და ქვის ჩამოვარდნას დაელოდა. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ღმერთის მეომრები კი მიიმაღლნენ აქეთ-იქით, მაგრამ მაინც უთვალთვალებდნენ და მოინდომა, ერთხელ კიდევ ვჩვენებინა, ვის ეჯობებოდნენ... როცა ქვა ის-ის იყო აბრსკილს უნდა დასცემოდა, მან მახვილი შეაგება და ქვა ვაშლივით გააპო შუაზე.

ბაბუამ თხრობა შეწყვიტა, სელჩაკიდებული მიმიყვანა ქვასთან. გარშემო შემოვუარეთ. ნაპრალში ჩავიხედე, კიდევს ხელი გადავუსვი. ჰო, ქვა გაპობილი იყო, ზუსტად შუაზე იყო გაპობილი.

— აბრსკილმა მახვილი ქარქაშში ჩააგო, — განაგრძო ქვაზე დაყრდნობილმა ბაბუამ, — შეხედა ორად გაკვეთილ ქვას და წარმოთქვა: „აი, ასე გაიპო დღეს ჩემი სიცოცხლეც... ეს ჩემი წარსულია“. — და იმ ნახევარზე მიუთითა რომელიც გულაღმა ეგდო და თითქოს სახეს აჩენდა. „აი, ეს კი — ჩემი მომავალი“. და ახლა იმ ნახევარზე მიუთით-

თა, ჭრილით პირქვე რომ ეგდო და სახეს მალავდა, — ესენი ერთმანეთს განშორებული არიან“. ეს იყო გმირის უკანასკნელი სიტყვები. მერე აუჩქარებლად შეჯდა ცხენზე და ქვევითკენ წავიდა. იმ დღეს ღმერთის მებრძოლებმა საბოლოოდ ირწმუნეს, რომ მხოლოდ ძალით შეუძლებელი იყო აბრსკილის შეპყრობა... ეროვნული

ბაბუა ცაცხვის ქვეშ დაბრუნდა, მოხერხებულად დაჯდა მრდილში და ჩიბუსი გააბოლა. მე კი ნანახითა და მოსმენილით გაოგნებული ქვას ველარ მოვშორდი...

— წავიდეთ, ლაგან, შინ, დროა! — დამიძახა ბაბუამ. ადგილიდან არ დავძრულვარ. ახლად გაღვიძებულ კაცს ვგავდი, რომელიც ვერ გამორკვეულა, სად მთავრდება სიზმარი და სად იწყება ცხადი. ბაბუამ რომ ხელი ჩამჭიდა და წამიყვანა, მაშინ გამოვფხიზლდი და თითქოს გარშემო ყველაფერი განათდა.

გაზაფხულის ერთ მზიან დილას ეზოდან გავედით. ბაბუა თავის ცუადახზე იჯდა და მეც ზურგზე ვყავდი ტკიპასავით აკრული. უკან კი თეთრშუბლა იორღანზე მარი მაძიდა მოგვყვებოდა. თეთრშუბლა ფიცხი და ჩქარი იყო და მაძიდას ხშირ-ხშირად უხდებოდა მისი შეჩერება, უნებურად რომ არ გაესწრო ბაბუასთვის. მე კი ჯერ სოფლის კანტორას არ გავცილებივარ, გზატკეცილიც არ მინახავს, ამიტომ ვჩქარობ და ყველას ვუსწრებ. რა თქმა უნდა, ოცნებაში.

მოკვამი მივდივართ, იქაურ ეკლესიაში. ბაბუამ მაინც გაიგო, პატარა ხოჯა რომ იყო ჩვენთან და ანთებული ქალაღლით რომ შემილოცა, მკითხავზე კი ადრეც იცოდა. ძალიან გაბრაზდა, მაგრამ დედა შეეცოდა და აპატია, საყვედურიც არ უთქვამს. სხვა ასე ადვილად ვერ ვადაურჩებოდა.

ერთ საღამოს, მოლას შელოცვის შემდეგ, ბაბუამ თავი მოგვიყარა ყველას და გამოგვიცხადა:

— ბავშვი მოკვას ეკლესიაში უნდა წავიყვანო, იქ უნდა ვილოცო ამისთვის. გადადება აღარ შეიძლება. ისევ ყოველ დღე აციებს. მადლობა ღმერთს, ჩვენ გვარში მოიძებნება ხალხი, უფალთან რომ არიან ახლოს.

რა თქმა უნდა, არავის არაფერი უკითხავს და მოკვამი წასვლა გადაწყდა.

„ღმერთთან ახლოს მყოფი კაცი“, მოკვას ეკლესიის ზედამხედველი მამა დიმიტრი იყო, ჩვენებურად დირმიტს რომ უწოდებდნენ. ის ბიძად ეკუთვნოდა მამაჩემს დედის მხრიდან, რა თქმა უნდა, ასევე ელიზბარ ძიას და მარი მაძიდასაც. ჩვენ ძალიან იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. რაიმე საქმის გამო თუ მგზავრობდა, მაშინ დარჩებოდა ხოლმე დიმიტრი ჩვენთან, მაგრამ მაინც ყველას ძალიან გვიყვარდა. შემოვიდოდა თუ არა ეზოში თავის ტანდაბალი ჯორით, ყველანი მის შესახვედრად გამოვცვივდებოდით. ახოვანი იყო, მოხდენილი, მომრგვალებული კუბრივით შავი წვერი ჰქონდა. გრძელი, მძიმე სამოსელის შრიალით გვიახლოვდებოდა, მკერდზე ძვირფასი, საჩუქრად ბოძებული

ჯვარი უბრწყინავდა. ქალები შემოეხვევოდნენ ხოლმე და პირჯვრის გარდამსახავ ხელებს უკოცნიდნენ. ბავშვები კი რიგრიგობით ვეახლებოდით და ჯვარს ვემთხვეოდით.

ღირმიტის მოსვლას რომ გაიგებდნენ, სალამოს ნათესავები და მეზობლები შეგროვდებოდნენ ჩვენთან. გვიანობამდე უკიდრდნენ, საუბრობდნენ. ღირმიტი ღმერთზე და სარწმუნოებაზე საუბრობდა, ლაპარაკობდა, თითქოს ეს საკითხები არც აღელვებდა. მხოლოდ მაშინ გამოცოცნლდებოდა, ხალხის ბედ-იღბალზე რომ ჩამოვარდებოდა საუბარი. საკმარისი იყო, მისი თანდასწრებით რაიმე უკანონობა ან უსამართლობა გეხსენებინა და მაშინვე აფეთქდებოდა.

— ასეთები უნდა დახოცონ! — ყვიროდა იგი, ადგილს ვერ პოულობდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. მკერდზე მძიმე ჯვარი უქანავებდა.

— ვინ ვინ და, შენ არ ვეკადრება ასეთი სიტყვები, შენ ხომ ღვთის მსახური ხარ, — წყნარად, თავაუღებლად ცდილობდა ბაბუა ღირმიტის დაშოშმინებას.

— ვინც ხალხს არ უყვარს, ის არც ღმერთს უყვარს, — სიტყვას აწყვეტინებდა გააფთრებული მღვდელი.

ხალხში მითქმა-მოთქმა იყო, ღირმიტი ყოველთვის იარაღს ატარებსო თან. ჯერ მოცლილი ხალხის მოგონილი, ჭორი გვეგონა, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ სიმართლეს ამბობდნენ.

ერთხელ ჩვენთან გაათია ღამე. დილით ჯორზე ჯდებოდა გზის გასაგრძელებლად და ამ დროს ქუჩაში ყვირილი გაისმა: ცოფიანი ძაღლი, ცოფიანი ძაღლი... ღირმიტმა თვალის დახამხამებაში აიწია ანაფორის კალთა, შარვლის უკანა ჯიბიდან შავი დამბაჩა ამოიღო, ჭიშკარში გავარდა და ორი გასროლით დააწვინა ცოფიანი ქოფაკი, გახელებული რომ დარბოდა ქუჩაში.

— ოჰ, შენ ხომ ღვთის მსახური ხარ, შვილო, იარაღის ხმარება როგორ გაბედე? — უსაყვედურა მოხუცმა მეზობლის ქალმა.

— ცოფიანი ძაღლი ღმერთსაც ეჯავრება... — ღიმილით უპასუხა ღირმიტმა.

აი, ამ კაცთან მივდიოდით ახლა.

გაზაფხულია. გზისპირას ჩარიგებული აკაციები სურნელოვანი ყვავილების ფიფქებს გვაყრიან. გუადახნი დინჯად მიაბიჯებს, არ ფიცხობს, არც დაღლილია. ბაბუა ცხენის ნაბიჯების ტაქტს აყოლებს თავის კანტურს და წყნარად გვესაუბრება. მარი მამიდას ჩვენი ლაპარაკის მოსმენა უნდა და გვისწორდება, მაგრამ ბაბუა თითქოს ვერც ამჩნევს, მხოლოდ მე მომმართავს ხოლმე განზრახ: „კარგად გესმის?“ — „კარგად“ — ვეუბნები მე და ისიც განაგრძობს:

— მოკვას ტაძარი ზუსტად ათასი წლისაა... იცი, რას ნიშნავს ათასი? შეგიძლია დათვალო ათასამდე?.. აი, ათასი წლის წინათ ააშენეს ეს ტაძარი. აფხაზეთის მეფემ ააშენა. ოცი წელი მოუნდა მის აშენებას! მეფემ ხუროთმოძღვრებს მოუყარა თავი, ადგილი შეარჩია, — აი, ავალთ და ნახავ, იქ ორი მდინარე ერთვის ერთმანეთს: დვაბი და მოკვა. ეს ადგილი ალბათ იმიტომ აირჩია მეფემ, რომ სწორედ აქ არის აბუჯის შუაგული... როდისმე გაგიგონია ეკლესიის ზარის რეკვა?

როგორ არ გავიგონებდი, მისი ხმა ჩვენამდე კი არა, სოფლის ბოლოს აღწევდა!

აი, ეს კი ნამდვილად არ გეცოდინება, ზარს რომ სწორხედ სამჯერ შემოკრავენ, იმის მაუწყებელია, რომ მეორე დღეს მოკვამი სართო ყრილობაა... უცბად ბაბუამ აღვირი მოქაჩა და გუგუნი შეაჩერა. მარი მამიდაც იძულებული იყო თავისი მარჯვე და ფეხები თრია დაეოკებინა. მე ბაბუას ზურგიდან განზე გადავწიე თავი, მეგონა რაიმე საინტერესოს დავინახავდი, მაგრამ თურმე ბაბუას თუთუნის მოწვევა მონდომებია, ეს იყო და ეს. ჩიბუხი ამოიღო, თუთუნით გატენა, პირში გაიჩქო და კაჟს კვესი გაჰკრა. როგორც იქნა, გაჩნდა ნაპერწკალი და ცეცხლმოკიდებული აბედი ჩიბუხს დაადო, მოქაჩა, ლურჯად დაკლანკილი ბოლი გამჭვირვალედ გადნა ჰაერში. მერე ჩორთით დაძრა თავისი ცხენი. გზა განვაგრძეთ.

— ... გადიოდა წლები, ხუროთმოძღვარი კი აშენებდა და აშენებდა ტაძარს. ისიც წლითი წლობით მალღებოდა და მშვენიერდებოდა. დამთავრებას სულ ცოტაღა რომ აკლდა, ხუროთმოძღვარი იმაზე ფიქრობდა, როგორ დაასაჩუქრებდა მეფე. ეგონა, პატივსა და სახელს მიეგებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა ბედი ელოდა. აფხაზეთის მეფე მკაცრი და უმაღური აღმოჩნდა. უხვად დასაჩუქრების ნაცვლად ხუროთმოძღვარი აიძულა თავი მოეკლა. მეფეს მოახსენეს, მძიმე შრომა დასასრულს უახლოვდებაო, წავიდა თავისი თვალით რომ ეხილა, რასაც ამდენხანს ელოდა. შორიდანვე დაინახა დასრულებული ტაძარი; იდგა და ბროლივით ბრწყინავდა, გუმბათის თავზე კი ხუროთმოძღვარი ჯვარს ამაგრებდა. აი, სწორედ მაშინ დაებადა მეფეს საშინელი აზრი. „ოოო, ეს მართლა განუმეორებელი ოსტატი ყოფილა, — გაიფიქრა მან, — მაგრამ ისეთი ვინმე თუ შეხვდა, ვინც მეტს გადაიხდის, იმასაც აუშენებს ტაძარს და ალბათ უფრო მშვენიერსაც, ამიტომ უმჯობესია, გუმბათზე დარჩეს“. გადაწყვიტა მეფემ და ბრძანა, კიბე აეღოთ, რომლითაც ხუროთმოძღვარი გუმბათზე ავიდა...

დარჩა ხუროთმოძღვარი გუმბათზე. იცადა ერთი დღე, ორი, სამი... იმედოვნებდა, დაფიქრდება მეფე და არ გამწირავსო. ბოლოს მიხვდა, ფუჭი იმედი იყო, შეურიგდა თავის სკედრს და ქვემოთ შეგროვილ ხალხს მიმართა: „ჩვენ ყველანი მოკვდავნი ვართ, მეცა და მეფეც. დღეს მე მარგუნა ბედმა ამ ქვეყნიდან წასვლა, ხვალ ის წავა. მაგრამ ხალხი ამ ტაძარს რომ შეხედავს, ათასი წლის შემდეგაც გაგვიხსენებს ორივეს. ერთს — ლოცვა-კურთხევით, მეორეს კი წყევლა-კრულვით.“ ამ სიტყვების შემდეგ დიდი ხუროთმოძღვარი გუმბათიდან გადმოვარდა. ჩამოვარდნისას თავი ტაძრის სამხრეთ მხარეს დაარტყა და სისხლით შეღება. აი, რამდენმა წელმა გაიარა მას შემდეგ და კედელი ისევ წითელია. ასეა, უდანაშაულო სისხლს ვერარა წყალი ვერ ჩამორეცხავს, ვერარა დრო ვერ წაშლის...

ასეთი საუბრით მივადექით ღვაბის ფონს. ჩაყვეს თუ არა ფეხი მდინარეში, ცხენები ხარბად დაეწაფნენ წყალს. სანამ ისინი წყურვილს იკლავდნენ, მე იმ მხარეს ვიხედებოდი, საიდანაც ტაძრის გუმბათი მოჩანდა. გუმბათის თავზე მზის სხივებში გახვეული ჯვარი კაშკაშებდა.

მეორე ნაპირზე რომ გადავედით და ციცაბო აღმართი ავიარეთ, ჩვენს წინ დიდებული ტაძარი აღიმართა, ცად კლდესავით ატყორცნილი.

— ღმერთო დიდებულო, შეგვიწყალე და კეთილი თვალით გამოგვხედე, — ბაბუამ მარჯვენა ხელიდან მათრახი გავსწირობი და პირჯვარი გადაისახა.

მე და მარი მამიდამაც გადავიწერეთ პირჯვარი.

მაგრად ჩარაზულ რკინის ჭიშკარს გვერდი ავუარეთ და ნელა გაუყუევით ტაძრის ზღუდეს. ზღუდის გადაღმა უზარმაზარი ბაღი დავინახე, ათასნაირი ხეხილით სავსე. ბილიკებზე გრძელ შავ სამოსში გახვეული მონაზვნები მიდი-მოდიოდნენ.

წითელ სახურავიანი თეთრი სახლი, რომელშიც დირმიტი ცხოვრობდა, ზუსტად იქ იდგა, სადაც ტაძრის ზღუდე მთავრდებოდა. უკვე უუახლოვდებოდი ამ სახლს, ბაბუამ გუადახი რომ შეაჩერა.

— რა ამბავია, გადასახლებას აპირებენ თუ რა არის? — წამოიძახა მან. წინ იხედებოდა, ცდილობდა გაეგო, რა ხდებოდა.

თეთრი სახლის წინ ურემი დავინახე. ურემსა და სახლს შორის კაცები და ქალები ფუსფუსებდნენ. კარადები, საწოლები, ფუთები, ლეიბები, ათასნაირი ხარახურა გამოჰქონდათ და ურემზე აწყობდნენ...

ჩვენს შესახვედრად ვიღაც კაცი წამოვიდა. ვიცანი, ლადი იყო, დირმიტის უფროსი ძმა.

— რა მოგეჩვენათ, სად მიდიხართ? დირმიტი სად არის? სხვაგან გადაჰყავთ?

— აქეთ მოიწიეთ, — გვითხრა და ტოტებგაბარჯული თხმელისკენ გაგვიძღვა. — ცოტა ხანს ჩრდილში დასხედით, სახლში მაინც ვერ შეხვალთ. იასონ! — გასძახა მან ვიღაცას, — სკამები გამოიტანე!

ცოცხალმა, მკვირცხლმა ბიჭმა დიდი ჩექმების ბრახა-ბრუხით სკამები გამოიტანა და თხმელის ქვეშ დადგა. ბაბუა და ლადი დასხდნენ, მარი მამიდა კი უფროსების პატივისცემის ნიშნად, ფეხზე იდგა. თხმელა თითქმის ზედ უფსკრულის პირას იდგა, სადაც დგაფუნით მიედინებოდა დვაბა. მდინარის ტალღები ოქროს ქერეჭივით ბზინავდა მზეზე, მაგრამ ამ სიმაღლიდან დიდხანს ცქერას ვერ გავუძელი, თავბრუდამეხვა და იქაურობას გავშორდი.

— შენ გახარებას, დინჯად მიაბზე, რა მოხდა? — თხოვა ბაბუამ.

— რა მოხდაო? რა მოხდა და გუშინ დირმიტი ღმერთს განუდგა. წოდება აიყარა, წვერი გაიპარსა, თმა გაიკრიჭა და ანაფორა გაიძრო.

— რას ამბობ? — ბაბუამ ქამარში ჩაავლო ხელი და წამოდგა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მამიდაჩემმა. ის ისე შეწუხებული ისრესდა თითებს და ლოყებს, თითქოს დახოკვა უნდოდა.

„ნუთუ ჯვარიც მოიხსნა, ისე ლამაზად რომ ეკიდა მკერდზე?!“ — გავიფიქრე ქერქდამსკდარ თხმელაზე აკრულმა.

— როგორ მოხდა? რატომ? ვინ შთაავონა ამის ჩადენა? — ვერ მშვიდდებოდა ბაბუა. — თუმცა რას გეკითხები! ამ ბოლო დროს მაგისი ლაპარაკი რომ მოვისმინე, უნდა მეფიქრა, რაღაც ოინს რომ იზამდა.

— არავისთვის უკითხავს რჩევა, არც ჩვენთვის და არც სხვისთვის. რაც მოუვიდა თავში აზრად, ის გააკეთა. — მჭმუნვარედ უპასუხა ლადიმ. — მეო, ამბობს, უძლური ვარ ჩემი რწმენადარგული გულის წინაშეო. თუ გულში ერთი გაქვს და ენაზე მეორე, მაშასადამე, ცრუ და მატყუარა ყოფილხარო. მაშინ ხალხიც შეგიძულე და დეგინებ-სო... აი, როგორ გაგვახარა დირმიტმა.

ბიზლიჩიშვია

— ახლა სად არის? — ჰკითხა ბაბუამ.

— აქ არის, ახლოს, მეგობართან ზის. ჩვენ კი მის ბარგს ვეზიდებით. რაკი სამსახურს თავი მიაწება, მონასტრის სახლში ცხოვრების უფლება აღარ აქვს... ეს არაფერი, ცოტა ხანს ჩემთან იცხოვრებს და წერე ვნახოთ...

ამ ახალმა ამბავმა ბაბუას მუხლები მოუკვეთა. არ იცოდა, რა ეთქვა, რა ექნა. ხან სკამიდან წამოხტებოდა, თითქოს სადღაც გაქცევა უნდაო, ხან ისევ დაჯდებოდა დაბნეული და უმწეო.

— დირმიტი პატივცემული და დაფასებული კაცი იყო. მისი საქმიანობა ყველას ღვთის ნება ეგონა, მაგრამ რაც ახლა ჩაიდინა, როგორ გავიგოთ? მე მაგალითად, არ მესმის, — აღიარა მან.

კაცებმა ლაპარაკი დაიწყეს, შეკამათდნენ. მარი მამიდა უსმენდა და თვალები ცრემლით ევსებოდა, თითქოს დირმიტი გარდაცვლილიყო, სამსახური კი არ დაეტოვებინოს... მე უკვე მომეწყინა, გალავანთან მივედი და ტაძრის დათვალიერება დავიწყე. ვიცოდი, რომ ტაძართან ქალთა მონასტერი არსებობდა. მონაზვნებს შორის კი ბაბუას ძმის ნათესავი, მსიგუდი იყო. ის ზოგჯერ ჩვენს სოფელში ჩამოდის და დის სანახავად. გამოჩნდებოდა თუ არა კოჭებამდე შავი კაბით, შავი თავსაფრით თავწაკრული და ამოვარდნილი თეძოების ქვექვეით, ბავშვები წიოკობით გავცვივდებოდით აქეთ იქით. ის კი დაგვიძახებდა, შეგვაჩერებდა, ზოგს კანფეტს მოგვცემდა, ზოგს შაქრის ნატეხს, ზოგს სათამაშოსაც კი ვვაჩუქებდა... და აი, ახლა გალავანს აკრული თვალებდაჭყეტილი ვეძებდი ეზოში მოფარფატე მონაზვნებს შორის, მაგრამ ან ვერ ვხედავდი, ან ველარ ვცნობდი, ყველა შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს.

ამასობაში მარი მამიდა მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამჭიდა და ჭიშკრისკენ წამიყვანა. შევედით თუ არა ეზოში, მაშინვე მსიგუდს წავაწყდით.

— ბავშვს ყოველ დილა-სალამოს აციებს, გამოკეთება არ ეტყობა და გადავწყვიტეთ, მოკვაში მოგვეყვანა, დირმიტისთვის ვვეჩვენებინა. იქნებ აკურთხოს-თქო. აქ კი, აი, რა ამბავი დაგვხვდა! — დაიჩივლა მარი მამიდამ.

— ვინ იფიქრებდა, დირმიტი ამას თუ ჩაიდენდა! — თითქოს თავი იმართლა მსიგუდიმ და რატომღაც მე მომაჩერდა.

— რაკი აქა ვართ, ტაძარს მაინც ვაჩვენებ. დღეს ხდება რაიმე თქვენთან?

— საცაა ჯვრისწერა დაიწყება და ვიჩქაროთ. — მონაზონი გვერდიდან გვერდზე ქანობით ტაძრისკენ გაეშურა.

შიგ შევედით. მარი მამიდა განუწყვეტლივ იწერს პირჯვარს, სახთლების ალი მცხუნვარედ პარპალებს, გუნდი უკვე თავის ადგილასაა.

ზუსტად გუმბათის ქვეშ ვდგევარ, თავი უკან მაქვს გადაგდებული და მალლა ვიხედები, საიდანაც თვალდაუხამხამებლად მიცქერიან ანგელოზები და ქერუბიმები... არ ვიცი, რატომ და თითქოს პაპანაქება იყოს, წურწურით ჩამომდის ოფლი. საკმეველის სუნისგან საფეთქლები მტეხავს, მაგრამ მოთმინებით ვდგავარ. ესაა, რომ უფროსს ვხედავ ჩემი ნაბდის ქუდს.

ამასობაში ეკლესიაში ნეფე-პატარძალი შემოიყვანეს. გარშემო უამრავი ხალხი ეხვიათ, ალბათ, ნათესავეები და მეგობრები. რა თქმა უნდა, მღვდელი არ იყო და წესს დიაკონი ასრულებდა, მსუქანი და მოკლე კისურა კაცი. უცბად მისი წვრილი და წკრიალა ხმა გაისმა: „უფალო, შეგვიწყალე!“ გუნდი მაშინვე აჰყვა: „ალილუია, ალილუია, ალილუია!“

მე მარი მამიდას ჩავებლაუჭე. მეგონა, ვარეთ თუ არ გავიდოდი, გული შემიწუხდებოდა და იქვე ჩავიკეცებოდი. მაგრამ მარი მამიდას უნდოდა ბოლომდე ენახა ჯვრისწერა და მერე დიაკონთან მივეყვანე, იქნებ ნაკურთხი წყალი ესხურებინა ჩემთვის, საბოლოოდ რომ მომშორებოდა სატკივარი.

უცბად ჩვენს უკან მღვარი ხალხი შეიშმუშნა, აწრიალდა და ჩურჩული გაისმა: „დასაფია მოდის, დედა დასაფია!“ ყველა უკან იხედებოდა, ერთმანეთს ეკვროდნენ და მალაღმალალ, გამხდარ, გამოფიტულ და დაქანცულ ქალს გზას უთმობდნენ. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ის მოკვას ქალთა მონასტრის ილუმენი ყოფილა. მე ზუსტად მის წინ აღმოვჩნდი. დავიბენი, ფეხები ამებლანდა, გვერდზე გაწევა და ხალხში შესვლა ველარ მოვასწარი და თვალუბში შევეფეთე. დასაფიამ თვალი შემასწრო თუ არა, გაჩერდა, ლორწეტი მოიმარჯვა და თავიდან ფეხებამდე დაკვირვებით შემათვალიერა. ჩემმა ჩაცმულობამ გააოცა, მეტიმეტად გამოვიჩეოდი მლოცველთაგან: ქილებიანი ჩოხა, პაჭიჭები და მოქნილი წულები მეცვა, ხელი ქამართან მქონდა ხანჯალზე ჩამოდებული.

— ოჰ, შე ეშმაკის კერძო! — აიფოფრა ის, წელში გასწორდა და ხალხს თვალი მოავლო, — ესენი ვინლა არიან? ეს სოფლელები აქ ვინ შემოუშვა?

ჯვრისწერა გრძელდებოდა...

— ესენი მამა დირმიტის ნათესავეები არიან. ბიჭი მოიყვანეს საკურთხებლად, — ჩაიბლუკუნა მსიგუდამ და იქვე შეასწორა, — ყოფილი მამა დირმიტის...

— ვინა? ღმრთისაგან განდგომილის ნათესავეები? ესლა გვაკლდა! ჩვენ შევაჩვენეთ ღმრთისგან განდგომილი დირმიტი, რომელმაც გაბედა და ღმერთი და წმინდა ტაძარი გაკილა. ის ჩვენი სამყოფელიდან გავაძევეთ და ანათემას გადავეცით მისი სახელი. ალბათ მთელი ოჯახი იმას ჰგავს... აქ რა ესაქმებათ? ამათ ღმერთთან რა საქმე უნდა ჰქონდეთ, ან ვინ არის მაგათთვის ღმერთი? გაეთრიეთ აქედან! — დასაფიამ კარებისკენ მიგვიითია.

— ჩვენ შენთან არ მოვსულვართ, წმინდაო დედავ, ღმერთთან მოვედით ლოცვა-კურთხევისთვის და არა წყევლა-კრულვისათვის! შენ კი მის სამყოფელში ისე იქცევი, თითქოს საკუთარ სახლში იყო! —

განრისხებულმა უბასუსა მარი მამილამ ილუმენიას. მერე ხელი ჩამჭიდა და ამაყად გამოვიდა ტაძრიდან.

ხალხი შეშინებული გვიყურებდა, თითქოს რაღაც საშინელება ჩაგვედინოს.

მომხვდა თუ არა ნიაფი, მაშინვე გამოვცოცხლდი და სველაფერი დამავიწყდა.

— სისხლიანი კედელი მაჩვენე, — ხელზე ჩამოვეპორწიალე მარი მამილას. მაგრამ იმას ჩემთვის არ სცხელოდა, ისე აღელვებული იყო, არაფერი ესმოდა, ყურადღებას არაფერს აქცევდა და მდუმარედ მიმათრევდა ჭიშკრისკენ.

ტაძრიდან გამოსულები ფლატესთან მივედით. ბაბუა და ლადი ისევ თხმელის ქვეშ იხდნენ. მათ გვერდით ახოვანი და წარმოსადეგი კაცი იდგა, ხელში მოკეცილი მათრახი ეჭირა. შორიდანვე შეინიშნებოდა, ძალიან კარგ ხასიათზე იყო, ილიმებოდა და თეთრ კბილებს აჩენდა. ეტყობა, ძალზე სასაცილო რაღაცას ჰყვებოდა.

რომ მივუახლოვდით, დირმიტი ვიცანით. სულ სხვანაირი იყო, იმას არ ჰგავდა, როგორსაც შეჩვეული ვიყავით. ჯვალოს ანაფორის ნაცვლად შემოტმასნილი რუხი ჩოხა ეცვა. ახლად გაპარსული ლაწვები უბრწყინავდა. მკერდზე ჯვრის ნაცვლად ტყავის წვრილი ზონარი ეკიდა რევოლვერის ბუდედღე. ბუდიდან რევოლვერის ტარი ქანაობდა.

მარი მამილამ კინალამ ფეხები მოიმტვრია, ისე გაიქცა, ეცა დირმიტს და კოცნა დაუწყო. თან ტიროდა, თითქოს უგზო-უკვლოდ დაკარგული ახლა გამოჩენილიყოს.

დირმიტი კი იდგა და თავისთვის იცინოდა.

ბაბუა ბრახობდა, თავს აქნევდა და აქეთ-იქით იხედებოდა, უღვაშის ცქიტს იწიწკნიდა, სკამზე წრიალებდა. ეკლესიაში შესვლაც კი არ უცდია, ისიც საკმარისი იყო, პირჯვარი რომ გადაიწერა. მგონი არც სჯეროდა, ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილი დირმიტი რომ იდგა მის წინ, თანაც შეიარაღებული. დირმიტი, ღვთის მსახური!

— აბა, კარგად იყავით! დღეს უჩემოდაც ბევრი საქმე გაქვთ. — მოკლედ ამოიოხრა, სკამიდან მათრახი აიღო და წამოდგა.

ამ დროს ჩვენთან ისევ იმ ბიჭმა — იასონმა მოირბინა დიდი ჩექმების ბრახუნით. ხელში ვილაცის მოვარაყებულ ჩარჩოიანი სურათი ეჭირა, დამტვერილი და ობობას ქსელში გახვეული.

— აი, სახლის ქვეშ ეგდო ხარა-ხურაში. — ქოშინით თქვა და დირმიტს ჰკითხა, — სად დავდო, ურემზე?

— ოო!.. ნიკოლოზ მეორეა, დამხობილი, მტვრად ქცეული თვით-მპყრობელი. ძლივს ვიცანი. — თქვა ლადიმ.

— თითქოს გუშინ იყო, ამისი სახელის გარეშე ეკლესიაში არცერთი წირვა არ იწყებოდა. ახლა კი სურათიც აღარავის ჭირდება... ჭეშმარიტებაა — ეს ცხოვრება კიბეა, ზოგი ადის, ზოგი ჩადის... ასეა ასე, პატივცემულებო. — ამ სიტყვებით ბაბუა იქითკენ წავიდა, სადაც ჩვენი ცხენები იდგნენ.

— იქით მოისროლე, — დირმიტმა მათრახით მდინარისკენ მიუთითა.

იასონი მორჩილად მივიდა ფლატესთან, სულ კიდესთან გაჩერდა, მოიქნია და სურათი მდინარეში გადააგდო. თითქოს ახლაც ვხედავ, როგორ ბზრიალ-ტრიალით მიდის სურათი, მერე თითქოს ბრინობსო, ნელა ეშვება ძირს და ბოლოს, დაჭრილი ფრინველივით ტყვიასავით მძიმედ ვარდება მდინარეში. იძირება...

უკან ვბრუნდებით. არ ვლაპარაკობთ, ხმასაც არ ვუწყოფებით, ყველანი თავისას ვფიქრობთ. მხოლოდ ცხენების ფლოქვების თქარუნი მოგვაცილებს მთელი გზა. მე ბაბუას ზურგს ვეკვრი და ვქანაობ. ცხენის თანაბარი ნაბიჯი მინანავებს და ჩემს წინ დიდებულ ოსტატს ვხედავ გუმბათზე გაქვავებულს, შემდეგ დასაფეას. ისევ ვხედავ ჩემზე მოშტერებულ მის ბოროტ თვალებს. ვკრთები, თვლემას ვიბერტყავ და უფრო მაგრად ვხვევ ხელებს ბაბუას.

შთაბეჭდილებებით სავსე ვარ. როგორც გინდათ თქვით და, მე-გობრებისთვის ბევრი რამა მაქვს მოსაყოლი, თღონდ მალე მივიდე სახლში!..

და აი, როგორც იქნა ჩვენს ეზოში შევედით. ჩამოვქვეითდით. უცნაურია, ამხანაგებთან კი არ გავვარდი, გაპობილ ქვასთან მივიჩქარი. თვითონ ფეხებს მივყავარ ჩემდაუნებურად და იქიდან ვუყურებ მოკვას ეკლესიას. წინათ მხოლოდ გარედან ვხედავდი, ისიც შორიდან, ახლა კი ისიც ვიცი შიგნით როგორია.

როგორც კი მზემ ამხარის მოწნული კედლების ჭუჭრუტანებში შემოიჭყიტა და ლოყა გამიხურა, გავიღვიძე, წამოვჯექი და მუჭებით თვალები მოვიფშენიტე. კედლიდან კედლამდე მახვილივით კვეთდა ოთახს მზის ათასი სხივი. „ერთი ესენი დამაჭერინა, რომ დავჭიმო, ზედ დავეკიდო და ვიქანავო.“ — გამიელვა თავში.

ამხარში სიწყნარე იყო. ეტყობა დედა და მამა კარვა ხანია ამდგარიყვნენ და ამაცურტაში წასულიყვნენ. მე მარტო დამტოვეს.

საწოლის ახლოს ახალთახალი შარვალი და მაუდის მოკლე ახალუხი დავინახე, იატაკზე კი მოქნილი ტყავის წულები, წინა ღამეს სანთლების შუქზე რომ შემიკერა მამამ. „დღეს ხომ დღესასწაულია!“ გამახსენდა, საწოლიდან წამოვხტი და ფათაფუთით დავიწყე ჩაცმა. ვჩქარობდი, ვაი თუ ჩვენები წავიდნენ და მე სულაც დავავიწყდი მეთქი. „ტუკ-ტუკ-ტუკ!“ მხიარულად დაარაკუნა კოდალამ ვენახის გაღალმა და დღის მომატებას დაგვპირდა. ცოტა ხნის წინათ ბალებსა და ტყეში არაკუნებდა...

კარი გავაღე და ეზოში გავედი. კარგად ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი და რა უნდა მექნა. ჯერ კიდევ შარშან, შარშანწინაც კი ვიცოდი და ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მასწავლეს.

უწინარეს ყოვლისა, თხილნარში შევვარდი და დაბუსხულ კვირტებიანი ტოტები დავამტვრიე. მერე ბებერ თხმელას ფეხი მივაჭირე, ცოტა სურო ავალლიტე, ყლორტები ორ თანაბარ ნაწილად გავყავი და შევკონე. ამ პატარა კონებით ამაცურტაში გამოვცხადდი. მთელი ჩვენი ოჯახი უკვე აქ იყო: ღამაზად გამოწყობილები, მომლიმარენი. ყველა

ჩქარობდა ერთმანეთისთვის მიელოცათ. არავინ არავის არ აბრაზებდა, არც თვითონ ბრაზობდა, მართლა ჩხუბსა და აყალ-მაყალზე ხომ ლაპარაკიც ხედმეტია. ძაღლის გაჯავრებაც კი ცოდვად ითვლებოდა. ამინდიც ხელს უწყობდათ. ცა მოწმენდილი და ღრმა იყო, ჰაერი სუფთა და ცინცხალი, კარგად გაწმენდილ ჭიქასავით გამჭვირვალე შევედი თუ არა შუშაბანდში, ბაბუა დავინახე, ისე გამოწყობილი იდგა, თითქოს სახეიმო ყრილობაზე მიდიოდა, ეს იყო, რომ ხანჯალი არ ეკიდა ქამარზე. ასეთ დღეს იარაღის ტარება არ შეიძლება. გუშკა ჩოხას უკრავდა.

— მომილოცავს, ბაბუ, — მხიარულად მივვარდი ბაბუას.

— შენც გილოცავ, ჩემო ბიჭო. დაე, ასი წლის მერეც ასე უხაროდეთ ამ დღის დადგომა, როგორც ჩვენ გვიხარია დღეს. — ბაბუამ დაქლოცა და თავზე მაკოცა.

ერთი კონა შემოსასვლელ კართან დავკიდე. ერთი უკვე ეკიდა, მამას მოეტანა. ამიტომ ამდგარა ყველაზე ადრე. ყველა თვლიდა, რომ მამას მუდამ ბედნიერება სდევდა თან და ამიტომ პირველი ის უნდა შეხვედროდა გაზაფხულს. ლურსმანზე რომ ვკიდებდი კონას, არც ამ შელოცვის თქმა დამვიწყნია:

ვისაც მოაქვს სიკეთე,
ეს სახლკარი ალალ მისი!
ვისაც მოაქვს სიბავე,
წყეულ იყოს ფეხი მისი!

მეორე კონა სახლის წინ ჩამოვკიდე. იქაც ყველაფერი ვთქვი, რაც საჭირო იყო...

კიბეზე კისრისტეხით რომ ავრბოდი, პირდაპირ ელიზბარ ძიას ჩაკუვარდი მკლავებში. ხელი წამავლო და ამბურთავა:

— მომილოცავს გაზაფხულის მოსვლა, აი, ამ სიმაღლე გაიზარდე; ცის სიმაღლე გაიზარდე!

ძლივს დავუსხლტი.

სხვა დროს ელიზბარ ძიას ჩემთან თამაში რომ მოენდომებინა, სიხარულისაგან ვიჭყლოპინებდი, მაგრამ ახლა რაც შეიძლება მალე უნდა დავბრუნებულიყავი ამაცურტაში ბაბუასთან. რატომღაც ყველა მე შეჩეხებოდა წინ, თითქოს ჩემი შეყოვნება განეზრახოთ. მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ, გულში მიკრავდნენ. მხოლოდ დედაჩემი შემეხო ოდნავ ტუჩებით შუბლზე, ესეც იმიტომ, რომ ხელები დაკავებული ჰქონდა. დილიდან ცომს ზელავდა. კვერებს აგუნდავებდა, უამისობა დღეს არ შეიძლებოდა. აგუნდავებდა და მწყობრად ალავებდა მაგიდაზე. არცერთი კვერი არ ჰგავდა ერთმანეთს, ყველა სხვადასხვანაირი იყო. ბრტყელები, მრგვალები, გრძელები, მოღუნულები. ზოგი პატარა, ზოგი დიდი... მალე, როცა კვერების აუცილებელი რაოდენობა მზად იყო, დედამ მდულარეში ჩაყარა ისინი.

სანამ კვერები იხარშებოდა, დედამ აიღო, კართან მიდგა და გასასვლელი გადაკეტა. მერე გუშკაც მოიხმარა და ზედ კერძები დაალაგა. რაღა არ იყო: მოხარშული ბრინჯი, მაგრად მოხარშული კვერცხები, ცივად მოხარშული ქათმები და ბაყე. ყველაზე ბლომად

ყველი იყო, ნაირნაირი და სურნელოვანი სანელებლებით შეზავებული. უმარილო, ჭყინტი, ხმელი, შებოლილი, ცომში ჩართული, სალომე და საჭადე ყველი... მე კი ხილისკენ გამირბოდა თვალი. გაზაფხული იყო და ხილის შოვნა არც ისე ადვილი გახლდათ. სუფრაზე კი უხვად ეწყო მსხალი, ბროწეული, ვაშლი, ყურძენი და სურნელებად ქცეული კომში. კვანიც აუცილებლად იქნებოდა... ვიცოდი, რომ ყველა წესის აღსრულებისა და დაცვის შემდეგ სუფრაზე დაწყობილი სასოვაზე ჩვენ შორის განაწილდებოდა და მეც კარგა ბლომად შემხვდებოდა, მაგრამ არც ახლა მაწყენდა რაიმე ყელის ჩასაკოკლოზინებელი რომ დაშეთრია.

აი, კვერებიც მოიხარშა და დედამ ისინიც სუფრაზე ამოაწყო. მერე ხის დიდი გობი მოიტანა, სავულდაგულოდ დაალაგა ზედ კვერები და გობი ბაბუას გადააწოდა. ბაბუამ ჩამოართვა ორთქლით გაბულული გობი, ხელისგულზე დაიდგა და უკან არც მოუხედავს, ისე წავიდა. ჩვენც უკან გავყევით: მამაჩემი, ელიზბარ ძია და მე — მხოლოდ მამაკაცები, იმიტომ რომ ამ წესის აღსრულება ქალების საქმე არ ვახლავთ.

ჯერ საჩეხის წინ თავმოყრილი ცხოველებისკენ წავიდა ბაბუა. პირუტყვმა დაგვინახა თუ არა, აწრიალდა და აზმუვლდა, ცხვრებმა პეტელი დაიწყეს, მარილს ელოდებოდნენ, მათ ოდინდელ ნუგბარს.

ბაბუამ პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა, გობს დახედა, მრგვალი კვერი აიღო, მალლა ასწია, მზეს შეუშვირა და ლოცვა დაიწყო. ჯერ ხმარაბოა ლოცულობდა, მერე კი თანდათან აუწია ხმას:

ო, აითარ, დიდებულო აითარ,
 იყავ რისხვა გარეულთა ნადირთა.
 დაე, იყვნენ თვალის გასახარები
 ჩვენი თხები, ფურები და ხარები.
 მოგვე ბევრი რქოსანი,
 ცხოველი ჩლიქოსანი.
 რძით აგვივსე ქოთნები, ერბო — ყველით დერგები.
 მოამრავლე არვები ყოჩითა და ერკეპლით.
 ბევრი ძოვოს ბალახი,
 ბევრი გვექონდეს კარაქი.
 მოგვიმრავლე ბულები,
 მოგვიმრავლე ფურები,
 დეკეული, მოზვერი დაე იყოს ულევი.
 ყველა იყოს ჯანმრთელი,
 ზორბა და გათქვირული,
 ისე, როგორც კუპატი
 შენთვის შემონახული.
 ავზნიანი, სნეული, უჯიშო და ბერწი
 შენი ნებით, აითარ, იყოს ეშმას კერძი.

ბაბუას ხმა უკანკალებდა, დრო და დრო უწყდებოდა კიდევ და ისე წარმოთქვამდა ლოცვას, თითქოს მართლა ხედავდა მის წინ ღვთაება აითარს. პირუტყვიც კი გაყუჩდა, ისე გაისუსნენ, იფიქრებდით, ლოცვას ისმენენო. ჩვენი რუხი ნიკორა ძროხა, რომელიც დიდ პატივში

გვყავდა, როგორც მეწველი, მოხუცის წინ დადგა და თავისი კეთილი წყლიანი თვალები ყურადღებით მიაპყრო. მისი ხმო კი არ ისვენებდა, მუცელქვეშ უძვრებოდა დედას, სხვებს ებუსკნავებოდა და ჯიქნისკენ იწევდა.

მართალია, არასოდეს მენახა, მაგრამ მაინც ვიცოდი, როგორი იყო აითარი. გვერდითაც რომ გედგეს, დღისით მისი დანახვა შეუძლებელია. პატარაა და მორგვივით მრგვალი, ყოველლამე საჩეხში მოდის და ძროხების ზურგებზე კოტრილობს, მერე რომელიმე მათგანის თავზე მოიკალათებს და რქებს შუა ფხანას უწყებს. ძროხას ეს მოსწონს და სიამოვნებისაგან ზმუის. პატრონს თუ უნდა, მისი პირუტყვი მრავლდებოდეს (და ეს ვის არ უნდა), ზმუილს რომ გაიგონებს, აითარი ასეთი სიტყვებით უნდა გაამხნევოს:

არ მოგვაკლო სიკეთე
ჯიქნისა და ცურისა,
თავთავები პურისა,
რქა ხარის და ფურისა.

ბაბუამ კვერი ისევ ჯამში ჩადო, პირუტყვს თავი ანება და ბოსტნისკენ წავიდა. ჭიშკართან შეჩერდა, ახლა სხვა კვერი ამოიღო, ქალის პატარა თავს რომ ჩამოგავდა მრგვალი სახითა და სქელი წარბებით და სელი ბოსტნისკენ გაიშვირა. ახლა ჯაჯას მიმართა, ნაყოფიერების ქალღმერთს:

ო, ქალღმერთო ჯაჯავ, ყოვლად ძლიერო,
შენი მადლით ყანამ იხვავრიელოს.
გაილოჯოს თესლი, განა განქარდეს,
ჯეჯილი და ყანა ცამდე ავარდეს.

ყანა ფეხისწვერებზე აიწეოდეს,
ქარისაგან ზღვასავით დაირწეოდეს.
წვიმამ არ შეაწუხოს, მზემ არ დაღრიკოს,
ზღვამ არ გააწეწინოს ავ ქარს — ჭალიკონს.

არ ჰქონოდეთ მარცვლისთვის ქათმებს ძიძგილი,
იყოს ძილგატეხილი ყველა წისქვილი.

ბაბუა ლაპარაკობს, მე კი თითქოს ცხადად ვხედავ ქალღმერთ ჯაჯას. აი, ის ალაღანებულ სიმინდის ყანაში მოდის ჩვენს შესახვედრად. დაბალია, ჩაფსკენილი, მხვნელ-მთესველის ღონიერი მხრები აქვს. მოდის და მის ფერხთ ქვეშ ბალახი არ ითელება, სიმინდის ფოთლებს კი თითქოს ეშინიათ, ქალღმერთს არ შეეხონ, არ დაკაწრონო, თვინიერად იკეცებიან და ძირს ეშვებიან. პაერი შეთვალული სიმინდის სურნელით არის გაჟღენთილი. ნაზი ნიაფი გაფუმფულებულ საგველებს არხევს და ქალღმერთს მცენარის მტვერს აფრქვევს.

ფიქრიდან ბაბუას ხმამ გამოძიყვანა:

— ო, ალიშკენტირ, დაგვიფარე გაჭირვებისა და უკეთური ადამიანებისაგან.

ახლა რომ კვერი ეჭირა ხელში, ძაღლის თავს ჰგავდა. ეტყობა, ბაბუა იმათ მფარველზე ლოცულობდა. იმ ღვთაების წარმოდგენა არ შემეძლო, არ ვიცოდი, როგორი იყო და ამიტომ ამ ლოცვის სიტყვები არც დამამახსოვრდა...

ალიშკენტირისთვის მიძღვნილი კვერი უკან რომ ჩაბრუნდა, ბაბუა კარგა ხანს უძრავად იდგა ერთ ადგილას. არ ვიცი, რატომ: ან ძალიან დაღლილიყო, ან არადა, უბრალოდ წესი მოითხოვდა ამას.

ცოტა ხანს შეიცადა ბაბუამ და მერე ნალივით მოღუნული კვერი ამოიღო. ეს კვერი კი ნამდვილად მთვარეს ჰგავდა. კვერი ხელისგულზე დაიდო და კამკამა ცისკენ აზიდა. ამ დროს თავიც ისე მაღლა ჰქონდა აწეული, მარტო მისი წვერის მოცახცახე ბოლოს ვხედავდი, ტურებს კი ვერა.

ო, მთვარევ, მთვარევ, მარტოსულო, მიუსაფარო,
ქურდთა, მძარცველთა, მოგზაურთა ღამის ღამპარო.
არცერთ კეთილ კაცს არ მოაკლდეს შენი სინათლე,
წყვდიადმა შთანთქას ყველა უღვთო, გულით ვინატრებ.

ვინაც ავკაცობს მთვარის შუქზე, ან მუხანათობს,
მას მზის სინათლემ ნურასოდეს ნუ გაუნათოს.
ო, მთვარევ, მთვარევ, ლაქვარდებში მცურავო ზანტად,
იყავ ღამპარი კეთილ კაცთა, კეთილთა გზათა.

მოწმენდილი, მზიანი დილა იყო, მე კი თვალწინ დიდებული მთვარეანი ღამე მედგა, მაგრამ ისეთი ნათელი, დაკარგულ ნემსს იპოვნიდი კაცი. ჩვენი სახლის თავზე კამკამა ვარსკვლავებით უხვად მოკენჭილ მუქ ცას ვხედავდი, ნამგალივით წვრილსა და წვეტიან ახალ მთვარეს. ნაკადულის რაკრაკიც მესმოდა და ძირს ჩამოვარდნილი ნამის ხმაც...

ჩვენი ნიკორა ძროხის ზმუილმა ღამიდან ისევ დღის სინათლეზე დამაბრუნა, ბაბუას ამ დროს უკვე სხვა კვერი ეჭირა ხელში და ჯერ კიდევ გაუფოთლავი, შიშველი ხეების კენწეროებში გახლართული მზისკენ იშვერდა, რომელიც წითელ განთიადს აღვრიდა დედამიწას. „მზის“ კვერიც ისეთივე მრგვალი იყო, როგორც აითარისადმი მიძღვნილი, მაგრამ ამას გარშემო პატარაპატარა ბუძგები ჰქონდა, ეტყობა ისინი იმ ადგილებს გამოხატავდნენ, საიდანაც მზის სხივები უნდა გამოსულიყო.

ო, მზეო, მზეო კელაპტარო მარადიულო,
შენ მოაცოცხლე, შენ გაათბე არსი ყოველი,
ცისა და მიწის ბინადარი — ფრინველ-ტყეური
უხვად მოფინე ამ ქვეყანას შუქი ცხოველი.
ო, მზეო, მზეო კელაპტარო მარადიულო,
იყავ მარადის მადლისა და სითბოს მთოველი.

ბაბუას სიტყვები სმენას მიტკბობდა, მეღამუნებოდა, მეალერსებოდა და მეჩვენებოდა, რომ მზეც უფრო ხალისიანად და მონდომებით ათბობდა დედამიწას. ხავერდით ბზინავდა ლორთქო ბალახი, თვალს

ვერ მოწყვეტდით აღაღანებულ ია-იებს... ხოტბას ხოტბაზე ასხამდა ბაბუა „უქრობელ მნათობს.“ ლოცვა ძალიან გრძელი იყო, მე კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვა დამამახსოვრდა, თანაც ბევრი მათგანის მნიშვნელობა არ მესმოდა. ერთი რამ კი ცხადზე უცხადესი იყო — მზე ყველას უყვარდა.

— ო, წყლის ასულო, წყალთა ღვთაებავ! — წარმოთქვა მასობაში ბაბუამ და ახალი კვერი ამოიღო. ისევე, როგორც ჯაჯას კვერს, ამა-საც ქალის თავის ფორმა ჰქონდა, ოღონდ მთლად ისე მრვეალი არ იყო, ოდნავ თხელიც გახლდათ.

ვიცი, ვინც არის ეს ქალღმერთი, ძიძლანია, წყალთა დედოფალი. ძალიან ღრმად, ღრმად, მთლად ფსკერზე დგას მისი ბროლის სასახლე. ალები და წყალში დამხრჩვალეები ემსახურებიან მას. ძიძლანის ტანი არასოდეს ყოფილა შემოსილი, არც ჭირდებოდა სამოსელი, ისეთი გრძელი და ხშირი თმა აქვს, შეუძლია ნაბადივით შემოიხვიოს. ო, რა მშვენიერია ძიძლანი! თვალები მთის ტბაზე უფრო ლურჯი აქვს, კანი ჭყინტ ყველზე უფრო თეთრი და ნაზი, ტანი მკვრივი და მოხდენილი... ესაა რომ ფეხის ქუსლები აქვს წინ. ამიტომ თუ ვინმე განიზრახავს მის წაქცევას, წინიდან უნდა შეეტაკოს, უკნიდან ვერ სძლევს. წყლის ზედაპირზე უყვარს სეირნობა და ამ დროს მისი სიცილი, რომელიც ცხენის ჭიხვინს უფრო ჰგავს, მდინარის მთელ ნაპირზე გაისმის ხოლმე.

— ლაგან, სადა ჰქრის შენი გონება, ჩემთან მოდი, მალე, აჰა, გამომართვი! — მომესმა უცბად ბაბუას ხმა. იდგა და ძიძლანისთვის შეწირულ კვერს მიწვდიდა.

შუალამეს ზეზე წამოგდებულ კაცს ვგავდი, რომელიც ვერ გარკვეულა, რა ხდება, მაგრამ ბოლოს გამოვფხიზლდი და გონს მოვეკე. ბაბუას კვერი გამოვტაცე და რაც ძალი და ღონე მქონდა ჩვენი წყაროსკენ მოვკურცხლე. თავქვე დავეშვი. კიბის საფეხურებივით ვახტებოდი ბებერი ცაცხვების გაშიშვლებულ ფესვებს. ისე გავზურდი, ზედ წყლის პირას ძლივს დავიმუხრუჭე თავი. წყალში ერთი წამით აირეკლა ჩემი სახე. კვერი წყალში ვისროლე, ბუყბუყით წავიდა ფსკერისკენ, მე კი სხაპა-სხუპით წარმოვთქვი ლოცვა:

ო, წყლის ქალღმერთო, იყავ კეთილი,
არვინ დაგვტოვო გულდაწყვეტილი.
ჩვენი ჯარგვალის იყავ სტუმარი,
ხოწჩით მოგართმევთ მეფურ პურმარის.

ოღონდაც კლდეში ჩამალულები
ავვიჩუხჩუხე ნაკადულები.
ნუ დაგვიშრება წყარო-ბინული,
ნურც მოდიდდება დამდნარ ყინულით.

„ალბათ უკვე ხელში უჭირავს კვერი“ — გამიელვა თავში და უკან მოუხედავად გავქუსლე. უკან მიხედვა არ შეიძლება, თუ მივიხედავ, ძიძლანი მაშინვე წყლიდან ამოხტება, ხელს მტაცებს და წამათრევს. მივფოფხავ, ფესვებს ვებლაუჭები და თან ველოდები, აი, ახლა ამოხ-

ტება წყლიდან, აი, ახლა ჩამავლებს ქეჩოში თავის სველსა და ცივ ხელს! ხურგზე, ბეჭებშია ჭიანჭველები დამირბიან. ეზოში რომ შევვარდი, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი თავი უშიშარ ადგილას.

მამაჩემი, ბაბუა და ელიზბარ ძია ისევ იმ ადგილას იდგნენ, სადაც დავტოვე. ჩემ დაბრუნებას ელოდებოდნენ. თავი რომ არ გამეცა, ვაუკაცური ნაბიჯებით მივედი მათთან და ისე ამოვუდექე გვერდში, თითქოს დიდი საგმირო საქმე ჩამედინოს. ბაბუას კეთილი ღიმილით ჰქონდა სახე განათებული. მშვიდი და წყნარი იყო — ეტყობა სხვა რაიმეს განცდა არც შეეძლო კაცს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ასე მხურვალედ და გულწრფელად ლოცულობდა.

და აი, ბაბუას წინამძღოლობით ყველანი ამაცურტისკენ გავემართეთ. დედაჩემი შარშანდელივით ახლაც ზღურბლზე შემოგვხვდა. ბაბუას უკვე გაცივებულ კვერებიანი გობი ჩამოართვა, ელიზბარ ძიას თიხის ჩაფი მიაწოდა და ისევ ძველებური წესით, ახლა მარნისკენ წავედით. მარნის კუთხეში ორი უზარმაზარი ქვეერი გვექონდა ჩაფლული. დღეს ერთერთი უნდა მოგვეხადა.

ღვინის კასრებს გვერდი ავუარეთ და სწორედ იმ კუთხეში მივედით. საკმაოდ ბნელოდა და ბაბუამ წვრილი სანთელი აანთო. როგორც ყველაზე უმცროსმა, ელიზბარ ძიამ (ამ საქმეში მე სათვალავში არ მაგდებდნენ) თოხით მოხადა ქვევრს სარქველი. სარქველს ქვეშ ლედვის ფოთლები ჰქონდა დატანებული. ელიზბარ ძიამ ფრთხილად გასწია ისინი განზე. მერე ქვევრის ყელი ვულმოდგინედ მოასუფთავა პირსახოცით. ბაბუას კი მომზადებული ჰქონდა გრძელტარიანი ახალი ხრიკა, რომელსაც საგანგებოდ ინახავდა ამ დღისთვის.

— ო, ილორის წმინდა ღვთისმშობელო, მოილე ჩვენზე მოწყალე-ნა... — მიმართა ბაბუამ ილორის ღვთისმშობლის ხატს, რომელიც ოდითგან ჩვენი ხალხის მფარველად ითვლებოდა. ამ ქვევრის ღვინოც მისთვის იყო შეწირული. შვილები მწყობრად აყოლებდნენ ხმას ბაბუას.

ბაბუამ ლოცვის შეუწყვეტლად ჩაუშვა ქვევრში ხრიკა, ღვინო ამოიღო და ნელნელა ისევ უკან ჩააბრუნა. ხან რაკრაკით, ხან მოგუდულად და წკრილით ჩადიოდა წვრილი ნაკადი თიხის ჭურჭელში. მთელი მარანი ღვინის სურნელებით აივსო... ერთი ორჯერ კიდევ ამოიღო და ისევ უკან ჩააბრუნა ბაბუამ ღვინო. მერე ფრთხილად ამოსწია ხრიკა, წვეთი რაა, წვეთის დაკარგვაც არ უნდოდა, პირთან მიიტანა და ერთი ყლუპი მოსვა.

— ისევ ისეა, დიდებულია, — თქვა კმაყოფილმა და შვილებსაც რიგრიგობით გაასინჯა.

არც მე დავვიწყნივარ. კოცნასავით შევახე ბაბუე ხრიკის სველ კიდეს.

არ ვიცი რატომ და, ილორის წმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ამ ქვევრში მართლაც ყოველთვის ჩინებული ღვინო დგებოდა. შეიძლება იმიტომ, რომ ბაბუა საგანგებოდ არჩევდა ყველაზე უფრო მწიფე და წვნიან მტევნებს.

ამაცურტაში დავბრუნდით. ბაბუას ხელში სანთელი პარპალებდა. ელიზბარ ძიას მხარზე ღვინით სავსე ჩაფი ედგა. შუშაბანდში შევედით, რიგრიგობით გადავაბიჯეთ ზღურბლს. მაგიდა იქვე იდგა. რაღა არ იყო

სუფრაზე. საჭმელიც, ხილიც, ყველაფერი, სორცის გარდა. როცა აითარ-
ზე, ცხოველების ღმერთზე ლოცულობენ, სისხლის დაღვრა არ შეიძ-
ლება. აქვე, მაგიდაზე, თუჯის დიდ ტაფაზე ნახშირი ლუობა, ციმცი-
მებდნენ წვრილწვრილი სანთლები. ბაბუამ თავისი სანთელიც მიამაგრა
და ჩვენ ყველანი, კაცებიც და ქალებიც დამწკრივებულნი მჯდვით სუფ-
რასთან. ყველამ სანთლის პატარა ნატეხი დავავდეთ ნახშირზე ყველანი
ვდუმდით. ეს მიცვალებულთა მოსახსენიებელი საკურთხი იყო, რაც
სუფრაზე იყო, ყველაფერი მათ ეკუთვნოდათ. სანთლების მალლა ასულ
კვამლში კი მათი სულები რიალებდნენ.

ცოტა ხანს სახლში სამარისებური სიჩუმე იდგა.

4.

როგორც უკვე მოგახსენეთ, სუფრასთან ყველას თავისი ადგილი
გვქონდა მიჩნეული. დედას მხედველობაში ჰქონდა ეს, როცა ჯამებით
ღომს არიგებდა. რაც მე და მამჩის გვეყოფოდა, ის მამჩემისთვის და
ელიზბარ ძიასთვის ცოტა იქნებოდა.

ჭამის შემდეგ არავის უჩქარია სუფრიდან ადგომა. ჩვენ-ჩვენ ად-
გილას ვისხედით, თითქოს სიჩუმეს ვაყურადებდით. პირველად ბაბუამ
დაარღვია დუმილი. ყრილობაზე თუ იყო ნამყოფი, იქ მოსმენილი ახალი
ამბებით იცოდა ხოლმე საუბრის დაწყება. უფრო ხშირად კი ტრა-
დიციულ ფრაზას წარმოთქვამდა: „ამასობაში, სანამ მე ზღაპრიდან
ზღაპრამდე მოვდიოდი...“ და ჩემ ყველაზე უფრო საყვარელ ზღაპარს —
„ატლასის არშინს“ იწყებდა, რომლის მოსმენაც, რამდენჯერაც ვნებავთ,
იმდენჯერ შემეძლო. თანაც ყოველთვის რაღაც ახალს ვპოულობდი
მასში.

ზოგჯერ ბაბუა მამჩემს და ელიზბარ ძიას ტუქსავდა. ისინიც და-
ნაშაულზე წასწრებული ბიჭებივით თავჩაქინდრულები ისხდნენ. არა-
სოდეს მინახავს, მამას შეკამათებოდნენ ან მკვახედ ეპასუხათ.

მე ალბათ ყველაფერს ვერ ვამჩნევდი, რადგან ერთხელ არნახული
რამ მოხდა, ვაყიშვილები მამას წაეჩხუბნენ.

ასეთი რამ ბუნებაშიც ხდება: ნათელი, მზიანი დღე უცბად წაი-
ბორძიკებს, შუბლი მოექუფრება, შავი ღრუბლები ჩამოწვება, დაიჭე-
ქებს, ელვა გაიკლავება, კოკისპირულად დაუშვებს და მოვარდნილი
გრიგალი ფოთლებისგან განძარცვავს ხეებს...

იმ დღეს, რომელზეც მოგახსენებდით, ბაბუა გვიან დაბრუნდა
ყრილობიდან, მზის ჩასვლისას. ჩქარობდა, გუადახს უნაგირი მოხსნა,
ამაცურტაში შევიდა, თავის მიჩნეულ ადგილას დაჯდა კერიის ახლოს
და ის ის იყო გემრიელად უნდა მოკალათებულიყო, რომ ორივე შვილი
შემოვიდა. მეც კი მივხვდი, რაღაცით ძალზე აღელვებულები იყვნენ.

— ხვალაც აპირებთ მიწის გაყოფას? — ბაბუასთვის არც შეუხე-
დავს ისე იკითხა წარბებშეკრულმა მამჩემმა.

— რა თქმა უნდა, კი მაგრამ რატომ მეკითხები? — აფორიაქდა
შვილის საქციელით გაოცებული ბაბუა.

— გაფიცებ ყველა წმინდანს, ჩვენი ოჯახის გულისთვის მაინც მი-
ანებე თავი ამ საქმეს. ხვალ ნუ წახვალ ყრილობაზე. — თხრვა მამამ.

— რატომ არ უნდა წავიდე? იქნებ კომისიიდან გამოსვლაც მიბრ-
ძანო? — ჰკითხა დონიჯშემოყრილმა მოხუცმა.

— შენს გამო ლუკმა არ გადაგვდის ყელში! იმისთვის უნდა წავი-
დო, რომ დღეს თუ არა, ხვალ ყაჩაღები შემოგვიცვივდებიან. — ჩა-
ერია ცისკენ ხელაპყრობილი ელიზბარი.

— ასე მაგრად ვინ შეგაშინათ, ა? — ჰკითხა ბაბუამ.

— რა თქმა უნდა, ყველას უჭირს უმიწოდ, ყველა წვალობს, ყვე-
ლას ჭირდება, მაგრამ თქვენ ხომ მიწის გაყოფას ვერ ახერხებთ, ყოვე-
ლთვის ვილაც უკმაყოფილო გყავთ. ასე ყველას ერთმანეთს წაჰკიდებთ,
თანაც ჩვენს წინააღმდეგ განაწყობთ. ზოგზოგები აღარც გვესალმებიან.
— თავშეკავებულად უთხრა მამამ. ტაბურეტი აიღო და ყველაზე უფრო
შორეულ და ბნელ კუთხეში დაჯდა, თვალში რომ არ მოხვედროდათ
მისი გაბრაზება და საკუთარ ფეხებში ჩაჩერებულმა განაგრძო: — ხვალ
რომ მიწა უნდა გაანაწილოთ, თავად ჩაჩბებს ეკუთვნით. აქ არცერთი
აღარ გვეგულებოდა, გვეგონა ყველანი კორდონს გაყვნიეთქო, მაგრამ
აი, სულ ცოტა ხნის წინათ განიგეთ, რომ ერთერთი მათგანი — ომარი
ბათუმში გამოჩენილა. ამბობენ, მალე თავის მამულს დაუბრუნდებაო...

— როგორც მდინარე ვერ წავა აღმა, ისე ომარს არ დაუბრუნდება
თავისი მიწები, გასაგებია? — იფეთქა ბაბუამ.

მამაჩემი კუთხიდან ამაცურტის შუაში გამოვიდა, ყველას რომ გა-
ეგონა მისი ნათქვამი:

— კი ბატონო, ომარს თავი დავანებოთ, მაგრამ ის ხომ მართლ არ
არის? ჩაჩბების ჩამოთვლა რომ დავიწყოთ, თითები არ გვეყოფა ხე-
ლებზე. ნახევარი მათგანი თუ წავიდა, ნახევარი ხომ აქ არის. ისინი
იძიებენ ჩვენზე შურს. ახლა ტყეში არიან ყაჩაღებად გავარდნილი, ნამ-
დვილი აბრაგები არიან.

— ჰო და, რაღა გვაქვს იმათთან საერთო? გავუჭეჭყოთ თავები
და მორჩი! — სიძულვილისაგან ბაბუამ ჯოხიც კი დააბრაზუნა იატაკზე.

— არაფერი საერთო რომ არ გვექონდეს, მაშინ ეს ლაპარაკიც არ
გვექნებოდა, — გაისმა ელიზბარ ძიას ხმა.

— მაინც რა? — ჰკითხა ბაბუამ. კისერი დაიგრძელა და ისე გა-
დახედა შვილებს.

ცოტა ხნით ყველა გაჩუმდა.

მერე მამამ თქვა:

— მოისმინე, რა გვითხრა გუშინ ბიბამ: „ბეჟანმა თავადების მი-
წაზე კრინტი არ დაძრასო! თუ დაძრავს, სახლსაც დაუწვავენ და ოჯახ-
საც ამოუწყვეტავენო“. ბიდასთვის კი ეს ყაჩაღებს უთქვამთ. კერძოდ
ვინ — არ იცის. ვერავინ უცვნიას, თავ-პირი ყაბალახებით ჰქონდათ ახ-
ვეულიო.

— აი, თურმე რა ყოფილა! — ჯოხს დაეყრდნო და ისე წამოდგა
ბაბუა.

— არა უშავს, არა უშავს, შენ ყრილობაზე წადი და ყაჩაღებს ჩვენ
შევებრძოლებით! — უკბინა ელიზბარ ძიამ.

— ასე არა? — გაიმეორა ბაბუამ ხრინწიანი ხმით და მიიხედ-
მოიხედა, თითქოს ვილაცხას ეძებდა.

ყაჩაღები აპირებენ თავდასხმასო, რომ გაიგონა დედამ თავი ვერ
შეიკავა და ამოიკვნესა, გოგოებმა კი ბორიალი დაიწყეს. პირველად მეც
გავშეშდი, მერე გონს მოვეკე, წამოვსტი და ბაბუას მივიხედე.

— მაშინ რაღა კაცები ხართ, ყაჩაღების თავდასხმას იწყებთ
ათ?! — დაიყვირა ბაბუამ და შემართული ჯოხი დაატრიალა, — სადა
გაქვთ იარაღი, თუ თოხებით აპირებთ დახვედრას? ორმა კაცმა ერთი
სახლი ვერ უნდა დაიცვათ?

— ცოდვას ნუ ჩაგვადენინებ, მამაჩემო. ჩვენ ხომ გლეხები ვართ,
რა ჩვენი საქმეა თავადების მამულების განაწილება, დაანებე თავი მაგ
მიწის კომისიას, — თხოვა მამამ.

— არავითარ შემთხვევაში! ადრეც არ დავანებებდი თავს და ახლა
მითუმეტეს. მე არ მითხოვნია, ამირჩიეთ მეტქი, ხალხმა ამირჩია, მე
მომანდეს ეს საქმე და რაც არ უნდა მოხდეს, ბოლომდე მივიყვან. იმ
წაფერდებულ კაკლიან მიწასაც მივიღებ ალბათ.

— ჩვენი მიწაც გვეყოფნის და სხვისი რაღად გვინდა. რომ მოგვცენ
კიდევაც ჩვენ არცერთი არ წავალთ იქ კავით, — თქვა ელიზბარ ძიამ,
რომელიც უკვე ლამის ზედ ეკვროდა ბაბუას.

— გაეთრიე! — დაიღრიალა ბაბუამ და ჯოხი მოუქნია შვილს.
კრინტი არ დაუძრავს ისე გავიდა ელიზბარ ძია და უხმაუროდ გაი-
ხურა კარი. ცოტა ხნის მერე მამაც წამოდგა.

ბაბუა რატომღაც მაშინვე ჩაწყნარდა, სკამზე დაჯდა, ჯოხს მხრით
მიეყრდნო და აცახცახებული ხელებით ჩიბუხის გატენვა დაიწყო. ნაკ-
ვერცხალი მივაწოდე. ბაბუამ მოქაჩა, სქელი რუხი კვამლი გამოუშვა,
რომელიც წვერში შეერია.

— რაო, ჩემო კარგო, შეგაშინე, არა? ეეჰ, შენი ჭირის სანაცვა-
ლო ვიყო. — ბაბუამ ხელი მომხვია და მიმიხუტა.

მისი ხმა სუსტი მეჩვენა, განაწყენებული, თვალები წყლიანი, თვი-
თონ კი ისე უმწეო და უძლური, რომ სიბრალულისა და თანაგრძნობის
გამო ყელზე მოვხვიე ხელები.

— აი, აქ დაჯექი, — მითხრა ბაბუამ. დაბალი სკამი მომიწია და
ფერხთით დამსვა.

დედა და ჩემი დები მოშორებით იდგნენ, ამოსუნთქვასაც კი ვერ
ბედავდნენ და იმ დაძაბულ სიჩუმეში უკვე დამუშებული ღომის ბუშ-
ტების სკდომის ხმა ისმოდა მხოლოდ.

ბაბუა ცოტა ხანს ჩუმად იყო, შეიცადა, სანამ დამშვიდდებოდა და
მერე ამოიღო ხმა:

— თუ ის საქმე ვერ შევასრულე, რაც დამავალეს, თუ უარი ვთქვი,
მეც ისეთივე ვიქნები, ბრძოლის ველიდან რომ გამორბოდნენ და ამხა-
ნაგებს გასაჭირში ტოვებდნენ. არა, ჩემო საყვარელო, ხვალ ყრილობა-
ზე წაუსვლელობა არ შემიძლია. ხალხი შეგროვდება, ლოდინს დამიწ-
ყებენ, ჩემი იმედი აქვთ და აბა იმათი მოტყუება შემიძლია? მერე
როგორღა გავუსწორო თვალი? წავალ, მაგრამ მარტო არა, აი, ჩემ
შვილიშვილს წავიყვან თან... გესმით? ძვირფასო რძალო, მოუმზადე
ყველაფერი, ხვალისთვის რაც საჭიროა: ბოხონი, ჩოხა... ხალხს სამყაროს

შექმნის დღიდან ენატრება მიწა, ხვალ უნდა მიიღონ ის და მინდა ამ დიდი სიხარულის მოწმე ეს ბიჭი იყოს. დაე, პატარაობიდანვე იცოდეს, რა არის მიწა და რა ფასი ადევს, შეეჩვიოს მიწის სიყვარულს... წამყვები, ლაგან? ეს ახლოსაა, გაპობილ ქვასთან, ა?

— წამოვალ, წამოვალ! — წამოვხტი და ისევ ჩამოვეკიდე ბაბუას კისერზე.

„ბაბუაჩემზე უკეთესი ქვეყანაზე არავინაა“ — მხოლოდ ეს აზრი მითბობდა ახლა სულს.

— ჩამოდგით ვინმემ ეს ღომი! — დაიყვირა მან.

ისეთი ნისლიანი დილა იყო, ორ ნაბიჯზე არ მოჩანდა არაფერი. ცრიდა, მერე ქარი ამოვარდა და ნისლი გაჰფანტა. ღრუბლებს შორის აქა იქ სილურჯემ გამოანათა, მაგრამ მალე ისიც დაიფარა სქელი ღრუბლებით.

ბაბუა მოკლე ნაბიჯებით მიფლატუნობდა წინ, ჯოხით ებჯინებოდა მიწას და თან ხაზართს ემასლაათებოდა, ჩვენს მეზობელს, მალალ, ასოვან კაცს. ისიც ბაბუასავით მიწის კომისიის წევრი იყო და ისიც ყრილობაზე მიდიოდა.

— რა კარგად მოიფიქრე გაპობილ ქვასთან თავის მოყრა, — ამბობდა ხაზართი, თან მუჭში ახველებდა. ეტყობა ყელი ჰქონდა გაცივებული.

— გინდა თქვა, რომ დღევანდელი დღეც ისტორიაში შევა? — ღიმილით ჰკითხა ბაბუამ ცოტა ხნის შემდეგ. ჩვენ უკვე აღმართზე ავდიოდით და ამ აღმართის ავლა ერთბაშად არ შეეძლო. დრო და დრო უნდა შეესვენა, სული უნდა მოეთქვა...

— შეიძლება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ ბორცვიდან ყველა ნაკვეთი ისე გამოჩნდება, როგორც ხელისგულზე. ზომები ვიცით. სადმე კვალის გაყვანა თუ დაგვჭირდება, ე, კამეჩები დაუღლულნი არიან. აქედან ვხედავ...

— მე მგონი, დღევანდელი ყრილობა შედეგიანი იქნება. ფუჰ, ფუჰ, არ გავთვალო. შენ როგორ ფიქრობ? — ბაბუა ისევ გაჩერდა და ჯოხს დაეყრდნო.

— რას ვმკითხაობთ, შედეგიანი იქნება თუ უშედეგო... აყალ-მაყალი რომ იქნება, ეს ნაღდად ვიცი...

— ასე დარწმუნებული რატომ ხარ?

— თავად ჩაჩბას ყოფილი მოურავი მობრძანებულა, არჩილი, აგე მისი შავრა, ბალახს ძოვს.

— სულიც გავარდნია მაგ ავთვალს! ამბობდნენ კი ვითომ ციხეში ჩასვესო...

— ჩასმით კი ჩასვეს, მაგრამ მალე გამოუშვეს, ნათესავი დაესმარა, თავმდებად დაუდგა. მაგან დაყარა ხმა, ომარი დაბრუნდაო...

გორაკზე რომ ავედით, ცაცხქვემ უკვე ქვეყნის ხალხი იყო. ზოგი იდგა, ზოგი იჯდა. ღელავდნენ, კამათობდნენ, ყაყანებდნენ. განსაკუთრებით ერთი ხმა გამოირჩეოდა: „რომ გავსკდე, მაინც არ მოვეშვები!

ვთქვი არ მოვეშვები მეთქი და არ მოვეშვები“. ხაზართი და ბაბუა რომ დაინახეს, ყველანი ფეხზე წამოდგნენ მისაღმების ნიშნად, შემდეგ კი კრების ცენტრში დასვეს. მე ბაბუას უკან მოვთავსდი.

მოშორებით ერთი შაოსანი ქალი იჯდა მარტოდმარტო. თავი ჩაეჭინდრა და უსიცოცხლოდ წიწკნიდა ბალახს. გვერდით ჩემს მამიძეს ჩამოედევით უფროსი ბიჭი ედგა. ხელში დიდი ტყავის ბურთი დაკავუნახე, ნელ-ნელა მისკენ მივცოცდი. სანამ უფროსები თავისი საქმით იყვნენ გართულნი, მინდოდა ერთად გვეთამაშა. ბიჭმა შემოხედვით კი შემომხედა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, იდგა და ბურთს მალლა ისროდა. შორიახლოს ვავჩერდი. ველოდები, ის კი სულაც არ მაქცევს ყურადღებას, ვითომ იქ არც ვიყო, ისვრის და ისვრის თავის ბურთს მალლა. ან მალღიანებს და ან მეტიჩრობს: აი, შენ ხომ ასეთი არა გაქვსო. ველარ მოვითმინე და ბურთი ხელიდან გამოვტაცე, რომ აღარ ეყოყლოჩინა. ბურთი ხელიდან გამივარდა და გორაკზე დაგორდა. ორივენი უკან გამოვუდექით, მაგრამ პატრონმა მიმასწრო, ბურთი ილღინაში ამოიდო და მუქარით წამოვიდა ჩემკენ. მამინ შევნიშნე, ბიჭი ერთი თავით მალალი იყო ჩემზე. უკან დახევა გვიან იყო, დასახევი ადგილიც არ იყო. თვითონ ავიტეხე შარი და... მეც მივიღე ეს გამოწვევა.

ვილაც კაცმა გაგვაშველა, ფეხზე წამოგვაყენა და მკაცრად გვითხრა:

— აბა, ასეთ დღეს ჩხუბი შეიძლება? ხალხი მიწას იყოფს, თქვენ კი ერთი ბურთი ვერ გაგიყვიათ. არა გრცხვენიათ?

ბიჭის დედაც მე მეცა:

— რას გადაეკიდე ამ ბიჭს? ისედაც ძლივს დგას ფეხზე, გატანჯულია ციებისაგან!

„მეც მაციებს და მეც გატანჯული ვარ, თანაც დილა-საღამოს მაციებს!“. ენაზე მადგა სათქმელი, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, ისე გადავყლაპე წყენა.

დაცემისას მაგრად ვიტკინე ფეხი, მაგრამ არ მინდოდა, ვინმეს შეეტყო, ვცდილობდი არ მეკოჭლა და ისე მივედი და დავდექი ბაბუას ახლოს, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. იმას კი ჩემი იქ არყოფნა არც შეუნიშნავს, ისე გართული იყო გაცხარებულ კამათში.

ერთი უღვაშებ გადაწკეპილი კაცი ისე უზაგუნებდა ჯოხს მიწას თითქოს ნაალს ბერტყავსო, თან გაიძახოდა:

— მამის სული დავიფიცე და მანამ არ წავალ შინ, სანამ იმ წაფერდებულ კაკლიან მიწის ნაკვეთს არ მივიღებ-მეთქი.

— შენ უკვე მოგცეს მიწა და გეყოფა! — აწყვეტინებდნენ მას.

— შვიდი ვაჟი რომ მყავს! ადრე თუ გვიან ყველა ცალკე ცხოვრებას რომ მოისურვებს!

— მაქამდე ღმერთმა გვაცოცხლოს და...

— სად გვცალია მაგის მოსასმენად, დროს ვკარგავთ და მეტი არაფერი!

— აბა, დაწყნარდით! — ქუხილივით გადაუარა აყაყანებულ ხალხს კომისიის თავმჯდომარის ხმამ. წარმოსადეგი კაცი იყო, შავი ხასხასა ბოხობი ეხურა. — ორჯერ ვითხრეს, ძვირფასო ჩაგუ, კომისიის გადა-

წყვეტილება და ტყუილუბრალოდ რატომ დავობ, ყელს რატომ იხლეჩ? აი, აგერ ზის ქალი, რომელსაც ცოტა ხნის წინათ მოუკვდა ქმარი და წვრილშვილი დარჩა. იმ ნაკვეთს ამას ვაძლევთ, მაგასთან არის ახლოს და მიხედვაც ვაუადვილდება.

— მადლობთ, შემოგვევლე, — თავი დახარა ქვეყნის მთავრამ უმჯობესი იქნება, მაგ მიწას ჩემი უფროსი შვილის სახელზე მიაწერ, ლადიკოს სახელზე. ისე ცუდად ვარ, ვაი თუ დიდხანს ვერ გავძლო და ისევ ხელახლა ატყდება დავა.

— ვის სახელზეც არ უნდა დავწეროთ, ეს მიწა დღეიდან თქვენია და ვერავინ წაგართმევთ, არხეინად იყავით! — დაამშვიდა ქვრივი თამელმა — ჩვენმა მწერალმა.

მე ვიცნობდი თამელს, ჩვენთან დადიოდა ხოლმე. ქალაქურად ეცვა და თავისი ფანქარი ყოველთვის მომარჯვებული ჰქონდა. აი, ახლაც მუხლებზე ქალაღდი ედო და რაღაცას იწერდა.

— არ დავთმობ მეტქი ამ მიწას, უკან არ დავიხევ! — ისევ ბობოქრობდა ჩაგუ და მიწას უბაგუნებდა ჯოხს, თითქოს მიწაზე ანთხევდა ბრახს.

— რა მოგივიდა, ჩაგუ, აღარც უფროსის პატივისცემა გაქვს და არც ობლების სიბრაღული? — წამოხტა ბაბუა და ისე გამეტებით დაარტყა ჯოხი მიწას, თითქოს შიგ გულში გაუყარაო.

— შენ იცი, რომ ეს მიწა სულით ხორცამდე შევიყვარე, ძვირფასო ბეჭან! სულით ხორცამდე, ძიღშიც კი მესიზმრება, გესმის? — თითქმის ქვითინით თქვა ჩაგუმ და ჯოხი გადაამტვრია.

ამ დროს ხალხიდან ვიღაც კაცი გამოვიდა ახალუხის ამარა და გამანაწილებელი კომისიის წინ გაჩერდა. თავგაპარსული იყო, ხშირი შავი წვერი ყურებიდან ეწყებოდა და მთლიანად უფარავდა სახის ქვედა ნახევარს. ხელში ორად მოკეცილი მათრახი ეჭირა. ეს არჩილი გახლდათ, თავად ჩაჩბას ყოფილი მოურავი.

— ამბობდნენ, დაიჭირეს და გადაასახლესო, ეს კი ისევ თავისუფლად დასეირნობს. ეტყობა, ამნაირებისთვის კანონი არ არსებობს, — ამოიოხრა ჩვენს უკან მდგარმა გაქეჩილ ქუდიანმა გლეხმა.

— არჩილზე ვერავინ ვერ ვიტყვით ცუდს. თავადებზე თუ ხართ გულმოსული, ამას რას ერჩით, ჯობია, მოვუსმინოთ, რას გვეტყვის, — დაიცვა ყოფილი მოურავი ნაბადში გახვეულმა კაცმა.

— შენი დაცვა არ ჭირდება არჩილს, შენც იმნაირი ხარ. რაც შენი საქმე არ არის, ცხვირს რატომ ჰყოფ? — დაუყვირა ჩაგუმ.

— პატივცემულო კომისიის წევრებო, — მშვიდად და ღირსეულად დაიწყო არჩილმა. როგორც კი კინკლაობა დამთავრდა, — მეც ისეთივე კაცი ვარ, როგორც თქვენა ხართ. მეც გლეხი ვარ წარმომობით. ასე რომ, მეც მაქვს რაღაც უფლებები... სანამ მისი ბრწყინვალეობა თავადი ომარი აქ ცხოვრობდა — თავის სახლში, როგორც მოგეხსენებათ, მე მოურავი ვიყავი და მისმა ბრწყინვალეობამ პატიოსანი და უანგარო სამსახურისათვის ოცი დესეტინა მიწით დამასაჩუქრა. ის მიწები აქედანაც მოჩანს, ჭაობის პირასაა. პოდა, ამ მიწების ხელახლა ერთმანეთში განაწილება უკანონობაა.

— ოცი დესეტინა თუ მაგან წაიღო ჩვენ რაღა დაგვრჩება? — შე-
წუხდა ილიაში წალდამოჩრილი ვიღაც მოხუცი.

— ეტყობა, ახლა თვითონ მოუხდა თავადობა, — ხმა შეაწია ვა-
ქეჩილ ქუდიანმა.

— სიკვდილმისჯილსაც აძლევენ სიტყვას და მეც მათქმევინეთ
ბოლომდე, მომისმინეთ, — ითხოვა არჩილმა და რაღაც ქაღალდი ააფ-
რიალა, — აი, ჩემი სიტყვების დამამტკიცებელი საბუთი, თუ არ გჯე-
რათ. ეს არის ნაჩუქრობის ქაღალდი, თვითონ თავად ომარის მიერ შე-
დგენილი...

— ნაჩუქრობისო? ოპ, ოპ, ოპ...

— დიახ, დიახ, სწორედ ნაჩუქრობის. მოისმინეთ: „მე, თავად ჩა-
ჩბების დიდებული გვარის შთამომავალი და თვითონაც თავად ომარ
ჩაჩბა, ვაჟი ბეიგუასი, მხედველობაში ვიღებ რა ერთგულებას, პატიო-
სნებას და გულმოდგინებას მოვალეობის შესრულებაში, არჩილ საკუ-
ტის ძე მსატიას საჩუქრად ვაძლევ მეშვიდრობით მიღებული ჩემი მა-
შულიდან ოც დესეტინა მიწას მუდმივი სარგებლობისათვის...“ აქვეა
მისი ხელმოწერაც და ბეჭედიც. როგორც ხედავთ, ეს მიწა ჩემია და
ჩემადვე უნდა დარჩეს!

— რას ბოდავს ეს?! — აქეთ იქით მიიხედა გაოცებულამ მიხამ,
მეტსახელად „მოხალისემ“.

გლახები კიდევ უფრო აყაყანდნენ.

— დირკეტი გაგვარკვევს, დირკეტი. გთხოვთ წაგვიკითხოთ. —
წამოაყენა წინადადება ხაზარათმა.

„დირკეტი, დირკეტი!“ ცეცხლის ენებივით ამოვარდა შეძახილები.
გლახები ვიწრო ალყად შემოერთყუნენ გარშემო კომისიას. ისე აბრიალე-
ბდნენ თვალებს, იფიქრებდით, საცაა თავს დაესხმიანო. მე შემეშინდა,
გული ამიცახცახდა და ბაბუას ავეკარი. ბაბუა კი ერთ ადგილას ტრია-
ლებდა, ჯოხს იქნევდა, თითქოს შემოსეულ ბრბოს იგერიებდნო და წვრი-
ლი ხმით გაიძახოდა:

— მოიცადეთ, არ გინდათ, ჯერ განაწილება დაამთავრეთ!

— დირკეტი, დირკეტი! — არ წყდებოდა შეძახილები.

— სადა ხარ, თამელ, წაგვიკითხე!

მწერალი ბრბოს გამოეყო და გაპობილ ქვასთან მივიდა. იქ მეტი
თავისუფლება იყო. ხალხის უმრავლესობა ცაცხვთან იყო შეგროვილი,
რომლის ქვეშაც გამნაწილებელი კომისია იჯდა. ის ქვის იმ ნახევარზე
ავიდა პირაღმა რომ იდო და წასაკითხავად მოემზადა. ხალხის ვნებათა-
ღელვის დაცხრომას ელოდებოდა და თავის გრძელ თმას მოუთმენლად
იყრიდა უკან.

„ნეტა რა არის დირკეტი? — თან მეშინოდა და თან ცნობისმოყ-
ვარეობა მკლავდა, — ყველა რატომ მოითხოვს ამ დირკეტს?“ იქნებ
ის იმ ქვას გავს აბრსკილმა რომ ციურ მეომრებს ესროლა? იქნებ
რომელიმე მტაცებელი ფრინველია? ახლა შეიძლება ის სადღაც ცის
კამარაში დანავარდობს, მაგრამ მალე გორაკზე დაეშვება და მაშინ?...
რა იქნებოდა „მაშინ“, ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე. თუმცა ზედმი-
წევნით დავძაბე ჩემი ბავშვური გონება, მაგრამ არაფერი მომდიოდა
თავში, არაფერი უკავშირდებოდა ამ უცნაურ სიტყვას — „დირკეტს“.

თამელმა კი ამასობაში დახვეული ქალღი დახსნა და კითხვა დაიწყო. ზოგიერთ ადგილს თავისი სიტყვებით უყვებოდა ხალხს, ზოგიერთს განმარტავდა. წაკითხულს სიმშვიდე და სიწყნარე შეჰქონდა გლეხების გაწამებულ სულში. შემდეგშიც არჩილს თუ ახსენებდა ვინმე, ან იმ ყრილობას გაპობილ ქვასთან, იმ დღეს მოსმენილ სიტყვებსაც უსათუოდ გაიმეორებდა. ალბათ ჩემ მესსიერებასაც იმეორებდა და შემორჩა ეს სიტყვები.

— „მიწა საერთო სახალხო საკუთრებაა, მისი არც ყიდვა შეიძლება და არც გაყიდვა. ნადელების გადასახადებსაც ბოლო მოეღო. ყველასა აქვს მისი დამუშავების უფლება. ჩამოერთვას მიწები მღვდლებსა და მემაღულეებს...“

— აი, ხომ მოისმინეთ, პატრივცემულებო, რას გვეუბნება დირკეტი. იგივე გვითხრა ნესტორ ლაკობამ მოქვაში აბუუების ყრილობაზე. პირველ რიგში, თქვა მან, მიწები ღარიბებს უნდა დავუნაწილოთ! ამ სიტყვებს სიკვდილამდე არ დავივიწყებ! — თქვა „მონალისემ“.

მიხა ცალი ფეხით კოჭლობდა და ახლა სიხარულისგან თითქმის ცეკვავდა და ტკივილსაც არ გრძნობდა.

— ამ ყრილობაზე ლაკობამ ისიც თქვა „გლეხის ხელი ათბობს მიწასო“ — დაამატა ხაზართმა, დაიხარა და ხელისგული შეახო მიწას, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, მართლა გამთბარი თუ იყო მიწა.

ხალხი მოსმენილისაგან გაოგნებული გაიტრუნა, კრინტი არავის დაუძრავს, არც კი შერხეულან. მხოლოდ თავადის ყოფილი მოურავი არჩილი გადგა განზე და ნერვიულად, უხეშად ისვამდა ხელს გაპარსულ თავზე, თითქოს ბუზებს იგერიებდა.

ამ დროს ხალხი მკერდით გამოარღვია მაღალმა, დაძარღვულმა, გრძელ და მოგრესილ ცხვირიანმა კაცმა. მაუდის დაკერილ-დაბებკილი ახალუხი ეცვა. ეს მწყემსი ბაჩირი იყო, რომელიც სოფლის ბოლოში ცხოვრობდა და ხუთიოდე თხის გარდა არაფერი ებადა.

— თამელ, ერთი ამ კითხვაზე შიპასუხე, გენაცვალე... ჩაჩბას თუ მიწები ჩამოართვით, ეს მიწები იმას თუ აღარ ეკუთვნის, მაშინ მის ყოფილ მოურავს უფლება აქვს, ქირა რომ გადამახდევინოს ამ მიწებში? — ჰკითხა ბაჩირმა და ხალხს თვალი მოავლო.

— დაურუვდი, კაცო? ვერ გაიგე, დირკეტში რა წერია? — გაოცდნენ ყველანი.

— დირკეტში კი წერია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება... აბა შეხედეთ ამ მოურავს, რა მშვიდად და არხეინად დგას ეგ გაუმაძღარი. როგორც ჩაჩბას დროს, ახლაც ისე მახდევინებდა ქირას. ბნელსა და უსწავლელ გლეხს როგორც გინდა ისე მოექცევი. გლეხი თურმე ყველაფერს მოითმენს, ყველაფერს აიტანს. აი, როგორ ფიქრობდა ეს ვაჟბატონი დღემდე. ახლა კი მორჩა! ახლა ყველა მაგისი თაღლითობა გამოაშკარავდა.

ხალხი ისევ აყაყანდა. სანამ ისინი ბჭობდნენ და მსჯელობდნენ, ბიჩარი გრივალღვით ეცა არჩილს, მათრახი გამოგლიჯა და ხალხში უნდა შევარდნილიყო, მაგრამ გადაიფიქრა და იქითკენ გავარდა, სადაც მოურავის იორლა ცხენი იყო მიბმული. ცხენი წამში აუშვა, ზედ მოახტა,

გვერდებზე მათრახი გადაუშხულია და გორაკიდან დაბლობისკენ დაეშვა.

— დამაცადე, შე გალლეტილო! — ველურად შეჰყვირა მთურავმა. ქარქაშიდან ხანჯალი ამოაძრო და გაჭენებულ მხედარს ესროლა.

თითქოს ახლაც ნათლად ვხედავ, მზეზე ალაპლაპებულ მხედარს. გალესილი ხანჯალი როგორ ჩაერჭო თედოში ულელში შემხუტ კამეჩს. გავეშებულმა კამეჩმა აპეურები დაწყვიტა და დაფეთებული დარბოდა აქეთ იქით, გამწარებული იქნევდა უკანა ნაწილს. თედოში ჩარჭობილი ხანჯალი კი ხტოდა და ქანაობდა.

ხალხი აწრიალდა, ზოგი არჩილს ეცა, გააკავა. ის კი იგრიხებოდა, მთელი ტანით იკლაკნებოდა. სხვები ტკივილისაგან გაგიჟებულ კამეჩს დასდევდნენ, ქვევით კი მიჰქროდა სხვის ცხენზე ამხედრებული ბაჩირი და მტვრის კორიანტელს აყენებდა.

შინ დაბრუნებული ბაბუა მთელი ვზა ბუზლუნებდა, რა კარგად მიდიოდა საქმე და ყველაფერი როგორ ჩაგვეყარა წყალშიო.

— მიწავ, შე მადლიანო, რა კეთილი და მდიდარი ხარ, მაგრამ ჩვენ, შენგან განებივრებულები როდის მოვეგებით გონს, როდის გავძლებით? — ბაბუა გაჩერდა და მძიმედ ამოიოხრა.


მე კი თვალწინ ისევ გასისხლიანებული კამეჩი მედგა, ყურებში გაცეცხლებული ხმები: „დირკეტი! დირკეტი!“ ერთი რამ კი ნამდვილად გავიგე, დირკეტი რალაც კარგს ერქვა, მაგრამ რას, ეს არ ვიცოდი.

დიდი ხნის მერე გავიგე, რასაც ნიშნავდა ეს სიტყვა — დეკრეტს. მიწის დეკრეტი საბჭოთა ხელისუფლების ერთერთი პირველი კანონი იყო, რომლის პროექტიც ვლადიმერ ილიასძე ლენინმა შეადგინა. ჩვენმა გლეხებმა კი თავის ენაზე გადააკეთეს ეს უცხო სიტყვა და „დირკეტს“ გაიძახოდნენ.

(გაგრძელება იქნება)



პირველი ნაბიჯები



ქართული
ენციკლოპედია

ფილოზოფიის ფილოსოფია

ნაძვის ხე და ძირითადი

თარგმანი სოფიო შაიშაიაძისგან

(ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის
დოქტ. ურთიერთობათა და თარგმნის სპეციალისტის სტუდენტი).

ამ დღეებში ერთ ქორწილს შევესწარი... თუმცა არა, სჯობს, ნაძვის ხეზე გიამბოთ. ქორწილი კარგი რამეა; ძალიან მომეწონა, მაგრამ ახლა უკეთეს ამბავს მოგიყვებით. არ ვიცი რატომ და, ამ ქორწილმა ის ნაძვის ხე გამაჩხენა. აი, რა მოხდა მაშინ. "ზუსტად ხუთი წლის წინათ, ახალი წლის წინა საღამოს, საბავშვო მეჯლისზე დამპატიყეს, მასპინძელი ერთი ცნობილი საქმიანი კაცი გახლდათ, დიდად გავლენიანი და ნაცნობ-მეგობრიანი. ასე რომ, თამამად შეიძლებოდა გეფიქრა, ბავშვების მეჯლისს უფრო იმიტომ მართავენ, რომ მშობლებს მოეყარათ თავი და ათასნაირ საინტერესო მატერიაზე გაებათ უწყინარი მასლაათი.

მე იქ უცხო ვიყავი. რაკილა არავითარი მატერიები მე არ მაწუხებდა, მთელი საღამო თავისუფლად ვგრძნობდი თავს. საღამოზე ერთი ბატონიც ბრძანდებოდა, როგორც მომეჩვენა, დიდ ვინმეს არ წარმოადგენდა, ამ ოჯახურ წვეულებაზე ჩემსავით შემთხვევით მოხვდა... დანახვისთანავე გამოვარჩიე — პალატი, გამსდარი, დარბაისელი, მოხდენილად ჩაცმული. ეტყობოდა, სამხიარულოდ არ ჰქონდა საქმე. როგორც კი სადმე კუთხეში მიდგებოდა, მაშინვე სახიდან დიმილი ჩამოეცლებოდა და ხშირ შავ წარბებს წმუხნიდა. მასპინძლის გარდა აქ არავის იცნობდა. ამკარად რაღაც აწუხებდა, მაგრამ ლალი და მხიარული ადამიანის როლს ბოლომდე ვაჟაკაცურად თამაშობდა. მოგვიანებით შევიტყვე, ეს ბატონი პროვინციიდან ჩამოსულა, დედაქალაქში რაღაც აუცილებელი, თავსატეხი საქმე ჰქონია მოსაგვარებელი და სარეკომენდაციო ბარათითაც ხლებია ჩვენს მასპინძელს, რომელიც მას მფარველობდა, მაგრამ არა *con amore*,¹ მეჯლისზე ზრდილობის გამო

1. სიყვარულით (იტალ.)

დაუპატიუებიათ... ბანქოს არავინ ეთამაშებოდა, სიგარას არავინ სთავაზობდა, არავინ ესაუბრებოდა. იმის გამო, რომ თავს მეტად უხერხულად გრძნობდა, არ იცოდა ხელები სად წაეღო და ძალაუხერხურად სულ ბაკენბარდებს ისწორებდა. ბაკენბარდები კი მართლაც საუცხოო ჰქონდა! თან ისე საგულდაგულოდ ისწორებდა, რომ კაცნი იფრქვებდა, ჯერ ეს ბაკენბარდები გაჩნდა, მერე კი ეს ბატონი ბაკენბარდებზე ხელის სასმელადო.

გარდა ამ პატივცემული გვამისა, რომელიც ამდაგვარად მონაწილეობდა ჩვენი მასპინძლის — ხუთი კარგად ნაპატივები ბიჭუნას მამის ოჯახურ ბედნიერებაში, კიდევ ერთი ბატონიც მომივიდა თვალში. ეს კი უკვე სულ სხვა ადამიანი იყო, ეს უკვე პიროვნება გახლდათ. მას იულიან მასტაკოვიჩს ეძახდნენ. შევხედე თუ არა, მივხვდი, რომ დიდად საპატივცემულო სტუმარი ბრძანდებოდა და რომ მასპინძელთან ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც თავად მასპინძელს ბაკენბარდებიან ბატონთან. მასპინძლები — ცოლიცა და ქმარიც, — გადაჭარბებული თავაზიანობით მიმართავდნენ, ელაქუცებოდნენ, სასმელს სთავაზობდნენ, თავს ევლებოდნენ, სარეკომენდაციოდ დიდის ამბით აცნობდნენ სტუმრებს, თავად ეს პიროვნება კი არავისთვის წარუდგენიათ. ჩვენს მასპინძელს ცრემლიც კი მოადგა თვალზე, როცა იულიან მასტაკოვიჩმა განაცხადა, ასე სასიამოვნოდ დრო იშვიათად გამიტარებიაო. ასეთი პიროვნების გვერდით ყოფნამ საშინელ გუნებაზე დამაყენა, ამიტომაც ბავშვებს მივეფერე და პატარა, ცარიელ ოთახში გავვედი და სკამზე მოვკალათდი დიასახლისის ყვავილების ფანჩატურში, რომელსაც თითქმის ნახევარი ოთახი ეკავა.

ბავშვები, ყველანი, ძალზე საყვარლები იყვნენ, აღმზრდელებისა და დედების რჩევა-დარიგების მიუხედავად სულაც არ სურდათ დიდებს დამგვანებოდნენ. თვალის დახამხამებაში გადაქექეს მთელი ნაძვის ხე, ერთი კანფეტიც არ დაუტოვებიათ ზედ, ყველა სათამაშოს შეავლეს ხელი, უმეტესობა მიაბტვრ-მოამტვრიეს. ბავშვებში ერთი შავთვალა ომახუჭუჭა ბიჭუნა გამოირჩეოდა, ერთთავად თავის ხის თოფს მიმიზნებდა, მაგრამ მაინც ყველაზე დიდ ყურადღებას მისი თერთმეტი წლის დაიკო იპყრობდა — ამურივით მშვენიერი, წყნარი, ჭკვიანი, ფერმკრთალი გოგონა, რომელსაც დიდი და ფიქრიანი თვალები ჰქონდა. ეტყობა, ბავშვებმა გაანაწყენეს, ისიც ფანჩატურიან ოთახში შემოვიდა და თოჯინით ხელში კუთხეში მიიყუყა. სტუმრები მოწიწებით ანიშნებდნენ ერთმანეთს ერთ მდიდარ კაცზე, გოგონას მამაზე, ვილაცამ ისიც კი შენიშნა ჩურჩულით, თავის გოგონასთვის მზითვად სამასი ათასი მანეთი აქვს გადადებულიო. მოვბრუნდი, რათა ამ ამბით დაინტერესებული ცნობისმოყვარე ადამიანებისთვის შემეველო თვალი და იულიან მასტაკოვიჩი შემჩნა ხელში. ზურგზე ხელებდაწყობილს თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და რაღაც განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა სტუმრების წამოსროლილ სიტყვებს, ძალიან გამაკვირვა მასპინძლების სიბრძნემ ბავშვებისთვის საჩუქრების დარიგებისას. გოგონას, ვისთვისაც სამასი ათასი მანეთი უკვე გადადებული იყო მზითვად, უძვირფასესი თოჯინა აჩუქეს. შემდეგ კი ნაკლებად ძვირფასი საჩუქრები

ჩამორიგდა მშობლების რანგისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. ყველაზე ბოლოს ათი წლის გამსდარ, წითურ, ჭორღურთან ბიჭს ერგო საჩუქარი — მოთხრობების კრებული ბუნების სიდიდესა და სხვა გულისამაჩუყებელ ამბებზე. წიგნში ერთი ნაბატი კი არა, ერთი კინიუტიც არ იყო. ბიჭი მასპინძლის ბიჭუნების აღმსრულებელს — ღარიბი ქვრივი ქალის შვილი იყო. — ძალზე დაძვრთხალსა და დარცხენილ ბიჭს უბრალო ქურთუკი ეცვა. წიგნი რომ მიიღო საჩუქრად, მერე კარგა ხანს უვლიდა სათამაშოებს გარშემო, ერთი სული ჰქონდა, ბავშვებთან ერთად ითამაშა. მაგრამ ვერ ბედავდა. ეტყობა, უკვე გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მდგომარეობა. ძალიან მიყვარს ბავშვებზე დავიკრება. განსაკუთრებით მაინტერესებს მათ სულში აღმოცენებული პირველი დამოუკიდებელი აღქმა ცხოვრებისა. შევატყვე, წითურ ბიჭუნას ისე მოსწონდა მდიდრული სათამაშოები, განსაკუთრებით თეატრი, სადაც სურდა რაიმე როლის თამაში, რომ გადაწყვიტა ეთვალთმაქცა: იღიმებოდა, ბავშვებს ელაქუცებოდა, ერთ გაბერილ ბიჭს ვაშლიც კი მისცა, თუმცა იმ ბიჭის ხონჩა ისედაც გადავსებული იყო სასუსნავეთ. ოღონდ თეატრიდან არ გაეგდოთ და ვიღაც ბიჭი ზურგზეც კი შეისვა, მაგრამ ერთმა ონავარმა გალახა. საბრალომ ტირილიც კი ვერ გაბედა. ამ დროს დედამისიც მოვიდა და შვილს შენიშვნა მისცა, ბავშვებს თამაშში ხელი არ შეუშალო. ბიჭი იმ ოთახში შევიდა, სადაც გოგონა იჯდა. გოგონას იგი არ გაუგდია, მალე ორივენი ძვირფასი თოჯინის მორთვა-მოკაზმვით გაერთნენ.

ნახევარი საათი იქნება, რაც ფანჩატურში ვზივარ, ლამის დამეძინოს. თვლემასი წასულს წითური ბიჭუნასა და სამასი ათას მანეთიანი მზეთუნახავი გოგონას საუბარს მივუგდე ყური. გოგონა თავის თოჯინას დაჰფოფინებდა, რომ უცებ იულიან მასტაკოვიჩი შემოვიდა ოთახში. ეტყობა, ველარ გაუძლო ბავშვების ხმაურსა და მუშტი-კრივს. დავინახე, ამ რაზმდენიმე წუთის წინ რა გაცხარებული ესაუბრებოდა ერთ-ერთი სამსახურის უპირატესობაზე მომავალი მდიდარი საპატარძლოს ეს-ესაა გაცნობილ მაძიკოს. ახლა კი ჩაფიქრებული იდგა და თითქოს თითებზე რალაცას ანგარიშობდა.

— სამასი... სამასი, — ჩურჩულებდა თავისთვის, — თერთმეტი... თორმეტი... ცამეტი... ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თექვსმეტი — მთელი ხუთი წელიწადი! დავუშვათ, ასიდან ოთხ-ოთხი თორმეტჯერ... ხუთჯერ თორმეტი — სამოცი... ვთქვათ, ხუთ წელიწადში ოთხასი... პოო! ხომ წარმოგიდგენია, ეგ ვირეშმაკა ასიდან ოთხს კი არა და იქნებ რეას ან ათსაც იღებს. აჰა, ე. ი. ხუთასი. დავუშვათ, ხუთი ათასი. ყოველ შემთხვევაში, ამას წყალი არ გაუვა! რასაც ზედმეტად ძონძებშიც ხარჯავს... ჰმ!..

ფიქრს რომ მორჩა, ცხვირი მოიწმინდა და ის-ის იყო ოთახიდან უნდა გასულიყო, რომ უცებ გოგონა დაინახა. მე ყვავილების ქოთნების უკან ვიჯექი და ვერ მხედავდა. ძალიან აღელვებული მომეჩვენა. ან გამოთვლამ იმოქმედა მასზე, ან კიდევ რალაც სხვამ. ეს კია, ხელებს იფშვინებდა და ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. მღელვარებამ nec plus

ultra-ს! რომ მიადწია, შეჩერდა და მომავალ საპატარძლოს კიდევ ერთხელ შეხედა ჯიქურ. ის იყო წასასვლელად ნაბიჯი გადადგა, რომ მიიხედ-მოიხედა, შემდეგ, თითქოს თავს დამნაშავედ გრძნობს, ბავშვს ფეხის წვერებზე ღიმილით მიუახლოვდა, დაიხარა და თავზე აკოცა. გოგონა ამ თავდასხმას არ ელოდა და შეშინებულმა წამოიკეცლა.

— აქ რას აკეთებთ, საყვარელო ბავშვო? — ჰკითხა ჩუჩქულით, მიიხედ-მოიხედა და გოგონას ლოყაზე მოუთითუნა.

— ვთამაშობთ.

— ჰოო? ამასთან? — იულიან მასტაკოვიჩმა ბიჭუნას აღმაკვრად გადახედა:

— შენ კი, ჩემო კარგო, კარგი იქნებოდა, დარბაზში გასულიყავი.

ბიჭი დუმდა, თვალეზგაფართოებული მისჩერებოდა. იულიან მასტაკოვიჩმა კიდევ ერთხელ მიიხედ-მოიხედა და ისევ გოგონასკენ დაიხარა:

— ეს რა თოჯინაა, საყვარელო ბავშვო?

— ჩემი თოჯინაა, — მიუგო გოგონამ წარბშეკვრით.

— თოჯინა... იცით, საყვარელო ბავშვო, რისგანაა თქვენი თოჯინა გაკეთებული?

— არ ვიცი... — წაიჩურჩულა გოგონამ და თავი დახარა.

— ძონძებისგან, ჩემო კარგო. შენ კი, ბიჭუნო, კარგი იქნებოდა, დარბაზში წასულიყავი შენს ტოლებთან, — მკაცრად გადახედა იულიან მასტაკოვიჩმა.

გოგონამ და ბიჭმა შუბლი შეიკრეს და ერთმანეთს ხელი მაგრად ჩასჭიდეს.

— თუ იცით, რატომ გაჩუქეს ეს თოჯინა? — ჰკითხა ისევ იულიან მასტაკოვიჩმა გოგონას კიდევ უფრო ხმადაბლა.

— არ ვიცი.

— იმიტომ, რომ მთელი კვირა კარგად იქცეოდით.

აქ უზომოდ აღელვებულმა იულიან მასტაკოვიჩმა მიიხედ-მოიხედა და მღელვარებისა და მოუთმენლობისგან ახლა უკვე ძლივს გასაგონი ხმით ჰკითხა:

— გეყვარებით, ძვირფასო გოგონა, როცა თქვენს მშობლებთან სტუმრად მოვალ ხოლმე? — იულიან მასტაკოვიჩმა სცადა, კიდევ ერთხელ ეკოცნა საყვარელი ბავშვისათვის, მაგრამ წითურმა ბიჭუნამ შეამჩნია, რომ გოგონა საცაა აღრიალდებოდა, ხელში ხელი ჩაავლო და ისიც თანაგრძნობით ასლუკუნდა.

— წადი, დაიკარგე აქედან! — უთხრა განრისხებულმა იულიან მასტაკოვიჩმა, — დარბაზში წადი!

— არა, არ გინდათ, არ გინდათ!.. თქვენ წადით, აქედან წადით, — ლამის ტიროდა გოგონა, — თავი დაანებეთ! ამას თავი დაანებეთ!

ამ დროს კართან რაღაც გახმაურდა. შეშინებული იულიან მასტაკოვიჩი მთელი თავისი დიდებულებით წამოიმართა, წითურმა ბიჭუნამ კი, რომელსაც ამ კაცზე მეტად შეეშინდა, გოგონა მიატოვა და

1. უკიდურეს ზღვარს (ლათ.).

კედელ-კედელ აწურული გავიდა ოთახიდან. ეჭვი რომ არ აეღოთ, იულიან მასტაკოვიჩიც სასადილოსკენ გაემართა. ისე იყო კიბორჩხალასავით გაწითლებული, რომ სარკეში ჩახედვისას, საკუთარი თავისა თვითონვე შერცხვა. ვინ იცის, იქნებ თავის სულსწრაფობასა და მოუთმენლობაზე მოსდიოდა გული, იქნებ ისე გააოცა წელსწრედ მჯდომეობაზე ანგარიშმა, ისე მოხიბლა და აღაფრთოვანა, რომ მთელს მსოფლიოდურობისა და თავმოქმედების მიუხედავად, გადაწყვიტა, პატარა ბიჭვით მოქცეულიყო და საოცნებო საგანს დაუფლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი რეალურ საგნად მხოლოდ ხუთი წლის მერე იქცეოდა. მუ პატივცემულ ბატონებთან სასადილოში გავედი და თვალწინ საშინელი სურათი გადამეშალა.

იულიან მასტაკოვიჩი სიბრაზისგან ისე იყო წამოჭარხლებული, წითური ბიჭუნა შიშისგან უკან-უკან იხევდა და არ იცოდა, სად გაქცეულიყო.

— წადი აქედან, რას აკეთებ აქ? საძაგელო, წადი-მეთქი! ხილს იპარავ, არა? ასეა ხომ? ხილს იპარავ, არა? დაიკარგე აქედან, შეცინგლიანო არამზადავ! შენს ტოლებთან წადი!

გულგახეთქილმა ბიჭმა სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა, ადგა და მაგიდის ქვეშ შეძვრა. მაშინ კი გაცეცხლებულმა მწვალებელმა თავისი გრძელი, ბატისტის ბალდადი ამოიღო და ბავშვს ცემა დაუწყო, რათა როგორმე მაგიდის ქვეშიდან გამოეგდო. იულიან მასტაკოვიჩი კარგა ჩამრგვალებული კაცი გახლდათ, ნაჭამ-ნასვამი, ჩასხმული, ღიპიანი, ლოყებლაყლაყა, ერთი სიტყვით, ჯანმრთელი და ჯან-ლონით ხავესე. სახეზე ჭარხალივით წამოწითლებული, ქშინავდა, ოფლად იღვრებოდა. ბოლოს აღშფოთებისა და (ვინ იცის?) ეჭვიანობისგან ისე გადაირია, ამის შემხედვარე ხმამაღლა აეხარხარდი. იულიან მასტაკოვიჩმა შემომხედა და თავისი ღირსეულობის მიუხედავად საშინლად დაირცხვინა. ამ დროს მოპირდაპირე კარი გაიღო, მასპინძელი შემოვიდა, ბიჭუნა მაგიდის ქვეშიდან გამოძვრა და მუხლისთავეებიდან მტვერი ჩამოიბერტყა.

მასპინძელმა, ცოტა არ იყოს, გაოგნებულმა შემოგვხედა სამივეს, თუმცა, როგორც ეს ცხოვრებაში გამოცდილ და მრავლისმნახველ კაცს შეეფერება, იმავე წუთს ისარგებლა ამ ვითარებით და თავისი სტუმარი ცალკე გაიხმო.

— აი ეს ის ბიჭუნაა, — თქვა მან და წითურზე მიუთითა, — ვის შესახებაც მქონდა პატივი, მეთხოვა...

— ჰოო? — უპასუხა იულიან მასტაკოვიჩმა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო ვონს.

— ჩემი შვილების აღმზრდელის ვაჟია, — განავრძო მასპინძელმა, — საწყალი ქალია, ერთი პატიოსანი ჩინოვნიკის ქვრივი, ამიტომაც... იულიან მასტაკოვიჩ, თუ შეიძლება...

— ო, არა, არა, — აჩქარებით წამოიძახა იულიან მასტაკოვიჩმა. — მაპატიეთ, ფილიპ ალექსეევიჩ, მაგრამ, არ შემიძლია, ვაკანსიები არა მაქვს, რომც იყოს, ერთ ადგილზე ათი კანდიდატია, რომელთაც

გაცილებით მეტი უფლება აქვთ, ვიდრე მას... ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ.

— სამწუხაროა, — ვაიმეორა სახლის პატრონმა, წყნარი, მოკრძალებული ბიჭია.

— როგორც ვხედავ, დიდი ონაგარი ვინმეა, — თქვა სიბრაზისგან პირმოღრეცილმა იულიან მასტაკოვიჩმა, — წადი, წადი, უღვახარ, წადი შენს ტოლებთან, წადი, — მოუბრუნდა იგი ბიჭს.

აი აქ მასტაკოვიჩმა, როგორც ჩანს, ველარ მოითმინა და ცალი თვალით გადმოხედა. მეც ველარ მოვითმინე, პირდაპირ სახეში შევხედე და გადავიხარხარე. იულიან მასტაკოვიჩი იმავე წამს შემობრუნდა და ჩემს გასაგონად — ეს უცნაური ახალგაზრდა ვინ არისო, — ჰკითხა მასპინძელს. მათ ერთმანეთს ჩურჩულით გადაულაპარაკეს და ოთახიდან გავიდნენ. მოგვიანებით დავინახე, იულიან მასტაკოვიჩი მასპინძელს როგორ უსმენდა და თავს უნდობლად როგორ უქნევდა.

ხარხარით გული რომ ვიჯერე, დარბაზში შევბრუნდი. იქ მამებით და დედებით, დიასახლისითა და სახლის პატრონით გარშემორტყმული ჩვენი ის დიდად პატივსაცემი ბატონი რაღაცაზე გაცხარებით ესაუბრებოდა ერთ მანდილოსანს, რომელიც ეს-ესა წარუდგინეს. ქალს ხელი იმ გოგონაზე ეკიდა, ვისაც ამ ათიოდე წუთის წინ იულიან მასტაკოვიჩი სასტუმრო ოთახში ესაუბრებოდა. ახლა იმ გოგონას სილამაზეს, ნიჭს, გრაციას, ზრდილობას ქება-დიდებას უძღვნიდა და დედამისის თვალწინ აშკარად პირმოთნებოდა. დედა აღტაცებისგან ლამის ტირილობდა, მამა ილიმებოდა, მასპინძელი კი სტუმრების სიხარულით ხარობდა. თითქმის ყველა სტუმარი ეთანხმებოდა მასტაკოვიჩს, ბავშვებსაც კი შეაწყვეტინეს თამაში, საუბრისთვის ხელი რომ არ შეეშალათ. ჰაერიც კი რიდიტა და მოკრძალებით იყო გაუღვინთილი. მოგვიანებით გავიგონე, ამ მშვენიერი გოგონას გულის სიღრმემდე შეძრული დედიკო ენამოქარგული როგორ სთხოვდა იულიან მასტაკოვიჩს, პატივი დაედო მათი ოჯახისთვის და სტუმრად სწვეოდა. ისიც გავიგონე, რა გულწრფელი აღფრთოვანებით მიიღო მიწვევა იულიან მასტაკოვიჩმა, ხოლო სტუმრები, როგორც ამას ზრდილობა მოითხოვს, რა გულისამაჩუყებელი ქება-დიდებათ ამკობდნენ მოიჯარეს, მის მეუღლეს, მის გოგონასა და განსაკუთრებით იულიან მასტაკოვიჩს.

— ეს ბატონი ცოლიანია? — განგებ ხმამაღლა ვკითხე ერთ ჩემს ნაცნობს, რომელიც მასთან ყველაზე ახლოს იდგა.

იულიან მასტაკოვიჩმა გამომცდელი და ღვარძლით სავსე მზერა მესროლა.

— არა! — მიპასუხა ჩემი უტაქტობით გულის სიღრმემდე შეწუხებულმა ნაცნობმა.

ამას წინათ ერთ-ერთ ეკლესიასთან ჩავიარე. ეკლესიის წინ შეგროვილი ხალხის უჩვეულო თავყრილობამ ძალიან გამაოცა. ირგვლივ ყველა ქორწილზე ლაპარაკობდა. ღრუბლიანი დღე იყო, საცაა ყინვები დაიწყებოდა. ხალხი გავარღვიე და დავინახე სასიძო: ეს იყო ტანდაბალი, ჩამრგვალებული, ღიპიანი, თავით ფეხებამდე მორთულ-

მოკაზმული კაცი. იგი დარბოდა, განკარგულებებს იძლეოდა, ერთ ქოთქოთსა და ფაციფუცში იყო. ბოლოს ხმა გავარდა, პატარძალი მოჰყავთო. როგორც იქნა, ბრბოში შევალწიე და დავინახე წამდვილი მზეთუნახავი, რომელსაც ეს-ესაა პირველი გაზაფხული დასდგომოდა. საპატარძლო საოცრად ფერმკრთალი და მოწყვნილი ჩანდა აქეთ-იქით დაბნეული იყურებოდა. ისიც კი მომეჩვენა, თვალები თითქოს ტირილისგან ჰქონდა დაწითლებული. სახის თითოეული ნაკვთის ანტიკური დახვეწილობა მის სილამაზეს რალაც დიდებულ, ბრწყინვალე იერს აძლევდა. ამ დიდებულების, დახვეწილობისა და სევდის შილმა ჯერ კიდევ ბავშვური, უმანკო სახე გამოკრთოდა და ამ ნორჩი, გულუბრყვილო, შეუბღალავი გამომეტყველებით თითქოს შენდობას გვემუდარებოდა.

ამბობდნენ, ეს-ეს არის თექვსმეტი წელი შეუსრულდაო. სასიძოს კარგად რომ შევხედე, უცებ იულიან მასტაკოვიჩი ვიცანი, რომელიც ხუსტად ხუთი წელი იყო არ მენახა. პატარძალს შევხედე და... ღმერთო ჩემო!.. ხალხით გაჭედილი ეკლესიიდან მაშინვე გამოვედი. ლაპარაკობდნენ, პატარძალი ძალიან მდიდარია, ჩასაცმელ-დასახურზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მზითვად ხუთასი ათას მანეთს ატანენო...

ისე, კარგად კი გაითვალა-მეთქი! — გავიფიქრე ქუჩაში გამოსულმა...





შექსპირის ტრაგედიის თარგმნის პროცესში

„ჰამლეტი“.

პირველივე გვერდიდანვე ეწყება სირთულეები მთარგმნელს.

ელსინორი. ციხე-სასახლე. საგუშაგო მოედანი. შემოდის ალბარდებით შეიარაღებული ორი მეციხოვნე, ბერნარდო და ფრანცისკო. გუშაგებმა უნდა შეცვალონ ერთმანეთი. ღამის თორმეტი საათია. სადღაც საათმა თორმეტჯერ ჩამორეკა. საშინლად ცივა. გუშაგთა რიტუალი, — „ჰეი, ვინ მოდის“. „შესდექ, ნიშანი“ და ა. შ. ბერნარდო ეკითხება ფრანცისკოს — „ხომ წყნარად იყო აქ ყველაფერი“; (აჩრდილი ხომ არ გამოჩენილლა?) ფრანცისკოს თავის ფხაჭუნიც არ გაუგია... მაყურებელს ეჭვი ეპარება აჩრდილის გამოჩენაში. ფრანცისკო მიდის და ბერნარდო დაადევნებს:

„თუ ჰორაციოს, მარცელუსს შეხვდი, უთხარი ცოტა ფეხს მოუჩქარონ.“

ბრძოლებში გამოწრთობილ ვაჟკაცის გულს შიში შეეპარა? ქარის სისინი, ფერმკრთალი მთვარის ათინათი, შორეული საათის ავი ხმა... შიშს დიდი თვალები აქვს, ყველაფერი შიშის ურჯოლას გვრის ვაჟკაცი მეციხოვნის გულს. დიდხანს არ უნდა მარტო დარჩენა. მომსვლელებმა „ცოტა ფეხს მოუჩქარონ“, ვითომ დაუდევრად დაადევნებს ამ ფრაზას მიმავალს. მაყურებელსაც გადაედება ეს შიში... და საეჭვო აჩრდილი რეალობად იქცევა.



ელსინორის ციხის ძირში ჰორაციო და მარცელუსი გამოჩნდებიან, იგივე შეძახილი, — „ჰეი, ვინ მოდის!“, „ჰორაციო, მგონი შენა ხარ?“ და ჰორაციოს პასუხი:

„A piece of him“

აქ ჩნდება დიდი თავსატეხი მთარგმნელთათვის, შექსპიროლოგთათვის...

ჰორაციოს, ურწმუნო თომას მსგავსად, არ სჯერა აჩრდილის გამოჩენისა!

იგი აქ ამ საარაკო ამბის გადასამოწმებლად არ მოსულა. იგი ვიტენბერგის უნივერსიტეტის ახალგაზრდა სტუდენტია, ფილოსოფოსი... ასეთი ზღაპრები მას არ სწამს. სკეპტიკურად განწყობილმა ჰორაციომ თავისი სულის თუ ხორცის ნაწილი გამოაგზავნა იმ ჯარისკაცთა ხათრით, რომლებმაც მას ეს ამბავი აცნობეს...

„A piece of him“

მე, ჰორაციო მთლიანად კი არ მოვედი თქვენთან მთელი ჩემი არსებით, არამედ მისი ნაწილი, ნაკუწი, მცირე ნაჭერი, ნაგლეჯი, ნაფლეთი, ჩამონაკვეთი, ნამცეცი გამოვაგზავნე აქ...

ბერნარდო

ჰორაციო, მგონი, შენა ხარ,

ჰორაციო

მგონი, ისა ვარ.

ბრწყინვალე მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის შესანიშნავი ინტერპრეტაცია: „მგონი, ისა ვარ“. პორაციოც კი არ არის დარწმუნებული აქ რა უნდა, ამ სისულელის სანახავად თუ მოსასმენად აქ რამ მოიყვანა...

„მოგცლიათ ერთი, არავინ მოვა“. (მაყურებელიც ასე ფიქრობს) სიტუაცია კულმინაციამდე დაიძაბა და უცებ მარცელუსი ძლივს ამოიღულულულებს:

„იყუჩეთ, ჩუმად... კრინტი არ დასძრათ, აგერ ის ისევ გამოგვეცხადა...“

შემოდის აჩრდილი. თავით-ფესამდე ბეგთარში ზის, ხელში მთავარსარდლის კვერთხი უპყრია. ამ ყოვლად დაუჯერებელი ამბის ყოველგვარი ეჭვი უკვალოდ ქრება.

„შექსპირის მიბაძვით ვოლტერმა თავის „სემირამიდაში“ გამოიყვანა ნინას აჩრდილი... დღისით, მზისით, მსხვილ სახელმწიფო მოხელეთა თავყრილობაზე, ჭექა-ქუხილის თანხლებით, გამოცხადდება აჩრდილი... მაგრამ იგი ბავშვების დასაშინებელ საფრთხობელადაც არ აღირს...“ ლესინგი, („ჰამბურგიშე დრამატურგი“, *„Hamburgische Dramaturgie“*).

ქართული ინტერპრეტაციით ოტელიო ყვირილით, ზეაწეული ინტონაციებით ლაპარაკობს. ეს არ არის ოტელიოს სწორი გაგება. ეჭვით შეპყრობილი ადამიანი, თავის არსებაში ჩაკეტილი, ჩუმად აანალიზებს ყოველ მოქმედებას. მხოლოდ კულმინაციას მიღწეულმა, შეიძლება გავარვარებულ ლავად გადმოანთხიოს ის, რაც მას, გარკვეული დროის მანძილზე, დაუგუბ-

და გულში. ოტელიო იმდენად ძლიერი ადამიანია ფიზიკურად თუ სულიერად, რომ არ შეიძლება ყვირილითა და ჭარბი ემოციებით გამოხატოს თავისი გრძობები. მას შესწევს იმის ძალა, რომ მოთოკოს თავი, გააანალიზოს ყველაფერი ის, რაც მის გარშემო ხდება. ამისათვის კი ყვირილი არ არის საჭირო. ასევე რჩარდ მესამემ. ლოურენს ოლივიე უაღრესად დინჯად, აქეთ-იქით სირბილისა და შეყვირებისა თუ შეძახილების გარეშე ასრულებს ამ როლს. ისე, როგორც ეს დიდი ბრიტანეთის მეფეს შეეფერება.

ოფელია — სიწმინდისა და სიფაქიზის განსახიერება. მას საკუთარი თავისთვისაც კი ვერ გაუმხელია სიყვარული. თეთრი კაბა, ქერა კულულები და ყვავილები, ყვავილები...

მდორე მდინარე ზედ გადმოხრილი ტირიფებით. იგი ყოველთვის თავის პოეტურ სამყაროსთან განუყრელად დაიარება. „მონასტერში წადი“. ურჩევს ჰამლეტი თავის ღვთაებრივ არსებას. ამ ბინძური ხორციით და ბნელი სულით სავსე ქვეყანაში ასეთი არსებების ადგილი არ არის.

ოფელიას სიმღერა, — მუსიკა, რომელზედაც იმღერება ოფელიას სიტყვები, დაახლოებით იგივეა, რაც იმღერებოდა შექსპირის დროს. ჩვენამდე მან გადმოცემით მოაღწია. ძველი ნოტები თეატრ დრური-ლეინის დროს დაიწვა, 1812 წელს. ვინმე ლინლეიმ, მუსიკის დიდად მოყვარულმა კაცმა, მოისმინა როგორ მღეროდა ამ სიმღერას მისს ფილდი (*miss Field*) დრური ლეინში და მოტივი ჩაიწერა მესხიერებაზე დაყრდნობით.

„იგივე გააკეთა ერთმა სწავლუ-

ლმა კაცმაც“, — გვამცნობს გ. ივანოვი „არტიტის“ I წიგნში, — „გააკეთა ეს სიტყვების მიხედვით (და ალბათ მოტივისაც, ზ. გ.), რომელსაც მღეროდა უკვე სხვა მსახიობი ქალი. ეს ორი ჩანაწერი ერთმანეთს დაემთხვა. განსხვავება მხოლოდ ტემპშია. ასეთი ვითარება შესაძლოა ადასტურებდეს ოფელიას პირველი სიმღერის ორიგინალობას...“.

ჩვენ გაგვაჩნია ეს ნოტები, რომელიც დაბეჭდილი იყო „დი ბეგარს ოპერა“-ში (*the Beggar Opera*) 1728 წელს და „დი ჯენეროუს ფრიიმასონში“ (*the Generou, Freemaosn-ში*) 1731 წელს. ნოტები დაბეჭდილია III ტომში — „B. Шекспир. Трагедия о Гамлете принце датском, — Санкт-Петербург. — 1901 г.“

ჩვენ შეგვიძლია დახმარება გავუწიოთ „ჰამლეტის“ მომავალ დამდგმელებს, სადაც ოფელიას აღარ მოუწევს იმის სიმღერა, რასაც რეჟისორი გადაწყვეტს.

ღედოფალი გერტრუდა ყვავილებს გულზე აყრის ოფელიას კუბოში და სევდიანი ხმით ამბობს:

„Sweet to the sweet.
Farewell!“

„მშვენიერები მშვენიერს.
მშვიდობით!“

დანის ღედოფალი ეთხოვება თავის მშვენიერ სარძლოს. ღედოფალი გერტრუდა პოეტური ნატურის, ძლიერი ნებისყოფის, მიზანდასახული ადამიანია. ეს არ არის სუსტი, ადვილად „მსხვრევალი“ მყიფე ბუნების, ცთუნებას იოლად ამყოლი ქალი. ეს არის იმ კატეგორიის ადამიანი, რომელიც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იღებს სწრაფ და სწორ გადაწყვეტი-

ლებას ცხოვრებაში. აქ ყოყმანის დრო აღარ არის, — ქმარი, დანიის მეფე, მაზლმა მოუკლა, ელსინორში დაბრუნებულ მის გაუიშვილსაც, ჰამლეტს, იგივე ელის, მას სჭირდება ძლიერი მთარველი და ტახტისკენ მიმავალი ათასი მზაკვრობითა და ლალატით სავსე, ეკლიანი გზის გამკვლევი. ყველაზე დიდი ნიფათი კი მას საკუთარი ბიძისაგან, დანიის ახალი მეფისაგან ელის. იგი არავის და არაფერს დაინდობს, ვინც გზაზე გადაელობება. აი, ამ კაცს გაჰყვა ცოლად დედოფალი გერტრუდა გაუბედაობისა და მერყეობის გარეშე. აქ ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას! ყოყმანის დრო აღარ არის! ჰამლეტი სათანადოდ ვერ ერკვევა სამეფო კარზე გაბატონებულ პოლიტიკაში. მას არ ესმის პოლიტიკაში გამოზრძმედილი დედის პოზიცია, მისი მოქმედების გამიზნულება. ვერ ჩამხვდარა მის ნაფიქრალს და დედოფალი ნალვლიანად ამბობს:

„კარგი მე მაშინ იმათ მოვიწვევ, ვისაცა ძალუძს შენთან ბაასი“.

გერტრუდასთვის სრულიად ნათელია, რომ ჰამლეტის გამოგონილი გონების სენი არ არის საკმარისი მის დასაცავად. ამაში სხვასაც ეპარება ეჭვი. თვითონ ჰამლეტი ეუბნება დედას:

„უთხარ რომ მართლა გიყი კი არ ვარ,
არამედ ამას ვიგონებ მხოლოდ“.

ღედოფალმა გერტრუდამ ეს იცის, ამიტომ მას არ ეხება გამწარებული შვილის წამოძახილი:

„Frailty, thy name is women!“

რომელიც ქართულად ითარგმნა როგორც:

„არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“

და ეს მძლავრად მოქმედი წინადადება მოარულ ფრაზად იქცა მთელ საქართველოში. არადა, სიტყვა არ ნიშნავს „არარაობას“: ეს არის — სიმყიფე, სუსტი ხასიათი, სრწნადობა, წარმავალობა, მორალური მერყეობა, ორჭოფობა, და ა. შ. მაგრამ „არარაობას“ არ ნიშნავს. თავის ნაწარმოებებში შექსპირს გამოყავს ქალი ეშმაკი, მუხანათი, ლაქლაქა, მკვლეელი, მეძავი, მაგრამ არასოდეს უწოდებს მას „არარაობას“.

„რომეო და ჯულიეტას“ ავტორმა არ შეიძლება ქალს არარაობა უწოდოს... ძლიერი დედოფალი გერტრუდა ცვალებადი ადამიანია, როცა ეს მას სჭირდება!

ყოფნა-არყოფნის საკითხი დღეს ისევე აშფოთებს მთელ მსოფლიოს, როგორც 400 წლის წინ. ამიტომაც შექსპირი მსოფლიოს ხალხთა გულთამხილველი.

მე-16 საუკუნეში ინგლისის პორტებში და ტავერნებში გიტარის აკომპანიმენტით მღეროდნენ ამ გენიალურ მონოლოგს ტავერნის მომღერლები თუ ბარდები.

შემდეგ, რა იქნება შემდეგ?

არ ვიცით თუ რა დაგვესიზმრება... როს დავუძვრებით მოკვდავთ ცხოვრების მღელვარებას და აუტანლობას. ეს გვაჩერებს და... ეს რომ არ იყოს ვინ აიტანდა

მჩაგვრელთ სიავეს, ამაყთ ურჩობას...

დაღირსეულის შეურაცყოფას უმაქნისსა და უღირსისაგან.

არ აიტანდა ადამიანი ამას...

„რომ არა ქონდეს ძრწოლა და შიში

სიკვდილის შემდეგ გაურკვევლობის, ამოუცნობი იმ უცხო ქვეყნის, ჯერ ჩავლილი რომ არ მოქცეულა“.

ინგლისური

შეუღარებელნი ინგლისელი მსახიობები შექსპირის გმირთა ბუნებაში ჩაწვდომით და მისი განსახიერებით ინგლისური თეატრის სცენაზე. სერ ლორენს ოლივიეს რიჩარდი, რა თქმა უნდა, განსხვავდება რამაზ ჩხიკვაძის რიჩარდისაგან; ბენ ჯონსონის და რიჩარდ ბერბეჯის ოტელო აკაკი ხორავას ოტელოსაგან; ინგლისელი ჰამლეტი უშანგი ჩხეიძის ჰამლეტისაგან, ჯულიეტა მედეა ჯაფარიძის ჯულიეტასაგან... გენიალური ნაწარმოების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მსოფლიოს ყოველ ქვეყანას ჰყავს თავისი ჰამლეტი, ოტელო, ჯულიეტა, — შედევის დი-აპაზონი უკიდევანოა.

უილიამ შექსპირის ნაწარმოებებს არ ესაჭიროება განსაკუთრებული ინტერპრეტაცია, რეჟისორის (ისევე, როგორც მთარგმნელის...) უპირველესი ვალია მაქსიმალურად მიუახლოვდეს შედევის არსს, მის ბუნებას... ფრანკო ძეფერელის „რომეო და ჯულიეტა“ ამის ჩინებული მაგალითი და არა ყოვლად გაუმართლებელი რეჟისორული ინტერპრეტაციები, ბოლო დროს, ქართულ სცენაზე დადგმული შექსპირის ნაწარმოებებისა.

ოსრიკი — ახალგაზრდა კარის დიდებული. მეფის ფავორიტი, ერთობ მდიდარი მამულების პატრონი, მეფის კარზე გალაღებული პიროვნ-

ნებაა. საკმარისი პრაქტიკული ჭკუა გააჩნია, მაგრამ მაინც ქერქეტია. მას მოსწონს მზაკვრობითა და მუხანათობით სავსე მეფის კარის ჩამყაყებული ატმოსფერო. თავის სტიქიაში გრძნობს თავს. მის გამოჩენაზე ჰამლეტი პორაციოს გადაულაპარაკებს —

„Dost know this water-fly?“

„Water-fly“

ყველა თარგმანში, რომელზედაც ხელი მიგვიწვდა, ფრანგულში, გერმანულში, რუსულში, აზერბაიჯანულში, სომხურში და ა. შ. ეს სიტყვა ნათარგმნია როგორც „მწერი“. ქართულად ასეა თარგმნილი —

„იცნობ, პორაციო, შენ ამ ჭრიჭინას?“

„Water fly“ — არ არის არც „მწერი“ და არც „ჭრიჭინა“.

შექსპირი ხშირად ხმარობს სიტყვას, რომელსაც გარკვეული პოლისემანტიკური დატვირთვა, ნიშანი გააჩნია. სიტყვა-სიტყვით ეს ნიშნავს „წყლის ბუზს“. მისი ქართული შესატყვისია — „ციბრუტელა“, „ტანაჯორი“, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია ასე: „მცირე ზომის წყლის მწერი ბალნინჯოსნაირთა რიგისა; მეტწილად ზურგით დაცურავს“. დღეისათვის მსოფლიოში მილიონზე მეტი მწერია აღწერილი ენტიმოლოგთა მიერ, არც ერთი მწერი არ დაცურავს ზურგზე. ციბრუტელა, ტანაჯორი დასრიალებს თავისი მაღალი ფეხებით (რომლებზედაც თითქოს წყლის თხილამურები აქვს წამოცმული) ცქვიტი მოძრაობით, ჩამყაყებული გუბის ზედაპირზე, საქონლის ფლოქვთა ჩაღრმავებულ ადგილას ჩამდგარ ხაუსმოდებულ, ჩაყვითლებულ გუბურის ზედაპირზე...

მეფის დამყაყებული კარია ასეთი და ოსრიკს მოსწონს ეს, იგი თავის სტიქიაშია, ერთობ ლაღად გრძნობს თავს და ისე დაქრის აქეთ-იქით როგორც ციბრუტელა ჩაყვითლებულ, დამყაყებულ გუბებზე...

ვულგარიზმი საერთოდ ლიტერატურულ ენაში მიუღებელია, მაგრამ დიდი მწერლები, კლასიკოსები ამას ერთობ მოურიღებლად და ხალვათად ხმარობენ, როდესაც ეს საჭიროა, როცა ამას აუცილებლად მოითხოვს ნაწარმოების ბუნებრივი განვითარება. მთარგმნელმა რომ ყველაფერი ადექვატურად უნდა თარგმნოს ის, რაც დედანშია, რა თქმა უნდა, ორ აზრს არ იწვევს. მაგრამ ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკა მოწმობს იმას, რომ როდესაც მთარგმნელი დედანში ხვდება ვულგარულ გამოთქმებს, თუ გნებავთ „უხამსობებს“, იგი ითვალისწინებს თავისი დროის საზოგადოების აზრს და ცდილობს ან მთლად აუაროს გვერდი ასეთ ადგილებს, ანდა, შეარბილოს ის, რათა არ ეხამუშოს მკითხველის თუ მაყურებლის ყურს.

დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი პრინციპულად იცავდა დედნის უცვლელობას თარგმანში. მაგრამ ეპოქის ზნეობის გათვალისწინებით ბერძნული ტექსტის ერთ-ერთი ადგილი — „ნივთად წინამდებ არს დედაკაცი, ხოლო მოქმედებად ამისად სიძვა, მრუშობა, გინა კანონიერი კავშირი“, — ასე შეიურბილებია — „ნივთიერად არს შეშა, ხოლო მოქმედებად ხუროვნება“. სულ სხვა ეპოქის ქართველ მთარგმნელთა მიერ ამა თუ იმ საჩოთირო ადგილების თარგმნას იგივე მორალური პრინციპი ედო საფუძვ-

ლად. ეს არ არის ახალი ქართულ მთარგმნელობაში.

ეს ბედი ეწია „ჰამლეტის“ ქართულ მთარგმნელობასაც. ჩვენი აზრით, ასეთი რამ, ადრინდელ მთარგმნელთა პოზიციებიდან, თითქოსდა გამართლებულია. მთარგმნელმა, ეს უნდა მას თუ არა, მაინც უნდა გაითვალისწინოს, ანგარიში უნდა გაუწიოს თავისი დროის გაბატონებულ აზრს, გემოვნებას. რადგან ნებით თუ უნებლიეთ, თვითონაც იმყოფება მისი გავლენის ქვეშ. აქედან გამომდინარე, თავისი შეხედულების მიხედვით უნდა მთარგმნოს ასეთი „ვულგარიზმები“. მეოცე საუკუნის ბოლოს კი, როდესაც ჩვენი ყოფა სავსეა პორნოლიტერატურითა და სექსვიდეო კასეტებით, ასეთი რევერანსი მთარგმნელს აღარ სჭირდება, აღარ ეჩითირება მსგავსი ადგილების მთარგმნა.

ტრაგედიის III მოქმედების II სურათში ჰამლეტი ასე მიმართავს ოფელიას: *„That's a fair thought to lie between maids legs“*.

ო, რა ზღაპრული ოცნებაა ქალწულის ფეხთა შუა წოლა“-ო. ადრინდელ მთარგმანში ეს შერბილებულია. ჰამლეტი ასე მიმართავს ოფელიას: — „რა კარგეა ნუმიკაცი ქალის მუხლებთან“-იყოფიერე ჰამოწოლილი“.

დამახინჯებულია დედანი, სრულიად დაკარგულია ის ფსიქოლოგიური და აზრობრივი დატვირთვა, რაც ასე აუცილებლად ჩანს ორიგინალში.

ახალ ქართულ მთარგმანში ეს ადგილი ასე უღერს:

„ო, რა საამო ზღაპარი არის ქალწულის ფეხთა შუაში წოლა“.

ამრიგად, ჩვენ აუცილებლად ვთვლით იმას, რომ დედნის ფრაზა თუ მთლიანად აბზაცი, რა მნიშვნელობაც არ უნდა გააჩნდეს მას, უნდა სათანადოდ იმთარგმნოს ან ენობრივი მისადაგებით, ან ადექვატური შესატყვისებით. მთარგმნელის მიერ მისი გამოტოვება თუ შერბილება დაუშვებელია.



ღმინების სტრუქტურა

გერმანიული დანი

თარგმანი რუსულიდან ლვინიშვილი



„რაციონალისტი და განმანათლებელი. რისი შემოთავაზება, რისი თქმა ძალუძს მას ჩვენთვის, დღევანდელთათვის, რომლებსთვისაც გზა წინაპართაგან ყოველდღიურ გასეირნებად ქცეულა? ჩვენთვის, რომელნიც არა თუ არ ვენდობით გონებას, არამედ სიამოვნებას, უაღრეს კმაყოფილებასაც კი გვგვრის ეს უნდობლობა, ღვარძლიანად ვალმერთებთ ირაციონალურს, გონი სიცოცხლის ჯალათად შეგვირაცხავს, აზრი სამარცხვინო ბოძზე გაგვიკრავს და დინამისტური რომანტიკის ასტარტას დღესასწაულებზე ავხორციულად ვტკბებით ჩვენი ძმური ერთსულოვნებით? ჩვენთვის, რომელთაც ღამით რევოლუციის ხატი მოვიპარეთ, საკუთარ, რეაქციულ ბანაკში გადავართიეთ და ახლა „კონსერვატიული რევოლუციისათვის“ ვაფრიალებთ: უახლესი, ყველაზე დახვეწილი და ვერაგული თამაში, რომელსაც მხოლოდ მამულის მოღალატენი არიდებენ თავს, და რომლის წყალობითაც, ყველაზე ყავლგასული და დამყაყებული რამ, ჩვენდა საამაყოდ, სიმამაცისა და სიჭაბუკის შარავანდედით მოსილი წარმოგვიდგება?

რა უნდა გითხრათ მან? ვშიშობ, არაფერი — იმის გარეშე, რაც მას თქვენთვის, სწორედ თქვენთვის ექნებოდა სათქმელი, თქვენი ყურები

რომ მეტისმეტად „გრძელი“ არ იყოს ისეთი სიტყვებისათვის, როგორც მისი სიტყვებია; თქვენ რომ შეგეძლოთ, გადააწვდინოთ თვალი დროის მომავალ ტალღას, არა მარტო მიენდოთ და მიწებდეთ მას, არა მარტო წარმავალი მოდა იყოს თქვენი ფარი მაგ თქვენს მხდალ ტრიუმფში, არამედ ცოტაოდენი მიუსაფრობა და თავისუფლება გესაგზლათ მომავლისაკენ, რომლის ბინადარიც ის არის, და რომელიც მიესალმება მას, კაცობრიობის მეგობარს, როგორც თანამედროვეს, უფრო თანამედროვეს, ვიდრე რომელიმე უდღეური მოაზროვნეა, სულიერად რომ ასაზრდოებს თქვენს ბოროტ ზრახვებს...

პროექტორის შუქი, რომლითაც საიუბილეო დღე მის იერსახეს ანათებს, გამოკვეთს ცალკეულ ნაკვთებს, რომელთა თანამედროვეობას, ნათესაობას ჩვენთვის ესოდენ ახლობელ სულიერებასთან, გაოცებაში მოვყავართ. მის ტრაქტატში ქრისტეს რელიგიის შესახებ, რომელსაც იგი პოლემიკურად განასხვავებს ქრისტიანული რელიგიისაგან, გვხვდება ისეთი შენიშვნები, რომელთა მსგავსება ტოლსტოისთან ძალზე თვალშისაცემია. სხვა დროს ის ნიცმეს მოგვაგონებს. მხედველობაში მაქვს ის ადგილი, სადაც იგი იცავს „ანტითეზას“ გარკვეული ადამიანების მიმართ, „რომელთაც, არ ვიცი,

რა თანდაყოლილი ზიზღი აქვთ ყოველგვარი გონებამახვილობისადმი“, და განმარტავს, ამ ანტითეზამ მხოლოდ იმის გამო დამაეჭვა, რომ ხშირად მახვილსიტყვაობის მხოლოდ სუსტი ანარეკლია ის, რაც გონებამახვილობის დამფერფლავი ელვის ნაცვლად წარმოგვიდგება ხოლმეო „მითუმეტეს ძვირფას პოეტებთან“. ზუსტად ასე მოიხსენიებდა ნიცშეც „ძვირფას მხატვრებს“, — და მგონია, როცა ის ასე ლაპარაკობს, გაუცნობიერებლად ლესინგი ახსენდება. არც ერთი მათგანი არ მიაკუთვნებდა თავს პოეტთა ფენას, — და ეს თავმდაბლობა როდი იყო; ის დამცინავ-შემწყყნარებლური ქედმაღლობა, რომლითაც ამას აცხადებდნენ, არ გვაფიქრებინებს, რომ რაღაც უფრო მცირედად მიაჩნდათ თავი. საკუთარი ღირსების გრძნობა ლესინგისა უფრო ჯანსაღი იყო, ვიდრე ნიცშესი, მაგრამ არა ნაკლები. რაკი „ბერკეტებსა და დგუშებზე“ ლაპარაკობდა, და აცხადებდა, პოეტი არ ვარო, არ უნდა ვიფიქროთ, რომ გონთა იერარქიაში საკუთარ ტიპს პოეტზე უფრო დაბალ საფეხურზე აყენებდა. ლესინგი, ისევე როგორც ნიცშე, არ დებდა თავს პოეტობაზე, რადგან ის მოიცავდა პოეტობას, რადგან — თუ თქმცა — ის სხვათა შორის პოეტიც იყო, და კერძოდ, უფრო თანამედროვე, უფრო თავისუფალი, უფრო გონისმიერი და საერთო გაგებით, ვიდრე ღვთისმოსიშ გერმანულ ხალხს შეეძლო ენატრა თავისთვის. მისი თანამედროვეობა და თანადროულობა, ჩემის აზრით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პოეტობის გერმანული ცნება მასთან უძლურია, არ რგებს, ვიწროა მისთვის. რა საოცარია ეს დაუცხრომელი „გერმანული კამათი“ ლესინგის პოეტობის თაობაზე, რომელიც ყველა სხვა ქვეყნისათვის წარმოუდ-

გენელია! განა აუცილებელია იყო პოეტი, თუ ლესინგი ხარ?

მაშ ვინ იყო ის? სწავლული? — სულაც არა! „მე სწავლული არ ვარ“, წამოიძახებს ის, ^{ე. ი. უნდა} არასოდეს მიფიქრია სწავლული ^{მეც} მხატვარიცა — არასოდეს არ მქონია ასეთი სურვილი, თუნდაც სიზმარში რომ ყოფილიყო ეს შესაძლებელი. მხოლოდ იმას თუ ვცდილობდი, საჭიროების შემთხვევაში სწავლული წიგნის გამოყენება შემძლებოდა“. ვის ეკამათება? სწავლულთა საძმოს არასოდეს მიუთვლია ის თავისიანებში, და მანაც სამაგიერო გადაუხადა — დასცინოდა „ბრძენ პროფესორს“ და თაყვანს სცემდა მეისტორიე ვოლტერს, აღტაცებული მისი უნარით, ერთ ეპიგრამაში გამოეთქვა უმნიშვნელოვანესი მოვლენები და ყოველივე ეს „რაღაც თავისებური ეშმაკობით“, რაც პოეტს ამხელდა მასში. იგი მისი მოსწავლეა, მაგრამ გერმანულ, ლუთერულ ყაიდაზე. „უმჯობესია კიდევ ცოტა ხანს ვილაყბოთ“... ამ სიტყვებით იწყებს იგი რელიგიურ პოლემიკას ჰამბურგელი მღვდელმთავრის წინააღმდეგ, და რადგან სცენის ეს შეურიგებელი მტერი არ იშლის თავისი ქედმაღლური „სერიოზულობის“, თავისი საძმოს თეოლოგიური პოზიციებიდან ლესინგის თეატრალური ლოგიკის, ხატებისა და რეკვიზიტების გაქილიკებას, ლესინგი იმგვარად იცავს თავის სტილს, რომ „არ ტოვებს გაუმხელელს“ (რჩება დაფარული), ^{ხოუ} ვისი გორისაა. „ხშირად ეს სტილი“, ამბობს იგი, „მით უფრო ონაერულად ეთამაშება მატერიას, რაც უფრო მეტად ვცდილობ მე, ვიცი გონებით დავიმორჩილო იგი“. — რა არის ეს, რა თამაში დაუფლებულ მატერიასთან, გადაკრული და ორაზროვანი სიტყვებით? რას ნიშნავს მასალის ფორმაში განზავება? ეს

არის ხელოვნება და რა საჭიროა მის პიესებში ქექვა იმაში დასარწმუნებლად, ნამდვილად იმსახურებს თუ არა ლესინგი პოეტის წოდებას! განა ლუთერი პოეტი იყო იმის გამო, რომ „უფალი — ციხე-სიმაგრე ჩვენი“ დაწერა, ან ნიცშემ დითირამები? პოეტური ჩემთვის სხვა არაფერია, თუ არა ენადქცეული ვნება, აფექტი განსახიერებული ენაში. ეს აფექტი შეიძლება იყოს ჭეშმარიტების ძიება, როგორც სწავლულისათვის. თუმცა მისთვის აფექტი და ენა ერთიანი არაა. იგი საქმიანია, მაგრამ როცა პერდერი ლესინგზე მსჯელობისას „თბილ სიცივეზე“, „უვნებო ვნებაზე“ ლაპარაკობს, აქ ის საქმიანობა იგულისხმება, რომელსაც სწავლულის საქმიანობისაგან განსხვავებით მხატვრული სუბიექტურობა ახლავს. სწავლული — ეს პატივსაცემი უსახურობის განსახიერებაა — ლესინგთან კი ყველგან ისეთი ხიბლი სუფევს, რომლისთვისაც კაცობრიობას იმთავითვე მხოლოდ ერთი სახელი მოეპოვება.

ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ ვნებაზე — იმ გონთან დაკავშირებით, რომელიც თავისი გონივრულ-განმანათლებლური ხასიათის გამო მიწისქვეშა ღვთაებათა თაყვანისმცემლებს შორის საეჭვო სახელით შეიძლება სარგებლობდეს. მართალია, რაციონალისტი პოეტი უცნაურად უღერს; ამ შესიტყვებაში ერთგვარი წინააღმდეგობაა. „ratio“-ს ცნება მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული წარმოდგენასთან „სიბრტყესა“ და ოპტიმიზმზე, საიმისოდ, რომ მეტნაკლებად დამაკმაყოფილებლად შეიძლებოდეს მისი „პოეტის“ ცნებასთან შეუღლება. მაგრამ, ჯერ ერთი, ლესინგი პოეტი არ ყოფილა — ამას თავად ამბობს. და მეორეც, განა სიკეთე იგივეა, რაც ოპტიმიზმი? — ნუ ავურევთ მათ ერთმანეთში. მისი

სიკეთე ღრმა და სულისშემძვრელი იყო — და ეს მით უფრო სულისშემძვრელია ისეთი დიალექტიკოსის პირობაზე, როგორც იყო ის, რომელიც სულ თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო ნიჰილისტი და დამცინავი. რაც შეეხება მის ოპტიმიზმს, ის არ არის უნაკლო. ლესინგმა გამოაცოცხლა გერმანული კომედია, შეიყვანა რა მასში ახალი ტიპის გმირი, რომლის მეღანქოლიური, ავადმყოფური შესახედაობის გამო რეცენზენტები გაოცებას ვერ ფარავდნენ. ტელჰაიმის სახისათვის ავტორს ღირიზმი არ დაუკლია. ის საშინლად სახუმარო წერილი, რომელშიც იგი თავისი პატარა ტრაუგოტის დაბადებასა და სიკვდილს იუწყება, თავისი „ჭკვიანი ვაჟიშვილისა“, რომელიც „მაშებით“ გამოათრის მზის სინათლეზე, რათა მაშინვე დაეტოვებინა ეს ქვეყანა, — სულაც არ მეტყველებს ჭეშმარიტ ოპტიმიზმზე. ამ წერილიდან შეიძლება დავინახოთ, რა არის მისთვის ხუმრობა. მასში ცოტა რამაა სასაცილო. ვინც თავისი პირმშოს კუბოსთან ხუმრობს, — ეს სიმწრის ხუმრობაა, — ასეთი ადამიანისათვის ჩანს, ხუმრობა ძალზე სერიოზული და ბუნებრივი რამაა: ესაა მისი რეაქცია ცხოვრების დაუნდობლობასა და ტრაგიზმზე. განა ლესინგმა არ დაწერა ტრაქტატი: „როგორ წარმოედგინათ სიკვდილი უძველეს დროში“? სათაური ბახოფენს მოგვაგონებს... ვალიარებ, რომ აზრთა მსვლელობა აქ სხვაგვარია; მაგრამ ამ თემის არჩევაში არის რაღაც, რაც ოპტიმიზმს ვერ ეწყობა, რელიგიური მულამი, რაც რაციონალისტიისათვის უცხოა. რა არის მისი დიალექტიკა, მისი ღრმა სკეფსისი, ჭეშმარიტების ფლობის უარყოფა დაულავი ძიების სასარგებლოდ? ეს არის მორჩილება უსასრულობის წინაშე

და მარადი წინსწრაფვა. „არ არის სწორი“, წამოიძახებს იგი იმ გზაზე დაკვირვებისას, რომლითაც გაუცნობიერებელ უხილავ წინდახედულებას ადამიანთა მოდგმა მიჰყავს, და რომელზეც იგი დროდადრო თითქოს უკან იხევს ხოლმე, „არ არის სწორი, რომ უმოკლესი მანძილი ყოველთვის სწორი ხაზია“. — ეს არ არის რაციონალისტ-მათემატიკოსის სიტყვები.

რა მცდარია ნათელი აზრისა და გულუბრყვილობის ამ ყოვლისმძლე ნაზავის, ამ უნიკალის — ასე რომ ენათესავენა დიდი მონარქისას, რომელმაც, მისდა სამარცხვინოდ, ვერ შეამჩნია იგი (ლესინგი. რ. ღ.), — უსულო სინათლის წმინდა რაციონალისტურ წარმოდგენებთან დაკავშირება! განა შესაძლებელია ცხოვრების ამგვარი გზის გავლა, ამგვარი მისიის, დანიშნულების აღსრულება, ერზე ამგვარი უსაზღვრო გავლენის მოხდენა იმ დემონურობისა და შეპყრობილობის, ბუნების იმ სიღრმისა და ვნების გარეშე, რომელსაც გენიოსისაგან, პოეტისაგან მოვითხოვთ?

„მხოლოდ შემლილი, მხოლოდ პოეტი“. — „ისეთი ადამიანი“, ამბობს გოეთე, „როგორცაა ლესინგი, აუცილებელი იყო ჩვენთვის, რადგან, რაშია მისი სიღიადე, თუ არა მის ხასიათში, მის სიმტკიცეში“. — პოეტი თავისი კაცობით, თავისი ხასიათით, ეს არის ლესინგის ფენომენი. ასეთად გრძნობს ის თავს, როცა „ძვირფას პოეტებზე“ ლაპარაკობს. „Beaux esprits“, * მან თარგმნა, როგორც „ჭეშმარიტად ცარიელი თავები“, რითაც იგი, ღვთისმეტყველების მეტროპოლი მოყვარული, დასცინის რელიგიურ ესთეტებს, რომელთა მიმართ ყველაზე კინი გაგებით იყე-

ნებს სიტყვას „თავშესაქცევი“, მაგრამ მისი თეოლოგიაც, უკაცრავად პასუხია და, „თავშესაქცევი“, რამდენადაც ის „პოეტს ამხელს“ მასში, და ისიც „bel esprit“^{*} გონებამანვილია“, თუმცა უფლებდარი ქალური გულჩვილობის გარეშე და ღრმა ირონიის ვნებით შთაგონებული. რა არის ის ბოლოს და ბოლოს, თუ არა პოეტი ან პოეტზე მეტი? იგი არის ის, ვისაც თანამედროვე ზნეკეთილი სამყარო, ყოველგვარ მითოლოგიურობასა და გრძნობიერებას მოკლებული, მწერალს უწოდებს. გერმანიაში იგი პირველი განასახიერებს დიდი მწერლის გერმანულ ტიპს, რომელიც, თავისუფალი და ბრწყინვალე, მატერიალურ-ზემატერიალური სიტყვის მეუფე, სულიერებისა და ხელოვნების მადლით გაბრწყინებული პიროვნება, თავისი ერის მქადაგებლად და აღმზრდელად იქცევა, ის დიახაც, რომ ხელოვანია. მაგრამ ის განსაკუთრებულობა, რომელითაც იგი თავისი დროის პარტიებს შორის გამოირჩევა, და ხშირად არასაიმედოობითა და ორაზროვნებით ხასიათდება, არ უმლის ხელს ვაჟკაცურად დადგეს ადამიანურობის მხარეზე. მას უყვარდა სინათლე — ამიტომაც მართებულად უწოდეს განმანათლებელი. იგი დასცინოდა ამხელა სიკრუეს, ამათრახებდა მონურ მორჩილებასა და გონის სიზარმაცეს და მთელი გზნებით იცავდა თავის თავისუფლებას. იგი აღტაცებული იყო ფრიდრიჰის „სახელოვანი მონობით“, მაგრამ უარყოფდა მისი სახელმწიფოს ძალაუფლებას და ლაპარაკობდი „გერმანულ თავისუფლებაზე“ იმ დროს, როცა „მასზე ყველგან ძალზე დაბალი აზრისანი იყვნენ“. მას სწამდა კაცობრიობისა და


* * ენამოსწრებული, გონებამანვილი

* ენამოსწრებული

მისი მომავალი დავაუკაცების — ვი-
საც სურს, შეუძლია ამას „სამარც-
ხვინო (საზიზღარი) ოპტიმიზმი“
უწოდოს. არაფერი არ არის ისე მო-
ძველებული, როგორც რომანტიკოს
ფილოსოფოსთა ეს სიტყვა, რომლი-
თაც თათხავდნენ რევოლუციონერ
ვაგნერს. დღეს კი მხოლოდ საზიზ-
ღარი პესიმიზმი არსებობს, ყოველ
შემთხვევაში პოლიტიკაში, ეპოქის
განმსაზღვრელ ელემენტში.

სიხარულის მომგვრელია, როცა
ვკითხულობთ, რომ მე-18 საუკუნის
დასასრულს გერმანიამ გვირგვინე-
ბის მთა აღმართა მის კუბოსთან, იმ
ადამიანის კუბოსთან, რომელიც მხო-

ლოდ და მხოლოდ თავისუფალი მწე-
რალი იყო; როცა ვკითხულობთ იმ
საჯარო შეკრებებზე, სადაც საზეი-
მოდ სდებდნენ ფიცს, რომ მის ან-
დერძს შეასრულებდნენ. ასეთ შეკ-
რებას წარმოადგენს დღეს ამაღლე-
ბული, სულიერად გაკეთილშობილე-
ბული გერმანია. ამ გერმანიას ეკუ-
თვნის ყველა ის, ვინც ნატრობს, სა-
მარეში ჩასძახოს ის სიტყვები, პერ-
დერმა რომ გააყოლა ადრე წასულ
პოეტს: იგი გამუდმებით, მაშინაც
კი, როცა ცდებოდა, იქითკენ მიის-
წრაფოდა, რომ მტკიცე ადამიანი,
წინმსწრაფი, მზარდი გონი გამხდა-
რიყო.



ის და მისი კანონი

(ნობელის ლეაქცია)

ინგლისურიდან

თარგმნა დედა ბარბაროდაძე



მაგრამ ისევ ჩემს ახალ მეგობარს დავუბრუნდეთ. ძალიან მომწონდა და ჩემს მოვალეობად დავისახე ყველაფერი მესწავლებინა, რაც კი სასარგებლო და საჭირო იქნებოდა და ცხოვრებაში გამოადგებოდა. ხოლო უპირველესად ყოვლისა — ლაპარაკი და ჩემი ნათქვამის გაგება. ასეთი ნიჭიერი შეგირდი ჯერ ალბათ არავის ყოლია ქვეყნად.

დანიელ დეფო. რობინზონ კრუზო.*

ბოსტონი, ლინკოლნშირის სანაპიროზე, თვალწარმტაცი ქალაქია, წერს მისი კაცი. აქ მთელ ინგლისში ყველაზე მაღალ ეკლესიის სამრეკლოს ნახავთ; გემის მესაჭეთათვის იგი გეზის გამკვალავია. ბოსტონის ირგვლივ ჭანჭრობები გადაჭიმულა. აურაცხელი წყლის ბუღა, ავბედითი ფრინველი, იმდენად მძიმედ ოხრავს, რომ ძახილი ორი მილის მოშორებითაც ისმის, როგორც ზარბაზნის ზათქი.

ჭანჭრობებში, წერს მისი კაცი, ბევრ სხვა ფრინველსაც უღვეს ბინა: ბატსა თუ იხვს, თეთრშუბლასა თუ იხვინჯას, რომელთა შესაპყრობად ჭანჭრობის მკვიდრნი, ანუ ჭანჭრობელები, მოთვინიერებულ ბატებს ზრდიან, რომლებსაც სატყუარებს, ანუ ბატყუარებს ეძახიან.

ჭანჭრობები ჭაობიანი არეებია. მთელ ევროპაში, მთელ სამყაროშიც არის ასეთი ჭაობნარები, მაგრამ „ten“ მხოლოდ აქაურ ჭანჭრობს ეწოდება, ეს ინგლისური სიტყვაა და არ ინაცვლებს.

ამ ლინკოლნშირელ ბატყუარებს, წერს მისი კაცი, სატყუარა წყალსატევებში ამრავლებენ, ხელით კვებავენ და ამგვარად იჩვევენ ხოლმე. შემდეგ, როცა ხანი მოაღწევს, მათ საზღვარს იქით გაგზავნიან პოლანდიასა და გერმანიაში. პოლანდიასა და გერმანიაში ისინი თავის თანამოძმეთ შეეყრებიან და რომ ნახავენ, რა დუხჭირია ამ პოლანდიელ და გერმანელ ბატთა ყოფა, როგორ დაყინავს ზამთრობით მათ მდინარეებს და მათ მიწებს თოვლი დაფარავს, დაუყოვნებლივ ამცნობენ მათ იმ ენაზე, რომელზეც მიახვედრებენ, რომ ინგლისში, საიდანაც თავად მოვიდნენ, საქმე სრულიად სხვაგვარადაა: ინგლისელ ბატებს ნოყიერი საკვებით სავსე ზღვის პირები, მდინარის აღმა ლაღად ამაველი

* თარგმ. ვ. ჭელიძისა — მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის. „ნაკადული“, თბილისი, 1996.

მოქცევები აქვთ; მათია ტბები, წყაროები, ღია დახშული წყალსატევები; ამასთანავე თავთავების აკრეფისას დაცვივნული მარცვლეულით სავსე მიწები; იქ არც თოვლია და არც ყინვა, ანდა თუ არის, ძალზე მსუბუქი.

ამ მონახმახით, რომელიც, წერს ის, სულ ერთიანად ბატური ენით გადმოიციემა, ის სატყუარა ბატები, ანუ ბატყუარები, თავს მოუყრიან უამრავ ფრთოსანს და, ასე ვთქვათ, მოიტაცებენ მათ მოსუძღვიან ზღვების გადმოღმა ჰოლანდიას და გერმანიიდან და დასხამენ სატყუარა წყალსატევებზე ლინკოლნშირის ჭანჭრობებში, თანაც თავის საკუთარ ენაზე გამუდმებით ყაყანებენ და ელაყბებიან და არწმუნებენ, რომ სწორედაც ესაა ის წყალსატევები, რომლებზეც იმათ მოუთხრობდნენ და სადაც აწ კი იცხოვრებენ უზრუნველად და უშფოთველად.

და სანამ ასე ირჯებიან, სატყუარა კაცი, პატრონნი იმ სატყუარა ბატებისა, ჭანჭრობის თავზე მათ მიერ ლერწმით ნაკეთებ საფარებსა და თავშესაფრებში იმალებიან, და იქ სრულიად შეჩქმალულნი სავსე მუჭებით მარცვლეულს ყრიან წყლის ზედაპირზე; ბატ-სატყუარნი, ანუ ბატყუარნი, გასწევენ მათკენ და უცხოელ სტუმრებს უკან გაიყოლებენ. და აი, ასე, ორსა თუ სამ დღეს აუძღვებიან თავის სტუმრებს სულ უფრო მეტად ვიწრო და ვიწრო სადინარებში, თან გამუდმებით ღასძახიან, ერთი შეხეთ, რა საამო ცხოვრება გვაქვსო ინგლისში, იმ ადგილისკენ, სადაც ბადებია დაგებული.

შემდეგ კაც-სატყუარნი აუშვებენ თავის სატყუარა ძაღლს, რომელიც ერთობ გაწვრთნილია ფრთოსანთა ცურვით დადევნებაში და ყეფს ცურვისას. ამ საშინელი არსებისგან უალრესად დამფრთხალი ბატნი ფრთხილდებიან, მაგრამ ისევ წყალს ენარცხებიან თავს ზემოთ კამარად შეკრულ ბადეებისგან და ამგვარად უნდა იცურონ და დაიღუპონ ბადეებქვეშ. ხოლო ბადეებს სულ უფრო მეტად ვიწროდ და ვიწროდ ეკვრის პირი, როგორც ქისას, მათი ბოლო სატყუარა კაცებს უპყრიათ, რომლებსაც სათითაოდ გარეთ ამოყავთ თავისი ტყვენი. სატყუარ ბატებს ისინი უყვავებენ და პატივს აგებენ, ხოლო მათ სტუმრებს რაც შეეხება, იმათ იქავე კომბალს დაკრავენ და გაბდღვნიან და ყიდნიან ასეულობით და ათასობით.

ამ სიახლეებს ლინკოლნშირიდან მისი კაცი ფაქიზი და სწრაფი ხელით იწერება კალმებით, კალამგასამართი მომცრო დანით წვერს რომ დაუთლის ყოველდღიურად, ფურცელთან ახალ შეჭიდებამდე.

პალიფაქსში, წერს მისი კაცი, ვიდრე მეფე ჯეიმს პირველის ზეობაში არ მოშალეს, სიკვდილით დასასჯელი მანქანა იდგა, რომელიც ასე მუშაობდა: სიკვდილმისჯილი თავს დადებდა საქონდაქრეს ჯვარედინ ძელებსა თუ ჯამზე, შემდგომ ჯალათი მძიმე სამართებლის მალა დამჭერ სარჭს ამოაძრობდა. სამართებელი საყდრის კარივით მაღალი ჩარჩოს დაყოლებაზე ძირს ვარდებოდა და ადამიანს თავს ყასბის დანასავით წმინდად აცლიდა.

თუმცაღა, პალიფაქსში ერთი წესიც ქონიათ თურმე, თუკი სარჭის ამოძრობიდან სამართებლის ჩამოვარდნამდე სიკვდილმისჯილი შე-

ძლებდა ფეხზე წამომხტარიყო, გორაკი ჩაერბინა და მდინარე გადაეცურა ისე, რომ ჯალათს კვლავ არ შეეპყრო, თავისუფლებას ანიჭებდნენ. მაგრამ იმ წლების განმავლობაში, ვიდრე მანქანა პალიფაქსში აღმართულიყო, ეს არასოდეს არ მომხდარა.

ის (ამჯერად თავად ის და არა მისი კაცი) ბრისტოლის წყლის სიახლოვეს თავის ოთახში და ამას კითხულობს. ხანში შესულა და ამჟამად მოხუცი ეთქმის. სახის კანი, კინაღამ სულ რომ გაუშავა ტროპიკების მზემ, სანამ პალმისა თუ პალმეტოს ფოთლებისაგან საჩრდილობელს გაიკეთებდა მის ქვეშ თავის შესაფარებლად, ახლა უფრო ფერმკრთალი აქვს, თუმცა კვლავაც ეტრატევიტად გადაშრალი; ცხვირზე მზისაგან დაჩნეული იარა კი აღარასოდეს მოუშუშდება.

საჩრდილობელი კვლავ თანა აქვს, მის ოთახში, კუთხეშია მიყუდებული. თუთიყუში კი, მას რომ ჩამოყვა, გარდაიცვალა. „საბრალო რობინ!“ დასჭყიოდა თავის ლატანზე შემოსკუპული მისი მხრიდან, „საბრალო რობინ კრუზო! ვინ იხსნის საბრალო რობინს?“. მისი ცოლი ვერ შეგუებოდა თუთიყუშის მოთქმას. „საბრალო რობინ“ გაუთავებლად. კისერს მოვუგრებს მაგასაო, იმუქრებოდა, თუმცა ამის ჩასადენად გამბედაობა არ ყოფნიდა.

როცა თავისი კუნძულიდან ინგლისს დაბრუნდა თუთიყუშით და საჩრდილობლით და განძეულით სავსე ზანდუკით, ერთხანს საკმაოდ მშვიდად იცხოვრა თავის მოხუც ცოლთან ერთად პანთინგდონს ნაყიდ მამულში, რადგან მდიდარი კაცი გახდა და მას შემდეგ უფრო გამდიდრდა, რაც თავისი თავგადასავლის წიგნი გამოსცა. თუმცა წლებმა კუნძულზე და წლებმა შემდგომი მოგზაურობის თავის ფარემ პარასკევათი (საბრალო პარასკევა, ის თავს დასტირის, ჭყივ-ჭყივ, რადგან თუთიყუში პარასკევას სახელს არასდროს გამოთქვამდა, მხოლოდ მისას), მოსაწყენად აქცია მისთვის ხმელეთს მცხოვრები ჯენტლმენის ყოფა. პოდა, თუკი სიმართლეს ვიტყვით, ოჯახური ცხოვრებაც კი მტკივნეულად გულისგამტეხი გამოდგა მისთვის. ის სულ უფრო და უფრო ხშირად მიაშურებდა საჯინიბოს, თავის ცხენებს, რომლებიც, მადლი უფალს, არ ყბედობდნენ, არამედ წყნარად ხვიხვინებდნენ მის შემოსვლაზე, აგრძნობინებდნენ, გიცანიოთო, და მერე კვლავ ჩაჩუმდებოდნენ.

მას, კუნძულიდან დაბრუნებულს, პარასკევას გამოჩენამდე მდუმარედ მცხოვრებს, მიაჩნდა, რომ ქვეყნად უზომოდ ბევრს მეტყველებენ. ცოლის გვერდით სარეცელზე თავს ისე გრძნობდა, თითქოს კენჭების ჭავლი სცემდა თავზე განუწყვეტელი შრიალ-ჩხრიალით, მაშინ, როცა მას ძილის მეტი არა სურდა რა.

და ამიტომაც, როცა მისმა მოხუცმა ცოლმა სული დალია, გამოიგლოვა, მაგრამ არ კი დამწუხრებულა. როცა დაკრძალა, ერთხანს იცადა და ეს ოთახი იქირავა „მხიარულ ზღვაოსანში“ ბრისტოლის პორტში; პანთინგდონის მამულის მართვა თავის ვაჟიშვილს გადაულოცა, თან კი მისი სახელგანთქმული კუნძულის საჩრდილობელი, მისსავე ლატანს მიმაგრებული თუთიყუშის ფიტული და მცირედი საჭირო ნივთი გაიყოლა და იქ ცხოვრობს ამიერიდან; დღისით გემთსაშენსა და

ნავსადგურში დახეტილობს, ზღვას ვაცქერის დასავლეთისკენ, რადგან თვალი კვლავაც უჭრის და აბოლებს ჩიბუხს ჩიბუხზე. საჭმელს რაც შეეხება, თავის ოთახში აიტანს ხოლმე; კუნძულზე ეულად ყოფნას ნაჩვევს ხალხში ვარევა არ ახალისებს.

იგი არაფერს აღარ კითხულობს, კითხვას გემოსა და მკვლევარს; თუმცა თავისი თავგადასავლის აღწერის შემდგომ ^{საქმის} წერა, ეს საამური თავშესაქცევი, ჩვევად ქცევია. საღამოობით სანთლის შუქზე ის ამოაწყობს ქალაღებს, კალმებს წვერს წაუმახავს და წერს ერთსა თუ ორ გვერდს თავისი კაცისაგან, იმ კაცისა, რომელიც გზავნის ცნობებს, ლინკოლნშირელ ბატყუარებზე და მოკვდინების დიდ მანქანაზე პალიფაქსში, რომელსაც ვილაც შეძლებს გადურჩეს, რადგან სანამ საზარელი სამართებელი ასწრებს დავარდნას, ვილაცაა ძალუძს იმ ვილაცის ფეხზე წამოხტეს და ძირს დაეშვას გორაკიდან, და უამრავ სხვა რამეზე. სადაც კი ჩავა, ცნობებს გზავნის, ესაა მისი მთავარი საქმე, იმ საქმიანი მისი კაცისა.

ნავმისადგომის ჯებირს როცა მიუყვება, პალიფაქსის მანქანაზე ფიქრობორეული, იგი, რობინი, თუთიყუში საბრალო რობინს რომ ეძახდა, კენჭს ისვრის და მიაყურადებს. წამი, წამზე ნაკლებიც გადის, ვიდრე იგი წყალს დაეცემა. უფლის წყალობა მალია, მაგრამ განა არ შეუძლია ნაწრობ ფოლადის უშველებელ სამართებელს, კენჭზე მძიმეს და ქონით გაპოხილს, კიდევ უფრო მალი იყოს? როგორ შევძლებთ მას გამოვეხსნათ? და რა ჯურისა უნდა იყოს კაცი, მთელ სამეფოში აქეთ-იქით რომ დაიჩქარის საქმიანად, სიკვდილის ერთი წარმოდგენიდან მეორისაკენ (კომბლის დაკვრა, თავის წაცლა) და ამაზე მიუყოლებით ცნობას ცნობაზე გზავნის?

საქმის კაცია, ფიქრობს თავისთვის, დაე, იყოს ის საქმოსანი, მარცვლით მოვაჭრე, ანდა, თუნდაც, ტყავის ვაჭარი; ანდა, ერდოს კრამიტის მწარმოებელი სადმე თიხით მდიდარ მხარეში, თუნდაც, უოპინგში, რომელსაც ბევრი მგზავრობა მართებს თავის ვაჭრობის სახეიროდ. იყოს მდიდარი, მივცეთ ცოლი, რომელსაც უყვარს იგი, ბევრს არ ყბედობს და შვილებს უჩენს, უმეტესწილად — ქალიშვილებს. მივცეთ ზომაზე ბედნიერება და შემდეგ მის ბედნიერებას ბოლო მოვუღოთ მოულოდნელად. ერთ ზამთარს თემზა აღიდდება და წალეკავს ღუმლებს, სადაც კრამიტსა წვაედნენ, ანდა მისი მარცვლის ბეღლებს, ან დაბახანებს; იგი კოტრდება, ეს კაცი მისი; მევალები ბუზებივით თუ ყვავებივით თავს ახვევიან, მან თავისი სახლი, თავისი ცოლი და შვილები უნდა დატოვოს და გადიკარგოს უუბადრუკეს გარეუბნებში გლასნის ქუჩაზე, სახელნაცვალი და სახეცვლილი. და ეს ყოველი — წყლის მოვარდნა, გაჩანაგება, გადაკარგვა, უფულობა, ძველმანები, მარტოსულობა — ეს ყოველივე სახე იყოს გემის დაღუპვის და იმ კუნძულის, სადაც იგი, საბრალო რობინ, სამყაროს იყო მოწყვეტილი ოცდაშვიდ წელს, სანამ თითქმის არ შეეცდა ჭკუაზე (და მართლაც, ვინ თქვას, რომ არ შემცდარა, რაღაც დონეზე?).

ანდა, სხვაგვარად, იყოს ეს კაცი მეუნაგირე სახლით და დახლით და საწყობებით უაითჩეპელში და მეჭეჭით ნიკაპზე და ცოლით, რომელსაც

უყვარს იგი და არ ყბედობს და შვილებს უჩენს, უმეტესწილად — ქალიშვილებს, და ანიჭებს დიდ ბედნიერებას, სანამ ქალაქს შავი ჭირი არ დაეცემა, ეს წელი არის 1665, ლონდონის დიდი ხანძარი ჯერაც არ გაჩენილა. შავი ჭირი ეცემა ლონდონს. დღითი დღე მრევლი მრევლს მისდევს, გარდაცვლილთა რიცხვი მატულობს, მდიდრისა თუ ღარიბისა, რადგან წოდებრივ განსხვავებას ჭირი არ სცნობს, მეუნაგირის ზღვა სიმდიდრეც ვერ იხსნის მისგან. იგი თავის მეუღლესა და ქალიშვილებს სოფლად ისტუმრებს და თვითონაც გეგმავს გაქცევას, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრებს. „არა გეშინოდეს შიშისაგან ღამისა“, კითხულობს ალალბედზე გადაშლილი ბიბლიიდან, „ღუაწლისაგან, რომელნი ვალნ ბნელსა შინა, შემთხუევისაგან და ეშმაკისა შუვა დღისა. დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი — მარჯუენით შენსა. ხოლო შენ არა მიგეახლნენ“.

გულმოცემული ამ ნიშნით, ნიშნით გადარჩენისა, ის დაზაფრულ ლონდონში რჩება და შეუდგება გასაგზავნი ცნობების წერას. მე ქუჩაში ბრბოს წავაწყდიო, წერს იგი, და დედაკაცი მის შუაგულში ზეცისაკენ მიუთითებდა. „შეხეთ“, ყვირის, „ანგელოზი თეთრ სამოსელში ცეცხლოვან მახვილს გვიღერებს!“ და მთელი ბრბო თავს უქნევს ერთურთს, „მართლაც ასეა, „გაიძახის,“ მახვილიანი ანგელოზია“. მაგრამ იგი, მეუნაგირე, ვერა ხედავს ვერც ანგელოზს და ვერც მახვილს, ერთადერთი, რისი დანახვაც მას შეუძლია, უცნაურად მოყვანილი ღრუბელია, მზის ბრწყინვალეობით ცალ მხარეს უფრო განათებული, ვიდრე მეორეს.

„ეს ხატებაა“, ყვირის ქუჩაში დედაკაცი; მაგრამ იგი, მოკალი და, ვერაფერს ხედავს. ასეა მის ცნობაში.

მეორე დღეს უოპინგში მდინარის პირას მიმავალი მისი კაცი, რომელიც უწინ მეუნაგირე ყოფილიყო, მაგრამ ახლა უსაქმოდ დარჩა, თვალს ადევნებს, თუ როგორ გასძახის თავისი სახლის კარს მიმდგარი ქალი ბრტყელძირა ნავის მენიჩბე კაცს. „რობერტ! რობერტ!“ უხმობს იგი; როგორ მოსცურავს კაცი ნაპირთან და ნავიდან ტომარას იღებს, რიყეზე ქვაზე დებს და ისევ ნიჩბებს მოუსვამს; და როგორ ჩადის ქალი ნაპირზე, ტომარას აიკიდებს და შინ მიაქვს ძალზე დაღვრემილს.

იგი მოუხმობს იმ კაცს, რობერტს და ესაუბრება. რობერტი ამცნობს, რომ ეს ქალი მისი ცოლია, ეს ტომარა კი ერთი კვირის საკვებს შეიცავს იმისთვისა და შვილებისათვის: ხორცს, კარაქსა და ღერღილს; თუმც კი ვერ ხედავს, უფრო მეტად მიახლოვებას, რადგან მათ ყველას — ცოლსაც, შვილებსაც, შავი ჭირი შეყრიათ თურმე; და ესაა, გულს რომ უკოდავს. ეს ყოველი — კაცი რობერტი და ცოლი, წყალზე ძახილით რომ ინარჩუნებს მასთან კავშირს, წყლისპირს დატოვებული ტომარა — თავისთავად, რაღა თქმა უნდა, ნიშნავს რალაცას, მაგრამ ამასთან, სახეა მისი, რობინზონის მარტოობისა თავის კუნძულზე, სადაც უსასოობის უბნელეს ჟამს ის გასძახოდა თავის მოყვასთ ინგლისისაკენ, ტალღებს მიღმა, რათა დაეხსნათ და დროდადრო კი სარჩოს საძებრად გასცურავდა დაძირულ გემზე.

აი, ერთი ცნობაც ვაების იმ დროებისა. მეტად რომ ველარ უძლებს ტკივილს, რომელსაც იწვევს შავი ჭირის მანიშნებელი სიმსივნენი სა-

ზარდულსა და ილღიებში, დედისობილა ადამიანი ყმუილით გარბის გარეთ, ჰაროუ-ელიზე უაითჩებელში, სადაც მისი კაცი მეუნაგირე, მოწმეა, თუ როგორ ხტის და რბის და ათას უცნაურ მოძრაობას აკეთებს იგი, მისი ცოლ-შვილი თან მისტირის, უხმობს, დაბრუნდეს. და ეს ხტომა და ეს სირბილი არის ხატება თავად მისი ხტომა-სირბილის, როცა გემის დაღუპვის შემდეგ და მას შემდეგ, რაც თანამგზავრთა მინხმანაწყლის ძიებაში სანაპიროზე დაძრწოდა და ვერა იპოვა, გარდა ცალ-ცალი ფეხსაცმლისა, იგი მიხვდა, რომ მარტოდმარტო გაირიყა ველურ კუნძულზე, დასაღუპად განწირულია და გადარჩენის იმედი არ ჩანს.

(მაგრამ კიდევ რის შესახებ მღერის ფარულად, კვირობს ის გულში, ეს საცოდავი, ტანჯული კაცი, რომელზეც წაიკითხა, გარდა მისი მარტოობისა? რას მოუწოდებს, წყლებისა და წლების გადმოღმა თავისი კერძო სახმილიდან?).

და ერთი წლის წინ მან, რობინზონმა, ორი გინეა მისცა მეზღვაურს თუთიყუშში, რომელიც, როგორც ამბობდა, ბრაზილიიდან ჩამოეყვანა — ჩიტში, რომელიც არ ყოფილა ისე გამორჩეული, როგორც მისი საკუთარი უსაყვარლესი ქმნილება გახლდათ, მაგრამ მაინც მშვენიერი, მწვანებუმბულიანი, ალისფერქოჩრიანი და, თუ მეზღვაურს დავუჯერებდით, მეტად ენაჭარტალაც. და მართლაც, ჩიტი მის ოთახში სასტუმროში თავის ლატანზე იჯდა ფეხზე ძეწკვშებმული, რათა გაფრენას არ ცდილიყო და გაიძახდა სიტყვებს: „საბრალო თუთი! საბრალო თუთი!“ ისევ და ისევ, ვიდრე იგი არ აიძულა მისთვის ბარტყულა დაეხურა; მაგრამ რაიმე სხვა სიტყვა, თუნდაც, „საწყალი რობინ!“, ვერ შეისწავლა, რადგან ამისთვის, ჩანდა, ძალზე ბებერი იყო.

საწყალი თუთი ვიწრო სარკმლიდან გამოსცქერის ანძების თავზე, ანძების მიღმა აზვირთებულ რუხ ატლანტიკას: „რა კუნძულია“, იკითხავს საბრალო თუთი, „სადაც გამოვირიყე, ასე ცივი და ასე პირქუში? სად იყავი შენ, უფალო ჩემო, ჩემი დიდი შეჭირვების ჟამს?“

ერთ კაცს, ნასვამს და შეგვიანებულს (მისი კაცის კიდევ ერთი ცნობათაგანი), ქრიფლგეიტის კარიბჭესთან ჩაეძინება. ამ გზაზე მკვდრების ფორანი დადის (ისევ ჟამის წელიწადში ვართ), მეზობლებს მკვდარი ეგონებათ და იმ ფორანზე გვამებს შორის მოათავსებენ. ფორანი ნელა მაუნთმილთან გათხრილ სამარეს უახლოვდება და მეფორნე, მავნე ოსშივრისგან თავდასაცავად ერთიანად პირშებანდული, ხელს წამოაღლებს, რათა ორმომი გადაუძახოს; ის კი ფხიზლდება და შემცბარი ძალიანდება; „სად ვარ?“ კითხულობს. „სადაცაა მკვდართა შორის დაიმარხები“, ამბობს მეფორნე. „მაგრამ განა უკვე მკვდარი ვარ?“, იტყვის კაცი. და ეს აგრეთვე ხატებაა მისი ყოფნისა თავის კუნძულზე.

ლონდონის ზოგი მკვიდრთაგანი განაგრძობს თავის საქმის კეთებას, მიაჩნია, რომ ჯანსაღია და გადარჩება. მაგრამ ფარულად თავის სისხლში უკვე ატარებს შავ ჭირს: როცა სენი მათ გულს მიაღწევს, წამსვე ადგილზე გაათავენ, ასე გვამცნობს მისი კაცი, როგორც მხდაცემულებს. ეს კი უკვე თვით სიცოცხლის სახებაა, სრულად სიცოცხლის. სავალდებულო განმზადება. ჩვენ სიკვდილისთვის უნდა ვემზადოთ,

არა და, იქვე დავცვივდებით, სადაც ვდგავართ. ის, რობინზონიც ჩახვდა ამას, როცა უეცრად თავის კუნძულზე ერთ ღღეს ქვიშაზე კაცის კვალი აღმოაჩინა. ეს კვალი იყო, და ამდენად, იყო ნიშანი: ფეხის, კაცისა. მაგრამ ნიშანი იყო კიდევ უფრო მეტისაც. „შენ მარტო არ ხარ“, უთხრა ნიშანმა, და აგრეთვე: „სულ ერთია, თუ რა შორს გასცურე, სულ ერთია, თუ სად დაიძალე, შენ მაინც მოგაგნებენ“.

ბიზნიფიქსი

შავი ჭირის წელს, წერს მისი კაცი, ზოგიერთნი ყველაფერს თმობდნენ შიშის გამო; თავის სახლ-კარს, თავის ცოლებს და თავის შვილებს, და ილტვოდნენ, რაც შეეძლოთ შორს ლონდონიდან. როცა ჟამმა გადაიარა, მათი გაქცევა ყოველი მხრიდან შეაჩვენეს, როგორც სიმხდალე. მაგრამ, წერს მისი კაცი, ჩვენ გვავიწყდება, თუ რა სახის სიმამაცისთვის უნდა მოგვეხმო ჭირთან ბრძოლისათვის. ვერ იქნებოდა ეს მარტივი სიმამაცე ჯარისკაცისა, საჭურველის ხელის დავლების და მომხდურთან კვეთების დარი: ეს იყო, ვით კვეთება თვით თავისი სპეტაკი ცხენით მავალ სიკვდილთან.

ძალზედაც რომ მონდომებოდა, მისი კუნძულის თუთიყუში, ორთაგან უფრო საყვარელი, ვერ გამოთქვამდა ისეთ სიტყვას, რაც პატრონს არ ესწავლებია. მაშ როგორ ხდება, რომ ეს კაცი მისი, სახესხვაობა თუთიყუშისა და არც ძალიან საყვარელი, ისევე კარგად და, შესაძლოა, უკეთესადაც წერს, როგორაც მისი პატრონი? უეჭველია, რომ ამ მის კაცს კალამი უჭრის. „ვით კვეთება თვით თავისი სპეტაკი ცხენით მავალ სიკვდილთან“. ხარჯთსაალრიცხვო სამსახურში შენაძენი თავად მისი გამოცდილება დაჯამებასა და ანგარიშთა შედგენაში მდგომარეობდა, არა სიტყვათა შეზავებაში. „თვით თავისი სპეტაკი ცხენით მავალ სიკვდილთან“, ამის გამოთქმა ფიქრადაც არ მოუვიდოდა. მხოლოდ მაშინ, როცა იგი ამ მისი კაცის ნებას დაჰყვება, ეწვევა ხოლმე მსგავსი სიტყვები.

და სატყუარა ბატები, ანუ ბატყუარები? რა იცოდა მან, რობინზონმა სატყუარა ბატთა გამო? სულ არაფერი, ვიდრე კაცმა მისი ხელი არ მიჰყო ცნობების გზავნას.

ლინკოლნშირის ჭანჭრობების ბატყუარები, სიკვდილით დასჯის დიდი მანქანა ჰალიფაქსში — ამ ცნობების მოსაპოვებლად კაცი მისი ბრიტანეთის, ჩანს, მთელ კუნძულზე მოგზაურობს, რაც ხატებაა თავისივე მოგზაურობის მის კუნძულზე თავისვე მიერ შეკრულ კანჯოთი, მოგზაურობის, რომელმაც ცხადყო, რომ არსებულა ამ კუნძულის შორი მხარეც, კლდოვანი და ბნელით მოსილი და კარდახშული, რომელსაც შემდგომ მუდამ თავს არიდებდა, თუმცა, თუკი მომავალში კოლონისტები ჩავლენ კუნძულზე, ეგებ ისიც გამოიკვლიონ და იქ დამკვიდრდნენ; და ეს ისევ სახე გახდება სულის უკუნი მხარისა და ნათელისა.

პლაგიატორთა და მიმბაძველთა პირველი ხროვები როცა დაესხნენ მისი კუნძულის ისტორიას და მკითხველს თავისი შეთითხნილი მოთხრობები შეაჩეჩეს გარიყულთა ცხოვრებაზე, მან ისინი არც მეტი და არც ნაკლები, კაციჭამიის ურდოებად მიიჩნია, მის საკუთარ ხორცს რომ

ჯიჯგნიდნენ, ანუ ცხოვრებას. და ამის თქმა არ დაახანა. „კაციჭამიებს როცა ვებრძოდი, რომლებსაც ჩემი დამარცხება და შესრავა და შენთ-ქმა სურდათ“, წერდა იგი, „ასე მეგონა, რომ საკუთრივ ამ მოვლენას ვეომებოდი. და ნაკლებად თუ ვხვდებოდი“, წერდა იგი, „რომ ეს მოვ-ლენა სახე იყო ბევრად უფრო სატანური გაუმაძღრობის, რომელსაც ძალუძს ჭეშმარიტების თვით არსიც დაღრღნას“. *სიზღიწიანა*

თუმცა ახლა, ღრმა განსჯის შემდგომ, მის გულში თავის მიმბაძ-ველთადმი თანაგრძნობის მსგავსი რამ იწყებს შეპარვას, რადგან ამჟამად ასე მიიჩნევს, რომ ამქვეყნად სულ ერთი მუჭა სიუჩეტები მოიპოვება; და ახალგაზრდებს თუ ავუკრძალავთ, ძველებისაგან ისაზრდოონ, მათ სამუდამოდ მღუმარებაში მოუწევთ ყოფნა.

ასევე ყველა იგი თავის კუნძულზე თავსგადამხდარის მატთანეში, ერთ ღამეს შიშით ატანილს როგორ გამოელვია, დარწმუნებულს, რომ მის საწოლში თავად სატანა ჩაწოლილიყო, ვეება ძალლად გადა-ქცეული. ის წამოიჭრა, ხმალი აიღო და აქეთ-იქით იწყო ქნევა თავ-დასაცავად, სანამ საბრალო თუთიყუში, მისი საწოლის ახლოს მძინა-რე, დაფეთებული არ აწიოკდა. მხოლოდ მრავალი დღის გასვლის შე-მდგომ მიხვდა იგი, რომ არც ძალლი და არც სატანა არ დასწოლია, არამედ დამბლის დროებითი რამ სახეობა თუ დაემართა და ფეხი რო-ცა ვერ გაატოკა, ამიტომ მოეჩვენა, თითქოს ზედ რაღაც არსება აწვა. ამ შემთხვევიდან გამომდინარე შეგონება ის უნდა იყოს, როგო-რცა ჩანს, რომ ყოველგვარი სნეულება, დამბლის ჩათვლით, სატანი-საგან მომდინარეობს და თვითონაა სწორედ სატანა; როგორც წვევა სნეულებისა შესაძლოა სატანის წვევით გამოიხატოს, ანდა ძალლისა, სატანას რომ ასახიერებს, ასე პირუკუც, შესაძლოა ეს წვევა იყოს სნეულებით გამოხატული, როგორც მეუნაგირის ამბავში შავი ჭირის გამო; და ამიტომ, არც ერთი მათგანი, ვინც მოთხრობებს წერს მათ შესახებ, სატანისა და შავი ჭირისა, მყისვე არ უნდა მოვიცილოთ, როგორც მპარავი და ყალბისმქნელი.

როდესაც წლების წინათ მან გაბედა ქალაღზე გადატანა მონა-თხრობისა თავის კუნძულზე, აღმოაჩინა, რომ სიტყვები არ მოსდიო-და, არც კალამი მისრიალებდა და თითებიც კი ხისტი და ურჩი გახ-დომოდა. მაგრამ დღითი დღე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ის გაიწაფა მწერლის სა-ქმეში, სანამ მისი და პარასკევას ყინულოვან ჩრდილოეთში თავგადა-სავლის ხანისათვის ფურცლებმა ლაღად და უფიქრელადაც კი იწყეს ბრუნვა.

თხზვის ოდინდელმა ამ სიღალემ, ვაგლახ, დატოვა იგი. როცა სა-რკმლის წინ მიდგმულ პატარა საწერ მაგიდას მიუჯდება, ბრისტოლის პორტს მიჩერებული, მისი ხელი ისე ტლანქია და კალამიც ისევე უცხო იარაღი, როგორც ოდესღაც.

ნეტავ, იმას, იმ მეორეს, იმ კაცს მისას თუ ეჩვენება მწერლის ხელობა უფრო იოღად? ამბები, ის რომ ბატებსა და მოკვდინების მა-ნქანასა და ჟამდაცემულ ლონდონზე ყველა, საკმაოდ ამოდ მოედინება;

თუმცა თავად მისი თხრობაც ასეთივე იყო ოდესღაც. შესაძლოა, მან ჯეროვნად ვერ შეაფასა იგი, ის კოპწია ჩია კაცი, სწრაფი ნაბიჯით მოსიარულე და მეჭეჭით მის ნიკაპზე. იქნებ სწორედ აი ახლა იგი ეულად არის სადღაც ვრცელი სამეფოს ერთ ნაქირავებ ოთანში ძვედომი და კალამს აწებს და აწებს ისევ, სავსე იჭვეებით და მერყეობით და ფიქრების გადააზრებით.

ბიზანტიუმი

რა სახით უნდა გამოისატონ ისინი, ეს კაცი და ის? როგორც პატრონი და ყმა? როგორც ძმები, ტყუპი ძმები? როგორც მეგობართანამებრძოლნი? თუ როგორც მტრები, მეტოქეები? რა სახელს მისცემს იგი თავის უსახელო თანამოძმეს, მისი საღამოების, ზოგჯერაც მისი ღამეების თანაზიარს, რომელიც მხოლოდ დღისით ქრება, როდესაც იგი რობინი, ნავსაყუდელში დაიარება, ახალჩამოსულთ აკვირდება, ხოლო მისი კაცი მთელ სამეფოში მიმოისწრაფვის დაკვირვებების საწარმოებლად?

ნეტა ოდესმე მგზავრობის გეზი ამ კაცს ჩრისტოლს თუ ჩამოიყვანს? იგი ნატრობს, თანამოძმე ხორცშესხმით ნახოს, ხელი მისცეს, გაიაროს მასთან ერთად სანაპიროზე და მოისმინოს, როგორ მოუთხრობს თავის ჩასვლაზე კუნძულის უკუნ ჩრდილოეთში, ანდა თავის ფათერაკებზე მწერლის საქმეში. მაგრამ ის შიშობს, რომ შეხვედრა არ შედგება, ამსოფლად მაინც. თუკი იგი განიზრახავდა, მათი წყვილი; მისი კაცისა და თავისი, რამისათვის ემსგავსებინა, მაშინ დაწერდა, რომ ისინი საპირისპირო მიმართულებით, ერთი — დასავალს, ხოლო მეორე კი — აღმოსავალს მცურავ ხომალდებს მოგვაგონებენ. ანდა უკეთ, რომ არიან გემმოსართავთან დამაშვრალი მეზღვაურები, ერთი ხომალდზე რომ მიცურავს აღმოსავლეთით, მეორე — ხომალდზე რომ მიცურავს დასავლეთით. მათი გემები ახლოს ჩაივლის, საკმაოდ ახლოს მისაღმებისთვის. მაგრამ ზღვები მღელვარეა, ამინდი კი — ქარიშხლიანი; მათი თვალები შხეფებისგან დაბინდულია, ხელისგულები — ბაგირებით დადაგული, ისინი ერთერთს გვერდს აუქცევენ, ხელის დასაქნევადაც კი მეტად დაკავებულნი.



როგორ უნდა გაგვიჩვენოთ სიმბოლო



ქართული
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

თარგმანი ზაურ კილაძე

46. ჩემია.

სად არის ჩაჩუმებული ეს უბრალო ფიქრი-გრძნობა? იქნებ ცნება „მე“-სთან არის შერწყმული? როდესაც ჩვილი აპროტესტებს ხელების გადაგრეხვას, იქნებ იმისთვის იბრძვის, რომ ეს „ჩემია“ და არა „მე“-ს გულისთვის? და კოვზს მაგიდას რომ უკაკუნებს მისებურად, ხმაურით, და გამოართმევ, იქნებ ენერჯის დახარჯვის უნარს ართმევ?

ხელს ნამცხვარი უკავია და ხელი მთლად ხელი აღარ არის, უფრო რორე გამგონე სულია ალაღინისა, ძვირფასი საკუთრება შეიძინა და ბავშვი იცავს ამ საკუთრებას.

საკუთრების ცნება როგორ უკავშირდება ცნებას უფრო მეტი ძალის მოპოვებისა? მშვილდ-ისარი ველურისთვის არა მხოლოდ საკუთრება იყო, არამედ მისთვის უფრო მეტად სრულყოფილი ხელი, რაღაც მანძილზე მიზანში მოსარტყმელად.

ბავშვი არ გაძლევთ გაზეთს, რომელსაც ხევეს, რადგანაც იმისი კვლევის საგანი შექმნილა, იმისი სავარჯიშო მასალა, ისეთივე, ვითარცა ხელი — ხელსაწყო, რომელსაც ხმის გამოცემა არ შეუძლია და ვერც საჭმელად მოიხმარ, მაგრამ საულარუნასთან შეერთებისას — ლაპარაკობს, ხოლო ფუნთუშასთან შეხებისას წოვას დამატებით სასიამოვნო შეგრძნებას მოანიჭებს.

და მხოლოდ მერე გაჩნდება წაბაძვა, მეტოქეობა, თავის გამოჩენის სურვილი. რადგანაც საკუთრება იწვევს პატივისცემას, ფასს უმატებს, აძლევს ძალაუფლებას. შეუმჩნეველი დარჩებოდა უბურთოდ, ბურთის მფლობელი კი დაუმსახურებლად წარმოჩინდება თამაშის დროს; სათამაშო ხმლით ოფიცირი შეიქნება, აღვირით ხელში — მეეტლე; ხოლო რიგითი ცხენუკაა — ის, ვისაც არაფერი არ აქვს.

„მომეცი, დამანებე, დამითმე“ — თხოვნაა თავმოყვარეობის შემბლალავი.

„მინდა — მოგცემ, მინდა — არა“, ნება ჩემია, რადგანაც ეს „ჩემია“.

47. მინდა მქონდეს — მაქვს, მინდა ვიცოდე — ვიცი, მინდა შემეძლოს — შემიძლია; სამი განტოლება ნების მბოძლისა, რომლის თავიდათავია ორი გრძნობა: კმაყოფილებისა და უკმაყოფილების.

ჩვილი ცდილობს ჩახვდეს თავს და იმის გარშემო სამყაროს, ცოცხალსა და მკვდარს, მისი კეთილდღეობა ამასთან არის დაკავშირებული.

ლი. სიტყვითა და მზერით რომ კითხულობს: „ეს რა არის?“ — სახელწოდებას კი არა, შეფასებას მოითხოვს.

— ეს რა არის?

— ფუ, გადააგდე, ფიაა, ხელს ნუ ახლებ.

— ეს რა არის?

— ყვავილი, — და ღიმილიცა და ალერსიანიცა სიტყვითა ნებართვა ვაცემულია.

ხანდახან ნეიტრალური საგნით რომ ინტერესდება, და რომ უსახელებენ უემოციო მიხრა-მოხრით, ბავშვმა არ იცის, როგორ მოეკიდოს პასუხს და გაკვირვებული, თითქოსდა გულაცრუებული დედას რომ უყურებს, იმეორებს, წელავს სახელწოდებას. რადგანაც რომ მიხვდეს, სასურველისა და არასასურველის გარდა, კიდევ არის ნეიტრალური სამყარო, მას უნდა ჰქონდეს გამოცდილება.

— ეს რა არის?

— ბამბა.

— ბა-ა-მბაა? — ბავშვი დედის სახეს დააცქერდება, მითითებას ელოდება, რა ვიფიქროო ამის შესახებ.

სუბტროპიკულ ტყეში ველურთან მოგზაურობის ხანს, იმას რომ ვკითხო, ეს რა მცენარეაო, იმ ველურმა ენა არ იცის, მაგრამ მიხვდება ჩემს შეკითხვას და მიპასუხებს შეყვირებით, სახის მიმიკით ან ღიმილით, რომ ეს საწამლაია, გემრიელი რამაა ან უნაყოფოა სულაც, არ ღირს ზურგაჩანთაში იმის ჩადება.

ბავშვური „ეს რა არის?“ ნიშნავს: როგორია? რისთვის? რა სარგებელი მოაქვს?

48. ჩვეულებრივი, მაგრამ საინტერესო სურათი:

ორნი გადაეყრებიან ერთმანეთს, პატარები, მობაჯბაჯენი, ერთს ბურთი აქვს ან ნამცხვარი და იმ მეორემ უნდა წაართვას.

დედას არ სიამოვნებს, იმისი ბავშვი მეორე ბავშვს რალაცას რომ ართმევს, ან არ უნდა მისცეს, გაუყოს, „ათხოვოს სათამაშოდ“. ბავშვი რომ სცილდება საყოველთაოდ დადგენილი პირობითი ქცევის ნორმებს, მისივე მაკომპრომეტირებელია.

ახლა რომ შეგახსენეთ, ამ სურათზე მოვლენის განვითარება შეიძლება სამნაირი იყოს:

ერთი ბალღი ხელიდან გამოსტაცებს, მეორე გაკვირვებული შეხედავს, მერე დედას დააცქერდება ამ გაურკვეველი სიტუაციის შეფასების მომლოდინე.

ან: ერთი ცდილობს წაგლიჯოს, მაგრამ მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა, თავდასხმის მსხვერპლი ორივესთვის სანუკვარ საგანს ზურგსუკან მალავს, ხელს ჰკრავს მომხდურს, წააქცევს. დედები საშველად გამორბიან.

ან: ერთმანეთს უყურებენ, ერთმანეთს შიშით უახლოვდებიან, ერთი გაუბედავად თავს იცავს. და მხოლოდ ხანგრძლივი მომზადების მერე იწყება კონფლიქტი.

მნიშვნელობა აქვს ორივეს ასაკსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ბავშვს, რომელსაც ჰყავს უფროსი და ან უფროსი ძმა, უკვე

მრავალგზის დაუცავს თავისი უფლებები და საკუთრება, და ზოგჯერ თავადაც ესხმის თავს. მაგრამ, მოდით, ყოველი შემთხვევითობა უკუვაგდოთ და მაშინ დავინახავთ ორ განსხვავებულ ინდივიდუალობას, ორ დამახასიათებელ ტიპს: საქმიანს და არასაქმიანს, აქტიურსა და პასიურს.

ქართულში
ზიზღილობა

„ის კეთილია, ყველაფერს მოგცემს“.
არც ერთია კეთილი და არც მეორეა სულელი.

49. მორიდებულია, უფრო სუსტი აქვს ცხოვრებისეული ლტოლვა, ნების გამოვლინება დაბალი, შიში არ ანებებს მოქმედებას. ბავშვი ერიდება მკვეთრ მოძრაობას, ცოცხალ ექსპერიმენტებს, ძნელ დასაწყისს.

ცოტას რომ მოქმედებს, ცოტასვე ნახულობს ფაქტიურ ჭეშმარიტებებს, ამიტომ იძულებულია უფრო დამჯერი იყოს და უფრო მორჩილი.

ნაკლებად ღირებული ინტელექტი? არა, უბრალოდ სხვაგვარია. პასიურ ბაღს უფრო ცოტა აქვს ჩალურჯებული ადგილები და ნაკლებად მოსდის გულსატკენი შეცდომები, და ის გამოცდილების მწარე ნაკლებობას განიცდის; თუმცა რომ შეიძენს, შეიძლება უფრო კარგადაც დაიმახსოვროს. აქტიური უფრო მეტადაა კოპებიანი და იმედვაცრუებული, და შეიძლება უფრო მალეც დაივიწყოს. პირველი განიცდის ნელა და ნაკლებს, მაგრამ შეიძლება უფრო ღრმად.

პასიური უფრო მოსახერხებელია. მარტოდ დატოვებული ეტლიდან არ გადმოვარდება, წვრილმანის გულისთვის დავიდარაბას არ ატეხავს, წამოიტირებს და მალე გაჩერდება, ნაკლებად მომთხოვნია, ცოტას ამტკრევს, ხევს, აფუჭებს.

— მოპეცი — უარზე არ არის, — ჩაიცვი, აილე, გაიხადე, შეჭამე — გემორჩილებათ.

ორი სურათი:

ბავშვს არ შია, მაგრამ თეფშზე ერთი კოვზი ფაფაა დარჩენილი, ესე იგი, უნდა გაათავოს, ექიმის დანიშნულია ეს რაოდენობაო. ძლივს ალებს პირს, დიდხანს და ზანტად ცოხნის, ნელა და ძალით ყლაპავს. მეორე, ისიც მშიერია, კბილს კბილზე დააჭერს, ძლივს აქნევს თავს, იცილებს, გამოაფურთხებს, თავს იცავს.

აღზრდა კი?

სჯა მოცემულ ბავშვებზე დიამეტრალურად საპირისპირო ტიპის ბავშვების მიხედვით, ეს იგივეა ილაპარაკო წყალზე, რომლის თავისებურებაა იყოს მდულარეცა და ყინულიც. ას გრადუსიანი სკალა, სად შეიძლება ჩვენი ბაღის მოთავსება? მაგრამ დედამ შეიძლება იცოდეს, რა არის თანდაყოლილი და რა არის ძლივს გამომუშავებული, და ვალდებულია ახსოვდეს, ყოველივე, რაც მოპოვებულია წვრთნით, ზეწოლით, ძალადობით, უმდგრადია, უზუსტოა და არასაიმედო. და თუ მორჩილი, „კარგი“ ბავშვი უეცრად გახდება გაუგონებელი და ჭირვეული, ნუ გაწყრებით იმაზე, რომ ბაღი ის არის, რაც არის.

50. მალლა ზეცას რომ ასცქერის გლეხი და დაბლა მიწას ჩასცქერის, თავადვეა შვილი და ნაყოფი მიწისა და იცის ადამიანის ძალაუფლების ზღვარი. სწრაფი, ზანტი, შიშნეული, ცქვიტი ცხენი, კვერცხის კარგი მდებელი ქათამი, რძეუხვი ძროხა, ნოყიერი და მწირი ნიადაგი, წვიმიანი ზაფხული, უთოვლო ზამთარი — ყველგან გადააწყდება რაცაც, რომელიც შეიძლება მცირეოდნავ შეცვალოს ან უფრო გააუმჯობესოს ყურადღებით, მძიმე შრომით, მათრახით. მაგრამ არის ხოლმე, ამაოდ დაშვრება.

ქალაქელს მეტად დიდი წარმოდგენა აქვს ადამიანის ძალამოსილობაზე. კარტოფილმა არ იხარა, მაგრამ კი იშოვნის მაინც, არა უშავს, ცოტათი ძვირს გადაიხდის. ზამთარია — ქურქს ჩაიცვამს, წვიმაა — კალოშებს, გვალვაა — ქუჩებს მორწყავენ, რათა მტვერმა არ შეაწუხოს. ყველაფერს იყიდის, ყველაფერს ეშველება. ბავშვი ფერმკრთალია — ექიმი, ცუდად სწავლობს — რეპეტიტორი. და წიგნი რომ გვინსნის რის გაკეთებაც შეიძლება, ილუზიას ქმნის, რომ ყველაფერი მოგვარდება.

მაგრამ როგორ უნდა დაიჯერო, რომ ბავშვი ის უნდა იყოს, რაც არის, რომ, ფრანგებისა არ იყოს, ეგზემა შეიძლება თეთრად შეაფერადო, მაგრამ ვერ მოარჩინო.

მინდა გამხდარი ბავშვი წამოვასუქო და თანდათანობით, ფრთხილად კიდევაც მოვახერხებ ამას, და მართლაც, ერთი კილოგრამით მოიმატა. მაგრამ საკმარისია ცოტათი შეუძლოდ გახდეს, სურდო შეეყაროს, უდროო დროს მსხალი შეჭამოს და პაციენტი დაკარგავს ასე ძლივს მომატებულ ორ ფუნტს.

საზაფხულო ბანაკები ღარიბ-ღატაკთა ბავშვებისთვის. მზე, ტყე, მდინარე; ბავშვები დაეწაფებიან სიმხიარულეს, სიკეთეს, კარგ მანერებს. გუშინ — პატარა ველური, დღეს კი — სიმპათიური მონაწილე თამაშებისა. მიმძლავრებულია, შიშნეულია, ლენჩია — გაივლის ერთი კვირა, გამბედავია, ცოცხალია, სავსეა ინიციატივითა და სიმღერით. ზოგიერთს ყოველ საათს ეტყობა ცვლილება, ზოგიერთს რამდენიმე კვირის მერე, ზოგიერთს კი სულაც არაფერი არ დაეტყობა. არც სასწაულია ეს და არც უსასწაულობა; არის მხოლოდ ის, რაც იყო კიდევაც მოსალოდნელი, და რაც არ იყო, არც არის.

ვასწავლი განუვითარებელ ბაბლს: ორი თითი, ორი ფალაქი, ორი ასანთი, ორი მონეტა — „ორი“. უკვე ითვლის ხუთამდე. მაგრამ შეცვლილი სიტყვების თანამიმდევრულობას, ინტონაციას, ხელის მოძრაობას — და ისევ არ იცის, არ შეუძლია.

ბავშვს გულის მანკი აქვს: წყნარია, ნელა მოძრაობს, ლაპარაკი ასეთივე, სიცილიც. სუნთქვა ეკვრის, სულ ცოტა თუ აჩქარდება — ახველებს, იტანჯება, სტკივა. ასეთი უნდა იყოს.

დედობრივი ცხოვრება აკეთილშობილებს ქალს; უარს რომ ამბობს, უარყოფს, მსხვერპლი ხდება; ხოლო დემორალიზებული ხდება მაშინ, ვითომცდა ბავშვის სასიკეთოდ, გასაგლეჯად მისცემს თავის ამპარტავნობას, გემოვნებასა და ვნებებს.

ჩემი ბავშვი საკუთრებაა ჩემი, ჩემი მონაა, გოშიაა ჩემი. ყურზე ველაციცები, ზურგზე ხელს ვუსვამ, ბაფთას გავუკეთებ და სასეირნოდ

გავიყვან, ვწვრთნი, რათა იყოს გონებამახვილი და ზრდილი, ხოლო თავს მომაბეზრებს და:

„წადი სათამაშოდ, თავად გაერთე. ძილის დროა!“

ამბობენ, ისტერიის მკურნალობა ეს არის:

„შენ ამტკიცებ, მამალი ვარო? იყავი, ოღონდ ყივილი არ დაიწყო იცოდე“.

— გულფიცხი ხარ, — ვეუბნები ბიჭს. — კარგი, მოდი იჩხუბე, ოღონდ მაგრად არა, გაბრაზდი, მხოლოდ დღეში ერთხელ.

თუ გნებავთ, ამ ერთ ფრაზაში ჩავაქსოვე მთელი ის პედაგოგიური მეთოდი, რომლითაც მე ვსარგებლობ.

51. ხედავ ამ ბიჭუნას, როგორ დარბის, მთელი ხმით ღრიალებს და ქვიშაში გორაობს? მოვა დრო და ის სახელგანთქმული ქიმიკოსი იქნება, თავისი გამოკვლევებით პატივისცემას დაიმსახურებს, დიდი ქონების პატრონი შეიქნება. დიას, დიას, ქეიფებსა და მეჯლისებს შორის ეს შარახვეტია გონს მოვა, თავის ლაბორატორიაში შეიკეტება და გამოვა სწავლული, ვინ იფიქრებდა?

ხედავ იმ მეორეს, უგულისყუროდ, მძინარე სახით უყურებს თანატოლების თამაშს? დაამთქნარა, ადგა, იქნებ მიუახლოვდეს იმ ბავშვების ორომტრიალს? არა, ისევ დაჯდა. ისიც შეიქნება წარმატებული, სახელგანთქმული ქიმიკოსი. სასწაულია სწორედ, ვინ იფიქრებდა?

არა, არც ის დაუდგრომელი ბიჭი და არც ის მძინარე, არ იქნებიან სწავლულები. ფიზკულტურის მასწავლებელი გახდება ერთი, მეორე ფოსტის მოსამსახურე.

შეცდომაა ეს, მოდა გარდამავალი, უცოდინარობა იმისა, რომ ჩვენს თვალში ყოველი არაცნობილი ჩანს ხელმოცარული, მცირეფასოვანი. უკვდავებისკენ ლტოლვა ჩვენი ავადმყოფობაა. მოედანზე ძეგლი ვინც ვერ დაიმსახურა, იმას უნდა თუნდაც ჩიხი იყოს მისი სახელობისა — სამარადუბო ჩანაწერი ჯილდოდ. თუ ოთხი სვეტი არ იქნება სიკვდილის მერმინდელი, ტექსტში მაინც უნდა იყოს მოხსენიებული: „მოღვაწეობდა დაულალავად. ფართო საზოგადოების წრეებში მწუნარებით მოიგონებენ მას“.

ქუჩები, საავადმყოფოები, თავშესაფრები ერთ დროს ატარებდნენ წმინდა პატრონების სახელებს და ამას ჰქონდა კიდევაც აზრი; მოგვიანებით — მონარქებისას, ეს იყო დროების ნიშანი; ახლა კი — სწავლულთა და მსახიობების, არც არავითარი აზრია ამაში, ახლა იდგმება ძეგლები იდეებისა და უსახელო გმირების იმით მოსაგონებლად, ვინაც არა აქვს ძეგლი.

ბავშვი არ არის ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგება უნდა შეხვდეს სამაგისტრატურო დარბაზში პორტრეტის სახით ან ბიუსტის სახით თეატრის ფოიეში. ყოველში არის თავისი ნაპერწკალი, რომელსაც შეუძლია დაანთოს კოცონი ბედნიერებისა და ჭეშმარიტების, და იქნებ, რომელიღაც მეათე თაობის მოსვლისას აგიზგიზდება ხანძარი გენიოსისა და გადაბუგავს საგვარეულოს, მიაგებს კაცობრიობას ახალი მზის სინათლეს.

ბავშვი ნიადგი არ არის, შთამომავლობით გაპოხიერებული ცხოვრების ნერვი; ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ხელი შევუწყოთ იმის ზრდას, ვინც უხვად გამოისხამს ყლორტებს ჯერ კიდევ პირველ ჩასუნთქვამდე. სახელოვანება უნდა ახალი ხარისხის თამბაქოს და ახალი მარკის ღვინოებს და არა ადამიანებს.

ეროვნული
ზიზღიერება

52. ესე იგი, მემკვიდრეობითობის ფაქტში, ბედისწერის გარდუვალობა, მედიცინის, პედაგოგიკის ხელმოცარულობა? ელვა-მეხის მფრქვეველი სიტყვები.

ბავშვი სრულად დაწერილი პერგამენტი, უკვე მიწით ნათესი-მეთქი? მოდით, შედარებებს თავი დავანებოთ, წყაროა ცდომილებათა.

არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი ცოდნის თანამედროვე დონისდა კვალად უძღურნი ვართ. დღეს უფრო ცოტაა, ვიდრე გუშინ, მაგრამ მაინც არის.

არის შემთხვევები, როდესაც ცხოვრების თანამედროვე პირობებში უსუსურნი ვართ. ესენი რამდენადმე ცოტაა.

აი, ბაღლი, რომელსაც უნდათ დიდი სიკეთე მიაგონ, ძალიანაც ცდილობენ, მაგრამ ბევრს ვერაფერს ვერ შეძლებენ.

აი, მეორე ბაღლი, კი მისცემდნენ ბევრს, მაგრამ პირობები არ არის საამისო. ერთს სოფელი, მთანი, ზღვა ბევრს არაფერს მისცემს, სხვას კი უშველიდა, მაგრამ არ არის ამის საშუალება.

ბავშვი რომ იღუპება მოუვლელით, უპაერობით, ტანისამოსის უქონლობით, მშობლებს ვერ დავადანაშაულებთ. ბავშვს რომ ასახინრებენ მეტისმეტი ყურადღებით, ზომაზე მეტს აჭმევენ, ბევრს აცმევენ, ვითომდა იცავენ საფრთხისგან, ჩვენ გვინდა დედამისი დავადანაშაულოთ, ვფიქრობთ, ამ უბედურებას ადვილად მოეგლება, ოღონდ სურვილი იყოს მიხვდნენ. რა აუცილებელია დიდი სიქველე, რათა საქმით და არა უსაგნო კრიტიკით წინააღმდეგობა გავუწიოთ ქცევის ნორმებს, მოცემული კლასისთვის ან ფენისთვის რომ არის აუცილებელი. თუკი იქ დედას არ შეუძლია ბავშვი დაბანოს და ცხვირი მოხოცოს, აქ არ შეუძლია მოთხუპნული ატაროს და დახეული ფეხსაცმლები ჩააცვას. თუკი იქ ცრემლების ფრქვევით სკოლიდან გამოიყვანს და შეგირდად ხელოსანს მიაბარებს, აქ ასეთივე გრძობაგატანჯული სკოლაში უნდა დაჰყავდეს.

— უსკოლოდ ბავშვი დამელუპება, — ამბობს ერთი და წიგნს წაართმევს.

— სკოლაში ბავშვს გამიფუჭებენ, — ამბობს მეორე და აუარება სახელმძღვანელოს ყიდულობს.

53. საზოგადოების ფართო ფენებისთვის მემკვიდრეობა არის ფაქტში, რომლის იქითაც გამონაკლისი ბურჟუსითაა მოცული, მეცნიერებისთვის ეს პრობლემა შესწავლის დასაწყისშია. დიდძალი ლიტერატურაა მხოლოდ ამ ერთი საკითხის გადაჭრით დაინტერესებული: ტუბერკულოზით დაავადებული მშობლების ბავშვი ამ დაავადებით აღბეჭდილი იბადება, მხოლოდ მიდრეკილება აქვს თუ დაბადების მერე გადაე-

დება? მემკვიდრეობითობის შესახებ რომ ფიქრობდით, თუ გქონდათ მხედველობაში უბრალო ფაქტები: მემკვიდრეობით გადაეცათ ავადობა, მაგრამ მემკვიდრეობით მაგარი ჯანმრთელობაც გადაეცემათ, და-ძმანი არ არიან და-ძმანი იმის მიხედვით თუ რომელს ექნება პლუსი ან მინუსი? ჯანმრთელობის მარაგის თუ მისი ნაკლებობის მხრით? — გქონდათ მხედველობაში? კი უნდა გქონოდათ უთუოდ. პირველად მამა მშობლები ჯანმრთელნი არიან; მეორე კი იქნება ათაშანგით დაავადებული მშობლებისა, თუკი აიკიდებენ ამ დაავადებას; მესამე ბავშვი — ათაშანგიანი და ტუბერკულოზიანი იქნება ერთსა და იმავე დროს, თუკი მშობლები ამ მეორე დაავადებასაც აიკიდებენ. ამ მხრით ეს სამივე ბაღლი ერთმანეთისთვის სულ სხვადასხვანაირები არიან: მემკვიდრეობით მძიმე დაავადება არ გადმოჰყოლია, გადმოჰყვამ, ორმაგად მძიმე დაავადება გადმოჰყვამ მემკვიდრეობით. და პირიქითაც, დაავადებული მამა მორჩა და ამ მამის ორი ბავშვიდან პირველი დაავადებული მშობლის შვილია, მეორე კი ჯანმრთელი.

ბავშვი იმიტომაცაა ნერვული, რადგანაც იმისი მშობლები ნერვულნი არიან ან იმიტომ, რომ აღზრდილები არიან იმისი? სად არის საზღვარი ნევროპათიკურობისა და დახვეწილ ფსიქიკურ კონსტიტუციას შორის — მემკვიდრეობითი წარმომავლობის მაღალი სულიერებისა?

შარახვეტია მამა მშობელია ბედოვლათი ვაჟიშვილის თუ მაგალითის ძალაა გადამდები?

„მითხარი, ვინ არის შენი მშობელი და მე გეტყვი ვინც ხარ“ — მაგრამ არა ყოველთვის.

„მითხარი, ვინ არის შენი გამზრდელი და მე გეტყვი ვინცა ხარ“ — ესეც ასე არ არის.

რატომ ჰყავს ჯანმრთელ მშობლებს სუსტი შთამომავლობა? რატომ ჰყავს წესიერ მშობლებს გარეწარი შვილი? სახელგანთქმული ძე თუ ასული იბადება ჩვეულებრივ ოჯახში, რატომ?

მემკვიდრეობითი კანონების გარდა ამავე დროს უნდა შევისწავლოთ აღსაზრდელის გარემო, იქნებ მაშინ ნათელი შეიქნას არა ერთი გამოცანა.

აღსაზრდელის გარემოს ვეძახი იმ სულს, რომელიც ოჯახში სუფევს; ოჯახის ყოველ წევრს არ შეუძლია იმასთან მიმართებით ნებისმიერი პოზიცია დაიკავოს. ეს წარმმართავი სული მორჩილებას მოითხოვს და ვერ ეგუება წინააღმდეგობას.

54. დოგმატიკური გარემო.

ტრადიცია, ავტორიტეტი, ადათ-წესი, სულის ძახილი როგორც აბსოლუტური კანონი, აუცილებლობა როგორც ცხოვრებისეული იმპერატივი. დისციპლინა, წესრიგი, კეთილსინდისიერება. სერიოზულობა, სულიერი წონასწორობა და ნათელი გონება, რომლის თავიდათავია სიმტკიცე, მდგრადობისა და შეუვალლობის გრძნობა, რწმენა საკუთარი თავისა და საკუთარი სიძარტლის. თავმოზღუდულობა, თავის ძლევა, შრომა ვითარცა კანონი, მაღალი ზნეობრიობა ვითარცა ჩვეულება. კეთილგონიერება, პასიურობამდე მიტანებული, ცალმხრივად ვერდანახვა უფლებებისა და ჭეშმარიტებების, რომლებიც ტრადიციები ვერ შეიქნენ,

ავტორიტეტმა არ აკურთხა, არ განამტკიცა მოქმედებათა მექანიკურმა შაბლონმა.

თუ თავდაჯერებულობა არ გადავა თავნებობაში, უბრალოება — უხეშობაში, ხსენებული უხეშოსავლიანი გარემო ან მიმძლავრდება იმისთვის სულით უცხო ბავშვებზე, ან სწორედაც გამოძურწავს დიდებულ ადამიანს, ვინც პატივისცემით იქნება განწყობილი მკაცრი აღმზრდელებისადმი, რადგანაც გასართობად კი არ უნდოდათ, სამძიმო გზით მიჰყავდათ ნათლად გამოკვეთილი მიზნისკენ.

ცუდი პირობები, ფიზიკურ მოთხოვნილებათა შეკვეცა გარემოს სულიერ არსს ვერ ცვლის. სიბეჯითე გადადის თავდაუზოგავ შრომაში, აუმღვრევლობა — განდგომილებაში იმ ადამიანისა, სიმტკიცეს რომ მიელტვის თავგამოდებული; ზოგჯერ სიმხდალე და თავმოდრეკილობა სულ ყოველთვისაა თავისი სიმართლის შეგნება და იმედი. და აპათია და ენერგია ამ დროს სისუსტე კი არა, ძალაა, რომლის მოთოკვასაც უცხო ბოროტი ნება სულ ამაოდ ცდილობს.

დოგმატი შეიძლება იყოს მიწა, ეკლესია, მამული, სათნოება და ცოდვა; შეიძლება იყოს მეცნიერება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, სიმდიდრე, ბრძოლა, ასევე ღმერთი — ღმერთი ვითარცა გმირი, კერპი ან ტიკინა. არც არაფერი და მაინც როგორ გჯერა.

55. იდეური გარემო.

ძალა მისი არა სულის სიმტკიცეშია, არამედ აღმასვლაში, აღმაფრენაში, მოძრაობაში. აქ, კი არ შრომობ, ნეტარებით ქმნი. თავად იღწვი, მოლოდინის გარეშე. არ არის განკარგულება — არის კეთილი ნება. არ არის დოგმები — არის პრობლემები. არ არის კეთილგონიერება — არის წვა სულისა, ენთუზიაზმი. დამაბრკოლებელი საწყისი აქ — სიბინძურის ზიზღია, ზნეობრივი ესთეტიზმი. ზოგჯერ აქ სძულთ, მაგრამ არასდროს არ იგდებენ აბუჩად. მოთმინება აქ რწმენათა უმღვრადობა კი არა, არამედ ადამიანის ფიქრის პატივისცემაა. სიხარული იმისა, რომ თავისუფალი აზრი სხვადასხვა სიმაღლეზე, სხვადასხვა მიმართულებით დაფრინავს — შეჯახებისას ხან დაბლა ეშვება, ხან მაღლა აიჭრება, ყოველი მხრით მოიცავს სივრცეს. თავად ქველს, გსიამოვნებს სხვათა უროების ხმა და ცნობისმოყვარეობით მოელი ხვალისდელი დღის დადგომას, იმის ახალ აღფრთოვანებას, გაოცებას, ცოდნას, ცდომილებას, მერყეობას, მტკიცებასა და უარყოფას.

თუკი დოგმატიკური გარემო ხელს უწყობს პასიური ბაღლის აღზრდას, იდეური — კარგი ნიადაგია აქტიური ბაღლების ვასახარებლად. მე ვფიქრობ, მრავალი უსიამოვნო სიურპრიზის სათავე ის არის, რომ ერთს აძლევენ ქვაზე ამოჭრილ ათ მცნებას, როდესაც მას უნდა გულითა და სულით თავად შექმნას; სხვას კი აიძულებენ ეძებოს ჭეშმარიტებანი, რომლებიც მზა სახით უნდა მიიღონ. შეიძლება ეს ვერც დაინახოთ, თუ ბავშვს ასე მიუდგებით: „კაცს გაგხდი“, არამედ მაშინ, როდესაც გამომცდელი თვალთ შეხედავთ: „როგორი კაცი იქნები ნეტავი?“

56. გარემო აუმღვრეველი მოთხოვნილებებისა.

იმდენი მაქვს, რამდენიც მჭირდება, ესე იგი, ცოტა, თუკი მე ხე-

ლოსანი ვარ ან მოხელე; ან, ბევრი, თუ მე დიდი მამულების მფლობელი ვარ. მე კი მინდა ის ვიყო, რაცა ვარ, ესე იგი, ოსტატი, რკინიგზის სადგურის უფროსი, ადვოკატი, მწერალი. სამუშაო ჩემთვის სამსახური კი არ არის, არა ადგილი ცხოვრებაში, არა თვითმიზანი, არამედ საშუალებაა ჩემი სიმყუდროვის, სასურველი პირობების.

სულიერი უშფოთველობა, უდარდებლობა, გრძნობიერება, გულთაძობა, სიკეთე, საღი გონება რამდენიც საჭიროა, ~~ბუნებრივად~~ რაც უშრომელად მოიპოვება.

ს ი მ ტ კ ი ც ე არა აქვს და არც შეუძლია შეინარჩუნოს, გაძლოს, არც ლტოლვა აქვს მიაღწიოს, მოიპოვოს.

ბავშვი ცხოვრობს შინაგანი კეთილდღეობის ატმოსფეროსა და სიზარმაცით ცხებულ კონსერვატიული ჩვეულების წიაღში, მიმზიულ ველ უბრალოებაში, ღმობიერადაა განწყობილი თანამედროვე მიმდინარეობისადმი. აქ შეიძლება ყველაფერი იყოს, რაცა სურს: თავაუ წიგნებიდან, საუბრებიდან და ცხოვრებისეული შთაბეჭდილებებიდან — ყრის თავისივე მსოფლმხედველობის საძირკველს, თავად ირჩევს გზასავალს.

უნდა დავსძინო: მშობლების ურთიერთსიყვარული. ბავშვი იშვიათად გრძნობს ამის უკმარისობას, როდესაც არ არის, მაგრამ ხარბად დაეწაფება, როდესაც არის.

„მამა დედაზეა გაბრაზებული, მამა და დედა ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, დედა ტიროდა, მამამ კი კარი მიაჯახუნა“. — ესაა ღრუბელი, რომელიც ცის ლაქვარდს გადაეკვრება და ყინულისებრი მღუმარებით მოიცავს ბავშვების ქრიამულს.

შესავალში მე ვთქვი:

„ვიღაცას რომ მოსთხოვო, შენ, დედამ, მზა აზრები, იგივეა სხვა ქალს დაავალო შენი შვილის შობა“.

იქნებ არა ერთმა თქვენგანმა გაიფიქრა:

„კაცი კი? განა უცხო ქალი არ შობს იმის შვილს?“

არა: საყვარელი და არა უცხო.

57. გარემო გარეგნული ბრწყინვალეებისა და კარიერის.

ისევ სიმტკიცე, მაგრამ ამისი თავიდათავია ცხოვრების ცივი ანგარიში და არა სულიერი მოთხოვნილებანი. რადგანაც აქ ადგილი აღარ რჩება შინაარსის სისრულისთვის, არის მხოლოდ ცბიერი ფორმა — უცხო ფასეულობათა დახვეწილი ექსპლუატირება, მოზიმშიმე სიცარიელის შელამაზება. ლოზუნგები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ფულის შოვნა, ეტიკეტი, რომელსაც უნდა დამორჩილდე. ღირსება კი არა, მოხერხებული თვითრეკლამა. ცხოვრება არა როგორც შრომა და დასვენება, არამედ ყნოსვით მიგნება და ლოლიაობაა. დაუოკებელი ამპარტავნობა, მტაცებლობა, უკმაყოფილება, თავმომწონეობა და მონური მორჩილება, შური, მლიქვნელობა, ნიშნის მოგება.

აქ ბაღლები არ უყვართ, არც აღზრდა უნდათ მათი, აქ მხოლოდ შეფასება შეუძლიათ, ბავშვებით ქულებს კარგავენ ან იძენენ, ყიდულობენ და ყიდიან. თავის დაკვრა, ღიმილი, ხელის ჩამორთმევა — ნათელია — აქ ყველაფერი გათვლილი აქვთ: ქორწინებაც და ნაყოფიერებაც.

უველაფრის ყიდვა შეიძლება, ჩინის მეშვეობით, ორდენით, მაღალ წრე-
ებთან კავშირებით.

თუკი ამგვარ გარემოში რალაც დადებითი გამოჩნდება, ეს მხო-
ლოდ გარეგნულად ჩანს, უფრო რე დახვეწილი თამაშის შედეგია, კარ-
გად მორგებული ნილაბია. მაგრამ ასეთ, გახრწნილებისა და რღვევის
გარემოში, ტანჯვა-ვაებისა და სულიერი გაორების წიაღში სოგჯერ
იჯეჯილებს ყბადაღებული „ოქრო ნაგვის გროვაში“ ხსენებული შემ-
თხვევა ამის მაუწყებელია, საყოველთაოდ აღიარებული აღმზრდელო-
ბითი ზეგავლენის გარდა კიდევაც ერთი — ანტითეზის კანონი. ამ კან-
ონის გამოვლინებაა, როდესაც ქვაწვიას გამნიავებელი ეზრდება, უღ-
მერთოს — ღვთის მოყვარული, მხდალს — გმირი; მხოლოდ ცალმხრი-
ვად, „მემკვიდრეობით“ ამის ახსნა შეუძლებელია.

58. ანტითეზის კანონში ჩანს თვითჩაგონების წინააღმდეგ მიმარ-
თული საკუთარი თავის ძალა, რომელიც სხვადასხვა წარმომავლობისაა
და სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება. თავდაცვისა და წინააღმ-
დეგობის მექანიზმია, გარკვეულწილად რალაც სულიერი აღნაგობის
თვითდაზღვევის ინსტიქტი, ფაქიზი, ავტომატურად მოქმედი.

თუკი მორალიზება უკვე საკმაოდ დისკრედიტირებულია, მაგალი-
თის და გარემოს ზეგავლენის ძალა აღმზრდელობით საქმიანობაში
სრული ნდობით სარგებლობს, მაშინ რატომაც ასე ხშირად ეს ზეგავლე-
ნა ხელმოცარულობის საფუძველი?

გეკითხებით: რატომაც, ბალლი გაიგონებს სალანძღავ სიტყვას და
აკრძალვის მიუხედავად ცდილობს გაიმეოროს, დაბოლოს, მუქარას და-
მორჩილებული, იმანსოვრებს?

სად არის სათავე ამ ერთი შესხედვით ბოროტი ნების გამოვლინე-
ბისა, როდესაც ბავშვი ჯიუტობს, თუმცა კი სულ ადვილად შეეძლო
დაეთმო?

— პალტო ჩაიცვი.

არა, უნდა უპალტოდ წამოვიდეს.

— ვარდისფერი კაბა ჩაიცვი.

იმას კი სწორედ იისფერი უნდა.

თუკი არ დააძალებ — გაგიგონებს, დააძალებ, სთხოვ ან დაემუქ-
რები, გაჯიუტდება და მაშინ დაგითმობს, თუ აიძულებ.

რატომაც, ხშირად ბავშვის მომწიფების პერიოდში ჩვენი ბანალუ-
რი „პო“ წააწყდება იმის — „არა“-ს? იქნებ ეს არის ერთ-ერთი გა-
მოვლინება ღრმა წინააღმდეგობისა ცდუნებათა მიმართ, ახლა რომ ში-
გნიდან მომდინარეობს და მერე შეიძლება გარედან მოვიდეს?

„ბედისწერის სევდის მომგვრელი ირონია აიძულებს სათნოებას
მიელტვოდეს ცოდვას, ხოლო დანაშაულია ხედავდეს უმანკო სიზმრებს“
(მირზო).

დევნილი რელიგია ნახულობს უფრო მხურვალე მხარდაჭერას.
ეროვნული თვითშეგნების მიძინებას რომ ლამობენ, ამით უფრო უწ-
ყობენ ხელს იმის გამოღვიძებას. მე, შეიძლება, სხვადასხვა დარგის ფა-
ქტორების აღრევა მოვახდინე, მაგრამ პირადად მე ჰიპოთეზა ანტითეზის
კანონის შესახებ ამისხნის ბევრ პარადოქსურ რეაქციას აღმზრდელო-

პით ზემოქმედებაზე და იძულებული ვარ მეტად სშირი და ენერგიული ცდებით ზეგავლენა მოვახდინო თუნდაც ყველაზე უფრო სასურველ მიმართულებებზე.



სული, რომელიც ოჯახში სუფევს? თანახმა ვარ. მაგრამ რისკანდნარში ეპოქის სული? მიმძლავრებული თავისუფლების სამანთან ჩერდებოდა, ჩვენს ქვეყნში ვუ-მაღავდით ამას ბავშვს. ბუოზოვსკის „ახალგაზრდა პოლონეთის ლეგენდამ“ ვერ დაძივდა ცხოვრებაზე ვიწრო შეხედულებისგან.

59. ბავშვი რას წარმოადგენს? რას წარმოადგენს თუნდაც მხოლოდ ფიზიკურად? განვითარებად ორგანიზმს. მართალია. მაგრამ მომატება წონასა და სიმძლავრეში — ეს მხოლოდ მრავალთაგან ერთი გამოვლინებაა ამ განვითარებისა. მეცნიერებისთვის უკვე ცნობილია ამ ზრდის რამდენიმე კერძო მომენტი; ის არათანაბარია, მისი სიჩქარე ხან მაღლია, ხან დაბალი. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ვიცით, რომ ბავშვი ზრდასთან ერთად იცვლის პროპორციებსაც.

ბევრმა მშობელმა ესეც კი არ იცის. რამდენჯერ იყო, დედა ეჭიბს გამოუძახებს, შესჩივლებს, ბავშვი ფერდაკარგულია, გამხდარია, სხეული მომჩვიარული აქვს, სახე და თავი დაუპატარაა. ქალმა არ იცის, ჩვილი ბავშვობის პირველ ხანაში რომ შედის, ცხიმოვან ნაკეცებს კარგავს, გულმკერდის განვითარებასთან ერთად მხრების გაფართოებისდა კვალად თავი დაპატარაებული მოუჩანს, ისევე, როგორც სხეულის ნაწილები, შინაგანი ორგანოები სხვადასხვანაირად ვითარდება, ტვინი, გული, სტომაქი, თავი, თვალები, კიდურების ძვლები თითოეული თავისებურად იზრდება; ასე რომ არ ყოფილიყო, ზრდასრული კაცი იქნებოდა დიდთავიანი ურჩხული, პატარა სქელი ტანი და ვერც კი ივლიდა ქონმოკიდებული ბორბლისმაგვარი ფეხებით. ზრდასთან ერთად იცვლება პროპორციებიც.

ჩვენ გვაქვს ათი ათასობით განზომილება, ზრდის პროცესის მთლად არა თანმხვედრი ათეულობით გრაფიკი, ბავშვები ხან სწრაფად ვითარდებიან, ხან აგვიანებენ, რალაც გადახრები გამოაჩნდებათ. ხუთიდან ათ წლამდე ზრდის ანატომია რომ ვიცით, მისი ფიზიოლოგია ჩვენთვის არ არის ცნობილი, რადგანაც ჩვენ კეთილსინდისიერად ვსწავლობთ ავადმყოფ ბავშვებს და მხოლოდ ცოტა ხნის წინათ შევუდექით ჯანმრთელი ბავშვის დაკვირვებას, ისიც შორიდან. ასე წელიწადია უკვე, ჩვენი კლინიკა საავადმყოფოა და ჯერ კიდევ არ არის სკოლა.

60. ბავშვი შეიცვალა. რალაც დაემართა. დედას ყოველთვის არ შეუძლია თქვას, რა ცვლილებაა, სამაგიეროდ ყოველთვის მზად აქვს პასუხი შეკითხვაზე, რას შეიძლება მივაწეროთ ეს ამბავი.

კბილები რომ გამოეჭრა, ბავშვი გამოიცვალა; წითელაზე აცრის მერე, ძუძუს თავი რომ დაანება, მას შემდეგ; იმის მერე, რაც ლოგინიდან გადმოვარდა.

დადიოდა უკვე და უცებ თავი დაანება სიარულს; ქოთანს მოითხოვდა და ახლა ისევე ქვეშაფსიაა. „არაფერს“ არ ჭამს, ძილის დროს შფო-

თავს, ხან ცოტათი, ხან კი ძალიან, ჭირვეულია ახლა, ძალიან მოძრავია ან ძალიან დუნე გახდა.

მეორე ეტაპი:

სკოლაში შესვლის მერე, სოფლიდან დაბრუნების მერე, წითელას მერე, აბაზანები რომ გამოუწერეს, იმის მერე: ხანძარი იყო, შეეშინდა და იმის მერე. ძილი გაუფუჭდა, მადა დაეკარგა, ხანძარი შეეცვალა. ადრე გამგონე ბავშვი იყო; ახლა ცელქია; ადრე ბეჯითი იყო, ახლა უყურადღებო და ზარმაცია. ფერმკრთალია, წელში მოხრილი, რალაც უშნო გამონდომები დასჩემდა. შეიძლება, ამხანაგები ჰყავს გაუზრდე-ლი, იქნებ სწავლის ბრალია, იქნებ ავადაა?

ობოლთა სახლში ორწლიანი ყოფნით და უფრო ბავშვის მოთვა-ლიერებით, ვიდრე შესწავლით, დაეადგინე: ყველაფერი, რაც კი და-კავშირებულია გაუწონასწორებლობასთან მომწიფების პერიოდში, რა-საც ბავშვი განიცდის რამდენიმე წლის მანძილზე მცირეოდნავი და ზუნდოვანი გარდატეხების სახით, ასევე კრიტიკულ პერიოდებში, მხო-ლოდ ნაკლებად თვალსაჩინოა და არც მეცნიერებას შეუმჩნევია ჯერ კიდევ.

ბავშვზე შეხედულებათა ერთიანობას რომ მიელტვიან, ზოგიერ-თის აზრით, ბავშვის ორგანიზმი მალე იღლება. ამისდა კვალად, ბევრს სძინავს, წინააღმდეგობის უნარი დაავადებათა მიმართ შესუსტებულია, ორგანიზმი მოწყვლადია, მცირეოდენი ფსიქიკური გამძლეობისაა. სწო-რია ეს შეხედულება, ოღონდ არა განვითარების ყოველი ეტაპისთვის, ბავშვი ხან ძლიერია, ხან ხალისიანი და სიცოცხლემოწყურებული, ხან სუსტი, მოღლილი და დაღვრემილი. თუკი ამ კრიტიკულ პერიოდში ვად შეიქნება, რალა დაგვრჩენია, ვფიქრობთ, რომ ჯანმრთელობა ავა-დმყოფობამ შეურყია; ჩემი აზრით, ავადმყოფობა ხანმოკლე უღონო-ბის ნიადაგზეა აღმოცენებული ან ფარული იყო და უფრო კარგ პირო-ბებს მოელოდა თავდასხმისთვის, ან გარედან შემოტანილმა იმძლავრა წინააღმდეგობის გაუწევლობის კვალობაზე. თუკი ჩვენ სამომავლოდ, სიცოცხლის ციკლებს ხელოვნურად არ დავყოფთ: ჩვილი, ბავშ-ვი, მოზარდი, ასაკოვანი და მოხუცი, მაშინ პერიოდიზაციის საფუძვე-ლი უნდა იყოს არა ზრდა და გარეგნული განვითარება, არამედ ძირი-თადად ჯერ კიდევ ჩვენთვის უცნობი მთელი ორგანიზმის ღრმა გარ-დაქმნა. შარკომ თავის ლექციაში ართრიტის ევოლუციის შესახებ წარმოგვიჩინა ეს გარემოება აკვნიდან სამარემდე.

61. ბავშვის სიცოცხლის პირველსა და მეორე წლებს შორის ხში-რად ცვლიან შინაურ ექიმებს. ამ დროს მე მყავდა ხოლმე პაციენტები, რომელთა დედები ნაწყენი იყვნენ ჩემს წინამორბედზე, ვინც თითქოს-და არ იყო საკმაოდ კომპეტენტური და, პირიქითაც, მეც მიშვებდნენ იმ მიზეზით, რომ ამა თუ იმ არასასურველი მოვლენის თავიდათავი მე ვიყავი. ერთნიცა და მეორენიც მართალნი არიან იმდენად, რამდენადაც ექიმის აზრით, ბავშვი ჯანმრთელი იყო და უეცრად გამოტყვრა რალაც ადრე შეუმჩნეველი ნაკლოვანება. მაგრამ თუკი მოთმინებით გადავი-ტანთ კრიტიკულ მომენტს, ბავშვი, მცირეოდნავად რომ არის მიმძლა-

ვრებული მემკვიდრეობითობით, აღიდგენს მცირედ დარღვეულ წონასწორობას, ხოლო უფრო მეტად მიმძლავრებულს გაუმჯობესება დაეტყობა და ყრმის შემდგომი სიცოცხლე ისევ მშვიდად წარიმართება.

ამ პირველ და ასევე მეორე, სასკოლო, პერიოდებში დარღვეული ფუნქციების მიმართ თუ გარკვეულ ზომებს მოვიშველიებთ მაშინ გაუმჯობესება სწორედ ამათ მიეწერება. და თუკი დღეს უკვე შეგვიძლია, რომ ფილტვების ანთების ან ტიფის დროს გაუმჯობესება დაეტყობა აუადმყოფობის პირველი ციკლის გასრულების შემდეგ, გაუგებრობა იქამდე გაგრძელდება, სანამ ჩვენ არ დავადგენთ ბავშვის განვითარების ეტაპებს და არ აღვნიშნავთ განსაკუთრებულ ტენილებს სხვადასხვა ტიპის ბავშვების განვითარებისას.

ბავშვის განვითარების ტენილ ხაზზე ჩანს გაზაფხულიცა და ჩაწყნარებული შემოდგომაც, დაძაბული შრომის პერიოდებიც და დასვენებისაც, სრულქმნის მიზნით, სამუშაოს სწრაფად დასამთავრებლად და იმთავითვე მარაგის დასაგროვებლად ორგანიზმის შემდგომი მშენებლობისთვის. შვიდთვიან ნაყოფს უკვე სიცოცხლის უნარი აქვს და იმას ხომ კიდევ ორი ხანგრძლივი თვე სჭირდება (თითქმის ორსულობის მეოთხედი ნაწილი) დედის საშვილოსნოში მოსამწიფებლად?

ჩვილმა ერთი წლის განმავლობაში წონაში სამჯერ რომ მოიმატა, დასვენების უფლება აქვს. მისი ფსიქიკური განვითარების ელვისებური გზა უფლებას აძლევს რალაც-რალაცები დაივიწყოს, რაც უკვე შეძლო ან იცოდა და ჩვენ რაც ნაადრევად ჩავიწერეთ მტკიცე გამარჯვებების ნიაში.

62. ბავშვს არ უნდა ჭამა.

უბრალო არითმეტიკული ამოცანა.

ბავშვი 8 ფუნტისა* და ცოტა მეტისა დაიბადა, ერთი წლის მერე უკვე 25 ფუნტს იწონის. ზრდა რომ ასეთივე ტემპით გააგრძელოს, ორი წლისთვის უნდა იყოს 25 ფ. X 3 = 75 ფ.

სამი წლის ბოლოს: 75 ფ. X 3 = 225 ფ.

ოთხი წლის ბოლოს: 225 ფ. X 3 = 675 ფ.

ხუთი წლის ბოლოს: 675 ფ. X 3 = 2025 ფ.

ამ ხუთწლიანი 2000 ფუნტის წონის ურჩხულის გამოსაკვებად, ვინც ყოველდღიურად მიირთმევს იმდენს, რამდენიც უტოლდება მისივე წონის 1/6—1/7, ჩვილის საჭიროებისამებრ, ყოველდღიურად საჭირო იქნებოდა 300 ფუნტი საკვები.

ზრდისდა კვალად ბავშვი ცოტას ჭამს, ძალიან ცოტას, ბევრს, ძალიან ბევრს. წონის ტენილი ნელა იწევს მაღლა ან უეცრად, ან სულაც თვეობით არ იცვლება. მტკიცედ თანამიმდევრულია: თუ შეუძლოდა, ბავშვი რამდენიმე დღეში წონაში კლებულობს, სამაგიეროდ მერე იმდენივეს მოიმატებს, შინაგან ხმას დამორჩილებული, ვინც ეუბნება: „ამდენი, მეტი არა“. ჯანმრთელი ბავშვი, სიღარიბის გამო ცუდად რომ კვებავენ, ნორმალურ დიეტაზე გადასვლისას ერთ კვირაში დანაკლისს აღიდგენს და თავის წონას მოიპოვებს. თუ ყოველ კვირას ბავშვს აწო-

* 1 ფ. = 453,6 გრ.

ნიან, რამდენიმე ხანში თავადვე მიხვდება, წონაში მოიმატა თუ დაიკლო.

„გასულ კვირას სამასი გრამი დავიკელი, როგორც ჩანს, ახლა ხუთას გრამს მოვიმატებ, — დღეს არ მივახშვია და უფრო ცოტას ვიწონი. — ისევ ხუთასი გრამი მოვიმატე, გმაღლობთ...“

ბავშვს უნდა ასიაშვილის მშობლებს: დედა არ უნდა ავიწყდებოდეს, მშობლის ნების შესრულებას იმისთვის ბევრი სარგებელი მოაქვს. პოდა, თუკი კატლეტს არ შეჭამს და არ დაღვევს რძეს, ეს იმიტომ, რომ არ შეუძლია. თუკი აიძულებ, გარკვეული დროის მონაკვეთში გამეორებული კუჭის აშლილობა სათანადო დიეტის მოშველიებით წონაში მომატების საფუძველი გახდება.

კაცმა რომ თქვას, ბავშვმა იმდენი უნდა ჭამოს, რამდენიც უნდა, არც მეტი და არც ნაკლები. თუნდაც ავადმყოფი ბავშვის გაძლიერებული კვების მენიუ უნდა შევადგინოთ მხოლოდ მისი მონაწილეობით და მხოლოდ მისი კონტროლით.

63. ბავშვს თუ დაძინება არ უნდა და ვაიძულებთ დაიძინოს, დანაშაულია სწორედ. ტაბულა, რომლის მიხედვითაც დადგენილია, თუ რამდენი საათის ძილი უნდა ბავშვს, — აბსურდია. მოცემულ ბავშვს თუ რამდენი საათი ძილი სჭირდება, ძნელი არ არის ამის განსაზღვრა: რამდენ ხანს სძინავს გაუღვიძებლად და გამოიძინებს. მე ვამბობ, „გამოიძინებს“ და არა „ხალისიანი იქნება-მეთქი“. არის პერიოდები, როდესაც ბავშვს სჭირდება მეტი ძილი ან, როდესაც ბავშვი თუმცა დაღლილია, მაგრამ არ იძინებს და ლოგინში უნდა წოლა.

დაღლილობის პერიოდი: სალამო ხანს ეზარება დაწოლა, დაძინება არ უნდა; დილას კი ადგომა ეზარება — წოლა უნდა. სალამოს თითქოსდა არ ეძინება, რადგანაც შეიძლება ლოგინში არ დაანებონ სურათების გამოჭრა, კუბიკებით ან თოჯინებით თამაში. სინათლეს ჩააქრობენ და ლაპარაკს დაუშლიან. დილას კი თავს მოაჩვენებს, ვითომ სძინავს, რადგანაც მაშინვე ადგომას უბრძანებენ და ცივი წყლით დაბანას. რა უხარია, თუ სიცხე აქვს და ახველებს, ლოგინიდან აღარ ააყენებენ!

აუმღვრეველი წონასწორობის პერიოდი: მალე დაიძინებს, მაგრამ დილა-უთენია გამოიღვიძებს, სავსეა ენერჯით, უნდა მოძრაობა, ცელქობა. თუკი ვერც მოქუფრული ზეცა, ვერც სიცვივე ვერ შეაჩერებს და ფეხშიშველა, პერანგის ამარა გათბება მაგიდასა და სკამებზე ხტუნვით? მაშინ რაღა ვქნათ? გვიან დავაწვინოთ, თუნდაც, რა საშინელებაა, თერთმეტ საათზე. ლოგინში თამაში დავანებოთ. საკითხავია, ძილის წინ ლაპარაკი რატომ „გაუტეხავს ძილს“, ხოლო ნერვიულობა იმაზე, რომ თავისდა უნებურად გაუგონარი უნდა იყოს, არ „გაუტეხავს ძილს“? მნიშვნელობა არა აქვს — ადრე დაწოლა, გვიან ადგომა — მშობლებმა თავისი სარგებელისდა კვალად შეგნებულად დაამახინჯეს; გამოდის: რაც უფრო მეტს იძინებს, მით უფრო კარგია ჯანმრთელობისთვის. დღის სიზარმაცესა და დაღვრემილობას ემატება სალამოსეული ნერვიული დაღვრემილობა ძილის მოლოდინისა. ძნელი წარმოსადგენია უფრო დესპოტური, წამებასთან ასე დაახლოებული ბრძანება:

— დაიძინე!

გვიან რომ წვებიან, იმიტომ არიან ავად, რომ ღამე ლოთობდნენ და გარყვნილებას ეძლეოდნენ; სამუშაოზე კი ადრე უნდა წავიდნენ და ძილი აღარ ჰყოფნით.

ნევრასტენიკი, ვინც ერთხელ, როგორც იქნა, დილას ადრე აღგა, მშვენივრად გრძნობს თავს იმიტომ, რომ შთაგონებას დამორჩილდა.

ბავშვი რომ ადრე იძინებს, ნაკლებად იმყოფება ნეკროზური განათების შუქზე — არც ისეთი დიდი პლუსია ქალაქში, სადაც არ შეიძლება განთიადის ხანს მდელით გამოსვლა და ამიტომ ფარდაჩამომვებულ ოთახში ლოგინში კოტრილობს, უკვე სიზარმაცე დასჩემდა, უკვე სახედალონებულია, უკვე ჭირვეულია — ვერ არის კარგი დღის დასაწყისი.

მე არ შემიძლია რამდენიმე ათეული სტრიქონის მეშვეობით ამ თემის განვრცობა (ამ წიგნში მოყვანილ პრობლემებზე შეიძლება იგივე ვთქვა). მინდა გახსოვდეთ, იყავით ფხიზლად...

64. ჩვენი სულიერი ორგანიზაციისგან რით განსხვავდება ბავშვი? რა არის მისი თავისებურებანი, მოთხოვნილებანი, როგორია მისი ფარული, ჯერ კიდევ ვერ შემჩნეული შესაძლებლობანი? კაცობრიობის ეს ნახევარი რანი არიან, ჩვენთან ერთად, ჩვენს გვერდით რომ ცხოვრობენ ტრაგიკულ გაორებაში? ჩვენ გვინდა ხვალინდელი დღის ტვირთი ავკიდოთ მათ, ახლა კი უუფლებოდ გვყვავს.

თუკი კაცობრიობას დავყოფთ ზრდასრულებად და ბავშვებად, ხოლო სიცოცხლეს — ბავშვობად და ამის შემდგომ ხანად, მაშინ ამ სამყაროსა და ცხოვრებაში ბავშვები და ბავშვობა ბევრია, ძალიან ბევრი. მხოლოდ ჩვენ, დანთქმულნი ყოველდღიურ ბრძოლასა და საზრუნავში, ჩვენ ვერ ვამჩნევთ მათ, ასევე, როგორც ადრე ვერ ვამჩნევდით ქალს, გლესს, დაჩაგრულ კლასებსა და ხალხებს. ჩვენ ისე მოვწყობილვართ, რომ ბავშვები რაც შეიძლება ნაკლებად გვიშლიდნენ ხელს და რაც შეიძლება ნაკლებად იყვნენ მიმხვდარნი, მართლაცდა, რანი ვართ ჩვენ და მართლაცდა რას ვაკეთებთ.

პარიზის ერთ-ერთ ბავშვთა სახლში ვნახე ორმოაჯირიანი კიბე: მაღალი — დიდებისთვის, დაბალი — პატარებისთვის. ეს და კიდევ სასკოლო მერხი და ამით დაიშრიტა გენიოსის გამომგონებლობის უნარი. ცოტაა, ძალიან ცოტაა! შეხედეთ ევროპული დედაქალაქების მათხოვრულ მოედნებს ბავშვებისთვის, სადაც უანგმოდებულ ჯაჭვზე მაგნატთა პარკების შადრევნებთან მიღრინკული ჭურჭელი ჰკიდია მათთვის.

სად არის სახლები და ბაღები, სახელოსნოები და საცდელი მინდვრები — ცოდნისა და შრომის იარაღები ბავშვებისთვის, ხვალინდელი დღის ადამიანებისთვის? კიდევ ერთი სარკმელი და ტამბური საკლასო ოთახისა და საპირფარეშოს გამყოფი რომ არის — არქიტექტურამ მხოლოდ ეს მოგვცა; მუშაობის ცხენი და თუნუქის ხმალი — ამდენი მოგვცა მრეწველობამ; ხელსაქმისთვის ფერადი სურათები კედელზე — ცოტაა; ზღაპარი? — არ არის ჩვენი მოგონილი.

ჩვენ თვალწინ მხევალი ადამიანად, ქალად გადაიქცა. საუკუნეობით თამაშობდა ასე მძლავრად თავსმოხვეულ როლს, განასახიერებდა იმ ტიპს, რომელიც შეიქმნა მამაკაცის ძალამოსილებითა და ეგოიზმით,

ვისაც არ სურდა შეემჩნია მშრომელი-ქალი, ისევე, როგორც ახლა არ ამჩნევს მშრომელ-ბავშვს.

ბალლი ჯერ არ ალაპარაკებულა, ის ჯერ კიდევ უფრო უგდებს.

ბავშვი — ასი ნილაბი, ასი როლია ნიჭიერი მსახიობისა. ზოგჯერ დედასთან, ზოგჯერ მამასთან, ბებიასთან, ბაბუასთან, ზოგჯერ მკაცრ და ალერსიან პედაგოგთან, ზოგჯერ სამზარეულოსა და მისხატოლებს შორის, ზოგჯერ მდიდრებთან და ღარიბ-ღატაკებთან, ზოგჯერ ჩვეულებრივ და საზეიმო სამოსელში. გულუბრყვილო და ეშმაკი, მორჩილი და მზვაობარი, თავმოსაწყლებული და შურისმაძიებელი, ზრდილი და ცელქი, ასე შეუძლია მას გარკვეულ დრომდე მიიმალოს, საკუთარ თავში ისე ჩაიკეტოს, რომ თავგზა აგვიბნიოს, და თავისი მიზნებისთვის გამოგვიყენოს.

ინსტინქტების მხრით ერთი რამ აკლია, უფრო სწორად, კი არის, მაგრამ ჯერ კიდევ ნათლად გამოუკვეთავი, ბუნდოვანებით მოსილი ეროტიკული წინათვრძნობანი.

გრძნობიერების მხრით ჩვენზე უფრო მეტად ძალამოსილია, რადგანაც დამუხრუჭების უნარსაა მოკლებული ჯერ კიდევ.

ინეტელექტის მხრით დიდად არ ჩამოგვრჩება, მხოლოდ გამოცდილება აკლია.

ამიტომაც, ხშირად ასაკოვანი ბავშვია, ხოლო — ბავშვი ასაკოვანი.

დანარჩენი სხვა განსხვავება ის არის, რომ ბავშვი ფულს ვერ შოულობს და რადგანაც კმაყოფაზეა, მორჩილება მართებს.

ბავშვთა სახლები ახლა უფრო ნაკლებად ჰგავს ყაზარმებსა და მონასტრებს — საავადმყოფოებია თითქმის. კი აქვთ პიგიენა, მაგრამ არ არის ღიმილი და სიხარული, მოულოდნელობანი და სიცელქე; სერიოზულები არიან, თუ არა მკაცრნი, ოღონდ სხვაგვარად. არქიტექტურას ისინი ჯერ კიდევ ვერ შეუმჩნევია; „საბავშვო სტილი“ არ არის. დიდრონი ფასადი, დიდრონი პროპორციები, ბებრული გროვადეტალებისა. ფრანგები ამბობენ, სამონასტრო ზარი ნაპოლეონმა დოლით შეცვალაო — სწორია; ამას დავსძენ, თანამედროვე აღზრდის სულზე საფაბრიკო საყრდენია მიმძლავრებული.

65. ბავშვი გამოუცდელია.

მაგალითს მოვიყვან, რათა ავიხსნათ.

— დედას ვეტყვი ყურში.

და დედას კისერზე რომ ჩამოეკიდება, ამცნობს იღუმალი ჩურჩულით:

— დედიკო, ჰკითხე ექიმს, თუ შეიძლება ჩემთვის ფუნთუშა (შოკოლადი, კომპოტი).

ამავე დროს ექიმს უყურებს, ღიმილით უნდა მოხიბლოს, იქნებ ნება დამართოსო.

უფროსი ბავშვები ყურში ჩასჩურჩულებენ, პატარები ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობენ...

იყო მომენტი, როდესაც გარშემომყოფებმა აღიარეს, ბავშვი უკვე საკმაოდ მომწიფებული მორალისთვის:

„არის სურვილები, რომლების გამოთქმა არ შეიძლება. ორგვარია ეს სურვილები: ერთნი არც უნდა გქონდეთ, და თუკი გაქვთ, უნდა გრცხვენოდეთ მათი; მეორე რიგი სურვილებისა კი შეიძლება იყოს, მაგრამ მხოლოდ თქვენთანებს შორის“.

გაუთავებელი ხვეწნა-მუდარა არ არის კარგი, არც ისას კარგი, ერთ კანფეტს შეჭამ და მეორეს მოითხოვ. ხანდახან კი სულაც არ არის კარგი კანფეტის თხოვნა, უნდა დაიცადო; სანამ თავად მოგცემენ.

კარგი არ არის შარვალში ქნა, არც ის, რომ თქვა, „ფიში-ფიშიო“, დაგცინებენ, ყურში უნდა უთხრა.

ხანდახან ცუდია ხმამაღლა წარმოთქვა:

— რატომაა ეს ბიძია უთმო?

გაიცინა ბიძიამ, გაიცინეს სხვებმაც. კი შეიძლება იკითხო, მაგრამ ხმამაღლა, ყურში.

ბავშვი უცებ ვერ გაიგებს, ყურში თქმის მიზანია — მხოლოდ ერთმა სანდო პიროვნებამ გაიგოს, და ბავშვი ყურში ეუბნება, მაგრამ ხმამაღლა.

— ფიში-ფიში მინდა, მინდა ნამცხვარი.

და თუკი ჩუმად ამბობს, მაინც არ ესმის. იმის დამალვა რა საჭიროა, განა მაინც არ გაიგებენ დედისგან გარშემომყოფნი?

უცხოს კი არავის არ უნდა ჰკითხო, მაგრამ ექიმს კი შეიძლება, თანაც გასაგონად, რატომ?

— რატომ აქვს ამ ძაღლუკას ასეთი დიდი ყურები? — კითხულობს ჩუმი ხმით.

ისევ სიცილი. კი შეიძლებოდა ხმამაღლა ეთქვა, ძაღლუკას არ ეწყინებოდა. მაგრამ ის ხომ არ არის კარგი, იკითხო, იმ გოგოს ასეთი გონჯი კაბა რად აქვსო? კაბასაც ხომ არ ეწყინება?

როგორ უნდა აუხსნა ბაბუს, რამდენი სრულიად უმსგავსი სიკაღბეა აქ?

მერე კი როგორ უნდა აუხსნა, რად არ არის კარგი ყურში ლაპარაკი?

65. ბავშვი გამოუცდელია.

ცნობისმოყვარეობით ყურს უგდებს, ხარბად ისმენს და სჯერა.

„ვაშლი, დეიდა, ყვავილი, ჭიამაია“ — სჯერა!

„ლამაზია, გემრიელია, კარგია“ — სჯერა!

„ფია, გადააგდე, არ შეიძლება, ხელს ნუ ახლებ“ — სჯერა!

„აკოცე, მიესალმე, მადლობა უთხარი“ — სჯერა!

„იტკინე, შვილიკო, მოდი, დედიკომ უნდა გაკოცოს; აღარ გტკივა“.

ბავშვი თვალცრემლიანი იღიმება, დედიკომ აკოცა, უკვე აღარ ატკივა. იტკინა რაღაც — მირბის კოცნა-წამლისთვის.

სჯერა!

— გიყვარვარ?

— მიყვარხარ...

— დედას სძინავს, დედას თავი სტკივა, დედას ნუ გააღვიძებ.

ნელა, ფეხის წვერებზე მიდის დედასთან, ფრთხილად ჩამოსწევს სახელოზე და ჩურჩულით შეეკითხება. არ გააღვიძებს, მხოლოდ ჰკითხავს. მერე კი: „დაიძინე, დედიკო, თავი გტკივა შენ“.

— იქ მალლა, ხომ იცი ვინც არის, ღმერთი; იმას არ უყვარს გაუკონარი ბავშვები, დამჯერებს კი ფუნთუშას მისცემს, კიდეც რალაც-რალაცებს. ხომ იცი, ვინც არის?

— იქ ზევით, მალლა.

უცნაური კაცი მოდის ქუჩაში, სულ თეთრია.

— ეს ვინ არის?

— ხაბაზია, ფუნთუშებს აცხობს და კიდეც რალაც-რალაცებს.

— ჰო? ეს ის არის, ღმერთი?

— ბაბუა მოკვდა და მიწაში ჩამარხეს.

— მიწაში ჩამარხეს? — გამიკვირდა მე. — საჭმელს კი როგორ იძლევენ?

— ამოთხრიან, — ამბობს ბავშვი, — ცულით ამოთხრიან ხოლმე.

— ძროხას რძე აქვს.

— ძროხას? — კითხულობს უნდობლად, — საიდან აქვს ძროხას

რძე?

და ასე პასუხობს თავად:

— ჭიდან.

ბავშვს სჯერა, მიდი და ნუ დაიჯერებ, თავად რომ უნდა მოიგონოს, შეეშლება, ჰოდა, უნდა დაიჯეროს.

67. ბავშვი გამოუცდელია.

ჭიქა იატაკზე დაუვარდა. უბედურება მოხდა. გაქრა ჭიქა, მაგრამ გამოჩნდა სულ სხვა საგნები. ბავშვი დაიხრება, ნამტვრევს აიღებს, გაიჭრა, სტკივა, თითიდან სისხლი გამოუვიდა. ყოველივე ეს საიდუმლოა და მოულოდნელი.

თავის წინ სკამს მიათრევს. თვალწინ უეცრად რალაცამ გაუელვა, მოსწია, გახმაურდა. სკამი შეიცვალა, თავად კი უკვე იატაკზე ზის. ისევ შიში და ტკივილი. სამყარო სავსეა სასწაულებითა და საშიშროებით.

საბანს მოათრევს, თავი უნდა გამოიყვანოს იქიდან. წონასწორობას კარგავს, დაეტაკება დედის კალთას. გამოცდილებით უკვე მდიდარი, მაგიდიდან გადასაფარებელს ჩამოათრევს.

ისევ კატასტროფა!

ბავშვს დახმარება უნდა, თავად არ შეუძლია. დამოუკიდებლად რომ შეეცდება, მარცხს განიცდის. სხვაზეა დამოკიდებული, შფოთავს!

და თუკი არ ენდობა ან სულაც არ ენდობა — ბევრჯერ მოუტყუებიათ — იმან მაინც უნდა დაუჯეროს დიდებს, ისევე, როგორც გამოუცდელი მეპატრონე იძულებულია მოითმინოს არაკეთილსინდისიერი მუშაკაცი, უიმისოდ ვერაფერს ვერ შეძლებს ან როგორც დამბლადაცემულმა სანიტრის უხეშობას უნდა გაუძლოს.

ხაზგასმით გეუბნებით, ყოველგვარი უსუსურობა, უცოდნელობის ყოველგვარი გაკვირვება, შეცდომა ცდის მოშველიებისას, მიბადვისას წარუმატებელი ცდა და დამოკიდებული რომ არის, ყოველი ეს

შემთხვევა, ინდივიდის ასაკის მიუხედავად, გავშვს არ დაავიწყდება. ჩვენ სულ ადვილად ვპოულობთ ბავშვურ ნიშნებს ავადმყოფში, მოხუცში, ჯარისკაცში, პატიმარში. გლახი ქალაქად, ქალაქელი — სოფლად ბავშვებივით გაოცდებიან. ბოთე ბავშვურ კითხვებს სვამს, ბავშვური შეცდომები მოსდის უინტელექტოს.

უარყოფითი
ბიზნიოსი

68. ბავშვი უფროსებს ბაძავს.

მხოლოდ ბაძვის დროს სწავლობს ლაპარაკს და ითვისებს უმრავლესობა საყოფაცხოვრებო ფორმებს, თითქოსდა ჩანს, რომ შეეგუა დიდების გარემოს, რომელსაც არ შეუძლია ჩახვდეს, რომელიც უცხოა მისთვის სულიერადაც და გაუგებარიცაა ამავე დროს.

ბავშვებზე მსჯელობის დროს უხეში შეცდომები სწორედ ამიტომ მოგვდის, რომ მისი ჭეშმარიტი ფიქრები და გრძნობები განზნეულია უფროსებიდან გადმოღებულ სიტყვებსა და ფორმებში, რომლებსაც იშველიებენ, ჩააქსოვენ რა სრულიად სხვა, საკუთარ შინაარსს.

მომავალი, სიყვარული, სამშობლო, ღმერთი, პატივისცემა, მოვალეობა — სიტყვებში გაქვავებული ცნებები იბადება, ცოცხლობს, იზრდება, იცვლება, მტკიცდება, სუსტდება და სიცოცხლის თითოეულ პერიოდში სულ სხვადასხვა მნიშვნელობისაა. დიდი ძალისხმევა გვმართებს, რომ არ ავურ-დავურიოთ ქვიშის ვროვა, რომელსაც ბავშვი ეძახის მთას, ალპების თოვლიან მწვერვალს. ადამიანების მიერ გამოყენებულ სიტყვებს ვინც ჩაუფიქრდება, იმისთვის წარიხოცება ზღვარი ბაღს, ყმაწვილსა და დიდს, უვიცსა და მოაზროვნეს შორის, ჩვენ წარმოგვიდგება ადამიანი ინტელექტუალური, ასაკის, კლასის, განათლებისა და კულტურის მიუხედავად, რომლის აზროვნება დიდი ან მცირე გამოცდილების საზღვრებშია. სხვადასხვა რწმენისანი (მხედველობაში არა მაქვს ეს პოლიტიკური ლოზუნგები, ხშირად იძულებით დაწერგილი), სხვადასხვანაირი გამოცდილების მქონე ხალხია.

ბავშვს არ ესმის მომავალი, არ უყვარს მშობლები, სამშობლო რა არის, არ იცის, ღმერთი არ ესმის, არავის არ სცემს პატივს, არც ის იცის, რა არის მოვალეობა. კი ამბობს, „როცა გავიზრდებიო“, მაგრამ ამის არა სჯერა, დედას ეუბნება, „ყველაზე უფრო მიყვარხარო“, მაგრამ ამას ვერ ვრძნობს; სამშობლო მისი — ბაღი ან ეზოა. ღმერთი იმისი გულკეთილი ბიძიაა ან ვიღაც ბუზლუნა, თავმომაბეზრებელი. ბავშვი თავს იკატუნებს, რომ პატივს სცემს, მორჩილებს ძალას, რომელიც იმაშია განხორციელებული, ვინც მბრძანებლობს და თვალყურს ადევნებს. უნდა გვახსოვდეს, ბრძანება არა მარტო ჯოხითაა შესაძლებელი, თხოვნითა და ალერსიანი მზერით. ხანდახან ბავშვი ჩახვდება მომავალს, მაგრამ ეს მხოლოდ წამებია, ალბეჭდილი ნათელმხილველობით.

ბავშვი ბაძავს? მოგზაური კი რას შერება, ვისაც ჩინელი მანდარინი მიიპატიუებს ადგილობრივი წესებისა და ცერემონიების შესასრულებლად? უყურებს და ცდილობს არ გამოარჩიონ, გაკვირვება არ გამოიწვიოს, ჩაწვდეს ეპიზოდების არსსა და კავშირს, ამაყია, რომ თავი გაართვა როლს. რას იზამს დაბალი წრის კაცი, ვინც წარჩინებულთა სუფრას მიუჯდება? ცდილობს შეეგუოს. მოსამსახურე მამულში,

დიმილით, თმის ვარცხნილობითა და ჩაცმულობით პატრონს ხომ არ ბაძავენ?

არის ბაძვის კიდევ ერთი ფორმა: გოგონა ტალახში რომ მიდის, პატარა კაბას აიწევს, ესე იგი, უკვე დიდია. ბიჭი რომ მასწავლებლის ხელმოწერას ბაძავს, გარკვეულწილად არკვევს, თუ გამოდგება დიდი პოსტისთვის. სულ ადვილად წაბაძვის ამ ფორმას დიდებშიც მივაკვლევთ.

69. ბავშვური მსოფლმხედველობის ეგოცენტრიზმი — ესეც გამოცდილების უქონლობაა.

პიროვნული ეგოცენტრიზმიდან, როდესაც მისი ცნობიერება ცენტრია ყველა საგნისა და მოვლენის, ბავშვი გადადის ოჯახურ ეგოცენტრიზმზე, მეტნაკლებად ხანგრძლივი რომ არის პირობებისა და კვალად, რომელშიც ბავშვის აღზრდა ხდება; თავად ჩვენ ვუმტკიცებთ მას ცდომილებას იმით, რომ ვაჭარბებთ ოჯახისა და სახლის მნიშვნელობას და მივუთითებთ ბევრ ცრუ და ნამდვილ საფრთხეზე, ჩვენს დაუხმარებლად და ზრუნვა-მოვლის მიღმა რომ დამუქრებია მას.

— ჩემთან დარჩი, — ეუბნება დეიდა.

ბავშვი ცრემლების ფრქვევით დედას ეკვრება და არაფრის დიდებით არ უნდა დარჩენა.

— ერთი ნაბიჯითაც არ მცილდება.

ბავშვი გაკვირვებული და შეშინებული უყურებს სხვა დეიდებს, რომლებიც იმისთვის დეიდებიც კი არ არიან.

მაგრამ მოვა დრო და აუძღვრევლად დაიწყებს გარჩევას, თუ რა ხდება სხვათა სახლებში და რაც არის მასთან. თავდაპირველად იმას უნდა ისეთივე თოჯინა, ბალი, კანარის ჩიტო, ოლონდ თავისას, სახლში. მერე შეამჩნევს, რომ არიან სხვა დეიდები და მამები, ისინიც კარგებია და იქნებ უფრო უკეთესნიც.

— აი ის ჩემი დედა რომ იყოს...

ქალაქური გარეუბნებისა და სოფლის ქონმახების ბავშვები შესაბამის გამოცდილებას უფრო ადრე იძენენ, ხდებიან წილნაყარნი სევდასთან, არც არავინ რომ იზიარებს; სიხარულთან, რომლებიც მხოლოდ შინაურებს ამხიარულებს, ესმის, რომ მისი დაბადების დღე — მხოლოდ იმისთვისაა ზეიმი.

„ჩემი მამა კი; ჩვენთან კი ხომ იცი; დედაჩემი“ — ბავშვების კამათისას მშობლების ქება-დიდება ძალიან ხშირად გვესმის და უფრო საპოლემიკო ფორმულაა, ზოგჯერ კი ტრაგიკული დაცვაა ილუზიისა, რომლისაც კი უნდა გჯეროდეს, მაგრამ უკვე ეჭვი გეპარება.

— დაიცადე, ერთი მამას ვუთხრა...

— ძალიან კი მეშინია მამაშენის ხომ იცი.

და მართლაც, მამაჩემის შიში მხოლოდ მე მაქვს, მეტი არავის.

ეგოცენტრულს მე დავარქმევდი მიმდინარე მომენტზე ბავშვის შესედულებას — გამოცდილების უქონლობისა და კვალად ბავშვი მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობს. ერთი კვირით გადავადებული თამაში უკვე აღარ არის სინამდვილე. ზამთარი ზაფხულში წარმოუდგენელი ჩანს. ხვალინდელი დღისთვის ნამცხვარს რომ გადაინახავს, ბავშვი

ძალაუნებურად იმაზე უარს ამბობს. ბავშვს უჭირს მიხვდეს, რომ გაფუჭებული საგანი შეიძლება უცებ არ გახდეს გამოუსადეგარი, არამედ მხოლოდ ნაკლებად გამძლე იყოს და მალე გაცვთება. მონათხრობი იმაზე, რომ დედა გოგო იყო, საინტერესო ზღაპარია. გაკვირვებული, თითქმის შეძრწუნებული უყურებს ბაბლი უფლაფერს შემოსულს, ვინც იმის მამას, თავის ბავშვობის მეგობარს, სასხელოთ ეძახის.

— მე ჯერ კიდევ არც ვიყავი ამ ქვეყანაზე...

სიყმაწვილის ეგოცენტრიზმი კი: ყველაფერი ამ ქვეყნად ჩვენგან იწყება?

პარტიული, კლასობრივი, ნაციონალური ეგოცენტრიზმი კი? არის კი ყველა იმდენად შეგნებული, რომ ესმის ადამიანის დანიშნულება კაცობრიობასა და სამყაროში? როგორ ძლივს შეეგუა კაცი იმ აზრს, რომ დედამიწა ბრუნავს და პლანეტაა მხოლოდ! რა მტკიცედ სჯეროდათ მასებს, რეალობის საპირისპიროდ, რომ XX საუკუნეში შეუძლებელია ომიანობის საშინელებანი?

თუნდაც ჩვენი დამოკიდებულება ბავშვების მიმართ — განა დიდების ეგოცენტრიზმის გამოვლინება არ არის?

მე არც კი ვიცოდი, რომ ბავშვს ასე კარგად ახსოვს და მოთმინებით ელოდება. ბევრი ჩვენი შეცდომის სათავე ის არის, რომ ჩვენ ურთიერთობა გვაქვს გაჭირვებულ, დაჩაგრულ, თავად-აზნაურებით მიმძლავრებულ, დასახიჩრებულ, გულმოკლულ და აჯანყებულ ბავშვებთან; ძლივსლა შეიძლება მივხედოთ, როგორი არიან სინამდვილეში და როგორი შეიძლება შეიქნენ.

70. ბავშვის დაკვირვებული თვალი.

კინოეკრანზე გულის წამლები დრამაა. უცებ გაისმის ბავშვის წკრიალა ხმა:

— ჰეი, ძალღუკა...

ვერავინ ვერ შეამჩნია, იმან კი შენიშნა.

ამდაგვარი შეძახილები შეიძლება გაიგონოთ თეატრში, ეკლესიაში, მრავალგვარი ზეიმის დროს; ახლობლები აირ-დაირევიან, სხვანი ღიმილს ველარ მალავენ.

მთელს რომ ვერ მისწვდება, გაუგებარ შინაარსს რომ ვერ ჩახვდება, ბავშვი აღფრთოვანებული მიესალმება ნაცნობი, ახლობელი დეტალების გამოჩენას. მაგრამ ჩვენც ხომ სიხარულით მივესალმებით ხოლმე მრავალრიცხოვან, ჩვენთვის უცხო და შემბოჭავ საზოგადოებაში შემთხვევით გამოჩენილ მეგობარს.

ბავშვს არ შეუძლია უმოქმედობა და მზადაა შეძერეს ყოველ კუთხესა და კუნჭულში, ჩაიხედოს ყოველ ხვრელში, იპოვოს და იკითხოს; სუყველაფერი აინტერესებს: მოძრავი რამე წერტილი — ბუზანკალი, ბრწყინვალე მძივი და რასაც გაიგებს, სიტყვას, ფრაზას. სხვა ქალაქში, უჩვეულო გარემოში როგორ ვგავართ ჩვენ ბაბლებს!

ბავშვი სცნობს გარშემომყოფთ, იცის მათი გუნება-განწყობილება, ჩვევები, ნაკლოვანებანი და, შეიძლება დავსძინოთ, კარგადაც შეუძლია ამის გამოყენება. შეუძლია მიხვდეს კეთილგანმზრახველო-

ბას, გრძნობის პირფერობას, სასაცილო თუა რამე, იმ წუთასვე შე-
ამჩნევს. ისევე შეუძლია თქვენს სახეზე რამე ამოიკითხოს, როგორც
გლებმა ზეცაზე, თუ როგორი ამინდია მოსალოდნელი. ბავშვი ხომ
წლების მანძილზე აკვირდება და სწავლობს; სკოლასა და ინტერნა-
ტშიც; საერთო ძალისხმევით, კოლექტიურად ცდილობენ ჩვენი ხა-
სიათის წვდომას. მხოლოდ ჩვენ არ გვინდა ამის შესწავლა და სანამ
ჩვენს ძვირფას მყუდროებას არ შეამღვრევენ, გვირჩევნია გულხალ-
ვათად ვიყოთ — გულუმბრყვილოა — არა იცის რა, არ ესმის, სულ
ადვილად შეგვიძლია მისი მოტყუება. სხვა თვალსაზრისი დიღუბის
წინაშე დაგვაყენებდა: პირდაპირ უარი უნდა ვოქვათ ჩვენს ვითომდა
სრულყოფილებაზე ან მოვიცილოთ ყველაფერი ის, რაც დამამცირე-
ბელია იმათ თვალში, სასაცილოდ წარმოგვაჩენს, გვადარიბებს.

71. ასე ამბობენ, ბავშვი რომ ახალ ემოციებსა და შთაბეჭდილე-
ბებს ეძიებს, დიდხანს არ შეუძლია გაერთოს. თუნდაც თამაში მისთ-
ვის სულ მალე ხდება მოსაბეზრებელი: ერთი საათის წინ მეგობარი
ახლა მტერია მისი, რათა ხუთი წუთის შემდგომ ისევ კარგი ძმაკაცი
შეიქნეს.

ხსენებული დაკვირვება მართალი უნდა იყოს: მატარებელში ბა-
ვშვი ჭირვეულია, ბაღში სკამზე დასვამ — გაბრაზებულია, სტუმ-
რად — შემაწუხარია, საყვარელი სათამაშო სადღაც აქვს მიგდებული,
გაკვეთილზე წრიალებს, თეატრშიც კი არ შეუძლია წყნარად გაჩე-
რება.

უნდა გვახსოვდეს, ვაგონში წამოგზნებული იყო, დაიღალა, სკა-
მზე დაჯდომა არ სურდა და მაინც დასვეს, სტუმრად ამღვრეული იყო,
სათამაშო და ამხანაგი შეურჩიეს, სწავლა აიძულეს, ხოლო თეატრში
სულითა და გულით უნდოდა წასვლა, მაგრამ ახლა მაინცდამაინც არ
მოეწონა იქ ყოფნა.

ჩვენ ხშირად ვგავართ ბავშვს, როდესაც კატას ბაფთას გაუკე-
თებს, მსხალს მიართმევს, სურათების წინ დააყენებს, დაათვალიერეო
და გაკვირვებულია, იმ ოინბაზს მოხერხებულად დასხლტომა უნდა ან
სასოწარკვეთილი გაკაწრავს!

სტუმრად ბავშვს უნდოდა გაეგო, სარკის დაბლა დადებული კო-
ლოფი როგორ შეიძლება გაიღოს, და იქ კუთხეში რა უნდა ბრწყინავ-
დეს; სურათებიანი თუ არის ის დიდი წიგნი, ნეტავი ოქროს თევზი
დააჭერინონ აკვარიუმში და ბევრი, ბევრი მოკოლადი შეჭამოს. მაგ-
რამ თავის ამ სურვილებს საგულდაგულოდ მალავს, უხერხულობაა
სწორედ.

— სახლში წავიდეთ, — ჩქარობს კარგად ვერ გაზრდილი ბავ-
შვი.

დაპირდნენ, გაერთობი, ალმები, ფეიერვერკები, წარმოდგენე-
ბი, ელოდა და ახლა გულგატეხილია.

— აბა, ხომ კარგია აქ?

— ძალიან, — პასუხობს, ამთქნარებს თუ თავის შეკავებას ცდი-
ლობს, ვაითუ ეწყინოთო.

ზაფხულის ბანაკები. ტყეში ზღაპარს ვყვები. ამ დროს წამოდ-
გება და მიდის ერთი ბიჭი, მერე მეორე, მესამე. გამიკვირდა, მეორე
დღეს ვეკითხები: თურმე ერთმა ბუჩქებში ჯოხი დამალა და მაშინ გა-
ახსენდა, როდესაც ვუყვებოდი, შეეშინდა, ვაითუ ვილატამ ხახოს და
წაიღოსო; მეორეს გაჭრილი თითი სტკიოდა, მესამეს გამოგონილი ამ-
ბებისა არა სჯერა. დიდიც ხომ წავა თეატრიდან, თუ პიესა არ შეეწო-
ნება, რაღაც სტკივა ან პალტოს ჯიბეში სათუთუნე დარჩა?

ბევრი დამამტკიცებელი საბუთი მაქვს, რომ ბავშვს შეუძლია
მრავალი კვირა, მრავალი თვე ერთი და იმავე საგნით ერთობოდეს და
არც აქვს სურვილი შეცვალოს. საყვარელი სათამაშო არც არასდროს
კარგავს თავის ხიბლს. ერთსა და იმავე ზღაპარს ინტერესით მრავალ-
გზის მოისმენს. და პირიქითაც, იმის დამამტკიცებელი საბუთიც მაქვს,
რომ დედებს არ მოსწონთ ერთფეროვანი ინტერესების ბავშვი. ხში-
რად ხდება ხოლმე, რომ დედები სთხოვენ ექიმს, „იქნებ სხვა რამე
ვაჭამოთ, ბავშვს უკვე ყელში ამოუვიდა ფაფები და კომპოტები“.

— თქვენ კი ამოგივიდათ ყელში, მაგრამ ბავშვს არა, — იძუ-
ლებული ვარ ასე ავუხსნა.

72. მოწყენილობა — სოლიდური გამოკვლევების თემაა.

სევდა-ნალველი — ერთფეროვნება, შთაბეჭდილებათა უქონლო-
ბა; სევდა-ნალველი — ჭარბი შთაბეჭდილებანი, ხმაური, აყალმაყალი,
ორომტრიალი. სევდა-ნალველი — არ შეიძლება, დაიცადე, ფრთხილად,
ცუდი ამბავია. სევდა-ნალველი ახალი კაბის გამო, დაძაბულია, ამღვ-
რეულია, სასჯელის მოლოდინი აქვს, გაბრუებულია მითითებებით და
მოვალეობებით.

სანახევრო სევდა-ნალველი აივნისა და სარკმლიდან ჭვრეტის, გა-
სეირნება, ვიზიტები, თამაშები შემთხვევით და არასასურველ ამხა-
ნაგებთან.

სევდა-ნალველი — მწვავე, მსგავსი ავადმყოფობისა მაღალი ტემ-
პერატურით, და ქრონიკული თავისი რეციდივებითა და გართულებე-
ბით.

სევდა-ნალველი — ბავშვი ცუდად გრძნობს თავს: ესე იგი, ძალი-
ან ცხელა, ცივა, შია, სწყურია, ბევრი ჭამა, ძილი მორევია და დრო
მოვიდა, უნდა დააძინონ, ტკივილი და დღილობა.

სევდა-ნალველი — აპათია, უხალისობა; ცოტას მოძრაობს, ჩუ-
მადაა, ცხოვრებისეული ტონუსი დაქვეითებული. ბავშვი ზანტად დგე-
ბა, დადის მოხრილი, ფეხებს მოათრევს, წამოიწევა, მიმიკით პასუ-
ხობს, ერთფეროვნად, დაბალი ხმით, უგულოდ, მოღუშული. მომთხო-
ვნი არაა, მაგრამ თუ ეტყვიტ რამეს, ეს და ეს გააკეთეო, სასტიკ უარ-
ზეა. ხანდახან რომ ამობოქრდება, გაუგებარია და სუსტად მოტივი-
რებული.

სევდა-ნალველი — მეტისმეტად მოძრავია. ერთი წუთითაც ვერ
ჩერდება ერთ ადგილზე, ვერაფრით ვერ ერთობა, ჭირვეულია, უდი-
სციპლინოა, გაანჩხლებულია, სუყველას ერჩის, თავმომამებრებელია,
ტირის და ბრაზდება, ზოგჯერ განგებ ატეხავს აყალმაყალს, რადგანაც
მოელის სასჯელს და ძლიერ შთაბეჭდილებას.

სშირად ვხედავთ ბოროტი ნების შეგნებულ გამოვლინებას იქ, სადაც სრული უკმარისობაა ნების; და მოჭარბებული ენერჯია დაღლილობის სასოწარკვეთილებაა.

სევდა-ნალველს ხანდახან მასობრივი ფსიქოზის ხასიათი აქვს, თამაშის ორგანიზება რომ არ ძალუძთ ან ერიდებათ, თუკი შეუსაბამი-სობაა ასაკით, ხასიათით, ან თუ უჩვეულო მდგომარეობაში იმყოფებიან, ბავშვებს ემართებათ უსაგნო ყვირილისა და ხმაურის სიშლეგე.

ყვირიან, ხელს იკვრევიან, ჭიდაობენ, ერთმანეთს ფეხებით ათრევენ, ტრიალებენ გრძნობის დაკარგვამდე, იატაკზე გორაობენ; ერთმანეთს აგულღიანებენ, გაუთავებლივ, არაბუნებრივად იცინიან. ძალიან ხშირად ეს „თამაში“ (უფრო ადრე, ბუნებრივი რეაქციის დადგომამდე) კატასტროფით მთავრდება: ჩხუბი, დახეული ტანსაცმელი, დამტვრეული სკამი, ნატკენი ადგილი უფრო ჩალურჯებული აქვთ, ესე იგი, შეჩქვიფება და ურთიერთბრალდებები. ზოგჯერ ყვირილისა და ხმაურის განწყობილება ჩაიხრება; გაისმის ვილაცის, „გეყოფათ მაიმუნობა“ ან „გრცხვენოდეთ, აბა რას აკეთებთ“. ინიციატივა უფრო ენერჯიულის ხელში გადადის — და ზღაპარი, ქორო სიმღერისა, საუბარი.

ვშიშობ, სევდა-ნალველი, ეს არც თუ ისე ხშირად ნერვებზე მასობრივად მოქმედი პათოლოგიური მდგომარეობა, ზოგიერთი აღმზრდელის აზრით, ბავშვების ნორმალური თამაშია, „თავად გაჰყავთ დრო“.

73. ბავშვების თამაშებით არც დაინტერესებულან და კლინიკურად საფუძვლიანად არც გამოუკვლევიათ, აქაოდა ნაკლებად სერიოზული ამბავიაო.

უნდა გვახსოვდეს, არა მარტო ბავშვები, დიდებიც თამაშობენ; ბავშვები ყოველთვის არც თამაშობენ ხალისიანად. ჩვენ რასაც თამაშს ვეძახით, ყველაფერი მართლაც თამაში არ არის. მეტწილად ბავშვური თამაშებია — დიდების სერიოზული საქმიანობის მიბაძვაა; თამაშები ვახსნილ სივრცეში ერთია, მეორეა თამაში ქალაქის ან სახლის კედლებით გარშემოზღუდული. ბავშვების თამაშები ჩვენ შეიძლება განვიხილოთ იმ ადგილის მიხედვით, თანამედროვე საზოგადოებაში რომ უკავიათ.

ბურთი.

შეხედეთ სულ პატარას ძალისხმევას, როგორ უნდა აიღონ ბურთი მიწიდან და მოცემული მიმართულებით გასწიოს არეული ნაბიჯებით.

შეხედეთ დიდის ქანცგამწყვეტ ვარჯიშებს, როგორ ცდილობს დაიჭიროს მარჯვენა ხელით, დაჰკრას რამდენიმეჯერ მიწას, კედელს მოარტყას, ჩოგნით გაჰკრას, მიზანს არ ააცილოს. ვინ ყველაზე უფრო შორს, ვინ ყველაზე უფრო მალა, ვინ ყველაზე უფრო კარგად მოახვედრებს მიზანს, ვინ უფრო ბევრჯერ. შეჯიბრება, შეჯიბრების მეშვეობით საკუთარი ღირსების შემეცნება, გამარჯვებები და დამარცხებები, სრულყოფილების მოპოვება.

ხშირად კომიკური ხასიათის მოულოდნელობანი. ხელთ ჰქონდა და უკვე დაუსხლტა, ერთმა ვერ დაიჭირა და მეორეს ჩაუვარდა პირდაპირ

ხელში; ბურთის დაჭერისას თავებით წაეჯახნენ; კარადის ქვეშ შევარდა და იქიდან თავად გამოგორდა მორჩილად.

გაწამაწია. ბურთი მინდორზე ვარდება, კი აიღებ, მაგრამ ვაითუ დაგივარდეს. დაკარგე, უნდა მოძებნო. კინალამ მინა ჩამატვირთე. კარადაზე შევარდა, როგორ უნდა ჩამოიღო? თათბირი. დაარტყა თუ არ დაარტყა? დამნაშავე ვინ არის? ვინ აღმაცერად გაიჭლო და შენ ველარ დაიჭირა? გაცხოველებული კამათი.

ინდივიდუალობა, მრავალფეროვნების გამა. ბავშვი ცრუობს: თითქოსდა უნდა ისროლოს; ერთს უმიზნებს, მეორეს მოარტყამს; მოხერხებულად მალავს ბურთს, თითქოსდა არც აქვს! მოისროლა და ბურთს სული შეუბერა, უფრო სწრაფად გაქროლდებო; დაიჭერს და თეატრალურად გაიმოტება; პირით დაჭერას ლამობს, ბურთს გადაუვდებენ და თავს მოიკატუნებს, თითქოსდა შეშეშინდაო, თითქოსდა ბურთმა ატკინა. ბურთს ურტყამს: „ბურთო, მე შენ გიჩვენებ სეირს!“ „თუ იცი, ბურთში ვიღაც უნდა უკაკუნებდეს“, — აქნევს, ყურს უგდებს.

არიან ბავშვები, რომლებიც თავად არ თამაშობენ და რომ უყურებენ, უყვართ, იმ დიდების მსგავსად ბილიარდის ან ჭადრაკის თამაშს რომ თვალყურს ადევნებენ. ბურთის თამაშის დროსაც ხდება საინტერესო, უზუსტო და გენიალური მოძრაობანი.

მოძრაობათა მიზანშეწონილობა — მხოლოდ ერთი მხარეა იმ მრავალთაგან, სასიამოვნოს რომ ხდის სპორტის ამ სახეობას.

74. თამაშები ბავშვის არა იმდენად სტიქიონია, რამდენადაც ამ დროს ჩვენ ვაძლევთ ცოტათი თუ ბევრად ინიციატივის გამოჩენის საშუალებას. მხოლოდ თამაშისას გრძნობს ბავშვი თავს გარკვეულწილად დამოუკიდებლად, ყველაფერი დანარჩენი — მსწრაფლწარმავალი წყალობაა, დროებითი დათმობა, ბავშვს კი აქვს თამაშის უფლება.

ცხენობანას, ომობანას, ყაჩაღ-მაძებრობანას, მეხანძრობანას რომ თამაშობს ბავშვი, თავის ენერგიას ცრუ მიზანშეწონილობის კვალობაზე ხარჯავს და მცირეოდენი ხნით ილუზიებს მიეცემა ან შეგნებულად გაურბის რეალურ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ აფასებენ ბავშვები მონაწილეობას იმ თანატოლებისას, რომლებიც გამოირჩევიან მკვირცხლი გონებითა და მრავალნაირი ინიციატივის უნარით, წიგნების მეშვეობით დიდი რაოდენობის მოტივების მარაგი რომ აქვთ და კიდევაც ხშირად ემორჩილებიან იმათ დესპოტურ ძალაუფლებას, რადგან სწორედ მათი წყალობით უადვილდებათ ბუნდი ოცნებები სინამდვილის არილით შემოსონ. დიდებისა და უცხო ბავშვების თანდასწრებით კი შებოჭილნი არიან, რცხვენიათ თავიანთი თამაშებისა, არარაობად აღიქვამენ მაშინ.

ბავშვების თამაშებში რაოდენი მწარე შეგნებაა იმისა, რომ რეალური ცხოვრება ნაკლოვანია და სავსეა მტანჯავი სევდა-ვარამით!

ჯოხი ბავშვისთვის ცხენი არ არის, მაგრამ რადგან ნამდვილი არა პყავს, ხისას უნდა შეეგუოს. და ბავშვები თუ გადმოტრიალებული სკამით ოთახში დაცურავენ — ეს არ არის ნავეებით გასეირნება ტბაზე...

როდესაც ბავშვს საშუალება აქვს იბანაოს რამდენიც უნდა, გავიდეს ტყეში კენკროვანების მოსაკრეფად, აქვს ანკესები, ხეზე გაძვ-

რეს ჩიტის ბუდეების სანახავად, აქვს სამტრედე, ქლიავი სხვის ბაღში, ყვავილნარი სახლის წინ, ჰყავს ქათმები, ბაჭიები, თამაში უკვე საჭირო აღარ არის ან სრულიად იცვლის ხასიათს.

ცოცხალ ძაღლს სათამაშო ბორბლებიანზე ვინ ბავშვი გაცვლის? სათამაშო-სარწეველა ცხენის მაგივრად ნამდვილ პონის რამდენი მისცემს?

ბავშვი ძალაუნებურად მიელტვის თამაშს, რათა აიცილოს ბოროტი სევდა-ნაღველი, გაექცეს შემზარავ სიცარიელეს, დაეძალოს ცივ მოვალეობას. დიანს, ბავშვს თამაში ურჩევნია, ვიდრე დაიზუთხოს გრამატიკის წესები ან გამრავლების ტაბულა.

ბავშვი აღარ სცილდება თოჯინას, ჯაგრისს, ქოთნის ყვავილს, რადგან მას ჯერ კიდევ მეტი არაფერი არ აქვს; პატიმარიცა და მოხუციც ვერ შეელევინ რამეს, რადგანაც მათ უკვე არც აღარაფერი აქვთ. ბავშვი თამაშობს რითიც შეუძლია, ოღონდ კი როგორმე დრო გაიყვანოს, არ იცის თავს რა უყოს, არც აქვს სხვა არჩევანი.

ჩვენ გვინახავს, თუ როგორ ასწავლის ჭკუას თოჯინას, როგორ აშინებს და ტუქსავს; და ვერ ვხედავთ, როგორ შესჩივლებს მას საწოლში გარშემომცველებზე, ჩურჩულით როგორ ეუბნება თავის გასაჭირს, მარცხს, ოცნებებს.

— რასაც მე გეტყვი, ჩემო თოჯინა! არავის არ უნდა უთხრა იცოდე.

— რა კარგი ძაღლუკა ხარ, არ გიწყრები, ცუდი რა გაგიკეთებია ჩემთვის.

ბავშვის ეს მარტოსულობა თოჯინასთვის სულის მომნიჭებელია. ბავშვის სიცოცხლე სამოთხე კი არა, დრამაა.

75. მწყემსის ბიჭს კარტის თამაში ურჩევნია, ვიდრე ბურთის, ძროხების დევნა ყელში აქვს ამოსული. გაზეთების გამყიდველი ან ხელზე მოსამსახურე ბიჭი მხოლოდ დასაწყისში დარბის ბევრს და სულ მალე სწავლობს როგორმე გამოიზოგოს ძალა მთელი დღის განმავლობაში. თოჯინებით ის ბავშვი ვერ ითამაშებს, ვისაც ჩვილის ძიძაობა აქვს დავალებული; პირიქით, გაურბის თავის უსიამოვნო მოვალეობას.

ესე იგი, ბავშვებს მუშაობა არ უყვართ? ღარიბ-ლატაკთა შრომა უტილიტარულია, აღზრდისკენ არაა მიმართული, არ არის გათვლილი იმათი ძაღლისა და ინდივიდუალური მიდრეკილების მიხედვით, სასაცილო იქნებოდა სწორედ, რა მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს გამათხოვრებული ბავშვების ცხოვრება: სევდა-ნაღველია აქაც, ზამთრის სევდა-ნაღველი ქოხმანებისა და ზაფხულის — ეზოსა ან გზისპირა თხრილისა, სევდა-ნაღველი, ოღონდ სხვაგვარი ფორმისა. ვერც მშობლები, ვერც ჩვენ ვერ შევძლებთ ისე შევავსოთ ბავშვის დღე, რომ ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულმა მათმა მწყრივმა წარმოუჩინოს სიცოცხლის მრავალფეროვნება, გუშინდლიდან დღევანდელი დღის გავლით ხვალამდე.

ბავშვების მრავალრიცხოვანი თამაშია — მუშაობა.

თუ ოთხნი კარავს დგამენ, მიწას თხრიან თუნუქის ნაჭრით, მინით, ლურსმნით, პალოებს არჭობენ, ჰკრავენ, ტოტებით სახურავს უკეთებენ და ხავსით იატაკს აწყობენ, ხან დაძაბული მუშაობენ ხმის ამოუღებლად, ხან ზანტად, მაგრამ სამაგიეროდ თან ხამუშაოს ბირობების გაუმჯობესებაზე მსჯელობენ, ასჯერ ზომავენ, ერთმანეთს უზიარებენ დაკვირვების შედეგებს; ეს თამაში არ არის, მხოლოდ მშობელი შრომაა არასრულყოფილი იარაღებით, მწირი მასალებით, ესე იგი, დაბალპროდუქტიულია, მაგრამ ისეა ორგანიზებული, რომ თითოეული თავისი ასაკის, ღონისა და მოხერხებულობისდა კვალად იმდენ ძალისხმევას მიმართავს, რამდენიც შეუძლია.

თუკი ბავშვის ოთახი, ჩვენი აკრძალვის მიუხედავად, სწორად სახელოსნოა და ხარახურას საწყობი, ესე იგი, საწყობი იმ მასალებისა, სავარაუდო სამუშაოს შესასრულებლად რომ დასჭირდებათ, იქნებ სწორედ ამ მიმართულებით უნდა მივმართოთ ჩვენი ძიება? იქნებ პატარა ბავშვის ოთახისთვის ლინოლეუმი კი არ გვინდა, არამედ ერთი საზიდარი ჯანმრთელობისთვის ასე საჭირო ყვითელი ქვიშა, ჯოხების დიდი შეკვრა და ერთი საზიდარიც ქვა? შეიძლება ფიცარი, მუყაო, ერთი ფუნტი ლურსმანი, ხერხი, ჩაქუჩი და საზეინკლო დაზვა იქნებოდნენ უფრო სასურველი საჩუქარი, ვიდრე თამაში, ხოლო შრომის მასწავლებელი უფრო სასარგებლოა, ვიდრე ტანვარჯიშისა ან პიანინოზე დაკვრის? მაგრამ მაშინ აუცილებელი შეიქნებოდა საბავშვო ოთახებიდან განდევნილიყო საავადმყოფოს მდუმარება, საავადმყოფოს სისუფთავე და შიშინობა, ვაითუ ვინმემ თითი გაიჭრასო.

გონიერი მშობლები უკმაყოფილების გრძნობით მბრძანებლობენ: „ითამაშე“ — და გულისტკივილით ესმით ასეთი პასუხი: „სულ თამაში და თამაში“. რას იზამ, თუ სხვა რამე უკეთესი არ არის?

ბევრი რამ შეიცვალა. ვართობა-თამაშები არა მარტო ამრეშითაა დაშვებული, სასკოლო პროგრამებშიც კი არის შეტანილი; სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვენ სასკოლო ნაკვეთებს. ცვლილება ყოველ საათში ხდება; საშუალო ოჯახის მამასა და აღმზრდელის ფსიქიკას არ ძალუძს მოვლენებს გაუსწორდეს.

76. ზემოთ ნათქვამის საპირისპიროდ, არიან ბავშვები, ვისთვისაც მარტოობა არც ისეთი თავმომაბეზრებელია და არც საქმიანობას მიეღობის მაინცდამაინც. სხვა დედებისთვის სამაგალითონი არიან ეს ჩუმჩუმელები, სახლში იმის „ხმასაც ვერ გაიგონებთ“, სევდა-ნაღველი არ აწუხებთ, თავისთვის თამაშს გამოიგონებენ. პასიური ბავშვებია ესენი, ცოტა უნდათ და არა ძლიერ, ამიტომაც ადვილად თმობენ და გამონაგონი იმათთვის სიმართლის შემცველია, მით უმეტეს, ეს დიდების სურვილიცაა.

ბრბოში ასეთი ბავშვები იზნევიან, იტანჯებიან გულცივი დამოკიდებულებით, ვერ მიჰყვებიან მის ბობოქარ დინებას. იმის მაგივრად რომ გაუგონ, აქაც დედები ცდილობენ ჩაერიონ, მიმძლავრდნენ იმაზე, რაც ნელა, ფრთხილად, დიდი წვალეებით უნდა გამოვუმუშავოთ, თანაც ბევრი წარუმატებლობის, ბევრი ამაო მცდელობის, ჯოჯოხეთური დამცირების შემდეგ. ყოველი წინდაუხედავი სასჯელი აუარე-

სებს მდგომარეობას. „წადი, ბავშვებთან ითამაშე“ ისევე შეურაცხყოფს ერთს, როგორც მეორეს: „ხომ ითამაშე, გეყოფა“.

რა ადვილად სცნობთ მათ ბრბოში!

ასე, მაგალითად, ფერხული ბაღში. რამდენიმე ათეული ბავშვი მღერის, ხელიხელჩაკიდებულნი, შუაგულში ორნია ექვნიხვენი.

— აბა მიდი, ითამაშე იმათთან!

გოგონას არ უნდა, არ იცის თამაში, არ იცნობს ბავშვებს; ერთხელ კი სცადა, მას უთხრეს: „ისედაც ბევრნი ვართ, საკმარისია“ ან: „ზოთუ ხარ“. შეიძლება ხვალ ან ერთი კვირის მერე ისევ სცადოს... მაგრამ დედა ვერ დაიცდის, ხელს გაჰკრავს, გამოსწევს. გოგონას არ უნდა, შეჩქვიფებულია, ხელს ჩაკიდებს გვერდით მდგომარეთ, უნდა, რომ ვერ შენიშნონ, ჰოდა, დგას ასე, — შეიძლება დაინტერესდეს კიდევაც თანდათანობით, იქნებ გადადგას პირველი ნაბიჯი და შეურიგდეს კოლექტიურ ცხოვრებას... აქ დედას კიდევ ერთი უტაქტობა მოსდის — იქნებ შევაგულიანოო ცოცხალი თანალმობით.

— გოგონებო, წრეში სულ ერთნი და იგივენი რატომ უნდა იყოთ? აი ეს არ იყო, მოდით ავირჩიოთ!

ფერხულის მონაწილეთაგან ერთი უარზეა, ორნი თანახმა არიან, მაგრამ უგულოდ.

საბრალო ახალბედა გოგო აღმოჩნდება არაკეთილგანწყობილ კოლექტივში.

გოგონას ცრემლები, დედის მრისხანება, ფერხულის მონაწილეთა არევდარევა. აი, რით დასრულდა ეს სცენა.

77. ფერხული ბაღში ვითარცა პრაქტიკული სავარჯიშო აღმზრდელის დაკვირვებულობის გამოსამუშავებლად: შენიშნული მომენტების რაოდენობა. საერთო დაკვირვება (ძნელია, თამაშის მონაწილე ყოველი ბავშვისა), ინდივიდუალური (რომელიმე ნებისმიერი ბავშვისა):

ინიციატივა, დასაწყისი, გაფურჩქვნა, ჩაშლა თამაშისა. ვინ იძლევა ნიშანს, ვინ არის ორგანიზატორი, ვინ არის წამყვანი, თამაშს თავს ვინ ანებებს, თავყრილობის დასრულების მიზეზი ვინ არის? ვინ ირჩევს მეზობლებს, ვისთვის სულ ერთია, ვისაც ხელს ჩაკიდებს? ვინ ხალისით ანებებს თავს ერთს, რათა ახალმა მონაწილემ ადგილი ნახოს და ვის არ მოეწონება ეს ამბავი? ვინ ხშირად იცვლის ადგილს და ვის სულ ერთად უნდა ყოფნა? შესვენებისას ვინ მოთმინებით ელოდება და ვინ სულსწრაფია: „აბა ჩქარა, მოდი ჩქარა დავიწყოთ!“ ვინ გაუნძრევლად დგას და ვინ ვერ ჩერდება, ხელებს იქნევს, ხმამაღლა იცინის? ვის მთქნარება აუტყდება და მაინც არ მიდის, ვინ კი თამაშს თავს ანებებს, იქნებ ამიტომ, აღარ მოსწონს, რაღაც ეწყინა; ვინ აქტიურია, სანამ მთავარ როლს არ მისცემენ? დედას უნდა ფერხულში შემოაგდოს სულ პატარა: „არა, ჯერ კიდევ ერთი ციციქნა“, მეორე კი: „აბა ამან რა ხელი უნდა შეგიშალოთ, იყოს“.

დიდი რომ ხელმძღვანელობდეს თამაშს, რიგს დააწესებდა და დაიცავდა, ასე თუ ისე სამართლიანად გაანაწილებდა როლებს და რაკილა, მისი აზრით, იფიქრებდა, უნდა დავეხმაროო, ძალადობას მი-

მართავდა. სულ ორნი დარბიან, ერთი და იგივენი (კატა-თაგვობანა), თამაშობენ (ჩიკორობანას), იწვევენ (საცეკვაოდ), დანარჩენები კი, როგორც ჩანს, მოწყენილები არიან? ერთი უცქერის, მეორე ყურს უგდებს, მესამე მღერის — თავისთვის, ნახევარი ხმით, ხან კი ომანიადაც, მეოთხეს წრეში შემოსვლა უნდა, მაგრამ ვერ უბედავს, გულს ბაგაბუგი გააქვს... ხოლო ათი წლის მეწინავე ფსიქოლოგი მსწრაფლ შეათასებს, მიხვდება და განკარგულებების გაცემას დაიწყებს.

ყოველი კოლექტიური მოქმედებისას, ესე იგი, ერთი და იგივე თამაშის დროს ბავშვები ერთმანეთისგან გამოირჩევიან თუნდაც სულ მცირეოდენი შტრიხით.

და ჩვენ გავიგებთ, ვინ არის ბავშვი ცხოვრებაში, ადამიანებში, ხოლო მისი მოქმედებიდან რომელია ყალბი, საბაზრო ღირებულებებისა, რას ითვსებს და რა შეუძლია, და ბრბო ამას როგორ უყურებს, რამდენად დამოუკიდებელია, რამდენად შეუძლია შეეწინააღმდეგოს მასობრივ ჩაგონებას. მეგობრული საუბრით ვგებულობთ იმის სწრაფვას, ხოლო ბრბოში დაკვირვებისას, რისი გაკეთება შეუძლია; ერთ შემთხვევაში როგორია მისი დამოკიდებულება ადამიანებთან, მეორეში — ამ დამოკიდებულების ფარული მოტივები. თუკი ჩვენ ბავშვს მარტოდ ვხედავთ, ცალმხრივად გვეცოდინება იგი.

თუკი ავტორიტეტი აქვს, როგორ შეიძინა, როგორ იყენებს; თუ არა აქვს, — უნდა რომ ჰქონდეს, და თუ სწუხს, როცა არა აქვს, თუ ბრახდება, თუ იბუტება, თუ შურს ჩუმად, მიელტვის თუ უკან იხევს? ხშირად კამათობს თუ იშვიათად, სამართლიანად თუ უსამართლოდ, თავმოყვარეობა აწვალებს თუ ჭირვეულია, საკუთარ ნების გამომჟღავნებისას უხეშია თუ ტაქტიანი? მეწინავეებს გაურბის თუ პირიქით, უნდა მიეტმასნოს?

„მოდით ასე ვქნათ! დაიცადეთ, იქნებ ასე სჯობდეს! მე არ ვთამაშობ! კარგი, მითხარი, აბა როგორ გინდა?“

78. ბავშვების წყნარი თამაში რა არის, თუ არა ურთიერთგაზიარება აზრისა, ოცნებები გარკვეულ თემაზე, დრამატიზირებული ფიქრი დიდებაზე? თამაშისას ბავშვები გვიჩვენებენ თავის ჭეშმარიტ შესედულებას მსგავსად იმისა, როგორც რომანის ან პიესის ავტორი ანვითარებს დედააზრს. ამიტომ ვხედავთ ხშირად აქ ქვეშეცნეულ სატირას დიდების მიმართ: ბავშვები თამაშობენ სკოლობანას, სტუმრობანას, თოჯინებს მიართმევენ რამეს, ყიდულობენ და ყიდიან, მოსამსახურეებს ქირაობენ და უშვებენ... პასიურნი სერიოზულად უყურებენ სკოლობანას თამაშს, უნდათ რომ შეაქონ; აქტიურები ცელქების როლს ირჩევენ და ხშირად იმათი გამონდომები იმსახურებენ საერთო საყვედურს — ხომ არ ამჟღავნებენ ისინი სკოლისადმი თავიანთ ჭეშმარიტ დამოკიდებულებას?

საშუალება რომ არ აქვს ბაღში გასვლის, ბავშვი შით უფრო ხალისიანად მოგზაურობს უკაცრიელ კუნძულებსა და ოკეანეებზე; ყურშაც არა ჰყავს, ვინც იმას გაუგონებდა, სამაგიეროდ ყურით დაათრევს თოჯინებს. არც არაფერია, მაგრამ უნდა ყველაფერი იყოს. ოღონდ

მხოლოდ ბავშვია ასე? პოლიტიკური პარტიებიც საზოგადოებრივ ზეგავლენას რომ მოიპოვებენ, ვარსკვლავებს რომ წყვეტდნენ ცაში, ხომ იძულებულნი არიან შავ პურს დასჯერდნენ რეალური გამარჯვებებისდა კვალად?

ჩვენ არ მოგეწონს ზოგიერთი ბავშვური თამაში, გამოკვლევები და ცდები. ბავშვი ოთხზე დარბის და ყეფს, რათა მიხვდეს, როგორ შვრება ამას ძაღლი, კოჭლობით დადის, უნდა კუზიან მოხუცს წაბაძოს, თვალებს იელმებს, ენაბლუობს, მთვრალივით დატორტმანებს, შეშლილი ნახა ქუჩაში და იმას გამოსახავს, თვალდახუჭული მიდის (ბრმაა), ყურებს დაიცობს (ყრუა), წვება გაუნძრევლად სუნთქვაშეკრული (მკვდარია), სათვალეში იყურება, პაპიროსს გაიჩრის პირში, ჩუმად საათის მომართვას შეეცდება, ბუზს ფრთებს დააგლეჯს (როგორღა უნდა გაფრინდეს?), მაგნიტით კალამს დაითრევს, დაინტერესებულია ყურის აგებულებით, (სადოლე აპკი რა უნდა იყოს?) ყელით (ჯირკვლები რა უნდა იყოს?). გოგოს ეუბნება, ექიმობანა ვითამაშოთო, იქნებ ვნახოო რაც აქვს, მზეზე გამადიდებელი შუშით დარბის, ყურს უგდებს აბაზანაში ხმაურს, კაჟს კაჟზე დაჰკრავს.

თავად რისი დარწმუნებაც შეუძლია, უნდა ნახოს, შეამოწმოს, გამოსცადოს; და კიდევ ვინ იცის, რამდენი დარჩება, სიტყვაზე რომ დაიჯეროს?

ამბობენ ერთი მთვარეა, მაგრამ ყველგან ორი როგორ ჩანს.

— მოდი, მე ღობის იქით დავდგები, შენ კი ბაღში შედი.

ჭიშკარი დაკეტეს.

— აბა, თუ არის ბაღში მთვარე?

— არის.

— აქაც არის.

ადგილები ჩაანაცვლეს, ხელმეორედ სცადეს; ახლა კი იციან სწორად, რომ ორია მთვარე.

79. თამაშებს განსაკუთრებული ადგილი უკავია — ძალის შემოწმება, შეცნობა თავისა; ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუკი თავს სხვას შეადარებენ.

ამიტომაც, ვისაც დიდი ნაბიჯი აქვს, რამდენ ნაბიჯს გაივლის თვალდახუჭული, ვინ დიდხანს გაჩერდება ცალ ფეხზე, თვალს არ დაახამხამებს, არ გაიცინებს თვალი თვალში მაცქერალი, ვინ უფრო დიდხანს იქნება სუნთქვაშეგუბებული? ვინ უფრო ხმამაღლა იყვირებს, უფრო შორს გადააფურთხებს, ვინ უფრო მაღლა ააფსამს და ვინ უფრო შორს გაისვრის ქვას? ვინ რამდენ საფეხურს გადმოახტება, ვინ უფრო შორს და მაღლა ისკუბებს, თითების დაჭერისას ვინ უფრო დიდხანს მოითმენს ტკივილს? ვინ უფრო მალე შიირბენს, ვინ ვის ასწევს, გამოათრევს, წააქცევს?

„მე შემიძლია. მე მოვახერხებ. მე ვიცი, მე მაქვს“.

„მე უფრო კარგად შემიძლია. მე უფრო მეტი ვიცი. მე უფრო კარგი მაქვს“.

მერე კი:

„ჩემს მამასა და დედას შეუძლიათ, იმათ აქვთ“.

პატივისცემა, სათანადო ადგილი თავის წრეში ასე მოიპოვება. კი უნდა გვანსოვდეს, ბავშვების კეთილდღეობა მხოლოდ იმაზე არ არის დამოკიდებული, როგორ აფასებენ მათ დიდები, არამედ, არანაკლებად და შეიძლება უფრო მეტადაც, როგორი აზრისანი არიან თანატოლები, რომლებსაც თუმცა სხვა, მაგრამ საკუთარ ბავშვური საზოგადოების წევრებისა და მათი უფლებების შეფასების მტკიცე წესები აქვთ ამავე დროს.

ხუთი წლის ბავშვი შეიძლება დაუშვან რვაწლიანების საზოგადოებაში, თავის მხრით, ესენი შეიძლება დაიხლოვონ ათწლიანებმა, რომლებიც უკვე მარტონი გამოდიან ქუჩაში და ვისაც აქვთ გასაღებიანი საკალმე და ჯიბის წიგნაკი. შენზე ორი კლასით უფროს ასეთ ბიჭს შეუძლია ნახევარი ღვეზლის საფასურად ან სულაც ისე გაგანათლოს და გასწავლოს:

მაგნიტი რკინას იზიდავს, რადგან დამაგნიტებულია. წვრილფენიანი არაბული ცხენებია საუკეთესონი. მეფენი ცისფერსისხლიანებია და არა წითელი. იმათაც და არწივსაც, როგორ ჩანს, ასევე ცისფერი აქვთ (ამის შესახებ ალბათ კიდევ ვინმეს უნდა ვკითხოთ). თუკი მკვდარი ხელს გტაცებს, წასულია შენი საქმე. ქალებია ტყეში, თმის მაგივრად გველები ახვევიათ თავზე, სურათზე უნახავს თავად, ტყეშიც კი უნახავს, მხოლოდ შორიდან, რადგანაც ასეთმა ქალმა თუ ახლოდან შემოგხედა, გაგაქვავებს (რას მიედ-მოედება?). დამხრჩვალიც უნახავს, ბავშვი როგორ იბადება, ესეც იცის, ქალაღდისგან საფულეს გამოჭრაც შეუძლია.

და არა მარტო ამბობს, რომ იცის, გაუკეთებია კიდევაც ქალაღდის საფულე, დედამ კი არ იცის ამის გაკეთება.

80. ბავშვს, იმის გრძნობებს, იმის თამაშებს ცხვირაწეული რომ არ ვუყურებდეთ, მაშინ მივხვდებოდით, მართალია სწორედაც, როდესაც ერთთან ხშირი ურთიერთობა აქვს, მეორეს კი გაურბის, თავისდა უნებურად გადაეყრება და უხალისოდაც ეთამაშება. კარგ მეგობართან შეიძლება იჩხუბოს და სულ მალე შეურიგდეს კიდევაც, მაგრამ ვინც გულზე არ ეხატება, თუნდაც უჩხუბრადაც ახლოს არ უნდა გაეკაროს.

იმასთან თამაში როგორ შეიძლება, სულ ცოტა უნდა და აღრია-ლდება, იმ წუთასვე ეწყინება რაღაც, დაგაბეზლებს, ყვირის, და გიჟივითაა, ტრაბახობს, შფოთისთავია, სულ პირველობა უნდა, ჭორაობს, სულელი, ჭუჭყიანი და გონჯია.

ერთი ასეთი გოგო წრიპინს ატეხავს და მთელ თამაშს გააფუჭებს. უნდა ნახოთ, დანარჩენი ბავშვები როგორ ცდილობენ იმის გაუვნებლყოფას, ხალისიანად შეიფარებს უფრო დიდი ბავშვი პატარას და შეიძლება კიდევაც გამოადგეს, მაგრამ მეორე ხარისხოვან როლს უნდა დასჯერდეს და ხელი არაფერში არ უნდა შეუშალოს.

„მიეცი, დაუთმე, დაანებე, ხომ ხედავ რა პატარაა“.

არ არის სწორი, დიდებიც არ უთმობენ ხოლმე ბაღებს...

რატომ არ უყვარს იმას იქ სტუმრად სიარული? იქ ხომ ბავშვებია, ვისთანაც კარგად თამაშობს?

კარგად, მაგრამ თავისას რომ არის ან პარკში. იქ კი კაცია ერთი, სულ ყვირის, უნდა თუ არა, მაინც კოცნიან, მოსამსახურემ აწყენინა, უფროსი დაი დასცინოდა, ძალღია იქ და ეშინია. თავმოყვარეობა აიძულეძს არ გათქვას ნამდვილი მიზეზი, დედას კი ჰგონია ჭირვეულობს.

ბავშვს პარკში სიარული არ უნდა, რატომ? დიდებულნი დაემუქრა, გცემო, ერთი გოგოს გადაეკიდა, დედაშენს ვნახავ და ცეტყვიო, ბურთი რომ გადაუვარდა ბალახზე და იმის ასაღებად გაიქცა, მეზალე დაემუქრა ჯოხით; შეპირდა ვილაც ბიჭს, მარკას მოგიტანო და ველარსად ნახა, სადღაც გაეზნა.

ჭირვეული ბავშვებიც არიან, ჩემს საექიმო პრაქტიკის დროს ათეულობით მინახავს. ამ ბავშვებმა იციან, რაც უნდათ, მაგრამ არაფერ არ მისცემს. სუნთქვა ეკვრებათ, ჰაერი არ ჰყოფნით ისე არიან გარემოცულნი ნაზი მზრუნველობით. მაგრამ თუ დიდები გულცივნი არიან პათოლოგიურად ჭირვეული ბავშვების მიმართ, ბავშვებს ისინი ეზიზღებათ და სძულთ. ბავშვები შეიძლება ჯვარს აცვან ჭკუამიუტანებელი სიყვარულით; კანონმა ისინი უნდა დაიცვას.

81. ჩვენ ბავშვებს მივეცით ბავშვობის ტოგა და გვჯერა, რომ ვუყვარვართ და გვენდობიან, უზაკველნი არიან, ცეტნი და მადლიერნი. უნაკლოდ ვთამაშობთ მეურვის როლს, გულაჩუყებულნი ვფიქრობთ, რა მსხვერპლის გაღება გვჭირდება და, შეიძლება ვთქვათ, რა კარგია ბავშვებთან — გარკვეულ დრომდე. ბავშვებს ჯერ სჯერათ, მერე ეჭვი ეპარებათ და ცდილობენ უკუაგდონ ასე ცბიერად მოახლოებული ეს გრძნობა. ზოგჯერ კი შეეჭიდებიან და რა ნახავენ ამ ბრძოლის უნაყოფობას, მოისურვებენ ჩვენს მოტყუებას, მოსყიდვასა და დაჩაგვრას.

ხვეწნა-მუდარა, მომხიბვლელი ღიმილი, კოცნა, ხუმრობაა მათი იარაღი, დამჯერნი, დამთმობნი ხდებიან და ასე გვეყიდულობენ, ზოგჯერ კი ტაქტიანად გვაგრძნობინებენ, ჩვენც უნდა გვქონდესო რაღაც უფლებები და ხანდახან რომ არ მოგვეშვებიან, პირდაპირ გვეკითხებიან: „მერედა სამაგიეროდ რას მომცემთ?“

ასი სხვადასხვანაირად მორჩილი და ამბოხებული მონა.

„ცუდია, მავნეა, ცოდვია... მასწავლებელი ასე ამბობდა სკოლაში. კიდევ კარგი დედამ არ იცის!“

„არ გინდა და ნუ გინდა... შენი მასწავლებელი შენი ჭკუისაა... კარგი, გაიგოს დედამ, რას მიზამს?“

ჩვენ არ მოგვეწონს, როდესაც ბავშვს ვტუქსავთ და ის რაღაცას ლულლულებს, განრისხებული გულწრფელი სიტყვები გვესმის, მაგრამ ჩვენთვის ეს სულაც არ არის საინტერესო.

ბავშვს აქვს სინდისი, მაგრამ ყოველღლიურ პატარ-პატარა შესლაშემოსლაში მისი ხმა ჩვენ არ გვესმის, სამაგიეროდ ზედაპირზე გამოჩნდება საიდუმლო, სიძულვილი დესპოტური (ესე იგი, უსამართლო), ძლიერთა ამა ქვეყნის (ესე იგი, უპასუხისმგებლო) ძალის მიმართ.

თუკი ბავშვს უყვარს გულმხიარული ბიძია, ეს ამიტომ, იმის წყალობით რაღაც წუთით შეიძლება თავისუფალი იყოს, საჩუქარი რომ მოუტანა და ამასთან სიხარული რომ მოანიჭა იმის სიცოცხლეს. საჩუ-

ქარი კი იმიტომაა ძვირფასი, რომ დიდი ხნის ოცნების საგანი ჰქონდა და ახლა შეუსრულდა. ბავშვი გაცილებით ნაკლებად აფასებს საჩუქრებს, ვიდრე ეს გვგონია და არასიმპათიურ ადამიანს გულგრილად გამოართმევს. „ეს რამ აყიდვინა“, ბობოქრობს დამცირებული.

ეროვნული

82. დიდები ჭკვიანები არ არიან, თავისუფალნი არ არიან, მაგრამ ამით ვერ სარგებლობენ. ბედნიერი ხალხია, შეუძლიათ ყველაფერი იყიდონ, რაც მოესურვებათ, რაც უნდათ და სულ ყოველთვის რალაცაზე გამწყრალნი, ყვირიან და გაპკივიან.

დიდებმა ყველაფერი არ იციან; პასუხი იმათი ვინმეს მოსაცილებლადაა წარმოთქმული ან ხუმრობით, ან ისე, რომ ვერაფერს ვერ გაიგებს; ერთი ერთს ამბობს, მეორე — მეორეს და სიმართლე კი სად არის, ვინ იცის. რამდენი ვარსკვლავია ზეცაში? ზანგურად რვეულს რა პქვია? როგორ იძინებს კაცი? წყალი — ცოცხალია? და საიდან იცის, რომ ქუჩაში იმისგან ყინული უნდა ვაკეთდეს? ჯოჯოხეთი სად არის? იმ კაცმა როგორ შეძლო საათის მეშვეობით ქუდში ერბოკვერცხის შეწვა: საათიც არ გაფუჭებულა და არც ქუდი — სასწაულია, ხომ?

დიდები არ არიან კეთილნი. მართალია, მშობლები აჭმევენ ბავშვებს, მაგრამ მოვალენიც არიან, თორემ დავიხოცებოდით. ბავშვებს არაფერს არ ანებებენ; ეტყვი და სიცილი წასკდებათ და იმის მაგივრად, რომ აუხსნან, განგებ დასცინიან. უსამართლონიც არიან, იმათ ატყუებენ და მათ მაინც სჯერათ. უყვართ, რომ მიელაქუცებით. თუ კარგ ხასიათზე არიან, ყველაფერი შეიძლება, ხოლო თუ განრისხებულნი — ვაი იმათი ბრალი.

დიდები ცრუობენ. არ არის მართალი, რომ კანფეტებმა ჭიები იცის; თუ არ შეჭამ, ბოშები დაგესიზმრებაო; ცეცხლს რომ ეთამაშები, ღამე თევზების ჭერას დაიწყებ; ფეხებს აქნევ, ეშმაკს შესვამ საქანელაზე. სიტყვას მოგცემენ, დაგპირდებიან, დაავიწყდებათ ან ვითომ არ ახსოვთ, ან შარს მოგდებენ, რალაცას დაგაბრალებენ და მაინც არ დაგანებებენ.

სიმართლე უნდა თქვაო, იტყვი და ეწყინებათ. გულწრფელნი ვერ არიან, პირში ერთს გეუბნებიან, პირსუკან სულ სხვას ლაპარაკობენ. არ უყვართ ვინმე და თავს იკატუნებენ, ვითომ უყვართ. სულ ისმის: „თუ შეიძლება, გმადლობთ, უკაცრავად, კარგად ბრძანდებოდეთ“, კაცი იფიქრებს, რომ ასეა მართლაც.

დაბეჯითებით გთხოვთ, ყურადღება მიაქციეთ ბავშვის გამომეტყველებას, რა მხიარულად მიირბენს უფროსთან და აღფრთოვანებული რალაცას შეეკითხება ან იზამს რალაც ისეთს, მკვეთრად, უხეშად შეაწყვეტინებენ.

მამა წერს; შემორბის ბავშვი, რალაც უნდა უთხრას, სახელოზე მოსწევს. ბავშვმა რა იცის, მნიშვნელოვანი საბუთი შეიძლება მელხით დაისვაროს? მამა გამძვინვარებულია, ბავშვი გაკვირვებული უცქერის, რა მოხდა ნეტავი?

რამდენიმე უადგილო შეკითხვა, წარუმატებელი ხუმრობა, საიდუმლოს გათქმა, დაუფიქრებელი გულის გადაშლა და უკვე ბავშვს აქვს გარკვეული გამოცდილება, მოთვინიერებული ველური მხეცებივითაა დიდები, ვერც ვერასდროს არიან სანდონი.

83. დიდებს ბავშვები აბუჩად იგდებენ, ჯავრითაც უყურებენ და ამასთან ერთად გარკვეულწილად სძულთ კიდევაც.

წვერულვაშაბურძგნილი, სახეშეშუპებული, სიგარის სუნი ასდის და ბავშვს არ მოსწონს. ყოველ კოცნაზე გულმოდგინედ იწმენდს სახეს — სანამ არ დაუშლიან. ბევრი ბავშვი ვერ იტანს, როდესაც მუხლებზე ისვამენ, ხელზე მოკიდებ და რბილად, ნელჩველად მოიცოცხლებს. სოფლელი ბავშვებისთვის შეუმჩნეველია ტოლსტოის ეს თვისება, სუყველა ასეა, ვინც ჯერ კიდევ არ გარყვნილა, არ გამოთაყვანებულია წვრთნისგან.

სიმყრალე ოფლისა, მძაფრი სუნი სუნამოებისა ბავშვს ზიზღით ატყმევინებს, „ყარსო“, ვიდრე არ აუხსნიან, აღარ გაიმეოროთ ეს ბინძური სიტყვა, სუნამოები სურნელს აფრქვევს, შენ ეს ჯერ კიდევ არ იციო.

ყველანი ეს ბიძიები და დეიდები რა საძულველნი არიან, აბოყინებენ, ძვლებში ამტვრევთ, წნევა, უკბილონი, პირი მწარე აქვთ, ვერ იტანენ ორპირ ქარს, სინესტეს, ღამე უჭმელნი წვებიან, ხველა ახრჩობთ, კიბეზე ძლივს ამოდიან, დაწითლებულნი, მსუქნები, აქოშინებულნი — საძაგლებია სწორედ.

ტკბილი ლაპარაკი, ხელის სმა, ხვევნა-ლაქუცი, ფარისეველობა, ჭკუამიუტანებელი შეკითხვები, კბილების კრეჭა მათთვის გაუგებარია.

„ნეტავი ვის ჰგავს? ჰო, რა დიდია! შეხედე, როგორ გაზრდილა!“

შეჩქვიფებულია ბავშვები, ელოდება, როდის დასრულდება...

სულ ადვილად გეტყვიან, „ჰაიტ, შე უნიფხო“, „ღამით თევზის ჭერას დაიწყებ, იცოდე“. ბრიყვნი...

ბავშვი თავს გრძნობს უფრო სუფთად, უფრო აღზრდილად, უფრო პატივისცემის ღირსად.

„ჭამის ეშინიათ! სინესტის ეშინიათ! მშიშრები, მე კი სულაც არ მეშინია. ეშინიათ და იყვნენ, ბუხარს მიეფიცხონ, ჩვენ კი რალატომ გვიშლიან?“

წვიმა — გამოვარდება საფარქვეშიდან, დადგება ამ თავსხმაში და სიცილით ისევ უკან შევა, ხელს თავზე ისვამს. ყინვა; მკლავს მოღუნავს, მხრებს აიწევს, სუნთქვას შეიკრავს, თითები გაეთოშება, ტუჩები ჩაულურჯდება, დაკრძალვასა და ქუჩაში ცემა-ტყეპას უყურებს, მერე კი სირბილით, გაუყვება რათა გათბეს: „ოოოჰ, გავიყინე, რა მაგარია!“

საცოდავი ბებრები, ყველაფერი ისე არაა, ყველაფერი ხელს უშლით.

ბავშვის მხოლოდ ერთი თბილი გრძნობა უნდა იყოს დიდებისადმი სულ მუდამ მიმართული, ესაა სიყვარული.

როგორც ჩანს, რალაც უშლით ხელს, რადგანაც ასე გაუბედურებულნი არიან.

საბრალო მამა, რამდენს შრომობს, დედა რა სუსტია, მალე დაინოცებიან საბრალონი, ნულარ გავაბრაზებთ.

84. ერთი შენიშვნა. ბავშვი უთუოდ რომ განიცდის, ყველა ამ გრძნობასთან ერთად, თავის საკუთარ აზრებთან ერთად, მას თავისი მოვალეობაც არ ავიწყდება; სრულად ვერ განთავისუფლდება იმ შეხედულებებისგან, იმ გრძნობებისგან, ჩვენ რომ მივაგებთ. აქტიური —

ნათლად და მსწრაფლ, პასიური — გვიან და ნაკლებად შესამჩნევად განიცდის გაორებული პიროვნების კონფლიქტს. აქტიური — დამოუკიდებლად აზროვნებს, პასიურს „თვალს აუხელს“ ამხანაგი მისი მიმძლავრებისა და გაჭირვების, ერთნიც და მეორენიც სისტემატიზირებას არ მიმართავენ. ბავშვის სული ისეთივე რთულია, როგორც ჩვენი. სავსეა მსგავსი წინააღმდეგობებით და ისეთივე ტრაგიკულია მისი; შინდა და არ შემოძლია, ვიცი, რაც უნდა, მაგრამ თავს ვერ ვიმორჩილებ.

ვინც არ ბოჭავს, ათავისუფლებს, კი არ თრგუნავს, ზეაპყავს, კი არ ჭმუჭნის, ასწავლის, კი არ მოითხოვს, ეკითხება, ასეთ გამზრდელს ბავშვთან ერთად მრავალგზის განუცდია აღფრთოვანების წამები, თვალეზზე ცრემლმომდგარი შეპყურებს ბრძოლას ანგელოზისას სატანასთან, როდესაც ნათელი ანგელოზი რჩება გამარჯვებული.

იცრუა. ტორტს ბეზე მოატეხა. გოგოს კაბა აუწია. ბაყაყებს ქვები დაუშინა. კუზიანს დასცინა. მაგიდის ქანდაკება დაამტვრია და მერე შეაწება, ვერავის რომ ვერ შეემჩნია. სიგარეტი მოწია. განრისხდა და გულში მამას წყევლა-კრულვა შეუთვალა.

ცუდად მოიქცა და გრძნობს, უკანასკნელად არ უნდა იყოს, კიდევ რაღაცაზე წაიტეხავს კისერს, თავად მოუყა ან ვიღაც შეაგულიანებს.

ასე არის, ბავშვი უეცრად ჩუმი, მორჩილი და თავმოსაწყლებული ხდება. დიდებმა ეს იციან: „სინდისმა შეაწუხა სწორედ“. ხშირად ამ უცნაურ ცვლილებას წინ უსწრებს მთელი გრძნობების აბობოქრება, ბალიშს ჩახუტებულის ქვითინი, მონანიება და საზეიმო ფიცი. ხანდახან ჩვენ მზად ვართ ვაპატიოთ, მხოლოდ დაპირება უნდა მოვისმინოთ — პე, არა, გარანტია — იმ ილუზიის სანაცვლოდ, რომ ცოდვები აღარ განმეორდება.

„სხვანაირი ვერ ვიქნები. ამის დაპირება მე არ შემოძლია“.

ამ სიტყვებს პატიოსნება კარნახობს და არა უცილობელი სიჯიუტე.

— მე მესმის რასაც ლაპარაკობთ, მაგრამ ამას ვერ ვგრძნობ, — უთქვამს თორმეტი წლის ბავშვს.

ეს ყოვლად ღირსეული პატიოსნება ჩვენ გვინახავს ცუდი მიდრეკილებების ბავშვებში.

— ვიცი, ქურდობა არ შეიძლება, სირცხვილია, ცოდვაა. არ მინდა ქურდობა! მაგრამ ვერ გეტყვით, კიდევ მოვიპარავ თუ არა. ჩემი ბრალი არ არის!

მტანჯავი წუთები უნდა გადაიტანოს ბაღლის უილაჯობისა და საკუთარი უძლურების მნახველმა გამზრდელმა.

85. ილუზიების ტყვეობაში ვართ მოქცეულნი, თითქოსდა ბავშვს დიდხანს შეუძლია იმყოფებოდეს მსოფლმხედველობითი სათნოების არტახებში, სადაც სუყველაფერი მარტივადაა, სიკეთითა და გონიერებითაა აღბეჭდილი; რომ შევძლებთ დავმალოთ ჩვენი უცოდნელობა, სისუსტენი, წინააღმდეგობანი, ხელმოცარვა და დამარცხებები, უქონლობა ბედნიერების ფორმულისა. გულუბრყვილობაა პედაგოგიურ თვითნასწავლთა რჩევა-დარიგებებით თანამიმდევრულად აღზარდონ ბავშვები; მამამ არ უნდა გაკიცხოს დედის საქციელი, დედები ბავშვების

თანდასწრებით თავ-თავიანთი საქმეების შესახებ არ უნდა ლაპარაკობდნენ, მოსამსახურენი არ უნდა ცრუობდნენ არასასურველი სტუმრის სადარბაზოს კართან მოსვლის ხანს, „სახლში არ არიან“ ოჯახის უფროსები“.

და რატომ არ შეიძლება ცხოველების წვალქა, ბუშების კი — ასეულობით, შხამიან წებოვან ქაღალდს რომ ეკვრინ და იხოცებიან ასეთი ტანჯვა-წამებით? რატომ ყიდულობს დედა ლამაზ კაბას, ხოლო კაბაზე რომ თქვა, ლამაზიაო, ცუდია? კატას რატომ ეძახიან „ხატაურას?“. ელვამ ვაიელვა და გადიამ პირჯვარი გადაიწერა, ღმერთიაო, მასწავლებელი კი ამბობს, ეს ელექტროობააო. დიდებს პატივს რატომ უნდა ვსცემდეთ? ქურდსაც ასევე? ბიძიამ თქვა, „სტომაქი მიყურყურებსო“, არ შეიძლება ასე ლაპარაკი. რატომაა გინება, „ვირიშვილოო“? მზარეულ ქალს სიზმრების სჯერა, დედას კი არა. რატომ ამბობენ „ხარივით ჯანმრთელიაო“, ხარებიც ხომ ავადმყოფობენ? წყალში დამხრჩვალს წყალს აძლევდნენო? რად არის ცუდი იკითხო, რა ღირდაო ეს საჩუქარი?

როგორ უნდა დამალო, როგორ უნდა ახსნა გაუგებრობის გაურკვევლად?

პოი, ჩვენი ეს პასუხები...

ორგზის მომიხდა იმის მოსმენა, თუ როგორ უხსნიდნენ ბავშვს მალაზიის ვიტრინასთან, თუ რა არის გლობუსი.

— ეს რა ბურთია? — კითხულობს ბავშვი.

— ბურთია რაღაც, — ეუბნება გადია.

მეორე კი:

— დედა, ეს რა ბუშტია?

— ბუშტი კი არა, მიწაა... სახლებია იქ, ცხენები, დედიკო შენი...

— დე-ე-ე-დიკოც? — თანაგრძნობით და შიშით შესედა ბავშვმა დედას და აღარაფერი უკითხავს.

(გაგრძელება იქნება)



ფანი 3 ლარი

7256/

2005-511

2-2005

